საქართველოს მეცნიერებათა აკადემია
ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის
ინსტიტუტი

ალ. ოჩიაური

ქართული ხალხური ღლეობები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში

(ფშავი)

თბილისი
„მეცნიერება"
1991

63.5 (2Г)
ო 917

ქართული ხალხური კალენდარული დღესასწაულების შესახებ მასალები შეკრებილია ჩვენი საუკუნის 30—40-იან წლებში და დაცულია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ეთნოგრაფიის არქივში. ფშაური ხალხური დღეობების ამსახველი მასალა, რომელიც ალ. ოჩიაურის მიერ არის შეკრებილი და აღწერილი, გამოირჩევა მრავალმხრივობითა და სიზუსტით. მასალის დიდი ნაწილის ფიქსაცია დღეს შეუძლებელია, ამდენად წინამდებარე წიგნის მნიშვნელობა მეტად დიდია ქართველი ხალხის ეთნოგრაფიული ყოფის შესწავლაში.

რედაქტორი ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი
თ. ო ჩ ი ა უ რ ი
რეცენზენტები: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი
ჯ. რ უ ხ ა ძ ე
ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი
ნ. ა ბ ა კ ე ლ ი ა

სერიის სარედაქციო კოლეგია: ნ. აბესაძე, ნ. აზიკური, ვ. ითონიშვილი, ო. ონიანი, თ. ოჩიაური, ~~ალ. რობაქიძე,~~ ჯ. რუხაძე (მთავარი რედაქტორი), ი. სურგულაძე, ნ. ყიფიანი (მდივანი).

ო $\frac{050500000}{М\ 607(06)—91}$ 155—91

© გამომცემლობა „მეცნიერება“, 1991.

ISBN 5—520—00985—6

რედაქტორისაგან

1987 წელს გამოქვეყნდა ალ. ოჩიაურის მასალები ქართულ ხალხურ დღესასწაულებზე, სადაც შევიდა ხევსურული მასალების ნაწილი (არხოტის თემი). მომდევნო გამოცემად ივარაუდებოდა პირაქეთ ხევსურეთისა და შატილ-მიღმახევის მასალები, მაგრამ გარკვეული დაბრკოლების გამო მათი გამოქვეყნება დროებით შეფერხდა. ამჯერად იბეჭდება ფშაური დღეობები და რელიგიური ხასიათის სხვა მასალები.

ალ. ოჩიაურმა თავისი სიცოცხლის ძირითადი ნაწილი ფშავში გაატარა; იქ ცხოვრობდა და მოღვაწეობდა. კარგად იცნობდა ფშაველთა ყოფას, მონაწილეობდა მათ ჭირსა და ლხინში, ახლო ურთიერთობა ჰქონდა მცოდნე, ყველასაგან პატივცემულ ხალხთან, რომელთაგანაც არის ძირითადად ჩაწერილი აქ წარმოდგენილი მასალა.

ალ. ოჩიაური არ იფარგლება მხოლოდ დღეობათა აღწერილობით. მისი მიზანია, რაც შეიძლება ამომწურავად დაახასიათოს ესა თუ ის მოვლენა, ან ფაქტი. თხრობის დროს გადახვევას არ ერიდება, თუ სიტყვამ მოიტანა, იქვე გვაძლევს სათანადო აღწერასა თუ განმარტებას.

დღეობების აღწერილობასთან ერთად წიგნში წარმოდგენილია ხატ-სალოცავებთან დაკავშირებული თქმულება-ლეგენდები, რელიგიური შეხედულებები, სახატო მეურნეობის წესები, რელიგიისა და სოციალური ყოფის ურთიერთობის საკითხები და სხვ.

აღსანიშნავია, რომ იგი ერთსა და იმავე რიგის საკითხებს ეძიებს სხვადასხვა თემებსა და სოფლებში. ამიტომ ზოგჯერ მასალა ერთგვაროვანია, მაგრამ ის სხვაობა და სპეციფიკაც ჩანს, რომელიც მათ შორის არსებობს. ამ მეთოდით მოპოვებული მასალა ერთმანეთს ავსებს, საშუალებას იძლევა აღდგეს რიტუალის თავდაპირველი სახე, ტრადიციული წესები.

ამ მასალის გამოქვეყნების მნიშვნელობაზე არაფერს ვიტყვით, დაინტერესებული სპეციალისტი და მკითხველი თვითონ მიაგებს მისაგებელს წიგნსაც და მის ავტორსაც.

დღეობები ხოშარის თემში

ხოშარა * არის პატარა სოფელი, ცხოვრობს 6 კომლი, ძველ დროს კი აქ ბევრ ხალხს უცხოვრია. ხოშარლებს წინათ ორგან ჰქონიათ ადგილი: ღელეს და ხოშარაში. სულ წინწინ ხოშარაში არ ცხოვრობდნენ. ცხოვრობდნენ მარტო ღელეს, რადგან ხოშარაში დევები ხალხს აშინებდნენ. აქ დასაარსებლად მოსულა წმინდა გიორგი, მაგრამ დევებს ბრძოლა დაუწყიათ მისთვის. წმინდა გიორგის ლახტი და სხვა რამე საბრძოლი იარაღი არ ჰქონია; მაშინ ერთი ძელისათვის მოუვლია ხელი და იმით გაუმართავს დევებთან ომი. უბრძოლავ დილით — წუხრამდინ და ამ ძელით სულ დაუხოცია დევები. თვითონ კი დაარსებულა ამ ადგილზე. გაუგავ გაბიდოურებს (გაბიდოური ხოშარლების ძველი გვარია. ახლა აქვს ყველას ქვეგვარები), რომ დევები რამამ ამასწყვიტა და თვითონ დაარსდაო, წამოსულან და ამ ადგილზე აუშენებიათ კვრივი კოშკი. პირველად არ სცოდნიათ, ვინ იყო დევების ამომწყვეტი და მოაქვიენეს (დაარქვეს) კოშკის ანგელოზი. ასე იტყოდნენ ლოცვაში: „ჯოშარის კოშკის ანგელოზოო". მერე მკითხავი გააქადაგა და გამოაცხადა თავი წმიდა გიორგიმ. ამის შემდეგ მოაქვიენეს: გ ი ო რ გ ი კ ო შ კ ი ს ა ნ გ ე ლ ო ზ ი ან მეორე სახელი — ს ა ხ უ თ მ ე ტ ო ძ ე ლ ი ს ა ნ გ ე ლ ო ზ ი.

წმინდა გიორგიმ რომ დევები დახოცა, ერთი დევი გაექცა, ავიდა სოფლის პირდაპირ მთაზე, რომელსაც ართაჯურის გორი ჰქვია, და იქიდან ესროლა წმინდა გიორგის ქვა. ვერ მოარტყა კი, მაგრამ იქვე ახლოს მიწაში დაეფლო, დაშალა ნაზირზენი, ერთი ნაზირზენი გიორგის თვალში მოხვდა და თვალი დაუზიანა, თვითონ კი გაიქცა და გადაიკარგა. ამის შემდეგ აქ გაამწესეს დასტურები და ხევისბრები. დაიჭირა ხატმა სანადო მამულები აქვე ხოშარაში სოფლის აღმოსავლეთ მხარეს. სანადოები დაყოფილი ჰქონდა სოფელს. ყველას ეჭირა თითო სრელი; ის უვლიდა, გაღორღავდა, მოხნავდა, დასთესავდა და დაჰფარევდა (თესლი ითესებოდა სახატო პურიდან). ზაფხულშიც თავ-თავიანთ მოხნულს თვითონ უვლიდნენ, იცავდნენ საქონლისა

* მიამბო ბიჭუა ხახაშვილმა, მცხოვრებმა სოფელ ხოშარაში, 76 წლისამ, 1946 წელი, დეკემბერი.

და ცხვრისაგან, გამარგლიდნენ. როცა სამკალად მოვიდოდა, მომკიდნენ მარტო კაცები (დედაკაცები ხატის სამკალში ან ლეწვაში არ მოეხმარებოდნენ). მოიტანდნენ ხ ა ტ ი ს კ ა ლ ო ზ ე, რომელიც იქვე იყო გაკეთებული და წმინდად დაცული (დედათ წესიანი ხატის მამულ-კალოზე ვერ გაივლიდა და თუ ძალიან არ გაუჭირდებოდა, კალოზე სულაც არ გაივლიდნენ ქალები). მერე თავ-თავის ძნას კარგად ააგებ-დნენ და გადასცემდნენ დასტურს. როცა ძნებს ყველა მოიტანდა, დასტურები გალეწავდნენ, პურს იქვე ხატის ბეღელში ჩაყრიდნენ, რომელიც ქვითკირისაგან იყო აშენებული, და ჩალა-ბზეს თვითონ გაიყოფდნენ.

დასტური აქ ორგვარი იყო: ერთნი ხატისაგან არჩეულნი მომიზეზებით ან მკითხავის თქმით. ეს დასტურები მარტო გალეწავდნენ და ინახავდნენ ხატის პურს. მეორე დასტურები იყვნენ, რომლებიც თითო დღეობას „იზამდნენ“, ორნი იყვნენ, დასტურობა მირგენილი ექნებოდათ ხალხისაგან. მათ პურს მისცემდნენ პურის შემნახველი დასტურები ხატის ბეღელიდან იმ რაოდენობით, რამდენიც განსაზღვრული იყო ხევისბრებისა და თვით ხალხისაგან ამა თუ იმ დღეობისათვის. დასტურები, რომლებიც რიგ-რიგობით დგებოდენ და თითო დღეობა ჰქონდათ დავალებული, ფ ო რ ს (ალაოს) გააკეთებდნენ, გაახმობ-დნენ, დაფქვავდნენ და ადუღებდნენ ლუდს ჩვეულებრივ (სვეს მოტანაც ევალებოდათ ამ დასტურთ). ჯერ ფქვილს ჩაყრიდნენ და ორ წყეს წყალს დაასხამდნენ (ხატის სალუდეში გამართული იყო ყველა ხელსაწყო, რაც ლუდის მოხარშვას სჭირდებოდა: სალუდე გობი, ხის ჩხუტი ტკბილისა და სისწვნის გადასატან-გადმოსატანად, ტომრები, რომლებიც იქსოვებოდა თხის ბალნისაგან. მატყლის ტომარა ილესებოდა ნადუღარი ფქვილით და ტკბილს აღარ უშვებდა; სხვა წვრილი ქვაბები, ლათბა სპილენძისა და სისწვნის დასაყენები, როცა იწურებოდა). ფქვილი და წყალი რომ ერთ ჯიგვიან ხელს ჩაიდუღებდა, მერე გადმოიღებდნენ ჩხუტით და ჩაასხამდნენ ლათბის თავზე დაკიდებულ ბალნის ტომრებში. ტკბილი გაიწურებოდა და ხ ო ტ ი ტომრებში რჩებოდა. სალუდე ქვაბი რომ დაიცლებოდა, მორეცხდნენ ცივი წყლით და ლათბიდან ისევ ქვაბში გადაიტანდნენ ტკბილს, დაყრიდნენ იმდენ სვეს, რამდენიც ფქვილი იყო აწყული, ან, თუ სვე არ ჰქონდათ საკმარი, ცოტა ნაკლების დაყრაც შეიძლებოდა, ოღონდ სვე თუ ნაკლები იქნებოდა, ვერ გამოდიოდა კაი ლუდი. სვეს და ტკბილს ერთიმეორეში ადუღებდნენ და იმასაც ერთ ჯიგვიან ხელს ან ცოტა მეტს ჩაადუღებდნენ. მერე გაწურავდნენ სამწყულით. ერთ პირში ლათბას ხეს გაუყრიდნენ და ჩაუწყობდნენ ჯერ ფიჩხს და მერე ყარტს (სვილის ანუ ჭვავის ჩალა, ხელით გაბერტყილი), რომელსაც

სამწყუულს გაუკეთებდნენ. ლათბა მეორე მხარისაკენ იყო დახრილი. ამოიღებდნენ ქვაბიდან ნამგოლიან სისწვენს და ჩაასხამდნენ სამწ-ყულში. სვე იქ რჩებოდა, გაწურული სისწვენი კი ლათბის მეორე მხარისაკენ გადადიოდა. თუ ლუდი ბევრი სჭირდებოდათ, ლათბაში არ ჩავიდოდა და ნაწილი გადაჰქონდათ სხვა სპილენძის ქვაბებში. აქ გაცივდებოდა იმდენად, რომ ხელს რომ ჩაყოფდნენ, ძირში სითბო ეტყობოდა, საზალტეეზე (მაჯაზე) კი ხელს ცივად ხვდებო-და (ეს ზამთარში, ზაფხულში კი გააცივებდნენ, რამდენადაც შე-ძლებოდა). როცა გაცივდებოდა, დასტურები მიუტანდნენ სისწვენს და ხევისბერი, რომელსაც ხატისაგან კოდ-საფუარი ჰქონდა დავალებუ-ლი (ე. ი. მეკოდსაფუვრე ხევისბერი ანუ ხევსურულად მესაფუვრე) ჩაასხამდა კოდში და ჩააგდებდა საფუარს (ფშაურად ჩამა, ხევსუ-რულად ჭიჭი). სისწვნის ჩასხმის და საფუვრის მიცემის დროს იტ-ყოდა: „ღმერთო და გიორგი კოშკის ანგელოზო, შენი სადიდებელია და შენ წაიყვანე წალმა და მოახდინე შენ საკადრის ზედაშე". მერე პირზე გადააფარებდნენ ფარდაგს და შემოუჭირებდნენ საბელს. ზამთარში გარშემო მიადებდნენ ბევრ ჩალას, რომ არ გაცივებულიყო და არ გატანჯულიყო საფუარში, ზაფხულში კი კოდს გარედან ცივ წყალსაც ასხამდნენ, თუ სიცხე იყო, რომ არ ეწყინა სიცხეს და ლუ-დი არ დამჟავებულიყო. ამას ყველაფერს ასრულებდნენ ის დასტურ-ნი, რომლებსაც სოფლიდან რიგით შეხვდათ მოვალეობა, ხატისაგან აყვანილი დასტურნი კი მარტო ლეწავდნენ და პურს ინახავდნენ (ფშავში ზოგიერთ ხატში წლობით იყვნენ დასტურები და მათ წლისბერებს ეძახდნენ. ამაზე შემდეგ გვექნება ლაპარაკი). ოთხ-ხუთ დღეს იფუვლებდა ლუდი. მერე მესაფუვრე ახდიდა, ჩაიხედავდა და შეატყობდა, როგორ იფუვლა ლუდმა. თუ სიცივისაგან იყო ნაწყენი, ერთ დიდ ხელთქვაბს გაათბობდა, ჩაასხამდა კოდში და დახურავდა თბილად. თუ სიცხისაგან იყო ნაწყენი, მაშინ ცივ წყალს ასხამდნენ გარედან კოდს, ან გადაიტანდნენ სპილენძის ქვაბში, თუ საკმარისად იყო ნაფუარი და მჟავდებოდა. ქვაბში ფუილი შეჩერდებოდა და ლუდი დამჟავებას გადარჩებოდა.

პირველი დასტურნი იწყებდნენ გიორგობას. აქ ცალკე იყო საბე-რო, სადაც ხევისბრების გარდა სხვას არ შეეძლო შესვლა. ლუდსაც აქ ცალკე საკოდეში აყენებდნენ ხევისბრები. მეორე იყო დარბაზი. აქ სოფლის ხალხი და მოსული მლოცავიც შედიოდა. პირველ მოს-ვლაზე დასტურები მოიყვანდნენ თითო საკლავს — უიმისოდ ხატში ვერ შევიდოდნენ. საკლავებს მოიყვანდნენ საღამო ხანზე, ხევისბერი იხუ-ცებდა და დახოცავდა. სისხლს ჩააყენებდნენ პატარა თასში და ხევის-ბერი იმ სისხლით დანათლავდა დარბაზს, საბეროს და გარეშამოს. ერთ საკლავს სოფელი მოიყვანდა და დაკლავდა, რომელსაც სასოფ-

ლოს ეძახდნენ. საკლავი მორიგეობით მოუდიოდათ. ხევისბრები თი-თო საკლავს დაკლავდნენ და ინათლავდნენ ხელ-მხარს (ხევსურეთში ეწოდება განათვლა, ფშაურად კი ხელ-მხრის ნათვლა), საკლავის სისხლს იცხებდნენ გულზე და შუბლზე ჯვარის სახედ, აგრეთვე ხელებსაც შეიღებავდნენ. ასე იქნებოდნენ თითქმის ნახევარ დღემდინ, მერე კი სუფთა ადგილას დაიბანდნენ სისხლიან ხელებს და შუბლს. სა-სოფლო საკლავის ხორცს აქ ჩაჰყრიდნენ და მოხარშავდნენ, ხელ-მხრის სანათლავისა კი შინ მიჰქონდათ. დასტურთ დაკლული საკლავების ნა-ხევარი რჩებოდა ხატში. მას დასტურ-ხევისბრები ჭამდნენ, მანამ-დინ აქ იყვნენ.

საკლავების დაკვლის შემდეგ ხევისბერი ანთებდა სანთელს და ხსნიდა ლუდს. გახსნის დროს ხევისბერი ლოცავდა დასტურ-ხევის-ბრებს და სოფელს (ამის მოამბემ ვერ ჩამაწერინა დალოცვა. ეს სხვა ხატებში იქნება ჩაწერილი, რაც ერთიმეორისაგან უმნიშვნელო რამეე-ბით განსხვავდება). კოდის გახსნას რომ მორჩება, მერე თასს იღებს ხელში და მოკლედ კიდევ დაილოცება: „გაუმარჯოს ნახსენებ-ნადიდებ ხთიშვილებს, გაუმარჯოს სახუთმეტო ძელის ანგელოზს, გიორგი კოშ-კის ანგელოზს, იყოს მწყალობელი ყმათი, დასტურთი, მსახურთი, საყმოთი, ქალთი, ქალიშვილთი, დაგასწვრასთ მრავალს ამ დროს, ამ დღეს, სთველ-გაზაფხულს, ერთ-ურთის სიცოცხლით, კარგად ყოფ-ნით. მე გლოცავთ, ხთისამც პირით დაილოცებით“. დალევდა ხევისბე-რი. მერე ამავე სიტყვებს გაიმეორებდნენ სხვებიც და დალევდნენ ლუდს... აქ ღამისამთელო-ჟამსაწირი არ სცოდნიათ, სამაგიეროდ იც-ოდნენ ქადა-პური. დასტურები მიიტანდნენ თითო ქადას, ქადაზედ ეწყო სამი პატარა პური, რომელსაც ეძახდნენ კვერს. ქადა იყო ხავ-წიანი; ხევისბერი დადებდა ქადას ან სიპზე ან ფიცარზე და დაილოცე-ბოდა: „გაუმარჯოს სახუთმეტო ძელის ანგელოზს, გიორგი კოშკის ან-გელოზს, იყოს მწყალობელი ამ სეფეს მომტანისი, ნუ შაანანოს სამ-სახური, ჯანით მთლით და გულით მხიარულით შეასრულებონოს ან-გელოზთ დავალებული სამსახური. დაუტანოს მთელი ბარაქა თავის ნაშრომ-ნაამაგარსა, ჯარის ნაჯნავსა, ფურის ნაწველსა, ნუ შაანანოს და კვლავ უკეთესი გულით მოჰკერძოს მისი ჯსენება-დიდება“.

ლოცვას რომ შეასრულებდა, ქადის ერთ მეოთხედს მოსჭრიდა და დასტურ-ხევისბრებისთვის გადასდებდა, სამ მეოთხედს კი ქადის პატ-რონს მისცემდა. ქადის პატრონი შინ გაგზავნიდა, ან დასჭირდა და დაურიგებდა ხალხს. ასეთივე ქადები სოფლელებსაც და შორიდან მოსულ მლოცავებსაც მოჰქონდათ. ისინიც ასეთივე წესით დაიჭრე-ბოდა. მოსულები ქადას თითო ბოთლ არაყს მოაყოლებდნენ და ქადის ჭაჭრის შემდეგ დაალევინებდნენ ხალხს. ქადაზე რომ ვკერები ეწყო,

რჩებოდა ხატის მსახურთ. ისინი უფრო მეტწილს ურიგებდნენ ბავშვებს და, თუ რჩებოდა, თვითონ ჭამდნენ.

ქადისთვის გამოჭრილი მეოთხედიც ხატის მსახურთა იყო, დაუჭრიდნენ და აჭმევდნენ იქ მყოფ ხალხს. საკლავებს ღვიძლს ამოაცლიდნენ, ცეცხლის ალზე დადებდნენ და ისე შეწვავდნენ; მერე დაუჭრიდნენ ხალხს და ჩამოურიგებდნენ. იტყოდნენ, რომ ალზე შეწული ღვიძლი გემრიელია („ღვიძლივ ალითავ"). მერე მოხარშავდნენ სასოფლო საკლავის ხორცსა და იმასაც ხელზე ჩამოურიგებდნენ ხალხს; დასტურ-ხევისბრები სუფრას დაიდგამდნენ. ხალხი, ე. ი. სოფელი და გარედან მოსული მლოცავი ისხდა დარბაზში დასტურებთან ერთად, ხევისბრები კი საბეროში. ხევისბრებს ყველას ჰქონდა საბეროში თავისი ადგილი ქვისაგან გაკეთებული სკამი. ჯერ სათავეში იჯდა თავხევისბერი და მერე იმაზე მიყოლებით სხვები. თავხევისბერი იყო ის, რომელსაც ევალებოდა საკლავს დაკვლა, ის იცავდა ყველა სახატო წესრიგს და მის სიტყვას ყველა ემორჩილებოდა ხვნა-თესვიდან მოყოლებული დღეობის გათავებამდინ. სასოფლო წესრიგის დაცვაშიც ის იყო მბრძანებელი, სალაშქროდ წასვლაშიც. ყველა მისი სიტყვა სოფელში კანონი იყო. დანარჩენ ხევისბრებსაც ებარა თავ-თავისი საქმე — ერთს დროშა, მეორეს კოდ-საფუარი, მესამეს ჯვარის განძი და სხვა. ყველა უძღვებოდა თავის საკუთარ საქმეს და ერთიმეორესაც ეხმარებოდნენ საქმეში. ამათ საბეროში საწოლიც თავ-თავის ადგილზე და რიგზე ჰქონდა მიჩენილი.

„დიდი ხევისბერი აქ იყო სახელგანთქმული ხახა**. ხახა ყოფილა მეფე ერეკლეს ნაბიჭვარი და იმიტომ სახელგანთქმული კაცი გამოსულა. ყოფილა ერთი ქისტი — სახელად გეზელი. ამ გეზელს ქისტი შემოჰკვდომია და გამოქცეულა ქისტეთიდან. შეხიზნულა და უცხოვრია სოფელ კაწალხევს. ჰყოლია ძალიან ლამაზი ცოლი. ერთხელ კაწალხევში სტუმრად მისულა მეფე ერეკლე. პური რომ უჭამია, დაუძინია. მხლებლებს კაწალხევლებისათვის უთქვამს: მეფე რომ გაიღვიძებს, დედაკაცს მოიკითხავს და ლამაზი დედაკაცი გყავდესთ მზადაო. გეზელის ცოლი ყველაზე ლამაზი იყო და კაწალხეველებმა იმას უთხრეს: „ტანთ გამაიცვალე, გაიბანე და მეფესთან უნდა მიხვიდეო". მეფეს უარს ხომ ვერ ეტყოდა, მომზადებულა და მიუყვანიათ მეფესთან. დაორსულებულა და გაჩენილა ხახა. გაზრდილა ძალიან კარგი კაცი. მერე დასდგომია ხატის მიზეზი და გადასულა ხოშარაში, გამხდარა თავხევისბრად. ისე ავად გამხდარა, რომ ლაშარს საკაცით მიუტანიათ, იქ მომრჩალა და დასახლებულა სოფელ ხოშარაში. აქით ის ხევისბრობდა ლაშარის ჯვარში, ღელესა და ხოშარაში-

** ბიჭუას სიტყვა-სიტყვით ნაამბობი.

ერეკლეს სცოდნია, რომ ხახა მისი შვილი იყო და თურმე ძალიან დაახლოვებული ჰყავდა. ერეკლეს ხახასთვის მამულებიც უჩუქებია — ხოშარაში რაც კაი მამული იყო, ღელეს და გომბორში. ხახას იქ თავისი ერთ-ერთი შვილი, სახელად გიორგი, დაუსახლებია და აქ ისაც თავკაცად ყოფილა არჩეული. ხახა ხომ ფშავში პირველი კაცი იყო, ერეკლემ ის დაიახლოვა და საქვეყნო საქმეების გადაწყვეტაში იბარებდა. როცა ომი იმართებოდა და საქართველოს სჭირდებოდა, ერეკლე ხახას შეატყობინებდა. ხახაც ხალხს შეჰყრიდა და მეფესთან ჯარით ჩავიდოდა. ის როცა ფშაველთ ლაშარის ჯვარის ბრძანებას გამოუცხადებდა — საომრად წასვლას ბრძანებსო, მეტი არ უნდოდათ, ხალხი მზად იყო და გაჰყვებოდნენ მას. მეფე ერეკლეს მიუცია იმისთვის მამულების ქაღალდები და ფშავში თავკაცობისა. ეს ქაღალდები, როცა ხახა მოკვდა, არ ვიცი როგორ და მისრიათ ბეწინტურას ჩაუვარდა ხელში. ჩვენებმა რომ მოითხოვეს ქაღალდები, ბეწინტურამ დაუმალა იმიტომ, რომ ხახასთვის მიცემულ კარგ მამულებს ღელეს ისინი იყვნენ დაპატრონებული. ბოლოს გამოირკვა, რომ ის ქაღალდები ერთ მღვდელს მისცეს — ფარნაოზ ზაბახიძეს და არ ვიცი, იმან სად წაიღო. როგორც ვთქვი, ჩვენი ხალხი ორ ადგილზე ცხოვრობდა: ხოშარაში და ღელეს. ღელეს ჯერ სალოცავი არ ყოფილა, მაგრამ როცა ლეწავდნენ, ხარებს რქებზე ცეცხლი უჩნდებოდა თურმე. ბოლოს მკითხავმა უთხრა: აქ თამარ მეფის სალოცავი დაარსდა და უნდა აიყარნეთ, რქებზე ცეცხლი იმის მიზეზი არისო. ბოლოს აიყარნენ და ყველანი ხოშარაში გადასახლდნენ. მამულები დარჩა სანადოდ თამარ მეფის ხატისათვის.

ხახა ისეთი სახელგანთქმული იყო, რომ არხოტამდინ გადავიდა მისი ქება-დიდება. იმ დროს სახელიანი კაცის მოკვლა სასახელო იყო და არხოტივნები თორმეტი კაცი წამოვიდა ალუდი კურდღელაიძის ხელმძღვანელობით ხახას მოსაკლავად. საღმურთობა დღეს მოვიდნენ და ჩაუსაფრდნენ სახატო იფნებთან ხატში. იცოდნენ, რომ ხახა თავხევისბერი იყო და აუცილებლად გამოვიდოდა აქ. უნდა დასხმოდნენ თავს, ხმლებით მოეკლათ და დიდ სახელს წაიღებდნენ არხოტს. მზე რომ ამოვიდა, გამოვიდა ხახა საბეროდან და არხოტივნებს თორმეტსავ კაცს შეეკრა ხელ-ფეხი, ველარ გაჩუჩუნდნენ. ხახამ ეს ხატისაგან გაიგო და უთხრა ხალხს: აგერ იქ გიორგის პატიმრები არიან, ადით და აქ ჩამორეკეთო. მივიდა ხალხი და ნახეს, თორმეტი ვაჟკაცი დაბღუნძვილი ზის — ვერც ნელს აჩუჩუნებენ, ვერც ფეხს. ხალხმა მათი იარაღი აიღო და მოუტანეს ხახას. მერე ხახა თვითონ მივიდა მათთან და ჰკითხა მოსვლის მიზეზი. ალუდმა არ დაუმალა და უთხრა: სახელიანი კაცი გამეგონე და სახელის გულისად მინდოდა შენი მოკვლა და იმით მოვედიო. ხახამ უთხრა: რა დაგიშავე, სახე-

ლის გულისად რომ იქით აქ წამოხველ ჩემს მოსაკლავად, ცოდვა მაინც არ გაშინებდაო? აპატია და სალოცავს სთხოვა მათთვის შენდობა. მერე ყველას გაეხსნა ხელ-ფეხი და ჩამოვიდნენ ხატში, მისცეს ფიცი ძმობაზე და დაპირდნენ: ამა და ამ დღეობაში მოვალთ, ხარს მოვიყვანთ და ძმად გავიფიცნეთ ჩვენ და ხოშარლებიო.

დანიშნულ დღეობაში არხოტივნები მოვიდნენ, მოიყვანეს ერთი ხარი, ლუდი წინასწარ აქ იყო დამზადებული, დაკლეს და დაიფიცეს ძმობაზე. არხოტივნებმა თან მოიტანეს ფიქვის მასალა; ააშენეს ერთი კოშკი და დახურეს ამ მასალით, რომელიც წელობამდინ იყო. ჩადგეს მაღალი ქვა — „ძმობის სამანაი“ და ჩამოაცვეს ზედ სპილენძის ქვაბი — ესეც წელობამდინ იყო; სამანი კი ისევ არის, ქვაბი დაიკარგა. გადაიხადეს დიდი დღეობა და მას აქეთ არხოტივნების და ხოშარლების ძმობა მომდინარეობს. არხოტივნები ყოველთვის მოდიოდნენ ხოშარას სალოცავად, მოჰყავდათ საკლავები, მოჰქონდათ სასმელი და აქაც დიდის პატივით ხვდებოდა ხალხი. პირველად რომ ძმობაზე დაიფიცეს, მაშინ ხოშარაში ცხოვრობდა ერთი თავმომწონე კაცი, ფოცხვერა მახინცაური. მახინცაურმა აიღო ფანდური და შამღერნა არხოტივნებს:

ფოცხვერას მახინცაურსა გავლა სწადიან გზისაო,
არხიეს (ახიელს) ჩასვლა სწადიან, ყერება დროშაისაო,
ცოლად წამაყვან სწადიან ქალისა განძაისაო.
გატეხა გაუტეხლისა იმ ბაჯათ ქაციხისაო,
გამატანა და წატანა ჯიგრაულაის ჯმლისაო.

მემრე არხოტიონმა ალუდმა აიღო ფანდური და შაუმღერნა:

შორით ნუ მექად, ფოცხვერავ, ერთხელ ჩამახყევ მზირსაო.
შენ წამაიყვან ვერასა, იმედი თოთაისაო,
მალევად შემაგეწევა ცირცლოვან წვერის ძირსაო.
ძმობილისეულს გესროდეს, ჭეხა გეგონოს ცისაო,
ალუდ ორ კურდღელაის ძე, არ დაგიფერებ სხვისასა,
ჩაგისხამ მალულ-მალულსა, არ დაგიჩქამებ ქვიშასა,
თოფი მაქვ ავის პირისა, გინდ ტერღას ხკითხე ნადირთა.

მახინცაური მეტად ამაყი კაცი იყო, იწყინა ალუდისაგან ესეთი მუქარის დათხოვა და უთხრა: შენ ჯერ ის შეგრჩა, რომ ხახაის მოსაკლავად მზირით აქ ჩამოხვედი, ახლა კიდევ მუქარას ითხოვები, ის არ შეინანე. იცოდე, აქით რომ წამოხვალ, მაგას ყველას განანებო. რა თქმა უნდა, არც ალუდი დაუთმობდა. ხახა გაუჯავრდა მახინცაურს: ხარითა და ქვაბით მოვიდნენ, ხატსაც პატივი დაგვიდვეს და ხალხსაც გაგვეფიცნენ ძმად, შენ კიდე რასამ სწარამარაობო, და გაჩუმდა ფოცხვერაც.

არხოტივნების შერიგების და მათგან გაკეთებული კოშკის შემდეგ ამ ადგილს დაერქვა „კოშკის კარი“.

ხოშარის ძელის ანგელოზს ახმეტაში ჰქონდა ვენახი. ეს ვენახი ყოფილა შეწირული. არ ვიცი, სადაური კაცი იყო, მხოლოდ საჯელად ბაკუტანა ქვევნებულა ვენახის შემწირველს. აქვე ჰყოლია მეზვრე და ჰქონია მარანი. სხვა დღეობაშიც კი იცოდნენ ცოტ-ცოტა ღვინის მოტანა, საღმურთობას კი კულუხი მოდიოდა. წავიდოდა რამდენიმე კაცი, აჰკიდებდნენ ცხენებს ღვინოს და მოიტანდნენ ხატში, რომელი ქვევრიც საღმურთობის კულუხისათვის იხსნებოდა, მის გახსნაში ერთი საკლავი უნდა დაეკლა მეკულუხეს. მეკულუხესთან ერთად ერთი ხევისბერი აუცილებლივ იყო. დღე იცოდნენ, როცა მეკულუხე მოვიდოდა და აქაც მოდიოდა მლოცავი. მოუდიოდათ საკლავი, საწირი, მოჰქონდათ ღვინო და ქადა-პური. მუკულუხეც თავისი ღვინით და პურით უმასპინძლდებოდა მლოცავებს და იმართებოდა დღეობა. ერთ ღამეს მლოცავიც და მეკულუხეც იქ რჩებოდა, მეორე დღესაც საღამოხანამდე იყვნენ და მერე გამოემართებოდა მეკულუხე. მლოცავს ზოგს მათთან ერთად ჰქონდა გზა და დანარჩენებიც კარგა გზას გამოჰყვებოდნენ სასმლით. მეკულუხე ქვევრიდან ნათავარს ცალკე რუმბებში ჩაასხამდა ზედაშედ და იმას ხელუხლებლივ მოიტანდნენ ხატში. სახარჯო საგზაო ღვინო ცალკე მოჰქონდათ და ვინც კი გზაში ნაცნობი შეხვდებოდათ, ასმევდნენ. ღამით სოფელში და სახლში ვერ დადგებოდნენ, შეათვალიერებდნენ ბალახიანს და შეშიან ადგილს, დაანთებდნენ ცეცხლს, შესწვავდნენ მწვადს, ხევისბერი პურ-ღვინით ადიდებდა ხატს და მერე იმართებოდა სმა. ამ ამბით მოვიდოდნენ პირდაპირ ხატში. აქ ზედაშე ღვინო ჩაბარდებოდა ხევისბრებს, რომელიც დღეობა დღეს ხატის გადიდების შემდეგ გაშოჰქონდათ ხალხში. აქ დადგამდნენ ერთ დიდ ღვინით სავსე თასს. ხევისბერი აანთებდა სანთელს და ამ თასით ხატს ახვეწებდა საყმოთ და მლოცავთ, დასტურთ, მსახურთ და კულუხის მომტანთ. მერე პირველად თავიხევისბერი ჩავიდოდა საყეენოში, ჩააგდებდა შიგ ვერცხლის ფულს და დალევდა თასის ხელში აუღებლად, მუხლზე დამჯდარი. ფული, ვისაც რამდენი შეეძლო, იმდენს ჩააგდებდა, მხოლოდ ვერცხლი უნდა ყოფილიყო ორი შაურიდან მოყოლება მანეთამდე. მერე ჩადიოდა ხალხი საყეენოში თავისი სურვილით. ერთხელ ფულით ჩამსვლელი ერთხელ დალევდა, რამდენიც შეეძლო. თუ კიდევ უნდოდა დალევა, კიდევ ჩააგდებდა ფულს. ერთიმეორის დაპატიჟებაც იცოდნენ საყეენოში. ჩააგდებდნენ ფულს და ვისი დაპატიჟებაც უნდოდათ, იმას ეტყოდნენ: მიდი, დალიეო. ფული გროვდებოდა თასში. ღვინო, როცა დანაკლულდებოდა, უმატებდნენ. თასს ხელში არ

იღებდნენ სმის დროს, მისი მხოლოდ გადმოხრა შეიძლებოდა მიწიდან აუღებლად. დაპატიჟებული რომ ერთხელ დალევდა, რამდენიც შეეძლო, დამპატიჟებელს, თუ სურდა, რომ უფრო მეტი პატივი ეცა, კიდევ ჩაუმატებდა ფულს და შესთავაზებდა — კიდევ დალიეო; მოიგონებდა ვინმეს — ის დამილოცე, ან ისაო — და ასე რამდენჯერმე იმეორებდა.

დაპატიჟებული ასე ილოცებოდა: „გაუმარჯოს თავადს სახუთმეტო გიორგი ძელის ანგელოზს (სახუთმეტო, მთქმელმა არ იცოდა, რატომ ეწოდებოდა), მწყალობელი იყოს ყმათიც და (მაგ. გიორგი ეპატიჟება) გიორგი შენის თავისი და შენი ჯალაფობისიცა. მრავალი საღმურთობა მშვიდობისი გალოცვიოს თავის ცოლშვილით, გცეს პატივი ჩემი პატივისცემისათვის“. ბოლოს იტყოდა: „გაუმარჯოს“. ახლა სხვები ეტყოდნენ: „გაუმარჯოს, გაუმარჯოს“ და, ვიდრე არ დაანებებდა სმას თავს, ზოგიერთები სულ „გაუმარჯოს“ ყვიროდნენ. ამნაირად თასში კარგა ბლომად ვერცხლის ფული გროვდებოდა. ბოლოს თასი მიჰქონდა საბეროში ხევისბერს, ვისაც თას-განძი ებარა; ფული ინახებოდა სახატო თანხაში. ამ ფულს იყენებდნენ ხატის საქმისათვის, რაც დასჭირდებოდათ — სალუდე ქვაბის გაკეთება ან სხვა რაიმე.

აქ ყველა დღეობა ერთი სახით და წესით იცოდნენ. გარჩევა იყო უფრო საღმურთობაში. ეს დღეობა მოდიოდა მკათათვეში. ამ დროს კულუხიც მოჰქონდათ და მლოცავიც მეტი მოდიოდა. დანარჩენი დღეობები არ განირჩეოდა ერთიმეორისაგან. იწყებოდა გიორგობიდან — გ ი ო რ გ ო ბ ა, ქ რ ი ს ტ ე, წ ე ლ წ ა დ ი, ა ღ ე ბ ა, ა ხ ვ ს ე ბ ა (აღდგომა), ა მ ა ღ ლ ე ბ ა, ს ე რ ო ბ ა, ს ა ღ მ ურ თ ო ბ ა, მ ა რ ი ა ნ ო ბ ა. (ხევსურეთში დღეობები ერთსა და იმავე დროს იცოდნენ. ზოგიერთი დღეობები ფშავშიც ასე სრულდებოდა მხოლოდ ზაფხულში ე. ი. თიბათვის ბოლოს და მკათათვეში, საღმურთობა-სერობას მოაყოლებდნენ რიგ-რიგობით, გადადიოდნენ ერთი ხატიდან მეორე ხატში და თითქმის ორ კვირამდინ გრძელდებოდა ხატობები, რაზედაც შემდეგში გვექნება საუბარი).

ზემოთ ლაპარაკი გვქონდა ღელედან ხოშარლების აყრაზე და თამარ მეფის სალოცავად გამოჩენის შესახებ. ხოშარლები რომ აიყარნენ, მათი მამულები დარჩა სანადოდ. სანადო მამულებს ხალხი ხნავდა (ფშაურად სანადო, ხევსურულად ხოდაბური), თავთავისთვის ჰქონდათ სრელებად დაყოფილი. ყველა კომლი თავის ხვედრ მამულზე მოყვანილ ძნას იქვე ხატის კალოზე მიიტანდა და დასტურები გალეწავდნენ. პური ინახებოდა იქვე სახატო ბეღელში, ჩალას დასტურები იყოფდნენ. აქვე იყვნენ ხევისბრებიც და წლის ბერებიც (ე. ი. დასტურები). აქ იყო ექვსი დასტური წლობით; ორი დასტური იყო სოფელ ჭიჩოდან, ორი დასტური სოფელ ახადიდან და ორი დასტური გაბიდოურებიდან, ე. ი. ხოშარიდან.

სახატო სამსახურში ყველანი ეხმარებოდნენ ერთიმეორეს. მათ დღეობები დაყოფილი ჰქონდათ ლუდის სვე-ფორის დასამზადებლად; დანარჩენ შემთხვევაში კი ერთიმეორეს ეხმარებოდნენ. აქ იყო საბერო, დარბაზი, სადასტუროები სამ ადგილას: საზარე, ხატის ბეღელი და ხატის კალო. სადასტუროები შორი-შორს იყო, დანარჩენი კი ყველა ახლო-ახლო იყო ერთიმეორესთან. აქ ქალები ისეც ვერ გაივლიდნენ და მრევლი ქალებისაგან ხომ ეს მხარე სულ დაცული იყო. სადასტუროები იყო ცალ-ცალკე: ხოშარლების სადასტურო იყო ხატის ზემოთ, სამხრეთ-დასავლეთისაკენ. ჭიჩოვლების სადასტურო იყო უფრო მოშორებით, ხატის დასავლეთ მხარეს, ჭიჩოსაკენ გადასავალ გზაში. ახადლების სადასტურო იყო ახადის ძირას, სახელდობრ ბოჩოხადს. ეს ხატიდან უფრო შორს იყო, ახადისაკენ აღმოსავლეთ მხარეს.

წლის ბერები ცხოვრობდნენ მუდმივად თავ-თავის სადასტუროებში. ისინი ერთი წლის განმავლობაში ვერ მივიდოდნენ ვერც თავის სახლში და ვერც სხვაგან, ვერც ნალახ გზაზე გაივლიდნენ. სასმელ-საჭმელი თავისი ჰქონდათ, პურსაც თვითონ აცხობდნენ; სხვის გამომცხვარ პურს ვერ შეჭამდნენ, დაფქვავდნენ თვითონ, მხოლოდ იმ დროს წისქვილში მრევლი ქალები არ მიდიოდნენ. წლის ბერებს წვრილმანი საქმე იქვე ჰქონდა, შორს სამუშაოდ არ წავიდოდნენ. მუშაში მიეშველებოდნენ, თუ იქ მრევლი ქალები არ იქნებოდნენ, სანარდო სამუშაოსაც აიღებდნენ — სათიბს, სამკალს და სხვა. ამათ სამყოფელს სადასტუროს ქალები აწმიდებდნენ. მრევლი ქალი ძალიან შორს გაუწირავდა გზას. ისედაც ქალები სადასტუროსთან არ მივიდოდნენ. რითაც ხალხი სვამდა, იმ ყანწით არაყს არ დალევდნენ. საქმის მუშაობაში ოფლს ადვილად არ მოიყვანდნენ და თუ მოუვიდოდათ, ტანს დაიბანდნენ, რადგან ხატს ოფლიანი კაცის სუნი ეჯავრებოდა.

ღელეს თამარ მეფეს თავისი საკუთარი ცხვარი ჰყავდა, ხუთასექვსასი მუდამ. მწყემსებიც იყვნენ. თავ-ხევისბერი ხელმძღვანელობდა ამ საქმეს. ერთი მთავარი ბინა ხატხევს იყო თამარ მეფისა. (ხატხევი ივრის სათავეშია). აქაც ისევე ლოცულობდნენ, როგორც ღელეს, მაგრამ იქ უფრო მთავარი ბინა იყო, ცხვრის შემოსავალიც იქ ინახებოდა. იქვე იყვნენ ხატის ქალები, რომელთაც ჰყავდათ ძროხები თავისი მწყემსებით. ძროხის შემოსავალიც იქ ინახებოდა. მას ხმარობდნენ ხატის ქალები და ხევისბრები. მთხრობელს უკანასკნელი ხევისბერი და ცხვარ-ძროხის ხელმძღვანელი ახსოვს დარჩია მისრიაშვილი. ახსოვს აგრეთვე უკანასკნელი ხატის ქალებიც. ერთი ქუშხევიდან მოსულა და მეორე შარახევიდან. მათი სახელები არ ახსოვს. ხატის ქალები იყვნენ უქმარშვილო, ხატისგან ძალით მიყვანილნი. პირ-

ველად ხატისქალად გახდომამდინ ქალი დაიწყებდა ავადმყოფობას, ან ქადაგობას და სხვა ასეთებს. ხატი მანამდინ აწვალებდა, სამან ხატისქალად არ შეეწირებოდა. მერე დარჩებოდა მუდმივად იქ. ხატხევს დიდი მამულებიც იყო ხატისა და ამის ნაღალურით ცხოვრობდნენ ხატის ქალები; აგრეთვე ცხვარ-ძროხის შემოსავალსაც იყენებდნენ. მატყლი, ყველი და გაყიდული საკლავი ხმარდებოდა ისევ მწყემსებს, მწველავებს, სხვა მომვლელებს და თვით ხატის მსახურთ. დღეობებში თავისი ცხვრიდან ხოცავდნენ საკლავებს განსაზღვრული რაოდენობით. ხორცს კი იყენებდნენ აქვე მსახურნი. ღელეს წლის ბერებისთვის, ხატხევს ხატის ქალებისთვის და მათ ხელმძღვანელი ხევისბრისთვის სოფლებიდან იცოდნენ პატივისცემა: მოჰქონდა სასმელი, საჭმელი და ჩასაცმელ-დასახური; ჩასაცმელ-დასახური მარტო ხატისქალებისათვის.

ხატობა აქაც პირველი დასტურთ შესვლით იწყებოდა და მთავრდებოდა მარიანობას. ხატის ვენახი ახმეტაში თამარ მეფესაც ჰქონდა. კულუხი მოდიოდა სერობას იმ სახით, როგორც აიწერა ხოშარას ძელის ანგელოზში. ოღონდ დასტურ-ხევისბრების წყობაში იყო გარჩევა; ხოშარას წლის ბერები არ იყვნენ, ისე უძღვებოდა ორი კაცი თითო დღეობას. ღელეს თამარმეფეში კი ექვსი წლის ბერი იყო და ერთიმეორეს ეხმარებოდენ. მაგალითად, ღელეს წყალი შორსა აქვს და ექვსივე დასტური ანუ წლის ბერები ერთად ზიდავდნენ სალუდე წყალს, ექვსივენი ერთ დღეს ძლივს მოიტანდნენ ლუდის სადუღებლად საკმარს. ღელეს ხატში ქალის მისვლა არ შეიძლებოდა; თუ ქადას არ მიიტანდა, თუნდაც საკლავი და სხვა შესაწირავი რამე ჰქონოდა (ქადა ყოველთვის იგულისხმება ხავიწის გულიანი, სხვა რამის გულიანი ქადა აქ არ იცოდნენ).

გოგოლაურთის მთავარმოწამე ***

დღეობები

მთავარმოწამე არ ყოფილა ნახორცივლარი, ის არის ცით ჩამოსული (ზოგნი ხთიშვილნი ნახორცივლარნი არიან, ჯერ წმინდა ხორციელნი ყოფილან და მერე გადაქცეულან ხთისშვილებად. ხთის ბრძანებით, რაკი ხთის მლოცავნი და თავდადებულნი ყოფილან). პირველად ის ჩამოსულა ცით სვეტად და დაარსებულა გოგოლაურთის

*** მიამბო და ჩამაწერინა ხევისბერმა ლევან ნადირაშვილმა, აქვე მცხოვრებმა, 69 წლისამ.

სოფელ ხიშმუს პირდაპირ, კადაჩლის ბოლოს, სახელდობრ მასთალას. ის ჩამოსულა ადრევე თამარ მეფემდინ. იმის ჩამოსვლა და დაარსება ჯერ გაუგიათ ხელწმინდა კაცებს (ხევისბრებს, ხთიშვილთან დაახლოებულ პირებს), მერე იმათ გამოუცხადებიათ ხალხისთვის. ააშენეს საზარე და დარბაზი. საზარეში დაჰკიდეს ზარი და დაიწყეს ლოცვა, მასთალის მთავარმოწამის სახელით. ძველი ხევისბრები მთავარმოწამეს პირად ელაპარაკებოდნენ და მის ბრძანებას გადმოსცემდნენ ხალხს. რადგან მთავარმოწამე გოგოლაურთის ადგილში დაარსდა, ყმად ხელი დასდო გოგოლაურთის მცხოვრებთ. რა თქმა უნდა, ხვთისშვილთ თავს ვინ გაუხრიდა და დაეყმნენ გოგოლაურნიც. აქ მამულებიც იყო და სანადოდ გადააქციეს, ხოლოდ ხალხი რომელ მამულებსაც ნადით ხნავდა, ამ მამულებს ნაყევრალები ერქვა. ხევისბერი გამოუცხადებდა მთავარმოწამის ყმათ, რომ ამა და ამ დღეს უნდა მოიხნას მთავარმოწამის ნაყევრალებიო. ხალხი ერთბაშად გავიდოდა და მოხნავდა. თესლი იყო ხატისა, დასთესავდა ის, ვისაც პური და ბეღელი ებარა, ეს იყო ერთ-ერთი წლის ბერი, რომელსაც ხატი აირჩევდა. დათესილს თვითონ ხალხივე დაფარავდა, ოღონდ დასტურებს ანუ წლის ბერებს ევალებოდათ მისი პატრონობა მომკამდინ და გალეწვამდინაც. როცა მამულზე ყანა დამწიფდებოდა და სამკალად შემოვიდოდა, მაშინაც ხევისბერი მთავარმოწამის ბრძანებას გამოუცხადებდა ყმათ, რომ ამა და ამ დღეს უნდა მოიმკასო. ხალხი ერთ დღეს გავიდოდა და მომკიდა ყანას. სამკალში ქალებიც გავიდოდნენ, მხოლოდ ბოსლობის შემდეგ ვისაც ხუთი დღე ჰქონდა შესრულებული, ანდა სულ არ ბოსლობდა. ყანას ხალხი ერთობით მომკიდა, ძნას ააგებდნენ და გადასცემდნენ წლის ბერებს. წლის ბერები ძნას უვლიდნენ ჯერ ყანაზე. ძნები წერაად იყო გადაგებული, მერე გადაჰკუთულავდნენ, მერე მიიტანდნენ კალოზე, ააგებდნენ მუხლის ძნებს და როცა მიწა გაიყინებოდა, გალეწავდნენ. პურს ჩაყრიდნენ ბეღელში და ჩალა დასტურებს მიჰქონდათ, ნაწილი ჩალისა კი რჩებოდა ხატში ზამთარში კოდების დასახურავად და ხატის მსახურთა სალოგინედ.

მკის დროს ლუდს ადუღებდნენ დასტურები, საკლავებიც დაიხოცებოდა და ხორცი იხარშებოდა. ლუდი მკაში თან მიჰყვებოდა: თან სვამდნენ, თან მკიდნენ, სუფრა კი მკის გათავების შემდეგ იმართებოდა. პური მიჰქონდა ყველას თითო ხმიადი, სანთელსაც მიაყოლებდნენ. პურებს აწყობდნენ ბუსნოზე, ზედ ხორცს გააწილებდნენ, დაანთებდნეხ სანთლებს და უფროსი ხევისბერი სუფრას შენდობას ეტყოდა: „გაუმარჯოს ჩვენს სალოცავს თავარმოწამეს და იყოს მწყალობელი ყმათი, ყველა გაჭირვებიდან დაიკსნას თავისნი საყმონი — თავდადებულნი, მათნი ქალ-ქალიშვილნი. ამ სუფრითა და სანთელ-კელაპტრით მოიკსენივნეს ის სულწმინდანი, რომელნიცა იყვნენ

ჩვენს უწინა, ემსახურებოდნენ ჩვენს თავარმოწამესა და ასრულებდნენ ყველა მისგან დაწესებულ სამუშაოსა თავდადებულადა და დღეს აღარ არიან. მაიკსენინვნეს ღმერთმა და თავარმოწამემ ის ცოდვილ-საბრალონიცა, რომელთაც მომკსენე-მომგონებელნი არავინა ჰყავს. მოგონებას მოგველოდებოდნენ და ჩვენ ვერ ვიგონებდეთ. მოიკსენიოს ამავე სუფრა-სანთელ-კელაპტრით ის პირნიცა, რომელნიცა თავდადებულნი იყვნენ სახატო და სახალხო საქმეზედა და რაიმე შემთხვევით თავი არ დაზოგეს და თავისი სიცოცხლე შესწირეს სახატო და სახალხო საქმესა. თავარმოწამის ყმათა და მლოცავთა მადლი მისცეს და ბარაქა დაუტანოს სულწმიდამაცა და ჩვენმა სალოცავმა თავარმოწამემაცა".

დალოცვას რომ მოათავებდნენ, დასტური იღებდა იქ დადგმულ ლუდიან თასებს და დაურიგებდა ხალხს. ყველანი შენდობას ეტყოდნენ და დალევდნენ ლუდს, თანაც პურს იღებდნენ და ილოცებოდნენ: „ღმერთო, გაუმარჯვე ჩვენს დიდ თავარმოწამესა და, თავარმოწამეო, სწყალობდი ყმათა შენის კარის მლოცავთა". ჭამის გათავების შემდეგ ასევე ილოცებოდნენ.

როგორც ვთქვით, თავარმოწამე პირველად დაარსდა მასთალას და აქედან „გამოჯდა" გამოღმა გოგოლაურთაში ხიშმუს, აქ აირჩია სუფთა და მოედანი ადგილი და დაარსდა იქ. თავარმოწამის ბრძანებით ხალხმა ააშენა დარბაზი, სალუდე, საბერო და საზარე. აქ დაიწყეს ყველა დღეობა. აქვე დარჩა სანადო მამულები ხატის ორივე მხარეს. დიდი მამულები იყო და ხალხი აქაც ნადით ხნავდა. ნადით ნახნავს აქაც ნაყევრალები ეწოდებოდა. აქვე ხატთან იყო ხატის კალო და საპურე ბეღელი. ხალხი აქაც მუშაობდა მოხვნაში და მომკაში. კალოზე დასტურს მიჰქონდა ძნა და ლეწავდა, პური ბეღელში ინახებოდა, ჩალა კი დასტურებს რჩებოდა. საპურე ბეღელში შესვლა დასტურებსაც არ შეეძლოთ: როცა პური უნდა შეეტანათ ბეღელში, დასტურები ხევისბერს ხელმხარს უნათლავდნენ ერთი საკლავით და მას მაშინ შეეძლო ბეღელში შესვლა. დასტურები გალეწილ, დანიავებულ და გარჩეულ პურს ტომრებით მიუტანდნენ ბეღელში შესულ ფეხშიშველა და ქუდმოხდილ ხევისბერს და იქ ის დასცილდა ტომრებს. ამ ხანებში დასტურიც უნდა ყოფილიყო წმიდად. ტანი უნდა დაებანა ყოველდღეოჯახშიც უნდა ყოფილიყო ყოველგვარი იმათებური უწმინდურისაგან დაცული და თავდაჭერილი. პურს კალოდან ბეღლისკარმიდან ისიც ფეხშიშველი და უქუდო გაიტანდა (რომელი საკლავითაც ხევისბერს ხელმხარი უნათლეს, ამ საკლავის ხორცი რჩებოდა აქ, რადგან დასტურები მუდმივად აქ იყვნენ, არსად წასვლა არ შეეძლოთ ერთი წლის განმავლობაში და ყველაფერი სჭირდებოდათ — საჭმელიც და სას-

მელიც). თესლის დათესვის დროს, როცა საჭირო იყო სათესლე პურის გამოტანა, ხევისბერს მაშინ კიდევ უნათლავდნენ ხელმხარს დასტურები ერთი საკლავით, ე. ი. წელიწადში ორჯერ უნდა ენათლათ ხელმხარი დასტურებს ხევისბრისათვის სახატო პურთან მუშაობაში. როცა სალუდედ დასჭირდებოდა პურის გამოტანა, მაშინ ხევისბერი თავისთავად იქნებოდა წმინდად. რამდენჯერმე გაიბანებოდა, ფეხშიშველა ფეხს მიწაზე არ დადგამდა, ნამეტნავად იქ, რა გზაზედაც ქალები დაიარებოდნენ. მათი აზრით, ქალი იყო ყველაზე მეტი უწმინდური და სიწმიდის გამაუწმიდურებელი. პურის გამოტანის დროს უკანასკნელად კიდევ დაიბანდა ბეღლის კარებთან ფეხებს, ანთებდა სანთელს და ქუდმოხდილი დიდის მოხათრებით შედიოდა პურის ბეღელში, თანაც ლოცულობდა და ეხვეწებოდა: მე ხორციელი ვარ და ადამიანის ხორცი უწმინდურია, მე ვერ გავიგებ, რასა გცოდავ, რა უწესობას ჩავდივარ და ისეთი შემოვდივარ შენს წმიდა საპურე ბეღელში. ჩემი უცოდრობით ჩადენილი საქმე შემინდევ და ჩემი დანაშაულის შესადარისად ნუ დამსჯი, რადგან შენ ხთიშვილი ხარ, სულგრძელი და ჩვენ უმეცრებას გვაპატიებო. რასაც ცოდნითა და დაუდევრობით ჩავიდენ კი, დასჯის ღირსი ვიქნებიო. ამ ამბით გამოუწყავდა დასტურთ სალუდე პურს, დიდის თხოვნით და მოხათრებით გამოდიოდა უკან პირუკუღმა ე. ი. პირი საპურისკენ უნდა ჰქონოდა. გამოსვლის დროს გაიბერტყებოდა, რომ პურის მარცვლები არ გამოჰყოლოდა და მიწაზე არ დაბნეულიყო. საამისოდ დასტურებიც და ხევისბერებიც ზოგიერთ რამეში საკუთარ პურს დახარჯავდნენ, რომ აენაზღაურა, რაც მარცვალი დაებნეოდა დაუდევრობით ან შემთხვევით.

დასტური დგებოდა ხატის არჩევით. თითქმის ყველას რიგრიგობით ხვდებოდა, მაგრამ აუცილებელი იყო ხატის ჩარევაც დასტურის დაყენებაში. ხევისბერს ანდა სხვა მკითხავსაც შეეძლო დასტურის ანუ წლის ბერის არჩევა: ან ავად ვინმე გაუხდებოდა დასტურად დასაყენებ კაცს და მაშინ უბძანებდა თავარმოწამე მკითხავის ან თვით ხევისბრის პირით დასტურად დადგომას და დაპირდებოდა დახმარებას. დასტურად დასაყენებიც დიდის ამბით შეხვდებოდა ამ ბრძანებას, ანთებდა სანთლებს, ხშირ შემთხვევაში, ვისაც შეეძლო, საკლავსაც დაკლავდა და აღუთქვამდა ხატს მისი სურვილის პირნათლად შესრულებას. თუ შეუგნებლობით რამეს სცოდავდა, სთხოვდა პატიებას.

თავარმოწამეში დასტური პირველად დგებოდა ამაღლებას. ამ დღეს ძველი დასტურები გამოილოცავდნენ და ახლები შეილოცავდნენ. შელოცვა და გამოლოცვა ერთნაირი წესით სრულდებოდა. დას-

ტური ირჩეოდა ორი, ერთი წლის ვადით. სადასტუროში შესვლა, გარდა შელოცვილი დასტურისა, არავის შეეძლო. როცა გამოილოცავდა, იმის შემდეგ ვეღარც ის შედგამდა ფეხს სადასტუროში. შელოცვის წესი ასეთი იყო: საზღუბლეს ორივე დასტური ერთ საკლავს დაკლავდნენ იმიტომ, რომ სადასტუროს ზღუბლს პირველად ლახავდნენ და პირველად შედგამდნენ ფეხს სადასტუროში. საკლავს დაიჭერდა ძველი დასტური. სადასტუროს წინ დადგებოდნენ ახალი დასტურნი, ძველი დასტურები და ხევისბრებიც. ახალი დასტურნი მუხლით დასხდებოდნენ, უფროსი ხევისბერი დაიჭერდა დანას ან ხანჯალს და შეუდგებოდა დიდებათ (დიდების დაწყებაზე ყველანი პირჯვარს იწერდნენ, იდგნენ პირით აღმოსავლეთისაკენ; საკლავიც ასევე ედგათ): „შენამც იდიდები, ღმერთო, ცათა და ხმელეთის გამჩენო, დამაარსებელო და მომწესრიგებელო. შენამც იდიდები, დიდო, დიდად სახსენებელო კვირავ, ხთიშვილთ მოანგარიშევ (ფშავლის მკითხავ-ხევისბერები ამბობდნენ: კვირა ხთიშვილთ მოანგარიშე არის, ის აჯამებს ხთიშვილთ გაკეთებულ ავსა და კარგს და ხთისკარზე წარადგენსო). შენამც იდიდები, თავარმოწამევ, მასთალას სვეტის ანგელოზო (მასთალას სვეტის ანგელოზი ნიშნავს იმას, რომ ის პირველად ციდან სვეტად ჩამოვიდა მასთალას), ხეთანან მოლაიებეო (ხეთანა აქვე მასთალასთან ახლოს, მდებარეობს და თურმე აქ მოისვენა ერთს დროს თავარმოწამემ, წამოწვა, წამოილაიბა (ლაიბი: ლეიბი, ამაზე მერე გვექნება ლაპარაკი), ჯვართანის გორს მოყარაულეო (აქ თავარმოწამე ერთ დროს ყარაულობდა და ამაზედაც მერე იქნება). თქვენამც იდიდებით, ხთიშვილნო, ხთის ნაბადებნო, სუ ერთურთის მოდემოძმენო. ძალი, ბრძანება თქვენია, კურთხეულ-სამართალ თქვენია, თორემ ჯმელზეით, ჯორციელზეით თქვენს დიდებულს სახელს ვერა გკადრებდით. დიდებულო თავარმოწამეო, დაგვედრებიან ყმანი, საყმონი, დასტურნი, მსახურნი. შენს ვედრება-ღაღადებასა სასინანულოდ ნუ გაუკდი, სასიხარულოდ გაუჯადე. თაობით პურს მაუმატე, მაგათ სახლ-ჯალაფობაჩი, წულსა ღონე-ქონესა, კაცსა კაცრივლობასა. მტრისა ჯელი-ჯმალ აჰჯადე, სიკვდილისა ჯმა მააშორე. საცა იძახონ შენი სახელი, შენ ბედის უღურ დაჯმარე, შენ კაბის კალთა დაიფარე. თუ რამე ეღირებოდეს ცას მედგრითა, მთას ფიფქითა, ჭალას მდინარითა (ცას მედგარი — მეხი, მთას ფიფქი — ზვავი და ჭალას მდინარე — წყალი, მდინარე). არა თუ თქვენ გამოთხოილნ იასაულნ იყვნენ, თქვენა უფაროდით, უმქაროდით ამ თქვენ ერთგულ მლოცავთა. ბევრი გყავისთ გამტეხი, მუხანათი, თავისავ მუხანათზე მავნეს გადასცოდით, გადააგდოდით. ე თქვენსა რწმუნებულსა, ერთგულ მლოცავთა თქვენ წმინდა ჯვარი გადმოსწეროდით. გზასა, მოგზაურსა თვალწაღმედ, გულწაღმ ჩაჰყვოდით, მოლაშქრე-მონადირეს

გაუმარჯოდით, მაგათ სახშიით წასულსა. დიდებულო თავარმოწამეო, სნეულს გახვეწებდენთ, — სნეულს ულხინოდით, სნეულობისგან დაიკსნოდით, მოურჩინოდით. გასაზდოს გახვეწებდენ — გაუზარდოდით, წულის წყალობას გეთხოებოდნენ — გამჩენს ღმერთს გამაუთხოვოდით (წულის წყალობა — წულის, ვაჟის გაჩენა — დაბადება). თავად თავის ტკბილის ანგელოზობით დეეკმაროდი, წულის წყალობა უბოძოდი. წამაუყენებავ მაცხოვარი სადიდებლადა შენდა, სამწყალობნოდა თავისადა, შენდა სამსახური არ დაუყრავ — შენს წყალობას ნუ დააკლებ. დიდება ძალსა და ძლიერებასა შენსა". ეს დიდება ხდება ნელის ლაპარაკით. შიგ იხატება ხვეწნა-მუდარა გამოთქმაშიც და ხევისბერის გამომეტყველებაშიც. ლაპარაკობს ნელი, ტკბილის ხმით.

დიდება რომ დამთავრდებოდა, ერთი დასტური საკლავს შემოიგდებდა ნახევრად გულაღმა და გვერდზე. ხევისბერი მარცხნივ იდგა ხანჯლით ხელში, საკლავის თავი მარცხნისაკენ, ე. ი. ხევისბრისაკენ იყო. წვერით გაუყრიდა ხანჯალს ყელში და შიგნიდან გარეთ გამოსჭრიდა ყელს. მერე გადასწევდა და გადასტეხდა კისერს, კიდევ დაარტყამდა ხანჯალს ვიდრე ხერხემლის ტვინი არ გაიჭრებოდა კისერში. დასტური მიიტანდა საკლავს და სასაკლავე სიპზე დასდებდა. ხევისბერი იტყოდა: „გწყალობდესთ ახალ დამდეგ დასტურთა, სასიხარულოდ გაგიკეთოდოსთ თავისი წლიური სამსახური, ნურა შეგანანოსთ დალოცვილმა, ბევრს ამ დროს სიხარულით შეგასწერნასთ თავის ცოლ-შვილითა". ასეთსავე სიტყვებს იმეორებენ სხვა იქ მყოფებიც. დასტურნი პასუხობენ: „თქვენიცამც მწყალობელი არის დიდი თავარმოწამე და თქვენის ცოლ-შვილისი და თავისი საყმოთი". მერე დასტური საკლავს ატყავებს. ამ საკლავის ხორცი რჩება აქ, რადგან დასტურნი აქ რჩებიან ერთ წელიწადს და საჭმელი და სასმელი აქვე უნდა ჰქონდესთ ყველაფერი. ნახევარს კი მოხარშავდნენ და იქ მყოფთ დაურიგებდნენ ხელზე წილობებს.

გამოლოცვაც ხდება ამავე წესით. ძველი დასტურნი კლავენ საკლავს და გამოსთქვამენ სინანულს, თუ რამე თავის გაუგებრობით სცოდეს ერთი წლის განმავლობაში. ხევისბერიც თავის დიდებაში ასევე ამბობდა: „დიდო თავარმოწამეო, შაუნდევ გადამდგომ დასტურთა, რაიცა გცოდეს თავისი უმეცრებითა, ეს მაცხოვარი (ცხვარი) მოუყვანია სასინანულოდა თავისი დანაშაულობათა, შენ სასიხარულოდ გაუკადე და კვლავად უკეთესი გულით მიჰკერძე შენი სამსახური". ასეთს სიტყვებს ურთავს თავის დიდებაში ხევისბერი და ბოლოს გამოსჭრის საკლავს ყელს ჩვეულებრივ. გადამდგომ დატურთაც ყველანი ამწყალობნებენ. საკლავი მველ დასტურთ შინ მიაქვთ. აქ რჩება ერთი მხარი და ტყავის სახსარი ერთი აბაზი ფული.

პირველად შემსვლელი დასტურნი თითო საკლავით ხელ-მხარსაც ინათლავდნენ. როცა ძველი დასტურნი გამოდიოდნენ და ახალი დასტურნი შედიოდნენ, მაშინ ორივე დასტურთ ოჯახის წევრები და ნათესაობა მოდიოდა ხატში. ქალები ხატიდან ცოტა შორს დასხდებოდნენ, მამაკაცები კი ხატში მიდიოდნენ. ლუდი იყო დამზადებული ამაღლებას ძველ დასტურთაგან. ისინივე იღებდნენ სალუდედან და ურიგებდნენ ხალხს. აქ დღეობა იწყებოდა დილიდან. მომსვლელს ყველას მოჰქონდა ქადა-პური და თითო ბოთლი არაყი. თუნდაც საკლავიც ჰყოლიყო, ქადა-პურს მოიტანდნენ. ყმათათვის სავალდებულო იყო ძროხის ნაწველის ნათავრისაგან ამაღლებას ქადის გამოცხობა და მიტანა.

მასთალას და ხიშმუს ორგანვე, როგორც ვთქვით, თავარმოწამეს ილოცავდნენ. მასთალას მარტო ორი დღეობა იცოდნენ — ამაღლება და მარიანობა. ეს ადგილები არის ერთი არაგვის გაღმა, მეორე გამოღმა, ერთურთის მოპირდაპირედ, მაღლა. ამაღლებას არაგვმა ძალიან ადიდება იცის და გასვლა მასთალისაკენ ძნელია.

ერთი მედროშავე ხევისბერი იყო ძველად, სახელად ბეწინტური, გვარი ბუდურაშვილი. ამაღლება დღე იყო, მასთალისაკენ წავიდა ხატი და მისი მლოცავებიც. ბეწინტური დროშით წინ გაუძღვა. შევიდა ადიდებულ წყალში ცხენით, წყალმა ცხენიც წაიღო და კაციც, დროშა მალევე გამორიყა უვნებლად, ცხენ-კაცი კი ორივე დაიხრჩო. დახრჩობამდინ სამჯერ ამოჩნდა წყალში ბეწინტური და სამჯერვე ერთი სიტყვა დაიძახა ხალხის გასაგონად: „მარიანობასაო". ეს იმას ნიშნავდა, რომ დღეობა მარტო მარიანობას ყოფილიყო, რადგან არაგვი ხიდს არ აყენებდა, ამაღლების წყალი დიდი იყო და ასეთივე უბედურება გამეორდებოდა. ამის შემდეგ დაწესდა მასთალას მარტო მარიანობას ყოფილიყო დღეობა, რადგან წყალი იკლებდა და გასვლა შეიძლებოდა.

ლუდს დასტურები ადუღებდნენ ჩვეულებრივი წესით. პური იყო სახატო ნაყენრალებზე მოყვანილი, რომელიც ინახებოდა ბეღელში, და როგორც ვთქვით, ხევისბრის დახმარებით გაიტანდა დასტური განსაზღვრული რაოდენობით. სოფლის კოდს ხატის ენით — „საცხვარეს" ეძახოდენ (კოდში ანუ საცხვარეში ჩადიოდა ქერი ახლანდელი წონით ორფუთნახევარი, წმიდა პური სამი ფუთი). ეს საცხვარე ზოგ დღეობაში ორი უნდოდა, ზოგში სამი და მეტიც. მაგალითად, ამაღლებას ძველი დასტურნი აფორებდნენ სამ საცხვარეს. დღეობა, როგორც ვთქვით, იწყებოდა დილიდან სასოფლო საკლავის დაკვლით. იმართებოდა სიმღერა და თამაშობა. სასოფლო საკლავის ხორცი იხარშებოდა ხატში. დასტური ხელზე ჩამოურიგებდა ყველა იქ მყოფთ წვრილ-წვრილად დაჭრილ-დანაწილებულ წილობებს. აგრეთვე პატარ-

პატარა ნაჭრებად დაჭრილს, ხალხისავე მოტანილ ხმიადის პურებს. ქადის მეოთხედებსაც დაჭრიდნენ და ურიგებდნენ ხალხს. კანონით კი ქადის ერთი მეოთხედი ხატის მსახურთ ეკუთვნოდა, მაგრამ ისინი მაინც ხალხს ურიგებდნენ, თუმცა სავალდებულო არ იყო. ქადა-პურზე რომ პატარა ხავიწიანი კვერები ეწყო, ესეც ხატის მსახურთ ეკუთვნოდა, მაგრამ ამ კვერებსაც ხატის მსახურნი ხშირ შემთხვევაში ბავშვებს ურიგებდნენ, ან თუ პური საკმარისი არ იყო დასარიგებლად, იმ შემთხვევაში ანაწილებდნენ კვერებს და არიგებდნენ. ხატში სიხარბე არ შეიძლებოდა, დასტურ-ხევისბრებს თუ ხატი თავისთავის მოხარბებას შეამჩნევდა, მიზეზს დაუყენებდა და შემდეგისათვის გააფრთხილებდა. სახატო ქადა-პურებს ჭვრეთდენ საჭვრეთელით. როცა ქადა-პურზე ხატს ადიდებდნენ, ასე იტყოდნენ: „შენამც იდიდები, ღმერთო, ცისა და ქვეყნის გამჩენო, შენამც იდიდები, კვირავ ხთიშვილთ მოანგარიშეო, შენამც იდიდები, თავარმოწამეო. სადიდებულო შენი იყოს ეს შემოწირულნი სეფისკვერნი და სამწყალობელო სეფისკვერთ შამამწირველისა (სახელი), მაგის თავისი, ჯალაფობისი, მადლი და ბარაქა დაუტანე ჯარის ნაკნავსა და ძროხის ნაწველსა, თავის მარჯვენის ნაშრომ-ნაამაგარსა“. ამ სიტყვებით გამოჭრიდა ქადის ერთმეოთხედს და სამიმეოთხედი პატრონს უბრუნდებოდა (საჭვრეთელს ჰქონდა დასაჭვრეთ ადგილზე ჯვარი გაკეთებული (ამოჭრილი) და ჯვრები გამოდიოდა ქადაზე დაჭვრეთილ ადგილზე).

გამოგვრჩა, თუ ახალ დასტურთ რა მოჰქონდათ საკლავის გარდა. მათ მოჰქონდათ ჩვეულებრივი ქადა-პურები, რომლებიც ეწყობოდა სასუფეველზე. სასუფეველი იყო დიდი სიპი ყორეში გამოჭარბებული და ასრულებდა ტაბლის მაგიერობას. ამაზე ეწყობოდა გასადიდები ქადა-პურები. სანთელი ქადა-პურზე ზედ არ ენთებოდა. აქვე სხვა ქვა იყო ყორეში გამოჭარბებული სანთლის დასაკრავად და ანთებულ სანთლებს აქ დააკრავდნენ. ამას ეწოდებოდა სასანთლე. დასტურთ მოტანილ ქადა-პურებსაც გაადიდებდნენ, სანთლებს სასანთლეებზე დააკრავდნენ. აქვე საღვინით იდგა ლუდი და არაყი (თიხის ჭურჭელით). ხევისბერი როცა დაილოცებოდა, ერთი დასტური ჩამოარიგებდა სასუფეველზე. ანთებდნენ ახალ სანთლებს, სასანთლეზე დააკრავდნენ და ხევისბერი შენდობას ეტყოდა სასუფეველზე გაწყობილ სასმელს და იმავე ქადა-პურებს, რაზედაც ხატი გაადიდეს. შესანდობრის წესი მიცვალებულთათვის ხსენებულ დღეს ასე სრულდებოდა: შენდობას ეტყოდნენ წინა დასტურ ხევისბრებზე, რომელნიც წინათ იყვნენ და დღეს აღარ არიან ამ სიტყვებით: „გაუმარჯოს ჩვენს თავარმოწამეს და მოიჯსენივნეს ის პირნი, რომელნიც აქა დასტურ-ჭევისბრობდნენ უწინა და ახლა აღარ არიან. მოიხსენივნეს ის პირ-

ნიცა, რომელთაც ჰქონდეს დანამადლისი ენითა, ჯელითა, ქვა-ქასუ-რითა, ხემხვივნითა, შემონაწირნითა. ბეჩავ-საბრალო იყოსა და შენდობას გველოდდეს და ჩვენ ვერა ვგონებდეთ, შეიწყალოს იმა-თაცა“. ხევისბერი რომ დაილოცებოდა, სხვებიც მოაყოლებდნენ ასე-თსავე დალოცვას და დალეედნენ სასმელს (ქვა-ქასური — ხატში რა-მის აშენება — კოშკი და სხვა, ხემხვივანი — ხატის პატივსაცემად ხატ-ში რამეს დარგავდნენ; იფნი, მუხა და ან სხვა, გაახარებდნენ). ეს სადასტუროში ხდებოდა, სხვა ხალხი აქ ვერ შევიდოდა. აქ იყვნენ მარტო წლის ბერები და ხევისბრები. დანარჩენი ხალხი ცალკე დღე-ობობდა. ამის შემდეგ დასხდებოდნენ თავ-თავის სკამზე. სკამი მთლი-ანად იყო ქვისაგან გაკეთებული ყორის პირზე, ორივე მხარეზე. აქ ყველასათვის განკუთვნილი იყო თავ-თავისი ადგილი. ჯერ უფროსი ხევისბრები დასხდებოდნენ და მერე წლის ბერები ანუ დასტურნი.

ხევისბრებსაც თავ-თავისი საკუთარი საქმე ებარა. პირველი იყო: თავხევისბერი, ამას ევალებოდა საკლავის დაკვლა და სანთლის ან-თება. მეორე ხევისბერი იყო მედროშავე, ამას ევალებოდა დროშის აბმა-აბძანება და სადაც საჭირო იყო, ლაშქარში და სხვა, წინ გაძღოლა, მესამე ხევისბერი იყო; მეთასური; ამას ევალებოდა თასების შენახ-ვა, მოვლა და საჭირო დროს მათი წაღება-მოტანა. მეოთხე იყო ხთი-შობლის ხევისბერი. აქვე ახლო ხთიშობელის ხატია ე. ი. სალოცავი და მას საკუთარი ხევისბერი ჰყავდა. ოღონდ ისიც ამ ხევისბრებ-თან იყო მუდმივად, გარდა იმისა, როცა თავის ხატში წესრიგს ასრუ-ლებდა.

დასტურ-ხევისბრების გარდა, აქ შეიძლებოდა შემოყვანა პატივ-საცემი კაცებისა, მეზღვნეებისა, რომლებიც დიდი ზღვნით იყვნენ მო-სულნი. იმათ შესვლა ეკრძალებოდათ, მაგრამ ხევისბრები რომ თხოვ-დნენ, ვეღარ უტეხდნენ ხათრს, დიდის მოკრძალებით, მუხლის ყრით და პირჯვრის წერით შევიდოდნენ სადასტუროში და ბოლოში დას-ხდებოდნენ. როცა ყველანი დარიგდებოდნენ, დასტური აავსებდა კო-დიდან ლუდით ჩხუტს, დადგამდა ხალხის წინ (აქ ლუდის ამოღება ებარა დასტურს) და ეტყოდა: „ნუ მაიწყენთ თავარმოწამეს“. ხალხიც შეხვდებოდა პასუხით: „მოგვიხვედ მშვიდობითა, შენს მოსვლას გაუ-მარჯოს“. მერე კი იმართებოდა ჩვეულებრივი სმა.

ზოგს მეზღვნეს გარდა ერთი ბეჭისა, მოჰქონდა თავისი საკლა-ვის ხორცი, ზოგს კი ისე ჰქონდა შეთქმული, ან მკითხავისაგან ნათ-ქვამი, რომ ხორცს აქ მოხარშავდა, მიცვალებულებისათვის სუფრას დადგამდა და ხალხს სუფრაზე მოიწვევდა. მკითხავი ეტყოდა: ესა და ეს მიცვალებულის სული გთხოვსთ: დაკალით ხატში საკლავი და ჩემ-თვის სუფრა გააგდეთო. ეს იყო ხატისთვისაც პატივისცემა და მიც-

ვალებულის სულისთვისაც. საკლავი იკვლოდა ხატისათვის, ხორცი მოიხარშებოდა და სუფრა დაილოცებოდა მიცვალებულისათვის.

სუფრისათვის სახლიდან მოტანილი ჰქონდათ, ვისაც რა შეეძლო — ქადა, ხმიადი, ხილი, კაკალი, თნილი, მოხარშული კვერცხები და სხვა. საკლავის ხორცის მოსახარშად ქვაბი ან სახლიდან მოჰქონდათ ან თუ ხატთან ახლო სოფელი იყო, იქ ითხოვდნენ. ჩაყრიდნენ ასო-ასოდ აჭრილ ხორცს და მოხარშავდნენ. გაკეფავდნენ წვრილად ფილტვს, თირკმელებს, გულს, ქონს და დუმას და იმასაც შიგ მოხარშავდნენ ძვლიან ხორცთან ერთად. შესანელებელი რამეც სახლიდან ჰქონდათ მოტანილი, ხახვი, ქინძი ან სხვა ასეთი რამ. შეანელებდნენ წვენსაც. ჯამებიც სახლიდან ჰქონდათ მოტანილი, ბაკანიც (გობი). რომ მოიხარშებოდა, ძვლიან ხორცს ჩააწყობდნენ ბაკანში. გაფენდნენ რამეს ბუსნოზე სუფრის მსგავსად. დადგამდენ წვნიან ქვაბსაც, ბაკნით ხორცს, სალაღებელსაც ბაკნით (სალაღებელი — ხილი და სხვა). მარილსაც დადებდნენ. დადგამდნენ წყალს რამე ჭურჭლით, თავის მოტანილ სასმელსაც, რაც ექნებოდათ: ღვინო, არაყი თუ ლუდი, აავსებდნენ ერთ თასს ან ყანწს სასმელით, მისცემდნენ ხევისბერს, სუფრაზედვე იყო ანთებული სანთლებიც. სუფრის პატრონს ხალხიც ჰყავდა მოპატიჟებული და უსკამოდ გარშემო შემოუსხდებოდნენ სუფრას. მარტო ხევისბერი ადგებოდა ფეხზე და იტყოდა: „გაუმარჯოს დიდს თავარმოწამეს და დიდის თავარმოწამის დიდებით მოიკსენიენეს ისენი, ვისთვინაც ეს სუფრა იყოს გამეტებული (სახელი). სულწმიდათა შანდობა ჰქონდეს და ამ ქვეყნად მომგონე ნუ დაულიო'. ნაშრომ-ნაამაგარსაც სულმა წმიდამაც და თავარმოწამემაც მადლი და ბარაქა დაუტანოს. (სახელი სუფრის პატრონისა) გაუმეტებავ ეს სუფრა და სანთელ-კელაპტარი სულის მოსაკსენებლადა და თავარმოწამის სადიდებლადა და მისი დიდებით მოიკსენიენეს კიდევ ის პირნიცა, თუ ვინმე ცოდვილ-საბრალო იყვეს, შენდობას მოგველოდდეს და ამ სუფრას მოჰბრუნავდეს და ჩვენ ვერ ვგონობდეთ (ვისაც არის სუფრა, ე. ი. ვისთვისაც დაილოცა, იმის სახელს იტყვის) ამის (მაგ. ხთისოს) მასპინძლობითა. თავარმოწამემა იმათ შენდობა მისცესა და იმათ ზედამრჩოთ დღეგძელობა". ამის შემდეგ დალევდა თავი ხევისბერი და სიტყვის დაბოლოებაზე სხვებიც ჩაურთავდნენ: „შეიწყალოს ღმერთმა".

მერე ხევისბერიც სუფრის სათავეში დაჯდებოდა, მოაყოლებდნენ და ერთი ყანწით ყველა დალევდა შესანდობარს. ხევისბერთან ახლოს დასვამდნენ უფრო პატივსაცემ სტუმარს (ეს ყველაფერი ხდებოდა გარეთ, სადაც ქალებსაც შეეძლოთ მისვლა, სუფრასთან დაჯდომა და შენდობაში მონაწილეობის მიღება) ან ხნიერ კაცს. ხევისბერსა და პატივსაცემ სტუმრებს ხელზე წილობის დარიგუბას არ ჰკადრებდნენ,

სუფრას გაუშლიდნენ: პურს, ხორცს, დაასხამდნენ ჯამებზე წვენს და სათითაოდ თუ ვერა, ორთ მაინც ერთ ჯამს დაუდგამდნენ. კოვზები არ იცოდნენ და რიგრიგობით იღებდნენ ჯამს და ხვრეპდნენ წვენს. დანარჩენ ხალხსაც სუფრის სახით ჰქონდა გაშლილი რამე. ერთი დაიჭერდა დაჭრილ პურებიან ბაკანს და ყველას თავ-თავის წინ დაუწყობდა თავის წილს. წვრილ-წვრილად დანაწილებულ ხორცსაც დაუწყობდნენ, მარილსაც იქვე დაუყრიდნენ რამეზე. ყველა იღებდა და ჭამდა თავისი წილიდან. ხევისბერს და მის პატივსაცემ ხალხს კი საერთო სუფრა ჰქონდათ (ამ სუფრაზე ყველიც იყო დარიგებული). ფეხზე არავინ არ იდგა. ყველანი ისხდნენ და ისე სვამდნენ და სჭამდნენ. ვინმე ქალი იღებდა სალაღებელს და იმასაც ყველას დაურიგებდა. ასე გრძელდებოდა ამ სუფრის წესი, ხორცს და პურს დამრიგებლები იხვალისებდნენ, კიდეე თუ ვინმე შემოემატებოდა სუფრას, იმისათვისაც ჰქონდათ კერძი წილობა. თან მოაყოლებდნენ სასმელს და თამადობდა თავხევისბერი. ამ სუფრაზე შემღერნებდნენ კიდეც ფშაურად, რაც შესანდობარ სუფრას მოუნდებოდა, მიცვალებულზე ნათქვამ ლექსებს, მაგ.:

თავ დამანებე, სიკვდილო, მამწყინდა მგლოვიარობა,
ქალისა, რძლისა სიკვდილი, ფარაგთით ცრემლიანობა.

სიკვდილო, სიცოცხლისათვინ თავს კი ვერ მოგცემ მუდმადა,
წავალ და მინდორ მოვკვდები, ბალახნი მეყვნენ სუდრადა.
კაკაკვნი დამიტირებენ, ყორნები მოვლენ მუდმადა.

როცა როლში შევიდოდნენ, თავის პირის ლექსებსაც მიაყოლებდნენ (თავისპირის ლექსები ეწოდება, ერთმანეთს რომ იქვე გაალექსებენ, მაშინვე რომ იგონებენ ლექსებს). ჩემ დროს ორი ხევისბერი იყო — დავითი და ჭრელი, დავითი ქალების მოყვარული კაცი იყო და ასეთ სუფრაზე მათურის მთავარანგელოზის ხევისბერმა ფუნჩიამ შაუმღერა:

შენ ჭრელი მოკალ, დავითო, გეცილება ხელობასა (ჭრელი მეორე ხევისბერი იყო)

სუყველაიც შენ დაგრჩება საღმურთობა-სერობასა,
იმთვენ ქალებ მოგივალის, სუ გეყოფა შენობასა,
ეგებ მაშინ მაინც მორჩე მეზობლების ფერობასა.

ამ სუფრაზე დროს ატარებენ, თუ აქვე მეორე ან რამდენიმე სუფრა არ არის გამართული და ანალი სუფრის პატრონმა არ გადაიპატიჟა ხევისბერი და ხალხი. ახალი სუფრის პატრონი ხევისბერს უფრო სთხოვდა: ახლა ჩემს სუფრაზე მობრძანდი და შენდობა უთხარიო. ხევისბერი რომ ადგებოდა, მადლობას გადაიხდიდა: სულმაც და ხატ-

მაც მადლი და ბარაქა მოგცეს და თავარმოწამე წყალობით იყოს შენ-ზეო. ისიც უპასუხებდა: თქვენიცამც მწყალობელია, მადლობელი ვარ, რომ ჩემს სუფრაზე მობრძანდით და ჩემი მკვდარიც დაანამუსეთ და ცოცხალიცო. ხალხიც აჰყვებოდა ხევისბრის ადგომას და გადავიდოდა მეორე სუფრასთან. ასე რამდენიმე სუფრას გამოიცვლიდნენ. იმართე-ბოდა მღერა და ცეკვაც. სუფრის პატრონები როცა ბევრი იყვნენ, თანხმდებოდნენ ერთიმეორესთან, ვის როდის გაეწყო სუფრა. ხან-დახან იმდენი სუფრები იყო, რომ თუ მორიგეობით არ მოამზადებ-დნენ, ერთბაშად მომზადებული საჭმელი გაცივდებოდა. სუფრაზე შეიძლება ხორცი და საჭმელი შემოკლებოდათ, მაგრამ სასმელი იმ-დენი მოჰქონდათ, რომ სახლში კიდევ მიჰყვებოდათ, მიუხედავად იმისა, რომ გზაში ვინც შეხვდებოდა, ყველას ასმევდენ საგზაო სას-მელს. სირცხვილიც იყო, თუ ხატიდან მომავალს საგზაო არ ედგა ტიკ-ში და შემხვედრს ვერაფერს დაალევინებდა. მიჰქონდათ ქადის და მო-ხარშული ხორცის წილობები შემხვედრისათვის. სუფრები გრძელდე-ბოდა ღამემდინ. ზოგი ხალხი აქ რჩებოდა ღამის გასათევად, ზოგი კი წავიდ-წამოვიდოდა სოფლებში. ამაღლებას გარეთაც შეიძლებოდა ღამის გათევა.

აქ საკოდე ცალკე იყო სადასტუროს შიგნით. მხოლოდ დასტურ-ხევისბრებს შეეძლოთ შიგ შესვლა. ლუდის ამოღება ერთ-ერთ დას-ტურს ევალებოდა. კოდი იმას ებარა და ის უწევდა ანგარიშს.

ამაღლებას ძველი დასტურები რომ გამოილოცავდნენ და ახლები შეილოცავდნენ, სახატო ქონებას ახალ დამდგომ დასტურთ გადა-აბარებდნენ. კოდსაც მაშინვე ერთ-ერთი დასტური ჩაიბარებდა. ხე-ვისბერის საქმე იყო, თუ რომელს ჩააბარებდა კოდს. ლუდის სა-დუღებლად ყველა მოწყობილობა სალუდეში იყო და იმასაც სულ დათვლით იბარებდნენ ახალ დამდგომი დასტურნი. თავარმოწამეში ლათბა ხისა იყო.

ზემოთ დ ი დ ე ბ ა შ ი ჩართული არის: „თავარმოწამე მასთალას სვეტის ანგელოზო, ხეთანას მოლაიბეო, ჯვართანის გორს მოყარაუ-ლეო“. ეს სახელები მკითხავ-ხევისბრების ენით შემდეგზე ეწოდება თავარმოწამეს. აქ ახლაც არის დიდი ნასახლარები მდიდარი კაცის ყარ-ტაულასი. ერთ დღეს თავარმოწამის მამულზედაც იყო მუშა და ყარტაულსაც ამავე დღეს თავის მამულზე მუშა ჰყავდა. ყარტაულამ გორიდან გამოხედა: — ჩემი მუშა უფრო ბევრია თუ თავარმოწამისაო, დათვალა კიდეც და მოსულმა თავის მუშათ უთხრა: ჩვენ მეტნი ვართ და მომკილიც მეტი გვაქვსო. აბა ხთიშვილთ რა გამოეპარებოდა, გაიგო თავარმოწამემ, რომ თავს მე მადრის და თავის მუშას ჩემს მუშას. ჩემი სწორობა მოინდომა ხორციელმაო. წამოვიდა და ჯვარ-

თანის გორს ყარაულობდა: ყარტაულა თუ კიდევ გადმოჩნდა, ლახტს დავკრავ და მოვკლავო. ამაზედ არის „ჯვართანის გორს მოყარაულე“. აქ რომ ყარტაულა აღარ გადმოჩნდა და ლახტი ვერ დაჰკრა, თავარმოწამე ქვევით ჩამოვიდა. აქ ხეები იყო და ჩრდილში „წამოილაიბა“ — წამოწვა, მოისვენა, ამაზე არის: „ხეთანას მოლაიბე“. თავარმოწამემ რომ ვერ დაჰკრა ლახტი, მიუსია და ხორციან ქვაბში გველი ჩაუგდო, საჭმელი მოუწამლა. ყარტაულაც თავისი ოჯახით ამოწყდა და მისი მუშაც სულ დაიხოცა.

თავარმოწამე ხშირ შემთხვევაში თავის ხევისბრებს პირად ელაპარაკებოდა, ლევანი (მთხრობელი) თავის ბავშვობაში შესწრებია ერთ ხევისბერს — კუდოელ ჩოთეშას, რომელიც ხატს პირად ელაპარაკებოდა და მის ბრძანებას ყმათ გადმოსცემდა.

ამაღლების დღეობა რომ დამთავრდებოდა, ყველანი მადლს მოთხოვდნენ, ხალხიც და ძველი დასტურებიცა. ძველი დასტურები, როგორც ვთქვით, გამოსალოც საკლავებსაც დაკლავდნენ და წავიდოდნენ შინ. დარჩებოდნენ მარტო ახალი დასტურნი, ისინი აქ ერთ წელს შინ წაუსვლელად იქნებოდნენ.

საღმურთობა

ამაღლების შემდეგ მოდიოდა დღეობა საღმურთობა. ეს იყო მკათათვის პირველებში და მლოცავიც ბევრი მოდიოდა. დღეობა იმართებოდა ისეთივე წესებით, რაც აიწერა ამაღლების დღეობაში. მხოლოდ იყო ცოტა გარჩევა იმაში, რომ აქაური ხატიონნი წავიდოდნენ იქვე ახლო ხთიშობლის ხატში დროშით და ფერხისული სიმღერით. მარიანგა ეწოდება ხთიშობლის სალოცავ ადგილს. აქ იყო იფნის და მუხის დიდი ხეები, იდგა ერთი კოშკი. ჰყავდა ერთი საკუთარი ხევისბერი, რომელიც მუდამ იყო თავარმოწამის ხევისბრებთან და დასტურებთან. მარიანგას არ ჰქონდა არც სალუდე, არც საბერო და არც დარბაზი, არც საკუთარი მამული ჰქონდა, არც დასტურები ჰყავდა. ზოგიერთ დღეობებში თავარმოწამის დროშით გადადიოდნენ, მლოცავს მიჰქონდა სასმელ-საჭმელი და ლუდს თავარმოწამის ხატიდან წაიღებდნენ. მეზღვნეები მიდიოდნენ და იმართებოდა ჩვეულებრივი სუფრები.

საღმურთობას უფროსი ხევისბერი დროშას ააბძანებდა, იქ მყოფ ხალხს დაამწყალობნებდა. მოუტანდნენ თასით ლუდს და ერთ ფეხ ანთებულ სანთელს. ამ დროს ხალხი ქუდმოხდილი იდგა. ხევისბერი ადიდებდა ხატს. მერე სხვა დასტურ-ხევისბრებიც დაამწყალობნებდნენ. დროშით წინ გამოუძღვებოდა ხევისბერი. ხალხი ფერხისას

დააბამდა და ფერხისულის მღერით ყველანი წამოვიდოდნენ მარიანგისაკენ. ფერხისაში ერთი იძახებდა სიმღერისთავს და მის მხარეზე მყოფი ხალხი ბანს ეტყოდა. ამათი მღერის დროს მათი მოპირდაპირე ჩუმად იყო. პირველი მომღერალი სიმღერას რომ გაათავებდა, ამავე სიტყვებს გაიმეორებდა მოპირდაპირე მხარიდან ერთ-ერთი კაცი და სხვები ბანს ეტყოდნენ და ასეთის მღერით მოვიდოდნენ მარიანგას. ფერხულში მღეროდნენ ისეთ სიმღერებს, უფრო საგმიროს, რომელიც ხატებთან იყო დაკავშირებული:

ვინა თქო, ენამც გახმება, — მითხოს გაბევრდა ცხვარიო,
გაიგო ლაშარის ჯვარმა, წელთ შამაირტყა ჯმალიო,
შასთვალა მშავლის შვილებსა, მთათ შამოვავლოთ თვალიო,
წელჩი გაიგდო მათრაკი — შვიდკეცი შვიდი მჯარიო,
უჯერეს ფშავლისშვილებმა, ყველამ გალესა ხმალიო,
ვინც არ გალესა, გადაჰკრა, მაგის ნაცემი მწარეო,
ქვაჯიდს ჩაგროვდა ფშავლები, არ ჩასწვდა წვიმის ცვარიო.
გარა თქვეს თურმანაული, ქორ-შავარდენი ჩქარიო,
შავარდა ციხის წვერზედა, ციხეს მაშალა თავიო.
ცხვარ-ძროხა გამაიტანეს, თან მოაქვ მთა და ბარიო.
მოზდევენ ქისტიშვილები, ნარჩევნი მეომარნიო.
აყრიან სეტყვასავითა, ტყვიას არ მააქვ ძალიო.
ნუ დაიკვეხნებთ, ფშავლებო, არ არის თქვენი ბრალიო,
გვერდს გიდგათ ლაშარის ჯვარი, გიჭრით დავლათის ქარიო.
გორს იქი-აქათ გადადის ტერეოლოლების მკვდარიო,
თან ჩააყოლეს ძაღლები, დახარით ქისტის ძვალიო,
შამოჯდა ლაშარის გორსა, ბევრი ხარი და ცხვარიო,
ბევრ კი მოვედით ცოცხალი, ბევრ იქავ დაგვრჩა მკვდარიო,
დედისერთაის სიკვდილი, ღმერთო, რა დიდი ბრალიო.
ე მაგის მალექსებელი, ალვანჩი თუშის ქალიო,
სალექსოდ გამომიგზავნეთ, თეთრი ქორაი ჯარიო,
ან იყვნენ საყურ-ბეჭედნი შამიერიალებს ქარიო,
არ ვამბობ პირსფერობითა, მენც იქა მყვანდნენ ძმანიო.

ამ სიმღერით გზადაგზა წრედ ხელხელჩაკიდებულნი მიდიოდნენ, მარიანგას რომ მივიდოდნენ, თუ სიმღერა დამთავრებული არ ექნებოდათ, ფერხისა არ დაიშლებოდა, ტრიალებდნენ გარშემო და მღეროდნენ, სიმღერა რომ დამთავრდებოდა, ფერხისაც დაიშლებოდა და ყველანი ხმამაღლა დაიძახებდნენ: „გაუმარჯოს დიდ ლაშარის ჯვარს, გაუმარჯოს დიდს თავარმოწამეს, გაუმარჯოს!“.

ფერხისა რომ დაიშლებოდა, ყველანი ქუდებს მოიხდიდნენ და პირკოშკისაკე მიბრუნდებოდნენ, სადაც თავარმოწამის დროშა უკვე დაბძანებული იყო და ხევისბერიც იქ იდგა პირხალხისაკე, ხალხი მუხლს მოიყრიდა და მოსთხოვდა თავის სალოცავს მადლს: „დიდო თავარმოწამეო და დედაო ღვთიშობელო, რასაც გცოდავთ, გვაპატიე,

ან ენითა, ან ჯელითა, ან სხვა ქმედებითა. შენნი საყმონი ვართ ხორციელნი, უვიცნი და ჩვენის უვიცობით ბევრს გცოდავთ. შენ დიდი ხარ და შენის ანგელოზობით გვაპატიებ შანაცოდვარსა და გვაღირსებ შენის სახელის ჯსენება-დიდებასა და შენის კარის ლოცვასა". მემრე ადგებოდნენ, ხევისბერი დაამწყალობნებდა: „დიდება დიდს თავარმოწამესა და ადგილისდედა ხთიშობელსა, წყალობით იყოს თქვენზედა თქვენ შვილთა და ქალ-ქალიშვილთაზედა, მრავალი ეს დღე მშვიდობისა მოგგვაროსთ". „თქვენიცამც მწყალობელია" — იქნებოდა ხალხის პასუხი.

საკლავის დაკვლის დიდებათ ხევისბერი ისეთივე შინაარსით და წესით იტყოდა, როგორც აიწერა თავარმოწამის ხატში. საკლავი რომ დაიკვლებოდა, ახლა ლუდიან თასს მიუტანდნენ და იმაზე დაილოცებოდა ხევისბერი. დაამწყალობნებდა ყმათ და საყმოთ. მერე ჩამოაყოლებდნენ და ყველანი თითო თასით დაილოცებოდნენ და დალევდნენ. ამის შემდეგ დასხდებოდნენ მამაკაცები ხატთან ახლო, ქალები შორს, თავის დანიშნულ ადგილზე, და იმართებოდა სმა. სასოფლო საკლავს დასტურები გაატყავებდნენ, ხორცს მოხარშავდნენ და როგორც ჩვეულება ჰქონდათ, დაურიგებდნენ ყველას ხელზე. ქადა-პური ყველას მიჰქონდა, აქაც ყველანი ვალდებულნი იყვნენ ძროხის ნაწველის ნათავარის ქადა გამოეცხოთ და ადგილის დედაში მოეტანათ. მას მოჰყვებოდა ხმიადი და სამი ხავიწიანი კვერი. ეს ქადა-პურიც იმავე წესით იჭრებოდა და ნაწილდებოდა, როგორც აიწერა ხოშარაში და თავარმოწამეში. აქვე მოდიოდნენ მეზღვნეები და ზოგი მათგანი, ვისაც ხატისაგან დავალებული ან თვითონ შეთქმული ჰქონდა, მოხარშავდა ხორცს და მართავდა სუფრას. აქვე იმართებოდა მღერა და ცეკვა, იმართებოდა, თავისპირით მღერა (სხვათაშორის, გოგოლაურები სახელგანთქმული არიან სიტყვამოსწრებულობითა და ლექსის თქმით); სრულდებოდა ყველა ის, რაც დაიწერა თავარმოწამეში. დღის ბოლოს ყველა ქუდმოხდილი და ჩოქმოხრილი მოსთხოვდა მადლს და დააბამდენ ისევ ფერხისას. წამოვიდოდნენ ფერხისეუმეში. დღის ბოლოს ყველა ქუდმოხდილი და ჩოქმოხრილი მოსთხოვმადლს და იმართებოდა კიდევ დროსტარება ჩვეულებრივი წესით.

მარიანობა

მარიანობას დღეობა იწყებოდა ისევ თავარმოწამეში, ყველაფერი იყო ჩვეულებრივი წესით. პირველ წესებს რომ შეასრულებდნენ, მერე ხევისბერი დროშას ააბძანებდა და გაუძღვებოდა ხალხს, გავიდოდნენ არაგვში და ყველანი მივიდოდნენ მასთალას. ხევისბერი დროშას და-

აბძანებდა და დაამწყალობნებდა მლოცავთ და ყმათ მასთალას სვეტის ანგელოზის სახელით. ხალხიც ქუდმოხდილი მადლს სთხოვდა, მერე წაუყენებდნენ საკლავებს და ჩვეულებრივი დიდების თქმით დაკლავდა. აქაც შეასრულებდნენ ყველა იმ წესს, რაც ხოშმუს თავარმოწამეში სრულდებოდა. მეზღვნეები მოდიოდნენ, მაგრამ სუფრის დაგება აქ არ წესობდა, თუ ვისმე სუფრა უნდოდა, ხიშმუს თავარმოწამეში შეასრულებდა ამ წესს. აქ მხოლოდ სასოფლო საკლავის ხორცს მოხარშავდნენ თან წამოღებულ ქვაბში (აქ თას-განძი და ქვაბ-ჭურჭელი არაფერი იყო). დაანაწილებდნენ წილობებად და დაურიგებდნენ ხალხს: დიდსა და პატარას. აქედან ხევისბერი დროშას ააბძანებდა და გამოუძღვებოდა მლოცავს. ვისაც ან ქადა ჰქონდა, ან საკლავი ჰყავდა, ან სხვა რამე შესაწირავი, ისინიც თან გამოჰყვებოდნენ მარიანგას. ვისაც აღარა საქმე ჰქონდა კი, აქედანვე შინ წავიდოდა გარდა თავარმოწამის ყმათა; თავარმოწამის ყმანი, ე. ი. გოგოლაურნი, დროშას თან გამოჰყვებოდნენ და გამოვიდოდნენ მარიანგას. აქ კიდევ იკვლებოდა ერთი საკლავი, ხორცი იხარშებოდა, ჩვეულებრივ რიგდებოდა ყველა იქ მყოფზე და იმართებოდა სმა და ლხინი თამაშობა-სიმღერით. აქ დიდხანს არ რჩებოდნენ და დროშის წინამძღოლობით გადავიდოდნენ ისევ თავარმოწამეში. აქედან დაიშლებოდა ხალხი, დარჩებოდნენ მარტო დასტურნი და ხევისბრები.

გიორგობა

გიორგობა მოდიოდა გიორგობის თვის ათში. დღეობა იცოდნენ იმავე წესით, მხოლოდ ამ დღეობაში მეტი მლოცავი მოდიოდა და მეტი საკლავი იხოცებოდა. ეს დღეობა გრძელდებოდა ორ დღეს. ღამეს ყველა მლოცავი ხატში ათენებდა. საკლავები იხოცებოდა წინა დღითვე და ღამით ხორცი ჰქონდათ, რიგს ხარშავდნენ და რიგს მწვადად აკეთებდნენ, სასმელი მლოცავებს თავისი ჰქონდათ, ხატიდანაც გამოუტანდნენ ლუდს და ღამეს სულ ლხინში და ღრეობაში ათევდნენ. მეორე დღე გათენდებოდა და იმართებოდა სუფრები. გადადიოდნენ ერთი სუფრიდან მეორე სუფრაზე და ასე გრძელდებოდა საღამომდინ. მეორე დღეს, რომ შემოსაღამოვდებოდა, მლოცავი თანდათანობით აშლიდა თავთავის ბინას (ყველას თავისი საკუთარი ბინა ჰქონდა დადებული ბუსნოზე, ზოგს კი — ერთურთის ახლობლებს ერთად ჰქონდათ), დაიწყებოდნენ ხურჯინებში ჩალაგებას და ცხენებს გაამზადებდნენ, ხევისბერიც დროშას ააბძანებდა და მიაბძანებდა თავის სამკვიდროში. ხალხი პირხატისაკენ ქუდმოხდილი იდგა და იწერდნენ პირჯვარს, ყველა თავისთვის ნელის ხმით ლოცულობდა და ეხვეწებო-

და თავარმოწამეს: თუ რამე შეცოდა უმეცრებით, ხატმა ეს აპატიოს და წასულს თავისი წყალობა გააყოლოს. ხევისბერი საბოლოოდ წამსვლელთ დაამწყალობნებდა: დიდი თავარმოწამე წყალობით იყოს თქვენზე, რასაც თქვენი გული გამოელოდება, ის წყალობა გიბოძოთ და მოწალმართე ანგელოზი დაგაყოლოსთ მგზავრობაშიც და სახლშიცო. ისინიც დიდის მოხათრებით და პირჯვრისწერით პასუხობდნენ: თქვენიცამც მწყალობელია დიდი თავარმოწამეო. ასე მთავრდებოდა გიორგობა.

შობა ანუ ქრისტე

შობასაც განსხვავება არ ჰქონდა გიორგობის წესებისაგან; დასტურნი ხომ მუდამ აქ იყვნენ და ხევისბრებიც შობა დღეს დილიდანვე თავარმოწამეში მოვიდოდნენ. მეთასური მოიტანდა ვერცხლის და სპილენძის თასებს, გარეცხდა და დაალაგებდა მათთვის განკუთვნილ ადგილებში, მედროშე ხევისბერი გაამზადებდა დროშას, დასტურთ ლუდი წინასწარ ჰქონდათ გამზადებული ისე, როგორც აიწერა ლუდის დამზადების წესი ხოშარას ძელის ანგელოზში. კოდ-საფუარი თავის წესზე ჰქონდათ დალაგებულ-დასუფთავებული, სანთელ-კელაპტარი ჩამოქნილი (ფშავლების უმრავლესობამ იცოდა ჩამოუქნელი სანთელის შეწირვა ხატში, დართულ ბამბას ზედ გადაახვევდნენ, რომ სანთლის ჩამოქნის დროს ჰკმავებოდა და თვით ხატის მსახურნი ჩამოქნიდნენ სანთელს, როცა როგორი სანთელიც სჭირდებოდათ — კელაპტარი თუ წვრილი) ეწყო განკუთვნილ ადგილზე. თავისებური სიწმიდეც დაცული იყო ტანის დაბანით. თუ სათანადო მიზეზი დაუდგებოდათ, სიწმიდეში რამე შეცდომას დაუშვებდნენ, რაც ხატის წესით ეკრძალებოდათ, რიგს გარეშე ხელმხარსაც ინათლავდნენ გასაწმენდად და თავისი ცოდვის სასინანულოდ. ეს რომ ყველაფერი მომზადებული და თავის რიგზე იყო, ხევისბერი და დასტურნი ახდიდნენ კოდს (ჭიჭი ხევსურულად, ჩამი ფშაურად — ფუილში რომ ლუდი ქაფს მოიდგამს), მოაშორებდნენ ჩამს, ამოიღებდნენ ვერცხლის თასით ლუდს და კოდთან დადგამდნენ. გადაახვევდნენ სამ ფეხ სანთელს ერთიმეორეზე და დააკრავდნენ კოდზე. ერთ ფეხ სანთელს დააკრავდნენ ლუდიან ვერცხლის თასზე და ხევისბერი ადიდებდა თავარმოწამეს: „დიდება შენდა, დიდო თავარმოწამეო, მასთალას სვეტად ჩამოსულო (ხან იტყოდნენ: მასთალას სვეტის ანგელოზო). ხეთანას მოლაიბეო, ჯვართანას გორის მოყარაულეო“ და გააგრძელებდა შემდეგ დიდებას. დიდება რომ დამთავრდებოდა, ლუდს პირველად თავხევისბერი გასინჯავდა, მერე ყველა. ამის შემდეგ იწყებოდა დღეობა იმავე წესით, როგორც აიწერა აქ. მხოლოდ დღეიდან ხევისბრებიც აქ რჩებოდნენ წელწდის მეორე დღემდინ (კუ-

ზეტამდინ). დასტურ-ხევისბრები ყველანი ცხოვრობდნენ სადასტუროში, ანთებდნენ გაუქრობლად ცეცხლს. შობიდან წელწდის მეორე დღემდე ყოველ დღეს ორი კაცი მოდიოდა რიგრიგობით სოფლიდან. ე. ი. გოგოლაურთ რიგით მოუდიოდათ დღეში ორი კაცის მისვლა დასტურ-ხევისბრებთან. თითოს მიჰქონდა ოთხი ხელადა არაყი სახლიდან, ხინკალი და სამწვადე ხორცი, ან სხვა რამე კარგად გაკეთებული საუმელი და მთელი დღეღამის განმავლობაში სმაში და ჭამაში ატარებდნენ დროს. მეორე დღეს სანამ სხვა ორნი არ მოვიდოდნენ, პირველნი აქედან არ წავიდოდნენ.

ასე გრძელდებოდა წელშუის კვირას. წელწადღამეს აქ გაათევდნენ. ზოგიერთ ადგილებში მეკვლენი და სოფლის კაცებიც ხატში რომ ათევდნენ ღამეს, აქ ესეთი წესი არ იყო.

გოგოლაურთას აქვს მეორე სალოცავიც წმიდა გიორგი. იქ ცალკე დასტურ-ხევისბრები არიან და დღეობებსაც ცალკე აწესრიგებენ. აქაური დღეობები და იქაური არ განსხვავდებოდნენ ერთიმეორისაგან.

წელწადი

ახალწელ დილას, მანამ თავის ხატში რამე წესს შეასრულებდნენ, თავარმოწამის ხევისბერი ააბძანებდა დროშას, გაუძღვებოდა აქაურ დასტურ-ხევისბრებს და წმიდა გიორგის ხატში მიუკვლევდნენ, კვალს მიუტანდნენ. ამათი დროშის ზარის ხმას იქ რომ გაიგონებდნენ, ისინიც მზად იყვნენ და დროშით გამოეგებებოდნენ წინ. შეხვდებოდნენ დანიშნულ ადგილას, სადაც პატარა დამოედნება არის იმ გვერდალ გორზე. ერთიმეორეს შეესალმებოდნენ, გადაკოცნიდნენ ერთი-მეორეს და მიულოცავდნენ ახალ წელს. პირველად თავარმოწამის ხევისბერი დაიწყებოდა მილოცვას: „შემოვდგით ფეხი, გწყალობდეთ ღმერთი, ფეკი ჩვენი, კვალი ანგელოზისი, დიდი გიმატებიათ, დიდი გიმატოსთ ახლის წლის გამოცვლამა, მიგაგებოსთ მრავალსა წულითა, სიხარულითა, ერთურთის კარგად ყოფნითა“. ასეთივე სიტყვებით ყველანი ულოცავდნენ ერთიმეორეს. ახალი წლის გამოცვლისათვის უსურვებდნენ ბედნიერი და ბარაქიანი წლის დადგომას.

ეს რომ მოთავდებოდა, ცალკე-ცალკე გაირჩეოდნენ და ერთურთის პირდაპირ მწკრივზე დადგებოდნენ. პირველად ხევისბრები გამოითხოვდნენ საჭიდაოდ ერთიმეორეს და მერე ყველა თითოობით გამოითხოვდა ფალავანს. წაქცეული ნებდებოდა ვითომც ტყვედ და გამარჯვებულს მიჰყავდა თავის ჯგუფში. აქ ორივე მხარეს სასმელი თავთავისი ჰქონდათ და ტყვეს უმასპინძლდებოდნენ, სცემდნენ პატივს, მერე ანთავისუფლებდნენ და უბრუნდებოდნენ ისევ თავის ჯგუფს. ეს გრძელდებოდა ჯერ ხევისბრებში, მერე წლის ბერბში. ამ ხნის გან-

შავლობაში სოფლის ხალხიც აქ იყრიდა თავს და მათ შორისაც იმართებოდა ასეთი ჭიდილი, ბოლოს, როცა ეს ამბავი მოთავდებოდა, წმიდა გიორგის ხევისბერი დროშით გაუძღვებოდა კოშკისაკენ, სადაც დროშის საბძანი იყო. მასვე გაჰყვებოდა თავარმოწამის ხევისბერიც და კოშკზე მიაბძანებდნენ დროშებს. ამის შემდეგ მიიპატიჟებდნენ წმიდა გიორგის დასტურ-მსახურნიც პირველად თავარმოწამის დასტურ-მსახურთ და მერე ყველა ხალხს. დაიკვლებოდა ორი საკლავი, ერთი წმიდა გიორგის, მეორე თავარმოწამის სახელზე. გააატყავებდნენ და მოხარშავდნენ თავ-თავის დასტურნი და დაურიგებდნენ ხალხს წვრილად დანაწილებულ ხორცს. პური — ხალხის მოტანილი ხმიადები იყო წვრილ-წვრილად დაჭრილი. ხევისბრებს ცალკე ჰქონდათ სუფრა, სპილენძისაგან გაკეთებული სამფეხა მრგვალი მაგიდა, რომელიც ხატებში ბევრგან იყო (მას ხალხი სწირავდა). სასმელი სოფლიდანაც ჰქონდათ მოტანილი და დასტურ-ხევისბერსაც ამ დღესათვის განსაკუთრებით ჰქონდათ კარგი და ბევრი ლუდი დამზადებული. მას ადუღებდნენ ცალკე, განსაკუთრებით. ჩაადუღებდნენ სხვა ჩვეულებრივ ლუდზე მეტად. ტკბილი ძალიან. გახშირებოდა, რომ გასწურავდნენ, დააყრიდნენ სვეს, რამდენიც ფქვილი იყო ჩაყრილი, იმდენს. თუ სვის იმედი არ იყო, რომ კარგად გასჭირდა, მაშინ მეტსაც დააყრიდნენ. ჩვეულებრივ ლუდს ჯიგვიან ხელს ჩაადუღებდნენ, ამ განსაკუთრებული ლუდის სისწვენს კი ერთ გაშლილ ხელს ჩაადუღებდნენ (ჯიგვიანი ხელი: ხუთივე თითი ერმანეთზე მიწყობილი, ხელის სიგანე). საფუარშიც განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ, რომ კარგი ლუდი გამოსულიყო. აი, ასეთი ლუდით გაუმასპინძლდებოდნენ სტუმრებს და იმართებოდა მთელი დღე მხიარულება სიმღერა-თამაშობით. უფრო ხშირი იყო ფშაური სიმღერა და ისაც თავის პირისა. ე. ი. მილექსება. ერთი შაუმღერნებდა მეორეს, ახალად გამოიგონებდა, ლექსს და მეორეც მოასწრებდა და ლექსითვე უპასუხებდა, რაზედაც ხალხი სიცილით იხოცებოდა. აი, მაგალითად, სიძე-ცოლისძმის გალექსება ასეთი წესით ხდებოდა:

— შინ წასვლა ხო არ გწადიან, თევდორევ, რასა სწუხდები,
— მწადიან, წავალ კიდეცა, თუ იორს გადაურჩები.
— დაგემ დაგლიოს, მე დამრჩეს შენის მამულის ყუბჩები,
— ჩემს მამულს ვერ მოუვლიან, კოფავ, შენფერებ ქურდები.
— დიგპარავ ქამარ-ხანჯართა, თუ ჩემს ღმერთს გადაუდგები,
— წავალ, პრისტავთან გიჩივლებ, ცომბირს არ გადაურჩები.
— ისევაც გამომიშვებენ, ძმობილები მყვან რუსები.

ძალიან გავრცელებული იყო და ჯერაც არის ფშავში ასე მოსწრებული სიტყვებით გალექსება ერთიმეორისა, თითქმის მეტ წილ

დროს ასეთ ფშაურ მღერაში და ლექსობაში ატარებდნენ. ხანდახან სამი-ოთხი კაცი გადაეკიდებოდა ერთიმეორეს სალექსოდ. ფშავლებმა ჩხუბი არ იცოდნენ და თუ სიმთვრალის დროს იშვიათად ჩხუბი მოხდებოდა, მათრახები ჰქონდათ და იმით იჩხუბებდნენ. ერთიმეორის წახმარება ადვილად იცოდნენ, უფრო თავისები თავისებს გაუჯავრდებოდნენ ჩხუბის დროს. შერიგებაც მაშინვე თავისთავად იცოდნენ. ასეთი დროსგატარებით აღამებდნენ ახალწელს. საღამოხანზე თავარმოწამის ხევისბერი ააბძანებდა და დააწკრიალებდა დროშის ზარს, ააბძანებდა თავის წმიდა გიორგის დროშას აქაური ხევისბერიც და კარგა ხანს ხელზე აქანავებდნენ და აწკარუნებდნენ ზარებს. ხალხი ამ დროს ქუდმოხდილი პირდროშისაკენ იდგა, პირჯვარს იწერდა და ევედრებოდა ორივე სალოცავს, რომ ბევრი წელწადი მოსვლოდათ მშვიდობისა, თავის სალოცავების დახმარებით. მერე ორივე ხევისბერს მიუტანდნენ ლუდით სავსე ვერცხლის თასებს. ორივე ხევისბერი ადიდებდა თავის სალოცავს, თავარმოწამის ხევისბრები — თავარმოწამეს, წმიდა გიორგის ხევისბრები — წმიდა გიორგის. იმათი სახელით დალოცავდნენ ხალხს და უსურვებდნენ მრავალი ახალი წლისათვის ბედნიერად დასწრებას. ხალხიც მადლობას უხდიდა. ხევისბრები გამოცლიდნენ ამ თასებს და დაიძახებდნენ: „ასე დაგეცალოსთ მტერი და ორგულიო!“ დასტურები თასებს ჩამოართმევდნენ და დაალევინებდნენ ერთის დასტურნი მეორეთ და მეორესი იმათ. ბოლოს ხალხს ურიგებდნენ ლუდს, გამოემშვიდობებოდნენ ერთიმეორეს და თავარმოწამის დროშას წამოაბძანებდნენ, წმიდა გიორგის დროშით გამოჰყვებოდა მისი ხევისბერი და გამოაცილებდა კარგა მანძილზე, განსაზღვრულ ადგილამდე, მანამ თვალით არ დაჩნდებოდა თავარმოწამის კოშკი და საზარე. მერე ხევისბრები ერთიმეორეს აკოცებდნენ, წმიდა გიორგის დროშით მისი ხევისბერი უკან დაბრუნდებოდა, თავარმოწამის ხევისბრები კი გზას განაგრძობდნენ თავის სალოცავისაკენ. ორივე დროშას და ხევისბერს თან ახლდნენ დასტურნი და ხალხიც თან გაყვებოდა, თუ ვისმე შეთქმული ჰქონდა წელწად-დილას ზღვნობა ან სხვა რამე შესაწირავი. ოღონდ ასეთი შემთხვევა ხშირი არ იყო, რადგან ამ დღეს არავის ეცალა საზღვნოდ. ყველა პატიჟობდა ერთიმეორეს და იყო სიმთვრალე. როცა მოვიდოდნენ თავარმოწამეში, ხევისბერი დროშას დააბძანებდა კოშკზე და დაამწყალობნებდა დასტურთ, მსახურთ და ყმათ. იქ მყოფნი ყველანი ქუდმოხდილნი პირჯვარს იწერდნენ და პასუხობდნენ: „თქვენიცამც მწყალობელია“. კაცი სოფლიდან მორიგებით აქაც მოდიოდა და მოჰქონდათ თავიანთი ოჯახებიდან სასმელ-საჭმელი. ეს გრძელდებოდა კუმეტამდინ. აქ მოსული კაცები თავის სუფრას მოამზადებდნენ, ხატის მსახურთაც თავისი ჰქონდათ სასმელიც და საჭმელიც,

წმიდა გიორგის ხატიდანაც გაატანდნენ საგზაოდ თავარმოწამის მსახურთ იმ საგანგებოდ დამზადებულ ლუდს და დაიწყებოდა ქეიფი.

ხალხი რომ წავიდ-წამოვიდოდა, ახლა სახლებში იწყებოდა მეკვლეობა, კვალის შეტანა. ყველა დაუძახებდა მეზობელს, მამაკაცს, თუნდა ბავშვიც ყოფილიყო და შეატანინებდა კვალს, მანამდე სხვა ვერავინ შევიდოდა ოჯახში, ·ვერც დაუძახებდნენ. კარებს დაუკაკუნებდნენ, თუ ·ქმე რამე ექნებოდათ და კარებიდან მოშორებით დადგებოდნენ. თუ კვალი შეტანილი ჰქონდათ, სახლში შეიპატიჟებდნენ, თუ არა, გარედანვე გაისტუმრებდნენ. კვალის შეტანა დაცდილი ჰქონდათ: თუ რომელიმე კვალის შემტანისაგან კვალი კარგად დაუჯდათ და ის წელი კარგად გაიარეს, მაშინ იმავე მეკვლეს შეატანინებდნენ კვალს. თუ წარსული წელი ცუდად დაუჯდათ, მაშინ შეიძლებოდა მეკვლის გამოცვლა. ზოგს „კარგი კვალი ქონდა“, ის თუ კვალს შეუტანდა, იმ წელს კაცითაც კარგად იქნებოდნენ და საქონითაც. ყველა ეშურებოდა კარგი კვალის მეკვლეს. თითქმის სოფელში ყველამ იცოდა, ვინ იყო კარგი კვალისა და ვინ ცუდისა.

ყველა ოჯახს ქონდა გამომცხვარი „გოგა“ (ხევსურულად სამეკვლაო). გოგა დაჭრელებული იყო ერთ გვერდზე; მეკვლე რომ მოვიდოდა, დაიწყებდა მილოცვას: „შემოვდგი ფეკი, გწყალობდეთ ღმერთი, ფეკი ჩემი, კვალი ანგელოზისი (ზოგი ამბობდა: კვალი ჩემი, კვალი ანგელოზისი), დიდი გიმატებიათ, დიდი გიმატოსთ ახლის წლის გამოცვლამ, მრავალს დაგასწროთ შობა-ახალწელსა“. დამხვედრებიც პასუხობენ ასეთსავე მილოცვით და თან გოგას მიაგებენ (ხევსურეთში სამეკვლაოს შემოაგორებს ხატში ღამეგანათენები მეკვლე, ამავე ოჯახის ერთერთი წევრი, რომელიც დილით მოდის ხატიდან. მეზობლისაგან კვალის შეტანა იქაც იციან, მხოლოდ სამეკვლეოს შეგორების შემდეგ. ფშავში კი პირდაპირ მეზობელი მეკვლე აგორებს გოგას). მეკვლე გოგას სამჯერ გამოაგორებდა კარებიდან ქაზდარში (იატაკი) და სამჯერვე მიუტანდა ერთ-ერთი ოჯახის წევრი. ყურადღება ექცეოდა, წაღმა შემობრუნდებოდა გოგა თუ უკუღმა (ხევსურეთში კი რომელ გვერდზე დაიდებოდა), წაღმა შემობრუნვა იყო მარჯვნიდან მარცხნივ, ეს იყო მომავალი წლისათვის კარგი ნიშანი. თუ მარცხნიდან მარჯვნივ შემობრუნდებოდა, ეს მოასწავებდა დამდგომ წელში რაღაცა უბედურებას. ოჯახის ქალები ხშირად ამბობდნენ: „ეჰ წელს. ჩვენი გოგა უკუღმა შემობრუნდა და რა კარგი დაგვემართებოდაო“.

ერთხელ შემობრუნვა უკუღმა ნიშნავდა პატარა რამე ცუდს, ორჯელ და სამჯერ უფრო ცუდს. ვისი გოგაც წაღმა შემობრუნდებოდა, ის ოჯახი კი დაიმედებული იყო, რომ მათი ცუდიც კარგად შეიცვლებოდა დამდგომ წელს. მეკვლე რომ გოგას შემოაგორებდა,

გადმოდგამდა ფეხს ზღურბლზე და კიდევ გაიმეორებდა მილოცვას. მასპინძლები ყველანი ფეხზე ადგომით მიეგებებოდნენ და ისინიც ულოცავდნენ ახალი წლის გამოცვლას. მერე დასხდებოდნენ და ოჯახში თუ კი რამე კარგი სასმელ-საჭმელი იქნებოდა, გაუმასპინძლდებოდნენ მეკვლეს. ერთიმეორეში არეული თაფლ-ერბო აუცილებელი იყო მეკვლის პატივისაცემად. თაფლი ოჯახში ყველას არ ჰქონდა, მაგრამ აუცილებლივ უნდა სადმე ეშოვნათ. რადაც არ უნდა დამჯდარიყო და ერთი ჩარექი მაინც ჰქონოდათ ახალწლისათვის მეკვლის მისალოცად და პატივსაცემად. არაყი ამ დღეს ყველას ჰქონდა, უფრო კარგი არაყს მეკვლისათვის ინახავდნენ. მეკვლეს პატარა ჯამით თაფლერბოს სახლშიაც გაატანდნენ.

მეკვლე ყველას უნდა მიეყვანა წელწად-დღეს (ხევსურეთში ზოგს მეორე-მესამე დღემდინ რჩებოდა მეკვლის მიყვანა). მეკვლეობა რომ მოთავდებოდა, ყველა პატიჟობდა ერთიმეორეს, ულოცავდნენ ახალწელს და იმართებოდა ლხინი. ხშირად მღეროდნენ ფშაურად ერთსადაიმავე სიმღერას.

ჩიტი შემოჯდა ღობეზე, იძახდა იშრიშობასა.
ბევრსამც აემდროს ილოცავთ წელწადსა, ქრისტიშობასა.

როცა სოფელში მოსწყინდებოდათ ერთიმეორესთან მისვლა-მოსვლა და მილოცვები, ქალი და კაცი ყველა ხატისაკენ წავიდოდა, ყველას მიჰქონდა ხინკალი, კეცეული, არაყი, ხილი და სხვა რამე სასმელ-საჭმელი ხატიონთათვის. ქალები მივიდოდნენ ხატის ცოტა მოშორებით, მიჰქონდათ ქადები, თხილი, კაკალი, არაყი და აქ იმართებოდა ლხინი, ხატიდანაც გამოუტანდნენ ლუდს და ამ დღეს აღამებდნენ სმაში და მხიარულებაში.

ა ხ ვ ს ე ბ ა (აღდგომა)

წელწდის შემდეგ პირველი დღეობა თავარმოწამეში მოდიოდა ახვსება. ახვსებას განსაკუთრებული არაფერი იყო, მიმდინარეობდა ყველა იმ წესით, რაც აქ სხვა ჩვეულებრივი დღეობებში აიწერა. დასტურთათვის ეს უკანასკნელი დღეობა იყო, როგორც ითქვა, ამაღლებას გამოილოცავდნენ ძველნი და შეილოცავდნენ ახალნი დასტურნი.

ს ხ ვ ა დ ა ს ხ ვ ა ც ნ ო ბ ე ბ ი ა მ ხ ა ტ ი ს ი რ გ ვ ლ ი ვ

თავარმოწამე იყო ძალიან მადლიანი. ერთი კუდოელი კაცი ყოფილა, ძალიან რწმუნებული თავხევისბერი (კუდო, გოგოლაურთიდან დაშორებულია ოცდახუთი კილომეტრით, ცხოვრობენ მამა-პაპით აქ გადმოსახლებული გოგოლაურები). წელწადში თოვლი მოსულა და ამ ხევისბერს წამოსვლა დაზარებია თავის სალოცავ თავარმოწამეში. წელწადღამეს ჯალაფნი დიდხანს მსხდარან, ხევისბერიც გვიან დაწო-

ლილა. ტანთ გაუხდია და წინდა-ახალუხიანი წოლილა. ერთი კი დასძინებია და გაუქადაგებია თავარმოწამეს. წამოვარდნილა და გამოქცეულა ქადაგობით გოგოლაურთისკე წინდიანი და ახალუხიანი, უქუდო. წინდები დაგლეჯილა და ფეხშიშველა დამრჩალა იმ თოვლში და სიცივეში. თავარმოწამის სადასტუროში ყოფილან ადგილობრივი დასტურ-ხევისბრები. თურმე თენება არის და მოესმათ ქადაგობა, ცოტახანიც და ხევისბერი მოვარდა ოფლიანი; მიეგებნენ აქაურებიც და თურმე მოითხოვა სანთლები, გავიდა ისევ ფეხშიშველი და კოშკთან დაბრძანებულ დროშასთან დაანთო ჩოქით, თავის ხრით და მადლის თხოვით. მერე შემოვიდა დამშვიდებული და დაჯდა სადასტუროში. არც ხელები ჰქონდა მოყინული და არც ფეხები. მერე მოუყვა თავის ამბავს, როგორ დაიზარა წამოსვლა და როგორ წამოაგდო და გამოაქცია თავის სალოცავმა შუაღამისას. გაიგეს მისმა ბიძაშვილებმა, რომლებიც აქვე გოგოლაურთაში ცხოვრობდნენ, მოუტანეს ჩასაცმელ-დასახური და ლოგინი. ერთი საკლავიც სამანანულ (რომ შეინანა შეცოდება) მოიყვანეს და დაკლეს.

თავარმოწამე იყო ლაშქარში დამხმარე. მისი დროშით გაუძღვებოდა ხევისბერი სალაშქროდ წასულ ხალხს და ხშირად ბრუნდებოდნენ გამარჯვებულნი. იმ დროს ფშავლები ქისტებსაც ლაშქრავდნენ და ხევსურებსაც. მთხრობელის პაპა ნადირა (ახლა ესენი ეწერებიან ნადირაშვილებად) გასძღოლია ლაშქარს თავარმოწამის დროშით მითხოში ლაშარის ჯვარის დროშასთან ერთად და გამარჯვება მოუპოვებია. ლაშარის ჯვარი მოძმე არის თავარმოწამისა და ლაშარში მოუყვანია ეს სამოცი ხარი მითხოდან წამოყვანილი.

ერთხელ ხევისბერი გარა თურმანაული წასულა თავარმოწამის დროშით და ლაშქრით პირიქით ხევსურეთს შატილში და დაუმარცხებია ესინი:

გარამა თურმანაულმა ფშავის ქვე მაიარაო,
შაყარა მძიმე ლაშქარი, მითურა შაიარაო,
წითელ-ყვითელი დროშაით ბოროლა გადიარაო.
ქისტან ატირდა ბებერი — ლაშქრით სად მიხვალ, გარაო?
— შატილს მივდივარ, ბებერო, ვარდანამ დამიბარაო,
მე-დ იმან უნდა ვიომოთ, უნდა იჭეხოს ცამაო.
გვერდ უნდა გადაიქციოს ვარდანის ციხის ქავმაო,
პირ ცრემლით უნდა იბანოს შუქომ — ვარდანის დამაო,
უნდა დაერდენ მასკვლავნი, აღარ იწვიმოს ცამაო,
უნდა ჭყიოდნენ გოზანი ვარდანის ციხესთანაო.
უნდა ტყვრებოდენ ისარნი ციხის წვერ ჩარდახთანაო.
გათენებისად მიადგეს ვარდანის ციხის კარსაო,
კარზე გამოდი, ვარდანო, ნუ მაიმთვრალებ თავსაო,
თას თუ გეპიროს ჭელჩია, გადააწვადე სხვასაო,

ფანდურ თუ ჯელჩი გეჭიროს, ძმას მიეც მგელიასაო.
— გამუალ, მგელიაის მზემ, გამოვიყოლებ ფარსაო,
ვაი თქვენს ვარდანს, მშავლებო, ვერ გადმავასწვერ ქავსაო,
თორ ქვიშათ ჩაგიწითებდით, გაზიდეიებდით მკვდარსაო.

ამ ბრძოლაში გარას წინამძღოლობით მოუკლავთ სახელგანთქმული ვარდანი და გამარჯვებული დაბრუნებულა გარა ნადავლით თავარმოწამეში. ვერცხლის ნადავლს ხატს სწირავდენ, ხოლო ნადავლი ცხვარ-ძროხა და სხვა რამე, ხალხზე იყოფოდა. ხევისბერს საწინამძღვროს აძლევდნენ მეტად ერთ ხარს.

მამულები

გადასული ხალხის მამულები სახატოდ რჩებოდა. ხშირი იყო სოფლიდან სოფელში გადასახლება, მაგალითად გოგოლაურთიდან მაღაროსკარში სახლდებოდნენ, რადგან ორივე ადგილი გოგოლაურებს ეკუთვნოდათ და ორგანვე გოგოლაურთის ხატის ყმები ცხოვრობდნენ. იქაც გადადიოდა ხალხი, იორზედაც, ერწოსა და კახეთშიაც. გადასული მეკომურები ხშირ შემთხვევაში ხატს სწირავდნენ მამულს. აიღებდნენ თავის მამულიდან მიწას, მიიტანდნენ ხატში, გადაყრიდნენ და იტყოდნენ: „დალოცვილო თავარმოწამეო, შენდ შამომიწირიან ჩემი კუთვნილი მიწა-თიკანი, შენ შაიწირე, დაზდევ ჯელი, მე წყალობა გამამაყოლე. გზაშიაც მიშველე, მგზავრობაშიაც, ველთაც და შინაც. დამიკსენი ყველა გაჭირვებიდან ჩემის საქონ-ჯალაფობით“. მერე ეს მიწა რჩებოდა სახატედ. აქ მომიზეზებით და ავადმყოფობით მამულების შეწირვა არ იცოდნენ.

ხატს, როგორც ზემოთ თავში ვთქვით, ორივე მხარეს — აღმოსავლეთით და დასავლეთით — ჰქონდა ნაყევრალები. ერთ წელიწადს ერთ მხარეს ხნავდნენ ნადით, მეორე წელს მეორე მხარეს. ერთ წელს ერთი რჩებოდა ყამირებად, მეორე წელს მეორე. ყამირებს დასტურები თიბდნენ. აქვე იყო სხვა სათიბეებიც და იმასაც დასტურები თიბდნენ. ამ ნაყევრალების დამუშავების წესი ზემოთ აიწერა. იყო მეორე რიგის მამულები, რომელსაც ხალხი საღალედ ხნავდა. განაწილება ამ მამულებისა არ შეიძლებოდა; ვისაც უნდოდა, ის მოხნავდა და როცა გალეწავდა, სახატოდ მარტო ხუთ ლიტრა ქერს ჩაყრიდა კარგად გარჩეულს. თუნდ ბევრი ჰქონოდა მოხნული, თუნდა ცოტა, მაინც ხუთი ლიტრა იყო გადაწყვეტილი ჩასაყრელად. დანარჩენი დამმუშავებელს რჩებოდა. მხოლოდ ხატის მამულზე წმიდა ხალხი მუშაობდა. მრევლი იქ ვერ გაივლიდა. სახატო მამული გაფანტული არ იყო, უფრო ერთიმეორეზე მიჰყვებოდა, რადგან გაფანტულ მამულებს მრევლი ვერ გაიგებდა, ზედ გაივლიდა და ხატის წესრიგი წმიდად არ იქნებოდა დაცული. ერთ ადგილზე კი ყველამ იცოდა და

მრევლი შორიდანვე ერიდებოდა. ამიტომ არ იყო მირეული ხატის პური და მამული.

ხევისბრობა

ხევისბრობა მემკვიდრეობით არ იყო. ხევისბრად მიმსვლელს ხატი პატარაობიდანვე ამიზეზებდა — ხან ავად ხდებოდა, ან გააქადაგებდა და ხატივე ავალებდა სიწმიდეს. უმკითხავებდნენ მკითხავები, ძველი ხევისბრები. ზოგი მათგანი გაჯიუტდებოდა და არ მივიდოდა ხევისბრად. მერე გახდებოდა ავად და მეტი გზა აღარ ექნებოდა, უნდა გაეგონა მკითხავ-ხევისბრებისათვის და მისულიყო ხატში. პირველად მიმსვლელ ხევისბერს, თუ ხუთით არა, სამი საკლავით მაინც უნდა ენათლა ხელ-მხარი, რომ ღირსი გამხდარიყო ხევისბრობისა.

ზევით გამოგვრჩა: ხატის პური, გარდა ლუდისა, არაფერზე იხარჯებოდა. ქადა-პურები დასტურის ხარჯი იყო, ფქვილიც და ხავიწიც. სახატო პურებს გამოაცხობდნენ არამრევლი დედაკაცები; ბოსლობის შემდეგ თუ სიწმიდის მეხუთე დღე არ ექნებოდათ, ისე ვერ გამოაცხობდნენ.

თავარმოწამეს ვენახიც ჰქონდა კახეთში, სოფელ ხოდაშენში. ეს ვენახი მაშინ იყო შემოწირული, როცა თუშ-ფშაველ-ხევსურებმა თათრები გარეკეს ბახტრიონიდან და კახეთიდან. მაშინ თუშ-ფშავ-ხევსურთათვის უთქვამს მეფეს: რა გინდათ, რომ მოგცეთ საჩუქრადაო. თუშებს მოუთხოვიათ ალვანი და მეფესაც მიუცია. ფშავ-ხევსურებს კი უთქვამთ: ჩვენ მთის ხალხი ვართ და ბარის სიცხეს ვერ ავიტანთ, ამ ომის მოსაგონებლად და თქვენ სადღეგრძელოდ მოგვეცით ვენახები, დავამუშავებინებთ, ღვინოს დავაყენებთ და ყველა თავ-თავის ხატში წავიღებთ კულუხსო. ხატსაც ვადიდებთ იმის ზედაშით, ჩვენც წელიწადში ერთხელ მაინც დავლევთ კახურ ღვინოს და თან მოვიხსენიებთ ამ ბრძოლაში დახოცილ პირებსაო. ხელმწიფესაც ყველა ფშავ-ხევსურეთის დიდი ხატებისათვის შეუწირავს მამულები კახეთში, აქედან ათენგენას, საღმურთობას და სერობას (სამივე დღეობა მკათათვეშია სხვადასხვა რიცხვებში და ადგილებში. ამ დღეობაში ბევრი მლოცავი მოდის). კულუხზე იგზავნება რამდენიმე კაცი, როგორც აიწერა ხოშარის ძელის ანგელოზში, მოაქვთ ღვინო და დაიდგმება საყეენო. ერთ-ერთ დღეობაში მორთავდნენ ერთ კაცს, აუვსებდნენ, დიდ თასს ღვინით, არაყით ან ლუდით და ხელში მისცემდნენ. ყეენი დადიოდა კარი-კარ, მას სხვა ხალხიც თან დაჰყვებოდა. გზა-დაგზა ხალხი საყეენოდან სვამდა სასმელს და ან თეთრ ფულს ჩაყრიდნენ საყეენოში, ან სხვა რამეს აჩუქებდნენ. ამ ხალხს ბევრი

რამე შეუგროვდებოდა, გადასცვლიდნენ ყველაფერს სასმელ-საჭმელ-ზე და მერე ამითი ქეიფობაში ატარებდნენ დროს.

ხატებში დასდგამდნენ კახეთიდან მოტანილ ღვინით სავსე დიდ თასს საყეენოს და ჩადიოდა ფულს ხალხი (ეს აწერილია ხოშარის ძელის ანგელოზში). ეს ფული რჩებოდა ხატის სასარგებლოდ. რაც ღვინო დარჩებოდა კახეთში მარანში, იქაც დადიოდა მლოცავი ზღვნით. ზოგს მლოცავთან ხარჯავდნენ, ზოგს ფულად აქცევდნენ და მეორე წელს ისევ ვენახში დამხმარე მუშებს აძლევდნენ. ზოგს კიდევ იქ რომელი კაციც ცხოვრობდა ყარაულის სახით, ის იყენებდა სარჩოდ და ჩასაცმელ-დასახურის საყიდლად. სწორედ ასეთი თასი, რომელსაც საყეენოდ ხმარობდნენ, იყო ყარტაულას ჩაჩქანი რკინისა, რომელსაც ხმარობდნენ თავარმოწამეში საყეენო თასად. თავარმოწამემ რომ მდიდარი ყარტაულა ამოსწყვიტა თავისი მუშებითა და ხიზან-ჯალაფობით (აღწერილია ზემოთ), მაშინ იმის ქონებას თვითონ დაპატრონდა და ის ჩაჩქანი მაშინდელია.

თავარმოწამე იყო ძალიან მრისხანე ხთიშვილი; თუ თავის ყმათ რამე უწესობას შეამჩნევდა, ან ხელით, ან ენით, ან უფრო მირეულობით (უფრო მეტად მოითხოვდა სიწმიდეს), არ აპატიებდა და ამოსწყვეტდა. ჯერ ერთხელ ამოსწყვიტნა თავისი ყმანი უწმინდურობაზე და წმიდა გიორგიმ მისცა თავის ყმათ ნაწილი. მეორედ იმათაც ვერ შეასრულეს მისი სიწმიდის წესები და ამოსწყვიტნა სულ. მესამედ წმიდა გიორგიმ უთხრა: თავის ყმანი ხომ გაათავენ და ჩემთ ყმათაც ათავებ. ერთ-ხელ კიდევ მოგცემ ყმათ და გაფრთხილდი, აღარ ამოსწყვიტნო, თორემ მეტს აღარ მოგცემ და შენც უყმოდ რისიღა ბატონი იქნებიო. თავარმოწამემ თურმე უთხრა: შენ შეგიძლიან მოითმინო და რა ვქნა, მე არ მიწესობს მირეულობა და ვერ მოვითმენო. ამის შემდეგ ჩემთ ყმათ არც სულ გავსწყვეტ და არც სულ გავათავებ, იმის პირობას მოგცემო. ამ პირობით ჰყვანდნენ თავარმოწამეს მესამედ მიცეშული ყმანი. მართლაც, არც სულ თავდებოდნენ და მათი გამრავლება ხომ წესი არ იყო. თავარმოწამის ყმანი თვითონაც სულ იმას დაიჩივლებდნენ: ჩვენ ჩვენი სალოცავი არ გაგვიშვებს, რომ გავმრავლდეთ, სულ ერთ მამაზე მოვდივართო. თითქმის არავის ახსოვდა, რომ სამი ძმა ყოფილიყო თავარმოწამის ყმათა ოჯახში. თუ იქნებოდა, აუცილებლივ დაზარალდებოდნენ და ისევ ერთზე ჩამოვიდოდა შთამომავლობა.

გადმოცემა ზარისჭალაზე

ზარისჭალა არის გოგოლაურთის სოფლის ბოლოში, ჭალაში, პატარა ადგილი, მოწყვეტილია სხვა სოფელს და არის ერთი ან ორი

კომლის საცხოვრისი. ზარისჭალის მაღლა, ჩრდილოეთის მხარეზე, იყო მთავარი საბრძანებელი თავარმოწამისა, მასთალიდან სადაც გამობრძანდა და დაარსდა. აქ იყო საბეროკ, სადასტუროკ, სალუდეკ. აქვე იყო დიდი საზარე, სადაც ეკიდა ძალიან კარგი ზარი.

გოგოლაურების ადგილს საზღვრავს შუაფხოვლების ადგილისაგან ამ ორი სოფლის შუა მდებარე ნაროულას ხევი. გოგოლაურებსა და შუაფხოვლებს ბევრჯერ ჰქონიათ დავა ამ საზღვრის გადაწევა-გადმოწევაზე. დავაში თურმე მონაწილეობას იღებდნენ ორივე სოფლის სალოცავები: შუაფხოს სალოცავი იახსარი და გოგოლაურთის თავარმოწამე. თავარმოწამე თავის ყმათ ამცირებდა, როგორც ვთქვით, უწმიდურობის გამო, იახსარი კი ამრავლებდა, ცოდვებს აპატიებდა და სასიკვდილოდ ადვილად არ გაიმეტებდა. თუ ვინმე რამეს სცოდავდა, მოამიზეზებდა, საკლავ-ზღვნითა, სანთლითა და ჯურუმით გადაახდევინებდა, ცოდვას აპატიებდა და მოარჩენდა შენანების შემდეგ. ამ ნიადაგზე ქისტაურები (შუაფხოვლებს ქისტაურებს ეძახიან, რადგან ამბობენ: მაგათი წინაპარი ქისტი ყოფილა, ცხორეგოველი, იქიდან კაცის მოკვლაზე გამოხიზნული) გამრავლებულან და ადგილი აღარ ჰყოფნიდათ. იახსარიც ხელს უწყობდა და თვითონაც ძალით მოინდომეს საზღვრის გადატანა. ერთ გაზაფხულზე ქისტაურები შეიყარნენ, მთელი დიდი გვარი წავიდა და სამანი ძალმომრეობით ხიშმუს ხევზე ჩადგეს (ხიშმუს ხევი გოგოლაურთ ცალცალკე მეკომურებს ორად ჰყოფდა), ისე რომ, საზღვარი გადაიტანეს ნაპირიდან გოგოლაურთის შუა ადგილში. მირეკეს ხარ-გუთანი და თავარმოწამის სანადო მიწებს დაუწყეს ხვნა, ვითომ იახსარის სანადოდ უნდა გადაექცეთ. სიწმიდის დარი იყო. რომ წამოსადილდა, კიბულიდან წამოვიდა პატარა შავი ღრუბელი (კიბული არის გოგოლაურთის თავს ძალიან მაღალი მთა), უცბად გაიბერა ეს ღრუბელი და ისეთი სეტყვა გამოუშვა, რომ ქისტაურების ხარ-გუთანი და კაცი სულ ჭალას მიაბარა ნიაღვარმა. თავარმოწამის საზარეც თავის ზარით ჭალას ჩამოიტანა, ზარიც გატყდა ცოტათი. მერე მკითხავების პირით ჰქონდათ ლაპარაკი იახსარსა და თავარმოწამეს. იახსარი ეუბნებოდა: გაუშვენ ჩემნი ყმანი, შენ ადგილი ბევრი გიჭირავს და ყმანი ცოტანი გყვანანო. თავარმოწამე ეუბნებოდა: გავუშვებ, მხოლოდ მე უნდა დამეყმნენო. იახსარმა უთხრა: მე ჩემნი ყმანი დასალევად არ მინდიან, შენ თავის ყმანი გაათავენ და ახლა გინდა ჩემ ყმათ მიჰყო ხელიო. ვერ შეთანხმდნენ და მიჯნა კი ისევ ძველ ადგილზე გადმოიტანეს. არ გაუშვნა თავარმოწამემ, აღარც ზარი მიიღო უკან. მერე მასთალას აიტანეს და ახლაც იქ არის. მას შემდეგ ამ ჭალას დაერქვა ზარისჭალა. დღემდინ ეს სახელი ჰქვია.

გადმოცემები, დღეობები

მიამბეს პატარაობიდანვე ხევისბრებმა იახსარში ბიჭურ ბადრიაშვილმა, 60 წლისამ, და ჭრელ ჯიხვიაშვილმა, 67 წლისამ. მათ ახსოვთ გადმოცემა თავისი ძველი ხევისბრებიდან, როცა ისინი ხატში მოდიოდნენ და რამდენიმე დღით ცხოვრობდნენ საბეროში, მაშინ ისინი ასწავლიდნენ თავისი წინაპრების გადმოცემებს და ავალდებულებდნენ ესწავლათ შათგან, მერე კი გადაეცათ მომავალი ხევისბრებისათვის და ახალგაზრდობისათვის.

იახსარი პირველად ყოფილა ხორციელი „წმიდა ბერი", ხვთის მლოცავი და ხვთიდან მიცემული დიდი ძალის მქონე. ხვთიდანვე ჰქონდა მოცემული ძალა, ებრძოდა დევებს და ანადგურებდა. იმ დროს დევკერპნი ზეპირად გამოსულნი ყოფილან, ხოცავდნენ და სჭამდნენ ხალხს; მათის შიშით ადამიანები ვეღარსად მიდიოდნენ. ამიტომ მორიგე ღმერთმა იახსარსა და კოპალას — ერთურთის მოძმეთ, ორივე წმიდა ბერს მოულოცა ძალა და შეძლება დევებთან ბრძოლისა და მათი განადგურებისა. (კოპალაზე მერე გვექნება საუბარი). იახსარს ნინახში ჰქონდა პატარა სამლოცველო და საბერო. მისი სამლოცველოს ნანგრევი ახლაც არის კლდის თავზე. ახლანდელი ეკლესიის მსგავსად კარები აქვს. შემოსასვლელი დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ. აქვე გვერდზე ჰქონია თავისი საცხოვრებელი პატარა საბერო. ეს ადგილი მაშინაც და ახლაც დაბურულია მუხის ხეებით. აქვე საბეროს წინ იახსარს ჰქონდა საყუჩი — საყარაულო. ერთ ძირზე ოთხი მუხა იყო ამოსული, რომელიც ახლაც არის და ქორბუდიან მუხათ ეძახიან. აქედან ყარაულობდა იახსარი ერთ დიდსა და მდიდარ დევს. გამხვეურას. გამხვეურა ამ დევს იმიტომ ერქვა, რომ ის გახვევებული იყო ცოლშვილითაც და ცხოვრებითაც (გახვევებული: გამრავლებული, გამდიდრებული). ეს დევი ცხოვრობდა იახსრის საცხოვრებლიდან დასავლეთ მხარეს. იმ ადგილს შემდეგ დაერქვა გამხვეურთკარი — დევის სახელწოდებიდან. გამხვეურთკარის პირდაპირ, არაგვს გაღმა, სამხრეთისაკენ იყო კიდევ ერთი სოფელი დევებისა (ახლა აქ შუაფხოველები მოსახლეობენ და ეწოდება თხილიანა). სოფელ შუაფხოში კი ხალხი ცხოვრობდა, ქრისტაურები. შუაფხოდან ნახევარი კილომეტრის დაშორებით დასავლეთ მხარეს იახსარის ბინა იყო და აქედან ამდენივე მანძილით დაშორებით გამხვეურასი. გამხვეურას და იმის პირდაპირ მოსახლე დევებს ფაცერი ჰქონდათ გაბმული. ფშავის არაგვის ჭალაზე გამვლელ ხალხს იჭერდნენ და სჭამდნენ. როგორც ვთქვით, გამხვე-

ურა იყო დიდი დევი (არ იციან, რამდენ თავიანი), დედა ჰყავდა ცხრათავიანი და ცხრა შვილი ჰყოლია, სულ ვაჟკაცები:

ცხრათავა დედა ჰყოლიყო, ცხრათი გამზრდელი შვილისა,
სალუდე ქვაბი თავს ედგა, საზარელ იყო სინისა.

ეს დევები აქ რომ გამრავლდნენ, მოინდომეს ავისგორს დასახლება (ავისგორი: სადაც ახლა იახსარის ნიშია და იახსარს ლოცულობდა ხალხი, მაშინდელი იახსარის საცხოვრებელი ადგილი ნინახთისა და შუაფხოს საშუალო ადგილზე), წამოვიდნენ და აქ დაუწყეს სახლს შენება. გაიგო იახსარმა. აქვე ერთი ხევია — ხატისხევა, ამ ხევიდან მიეპარა და ბოლოზე აღმოჩნდა. დევების უფროსმა ძმამ თქვა: რა კაი სადილი მოდისო. უმცროსმა ძმამ უთხრა: სადილი კი არა, ეგ იახსარი არ იყოს, რომ ეგრე თამამად მოდისო. შეშინდნენ დევები და აირივნენ კიდეცა. იახსარი იმ დროს მივიდა, რომ კარისთავს დებდნენ ცხრანი დევნი და ვერ ერეოდნენ, იახსარს დასცინეს: „მოდი, ძმობილო, გვიშველე კარისთავის შადებაო" (კარისთავად შესადები დიდი ქვა იყო). იახსარმა გადიკვართა კალთები, მოავლო ხელი ქვას და მარტომ შეაგდო. შეშინდნენ დევები და გაიქცნენ, იახსარმა კარისთავიც იმათ ესროლა და გამხვეურთკარს სახლი დაუნგრია. ჯერ არ იყო ბრძანება მათი მთლიანად განადგურებისა, რადგან იორზედაც უნდა ამოეწყვიტათ, ამავე დროს კოპალას უნდა ამოეწყვიტა ისინი ციხეთგორს. კოპალას და იახსარს პირობა ჰქონდათ შეკრული: იახსარს იორზე ხაშარს უნდა გაეწყვიტა დევები. აქ სახელგანთქმული დევები ყოფილან მუზა და ბეღელა. მუზა ყოფილა დევების მეფე, ხოლო ბეღელა ლამაზი დევის ქალი. ხაშარს ბეღელას სკამი ჰქონია ქვისა, მაღალი. თურმე სკამზე რომ დაჯდებოდა, ისეთი გრძელი თმა ჰქონდა, რომ მიწაზე შვიდკეცად დაიდებოდა. უძილაურთის თავს არის ზედ მთაზე დიდი მოედანი, რომელსაც ჰქვიან ირემთკალო (უძილაურთა სოფელია ფშავში. აქ ცხოვრობენ კოპალას ყმანი. ირემთკალო რატომ ჰქვიან, მთხრობლებმა ვერ ახსნეს). იახსარსა და კოპალას აქედან ციხეთგორისკენ ქვები უნდა ესროლათ მჯობინზე და გაეგოთ, ვინ იყო მძლავრი (ციხეთგორი: ირემთკალოს პირდაპირი მთა. აქ არის ხევსურების პატარა სოფელი აკუშო, ამის მახლობლად მდებარეობს ციხეგორი). სახელგანთქმული დევები დაბარებული იყვნენ ყველგნიდან. იახსარს და კოპალას განზრახული ჰქონდათ ამ დროს დევების ამოწყვეტა. ბრძანებაც ასეთი იყო მორიგე ღვთიდან. იახსარი ჩუმად წავიდა და ხაშარის გადმოსავალში საპარავის ყელში ჩაუსაფრდა. ხაშრიდან წამოსული მუზა დევი ამ გზით გამოივლიდა ირემთკალოსაკენ მიმავალი. იახსარი აქ იმას მოკლავდა. მერე ხაშარს ჩავიდოდა და იქ ამოსწყვეტდა დევებს. მართლაც, მუზა მთაზე შემოხდა. გამოხედა

ირემთკალოს და იქიდან შემორიშხნა (ირემთკალო არის საპარავის ყელის მოპირდაპირე მთაზე. მუზამ რომ დაინახა კოპალა და დევები თავმოყრილი, დაიღრიალა და დაემუქრა. ამიტომ ამბობს მთხრობელი: შემორიშხნაო). ამ დროს იახსარი აქ იყო ჩასაფრებული, დაჭკრა თავში ლახტი და მუზა დევი მოკლა. სასიკვდილოდ დაჭრილმა დევმა დაიღრიალა. ხაშარში რაც დევები იყვნენ, იმათაც გაიგეს, რომ მუზას რაღაც გაუჭირდა. მანამ ისინი მოსაშველებლად გამოემართებოდნენ, მივარდა იახსარი თავისი ლახტით და სულ ამოწყვეტა ყველანი. სახლიც დაუქცია (მათი ნასახლარი ხაშარში ისევ არისო — ამბობდნენ მთხრობლები. ისეთი ქვებისგან არის ნაშენები, რომ თითო ქვას ოცი კაცი გვერდს ვერ გადაუქცევსო). ზოგები იორზე გაექცნენ, დაედევნა და გზადაგზა სულ ამოწყვიტა. ამ დროს ირემთკალოს რა ხდებოდა? დევებმა და კოპალამ სიპით დიდი კალოს ოდენი ადგილი დააზღვევეს (ირემთკალოს, ახლა საცა კოპალას საზარეა, იმ ადგილზე) იმიტომ, რომ ქვის სროლას რომ დაიწყებდნენ, სიმძიმისაგან მიწა არ ჩაბრუნებულიყო. ჯერ კი ელოდნენ მუზას და იახსრის მოსვლას და მერე კვირას მეთვალყურეობით დაიწყეს ქვის სროლა (ციხეთგორს ცხოვრობდნენ დევები, მათ ახლოს ცხოვრობდა კოპალა). დევების ფალავანმა გაისროლა ქვა და ციხეთგორს იქით (ახლა ხატის მამულია) დაეცა. ქვები ერთნაირი იყო, ახლა კოპალამ გაისროლა ქვა, კარგა დიდის ძალით გაისროლა, მაგრამ კვირამ ამ ქვას მათრახის წვერი წამოჰკრა, კიდევ გაამალა და იგი დევების გასროლილ ქვას შორს გადასცილდა. დევები შეეცადნენ, რომ უკან გადმოეწიათ, მაგრამ ვეღარ გადმოაგორეს (ახლაც ეტყობა ნაბრძოლი, ქვა უკან არის გამონთარიო, ამბობენ მთხრობლები). შეშინდნენ დევები და გაქცევა დააპირეს. დაერია კოპალა ლახტით და სულ ამოწყვიტა. სახლი დაუნგრია და იმათ სამყოფელს თვითონ დაპატრონდა. ახლაც მისი საზარე ისევ არის. ფშაველ-ხევსურები მიდიოდნენ ციხეთგორობას სალოცავად. აქედან იწყება კოპალასა და იახსარისაგან დევების ხოცვის ამბავი. ხალხის თქმით, მათი ნაომარი და ამოწყვეტილი დევების ნასახლარები ბევრგან არის, სადაც ილოცავენ იახსარსა და ზოგან კოპალას. მაგალითად, ფშავის არაგვზეა კოპალას ქვა. იმ ხანებშივე, როცა კოპალა ზორციელად იყო, ციხეთგორიდან ერთმა დევმა სამლოცველოდან მოიპარა ტრაპეზის ქვა და მიჰქონდა ქვევით. კოპალა წამოეწია, ესროლა ლახტი და მოკლა დევი. ქვა იქ გზის თავზე აიტანეს სოფელ ხომში მცხოვრებლებმა და ახლაც იქ არის, სადაც ილოცავენ გმირ კოპალას მთხრობლები ამბობენ. ნალახტარი კლდესაც ეტყობა და დევის ნასაბლარი იმ ქვასაცაო).

ერთ დევს მიჰქონდა თურმე მოკლული ირემი. ერთ მხარეზე ძირიდან ამოწვდილი წიფლის ხე ედო. შეხვდა კოპალა, ესროლა ლახტი

და მოკლა დევი; რომ მოკვდა, ქვად იქცა. ახლაც არაგვში გრძელი ქვა არის და. ხალხის რწმენით, ის ქვა გაქვავებული დევია. ამ დევს ავთანდილი ერქვა და ამ ადგილს ახლაც ავთანდილის საქანს ეძახიან. მეორენაირადაც არის კოპალის ქვის ამბავი: დევები კართანაში ქვას აგროვებდნენ, აქ წყალი უნდა დაეგუბებინათ და ფშავ-ხევსურეთი წაელეკათ. გაიგო კოპალამ, წამოეწია დევს, რომელსაც ეს ახლანდელი კოპალის ქვა მიჰქონდა წყლის დასაგუბებლად, ესროლა ლახტი და მოკლა. ქვა გადაიქცა სალოცავად და დაერქვა კოპალაის ქვა. (კართანა არის ფშავ-ხევსურეთის არაგვზე ძალიან ვიწრო ადგილი, გაღმაც ფრიალო კლდეა და გამოღმაც, ისეთი ვიწროა, რომ არაგვი ძლივს ეტევა).

კოპალა რომ აქ ხოცავდა დევებს, მაშინ იახსარი იორზე მიჰყვებოდა და სადაც მათი ბინა იყო, ყველგან ამოწყვიტა. ამ ადგილებზე ყველგან არის ნიშები-სამლოცველოები. მაგალითად: იხინჭას (ზემოთიანეთშია) ყოფილა დევების დიდი ოჯახი, შებრძოლებია იახსარი და გაუწყვეტია. მერე ამ ადგილსაც თვითონ დაპატრონებია. მას აქეთ გაშენდა მისი სამლოცველო აქ.

ერთი სახელგანთქმული დევი ზემოთიანეთს იყო, რომელსაც ვერხველას ეძახოდნენ. ეს დევი თავისი ცოლშვილით ცხოვრობდა ზემოთიანეთის სათავეში ერთ ვიწრო ხევზე და ამ არემარეს არავის შეეძლო გავლა. მას ჰყავდა დიდი ოჯახი. ეს დევები იჭერდნენ ადამიანებს და ჭამდნენ. დაიჭირეს პირქუში ოქრომჭედელი და ტყვედ ჰყავდათ. აკეთებინებდნენ იარაღს, მშვილდისარს და ოქრო-ვერცხლს (პირქუში ბოლოს სალოცავად არის გადაქცეული. ილოცავენ ხევსურეთში, სოფ. ბაცალიგოში და ფშავში სოფელ ახადში. ეწოდება პირქუში ცეცხლისალიანი. ეს სალოცავი რომ ერთი ჰყავთ, ამიტომ ახადლები და ბაცალიგოვლები ძმობენ). პირქუში ბევრს ცდილობდა, მაგრამ დევების ტყვეობას თავი ვერ დააღწია. იახსარმა ეს რომ გაიგო, მივიდა ჩუმად და პირქუშს უთხრა: დაგიხსნი, თუ ერთ კარგ ზარს გამიკეთებო. პირქუში ზარის გაკეთებასაც დაჰპირდა და ბევრ სხვა რამის გაკეთებასაც. იახსარი დევებს თავს დაესხა და თავისი ლახტით ჯერ ვერხველა დევი მოკლა, მერე ყველა ამოსწყვიტა და პირქუში გაანთავისუფლა. პირქუში წამოვიდა და ახადში დაბინავდა, იახსარს დაპირება შეუსრულა. ბოლოს თვითონაც ხთიშვილად გადაიქცა. პირქუშს სამი კარგი ვერცხლის თასი ჰქონდა. იახსარმა ეს თასები სთხოვა. პირქუშმა არ მისცა. მაშინ იახსარმა წაართვა ძალით და მოიტანა თავის სამლოცველოში. შემდეგ, როცა ერთიც ხთიშვილი გახდა და მეორეც, პირქუში ამ თასებს ისევ ედავებოდა. ბოლოს ხთის კარზე რჯული ჰქონდათ. დამბადებელმა და კვირამ გაარჩიეს ეს საქმე და თასები პირქუშს არგუნეს, რად-

ვან ძალით იყო წართმეული და ხთიშვილთ ერთიმეორეში ძალადობის ნება არ ჰქონდათ დამბადებლისაგან. ძალადობის ნება მარტო დევკერპებთან ჰქონდათ. მკითხავის პირით იახსარმა გამოაცხადა: მე და პირქუშს ხთის კარზე რჯული გვქონდა და ეგ სამი თასი პირქუშს არგუნესო. ძალიან დიდი ხანი არ არის მას აქეთ, რაც ეს თასები იახსარიდან ახადში, პირქუშში, წაიღეს. მას აქეთ აიკრძალა შუაფხოელი ქალის ახადს გათხოვება და ახადელი ქალისა შუაფხოში. ეს წესი დღესაც დაცულია. იახსარმა ბოლოს იორზე და თიანეთში ყველგან ამოწყვიტა დევები და დაბრუნდა შუაფხოში. აქ ისევ იყვნენ დევები და უკანასკნელად ესენი ამოწყვიტა.

საკმისას ლახტი ვესროლე, თავს დაეუქციე ბანიო,
ერთ კიდე გამოქცეული, რომენიც ფალავანიო.

იახსარმა გამხვეურთკარის დევებს ესროლა ლახტი თავისი საყუჩიდან. ბანი დაუქცია, ეცა და ყველა ამოწყვიტა, შემდეგ გავარდა თხილიანაში და თავისი ლახტით იქაური დევებიც ამოწყვიტა, მაგრამ გაიგო, რომ ერთი უფრო დიდი დევი ხევსურეთისაკენ გაიქცა. დაედევნა, არაგვი შეიარა იმის კვალზე, ქმოსტ-როშკა აიარა და აბუდელაურს (ქმოსტის მთა) დაეწია. მივიდა დევი და ჩაძვრა აბუდელაურის ტბაში, ჩაჰყვა იახსარიც — ძირს ჩასულს დაჰკრა ლახტი და მოკლა. დევის სისხლმა ტბის ზედაპირი დაფარა და რაკი ეს სისხლი უწმიდური დევისა იყო, იახსარი ვეღარ ამოვიდა, შეეკრა გზა. იახსარი სამ წელს დაკარგული იყო, ვეღარ ამოდიოდა ტბიდან. ხალხი ეძებდა: რა იქნა ის დევების მხოცელი ბერი იახსარი, რომელმაც დევებისაგან გაგვათავისუფლაო? ბოლოს მისი ამბავი ერთმა მკითხავმა გაიგო და გამოუცხადა ხალხს. ხალხმა მის ამოსაყვანად ბევრი იწვალა, მაგრამ ვერაფერი უშველეს. ბოლოს ისევ მკითხავმა უთხრა, რომ იახსარი აბუდელაურის ტბაში არის სიმურში დამრჩალი, იქ მან დევი მოკლა. დევის სისხლი ტბას აქვს გადაფარებული და ვეღარ ამოვა. მანამ ეს არ გაიხსნება და გზა არ ექნებაო. ახლა ამ სისხლს რა მოაშორებდა და ამ გზას რა გახსნიდა, ამაზე დაღონდნენ. ესეც ისევ მკითხავმა გამოურჩია: სოფელ ბლოში ერთ კაცს ოთხრქა, ოთხყურა ცხვარი ჰყავს, ის გამოართვით, იმ ტბაში ჩაკალით და გზა გაეხსნებაო. მოსთხოვეს ბლოელ კაცს ცხვარი და მანაც უარი არ უთხრა. როცა იახსარმა ტბის პირზე მისულ დევს ლახტი ესროლა, თვალი გამოსთხარა და კლდე ოთხად გაატეხინა, აი ამ კლდესთან დაკლეს ეს ოთხრქა, ოთხყურა საკლავი. სისხლი ტბაში ჩავიდა. გაიხსნა ტბის ზედაპირი, ერთი ბროლის ქვა ამოვიდა და ამოჰყვა იახსარი. ის ქვაზე მტრედის აღით დაჯდა. ყმათ დაინახეს და დაიწყეს პირჯვრის წერა, მას შემდეგ იახსარი ხორციელობიდან იქცა ხთიშვილად.

იახსარი აქედან გაფრინდა და ლიქოკისთავს კარატისწვერს „მოიკიდა კოჭი“ ე. ი. დაბძანდა (მაღალი მთა არის). მას აქეთ აქ იახსრის ნიში (კოშკი) და საზარე ააშენეს. აქედან გამოფრინდა და უბისთავს, კარატისწვერ მაღალ მთაზე მოიკიდა კოჭი. აქაც საზარე და კოშკი არის აშენებული. აქედან შუაფხოში ჩამოვიდა და აქ სამუდამოდ დაარსდა, რაზედაც მერე გვექნება ლაპარაკი.

შაიყრებიან დევები, სადაც დიდ მოედანიო,
აიმას გაარიგებენ — ერთუცს უჭიროთ მჯარიო,
ხთიშვილთ კოპალა მოუკლათ, თავში დაუცნვეთ ქვანიო,
გაიგეს ხთისნაბადებთა, გაგზავნეს იახსარიო.
ერთი წლის ბალღი მოიდა, ერთ ცოტას შავგრემანიო*
ჯელჩი ეჭირა მათრაჯი, შვიდკეცი, შვიდი მჯარიო,
მაჰყვა შვიდის წლის ქალაი, თქვეს — თამარ დედუფალიო.
ჩიქილა გადაიხურა, გადააყენნა ზღვანიო.
შუა ზღვას ჩადგა სამანი, არ გადუვარდეს ცხვარიო.
— ავისგორ ციხეს აგებენ, გავხენე ცხრანი ძმანიო,
ქორწილ ჰქონიყო დევებსა, სიმურ ეჩქვიფა წყალიო,
ცხრათავ ჰყონიყო დედაი, ცხრათ ვაჟთ გამზდელი ქალიო,
თავს სალუდე ქვაბ ეხურა, ღმერთო, რა შესაზარიო!
მე მაგათ ვერა დავსწონე, მონა შამამდეს ზარიო,
დამცხვენდა, იქავ წამოვედ, გამოუცვალე ქამიო,
საკვმისას ლახტი ვესროლე, ზედ დავაქციე ბანიო.
ერთ ისევ გაქცეულიყო, რომენიც ფალავანიო.
როშკისკორკ შამამეწია, კლდეს მოაფარა ტანიო.
საგმირო შამავიმაღლე, ღმერთო, შენგან მაქვ ძალიო!
კლდე ოთხად გავატეხიე, დევის გამოვთხარე თვალიო,
კარგად სცოდნიყვნეს წყეულსა აბუდელაურ ტბანიო.
დევ რო სიმურში ჩავიდა, თან ჩავჰყეე იაკსარიო,
ჩავედ და ვეღარ ამუედ, სისხლმა გამიბნა მჯარნიო,
ჩემთ ყმათაც კარგად იფიქრეს, ოთხრქა, ოთხყურა ცხვარიო
მოიყვანეს და ჩამაკლეს, ამოვედ იაკსარიო.
შამოვჯედ ტრედის აღითა, შამოვიბერტყენ მჯარნიო.
დავჰკვლიე ჩემსა ნაჯდომსა, ჭრელნ მამრჩალიყვენს ქვანიო,
იექით კარატემდინა არს შიბზე გასავალიო,
ეგრე გავიელი შიბზედა, ვერვინ მამკიდოს თვალიო.

როგორც ვთქვით, იახსარი სამ წელს ყოფილა ტბაში. მერე რომ ამოიყვანეს, ხვთიშვილად გარდაიქცა. იმის შემდეგ იახსარის ნაამბობს მკითხავები გადმოსცემდნენ ხალხს: ტბის ძირში დევების სოფელი ყოფილიყო და იქ ვაჟავდი ტყვედ დაჭერილი. მერე საკლავი რომ დაიკლა და გზა გამეხსნა, ხვთიდან ბრძანება იქნა და ამოვედიო.

* იახსარი მოეჩვენა ამ სახით.

რომელმა ბოლოელმაც ოთხრქა, ოთხყურა ცხვარი მისცა, იმას უთ-ხრა იახსარმა: „შენ კაი სიკეთე ჰქენი, რომ ცხვარი მიეცი ჩემ ყმათ და მე დამიხსენითო. შენ ერთხელ მიშველე, სამაგიეროდ მე სამჯერ გიშველიო. როცა ძალიან გაგიჭირდება, მაშინ შამომძახნე და დაგი-ხსნიო (შაძახნება: როცა გაუჭირდებოდათ, ქუდს მოიხდიდნენ და შეე-ხვეწებოდნენ რომელიმე თავის სალოცავს, სალოცავი ამას მაშინვე გაიგებდა და მიეშველებოდა თუ ამ კაცისაგან დანამადლისი რამე ჰქონდა და დახმარების ღირსი იყო. თუ შანაცოდვარი რამე ჰქონდა, მაშინ კი უფრო ცუდს საქმეს მიუსევდა და მიუმარჯვებდა). ერთხელ ამ ბლოელი კაცის ოჯახს სისხა (კუჭ-ნაწლავის ინფექციური დაავადება) შეუდგა და დაღუპვაზე იყო მისი საქმე მისული. დაიწერა პირჯვარი და შასძახნა იახსარს: დალოცვილო იახსარო, შამოძახილზე ნუ გამი-წყრები, მომირჩინე ეს ავადმყოფები. გადამარჩინე ამ უბედურებას და მომავალ დღეობაში შენს კარზე მოვალ ზღვნითა და სანთლით ჩე-მის ოჯახით, თუ ისინი ცოცხლები დამრჩებიანო. იახსარმა გაიგო მისი მდგომარეობა, მიეშველა და გამოიხსნა უბედურებიდან ის და მისი ოჯახიც. მეორედ გაჩნდა ბედნიერი (სახადია) და ამ ბლოელის ოჯახ-საც შეუდგა. მაშინაც ბლოელმა იახსარს შემოსძახნა. მოეშველა და ყველანი გადაარჩინა სიკვდილს. ბლოელიც დანაპირებ-ნაქადებს არ გადასთქვამდა, გადარჩებოდა უბედურებას თუ არა, მოჰყავდა საკლა-ვი, სანთელი და ემსახურებოდა იახსარს ჩვეულებრივი წესით.

მესამედ ბლოელმა შამოსძახნა უბრალო საქმეზე: ნამთიბლავი (მუშების მიერ გათიბული მთა) ჰქონდა ასახვეტი, ამ დროს საავდრო ღრუბელი გაჩნდა ცაზე, ბლოელი შეშინდა, რომ გაავდრდეს, ნათიბი გამიფუჭდებაო, მოაგონდა და შემოსძახნა იახსარს: „დალოცვილო იახსარო, ნუ გააავდრებ. ნათიბს ნუ გამიფუჭებ და შენს კარზე სამ-სახურით მოვალო“. ამ დროს თურმე იახსარი ხთის კარზე იყო „შამ-ჯდარი“ რაღაც დიდი საქმისათვის, თავის სახელის ხსენება და შეძა-ხნება გაიგო და მოსაშველებლად მობრუნდა, იქ აუცილებელსა და დიდ საქმეს კი თავი დაანება. მოვიდა და ნახა, რომ ამას დიდი არა-ფერი უჭირს. თავის გულისათვის შაუძახნებია და ხთისკარიდან იმი-სთვის დაუბრუნებია. გაწყრა იახსარი, შერისხა და ის ოჯახი სულ ამოწყვიტა. მერე მკითხავის პირით თქვა: იქ ხთისკარზე ძალიან დიდი საქმისათვის ვიყავი მისული, შამოძახნება რომ გავიგე, ჩემს წესს ვერ გადავედი და მოვბრუნდი ხთისკარიდან, შემოძახილის ადგილზე მივედი, ვნახე, რომ საქმე არაფერი უჭირდა, იქ კი დიდი საქმე დამ-რჩა გაუკეთებელი, ამიტომ გავუწყერი და თავისი ოჯახით ამოვწყვი-ტეო.

ერთ ბლოელ ქალს ქალქვისთავისაკე ძროხები დაუდიოდა საზაფხულო საძოვარზე. ამ ქალთან დაიწყო სიარული ერთმა კარგის სახის ახალგაზრდამ. ქალი ძროხებს არეკდა ქალქვისთავს თუ არა, ეს ახალგაზრდა მაშინვე აქ გაჩნდებოდა. ქალმა არ იცოდა, ვინ იყო, ან საიდან მოდიოდა. ძროხებს რომ შინისკენ დააბრუნებდა, იგი ისე მოხერხებულად გაიპარებოდა, რომ ქალი ვერ გაიგებდა, როგორ, ან რა დროს და სად წავიდა. უკვირდა ქალს და თანდათან ეშვი ეპარებოდა. ის კი მთელი დღე ქალს ესაუბრებოდა, ეთამაშებოდა და თითქოს სიყვარულსაც იჩენდა, თითქოს უამქალოდ გაძლება არ შეეძლო. ქალმა ბევრჯერ ჰკითხა: ვინ ხარ, საიდან მოდიხარ და სად მიდიხარ, რომ ერთხელ ვერა გნახე ვერც მიმავალი და ვერც აქეთკენ მომავალიო? ახალგაზრდა ამ კითხვაზე გაიცინებდა და სულ სხვა რამეს ეტყოდა. ასე გავიდა დრო, ქალი ამ ახალგაზრდას ისე დაუახლოვდა, რომ ხელდახელაც კი დაუწყო თამაშობა-ხუმრობა. ერთხელ ქალმა მკლავზე მოხვეული, მძივიანი „ხელსახვიელა" შეამჩნია (ხელსახვიელა: მოქარგული და მძივებით აჭრელებული მკლავზე მოსახვევი. აკეთებდნენ დაწნული თმისაგანაც და უბრალო რამე ქსოვილისაგანაც. ეს იყო სამკაული სამაჯურის მსგავსი. იკეთებდნენ ვაჟებიც ერთიმეორის მოსაგონებლად), ქალმა მკლავი დაუჭირა და სახელო „შეუხვასტა". ნახა, რომ ადამიანის მკლავს არა ჰგავდა, მკლავი ძალიან ბარდღლიანი (ბალნიანი) იყო. ქალი შეკრთა, გაიხედა კარატის წვერისაკენ, სადაც კოპალასი და იახსარის ნიშებია და თქვა: იახსარო და კოპალავ, თქვენ დამწერეთ ჯვარი, ამას რარიგი მკლავი ჰქონიაო? ახალგაზრდა ამ სიტყვაზე შეკრთა და უთხრა ქალს: რაზე დამღუპე, ეს რა სთქვი! ამ დროს კარატის წვერიდან აიმართა სალუდე ქვაბის ოდენა ღრუბელი, ჯერ მაღლა ავიდა და წამოვიდა ქალქვისთავისაკენ. გზაში ცეცხლად ოქცა, დაეცა ზედ ქალის გვერდზე ნამყოფ ახალგაზრდას და დაკვლად (ფერფლად) აქცია. ქალი გადარჩა უვნებლად. მერე ქალის ჯალაფნი მკითხავთან წავიდნენ იმის გასაგებად, თუ რა მოეჩვენა იმათ ქალს. მკითხავმა უთხრა: ის ვაჟი დევის შვილი იყო, იმ ქალს დაიახლოვებდა და ბოლოს ავნებდა. მაგრამ ქალი ყისმათიანი ყოფილა, რომ კოპალა და იახსარი აწსენა, იმ დროს კარატის წვერს იახსარი ყოფილა, ქალს მოშველებია და დევის შვილი დაუწვავსო. ამ ქალის ჯალაფთ ათენგენას წაიყვანეს ერთი საკლავი, წავიდა მთელი ოჯახი და იზღვნეს იახსრის ნიშთან.

იახსარმა და კოპალამ დევები სულ ამოწყვიტეს, ბერობიდან ხვთის ძალით ხთიშვილებად იქცნენ, კოპალა დაარსდა უძილაურთის თავზე და ციხეთგორს, იახსარი — შუაფხოში. იახსარი კარატიდან რომ ჩამობძანდა, დაარსდა ავისგორის და გამხვეურთკარის შუა ადგილზე. იქ კარგა მოზრდილი მამულებია და მათ საშუალო ადგილზე დაარსდა, ნახევარი აღმოსავლეთ მხარეს მოიგდო, ნახევარი დასავლეთ მხარეს, შუა ადგილზე კი თავისი საბრძანებელი გაიჩინა. რა თქმა უნდა, პირველად და მერეც ყველაფერი მკითხავების პირით ხდებოდა, რადგან იახსარი ხალხისათვის უხილავი გახდა და მათი პირით ესაუბრებოდა ხალხს. ხორციელობის დროს, რაკი ქისტაურების ადგილ-მიდამოს ცხოვრობდა, ხთიშვილად ჩარიცხვის შემდეგაც აქ გაიჩინა თავისი არჩევით საბრძანებელი და ყმად გამოაცხადა ქისტაურების გვარი. ქისტაურები თურმე პირველადვე ყველანი შუაფხოში ცხოვრობდნენ და ერთ გვარს ატარებდნენ, მერე გადასახლდნენ ზოგნი სწროფავში, ხორხში, ვანხევში და არახიჯაში, თითოოროლი კომლი სხვადასხვაგანაც გადასახლდა, გვარებიც ყველამ თავთავისი მიიღო ე. ი. გვარი ქისტაური დაიყო ქვეგვარებად. ცხოვრობდნენ სხვადასხვა ადგილებში და სოფლებში. მაგრამ სახატო სამსახურის დროს ყველანი მოდიოდნენ შუაფხოში და დავალებას ასრულებდნენ. მკითხავების საშუალებით გაჩნდნენ ხევისბრები, მერე დასტურები, აშენეს: საბერო, სალუდე, სადასტურო, საზარე, გაიჩინეს და ჩამოყალიბდა დღეობების წესრიგი. მამულები, რომელიც ხატთან იყო, გარდა სანადოდ. ხევისბერი გამოაცხადებდა გუთნების გატანას, დანიშნავდა ერთ დღეს. ვანხევ-არახიჯიდანაც ხარ-გუთნით მოდიოდნენ და ერთ დღეს ყველა ერთად გაბამდა ხარ-გუთანს და მოხნავდნენ სანადოს. (ვანხევ-არახიჯა მთას გადაღმა არის). პირველად რომ ხარ-გუთანი მოვიდოდა ხატის მამულზე, იქ დახვდებოდნენ დასტურ-ხევისბრები (დასტურები აქ ისე არ იყვნენ, როგორც სხვა ხატებში წლის ბერები, რომლებიც იქ ცხოვრობდნენ მუდმივად. ესენი ერთი წლით იყვნენ მორიგეობით დაყენებულნი. ხელმძღვანელობდნენ ხატის წესრიგის დაცვას, ასრულებდნენ ხევისბერის ბრძანებას და ემსახურებოდნენ მოსულ მეზღვნეს).

დასტურები ძნას გალეწავდნენ და პურს ჩაყრიდნენ. მდუღეობა თითო დღეობაში ორთ შეხვდებოდა. ისინი ლუდს ადუღებდნენ. დღეობაში ესენიც ხატში იყვნენ და წლიური დასტურნი, როგორც მუდმივნი და არა მარტო ერთ დღეობაში მისულნი, აქ მეტს საქმეს ასრულებდნენ, უძღვებოდნენ ყველა სახატო წესრიგს. ხარებს ყველა დაადებდა უღელს, მოაბამდა გუთანს, მირეკდა და თავის სრელთან და-

აყენებდა (მამულები სრელებად იყო დაჭრილი). მერე თავხევისბერი მოიხდიდა ქუდს და დაამწყალობნებდა ხარ-გუთანს: „გაემარჯოს დიდ იაკსარსა და იყოს წყალობით თავის ყმაზედა, თავის ყმათაში ერთგულთა და თავდადებულთაზედა სახატოსა და სახალხო საქმეშია. მრავალჯერ გაგატანიოსთ გუთანი მშვიდობით და ერთურთის სიცოცხლითა, ბევრი სთველ-გაზაფხული მშვიდობისა და კარგად ყოფნისი მოგვგაროსთ, წელი ღალიან-ბარაქიანი დაგიყენოსთ“. „ამინ. — იტყოდნენ გუთნისდედები, — თქვენიცამც მწყალობელია“ და გარეკავდნენ ხარებს. ხვნა აქ ყევარი ხარით იცოდნენ, რადგან მაგარი მიწა არის; თითო გუთანში ყევარი ხარი ება, თითო მეხრე ჰყავდა და თითო გუთნისდედა. ხნავდნენ ყველანი, შეისვენებდნენ ერთდროულად. დათესავდნენ და დაფარავდნენ თავთავის ნაყევრალს (მოხნულს). მერე მთელი ზაფხულის განმავლობაში თავთავის ნაყევრალზე ეჭირათ თვალი, მაგრამ დასტურნი უფრო მეტ ყურადღებას აქცევდნენ.

სანადოები იხვნოდა ყამირობით: ერთ წელიწადს ერთ მხარეზე მოხნავდნენ, მეორე წელიწადს მეორე მხარეზე. რომელი მამულიც ყამირად რჩებოდა, ამას დასტურები თიბავდნენ, მამულის პირებსა და სხვა სათიბებსაც ისინივე თიბავდნენ და თივა შინ მიჰქონდათ. ხატს საკუთარი კურეტები ჰყავდა და აშმევდნენ, ზოგი მათგანი კი მცხოვრებლებზე იყო გასაკვებად განაწილებული. აქვე გომური იყო მათთვის და ერთი მომვლელი ჰყავდა. ეს ნაგომურალი ისევ არის და სახელწოდებაც ძველი შერჩენია: „სახარბაკე“. კურეტები მრავლდებოდა ცოცხლად შეწირული სახარე მოზვრებისაგან. როცა კურეტები 6—7 წლისა გახდებოდნენ, ხევისბრები და დასტურები გადაწყვეტდნენ უფრო ხნიერი კურეტების დაკვლას. იკვლოდა გიორგობას. ხორცი ზოგი გაიყიდებოდა და მოხმარდებოდა ამ კურეტების მოვლის საქმეს. ნაწილს მათ მომვლელსაც მისცემდნენ. ზოგი მოიხარშებოდა და ხალხი ჭამდა. ტყავის ნაწილიც დასტურ-ხევისბრებს რჩებოდა, ნაწილი იყიდებოდა. ხორცს იმას ვერავინ შეეცილებოდა, ვისგანაც იყო შეწირული კურეტი. როცა დაიკვლოდა, რაც ფასიც ჰქონდა გადაწყვეტილი, ის მისცემდა იმ ფასს. თუ იმას არ უნდოდა ხორცის ყიდვა, მაშინ სხვა იყიდდა, ვისაც სურდა იახსარის საყმოში. თუ ბევრნი გამოჩნდებოდნენ მყიდველები, მაშინ წილს იყრიდნენ და ვისაც ერგებოდა, ის იყიდდა ანდა რამდენიმე კაცი საერთოდ იყიდდა და გაიყოფდნენ. კურეტი თუ ხუთწლამდე იყო, იმისი ხორცის ნახევარი დაფასებული იყო სამ მანეთად. თუ ხუთ წელს გაცილებული, მაშინ მეოთხედი ღირდა. სამი მანეთი მაშინდელი ფულით. (შეწირვა იცოდნენ ხატის მიზეზით, უფრო ერთის წლისას შესწირავდნენ და მერე იზრდებოდა).

ყანები რომ სამკალად შემოვიდოდა, ყველა მომკიდა თავ-თავის ნაყევრალას, მიიტანდა ხატის კალოზე და მერე დასტური ლეწავდა

ჩალა დასტურს რჩებოდა. ნაწილს ხატში ინახავდნენ კოდების დასაფარებლად და ზამთარში ხატში მოსულ დასტურ-ხევისბრების სალოგინედ. პურს აკოში ჩაყრიდნენ (აკო: საპურე კიდობანი). აქ ბეღელი არ ჰქონდათ, ჰქონდათ მარანი, წმიდად დაცული სახლის ზედა სართული და პურიც აქ ინახებოდა, სხვადასხვა სახატო ინვენტარიც. სახატო ფუტკარიც აქ იდგა ხოკრებით ხალხისაგანვე შეწირული. ისიც ერთს ებარა მოსავლელად. საწელწდოდ ზოგ ძირებს გასტეხავდნენ, თაფლს აიღებდნენ და ზედაშეს აკეთებდნენ — გააკეთებდნენ თაფლწყალს და ამაზე ადიდებდნენ ხატს. ხატის კალო სულ ძველად სოფელთან ყოფილა (არ იციან, მამულებიდან ასე შორს რად იყო). ძალიან სიწმიდე უნდოდა ხატის კალოს. მის მიდამოს ქალი ვერ გაივლიდა, მრევლი ქალი ხომ ძალიან ერიდებოდა. ისე წმიდად რომ ვერ ინახებოდა, როგორც საჭირო იყო, რადგან სახლები ახლო იყო, მრავალი მიზეზი უდგებოდა მცხოვრებლებს. მერე კალო გადაიტანეს ხატის მამულებთან ახლოს. ახლაც იქვეა შემოღობილი საძნოვარი. აქ უფრო გაადვილდა მისი წმინდად შენახვა, რადგან ხატის სამლოცველოც აქ იყო, მამულებიც და კალოც. ამ არემარეს მრევლი არ გაივლიდა. მამულებს ისეც სწირავდნენ ხატს, ან ავადმყოფის პატრონს ეტყოდა მკითხავი: ესა და ეს მამული ხატს უნდა შეწირო, ხელსა სდებსო, ან სხვა რაიმე გაჭირვებიდან დახსნილი კაცი შესწირავდა მამულს, ოღონდ ხატის მამულთან ახლო უნდა ყოფილიყო. გაფანტულად არ ჰქონდა მამული ხატს, რადგან მრევლი ვერ მოერიდებოდა და მირეული მამულის პური ხატის სადიდებლად აღარ ვარგოდა. მამულები რომ ერთად იყო, ყველამ იცოდა და წმინდად იყო დაცული. სადაც წინათ ხატის კალო იყო, იმ ადგილის სიწმიდესაც მოითხოვს იახსარი და თუ ვინმე მრევლი ამ მიდამოს გაივლის, მიზეზი დაუდგება და ანანებს შეცოდებასო.

დასტური რომ გალეწავდა და პურს აკოში ჩაყრიდა, მერე გასცემდა ამ პურიდან, რისთვისაც საჭირო იყო. ეს ყველაფერი დაწესებული ჰქონდათ და რაც უწესობდა, იმას ასრულებდნენ (რომელ-დღეობაში რამდენი პური უნდა დახარჯულიყო, ან თუ სხვა რამეში იყო საჭირო პურის დახარჯვა). ზემოთ ვთქვით, რომ მდუღე დასტურობაც რიგით მოუდიოდათ და რჯახებიდან თითო კომლი წელიწადში თავისი საკუთარი პურიდან ხარჯავდა ორ კოდ პურს. რომელი დღეობაც ერგებოდა, იმ დღეობისათვის გააკეთებდა ფორს, მოიტანდა სვეს და ადუღებდა ლუდს. ლუდი იფუვლებდა იქვე სალუდეში, სადაც საკოდე ადგილი უფრო განცალკევებით იყო. აქ გარდა დასტურ-ხევისბრებისა ჯრავინ მიდიოდა, იყო წმიდად დაცული (ფშავშიც და ხევსურეთშიც ზოგიერთ ხატში საკოდე ან საბეროში ჰქონდათ, ან დარბასში. აქ კი სალუდეში იყო შიგნით მხარეს. სალუდეშიაც ეკ-

რძალებოდათ გარეშე პირებს შესვლა). ლუდს ადუღებდა, როგორც ვთქვით, ის დასტური, რომელსაც თითო დღეობა ხვდებოდა წელიწადში, მხოლოდ წლიური დასტურიც ეხმარებოდა, რომელსაც თას-განძი, სახატო ქონება და ხატში დიასახლისობა ევალებოდა.

სისწვენი რომ საკმარისად გაცივდებოდა, ყველა დასტურ-ხევისბრები ლათბიდან კოდში გადაიღებდნენ (აქ საფუვრის გამთელება არ იცოდნენ, სისწვენში პირდაპირ ჩააგდებდნენ ჩამს და ამიტომ კარგი ლუდი არ გამოუდიოდათ).

იახსარი, როგორც ვთქვით, ჯერ დაარსდა, სადაც ახლა სახარბაკეს ან გაღმითა ხატთ-ეძახიან. აქ ზოგიერთ დღეობაში ისევაც არის ლოცვა, მერე აქედან გამოვიდა ავისგორს, სადაც გამხვეურა დევის შვილებს პირველად შეებრძოლა და სასახლე დაუშალა. აქ უფრო კარგი სადღეობო ალაგია. დიდი ადგილი ჰქონდა ბორტვის ნაკვეთად, არც იხვნოდა ის ადგილი და არც ითიბებოდა. იდგა დიდრონი ხეები: იფნი, მუხა და ცაცხვი. აქ ააშენეს საზარეც, სალუდეც და საბეროც. დარბაზიც იყო სახალხოდ. სახარბაკიდან ხატის ქონება სულ აქ გადმოზიდეს. ამ დროს იყო აქ დიდი ხევისბერი გივი ფოცხვერაშვილი. ის ხატს პირად ელაპარაკებოდა. იახსარმა მისი პირით ბრძანა ავისგორს დაარსება მთავარი მისი საარსოსი და სამლოცველოსი. გივი ხევისბერმა ხატის ქონება უფრო მეტი თავის ზურგით გადმოზიდა. როცა სალუდე ქვაბი დაიდო საბელზე და უნდა გადმოეტანა, წამოიწია და ვერ მოერია, ვერ წამოიკიდა. ამ დროს აქ ვინმე ბადრიშვილი იყო, სოფელ შუაფხოელიევ და იახსარის ყმა. მან წამოუწია ქვაბს და გივიმ წამოსვლა შეძლო. ამაზე გახდა ავად, ჩავარდა ლოგინად და კინაღამ მოკვდა. ბოლოს იახსარმა მკითხავის პირით შემოუთვალა: შენ რად მიეშველე ქვაბის წამოკიდებაში, შენ ვინა გკითხავდა, მე ჩემს ყმას ვცდიდი — აიკიდებდა თუ ვერა. მე თვითონ ან ავაყენებდი ჩემს ყმას, ან არა, თვითონ ვიცოდით. ამაზე ბადრიაანებს დანადები აძეს: წელიწადში ერთი საკლავი და ერთი კოდი ქერის ლუდი — შობა დღეს.

აქ ჰქონიათ სახელგანთქმული ზარი, ტანად პატარა, მაგრამ მისი ხმა ახადს ისმოდა თურმე შუაფხოდან (ს. ახადი ექვსი — შვიდი ვერსით არის დაშორებული შუაფხოს, მდებარეობს მაღალ მთაზე):

ავისგორს შამიკიდოდით ჩემი პატარა ზარიო,
დაპკრან, ხმა ახადს გავარდეს, პირს დაიწერონ ჯვარიო,
ლოცვა-წირვაზე დადგოდენ ჩემის პირქუშის ყმანიო.

ზარი პირველად გაღმა ხატში ეკიდა. რაკი ავისგორს გადმოვიდნენ, ზარის გადმოტანაც აქ უნდოდათ, მაგრამ ამ დროს მტრიანობა იყო, ეცემოდნენ ლეკები და სხვა მტერი. ეს ზარი სახატო ქონებაში ყველაზე მეტად ეხარბებოდათ და ამიტომ მალავდნენ ისევ სახარბაკეში.

მხოლოდ დღეობას გამოიტანდნენ, ავისგორს საზარეზე დაჰკიდებდნენ. დილა-საღამოს, როცა დაწესებული იყო, დარეკავდნენ, მერე კი ისევ გაიტანდნენ და დამალავდნენ სადმე მიწაში. გივის დაავიწყდა დამალვის ადგილი და ვეღარ იპოვნა ზარი. ბევრი იარეს, ბევრი ეძებეს, მაგრამ ჯერაც დაკარგულია. მის საძებრად ნათხარი ადგილები ჯერაც ეტყობა, მაგრამ ალბათ რაიმე მიზეზით თვითონ იახსარმა დასდო საფარველი, თორემ უნდა ეპოვნათ იმდენი ძებნით. დარჩა საზარე ცარიელი. მერე ზოგი ხალხმა შეკრიბა, ზოგი სახატო ცხოვრება გაყიდეს და გივი ზარის საყიდლად წავიდა, ორი დასტურიც გაჰყვა. მისულან, საცა ზარები იყიდება. შესულა გივი და იახსარი იქ დახვედრია: ერთერთ ზარზე ტრედის აღით იჯდაო. ამით მიხვდნენ, რომელი ზარიც უნდა ეყიდათ. იყიდეს, მოიტანეს და იახსარის საზარეში დაჰკიდეს. ეხლაც ისევ ის ზარი ჰკიდია, ხმა კარგი აქვს, მაგრამ რაც დაიკარგა, იმისი ნაათალიც არ არის.

თავხევისბერი გივი პირველად ცოლშვილიანი ყოფილა, მაგრამ ხატმა ისე დაიჭირა, რომ ბოლოს სულ საბძელში ცხოვრობდა, აღარ ჰქონდა უფლება არც ცოლშვილთან მისვლისა და არც სხვა სახლში. ვერც გაივლიდა ისეთ გზაზე, სადაც მრევლი დადიოდა, ხიდზე გასვლაც კი აკრძალული ჰქონდა, თუ აუცილებელი საქმისათვის ხიდზე გავიდოდა, შუაზე არ გაივლიდა, სადაც ქალები დადიოდნენ. ის გაივლიდა ხიდის ნაპირზე, ან თუ იქ ვინმე იქნებოდა, ზურგზე აიკიდებდნენ და ისე გაიყვანდნენ.

წმიდობდნენ დასტურებიც, უფრო დღეობის მოახლოებისას, მანამდინაც კი სხვა ხალხისაგან გარჩევით, სიწმინდე იყო საჭირო. დასტური მრევლი ქალის გაკეთებულ რამეს ხელს არ ახლებდა, არც მის მოტანილ წყალს დალევდა, არც რძეს მის მოწველილს და სხვა (ფშავში მრევლი ქალები ძროხებსაც სწველიან, წყალსაც მოიტანენ ოჯახისათვის და სხვა საოჯაო საქმეებსაც აკეთებენ, მხოლოდ სახლში არ შედიან. არიან ან ცალკე პატარა ქოხში, უფრო კი ჩვეულებრივია გომურში ძროხებთან ყოფნა „მრევლობის“ დროს).

ი ა ხ ს ა რ ი ს პ ი რ ვ ე ლ ი ყ მ ა ნ ი

იახსარი მკითხავის პირით ხშირად იტყოდა: ჩემი ყმანი გავამრავლენ და ზოგმა ხთიშვილმა თავისი ყმანი სულ ამოწყვიტაო. პირველად დამბადებელმა ყმანი რომ გაგვინაწილნა, ყველა ხთიშვილს ხუთ-ხუთი ყმა გვერგო. ჩემს ყმებში მეხუთე ხუცი (ხუცესი) ხუცურაული იყოო (ხუცურაულები პირველად ცხოვრობდნენ სოფ. ვანხევში და აქედან გადასახლდნენ სხვადასხვა სოფლებში. უფრო ბევრნი ცხოვრობდნენ

ხორხში და იქიდან ემსახურებოდნენ თავის ბატონს იახსარს). ყმებში ერთი მონადირე შემხვდაო. ერთხელ ეს ჩემი მონადირე ყმა სანადიროდ წასულიყო, ღორი დაეჭრა, რომელიც მონადირეს შებრძოლებოდა. მონადირემ იახსარს შემოსძახნა. იახსარი მიეშველა და ღორი და მონადირე ორივე შემოაკვდა. ხთის კარზე რომ მოვედიო, — ამბობს იახსარი — დამბადებელმა მნახა სისხლიანი და რომ გაიგო ღორის სისხლი იყო, ძალიან გამიწყრაო. ამის შემდეგ იახსარმა აკრძალა თავის საბრძანებელში ღორის გაცლა და ნაცივარი (მიცვალებულის შენახები) კაცის ხატში ან მის მამულ-მიდამოში, ხატის კალოზე და სხვა ასეთებში მისვლა.

ხუცი ხუცურაული პირველი ხევისბერი ყოფილა იახსარის ყმებიდან. პირველად მას დაუწყია ხევისბრობა და ხატის ქონებისათვის ხელმძღვანელობა. ამ ხუცურაულიდან და დანარჩენი ოთხი ყმიდან იახსრის ყმანი მალე გამრავლებულან. იახსარის ყმათაში წულიანობა ბევრი ყოფილა, სიკვდილიანობა კი ნაკლები. ამიტომ სხვა ხატების ყმებზე ორჯერ და სამჯერაც მალე მეტნი გამხდარან. დაიწყეს ლოცვა და ჩამოაყალიბეს ყველა წესები, რაც იახსარმა მკითხავის პირით უბრძანა. შესწირეს თას-განძეული, ქვაბები, ააშენეს დროშა და გაიჩინეს ყველაფერი, რაც კი საჭიროა ლუდის დღეების მოწყობილობიდან ვერცხლის თასებამდინ. შესწირეს ცხვრები ცოცხლად, აგრეთვე საბარე ხბოები და კურეტები. მეცხვარეობა, ე. ი. ცხვრის მოვლა, იახსარმა ხუცურაულებს ჩააბარა. ცხვარი მათ ხელში ისე გამრავლდა, რომ ერთ-ერთი მეცხვარის — მტყუანაიშვილისობას საბატკნე ცხვარი ათასი სული იყო.

ხატის საკუთარი ცხვრიდან დღეობებში იხოცებოდა საკლავები განსაზღვრული რაოდენობით. ზოგ დღეობაში მეტი, ზოგში ნაკლები, ზოგ დღეობაში არჩეული საკლავები, ზოგში უფრო მდარე. საკლავების დაკვლისა და რაოდენობის წესი დააწესეს იახსარის ბრძანებით. იახსარი ხევისბერის პირით იტყოდა — ამა და ამ დღეობაში ამდენი საკლავი უნდა დაიკლას ჩემი ფარიდანო ან არჩეული ჭედილა, ან ბატკანი და სხვა. ამას იხსომებდნენ და იდებოდა შემდეგი წლებისათვისაც წესად. მატყლი, საკლავი, ყველი და სხვა რაიმე ბანდი ცხვრის შემოსავლისა იქცეოდა ფულად, იხარჯებოდა ცხვრის მწყემსების ჯამაგირად, შირაქში ბინების ასაშენებლად, საზამთრო და საზაფხულო საძოვრების გადასახადად, მატყლისათვის ბარდანების მოსაქსოვად, ცხვრის მწველავების და მპარსავების დასაქირავებლად, ყველის ამოღების მოწყობილობაზე, ყველის გამკეთებლის ჯამაგირზე, ცხვრის გასაპარსი დუქარდებისათვის და მრავალი ასეთი ხარჯებისათვის. რაც ამ ხარჯებს გადარჩებოდა ცოცოტას სხვადასხვა საქმეებისათვის მოიხმარებდნენ. ბოლოს ცხვარმა თანდათან იზარალა და დაიწია რიცხობ-

რივად. უკანასკნელად იყო პაპა ხუცურაულის ხელში. იმისგან გადავიდა სხვებზე, არა ხუცურაულებზე და ბოლოს ვერავინ გაიგო, როგორ და სად გაქრა ამდენი ცხვარი (გამრავლებული იყო უფრო ნათავარი დოლისათვის შენაწირით). კურეტებზე ზემოთ გვქონდა ლაპარაკი, ესეთივე წესით გამრავლდა როგორც ცხვარი, მხოლოდ ეს იყო მარტო შენაწირი, ცხვარი კი ნაშენობდა და მრავლდებოდა თანდათანობით. კურეტების მოვლა-წყემსობა ებარა ტოხიანთ გვარს, უვლიდნენ აგრეთვე დასტურებიც.

დასტურების შეცვლა ამაღლებას

ახალი წლის დასტურნი ხატში შედიოდნენ ამაღლებას. ლუდი ამაღლებას ისევ ძველ დასტურთა მიერ, მორიგეობით რომელნიც ადუღებდნენ, იმათგან დამზადებული იყო. ძველი დასტურნი მოიყვანდნენ საკლავს გამოსალოცავს, ხოლო ახალი დასტურნი ერთ საკლავს შესალოცავს. დანარჩენი სახატო განძეულობაც ამ დღეობაში ისევ ძველ დასტურთ მოჰქონდათ და დაალაგებდნენ თავ-თავის დანიშნულ ადგილზე. პირველად დაიკვლოდა ძველ დასტურთ გამოსალოცი საკლავი და მერე ახალ დასტურთ შესალოცი. დაკვლა და დიდება ერთნაირი წესით იყო; საკლავს წამოაყენებდა სასაკლაოზე ერთი დასტური, დააყენებდა პირაღმოსავლეთისაკენ. ხევისბერიც ხანჯლით ხელში დადგებოდა მარცხენა მხარეს, დაიწერდა პირჯვარს და დაიწყებდა დიდებას ნელი ხმით: „დიდება შენდა, ღმერთო მაღალო, ცათა და ხმელეთის დამაარსებელო. დიდება შენდა, კვირავცხოველო, ხვთისა და ხვთიშვილთ შუამდგომელო, ქრისტეო და ღმერთო, დასწერე ჯვარი ამ მოყენებულთა ზღვენთა, თქვენთა სამსახურთა. ძალი და ბრძანება თქვენგან არის. თორო ჯორციელნი ჩვენ ხმელთაზეით სახელს ვერა გაკადრებდით. რადგანაც ღმერთმა ჯმელეთი დააარსა, ცარგვალი დაახურა, მზე-მთვარე დაჰფინა, ხმელეთზე ცხოველნი და კაცნი გააჩინა და მწვანილნი იმათ საზრდოდ მოიყვანნა, გაკურთხნათ ხთიშვილნი ხთიშვილნად და ჩაგებარათ ჩვენი თავი მოსამსახურედ თქვენდა სადიდებლად. თქვენის გამჩენის ხთის ბრძანებითა თქვენ აწესრიგებთ ცათა არსთა და ჯმელეთზე არსებულთა კაცთა და ცხოველთა, გეხვეწებით და გეევედრებით, შაიწირე და ღირსეულად მიიღე ჩვენი ხვეწნა და ვედრება, ხვეწნაზე და შენის სახელის ჯსენებაზე ნუ გაგვიწყრები, ნუ გაგვირისხდები, შენის სახელის ჭირიმე. გახვეწებთ და გავედრებთ ჯერ შენთ საყმოთა, ყმათა თავდადებულთა და შენის სახელის მლოცავთა. საყმოშიით კიდენა შენის კარისა და შენის საბრძანებლის გორის მლოცავთა. გეხვეწებიან და გეევედრებიან, ჩვენო სალოცაო ლაღო იაჯსარო, დღეს შენნი მლოცავნი, წესისა და რიგის დამყენებელნი, შეიხვეწენ და შეიევედრენ,

ხვეწნა-ვედრება სასიხარულოდ გაუკადე, სასინანულოდ ნუ გაუკდი-
დიდება თქვენს ძალსა ყველა წმიდა ანგელოზნო, ყველა ხვთიშვილნო,
სუ ერთურთის მოდე-მოძმენო, ხვთის და თქვენის მორიგის ნების ამს-
რულებელნო, მასკვლავნო ცისანო, მოთანახმენო ხთისანო და სტუმარ-
მასპინძლნო ერთურთისანო. გაქებთ, გადიდებთ, თქვენი გამჩენი ღმე-
რთი არ მოგიწყენსთ, არ მოგიძულებსთ, თქვენ თქვენ ყმათ ნუ მაიწ-
ყენთ, ნუ მაიძულებთ, თქვენის კარისა და გორის მლოცავთა, თქვენ
ამებულ-წამებულთა. თუ რამე ეხედვებოდეს — სენი, სევდა, სნეუ-
ლობა, მაცილ-ფათერაკი, საზიანო საქმე, ისევ თქვენ მგმობარეზე და
მოღალატეზე გადაიღოდით, ბევრი გყავთ მაცილ-მოღალატე და მუხა-
ნათი, ენითაც, ჯელითაც და სხვა საქმითაც, თქვენამც იდიდებით, სენსა
და მავნეს იმათ ნუ ააცილებთ, თქვენთა მლოცავთა და წამებულთა
ზეით იმათზე გადაიღოდით. თქვენნი მლოცავნი წულსა გთხოვდენ,
პირველად წულს უმატოდით, ამათ სახში ღონე-ქონებას, კაც-კაცრივ-
ლობას უმატოდით, მტერს ჯელი-ჯმალი აჰკადოდით, სიკვდილის
ჯმა მოაშოროდით. ამათ სახშიით გამოსულს მოლაშქრეს გაუმარჯოდით.
მონადირეს ჯელ მაუმართოდით. გზასა-მომგზავრესა, ცხვარსა, საწყე-
მსოსა, ამათ მთაბარობასა. ჩემო სალოცაო, ლაღო იაკსარო, თუ
ჩემის უენპირობით ვერ ვასრულებდე ან გეცოდებოდე რამეში
ჩემის ხორციელობით, მეც მაპატიე ჩემი დანაშაული. ყმა დაუნაშა-

დნენ და უსურვებდნენ შეუცოდვრად შეესრულათ იახსრის სამსახური — დასტურობა. ეს ორივე საკლავი აქ გატყავდებოდა და ხალხი ჭამდა (ამ წესზე მერე).

ამის შემდეგ დიდი მადლის თხოვით და პირჯვრის წერით შევიდოდნენ ახალი დასტურნიც და ძველნიც საკოდეში, აანთებდნენ სამ ფეხ სანთელს და დააკრავდნენ კოდზე. აქვე დააწყობდნენ ახალ დასტურთაგან მოტანილ საწირავთ (საწირავნი: ერთი თხელი მცირე მოცულობის პური უგულო და სამი სულ პატარა ზედ დაწყობილი პურები), ამოიღებდნენ კოშით ლუდს, გაავსებდნენ სამ პატარა ვერცხლის თასს და დასდგამდნენ საწირავზე. ხუცესი აქვე იდგა პირით აღმოსავლეთისაკენ, გადამდგო დასტურნი და ახალდამდგო დასტურნიც ყველანი აქ იყვნენ ქუდმოხდილნი. ხევისბერი დაიწყებდა ისევ იმ დიდებათ, რასაც საკლავის დაკვლაში. მხოლოდ ის ადგილები, რაშიც განსხვავება იყო კოდის გახსნის და საკლავის დაკვლის დიდებაში, აქ იწერება კოდის გახსნის წესთან:

„დიდება შენდა, ღმერთო მაღალო, დიდება შენდა, კვირავ ცხოველო, ქრისტეო და ღმერთო, დასწერე ჯვარი დანთებულ სანთელთა, დაჭვრეთილ სეფისკვერთა, დადგმულ ჭიქა-ბარზიმსა, ძალი და ბრძანება თქვენგან არის...“ და გრძელდება, როგორც საკლავის დაკვლის დიდება, მხოლოდ ზღვნის მაგიერ ჩაერთვის: „ანთებულნი სანთელნი, დაჭვრეთილ სეფისკვერნი და დადგმულ ჭიქა-ბარზიმნი“.

ჩვეულებრივ, ხევისბერი დიდებათ რომ დაამთავრებდა, დასტურები თასებს აიღებდნენ, ერთ თასს ხევისბერს მისცემდნენ, ორს დასტურები დაიჭერდნენ (ხევსურეთში ამ დროს დიდი თასები და სახუცო კოჭობი იციან, ფშავში კი როგორც არაყის ჭიქა, იმაზე დიდი თასები არ იცოდნენ, განსაკუთრებით იახსარში) და ხევისბერი კიდევ დაილოცებოდა: „გაუმარჯოს ყველა წმიდა ანგელოზთ და იმათი დავლათა გწყალობდესთ ყველა ხალხსა, ყველა ჩემ ყურთა მსმენელთა, ამ იაჯსარის კარისა და გორის მლოცავთა. სწყალობდეს ჩვენი იაჯსარი იმ ხალხთაც, ვისაც დღეს მოსვლა უნდოდა, და რაიმე მიზეზით ვერ მოვიდა, გაწყალობდესთ ახალ დამდგომ დასტურთაც და გადამდგომთაცა. დამდგომნი შაუცოდვრად, შაუწყინრად შაგინახნესთ და გადამდეგ დასტურთ თავისი წყალობა და მოწაღმართე ანგელოზი გამოგაყოლოსთ დალოცვილმა, თუ რაიმე თქვენის უცოდრობით სცოდეთ, შეგინდოსთ და გაპატიოსთ ჩვენმა სალოცავმა ლაღმა იაჯსარმა“. ამ დალოცვის შემდეგ ხევისბერი გამოცლიდა თასს. დასტურნიც ასეთივე სიტყვებით ერთიმეორეს დალოცავდნენ და დალევდნენ. კიდევაც აავსებდნენ და ვისაც დააკლდა, დაალევინებდნენ. ამის შემდეგ ამ პურს ხევისბერი დანას გაუსვამდა ჯვარედინად, გასერავდა და იტყოდა: „შენ სასახელოდ იყოს, ჩვენო სალოცაო ლაღო იაჯსარო, ეს

დაჭვრეთილი სეფისკვერიც და ზედაშეც“. ამის შემდეგ კიდევ აავსებდნენ სამივე თასს და ხევისბერი შენდობას ეტყოდა: „დიდება ამ ჩვენს სალოცავს ლაღს იაჯსარსა და ღმერთმა შაიწყალოს ის სულწმიდანი, რომელთაც ჩვენი სალოცავი არ ივიწყებდეს ამ სეფისკვერითაცა და ამ ზედაშითაცა. ჰქონდეს ნაამური შანაძღვენ-შანაწირითა. ჩვენ კი სახელდობრ ვერ ვიგონებდეთ, ან კიდენა ჰქონდეს დანამადლისი, ენითა, ჯელითა და თავისი შრომითა. შეიწყალოს ასეთი სულები ღმერთმა და ჩვენმა იაჯსარმა“. შენდობას რომ ეტყოდა, კიდევ იღებდნენ ჭიქებს ხელში და ასეთივე დალოცვით ყველანი დალევდნენ. ეს რომ მოთავდებოდა, ამ ხნობამდენ ხორციც მოიხარშებოდა ორივე დასტურთ საკლავებისა. ერთი მათგანი ხორცს სუფრაზე ამოალაგებდა და წვრილ-წვრილად დააწილობებდა. დაჭრიდნენ აგრეთვე ხალხის მიერ შემოწირულ პურებს წვრილ-წვრილ ნაწილებად და დააწყობდნენ სუფრაზე. აავსებდნენ კოშს ლუდით, იმასაც იქვე დადგამდნენ სუფრაზე, აანთებდნენ სამ ფეხ სანთელს და დააკრავდნენ სუფრაზე. ხევისბერს ხელში არაფერი ეჭირა, ფეხზე დადგებოდა, პირჯვარს დაიწერდა და სუფრას შანდობას ეტყოდა:

„დიდება და გამარჯვება მოხსენდეს ძალას ხთისას, სამართალს კვირაისას, იმათ მოთანახმე წმინდა ანგელოზებს, ნაჯსენებ ხვთიშვილების მადლი სწყალობდეს დამდგომ დასტურთაც და ძველთ, გადამდგომ დასტურთაცა. გიყმოსთ და გიმსახუროსთ, შაუწყინრად, შაუცოდვებლადა. გადამდგომთ თავისი წყალობა გამოგაყოლოსთ და დამდგომს თავისი წყალობის თვალი და გული დაგაყოლოსთ. ღმერთმა შაიწყალოს, როგორც წესი და რიგი ჰქონდეს ჩვენს სალოცავს, ამ დასტურების შაცვლაზე, რომელნიც სულწმიდანი მოგვბიროოდენ და მოგონებას მოგველოდენ, ჩვენ სახელდობრივ ვერ ვიჯსენიებდეთ, ჩვენი სალოცავი არ ივიწყებდეს, ჰქონდეს ნაამური ენითა, ჯელითა, თუ შანაწირით-შანაძღვენითა, დადგმული სუფრა. დანთებული სანთელი, საკმელი და იმათ ზედამრჩოთაზედა წყალობით იყოს ჩვენი სალოცავი დიდი იაჯსარი“. ამ დალოცვის შემდეგ ყველანი იტყოდნენ: „შაიწყალოს ღმერთმა“. აიღებდა ხევისბერი კოშს, ჯერ თვითონ დალევდა ცოტას, მერე მოულოცავდა ძველ გადამდგომ დასტურთ და ეტყოდა: „აი, ამ თასითა და ზედაშითა მოგილოცავთ დასტურობიდან და ჩვენ იაჯსარის სამსახურიდან ერთი წლის შასრულებას და განთავისუფლებას. წყალობით იყოს ჩვენი სალოცავი თქვენს თავ-ჯალაფობაზედა. ამ ერთის წლის განმავლობაში თქვენის უცოდრობითა და ხორციელობით თუ რაიმე სცოდეთ, გაპატიოსთ დალოცვილმა და მრავალჯერ გიმსახუროსთ მშვიდობითა“.

ძველი დასტურები კოშს ჩამოართმევდნენ და თითოობით დალოცებრდნენ: „დიდება ღმერთსა და ჩვენს იაჯსარსა და იყოს მწყალო-

ბელი ჩვენ გადამდგომ დასტურთი და ჩვენი თავჯალაფობისი. შაგვინ-
დოს და გვაპატიოს დალოცვილმა, ჩვენის ჯორციელობით რაცა ვცო-
დეთ ამ ერთი წლის განმავლობაში". ამ სიტყვებს ორივენი გაიმეო-
რებდნენ და ცოტას დალევდნენ. ბოლოს კოშს მიულოცავდნენ ახალ
დამდგომ დასტურთ და ისინიც გადამდგომ დასტურთ დაამწყალობებ-
დნენ. მერე კოშს ისევ ხევისბერს გადაულოცავდნენ დამდგომ დას-
ტურთ დასამწყალობნებად. დამდგომ დასტურთ დამწყალობნების
დროს ისინი ზემოთ, მარჯვენა მხარისაკენ, იდგნენ, ხოლო დამდგომი
დასტურნი ქვემოთ, მარცხენა მხარისაკენ. ახლა შესცვლიდნენ ადგი-
ლებს: გადამდგომ დასტურნი ქვემოთკენ გადმოდგებოდნენ, ახალდამ-
დგომნი დასტურნი კი ზემოთ გადავიდოდნენ მარჯვისაკენ. ხევისბერი
ახლა ახალ დამდგომ დასტურთ დაამწყალობნებდა და მიულოცავდა
კოშს ამ სიტყვებით: „ამ თასითა და ზედაშითა გილოცავთ დასტურად
ახალ დადგომასა, ვთხოვ ჩემის ცოდვილის ენეპირითა დალოცვილს
ჩვენს იაკსარსა, რომა წყალობით იყოს თქვენზედა, მშვიდობითა და
უცოდველად გატარებიოსთ ეს მომავალი წელი და შეგესრულებიოსთ
ჩვენის იაკსარის სამსახური შაუცოდვებლადა და შაუწყინრადა. თუ
რაიმეს თქვენის ჯორციელებითა და უცოდრობით სცოდავთ, თავის ან-
გელოზობით გაპატიოსთ დალოცვილმა, ყმა შაუცოდვებელი არ იქნე-
ბა და ბატონი შაუნდობელი".

ამ სიტყვებით ხევისბერი კოშს გადასცემდა ახალ დამდგომ დას-
ტურთ. ისინიც ჩამოართმევდნენ და დაილოცებოდნენ. ჯერ ერთიმე-
ორეს დალოცავდნენ და მერე თავისთავსაც მიაყოლებდნენ: „გწყალობ-
დესთ დალოცვილი ჩვენი სალოცავი ლაღი იაკსარი, მშვიდობით დაწყე-
ბული მისი სამსახური მშვიდობით და უცოდველ-შაუწყინრად დაგვა-
მთავრებიოს, უშველოს დალოცვილმა ჩემს სახ-ჯალაფობასაც, წელი
შშვიდოშნისა დაგვიყენოს და რასაც ვცოდავთ უმეცრებითა და ჯორ-
ციელობითა, გვაპატიოს და კვლავად უკეთესი გულით შეგვახვედროს
მისი სამსახური, დასტურობა". ცოტას ორივენი დალევდნენ და ამ
სიტყვებით დაილოცებოდნენ. მერე გადასცემდნენ კოშს გადამდგომ
დასტურთ. ისინიც ასეთივე შინაარსის სიტყვებით ახალდამდგომ და-
სტურთ დაამწყალობნებდნენ და ცოტ-ცოტას დალევდნენ. ბოლოს
თასს ისევ ხევისბერს გადაულოცავდნენ. ის გამოსცლიდა და გადა-
ხდიდა მადლს: „ასე დაგეცალოსთ მტერი და ორგულიცო", და დახ-
რიდა კოშს. დასტურნი კოშს ჩამოართმევდნენ, ხევისბერი წავიდოდა
და დაჯდებოდა თავის ადგილზე. დასტურები კი ჩხუტს ან სპილენძის
ქვაბს ავსებდნენ ლუდით, გამოიტანდნენ გარეთ, სადაც ხალხი ბუს-
ნოზე ისხდა. მოიტანდნენ თუ რამე ჰქონდათ სუფრის მაგივრად გასა-
შლელი და გაუშლიდნენ ხალხს, თუ არა, პურებსა და ხორცს ყველას
დაუწყობდნენ წინ. ხალხი ისხდა უსკამოდ ბუსნოზე და სუფრის მაგი-

ვრობასაც გათელილი ბალახი ასრულებდა. სადაც ხევისბერი იჯდა, დასვამდნენ პატივსაცემ სტუმრებს ან ხნიერ კაცებს და საერთო სუფრას დაუდგამდნენ. თავთავის კერძი წილობების მაგიერ მათ ხორცსაც საერთოდ უწყობდნენ და პურსაც. ყველა აიღებდა ხელში პურს, გატეხდა და იტყოდა: „ღმერთო, გაუმარჯვე დიდს იაჯსარსა და, იაჯსარო, შენ სწყალობდი შენთ ყმათა, ყმათაში დასტურთა ახალ დამდგომთა და გადამდგომთა და ყველა შენ მსახურთა". ამის შემდეგ დაიწყებდნენ პურის ჭამას. ძველი დასტურნი უკვე აირეოდნენ ხალხში, ახალ დამდგომი დასტურნი კი არიგებდნენ ლუდს. ყველა დაილოცებოდა ფეხზე აუდგომლად ძველთა და ახალ დასტურთა დამწყალობნებით.

იმართებოდა სმა და დროსტარება: ცეკვა, სიმღერა. სიმღერა აჭმარტო ფშაურ კილოზე იცოდნენ. რაკი იახსარი დევებთან მებრძოლი იყო, ხშირად ჩამოვარდებოდა ლაპარაკი იმის გმირობაზე, დევკერპებზე და სხვა. მოიგონებდნენ აბუდულაურს და მღეროდნენ მასთან დაკავშირებულ დევებინ ლექსებს. ლექსს ჯერ ერთი იტყოდა სიმღერით და ბანს ყველანი ერთ ხმაზე ეტყოდნენ; მღერა შეიძლებოდა ერთი კაცის ბანის თქმითაც და რამდენიმე მებანითაც. ერთი რასაც იმღერებდა, მერე მეორე გაიმეორებდა ამ სიტყვას და ბანს ყველა ეტყოდა; პირველი და მეორე მომღერალიც ერთიმეორეს ბანს ეუბნებოდნენ.

ლხინისა და სმა-ჭამის დროსვე თავხევისბერი წავიდოდა დაჯსანთელს აანთებდა სასანთლეში. სასანთლე — პატარა კოშკი, საზარესთან იყო ახლო აშენებული, პატარა საკვამის ოდენა ადგილი ჰქონდა დატოვებული, რომლის შიგნით ქვა იყო გამოჭარბებული, რაზედაც ანთებულ სანთელს დააკრავდნენ და გარედან სიპს მიუღობებდნენ, რომ სანთელი ქარს არ დაექრო. სანთელს თვითონ დასტურ-ხევისბრები დაახვევდნენ (ჩამოქნიდნენ) ხალხის შეწირული, გამდნარი სანთლიდან. სანთელს თითქმინ ყველა მლოცავი სწირავდა ნახევარ გირვანქამდე. ზედ გადაახვევდნენ ბამბის ძაფს, რომელიც ამ სანთელს გულად ეყოფოდა. პირველ შეწირვაზე ხევისბერი ეტყოდა: „ამ სანთლის შემოწირვისათვის წყალობით იყოს შენზედა, ჩვენი იაჯსარი". სანთელი ერთ კოლოფში გროვდებოდა და საჭიროების დროს ხარჯავდნენ. ამბობდნენ: ვისი შემოწირულიც არის, იახსრის წყალობა მაინც მას ეკუთვნის, რისთვისაც არ უნდა დაენთოსო.

დასტურ-ხევისბრები ბლომად სანთელს დააწყობდნენ ცეცხლთ ახლოს. რამდენიც გალხვებოდა, დანით სთლიდნენ და ხელში ზელდნენ. როცა სანთელი საკმარისად გალხვებოდა, ერთი მათგანი ბამბის ძაფს დაიჭერდა, მეორე კი დააწვევდა; ზოგს წვრილ სანთლებს აკეთებდნენ, ზოგს კელაპტრებს. ცხრა ფეხ სანთელს და ერთ კელაპტარს სასანთლესთან წაიღებდა ხევისბერი (სასანთლესთან სხვა კაცი ვერ

მივიდოდა, გარდა თავხევისბერისა, რომელსაც სანთლის ანთება და საკლავის დაკვლა ებარა), მივიდოდა ქუდმოხდილი და ფეხშიშველი პირჯვრის წერით და თხოვნით: — დალოცვილო იახსარო, ნუ შამისაწყინდები, რომა მე უღირსი ხორციელი შენს წმიდა ადგილს ფეხით ვლახავ, სანთელს ვანთებ და შენს წმინდა ადგილს ვახსენებო. მერე აანთებდა სანთლებს, დააკრავდა შუკუნში ქვაზე და პირჯვრის წერით იტყოდა: „დიდება ძალსა და სახელსა შენსა, დიდო იაკსარო და კვირაცხოველო. ლაღო იაკსარო, ამ სანთელ-კელაპტრით შენა სწყალობდე შენთ ყმათა და ყმათაში შენს სამსახურზე თავდადებულთა, შენსა და ხალხის ერთგულთა, დაიკსენ ყველა გაჭირვებიდან შენნი საყმონი, დაეკმარე ველთაცა და შინაცა. დაეკმარე მაგათ კაც-საქონსა და ცხვარ-საწყემსოთა“.

მერე ხევისბერი პირჯვრის წერით დაბრუნდებოდა ხალხთან და ეტყოდა: „გწყალობდესთ ყმათ ლაღი იაკსარი, გიშველოსთ და გიმეშველოსთ დალოცვილმა, დაგიკსნასთ ყველა გაჭირვებიდანა“. ხალხიც ქუდმოხდილი ფეხზე ადგომითა და პირჯვრის წერით შეხვდებოდა და ეტყოდა: „შენიცამც მწყალობელია და შენის თავკალაფობისი“. ამის შემდეგ ისევ გრძელდებოდა სმა-ჭამა და მღერა-თამაშობა, მოდიოდა მეზღვხე, იხოცებოდა საკლავი, მოდიოდა ქადა-პური, სანთელი და სხვა შესაწირავი. დასტურ-ხევისბრები ყველა შემოწირულს აწესრიგებდნენ და ამწყალობნებდნენ ხალხს. ქადა აქაც მოდიოდა და აქვე ახლო ხთიშობელია, ადგილის დედა, იქაც პატარა კოშკი დგას და სანთელს ანთებდნენ, საკლავსაც კლავდნენ. ქადა აქ ყველას მიაქვს ნათავარისა. ქადას დასჭრიდა დასტური, მიიტანდა და სიპზე დადებდა (ამას სანთელს არ უნთებდნენ, ქადაზე ჩამოსაქნელ სანთელს კი მოაყოლებდნენ. როგორც ზემოთ ვთქვით, სანთელი შემდეგისათვის ინახებოდა, ქადას აქ სანთლის აუნთებლად სჭრიდნენ). ქუდმოხდილი დასტური პირჯვარს დაიწერდა და იტყოდა: „დიდება ძალსა შენსა, დედაო ხთიშობელო, შენა სწყალობდე შენთ მეხვეწურთა, რასაც მჯარ-გულზე გეხვეწებოდეს, იმ მჯარ, იმ გულზე უშველე, რაზედაც შეთქმული ჰქონდეს შენთვინა ქადის შემოწირვა, იმ საქმეში დაეკმარე, დალოცვილო. შენი გასამრჯო იყოს, მაგისი სამწყალობნელო“. ამ სიტყვებს რომ იტყოდა, ქადას დანას გადაუსვამდა ჯვარედინად და ცოტათი გასერავდა. ერთ მეოთხედს კი გამოსჭრიდა, რაც დასტურ-ხევისბრებს რჩებოდათ, სამი მეოთხედი ქადისა პატრონს უბრუნდებოდა. მერე ჩვეულებრივად დაიკვლოდა მეზღვნეების ზღვენი, რაზედაც ვის ჰქონდა შეთქმული (საკლავის დაკვლის წესი და დიდება ზემოთ არის ჩაწერილი). ზოგს ისე ჰქონდა შეთქმული, რომ აქ უნდა მოეხარშა ხორცი და სუფრა გაემართა, ზოგს კი შინ მიჰქონდა, მხოლოდ ხევისბრებსა და

დასტურებს აძლევდნენ ერთ მხარსა და ტყავის სახსარს, ერთ აბაზ ვერცხლის ფულს.

ვისაც შეთქმული ჰქონდა სუფრის გაკეთება, ან ახალი მკვდრის პატრონი იყო, ან ძველი სულის მოხსენიება სურდა, აქ მოხარშავდა ხორცს და გამართავდა სუფრას. აქვე იცოდნენ სკამის ნათლა. იახსარში საბეროში იყო ქვის შვიდი სკამი, რომლებიც ეკუთვნოდათ ძველ ხევისბრებს, ვინც უფრო ხატის რწმუნებულები იყვნენ, ე. ი. ხატთან დაახლოვებულები. (ყველა სამლოცველო ადგილს ხევსურულად ჰქვიან „ჯვარნი", ფშაურად „ხატი" ან „ხატნი"), რომლებიც ითვლებოდნენ უფრო წმიდა ხევისბრებად. ამ სკამების პირველი პატრონები თანდათან დაავიწყდათ. იციან, რომ ეს შვიდი სკამი არის წმიდა ხევისბრების კუთვნილი, ოღონდ ვისი რომელია, ეს აღარავინ იცის. იცოდნენ და იციან გადმოცემით ისაც — ვისი წინაპრები იყვნენ ასეთი ხევისბრები, სწორედ მათ შთამომავლებს მკითხავები ხშირ შემთხვევაში ავალებდნენ თავისი წინაპარი ხევისბრის სკამის ნათლას და ამ საკლავის ხორცით ამავე ხევისბრისათვის სუფრის დადგმას ხატში, ე. ი. იახსარში. იმასაც მკითხავივე აღნიშნავდა, რომელ დღეობაში შეესრულებინათ ეს სამსახური. იმ დღეობაში, რომელშიც მკითხავმა დაავალა, მეზღვნე მოიყვანდა საკლავს, მოიტანდა ქადას, პურს, მარილს, სანთელს და ქვაბსაც.

საკლავს ჩვეულებრივად დაკლავდა იახსარისთვის, დიდებაში ჩაურთავდა: „მოუყვანია, ლაღო იაჯსარო, სამსახური შენდა სადიდებლად და შენის რწმუნებულის (სახელი იმ ძველი ხევისბრისა, რომლის სკამის სანათლავადაც არის საკლავი მოყვანილი) სკამის სანათლავად და იმის სულის გასანათლებლად. ღირსეულად შეიწირე, ლაღო იაჯსარო, ეს შემოზღვნობილი ზღვენი; შენ იდიდე და იძლიერე, იმ სულიწმიდას კი განათლება მიეცი და ზღვნის შემომწირველს შენი წყალობა, დაეჯმარე შენის სახელის ჭირიმე ველთაც და შინაც, ცხვარშიც და სამწყემსოშიც". დანარჩენი დიდება ჩვეულებრივია. საკლავს ყელს გამოსჭრიდნენ და მეზღვნეს დაამწყალობნებდნენ. საკლავის დაკვლის დროს აქ იდგა პატარა სპილენძის თასი, რაშიც გროვდებოდა საკლავის სისხლი, რომელსაც ზემოხსენებულ შვიდს სკამს ასხურებდნინ ე. ი. ხევისბრების ყველა სკამს. საკლავს რომ დაკლავდნენ, დასტური ბუსნოზე დადებდა მას, საკლავის ტატრონი თავს სულ გადასჭრიდა და მისცემდა დასტურ-ხევისბრებს, გაატყავებდა და ერთ მხარს მათვე აუჭრიდა (საკლავის გატყავება ხევსურეთში სხვა წესით იცოდნენ, აქ სხვა წესით. ხევსურეთში საკლავის ტყავს გადასჭრიან წინა ფეხებიდან, გაუვლიან მკერდსაც და წინა ფეხებსაც ორივეს ერთურთის მოპირდაპირედ გასერავდნენ მუხლამდინ. ასევე უკანა ფეხებს, ყელიდან ჩაჰყვებიან ტყავის გაჭრას და ჩავლენ დუმის წვერამდინ და მერე

მთლად გაატყავებენ. ფშავში კი უკანა ფეხებზე გადასერავენ, წინა-ფეხებზე და მკერდმუცელზე აღარ დასჭრიან და გამოვა გუდა. ამიტომაც არის, რომ თუ ხატში მოსახარშად არა აქვთ შეთქმული, ფშაველი გატყავებულ საკლავს სახსრებზე დასჭრის, აწყობს ამავე საკლავის გუდად გახდილ ტყავში, მოაკრავს ორივე მხარეზე პირზე ბაწარს და ხორცი ისე მიაქვს შინ). დანარჩენ ხორცს ასო-ასოდ დასჭრიდა, ჩაყრიდა ქვაბში და მოხარშავდა. ქვაბის დასადგმელად ან ორ კუთხიან ქვას დადებდა და ზედ ქვაბს დაადგამდა, ან იქით-აქეთ ორ ჯოხს დაარჭობდა მიწაში, მესამე ჯოხს ზედ გასდებდა, რაზედაც ქვაბის ხელი იქნებოდა გაცმული და ჩამოკიდებული. ცეცხლს შეუნთებდნენ და მოხარშავდნენ. ამავე საკლავის პატრონს სახლიდან მოტანილი ჰქონდა რამდენიმე ჯამი წვენის დასალევად; პურიც სახლიდან ჰქონდა მოტანილი. სუფრის მოტანაც იცოდნენ თუ ჰქონდათ. მსხალი, ვაშლი, თხილი, კაკალი ხშირ შემთხვევაში ინახებოდა ფშაველის ოჯახში, იყენებდნენ სუფრაზე, ჭირ-ლხინის დღეში მეზობელთან მისატანად, სტუმრებთან და სხვა. ასეთი სუფრისათვის კი, როგორც აქ უნდა გაიმართოს, ხომ აუცილებლად ჰქონდათ ასეთი „სალაღობო". ხორცი რომ მოიხარშებოდა, ამოიღებდნენ ქაფქირით, რომელიც თან ჰქონდათ მოტანილი, ჩააწყობდნენ ბაკანში, დაჭრიდნენ წილობებად, პურსაც დასჭრიდნენ და გაშლიდნენ სუფრას, დააწყობდნენ ზედ პურის ნაჭრებს, დადგამდნენ ბაკნით სალაღებელს, ხორცსაც ბაკნით დადგამდნენ, წყალს ჭურჭლით (დოქით), სასმელს დაასხამდნენ ყანწში და მისცემდნენ ხევისბერს. სანთლებს დაანთებდნენ და დააკრავდნენ სუფრასთან დადგმულ ხილზე, პურზე, სასმელზე, წყალზე და სხვა. ხევისბერი სუფრას ჩვეულებრივი წესით შენდობას ეტყოდა: „დიდება მორიგეს ღმერთსა კვირაცხოველსა და ლაღ იაჯსარსა. ლაღო-იაჯსარო, შენა სწყალობდე შენთ საყმოთა და შენს საყმოშიით შენთ გორის მლოცავთა და კარის მლოცავთა, ჩვენო სალოცაო ლაღო იაჯსარო, შენ უშველე ამ სუფრის პატრონსა, შენთვის ზღვენი არ დაუკლავ და სულწმიდათათვის დადგმული სუფრა, შენ შენს წყალობას ნუ დააკლებ. შეიწყალოს ღმერთმა ამ პურ-სუფრითა და სანთელ-კელაპტრით კია, ვისთვისაც გამეტებული იყოს ეს სუფრა (იმ მიცვალებულის სახელი, რომლისთვისაც სუფრაა დადგმული და სკამი დაინათლა). სულის მადლმა და ხვთისამა ამ სუფრის პატრონს კი უშველოს და თავის ნაშრომ-ნაამაგარს ბარაქა დაატანოს". — „შეიწყალოს ღმერთმა", — იტყოდნენ ყველანი. მერე პურსაც და ხორცსაც თავთავის კერძს ყველა დაუწყობდნენ. სუფრის წესი ჩვეულებრივ ჩატარდებოდა, იმართებოდა სმა-ჭამა და მღერა-თამაშობა. დღეობა გრძელდებოდა საღამომდე, საღამოჟამს თას-განძს დასტურნი თავის ადგილზე მიაბძანებდნენ და შეინახავდნენ. ხალხი თითო-ოროლობით

წავიდ-წამოვიდოდა მადლის მოთხოვით და დასტურ-ხევისბრებისაგან დამწყალობნებით.

ს ე რ ო ბ ა

ამაღლების შემდეგ მოდიოდა დღეობა ს ე რ ო ბ ა, ძველი რიცხვით მკათათვის ექვსში. ამ დღეობისათვის დასტურნი კარგა ბლომად ლუდს ამზადებდნენ, რადგან ყველაზე მთავარი დღეობა იყო. შორიდან მოსასვლელადაც ზაფხულობით ყველგან გზები იყო გასული. ამავე დროს მთებში ცხვარი უკვე ამორეკილი იყო და საკლავს ადვილად შოულობდნენ. ყველა ამ მიზეზის გამო ყმათ გარდა სხვა მლოცავებიც ბევრი იყრიდა თავს. სასერობოდ უპირველეს ყოვლისა გზავნიდნეხ ძეკულუხეს და მოჰქონდათ კულუხი როგორც ვიცით, ფშავ-ხევსურეთში მთავარ სალოცავებს ბევრს ჰქონდა ახმეტაში და მის ახლომახლო სოფლებში ვენახები. ვენახები იყო მაშინ შეწირული, როცა თუშ-ფშავ-ხევსურებმა ბახტრიონიდან თათრები გარეკეს. ძველები იტყოდნეხ: მაშინ ფშაველ-ხევსურხი სალოცავების დროშით იყვხენ და როცა მტერი დაამარცხეს, მეფემ უთხრა: ვის რა გინდათ, რომ გაჩუქოთ. თუშებმა მოითხოვეს ალვანი, ფშაველ-ხევსურებმა თქვეს: ჩვენ მთის ხალხი ვართ, ბარში არ ვიგვარებთ, ამ გამარჯვების ნიშნად ჩვენს სალოცავებს ვისი დროშებიც არის, ახმეტაში და ახლომახლო სოფლებში თითო ვენახი შემოსწირეთო. მაშინ შესწირეს ვენახები: გუდანის ჯვარს, არხოტის ჯვარს, კარატის ჯვარს, კოპალას, ლაშარის ჯვარს, თავარძოწამეს და იახსარსაც მაშინ შეწირული ვენახი ჰქონდა. ახმეტაში ვენახი შემოღობილი იყო ქვის კედლით, ერთი კარგი მარანი ჰქონდა და იქვე პატარა კოშკი დროშის საბძანებელი, აქვე იყო მეზვრისათვის აშენებული საცხოვრებელი ბინა და ჰყავდა მუდმივი კაცი, რომელიც უვლიდა ვენახს, ინახავდა სახატო ქონებას, რაც კი სჭირდებოდა ვენახის დამუშავებას, ყურძნის დაწურვას, ღვინის დაყენებას და სხვა. ამავე დროს ის კაცი ყარაულობდა ვენახს .და ხელმძღვანელობდა მუშას. ქვევრები სხვაც ჰქონდათ, მაგრამ ერთი ქვევრი კაჟის ქვისაგან ამოჭრილი იყო და არაჩვეულებრივი კარგი ღვინო დგებოდა მასში. ყურძენი რომ დაიწურებოდა, ამ ქვევრში მაშინ ჩაასხამდნენ ტკბილს, იფუვლებდა და წამოღებამდინ ასე იყო, სხვა ჭურჭელი არ სჭირდებოდა, იდგა ჭაჭაზე სერობამდე. სერობას მეკულუხე რომ მივიდოდა, მაშინ ახდიდნენ თავს და გადმოიტანდნენ საცალო ტიკებში (ამაზე მერე გვექნება ლაპარაკი).

ქვევრი ამოჭრილი იყო ერთი კოჭლი კაცის მიერ, ამიტომ ამ ქვევრს „კოჭლაური" ერქვა საკუთარ სახელად. იახსარმა რომ დევები ყველგან ამოწყვიტა, ნახა, რომ ეს კოჭლი კაცი დევებს ჰყავდათ დაჭე-

რილი და აკეთებინებდნენ სხვადასხვა იარაღებს. ეს კოჭლი კაცი იყო სახელგანთქმული მჭედელიც. იახსარი მივიდა მასთან და უთხრა: დევების პატიმრობიდან დაგიხსნი, თუ ერთს ტალის (ქაჟის) ქვევრს ამომიჭრიო. კოჭლმა პირობა დაუდო: ოღონდ ამათ ხელიდან დამიხსენი და ისეთი ქვევრს გავაკეთებ, რომ იმისი ცალი ქვევრი არც აქნობამდე გაკეთებულიყოს და არც ამის შემდეგ ვისმეს შეეძლოს იმისთანა ქვევრის გაკეთებაო. დევები იორზე ცხოვრობდნენ; ერთ დღეს, როცა ყველანი შინ იყვნენ, დაეცა იახსარი თავს და თავისი ლახტით სულ ამოწყვიტა, კოჭლი კაცი კი წამოიყვანა მშვიდობით. იგი დაბინავდა ახმეტაში, გამართა სამჭედლო. ისეთი იარაღები გააკეთა, რომ ქვას ხესავით სჭრიდა და ამოთხარა ტალის ქვევრი. ეს კაცი იახსარმა თავის მარანში დააბინავა და სიკვდილამდე აქ ცხოვრობდა, პატრონობდა ვენახს და სახატო ქონებასაც უვლიდა. ქვევრი თვითონვე ჩააგდო მიწაში და გამოდგა ისეთი, როგორც ზემოთ ვთქვით.

მეკულუხე რომ მოემზადებოდა, შეუთვლიდნენ უფრო სამგზავროდ საიმედო, ამასთან მორწმუნე კაცებს. მოემზადებოდნენ თავხვევისბერი და ორი დასტური, იშოვიდნენ თავისთვისაც და ღვინის მოსატანადაც კარგ ცხენებს, საცალო ტიკები სახატოც ჰქონდათ და, რაც დააკლდებოდათ, სოფელში იშოვნიდნენ. ხევისბერი დაკლავდა ერთ საკლავს ხელმხრის სანათლავს (დროშათ აბმის დროს ხელმხრის ნათვლა ჩვეულებრივი ამბავი იყო), მერე ააბამდა დროშას. დროშა ძველად აქაც სამი იცოდნენ — ერთი ზარით და ვერცხლის ჯვარით, ორი რკინის შუბით. ყველა ეს მასალა ჩალაგებული ჰქონდათ პატარა კიდობანში. თანაც საჭირო ბაღდადები (აბრეშუმის თავსაფრები) იყო ჩაწყობილი, რომელიც დროშას სჭირდებოდა და ხალხისაგან იყო შეწირული.

ხევისბერი ყველა ამ მასალას ამოიღებდა და დააწყობდა იქვე საამისოდ გაკეთებულ და წმიდად დაცულ სიპზე (წმინდად დაცული იმით იყო, რომ იმ სიპთან ყველა ვერ მივიდოდა, გარდა ხელწმინდა კაცისა). პირველად აიღებდა ხელში მგზავრი დროშის ტარს, მოახვევდა წვერზე ერთ ბაღდადს, ჩამოაცმევდა ზედ ვერცხლის ბურთს, დაიწერდა პირჯვარს და იტყოდა: „დალოცვილო ჩემო სალოცაო იაჯსარო, ნუ შამისაწყინდები ჯორციელსა შენი წმიდა ხატის ხელის კადრებისათვის. შემინდევ, დალოცვილო, რასაც გცოდავ ჩემის ჯორციელობითა"; აიღებდა ხელში ჯვარს, ემთხვეოდა და გაუკეთებდა ბაღდადმოხვეულ წვერზე. მერე თითოობით შეაბამდა ბაღდადებს დროშის ტარზე; შემდეგ შეაბამდა პატარა ზარს. ასევე მორთავდა სხვა ორ დროშის ტარსაც, ოღონდ წვერში უკეთდებოდათ შუბები რკინისა. კულუხზე წამსვლელნი ყველანი გაბანილ-გასუფთავებულნი წმიდად მოვიდოდნენ და

გამგზავრებისათვის ყველაფრით მომზადებულნი იდგნენ, როცა ხევისბერი დროშათ აბამდა. სადიდებელი იქნებოდა ამ დროს ლუდი ან არაყი, რომელსაც მიართმევდნენ ხევისბერს, სანთელსაც აანთებდნენ და ხევისბერი მოკლე სიტყვებით დაილოცებოდა: „დიდება ძალსა ღვთისასა, დიდება შენდა, კვირავ ცხოველო, დიდება შენდა, ჩვენო სალოცაო ლაღო იაჯსარო, მოგზაურო ანგელოზო. გეეედრებით და გეხვეწებით, ლაღო იაჯსარო, უშველე შენ ყმათა და ყმათაში შენის წმიდა დროშაის თანამყოლთა კულუხის მომტანთა, შენთა წამებულთა. შაიხვეწენ, ჩვენო სალოცაო ლაღო იაჯსარო, მგზავრობა მშვიდობისა მიეც და მოსულთა ხიზან-ჯალაფობა მშვიდობით დაახვედრე. შენდა სასახელოდ იყოს ეს სანთელ-კელაპტარი და ეს ზედაშე და ამ მგზავრთა სამწყალობნოდ“. ხევისბერი რომ დიდებას გაათავებდა, ყველანი იტყოდნენ: „ამინ, დალოცვილო ჩვენო სალოცაო, გვიშველე და გვამგზავრენ მშვიდობითა“. ხევისბერი თასს გამოცლიდა, დაასხამდნენ და ყველა მეკულუხეს თითო თასს მისცემდნენ. ყველანი დაილოცებოდნენ და სთხოვდნენ იახსარს, მიეცა მათთვის წყალობა და მშვიდობით მგზავრობა. თასებს ყველანი გამოცლიდნენ, ააბრძანებდა ხევისბერი დროშას, გადაიწერდნენ პირჯვარს და გაემგზავრებოდნენ. ერთ დღეში ჩავიდოდნენ ზემო თიანეთში, იქ იახსრის ნიშია დროშის საბძანისი და იმ ღამეს იქ დადგებოდნენ. ვისაც შუაფხოში წამოსვლის საშუალება არ ჰქონდა და ზღვნობა კი უნდოდა, აქ უხვდებოდნენ იახსრის დროშას და ზღვნობდნენ. ზემოთიანეთში, ტუშურიანთსოფელში გვარად სულ ტუშურები ცხოვრობდნენ, ესენიც ეყმობოდნენ იახსარს, ხევისბრებიც იყვნენ აქაურები. ამათ სოფელში კი იშვიათად ვინმე დარჩებოდა, რომ კულუხიდან დაბრუნებულს იახსარს არ დახვედროდა ზღვნით და მის მსახურთა პატივისცემით.

ზემოთიანეთში ერთ ღამეს გაათევდნენ, ხატს ადიდებდნენ, საკლავებიც დაიკვლებოდა. იმ ღამეს სულ ქეიფში და მღერა-თამაშობაში გაატარებდნენ, დილით კი გაემგზავრებოდნენ. საღამო ხანზე ახმეტაში თავის მარანზე იყო იახსრის დროშა. აქაც ბლომად ხალხი ელოდებოდა, იცოდნენ, რა დღეს იქნებოდა იქ იახსარი და მის მლოცავნი მზად იყვნენ. ორშაბათ-საღამოს არ ასცდებოდა, იახსრის დროშა და მეკულუხე მარანზე გაჩნდებოდნენ, ხევისბერი დროშას გამოიღებდა, დაიჭერდა ორივე ხელში და მარცხნიდან მარჯვნივ ზარის წკარუნით მარანს შემოუვლიდნენ გარშემო. იყო შემთხვევა, რომ ვინახსაც შემოუვლიდნენ, თუ ეს იახსარისაგან იქნებოდა ნაბრძანები. შემდეგ ხევისბერი დროშას მიაბძანებდა თავის საბძანის კოშკზე, მობრუნდებოდა და დაამწყალობნებდა იქ მყოფთ: „გწყალობდესთ ლაღი იაჯსარი, დროშისათვის მყოლი მოგზაური ანგელოზი იმის მლოცავთა ყმათა და თანამყოლთა, ამ თავის საბძანებელის და მისი მარნის კარის

ლოცვა ნუ შეგანანასთ, სიხარულად გაგიჯადოსთ და კვლავ უკეთესის გულით მიგაგებოსთ ამ დღესა. ხალხი ამ დროს ქუდმოხდილი იდგა პირ-ხევისბრისაკენ და პასუხობდნენ: „თქვენიცამც მწყალობელია“. მეკულუხეს აქედან თან მიჰყავდა ერთი საკლავი. ცოტა შესვენების შემდეგ ამ საკლავს დასტური დროშასთან წამოაყენებდა და ხევისბერი, როგორც ზემოთ ვთქვით, იმ წესით დაკლავდა საკლავს, ოღონდ ზოგიერთ ახალსაც ჩაურთავდა დიდებაში და დამწყალობნებაში. ახსენებდა იახსარს, დროშისათვის მყოლ მოგზაურ ანგელოზს, სთხოვდა გზაში და მგზავრობაში ხელის მომართვას და უცოდრობით, რასაც იახსარის სურვილის წინააღმდეგ ჩაიდენდნენ გზაში და მგზავრობაში, ამის პატიებას. დამწყალობნებითაც ჩვეულებრივ დაამწყალობნებდა: გწყალობდესთ ლაღი იახსარი, მგზავრი ანგელოზიო და სხვა. დიდებათ შემდეგ საკლავს ყელს გამოსჭრიდა დასტური განკუთვნილ ადგილზე და დაამწყალობნებდნენ ყმათ, საყმოთ, იახსარის მარანზე მოსულ მლოცავთა და იმათაც, ვისაც მოსვლა სულით და გულით უნდოდათ და რაიმე მიზეზის გამო ვერ მოვიდნენ. საკლავის დაკვლის დროს სასისხლე თასი ედგათ, რაშიც სისხლი ჩადგებოდა, ერთ-ერთი ამ თასს აიღებდა და ბალახის ქუჩით ასხურებდა მარანსა და მის მიდამოს შიგნით და გარეთ. მეზღვნეებსაც, უმრავლესობას, მარნის ნათვლა ჰქონდა შეთქმული და მისი საკლავი რომ დაიკვლებოდა, დასტური ასეთივე წესით ასხურებდა სისხლს. ხევისბერი რომ კურთხევისათვის თან მოყოლილ საკლავს დაკლავდა, მერე წამოაყენებდნენ მეზღვნეების საკლავებსაც და თითოობით დაკლავდნენ. ამწყალობნებდნენ საკლავის პატრონ მეზღვნეს. მეზღვნეებს მოჰქონდა ზედაშე ღვინო სადიდებლად, სასმელ-საჭმელი და გაუმართავდნენ სუფრას მოსულებს. სუფრის პატრონებს ხევისბერიც და დასტურებიც ჩვეულებრივად ამწყალობნებდნენ. მიცვალებულებისთვისაც ამავე სუფრებს ლოცავდნენ, გაატყავებდნენ დაკლულ საკლავებსაც და მოხარშავდნენ ხორცს. სანთელი აქაც შემოწირული იყო იახსარში. ცოტა შესვენებისა და პურის ჭამის შემდეგ ერთ-ერთი დასტური შეუდგებოდა სანთლის კეთებას. ხევისბერი ამ სუფრიდან დროებით ადგებოდა, პირჯვრის წერით და მადლის თხოვით მარანში შევიდოდა, დასტურნიც თან შეჰყვებოდნენ, აუნთებდნენ სანთლებს, ამოიღებდნენ შუაფხოდან თანწაღებულ საწირავთ, სანთელს ქვევრის (ოჯლაურას) პირზე დააკრავდნენ (ქვევრს წინასწარ ახდიდა ხევისბერი და გადაასუფთავებდა მის მიდამოს), საწირავთაც ქვევრის პირზე დააწყობდნენ, ერთ კოშ ღვინოს ამოიღებდნენ და ჩაასხამდნენ ნათავრს ან ტიკში, რომლითაც შუაფხოში უნდა წაეღოთ ზედაშე, მეორედ სამ პატარა ვერცხლის თასს აავსებდნენ და იქვე ქვევრის პირთან პატარა სუფრაზე დადგამდნენ საწირავთან ერთად. ხევისბერი შეუდგებოდა ლოცვა-დიდებათ.

პირველად ილოცავდა თავისთვის და ეხვეწებოდა იახსარს: ქვევრ-მარანზე მოსვლით და ქვევრის ახდით თუ რაიმე სცოდა, აპატიოს. იქნება უცოდრობით ან უღირსი ხელით რამეს შეახო, ან უცოდინრობით ის ლოცვა-დიდება ვერ თქვა, რაც საჭირო იყო და თავის უენ-პირობით დააკლო რამე. ხევისბერი ნელი და ხვეწნა-მუდარის გამომხატველი ხმით თავითვის ლაპარაკობდა. ბოლოს უფრო მაღალ და ისევ მუდარის გამომხატველი ხმით იტყოდა: „დიდება ღმერთსა ქვეყნის დამაარსებელსა, რომელმაც გააჩინა ჯმელნი და გადახურა ცარ-ვალი, ამუშავნა ჯმელთა ზედა მწვანილნი და მცენარენი, გააჩინნა პურნი და ღვინონი თავისი დიდებითა ცხოველთა და კაცთა საარსოდ და თა-ვის დიდი სახელის სადიდებლად. დიდება შენდა, კვირავ ძალიან-მად-ლიანო, ხთის მაღლის მოკარვეო, დიდება შენდა, ჩვენო სალოცაო დი-დო იაჯსარო. თქვენამც იდიდებით ამ ქვევრ-მარანზე, დადგმულ ჭიქა-ბარზიმზე და დაჭვრეთილ სეფისკვერთაზე. ლაღო იაჯსარო, მოგზა-ურო ანგელოზო, ქვევრისა და მარნის მცველო-მფარველო, თქვენა სწყალობდეთ იაჯსარის საყმოთა, საყმოთაში იახსარის დროშისად თა-ნამყოლთა, ქვევრ-მარანზე მოსულთა და იაჯსარის ბძანების შემსრუ-ლებელთა. ლაღო იაჯსარო, ჩვენო სალოცაო, შენა სწყალობდე შენს ქვევრ-მარანზე მოსულთა, შენის სახელის მლოცავთა. გეხვეწებიან დ› გეევედრებიან, ჩვენო სალოცავო, ლაღო იაჯსარო, დღეს შენს ქვევრ-მარანზე მოსულნი — შენის სახელის მლოცავნი, წესისა და რიგის მყე-ნენი. ხვეწნა-ვედრება სასიხარულოდ გაუჯადე, სასინანულოდ ნუ გაუჯდი, დაეკმარე, დალოცვილო, ველთაცა და შინაცა' გზაში და მგზა-ვრობაშიცა“.

დანარჩენი დიდება გრძელდებოდა ისე, როგორც აქვე ზემოთ ჩაიწერა. დიდება რომ მოთავდებოდა, დასტური აიღებდა თასებს, პირ-ველ თასს მისცემდა ხევისბერს, ორს თვითონ დასტურნი დაიჭერდნენ. დაილოცებოდა ხევისბერი და მერე დასტურნიც: „გაუმარჯოს ჩვენს სალოცავს — ლაღს იაჯსარსა, მოგზაურს დროშისად მყოლს ანგე-ლოზსა, ქვევრისა და მარნის მცველსა და მეპატრონეს ანგელოზსა და იმათი წყალობა გქონდესთ იაჯსრის ყმათა, ყმათაში იაჯსრის დროში-სად მყოლთა და ქვევრ-მარანზე მოსულ კულუხის წამღებთა, გზა და-გილოცოსთ და მშვიდობით შინ მიგიყვანოსთ, შინაურებიც მშვიდო-ბით დაგახვედროსთ, სწყალობდეს კიდენა ამ ქვევრ-მარანზე მომსვ-ლელთ მეზღვნეთა და წესრიგის შემსრულებელთა. სადიდებულო იაჯს-რისა იყოს და სამწყალობნელო თქვენი თავისა“. ამ სიტყვებით ყვე-ლანი დალევდნენ თითო ჭიქა ღვინოს. კოჭლაურას ღვინო ახმეტაში სახელგანთქმული იყო და, რა თქმა უნდა, არც ეს დასტურ-ხევისბერი იტყოდნენ ცუდს. რომ გამოცლიდნენ, კიდევ აავსებდნენ ამავე თასებს და ხევისბერი საწირავის პურს დანით ჯვარედინად გასერავდა, თასს

ხელში იღებდა და შენდობას ეტყოდა: „ამ დაჭვრეთილის სეფისკვერითაც და ზედაშითაცა მაიკსენივნეს ჩვენმა იაკსარმა პირველად ამ კოჭლაურის გამკეთებელი კოჭლი (იმ კოჭლი კაცის სახელი არ იციან, რომელმაც ეს ქვევრი გააკეთა), მერე ის პირნი, რომელთაცა დანამადლისი ჰქონდეს ამ ქვევრ-მარნისა და ვენახის გაშენებაში, ან ჯელითა, ან კიდენ სხვა-სხვა რამითა. ან კიდენა მოვლა-პატრონობა გაეწიოს ამ ქვევრ-მარნისა და ვენახისთვინა, ჩვენი სალოცავი არ ივიწყებდეს და ჩვენ კიდენა წაზელდობრ ვერ ვიგონებდეთ. იაკსრის სადიდებულო იყოს და იმათი შესანდობარი“. მსგავსი სიტყვებით დაილოცებოდნენ დასტურებიც და დაცლიდნენ ყველანი ჭიქებს. მერე აანთებდნენ კელაპტრებსა და სანთლებს (ამ დროს ღამე იყო, რადგან დასტურ-ხევისბერები და მეკულუხე გვიან მივიდოდნენ ახმეტაში, სადაც ერთი ღამის მეტს არ რჩებოდნენ. აქ იმდენი საქმე შეხვდებოდათ, რომ მთელ ღამეს მუშაობდნენ და დილისათვის ძლივს მოასწრებდნენ მომზადებას. დილით ადრე უნდა წამოსულიყვნენ უკან, რადგან დღეები განსაზღვრული ჰქონდათ, რომელ დღეს სად უნდა ყოფილიყვნენ. მლოცავმა ეს დღეები იცოდა და გზადაგზა უხვდებოდნენ. მერე შუაფხოშიც დღეობა განსაკუთრებულ დღეებში იყო და დღეობა-დღის სხვა დღეზე გადატანა არ შეიძლებოდა) და მარანში ყველა კუთხეში დაკრავდნენ. ადიდებდნენ ამ მარნის მცველ მეპატრონე ანგელოზს და თანაც ღვინის ამოღებაში სინათლე უნდა ყოფილიყო. მოიტანდნენ ტიკებს, ერთი დასტური ტიკის პირს უწევდა, ხევისბერი გრძელტარიანი კოშით კოჭლაურიდან ღვინოს იღებდა და ასხამდა საცალოში (საცალოს იმიტომ უწოდებდნენ, რომ სხვა ამისთანა ტიკის ცალად აეკიდებოდა ცხენს). ტიკი რომ აივსებოდა, გადასცემდნენ მეორე დასტურს. ის პირს მოაკრავდა და გადასცემდა მეკულუხეებს. მეკულუხეები ტიკს ჩათოებით შეკრავდნენ ცხენის ზურგზე ასაკიდებლად (ჩათოები ღვედისაგან გაკეთებული იყო საპალნის შესაკრავად), ოცდახუთ ჩაფს შეკრავდნენ საპალნეებად. ეს ოცდახუთი ჩაფი ხელუხლებელი უკლებლივ უნდა მისულიყო შუაფხოში — იახსარში. საგზაო სახარჯოდ სხვა ღვინო მიჰქონდათ პატარა ტიკებით. საპალნეები რომ გამზადდებოდა, ამავე კოჭლაურიდან ღამისათვის აქ სასმელად გამოჰქონდათ ღვინო სტუმრებისათვის და თავისთვისაც. ამასობაში მოიხარშებოდა ხორცი და გაამზადებდნენ მეკულუხენი თავის საკლავის ხორცის სუფრას, მეზღვნეებიც თავ-თავის სუფრას. ხევისბერი თავის საკლავის ხორცის სუფრას შანდობას ეტყოდა იმავე სულებისათვის შემდეგის სიტყვებით: „დიდება ღმერთსა, ცისა და ხმელეთის დამაარსებელსა, დიდება დიდს კვირასა, ხთის მაღლის მოკარვესა, დიდება შენდა, ჩვენო სალოცაო, ლაღო იაკსარო. მოიკსენივნეს ის სულები,

რომელნიც წინათ აქ ყოფილან კულუხისადა, ან დანამადლისი რაჰე ჰქონდეს ჩვენის სალოცავის ქვევრ-მარნისადა ან ჭელითა ან ენითა, ან კიდენა საქმითა, ჩვენი სალოცავი არ ივიწყებდეს და ჩვენ კიდენა სახელდობრ ვერ ვიგონებდეთ, სადიდებულო ჩვენის სალოცავისა იყოს და შასანდობარი იმ სულებისა". შესანდობარს ყველა დალევდა (ფშავ-ლური კილო დიდებაშიც და შენდობის თქმაშიც ძალიან თხოვნის და ხვეწნა-მუდარის გამომხატველია, ხევისბერის დადგომაში და თავის და-ჭერაშიც, აგრეთვე უფრო გამოთქმის კილოში. ხევსურულში კი თითქმის ნახევრად მბრძანებლური კილოა ხუცობაშიც და შენდობის თქმაშიც, თითქოს ავალდებულებს ღმერთსაც და სხვა სალოცავებსაც: რასაც გეტყვი, ეს უნდა შეასრულოო).

თავის სუფრას რომ დალოცავდნენ დასტურ-ხევისბრები, ამ დრო-ისათვის აქ სხვა სუფრებიც დამზადებული იყო. ჯერ თავის სუფრაზე მოიპატიჟებდნენ ყველას და დაუხვდებოდნენ პურ-ღვინით. აქედან გადადიოდნენ სხვა სუფრების დალოცვაზე. ეს სუფრები როგორც ვის შეთქმული ჰქონდა, ისე და იმ სულებისათვის ილოცებოდა. აქ ყველა მლოცავი კახეთიდან იყო მოსული და საუკეთესო ღვინო ჰქონ-დათ მოტანილი. დაილოცებოდა პურ-სუფრა და იმართებოდა სმა-ჭამა და ლხინი (პური დასტურ-ხევისბრებს და მეკულუხეს თავისი ჰქონდათ შუაფხოდანვე წამოღებული, შეზღვნეებსაც ყველას თავისი მოჰქონ-და). ათენებდნენ ღამეს გარეთ, ბუსნოზე. თუ ვინმე ციტათი ჩაი-ძინებდა, თორემ წესად თეთრად გათენება ჰქონდათ. გათენდებოდა თუ არა, მაშინვე ცხენებს მოიყვანდნენ, აჰკიდებდნენ ღვინოს, ხევის-ბერი დროშას ააბძანებდა, მარანში შევიდოდა და დროშით შემოუვ-ლიდა შიგნით. რომ გამოვიდოდა, ერთ თას ღვინოს მიართმევდნენ. დაილოცებოდა, დაამწყალობნებდა ყველა იქ მყოფთ, დაულოცავდა მგზავრობას და გამოემგზავრებოდნენ. მლოცავი ხალხი კარგა შორ მანძილზე გამოჰყვებოდა პურ-ღვინით და სიმღერებით, ასმევდნენ ხევისბერსაც და დასტურ-მეკულუხეთაც. ბოლოს დანიშნულ ადგილ-ზე რომ მოვიდოდნენ, ყველანი პირჯვარს დაიწერდნენ და უსურვებ-დნენ მშვიდობის მგზავრობას ხატ-კაცს. აქედან წამოსულები მოვი-დოდნენ ზემოთიანეთში. აქ, როგორც ვთქვით, იახსარის ნიში იყო, სადაც ბევრი ხალხი დახვდებოდათ სალოცავად მოსული. ხევისბერი დროშით ხელში კოშკთან გაჩერდებოდა, ხალხი ფეხზე იდგა ამ დროს და პირჯვარს იწერდნენ. ხევისბერი დაამწყალობნებდა მოსულ ხალხს და მეზღვნეებს: „გწყალობდესთ, ხალხნო, ჩვენი იაჯსარი, მოგზაური ანგელოზი. იმისი წყალობა იყოს თქვენზედა და მრავალს დაგასწროთ ამ დღესა და დღესასწაულსა, მშვიდობით და კარგად ყოფნითა. ნუ შეგანანოსთ ეს მოსვლა და ზღვენ-სანთელი ჩვენმა იაჯსარმა, სასი-ხარულოდ გაგიჯადოსთ". ხალხი მანამდენ ჩუმად იდგა და მერე უპა-

სუხეგდა: „თქვენიცამც მწყალობელია“. ხევისბერი დროშას კოშკთან დააბძანებდა და ცოტას დაისვენებდა. შემდეგ დაასხამდნენ ერთ თას ღვინოს, აანთებდნენ სანთელს და ხევისბერი ადიდებდა იახსარს — მოგზაურ ანგელოზს. აქ მეკულუხეს თავისი საკლავი არ ჰყავდა და თუ ვინმე მეზღვნეები იქნებოდნენ, მათი საკლავები დაიხოცებოდა. საკლავის დაკვლა, დიდება, ხორცის მოხარშვა, სუფრის წესები და სხვა ყველაფერი იმ წესით სრულდებოდა, როგორც ზემოთ არის ნათქვამი. ამ ღამეს მლოცავებიც და მეკულუხეებიც აქ გაათევდნენ, დილას ადრე კი იმავე წესით გამოემგზავრებოდნენ, როგორც ახმეტიდან. აქ ის მლოცავიც იყო მოსული, რომლებიც შუაფხოში უნდა გამოჰყოლოდნენ მეკულუხეს. მოუდიოდათ საკლავები, მოჰქონდათ თავ-თავის პური და სასმელი. მეკულუხე წამოვიდოდა იორზე. გზადაგზა ისვენებდნენ და მხიარული მღერა-თამაშით ერთობოდნენ. ამოვიდოდნენ შუაფხოს პირდაპირ მდებარე მაღალ მთაზე (ივრიდან შუაფხოს ხეობაზე გადმოსასვლელი მთა) მისელურზე. აქედან შუაფხოს ხევისაკენ რომ გადმოვიდოდნენ, თოფებს დასცლიდნენ (ქართული კაჟიანი თოფ-იარაღი დაჰქონდათ მტრისაგან თავდასაცავად).

მისელურიდან ახლო არის ის ადგილი, სადაც იახსარი პირველად დაარსდა ანგელოზთ სახით, ამ ადგილს ეწოდება კარატე, აქ არის დროშის საბძანი კოშკი და საზარე. მის მოპირდაპირედ იმავე მთაზე ამაღლებულ ადგილზე კიდევ იყო ასეთივე კოშკი და საზარე. ამას ეძახდნენ არახიჯის კარატეს. აქ ახლო პატარა სოფელია ფშავლებისა, არახიჯა. ამ ადგილსაც იმიტომ ჰქვიან არახიჯის კარატე; იმ ადგილს კი, სადაც იახსარი პირველად დაარსებულა, შუაფხოს კარატე ეწოდება. არახიჯის კარატეზე ამბობენ, აქ ვიღაცა ბერი ცხოვრობდაო. აქვე მიწაში არის ჩადგმული ორი დიდი ქვევრი. ბერს ამ ერთ ქვევრში წყალი ედგა, რადგან აქ წყალი ახლო არ არის, ერთ ქვევრში კი ღვინო-ზედაშეო. სამლოცველოც აქვე ჰქონდაო.

იახსარის დროშა სერობას რომ ადის შუაფხოელთ კარატეს, აქედან მეორე დღეს არახიჯის კარატესაც გავიდოდნენ. ზოგს აქაც მოუდიოდა საკლავები და ზღვნობდნენ. უფრო მეტად არახიჯელები და მათი ქალ-დისწულები.

მისელურიდან თოფებს რომ დასცლიდნენ, თითო-ოროლა მეზღვნე შუაფხოელთ მთაში დაელოდებოდა მეკულუხის მოსვლას, ისინი თოფის ხმას რომ გაიგონებდნენ, ავიდოდნენ კარატეს და კოშკის დაბლა დავაკებაში დაბინავდებოდნენ, ჩამოვიდოდა მეკულუხეც და ავიდოდა კარატეს (კარატე მთიდან ოცი-ოცდაათი მეტრით ამაღლებულ გორაკზე არის). მლოცავები გორაკის დაბლა იდგნენ ქუდმოხდილნი და წერდნენ პირჯვარს. ხევისბერი დროშას მიაბძანებდა კოშკზე, მობრუნდებოდა და დაამწყალობნებდა ხალხს: „წყალობა მოგიტანეთ

მგზავრის ანგელოზის ლაღი იაკსარისა, გწყალობდესთ ყმათა და ყმათაში იმის კარისა და გორის მლოცავთა". ხალხიც უპასუხებდა: „თქვენიმცამც მწყალობელია". ამავე მთაზე უბისთავს ზაფხულობით სამთოდ ამოდიოდნენ შუაფხოელები, პატარა-პატარა ქოხები ჰქონდათ გაკეთებული და თავის ცხვარ-ძროხით აქ ატარებდნენ ზაფხულს. ისინიც გაიგებდნენ მეკულუხის მოსვლას, ამზადებდნენ, რაც კი შეეძლოთ, კარგ საჭმელებს და მიჰქონდათ კარატისაკენ მეკულუხის შესახვედრად და პატივსაცემად. ადიოდნენ გორაკის დაბლა დაბინავებულ მეზღვნეებთან. იქიდან დაუძახებდნენ და წააღებინებდნენ დამზადებულ სასმელ-საჭმელს. ხევისბერი მათ მოტანილ სუფრას მათი მიცვალებულებისათვის შენდობას ეტყოდა, სასმელი თუ მათგან იქნებოდა მიტანილი იმით აავსებდნენ ჭიქას (ჭიქა ვერცხლისა დაჰქონდა თან). თუ მემთეს სასმელი არ ჰქონდა, ასეთ შემთხვევაში მეკულუხეს მოტანილი სახარჯო ღვინიდან დაასხამდნენ და სუფრას ჩვეულებრივი წესით დალოცავდნენ. ამის შემდეგ ჭამდნენ საჭმელს დასტურ-ხევისბრებიც და სხვა მეკულუხეც. აქ, სადაც ხალხის საბინაო იყო გორაკის დაბლა, ბლომად ხალხი მოიყრიდა თავს. რამდენიმე კაცი ჩამოვიდოდა, ჩამოიტანდნენ თან სახარჯოდ წამოღებულ ღვინიან ტიკს. მათ მოსვლას და სალმის მიცემას ყველანი ფეხზე ადგომით და ქუდმოხდილები შეხვდებოდნენ. მოიკითხავდნენ ერთმანეთს მომსვლელები და დამხვედრები, დასხდებოდნენ და დაიწყებდნენ სმას, რასაც მხიარული ცეკვა-სიმღერა მოჰყვებოდა. აქ მეზღვნეები იყვნენ, მაგრამ უმრავლესობა შუაფხოში უნდა ჩასულიყო, იქ მთავარ დღეობას დაესწრებოდნენ. აქ მაშინ იზღვნობდნენ, როცა შუაფხოდან ისევ კარატეს წამოვიდოდა დროშაც და მლოცავი ხალხიც. სრული ზღვნობა ის იყო, ვინც ამ დღეობას ყველგან დაესწრებოდა. თუ ვინმეს აუცილებელი საქმე ჰქონდა და დაბრუნება ეჩქარებოდა. მაშინ კი ამავე საღამოს დაკლავდა ზღვენს, გამართავდა სუფრას და მეორე დილით. მეკულუხე რომ შუაფხოში წამოვიდოდა, ისინი შინ წავიდოდნენ. ასეთი მეზღვნე ბევრი არ იყო, იყვნენ უფრო სრული წესრიგის დამცველნი, დაიწყებდნენ დღეობას პირველად შუაფხოში და დაამთავრებდნენ კარატეს. შეთქმული უმრავლესობას ასე ჰქონდა: ჯერ იზღნობდნენ შუაფხოში, გამართავდნენ სუფრას, მიიღებდნენ მონაწილეობას საყეინოში, შესწირავდნენ ფულს და მერე იახსარის დროშას გაჰყვებოდნენ კარატეს, იქაც იზღვნობდნენ, სუფრას გამართავდნენ და წავიდოდნენ სახლში. იმ ღამეს კარატეს გაათევდნენ ბუსნოზე მხიარულობით. დილას ხევისბერი დროშას ააბძანებდა. ყველანი მადლს მოსთხოვდნენ და წამოვიდოდნენ ქვევით შუაფხოსაკენ. წინ მოუძღვებოდა იახსარის დროშა და მერე ხალხი

მიჰყვებოდა: შუაფხოშიც ამ დღეს დროშისა და მეკულუხის მომლოდინე მლოცავი მოიყრიდა თავს (ეს უნდა ყოფილიყო ხუთშაბათი დღე). ქვევით ნიჯოხის გორის თავზე რომ ჩამოვიდოდნენ და აქედან გამოჩნდებოდა შუაფხო და იახსარის საარსო ადგილი, თოფებს დასცლიდნენ. ხალხი გაიგებდა — მოდიანო და, თუ ხიდი არ იყო, შუაფხოს წინ ჩამოვიდოდნენ არაგვში გასვლის დროს მოსაშველებლად (ამ დროს ფშავის არაგვმა ძალიან ადიდება იცის და ხიდი იშვიათად გადარჩება შუაფხოს ჭალაზე, რომ არ წაიღოს; წყალიც ძალიან ჩქარია და ცხენებსაც უძნელდებათ გასვლა, ამიტომ ერთიმეორეს ეშველებიან). შეარჩევენ უფრო საიმედო, წყალში ნაჩვევ და ღონიერ ცხენებს და მივლენ წყლის პირზე. რომ ჩამოვიდოდა იახსარის დროშა და ხალხიც მთიდან, თავმომწონე ახალგაზრდები შესხდებოდნენ ცხენებზე, მიეგებებოდნენ წყალგაღმა, ჩამოხტებოდნენ ცხენებიდან, ქუდებს მოიხდიდნენ, პირჯვარს დაიწერდნენ და ეტყოდნენ: „გამარჯვება ბატონყმათა, ჭელიმც მოგემართებათ“ (ამ დროს ხევისბერს დროშა ტარით თავის ფეხზე ჰქონდა დაბჯენილი, ცოტათი არხევდა და ზარს აწკარუნებდა). ხალხის მისალმებაზე ხევისბერი ეტყოდა: „წყალობა მოგიტანეთ ლაღის იაჯსარისა — მოგზაურის ანგელოზისა, დაგასწროსთ მრავალს სერობას ბედნიერად“. მეკულუხე და სხვა მოსული ხალხიც გამარჯვების თქმაზე უპასუხებდნენ: „გაგიმარჯოსთ ღმერთმა, გიშველასთ იაჯსარმა მოგებებისათვის“. აქ აღარ დაიგვიანებდნენ: შეარჩევდნენ უფრო საიმედო ცხენს და ხევისბერს შესვამდნენ თავისი დროშით, პირველს იმას გამოჰყვებოდა ცხენდაცხენ წყალში რამდენიმე ახალგაზრდა და გამოიყვანდნენ. დროშის ფეხზე დაყრდნობითვე იგი პირხალხისაკენ დადგებოდა, დროშას აწკარუნებდა. იახსრის დროშის ხმაზე ხალხიც მხნევდებოდა. ახალგაზრდობა ახლა კულუხს გამოაცილებდა და მერე მოსულ მეზღვნეს და დიაც-ყმაწვილს ცხენის გავაზე შემოსმით ყველას თითოობის გამოიყვანდნენ. გამოუძღვებოდა წინ ხევისბერი დროშით, გამოჰყვებოდა ხალხიც მხიარული სიმღერით. ამ დროს ფერხისას არ დაბამდნენ, უფრო მღეროდნენ ფშაურად.

კოპალის მეკულუხე უძილაურები კოპალის დროშით ამ დღეს იახსარში უნდა მოსულიყვნენ (სოფელი უძილაურთა და კოპალას საარსო მაღლა მთაზე არის, სოფელი შუაფხო კი დაბლა ჭალაშია და იახსრის საარსოც ხომ აქ არის. ამ დღეს წესი იყო: გამოიღლიდა კოპალის მეკულუხე და დროშა დროშას შეხვდებოდა იახსარში). იახსრის დროშა და მეკულუხე რომ მოვიდოდა, უძილაურთისა, ე. ი. კოპალის, დროშა უკვე იახსარში მოსული იყო. იახსრის დროშის მოახლოვებისას კოპალის დროშასაც ააბძანებდა მისი ხევისბერი, გზაში გამოეგებებოდა. ხალხიც თან გამოჰყვებოდა. პირველად დროშები შეხვდებოდნენ ერთმანეთს, ხევისბრები ხელს ჩამოართმევდნენ და გადაჰკოცნიდნენ. სხვა

ხალხიც მიეგებებოდა ქუდმოხდილი პირჯვრის წერით და ეტყოდნენ: „გამარჯვება ბატონყმათა“. „გაგიმარჯოსთ ღმერთმა და ჩვენმა სალოცავმაო“. — უპასუხებდნენ მოსულები.

ხევისბრები დროშით მხარზე „მხრიდიმხრივ“ წავიდოდნენ დროშის საბძანისაკენ. მივიდოდნენ კოშკთან და მიაბძანებდნენ დროშებს, მობრუნდებოდნენ პირხალხისაკენ და კიდევ დაამწყალობნებდნენ: „გწყალობდესთ, ხალხნო, ჩვენი სალოცავები: იაკსარი და კოპალა, ერთურთის მოძმე-მომხრენი, თავისი წყალობა ნუ დაგაკლონთ მათთვის თავდადებული სამსახურისათვის. ბევრს სერობას მიგაგებოსთ მშვიდობით და ბედნიერად, სასიხარულოდ გაგიკადონთ მათი კარისა და გორის ლოცვა“. ხალხი ნელი ხმით პასუხობდა: „თქვენიცამც მწყალობელია“. მანამ დასხდებოდნენ, წამოაყენებდნენ ერთ საკლავს კოპალისა და იახსრისათვის საერთოდ დასაკლავს. რადგან ადგილობრივი იყო, მას იახსარის ხევისბერი დაკლავდა, დიდებათ იტყოდა ჩვეულებრივ, ოღონდ ცოტა განსხვავებით: „დიდება შენდა, ღმერთო მაღალო, ცისა და ქვეყნის გამჩენო, დიდება შენდა, კვირავ ცხოველო, ქრისტეო და ღმერთო, დასწერე ჯვარი ამ მოყენებულსა ზღვენს-სამსახურსა. ძალი და ბრძანება თქვენგან არის, თორო ხმელთაზეით სახელს ვერა გკადრებდით, რადგანაც ღმერთმა ხმელეთი დაარსა, ცარვალი დახურა, მზე-მთვარე დაჰფინა. გაკურთხნათ ხთიშვილნი ხთიშვილადა და ჩაგაბარათ ჩვენი თავი მოსამსახურედა. გეხვეწებით და გევედრებით, გეხვეწებთ და გავედრებთ ჯერ თქვენ საყმოთ, საყმოშეიი დღეს თქვენ მლოცავთა, გეხვეწებიანთ და გევედრებიანთ ჩვენო სალოცავებო, ლაღო იაკსარო და გმირო კოპალაო, ერთურთის მოძმე-მომჯრენო, ‘დეკ-კერპთად მებრძოლნო, თქვენი საგმიროთ და ლახტით მაენეთ გამანადგურებელნო, თავის ყმათად მეშველ-დამჯმარენო და მწყალობელნო, დღეს თქვენ მლოცავთ წესისა და რიგის დამყენებელთ, თქვენის სამსახურის შემსრულებელთ, თქვენის კულუხის მომტანთ, ხვეწნა ვედრება სასიხარულოდ გაუკადეთ, სასინანულოდ ნუ გაუკდით“ (დანარჩენი დიდება ჩვეულებრივია). ხევისბერი საკლავს ისე დაკლავს, როგორც ჩვეულება არის იახსარში. საკლავი რომ დაიკვლოდა. მოუტანდნენ ერთ თასს ღვინოს. ორივე კულუხიდან იყო ნათავარი ჩასხმული ამ თასში და ისევ იახსრის ხევისბერი დაილოცებოდა: „ღმერთმა გაგიმარჯოსთ თქვენმა გამჩენმა ამ ზედაშეზე და ჭიქა-ბარზიმზე, ჩვენო სალოცავებო — ლაღო იაკსარო და გმირო კოპალაო. ერთურთის მოძმე-მომჯრენო, შოთანახმენო, სადიდებელო თქვენი იყოს ეს ზედაშე და სამწყალობნელ თქვენ ყმათი, ყმათაში დღეს თქვენ მლოცავთი და წესრიგის შემსრულებელთაი, კულუხის მომტანთ სწყალობდით, დალოცვილო ჩვენო სალოცავებო“. მეორე თასს ასეთივე შერეული ზედაშით ავსებდნენ და კოპალას ხევისბერს მიართმევდნენ. ისიც

ამავე წესით დაილოცებოდა, ოღონდ პირველად კოპალას ახსენებდა, მეორედ იახსარს. ისევე როგორც იახსრის ხევისბერი ჯერ იახსარს ახსენებდა და მერე კოპალას. მერე დასტურებიც მეორ-მეორე სასმისს უვსებდნენ და ხევისბერნი შენდობას ეტყოდნენ იმ პირთ, რომლებიც წელს ფიქრობდნენ მოსვლას და ვეღარ მოესწრნენ სერობას. ან შარშან იყვნენ აქ და წელს ცოცხლები აღარ არიან, ან შარშან კულუხზე იყვნენ და ახლა ცოცხლები აღარ არიან იახსარისა და კოპალას საყმოდან. შესანდობარსაც ყველა დალევდა.

წამოვიდოდნენ ხევისბრები და დასხდებოდნენ მათთვის განკუთვნილ ადგილზე, სადაც სხვა კაცი ვერ დაჯდებოდა. მლოცავიც ახლო დასხდებოდა ბუსნოზე და უსმენდნენ მათ საუბარს. ორივე მეკულუხენი მოიტანდნენ თავისი კულუხიდან სახარჯოდ წამოღებულ ღვინოს და დაიწყებდნენ სმას. იახსრის დასტურ-ხევისბრები ყოველ ღონეს ხმარობდნენ, რომ რამე ესიამოვნებინათ პატივსაცემი სტუმრებისა, გმირი კოპალას დასტურ-ხევისბრებისათვის და მთლიანად მეკულუხეთათვის. საამისოდ სოფლელებსაც მოჰქონდათ ხინკალი, სხვა რამე საჭმელი, არაყი. ძველი ხილი და სხვა. იმართებოდა მღერა-თამაშობა. კოპალას მეკულუხე საღამო ხნამდე აქ რჩებოდა, საღამოზე ხევისბერი ააბძანებდა დროშას, ხალხი ფეხზე ადგებოდა და პირჯვარს იწერდა.

კოპალის ხევისბერი დაამწყალობნებდა: „წყალობით იყოს, ხალხნო, თქვენზედა გმირი კოპალა, გიშველოსთ და საცა გაგიჭირდესთ, თავისი საგმირო დაგავმაროსთ ჩვენმა სალოცავმა“. „თქვენიცამც მწყალობელია“, უპასუხებდა ხალხი. აქვე თასით ღვინოს მიართმევდნენ. როგორც ზემოთ ითქვა, ისევე დაილოცებოდა, დალევდა და გაემართებოდა. ამავე დროს იახსრის ხევისბერიც ააბძანებდა თავის დროშას. და კარგა მანძილზე გააცილებდა კოპალას დროშას და მეკულუხეთ. ხალხიც თან მიჰყვებოდა თავისი მოტანილი სასმელით და პატივს სცემდნენ მათ. ბოლოს ხევისბრები და ხალხიც გამოემშვიდობებოდნენ ერთმანეთს. კოპალას ხევისბერი იტყოდა: „ხალხო, იაჯსარისა და კოპალის მლოცავნო, თავისი წყალობა გაგიწიროსთ გმირმა კოპალამა და მრავლის სერობა მშვიდობით გალოცვიოსთ“. იახსრის ხევისბერი დაამწყალობნებდა წასულთ და ეტყოდა: „თავისი წყალობა გამოგაყოლოსთ ლაღმა იაჯსარმა და მრავალი მშვიდობის მგზავრობა მოგცესთ და გალოცვიოსთ მრავალი დღესასწაული მშვიდობით“. ისინი წავიდოდნენ, ხოლო იახსრის დროშას დააბძანებდნენ თავის საბძანებელში. ამის შემდეგ იწყებოდა მეზღვნეების ზღვენის დახოცვა. თავთავის საკლავს პატრონები გაატყავებდნენ, ერთ მხარს, თავს, აგრეთვე ერთ ბაზ ვერცხლის ფულს ტყავის სახსრად დასტურ-ხევისბრებს მისცემდნენ, დანარჩენ ტყავ-ხორცს კი თავის ბინაში წაიღებდნენ.

აქ, გორზე, მოედანია, სადაც ყველა მლოცავი ცალ-ცალკე იყო დაბინავებული. ყველას ჰქონდა სასმელ-საჭმელი, ხორცის მოსახარში ქვაბი, ჯამები, მარილი და სხვა, რაც კი სუფრაზე დასჭირდებოდათ. ვინც საკლავს დაკლავდა და სახალხოდ სუფრის გაკეთება ჰქონდა შეთქმული, სუფრას ამზადებდა თუ არა, თავის ბინაზე საკმარ ხორცს მაინც მოხარშავდა, რომ შემთხვევით სტუმრებს მაინც გამასპინძლებოდა. გადადიოდნენ ერთი სუფრიდან მეორეზე, იმართებოდა მღერა-თამაშობა. დასტურ-ხევისბრები კი პატივსაცემი სტუმრებით ხატის კარზე ისხდნენ და სვამდნენ. საჭმელიც იქვე მზადდებოდა.

ხატისაგან ხალხის ბინები ცოტა მოშორებით იყო, სადაც ქალების მოსვლა შეიძლებოდა. ქალი აქ „მრეველობის" შემდეგ მეხუთე დღეს მოვიდოდა, სუფრაზე ეპატიჟებოდნენ დასტურ-ხევისბრებსაც, მაგრამ რამდენიმე კაცი მაინც ხატის კარზე ტრიალებდა და უძღვებოდა ყველა წესრიგს. ნათავარი ღვინო საყეენოსათვის ინახებოდა. სხვა ღვინოზე ხევისბერი იახსარს ჩვეულებრივ ადიდებდა და შემდეგ ხალხშიც გამოჰქონდათ დასალევად, მხოლოდ ხატის კარზე სხვების სუფრაზე ამ ღვინოს არ გაიტანდნენ. ერთ-ერთი დასტური ამ ღვინოს მარტო ერთხელ გაიტანდა, რომ კოჭლაურის ღვინო ქალებსაც დაელიათ ასეთი წმიდა ადგილიდან და პატივცემული ქვევრიდან მოტანილი, იახსრის ვენახისაგან დამზადებული ღვინის დალევა ხატის წყალობად მიაჩნდათ.

ბინებზე ჰქონდათ ფანდურები, მერე შემოიღეს გარმონი, პირველ ხანებში გარმონის მოტანა ხატში არ მოსწონდათ — ხატს არ უწესობს, ხატში ფანდური უნდა იყოსო, მერე კი, გარმონები რომ გამრავლდა, ბევრს მოჰქონდა და სათამაშოს დასაკრავად იყენებდნენ, ფანდურს კი უფრო დასამღერებლად. ამ ამბით დაღამდებოდა ხუთშაბათი დღე. ბინებზე ღამე ცეცხლი ენთოთ და მისვლა-მოსვლა ჰქონდათ. შეშა არ აკლდათ. აქ ძველი იფნის ხეები იყო, სიბერისაგან ტოტები სტყდებოდა და ზოგი მთლიანად იქცეოდა, აქედან ოჯახისათვის ერთი ნაფოტის წაღებაც არავის შეეძლო, მარტო ხატში ლუდის მოსახარშად იყენებდნენ და მეზღვნეც ამ ხატის შეშით ანთებდა ცეცხლს. ღამეს ათევდნენ ნაბდებში.

გათენდებოდა პარასკევი დილა. ხევისბერი იქვე ახლო ხატისხევაში (გვერდზე ერთი ღრმა, ტყიანი ხევია და ხატისხევას ეძახიან) ტანს დაიბანდა. რომ მოვიდოდა, ერთ ჭიქა კარგ არაყს დაალევინებდნენ (ახმეტიდან თავის მარნიდან ჭაჭის არაყიც მოჰქონდა მეკულუხეს საგზაოდ და ასეთი შემთხვევისათვის), სანთელს დაახვევდნენ და ხევისბერი სანთელს სასანთლე კოშკთან დაანთებდა. იგი ამ დროს ფეხშიშველი იყო. აქედან მობრუნდებოდა, საზარესთან მუხლს მოიყრიდა, პირჯვარს დაიწერდა და იტყოდა: „დიდება ძალსა შენსა, ჩვენო სალოცავ

ლაღო იაკსარო, ჩემის ჯორციელობით ბევრსა გცოდავ და შანაცოდვარი შენის ანგელოზობით მაპატიე. მე ჯორციელი შენს წმიდა საზარესთან და ზართან მოვდივარ და ულირსი ღირსად გამჯადე". ამის შემდეგ დარეკავდა ზარს ნელნელა. ზარის ხმაზე ყველა მლოცავი აიშლებოდა, პირით საზარისაკენ დადგებოდა და იწერდა პირჯვარს, თან ამბობდნენ: „დიდება შენს ძალსა, ლაღო იაკსარო, შენის ძალით შეგვინახე" (ქალები იახსარის სახელს არ იტყოდნენ, რადგან ქალი იმდენად ღირსად არ ითვლებოდა, რომ იახსარის წმიდა სახელი ეხსენებინა). ზარის რეკვა გაგრძელდებოდა რამდენიმე წუთს. მერე ხევისბერი კარგა მანძილს პირუკუღმა გადმოდგამდა ნაბიჯებს, ზარისათვის რომ ზურგი არ შეექცია. მივიდოდა დარბაზში, სადაც დანარჩენი დასტურ-ხევისბრები იყვნენ და ეტყოდა: „წყალობა მოგიტანეთ იაკსარისა, ზარის მცველის ანგელოზისა". „შენი იყოს მწყალობელი" — უპასუხებდნენ. ლუდიანი კოდის გახსნა წინა დღესვე ხდებოდა, საწირავით და სანთელით, დააწყობდნენ საწირავთ, ანთებდნენ სანთელს, სამ პატარა ვერცხლის თასს ერთერთი გაუხსნელი ტიკიდან ღვინით აავსებდნენ და ხევისბერი ადიდებდა ჩვეულებრივად იახსარს. დასერავდა ჯვარედინად საწირავთ. ამ სადიდებელ თასებს რომ გამოცლიდნენ, მეორედ ავსებდნენ და ხევისბერი ზედაშეთი და დაჭვრეთილი სეფისკვერით ძველ დასტურ-ხევისბრებისათვის შენდობას ეტყოდა: „რომელიც იყვნენ და აღარ არიან, ჩვენი სალოცავი არ ივიწყებდეს და ჩვენ კი სახელდობრ ვერ ვიგონებდეთ, იასხრის სადიდებულო იყოს და მათი სულის მოსაკსენები". ასეთი სიტყვებით დაბოლოებდა ხევისბერი შენდობას და გამოცლიდა სასმისს. ასეთსავე შესანდობარს ჩამოარიგებდნენ დანარჩენ ხალხშიც.

მზის ამოსვლამდინ გრძელდებოდა სმა და საუზმე. მზე რომ კარგად ამოვიდოდა, დასტურები გამოიტანდნენ იმ ტიკს, რომელშიც კოჭლაურის ღვინის სულ პირველი ნათავარი იდგა (ღვინიანი ტიკები სალუდეში ინახებოდა). ხატის კარზე ბუსნო ადგილია, ამ ტიკს აქ დადებდნენ, მოიტანდნენ ერთ დიდ სპილენძის დასს და იქვე დადგამდნენ. ხევისბერი ააბძანებდა დროშას, ამ ადგილზე მივიდოდა და დროშის ტარს მარჯვენა ფეხზე დაიბჯენდა. ღვინოს დაასხამდნენ საყეინო თასში, სანთელსაც აანთებდნენ და დააკრავდნენ. ხევისბერი გაადიდებდა იახსარს: „დიდება შენდა, ღმერთო მაღალო, დიდება შენდა, კვირავ ცხოველო, დიდება შენდა, ჩვენო სალოცაო იაკსარო. ქრისტეო და ღმერთო, კვირაცხოველო და ლაღო იახსარო, დასწერეთ ჯვარი ამ დადგმულ ჭიქა-ბარძიმსა, ზედაშესა, ძალი და დიდება თქვენია, თორო ჩვენ ქვეყანაზეითა სახელს ვერა გკადრებდით. რადგანაც ღმერთმა ჯმელეთი დააარსა, ცარვალი დახურა და მზე-მთვარე მოფინა. გაკურთხნათ ხთიშვილნი ხთიშვილად და ჩვენი თავი მოგცათ მოსასახურედა". დანა-

რჩენი დიდება გრძელდებოდა ისე, როგორც დაწერილია ამაღლების წესებში. ამ საყეინოთიც ახვეწებდნენ ჯერ ყმათა და მერე ყმათაში იახსარისა და კარისა და გორის მლოცველთა.

დიდება რომ გათავდებოდა, საყეინოს თასი დაილოცებოდა ლაშარის ჯვრის პიროფლიანთათვის და ბოლომდინ გრძელდებოდა ამ თასით მათი შესანდობარი (ლაშარის ჯვრის პიროფლიანად ითვლებოდნენ ის მიცვალებულები, რომლებიც ლაშქარში დაიხოცნენ, წასული იყვნენ ლაშარის დროშის ქვეშ ლაშარის ჯვარის ბრძანებით და ვეღარ დაბრუნდნენ, დაღლილნი და გაოფლიანებულნი დაიხოცნენ. ასეთებად ითვლებოდნენ შვიდნი ფშაველნი. ფშაველ-ხევსურეთ ლაშქარი გადასულა მითხოში, ქისტებს გზები შეუკრავთ და მთელს ლაშქარს დაღუპვა ელოდა. ეს შვიდი ფშაველი შებრძოლებია ქისტებს, თავი დაუდვიათ ლაშარის ჯვარის დროშისათვის, ხალხისათვის, ფშაველ-ხევსურთათვის გზა გაუხსნიათ, თვითონ კი ამ ბრძოლაში დახოცილან. შემდეგ ამათთან ჩაითვალა ის პირებიც, რომლებიც იხოცებოდნენ ლაშარის ჯვარის დროშის წინაძღოლობით ლაშქრობაში).

ლაშარისჯვრის პიროფლიანთათვის შენდობის თქმა: „დიდება და გამარჯვება მოჯსენდეს ძალას ხვთისას, სამართალს კვირეისას. დიდება და გამარჯვება ჰქონდეს ლაღს იაჯსარს და მათ მოთანახმე ღვთისშვილებს და წმინდა ანგელოზებს. იმათი მადლი სწყალობდეს იაჯსრის საყმოთა, საყმოშიით დღეს იაჯსრის კარისა და გორის მლოცავთა, კულუხის მომტანთა. მაიჯსენიენეს ღმერთმა და ჩვენმა სალოცავებმა ლაშარის ჯვრის პიროფლიანნი, რომელთაც თავი შესწირეს ხალხისა და ლაშარის ჯვრის დროშის გულისადა და დაიჯოცნეს ბრძოლაშია. იაჯსარში დადგმული საყეინო ზედაშითა, სადიდებულო იაჯსრისა და მოსაჯსენიები ლაშარის ჯვრის პიროფლიანთი“. — „შეიწყალოს ისინი ღმერთმან, ნათელი დააყენოს იმათ სულს საიქიოსა“, იტყოდნენ ყველანი. ხევისბერი დროშას ამ თასის თავზე რამდენჯერმე გააწკარუნებდა, მერე მუხლზე დაჯდებოდა, დროშას კი ხელიდან არ გაუშვებდა და ისე დალევდა საყეინოდან, რამდენიც უნდოდა. ადგებოდა, დროშას თასის თავზე კიდევ გააწკარუნებდა და თავის ადგილზე წააბძანებდა. ერთი კაცი ტიკს ზურგზე წამოიკიდებდა, მარჯვენა მხრიდან ტიკის პატარა პირს გამოუშვებდა საყეენოსაკე და საყეენოსთან ახლოს დაჯდებოდა. დაიწყებოდა საყეინოში ჩასვლა. ვისაც სურდა, მივიდოდა, მოიყრიდა საყეინოს წინ მუხლს (თასს მიწიდან ხელში არ იღებდნენ) და დაიძახებდა: „გაუმარჯოს ლაღს იაჯსარსა და შაიწყალოს ლაშარის ჯვრის პიროფლიანნი, რომელთაც ხალხის და ხატის გულისათვის თავი შესწირეს, სულის მადლმაცა და იაჯსარისა და ხვთის მადლმაცა, თქვენ დიდი დღე მოგცესთ და მრავალი გალოცვიოსთ ეს დღესასწაულიცა და კიდენა სხვა დღესასწაულებიცა“. ამ სიტყვებს რომ დაამთავრებდა,

ფულს ჩააგდებდა ღვინით სავსე თასში — საყეინოში (თუ ვერცხლის ფული იყო, საყეინოში ჩააგდებდა, თუ ქაღალდის ფული, გვერდზე ცარიელი სპილენძის თასი იდგა და იმაში ჩააგდებდა). დაეწაფებოდა და დალევდა ღვინოს. საყეინოში ჩასულს აქეზებდნენ, დაიწყებდნენ ყვირილს: „გაუმარჯოს ლაშარის ჯვრის პიროფლიანთ, გაუმარჯოს! აბაბაბაი, შაიშრო, შაიშრო“ (შაიშრო — ვითომც იმ თასში რაც ღვინო იდგა, ამ კაცმა კი არ დალია, შეიშრო). როცა თასს მოშორდებოდა, კიდევ დასცემდნენ კიჟინას: „შაიშრო, შაიშრო, გაუმარჯოს! ლაშარის ჯვრის პიროფლიანთ, გაუმარჯოს!“ და იმ კაცს ადგომის საშუალებას არ აძლევდნენ. ძალაუნებურად კიდევ უნდა დასწაფებოდა ღვინოს. თანაც ის კაცი, ვისაც ტიკი ზურგზე ჰქონდა მოდებული საყეინოში უმატებდა ღვინოს და ყველაზე უფრო ხმამაღლა გაჰკიოდა: „შაიშრო, შაიშრო!“ „ღვინო კარდანახული, ბიჭი გადალახული“ — თან ამას ყვიროდნენ და იყო სიცილი და ერთი ამბავი. პირველი რომ თავს დაიღწევდა, ახლა სხვა გაიმეორებდა და ასე გრძელდებოდა საყეინოს სმა. საყეინო იყო მამაკაცებთან, ქალებთან არ გაჰქონდათ, საყეინოში ერთიმეორესაც პატიჟობდნენ; რომელიმე კაცი ფულს ჩავიდოდა და ვინმეს დაპატიჟებდა; ვისაც შეეძლო, ბლომად ფულს ჩავიდოდა და ბევრს დაპატიჟებდა. ჯერ ფულს ჩავიდოდა და ერთ კაცს დაპატიჟებდა, მერე მეორედ მეორე კაცს დაპატიჟებდა. ფულის რაოდენობა განსაზღვრული არ იყო, ვისაც რამდენი სურდა, იმდენს ჩავიდოდა. სპილენძის ფულს არ სწირავდნენ. თუ ვინმე შესწირავდა — ბევრს. ღვინოში მას არ ჩაყრიდნენ, ჩაყრიდნენ მშრალ თასში, სადაც ქაღალდის ფული ეყარა. საყეენო კარგა ხანს გასტანდა. საყეინოში დაპატიჟება სხვა დაპატიჟებაზე მეტად ფასდებოდა. ფული ხატს ეწირებოდა და შემწირველს სახელი რჩებოდა. საყეინოში ბლომად ღვინო იხარჯებოდა და ბლომად ფულიც რჩებოდა. საღამომდე გრძელდებოდა იგი და როგორც ყველასი, თასის წესრიგის ბოლოც მოვიდოდა. დაცლიდნენ, თასს აიღებდნენ და ყველანი დაიძახებდნენ: „აი, გაუმარჯოს ლაშარის ჯვრის პიროფლიანთა, გაუმარჯოს და ნუ გამოილიოს იმის ყმათაში თავდადებული ვაჟკაცები, როგორიც ისინი იყვნენ“.

საყეინო თასს ვერცხლის ფულით და მეორე თასს ქაღალდის ფულით წაიღებდნენ და გადასცემდნენ ხევისბერს დაუთვლელად. ის სახალხოდ დათვლიდა და გადასცემდა დასტურთ; ისინი ინახავდნენ განძთან და სხვა თანხასთან ერთად. ეს ფული ხმარებოდა ისევ იახსარის ვენახის მოვლას, მუშას, სხვადასხვა ხელსაწყოებს ვენახის და ქვევრ-მარანის საჭიროებისათვის. აგრეთვე ხმარდებოდა აქაურ სახატო საქმეებს. მაგალითად. სალუდე ქვაბი იქნებოდა ხელახლა დასაკერებელი, ან სხვა წვრილი ქვაბები, ჩხუტი, ან სალუდე დარბაზი და სხვა

რამე იქნებოდა შესაკეთებელი. ფულის შენახვა ევალებოდა დასტურებს, ხოლოდ დახარჯვა-გამოყენებას განაგებდა თავხევისბერი.

საყეინოს გარდა, აქ სხვა წესებიც სრულდებოდა, მიდიოდა ქადა-საწირავი იახსარშიც და ხთიშობელშიც. პარასკევს მოთავდებოდა ყველა წესების შესრულება. მზე რომ გორს დაუახლოვდებოდა, ხევისბერი, როგორც ავწერეთ, ისევ იმ წესით ზარს დარეკდა. მლოცავი ხალხი პირჯვრის წერით მადლს მოსთხოვდა და კარატეს წასასვლელად მზადებას შეუდგებოდა. მოიყვანდნენ ცხენებს, აჰკიდებდნენ ბარგს, ჩამოგროვდებოდნენ მოედნის ბოლოში წამოსასვლელ გზასთან და გაიმართებოდა თამაშობა. ცეკვავდა ოროლი ერთად, ქალი და კაცი, ხნიერი ქალებიც კი ცეკვავდნენ. ამ დროს ხევისბერი დროშასთან მივიდოდა. მას ვერცხლის თასით ზედაშეს მიართმევდნენ. იახსრის სადიდებულოს დალევდა ისაც და სხვებიც (ხევისბრები ბევრნი იყვნენ, რომელთაც ებარათ სხვადასხვა საქმე, აქ ლაპარაკი მხოლოდ თავხევისბერზეა, რომელსაც ებარა საკლავის დაკვლა, სანთლის ანთება. დროშასაც ხშირ შემთხვევაში ეს ხევისბერი ატარებდა, ზოგჯერ კი მედროშე სხვა იყო. თუ მედროშავე არ იქნებოდა ხატისაგან არჩეული, დროშის ტარებაც თავხევისბერს ევალებოდა). ხევისბერი დროშას მარჯვენა მხარზე გაიდებდა და ხატის თანამყოლნი აქედანვე ფერხისით გამოჰყვებოდნენ დროშას. მოუახლოვდებოდნენ მლოცავ ხალხს, რომლებიც ქუდმოხდილნი იდგნენ. ცეკვას თავს ანებებდნენ, ქალები ცხენებს დაიჭერდნენ და ქვევით გადადგებოდნენ, ვაჟები კი ფერხისას დაამბამდნენ და შამღერებდნენ საგმირო სიმღერებს: ან ხთიშვილთან დევების ბრძოლის შესახებ, ან რომელიმე ლექსს გმირობაზე.

სიმღერით ფერხისა ჩამოვიდოდა არაგვის პირზე და დაიშლებოდა. თუ ხიდი არ იყო, პირველად მედროშეს, ე. ი. ხევისბერს, თავისი დროშით გაიყვანდნენ წყალში, თან დასტურებიც გაჰყვებოდნენ. დასტურ-ხევისბრები არაგვიდან ცოტა ზემოთ, ნიჯოხის გორის ბოლოში, დროშის საბძანო იყო, სადაც დროშას მიაბძანებდნენ და დაისვენებდნენ, სანამ მთელი ხალხი არ მოიყრიდა თავს. გამართავდნენ თამაშობას, სმას. ცოტა ხნის შემდეგ ისევ ხევისბერი გაუძღვებოდა დროშით წინ და გაჰყვებოდა ხალხიც. დაისვენებდნენ საბუჩეს, მერე ესკალასთან, მერე სიპურაში და ბოლოს ავიდოდნენ კარატეს. აქ ჩამოთვლილ ადგილებში ყველგან იყო დროშის საბძანი, ისვენებდნენ მალმალე, იმიტომ, რომ დიდი აღმართია და მედროშავის გაოფლიანება არ შეიძლებოდა. კარატეს იგი დროშას კოშკთან მიაბძანებდა, ხალხს დაამწყალობნებდა და ცოტა შეისვენებდა. მერე წამოაყენებდა საკლავს. საკლავი იახსარის ცხვრიდან უნდა ყოფილიყო. ანდა სასოფლო (სანამ ხატის ცხვარი იყო, იქიდან გამოჰყავდათ და როცა ხატის ცხვარი მოისპო, მერე სასოფლო საკლავს კლავდნენ). საკლავი რომ დაიკვლე-

ბოდა, მოჰყვებოდა მეზღვნეების საკლავების დაკვლა, ყველა თავ-თავის საკლავს ატყავებდა და ხორცს ხარშავდა. იმართებოდა სუფ-რები. დღე ამ სამზადისში ღამდებოდა. ათევდნენ ღამეს ისევ ნაბდებ-ში, უნდა ითქვას, რომ ფშავლური ქალ-ვაჟური წესებიც სრულდებო-და აქ — „ნადობ-ნაძმობობა", ანუ „წაწლობა". ეს ამბავი ჩუმად ხდე-ბოდა და თუ ვინმეს ასეთ ამბავს შეამჩნევდნენ, ხუმრობით გირაოდ რამეს წართმევდნენ, ქუდს, ქამარს და აღარ მისცემდნენ, სანამ ერთ ბოთლ არაყს არ მოუტანდა ჯარიმას. ასე ხუმრობა-თამაშობაში და მღერაში გაათევდნენ ამ ღამეს.

დილას ხევისბერს წყალს მოართმევდნენ, ხელ-პირს დააბანინებ-დნენ და ერთ ყანწ არაყსაც დალევინებდნენ (აქ წყალი შორს იყო და თუნგ-თულუხებით მოჰქონდათ). ხევისბერი ფეხზე გაიხდიდა, საზა-რესთან მიეიდოდა და დარეკდა ზარს. ზარის ხმაზე მლოცავი წამოიშ-ლებოდა, კაცები ქუდებს მოიხდიდნენ, დიდი და პატარა ყველა პირ-საზარისაკენ დადგებოდა და პირჯვარს იწერდა. ხევისბერი დაამწყა-ლობნებდა: „გწყალობდესთ ლაღი იაკსარი თავის კარის მლოცავთა, სასიხარულოდ გაგიკადოსთ მისი ლოცვა-დიდება, სასინანულოდ ნურა გაგიკადოსთ". „თქვენიმცამც მწყალობელია". — იტყოდნენ ყველანი. ვინც წინა დღეს ვერ მოასწრო, ეხლა დაიხოცებოდა მათი საკლავები. ერთ მხარს აძლევდნენ დასტურ-ხევისბრებს და ტყავის სახსარს ერთ აბაზ ფულს, დანარჩენი საკლავი პატრონს რჩებოდა. სუფრები აქაც ჩვეულებრივი იყო. იმართებოდა მღერა-თამაშობა. კარატეში მარტო დროშის საბძანი კოშკი და საზარე იყო, არც არაფერი წესი სრულ-დებოდა განსაკუთრებული. საკლავი იხოცებოდა და ამ საკლავის სისხლს (ზოგიერთისას, ვისაც ასე ჰქონდა შეთქმული) ასხურებდნენ სა-ზარესაც და დროშის საბძანსაც. ერთხელ საწირავთ მიიტანდნენ და მოანთებდნენ დიდებათ დროს. ხევისბერი როცა ზედაშეზე ადიდებ-და იახსარს, ამ დროს საწირავებიც იქ ეწყო.

მზის ჩასვლის დროს ხევისბერი ააბძანებდა დროშას, დაამწყალო-ბნებდა ყმათ და ყმათაში დღეს იახსარის კარის მლოცავთ, ზედაშით თასთ გაადიდებდა და გამოუძღვებოდა არახიჯის კარატისაკენ. ხალხიც გამოჰყვებოდა თან. არახიჯის კარატეც შუაფხოელების კარატის პირ-დაპირ ახლოს იყო, პატარა ამაღლებულ გორაზე. აქ იყო საზარე და დროშის საბძანი. მლოცავი ხალხის საბინაო გორაკის ბოლოზე იყო ბალახიანი მოედანი. ხალხი დაბინავდებოდა, დასტურ-ხევისბრები მაღლა ავიდოდნენ. ხევისბერი დროშას თავის საბძანში მიაბძანებდა და ხალხს დაამწყალობნებდა. მიიტანდნენ ზედაშით სავსე სამ ვერ-ცხლის თასს, დააწყობდნენ საწირავთ, სანთელსაც აანთებდნენ და ხე-ვისბერი შეუდგებოდა დიდებათ. დიდებათაში ამწყალობნებდა ყმათ

და მეზღვნეთ. დიდება რომ გათავდებოდა, თასებს გამოსცლიდნენ, ისევ აავსებდნენ და შენდობას ეტყოდნენ იმ სულებისათვის, ვინც აქ წინათ ემსახურებოდნენ ამ ადგილის ანგელოზს ლაღს იახსარს და ახლა აღარ არიან. ამ თასებსაც გამოსცლიდნენ და დაიწყებოდა ზღვნობა. მოყავდათ თითოობით საკლავები და კლავდნენ. საკლავის დაკვლაშიც ახალი წესი არაფერი იყო. ყველაფერი ისე სრულდებოდა, როგორც შუაფხოვლების კარატეს, მხოლოდ აქ ორი ქვევრი იდგა მიწაში რომელზედაც ამბობდნენ; აქ ერთ ბერს უცხოვრია, ერთ ქვევრში წყალი სდგომია, მეორე ქვევრში ზედაშე ღვინოო. სასოფლო საკლავის სისხლს ამ ქვევრებსაც უწევდნენ და იმ ბერის ძალასაც სთხოვდნენ, ეშუამდგომლა ღმერთთან და იახსართან, რომ ამ მლოცავებზე და ყმათაზე წყალობით ყოფილიყვნენ.

საკლავები რომ დაიხოცებოდა, გაიმართებოდა ლხინი. სუფრების გამართვა აქ მაინცდამაინც არ იცოდნენ, იშვიათ შემთხვევაში უფრო არახიჯელი თუ ვინმე გამართავდა, არც დრო რჩებოდა. ხევისბერი დროშას ისევ ააბძანებდა, დაამწყალობნებდა ყმათ, მლოცავთ და გამოემართებოდა შუაფხოსაკენ. ჭალამდინ ისევ დროშას ჩამოჰყვებოდნენ, ხევისბერი და დასტურები ხატში დროშას მიაბძანებდნენ, სადიდებელთ დადგამდნენ, ადიდებდნენ ხატს. დროშას ჩამოხსნიდა მედროშავე. მეგანძური დასტური თას-განძს შეინახავდა, სადაც ადგილი იყო. მერე გაიყოფდნენ, რაც მათ დარჩათ — საკლავების თავები, მხრები, ქადის და პურის ნაწილები, ტყავის ფული. ყველაფერს თანასწორად გაანაწილებდნენ და ამით მოთავდებოდა სერობა.

მარიანობა

მარიანობას დროშა არ ებმოდა. დანარჩენი წესები ჩვეულებრივ სრულდებოდა. მოიტანდნენ თას-განძს, ლუდი დამზადებული იყო იმ დასტურთაგან, რომლებსაც თითო დღეობა ჰქონდათ ნარგენი. საკლავი იკვლოდა სასოფლო. ხორცი ხატშივე იხარშებოდა და იქ დამსწრეთ ჩვეულებრივი წესით ხელზე ურიგებდნენ. პური ხალხისავე შემოწირული იყო, ქადის საწირავთა ნაჭრებიც. მარიანობას ქადები უფრო ხთიშობელში მოდიოდა, რადგან მარიანობა ხთიშობლის დღეობად ითვლებოდა. ხთიშობლის კოშკის ქადის დასაჭრელი და სანთლის ასანთები აქვე იახსარში არის. საკლავი აქვე იხოცებოდა, უფრო ზვარა, ძროხის პირველმოგებული ხბო, რომლის გაზრდაც არ შეიძლებოდა. მათ ხთიშობელში კლავდნენ. ზვარას გაზრდა ითვლებოდა დანაშაულად ხატისა და ღმერთის წინაშე. თუ პატრონი ვერ გაიმეტებდა და არ დაკლავდა, მერე რაც უნდა ზარალი მისდგომოდა ოჯახს, ზვარის არდაკვლას დაბრალდებოდა, უფრო ძრო-

ხების ზარალი. ამიტომ ყველანი კლავდნენ მას. ხთიშობელში, ანუ ადგილის დედაში ქადის ნაწილი და საკლავის მხარი ეძლეოდა დასტურ-ხევისბრებს. ხთიშობელს ცალკე დღეობა არ ჰქონდა და არც დასტურ-ხევისბრები ჰყავდა თავისი, ერთი პატარა კოშკის მეტი არც არაფერი სხვა გააჩნდა, ითვლებოდა იახსარის სალოცავის ერთ-ერთ ნაწილად. იახსარს, დიდ სალოცავს, ჰყავდა ადგილის დედა და ასეთი წვრილმანი მისთვის ჰქონდა ჩაბარებული. ესეთი შემოწირულობანი ითვლებოდა იახსარის პატივისცემადაც, რადგან ადგილის დედაც მისი ნაწილი იყო. აუცილებელიც იყო, მას ადგილის დედა ჰყოლოდა და ასეთი რამეებისათვის მიექცია ყურადღება, რადგან იახსარს საგმირო საქმეები ებარა და წვრილმანის დრო არ ჰქონდა.

მარიანობა დილას იწყებოდა და საღამოზე მთავრდებოდა, მეზღვნეები მიდიოდნენ გაღმა ხატში და ნინახშიც ანთებდნენ სანთელს. დასტური და ხევისბერი დაახვევდნენ ბევრ სანთელს, წავიდოდნენ გაღმა ხატში და ნინახში, სადაც იახსარი პირველად ცხოვრობდა, აანთებდნენ. თითო-ოროლა ყმას შეთქმული ჰქონდა და ნინახშიც მიჰყავდა საკლავი. ხოლოდ იქ ხორცის მოხარშვა და სუფრის გაკეთება არ იცოდნენ: ბოთლით არაყს, ღვინოს ან ლუდს მიიტანდნენ, იახსარს ადიდებდნენ და დალევდნენ. ნინახში ქადა არ იცოდნენ, მიიტანდნენ მარტო საწირავთ. გაღმა ხატში კი ქადაც იცოდნენ სახარბაკეში (სახარბაკე ჰქვია იმ ადგილს, სადაც ზამთრობით ჰყავდათ იახსარის კურეტები, გომური ჰქონდათ და ახლაც არის ნაგომურალი). აქ ქადა იმიტომ კი არ მოჰქონდათ, რომ სახარბაკეა, არამედ იმიტომ, რომ კარატიდან ჩამოსული იახსარი პირველად აქ დაარსდა და მერე გამოვიდა ავის გორს. ამის გამო ზოგიერთ დღეობაში აქ საკლავსაც კლაკდნენ და სუფრასაც მართავდნენ. ნინახში რასაც დაკლავდნენ ან სულ სახლში მიჰქონდათ, ან გამოიტანდნენ ავისგორს, სადაც იახსარის მთავარი სადღეობოა, აქ გაატყავებდნენ, ხორცსაც აქვე მოხარშავდნენ. სუფრასაც აქ გაკეთებდნენ და ყველა წესს ასრულებდნენ. სხვა წესით აქ არცერთგან არ ხსენდებოდა იახსარი, მას ერთი და იმავე წესით და სახელით ახსენებდნენ ნინახში, სახარბაკეში, ავისგორს და კარატეს. მარიანობის დღეობაშიც გამოილოცავდნენ ჩვეულებრივი წესით. სასოფლო საკლავი ყოველ დღეობაში იკვლებოდა, ზოგიერთ დღეობაში კი, როცა ხევისბერი ეტყოდა, ან დაწესებული ჰქონდათ, დაკლავდნენ იახსარის ცხვრის ფარიდან გამოყვანილ საკლავს. მაშინ სასოფლო აღარ დაიკვლებოდა, ის ჩაითვლებოდა სასოფლოდ.

ნადისათვის მორიგე დასტურები ადუღებდნენ ლუდს და აფუვ-ლებდნენ სალუდეში. ხევისბერი დანიშნავდა დღეს, უფრო შაბათს ნადისათვის. შეატყობინებდნენ ვანხევ-არახიჯაში და ხორხში იახსარის ყმებს. ისინიც დანიშნული დღისათვის მოვიდოდნენ და იმართებოდა. ნადი. ორ არჩეულ საკლავს ჩამოიყვანდნენ იახსარის ფარიდან. ხევის-ბერი პირველად გახსნიდა კოდს, კოდთან დააწყობდნენ საწირავთ, დადგამდნენ სამს ვერცხლის პატარა თასს, ამოიღებდნენ კოშით ლუდ'ს და ავსებდნენ თასებს, ანთებდნენ სამ ფეხ სანთელს და დააკრავდნენ იქვე ქვაზე საწირავთან. ხევისბერი დადგებოდა პირწაღმა და შეუდგე-ბოდა დიდებათ ჩვეულებრივი წესით და სიტყვებით, ახვეწებდა ყმათ, ყმათაში მშრომელთ და თავდადებულთ სახატო საქმისათვის. დიდებას მოათავებდა და დასცლიდნენ თასებს. მერე ავსებდნენ და შანდობას ეტყოდნენ იმ სულებისათვის, წინათ ვინც თავდადებულნი იყვნენ სახატო საქმისათვის და დღეს აღარ არიან. ამ თასებსაც დასცლიდნენ ყველანი. მერე საკლავებს დაკლავდნენ. ორ-სამ ახალგაზრდას დაა-ვალებდნენ საკლავების გატყავებას და ხორცის მოხარშვას. ხევისბერი გავიდოდა, აიღებდა ნამგალს, პირველი გამოსჭრიდა ყანას და იტყოდა: „ღმერთო და ჩვენო სალოცავო ლაღო იაჯსარო, შენ უშველე შენთ ყმათა ნადში მოსულთა თავინ მოვალეობის ასასრულებლად. დაუტა-ნე მადლი და ბარაქა ნაშრომ-ნაამაგარსაცა და მიეც მადლი შენთ ქე-როქროთაცა“. ცოტას მომკიდა და ჩამოართვამდნენ ნამგალს. წამო-ეხვეოდნენ ყანას მომკელებიც და დაიწყებოდნენ ნამგალ-სათითეებით მკას (ფშავში უნამგლოდ არ მკიან, ხევსურეთში კი მეტწილად ხელით გლეჯენ ყანას უნამგლოდ). თან მისდევდათ დასტური ლუდიანი ქვა-ბით ან ჩხუტით, ხელში ეჭირათ თასები და ასმევდნენ მუშებს. სვამ-დნენ, თან მკიდნენ და მღეროდნენ კიდეც. მღერა იცოდნენ მკის დროს: ჯერ ერთი იძახებდა სიმღერის თავს, სხვებიც იმავე ხმაზე აჰყვებოდ-ნენ. მემრე მეორე გაიმეორებდა ამავე სიტყვებს და ისინი თითქოს ერთი მღერისო, ყველანი ერთ ხმაზე ხმამაღლა მღეროდნენ:

ნეტავინ, კარგავ ქალაო, ყანაიმც მოგვცა ზიარი,
გარიეა სამარგელაი, ნაპირიმც მისცა ტყიანი,
მემრამც ვის აყურებინა, ჩემი და შენი გრიალი.

სხვა ასეთ სიმღერებს მოიგონებდნენ და მღეროდნენ. ზოგი მკი-და, ზოგი კონავდა, ზოგი ძნას აგროვებდა და ზოგი ძნის წერებს აგებ-და (ძნის წერას ეძახოდნენ ხუთ ძნას ან მეტს ძირით მიწაზე დაყუ-დებულს, ერთმანეთისათვის მიბჯენილს. წერა რჩებოდა გამოშრობამ-

დინ. გამოშრობის შემდეგ კი დასტურნი გადახუთლავდნენ. ე. ი. ერთმანეთზე გადააგებდნენ რამდენიმე წერას და იმას უწოდებდნენ „ხუთულას“). ასე გრძელდებოდა მკა, ვიდრე ხოდაბუნს ანუ სანადოს არ გადარჩებოდნენ. როცა სამკალს გადარჩებოდნენ, მოულოცავდა ყანას დასტური ან ხევისბერი. იგი უკანასკნელი ღერების გამოჭრის დროს იტყოდა: „ღმერთო და ჩემო სალოცაო ლაღო იაჴსარო, დასწერე ჴვარი ამ ჴარით და დარ-ამინდით ნაჴნავსა, დარით მომკილსა. ლაღო იაჴსარო, შეარჩინე ხელი და მჴარი შენს ნადში ერთგულ მომუშავეთა და თავდადებულთა. დაუტანე მადლი და ბარაქა თავის ნაშრომ-ნაშვრალსაცა“. ამ სიტყვების შემდეგ უკანასკნელ ხელეურს გადააგდებდა და დაიძახებდა: „ღმერთო, გაუმარჴვე ლაღს იაჴსარსა და, ლაღო იაჴსარო, შენ გაუმარჴვე შენთ ყმათა. გა-უ-მა-რ-ჴ-ო-ს!“. „გაუმარჴოს!“ — ყველანი მაღალი და გაგრძელებულის ხმით ყვიროდნენ. ამის შედეგ მობრუნდებოდნენ და დასხდებოდნენ ქალები ყანის პირში, კაცები კი ხატში წავიდოდნენ (ქალი მრეცლობიდან ხუთი დღის შემდეგ მოვიდოდა ნადში). ხატში ხორცი მოხარშული დახვდებოდათ და გაიმართებოდა სუფრა. პური მოტანილი იყო ხალხის მიერ შემოწირული საწირავების სახით. მას წვრილად დასჭრიდნენ და სუფრაზე მოსატანად ჰყოფნიდათ. ხალხი დასხდებოდა მწკრივზე და დაუდგამდნენ სუფრას, ქალებს ცალკე. მხოლოდ თავთავის წილობას ყველას წინ დაუწყობდნენ. ეს, რა თქმა უნდა, შენდობის თქმის შემდეგ ხდებოდა. ხევისბერი გამზადებული სუფრით და სასმელით, ანთებული სანთლით შენდობას ეტყოდა იმ ხალხთ, რომელნიც შარშან იყვნენ ამ ნადში და წელს ვეღარ დაესწრნენ. მოიგონებდა უპატრონო მკვდრებსაც და ამის შემდეგ იმართებოდა სმა-ჭამა და მღერა (ნადში თას-განძის მიტანა არ იცოდნენ, მიჰქონდათ მარტო სპილენძის თასები და სამი პატარა ვერცხლის თასი სადიდებლად). პურს რომ ჭამდნენ, ყველანი წავიდ-წამოვიდოდნენ სახლებში. დასტურ-ხევისბრებიც გამოილოცავდნენ. ამით თავდებოდა ნადი.

გიორგობა

გიორგობა იცოდნენ ყოველთვის გიორგობის თვის ათ რიცხვში. ამ დღეობაშიც დასტურები ლუდს ადუღებდნენ, საკლავი ან სასოფლო იყო, ან იახსარის ფარიდან გამოყვანილი. თუ ხევისბერის პირით იახსარი ბრძანებდა, მაშინ გამოყავდათ ამ ფარიდან, თუ არა, თავისი ნებით არავის შეეძლო გამოყვანა. საკლავის დაკვლა, ხორცის მოხარშვა, სუფრა და დანარჩენი ყველა წესი სრულდებოდა ისე, როგორც ზემოთ დღეობებში არის აღწერილი. დიდება და შენდობის თქმაც იყო იმავე წესით და სიტყვებით. ამ დღეობაშიც ბევრი მლოცავი მოდიო-

და, იხოცებოდა ხარები, კურეტები და ჭედილები. ვისაც რა უნდოდა საზამთრო სახორცედ, ახლა დაკლავდნენ და ხორცი აქედან მიჰქონდათ შინ. ხარს რქებზე გაუკეთებდნენ კვერებს (ხევსურულად ძიძიტა). კვერები იყო მრგვალი პური, დაჭრელებული სხვადასხვა რამეებით, შუაზე ჰქონდა დატოვებული რქის გასაყოფი ადგილი; როგორც მკლავზე სამაჯური, ეგრე ჩამოეცმებოდა რქებზე. ორივე მხარეს თითო ფეხ სანთელს დააკრავდნენ და მერე ადიდებდა იახსარს ხევისბერი. დიდების შემდეგ ხარი ისე იდგა, ვიდრე სანთლები არ დაიწვებოდა, შემდეგ შეკონავდნენ, წააქცევდნენ და გამოჭრიდნენ ყელს. ამ დღეობაში დროშაც გამობძანდებოდა. სასანთლეში სანთელს ანთებდნენ და ზარიც ირეკებოდა. დანარჩენი წესი არაფრით განსხვავდებოდა ზემოთ აწერილ დღეობებთან.

შობა ანუ ქრისტე

საშობაოდ ხევისბრები წმიდობდნენ ყველა თავისი წესის მიხედვით. თავხევისბერი ხუთმეტი დღით ადრე უნდა შესდგომოდა ხატში მისვლის სამზადისს. ტანს იბანდა ყოველდღე თუ არა, დღეგამოშვებით მაინც. ოჯახში აღარ ცხოვრობდა, ცოლისაგან ცალკე უნდა ყოფილიყო. იტყვიან, რომ ხევისბერი ხუთმეტობამდინ სანთელს ვერ აანთებსო, ე. ი. თუ ოჯახიდან წმინდად არ იქნებოდა ხუთმეტ დღეს მაინც (აქ ისე მძიმე წესები სიწმინდის მხრივ კიდევაც არ ჰქონდათ დასტურ-ხევისბრებს, როგორც სხვა ხატებში, მაგალითად, გოგოლაურთის თავარმოწამეში და სხვა). დასტურებიც ოჯახიდან წმინდად იჭერდნენ თავს. შობის წინა დღეს ყველანი თავს მოიყრიდნენ სალუდეში, ხევისბერი გააღებდა დარბაზის კარს და ვისაც შეეძლო აქ შესვლა, ისინი შევიდოდნენ. მიიტანდნენ საწირავთ, გააკეთებდნენ სანთელს და ჩვეულებრივი წესით გახსნიდნენ კოდს. პირველი თასებით ადიდებდნენ ღმერთს, კვირას და იახსარს. თასებს რომ დასცლიდნენ და ხელახლა აივსებდნენ, შენდობას ეტყოდნენ იმ მიცვალებულთათვის, რომლებსაც დანამადლისი რაიმე ჰქონდა იახსარისათვის. აგრეთვე უპატრონო მკვდრებსაც არ ივიწყებდნენ. მერე საკოდიდან დასტურს მიჰქონდა ჩხუტით ლუდი დარბაზში და იმართებოდა სმა. იახსარში ხევისბერი ბევრი იყო, ხანდახან ცხრა-ათი კაცი იყრიდა თავს. ყველას თავ-თავისი საქმე ებარა, მხოლოდ თავიხევისბერი იყო ერთი. ყველა ხევისბერი, ორი წლიური დასტური და ორიც მორიგეობით, რომლებიც თითო დღეობაში ლუდს ამზადებდნენ (მდუღე დასტურნი) მოვიდოდნენ და შობა ღამეს ხატში გაათევდნენ ლუდის სმაში და მხიარულობაში. ერთ სასოფლო საკლავსაც დაკლავდნენ და შუაღამის დროს ხევისბრები ამ საკლავის ხორცით გაიხსნიდნენ მარხვას. მარხვის გახსნის წინ თავი-

ხევისბერი ერთი თასით დაილოცებოდა, დაამწყალობნებდა დასტურ-ხევისბრებს და ყმათ, უსურვებდა მრავალი შობა-ახალწლის გამოცვლას მშვიდობით. მერე საკლავის ხორცის სუფრას დალოცვდნენ ძველ ხევისბრებისათვის, რომლებიც იახსარის რწმუნებულები იყვნენ და აღარ არიან. ამ თასებსაც გამოცლიდნენ. პურს და ყველს აიღებდნენ და პირველად ხევისბერი და მერე ყველანი იტყოდნენ: „ღმერთო, გაუმარჯვე ლაღს იაკსარსა და, ჩვენო სალოცავო, შენა სწყალობდე შენთა ყმათა და ყმათაში დღეს შენის კარის მლოცველთა, დასტურთა და ჯევისბერთა, მიეც წყალობა და მრავალჯერ ალოცვიე შენს კარზე შობა და ახალი წელი“. ჯერ პურ-ყველს შეჭამდნენ და მერე ხორცსაც აიღებდნენ.

ასე გაიხსნიდნენ მარხვას და თითქმის გათენებამდინ სვამდნენ ლუდს, არაყს. გათენებაზე მოვიდოდა სოფლის ხალხიც. მადლს მოსთხოვდნენ მოსულნი და იტყოდნენ: „აშენდით, ხატ-კაციანად, აშენდით“, „დაშვენდი, წყალობა ჩვენი სალოცავისა“ — ეტყოდნენ დასტურ-ხევისბრები. ზოგი ქადა-პურს მოიტანდა, ბოთლით არაყს, ზოგი საკლავს მოიყვანდა ზღვენს. ზოგი ხთიშობელში მოიყვანდა ზვარას, მოიტანდა ქადას და აქაც არყიან ბოთლს მოაყოლებდა, გაუჩნდებოდა საქმე დასტურ-ხევისბრებსაც — დასტური ქადებს ჭრიდა იახსარშიც და ხთიშობელშიც. თუ დასტურს დრო არ ჰქონდა, ამ შემთხვევაში ხევისბერი ჭრიდა ქადებსაც. ზღვნებს ხოცავდა ხევისბერი იახსარშიც და ხთიშობელშიც. ხთიშობელში რაც არაყი მოჰყვებოდა, ქადას, ქადის დაჭრის შემდეგ ბოთლიც იახსარში მიჰქონდათ. აქ ხალხი ისხდა საქვაბეში და ვისაც იქ შესვლა არ შეეძლო, სალუდის კარზე იჯდა და აქ სვამდნენ სოფლიდან მოტანილ არაყსაც და ლუდსაც. შეწვავდნენ საკლავების ღვიძლს ცეცხლის ალზე, დაჭრიდნენ, დაამარილებდნენ და ერთიმეორეს სთავაზობდნენ. პურად შემოწირული ქადა-საწირავები იყო დაჭრილი. ამ დღეობაში სუფრა იშვიათად იცოდნენ, რადგან გარეთ სიცივე იყო და შიგნით ყველა ხალხი ვერ შევიდოდა სალუდეში და დარბაზში (სუფრები იცოდნენ უფრო ზაფხულ-შემოდგომაზე, რადგან ხალხი ბუსნოზე თავისუფლად დასხდებოდა). ეს დღე დაღამდებოდა სმა-ჭამაში. შეიძლებოდა ცოტათი შეევლერნა ვისმე და ისე დიდი ლხინ-მხიარულება არ იყო. ზღვნებისას, მხრების გარდა, კიდევ სხვა ხორცსაც უტოვებდნენ დასტურ-ხევისბრებს, იმიტომ, რომ შობიდან ახალწლამდე ერთ კვირას დასტურ-ხევისბრები მუდმივად ხატში რჩებოდნენ. დღე და ღამე აქ იყვნენ დასტურნი, რომლებიც ერთი წლით იყვნენ დაყენებულნი, აქ იყვნენ ხევისბრებთან და ყოველგვარ სამსახურს უწევდნენ ხატის წესრიგს და ხევისბრებს. მდუღე დასტურნი კი ხანდახან მოვიდოდნენ აქ. სასმელ-საჭმელი ამ კვირას არ აკლდათ. მათ რჩებოდათ შობას დაკლული სასოფლო საკლავის ხორ-

�იც, ამის გარდა სოფლიდან მოსდიოდათ მოსაკითხი. ყველა კომლი მოუტანდა ხორცის ქადას, ან ხინკალს, კეცეულებს და სხვა, თან მოაყოლებდნენ არაყს ბოთლით. ზოგ დღეს მოუვიდოდათ ოთხი-ხუთი მოსაკითხი. მოსაკითხის მომტანი ზოგი შევიდოდა სალუდეში დასტურ-ხევისბრების თხოვნით, ზოგი კი გარეთ დაჯდებოდა ქვის სკამზე (ქვის სკამები გაკეთებული იყო ხალხის დასასხდომად ხატის კარზე). შეიძლება ქალსაც მიეტანა, თუ ოჯახში კაცი არ ჰყავდა მოსაკითხის წამღები. მოვიდოდა იმ ადგილამდინ, სადაც ქალებისათვის იყო განსაზღვრული. იქიდან ერთ-ერთი ხევისბრის სახელს დაიძახებდა, ან დასტურის სახელს, გაიგონებდნენ, მიეგებებოდნენ და წაიღებდნენ. მოსაკითხის მომტანს ჭამის შემდეგ დაამწყალობნებდნენ და გაისტუმრებდნენ.

სანთელს ან მოსაკითხის მომტანი მოაყოლებდა ან ხატიდან დააკრავდნენ სუფრაზე. (სუფრად ჩაითვლებოდა რითიც მოიტანდა მოსაკითხს, ხატში სანთელი მუდამ ჰქონდათ დამზადებული). სანთელს რომ დააკრავდნენ და არაყსაც ვერცხლის თასში დაასხამდნენ (ერთი ჭიქა ამისთვის მუდამ ჰქონდათ აქ), ხევისბერი დალოცავდა მოტანილ სუფრას: „დიდება და გამარჯვება მოხსენდეს ძალს ხთისას, სამართალს კვირაისას. გამარჯვება ჰქონდეს ჩვენს სალოცავს ლაღს იაკსარს. იმათი ძალი და მადლი სწყალობდეს დღეს ჩვენს გამკვლევ — გამკითხველს (სახელი მოსაკითხის მომტანისა), მრავალი შობა-ახალწელი ალოცვიოს მშვიდობისა თავის ცოლშვილით, მაიკსენოს ღმერთმა და ჩვენმა იაკსარმა ამ სუფრითა და სანთელ-კელაპტრითა ის სულ-წმიდანი, ამ ჩვენს გამკითხველს ვისთვინაც ემეტებოდეს ეს სუფრა. ცოტამც დიდად მიუვა, რიოში წმიდად. თუ ვინმე იყოს უპატრონო ოხრის სულმკვდარი და შენდობას გამოგველოდეს, ჩვენ სახელდობრ ვერ ვიგონებდეთ და ჩვენი სალოცავი კი არ ივიწყებდეს, ჰქონდეს დანამადლისი ენითა, ჯელითა, შენაძღვენ-შენაწირითა; ამავე სუფრით მოიკსენიენეს ისინიცა (სუფრის პატრონის ერთ-ერთი მიცვალებულის სახელს იტყოდა, — მაგ. იოსები) იოსების მასპინძლობითა, იმათ შანდობა ჰქონდეს. ჩვენს სალოცავს დიდება და მიცვალებულის პატრონებს დღეგძელობა". ერთი ჭიქა არაყიც იქნებოდა დასხმული, ხევისბერი ჭიქას ხელში აიღებდა და დალევდა. მერე ყველანი გარს შემოეხვეოდნენ სუფრას, პურითაც და სასმელითაც შანდობას ეტყოდნენ იმ მიცვალებულებს, ვინც ხევისბერმა მოიხსენია. პურს ჭამდნენ და რაც დაჩებოდათ, ნაწილს თავისთვის დაიტოვებდნენ, ცოტას კი გააყოლებდნენ ჭურჭელს. შეეძლო, თუ არ შეეძლო, ყველა ვალდებულად სთვლიდა თავს და მიჰქონდათ სოფლიდან მოსაკითხი. ვერ და არ მიტანა იახსარის რისხვად მიაჩნდათ და სხვა რომ არაფერი ქონოდათ, ამ მოსაკითხვისათვის მაინც იშოვიდა რამეს.

ეს კვირა ასე გაივლიდა. ახალი წლის (წელწდის) წინა საღამოს სოფლიდან ყველანი სალუდეში მოიყრიდნენ თავს, ვისაც შეეძლო მოსვლა ქუდიანს. დაკლავდნენ იახსარის ფარაში არჩეულ ჭედილას. მოსულებს მოჰქონდათ საწირავნი და სათეო პური, საწირავნი როგორც ზემოთ გვაქვს აწერილი, ერთი მოზრდილი, მრგვალი პურია და სამი პატარა მრგვალივე პური ზედ აძეს. გული არა აქვს, სათეო პური არის მოგრძო ლავაში. ამ პურებს ყველას დასტური ჩაიბარებს და აწყობს სიპისაგან გაკეთებულ სუფრაზე. მეკვლეებს არაყიც მოაქვთ ოჯახებიდან, ლუდსაც ამოიღებდნენ კოდიდან დასტურნი და იყო ლუდ-არყის სმა, სიმღერა ფშაური. მოიხარშებოდა ხორციც და დასტურნი გააწყობდნენ სუფრას. ხევისბერი ჯერ ადიდებდა იახსარს და მერე შენდობას ეტყოდა სუფრას, თუ ვინმე შარშან იყო ამ მეკვლეში და ახლა ცოცხალი აღარ არის, ან უპატრონო მკვდარია და მომგონე არა ჰყავს. ეს შესანდობარი თასი ყველას ჩამოურიგდებოდა (ხევსურეთში სმაში მეტნაწილად ფეხზე დგანან და სმის დროს საჭმელი არა აქვთ. ფშავში კი სხედან და სასმელ-საჭმელი ორივე ერთად მოაქვთ).

ხევისბრები და დასტურებიც ჯერ აქ იყვნენ, მერე კი წავიდოდნენ საბეროში, მთელ ღამეს არ იძინებდნენ მეკვლენი (მეკვლეში მისცლა ხევსურეთში, მაგ. არხოტში, ოჯახიდან ერთს ეკუთვნის, აქ კი ყველანი მივლენ, ოჯახში რამდენიც უნდა იყოს ქუდიანი). თენების დრო რომ მოატანდა, კვალს დაიჭერდნენ, გარეთ აღარავინ გამოდიოდა, ცისპირი რომ გატყდებოდა, ხევისბერი დარეკდა ზარს. მეკვლენი ზარის ხმაზე ფეხზე წამოდგებოდნენ, დაიწერდნენ პირჯვარს და მოემზადებოდნენ დასტურ-ხევისბრების შესახვედრად. საბეროში ჰქონდათ დასტურთაგან მოტანილი გოგა (ხევსურულად სამეკვლეო), გამოვიდოდა პირველად თავხევისბერი, მივიდოდა მეკვლეებთან, მოიტანდა გოგას და კარებიდან მეკვლეს შეუგორებდა, თან იახსარს ევედრებოდა: „დალოცვილო ლაღო იაჯსარო, ბევრი შობა-ახალწელი მოჰგვარე ამ მეკვლეთ და შენთ ყმათ მშვიდობით და კარგად ყოფნით“. ერთ-ერთი მეკვლე გოგას ორჯერ კიდევ მოუტანდა და ხევისბერი შემოაგორებდა. გოგას ყურადღება ექცეოდა, თუ რომელ გვერდზე მოვიდოდა. გამოცხობაშიც გოგაზე დანიშნული ჰქონდათ ყმათაში კაცი, საქონელი, ცხვარი, პური და სხვა. გამომცხობი დაისწავლიდა და რომელი ნაწილიც უფრო მაღლა აიწევდა, ის მომავალი წლისათვის კარგი ნიშანი იყო. ხატში შესაგორებელი გოგა ცხვებოდა დასტურის სახლში, აცხობდა ხნიერი ქალი ან თვით კაცი. თუ არა, გოგას გამომცობ ქალს მრევლობიდან მეხუთე დღე უნდა ჰქონოდა მაინც, თუ მეტი არა, აგრეთვე მრევლობის დრო არ უნდა ჰქონოდა მოახლოვებული.

გოგას რომ შეაგორებდა, ხევისბერი გადადგამდა ზღურბლზე

ფეხს და იტყოდა: „ფეხი ჩემი, კვალი ანგელოზისა, მოგილოცავთ, მეკვლენო, ახალი წლის გამოცვლასა, დიდი გიმატებიათ და დიდი გიმატოსთ ჩვენმა იაკსარმა, წულიანი, ბედნიერი წელი დაგიყენოთ მადლიან-ბარაქიანი, მშვიდობისა და ერთურთის კარგად ყოფნისა". ამ დროსვე შემოვიდოდნენ ყველა დასტურ-ხევისბრები და ასეთი სიტყვებით ულოცავდნენ ერთიმეორეს ახალი წლის გამოცვლას. ცოტა ხანს დასხდებოდნენ, დასტურ-ხევისბრებს არყით სცემდნენ პატივს და ამასობაში გათენდებოდა კიდეც. გაშლიდნენ ნაბადს და ყველას ქუდებს დაყრიდნენ ზედ. მეორე კალთას ნაბდისას ზედ გადააფარებდნენ ხევისბერი შეეხვეწებოდა იახსარს: „ა დალოცვილო იაკსარო, შენნი ყმანი შენის წყალობით შეინახენ და შენნი მეკვლენიცა. ბედნიერი წელი და კვალი გამოუცვალე და მრავალს დაასწარი ახალწელსა. დალოცვილო ჩვენო სალოცაო, ლაღო იაკსარო, შენის სახელით ბრგინე მეკვლეობა, რომნისადაც გემეტებოდეს და საიმედოდ მიგაჩნდეს". ამ სიტყვების შემდეგ ხევისბერი ნაბდის ქვეშ შეყოფდა ხელს, ერთ-ერთ ქუდს გამოიღებდა და გადმოაგდებდა მეკვლეებთან. მეკვლენი აიღებდნენ და ვისიც იყო, იმას ერგებოდა პირველი მეკვლეობა, მეორე ქუდს გამოიღებდა და გადმოაგდებდა; ეს ქუდი ვისიც იყო, იმას ეძახდნენ „ჯარის დედას". პირველი მეკვლე წავიდოდა სოფელში, თავის სახლში მივიდოდა და შეაგორებდა გოგას, როგორც ვიცით, ასეთი მილოცვით და გოგას წესების დაცვით. მეკვლენი ჯერ ხატიდან არ წამოვიდოდნენ. პირველ მეკვლეს თავის სახლში მოუმზადებდნენ ძღვენს, სასმელ-საჭმელს და ის წაიღებდა ხაშტი. მიუტანდა დასტურ-ხევისბრებს, ისინი დაამწყალობნებდნენ, მოტანილ ძღვენს შენდობას ეტყოდნენ მათი მიცვალებულებისათვის და ისაუზმებდნენ. პირველი მეკვლის მოსვლამდე სოფელში გარეთ ვერავინ გამოვიდოდა, ყველა უთვალთვალებდა მის სოფელში მისვლას და რომ მივიდოდა, მერე გამოვიდოდნენ კარში. დიასახლისი ჩაიტანდა გომურში პურს და შეაჭმევდა ძროხებს. ნაწილი დარჩებოდა ამ პურისა და გაამზადებდა ნაწილს: შეახვევდა ძროხების მორჩენილ პურს, ყველს, ერბოს, ხორბალს, ოჯახში რაც რამეა ყველას, წყლის ჭურჭელს და აჩქარებით წავიდოდა წყალზე. ყველანი ცდილობდნენ, რომ სხვებისათვის მიესწროთ და წყალში ნაწილი ჩაეგდოთ. ნაწილს რომ წყალში ჩააგდებდა, იტყოდა: „წყალო, ნაწილი მოგიტანე (არხოტში ამ ნაწილს ნიჭს უწოდებდნენ). შენი ბედი და წყალობა გამომაყოლე, ბედნიერი წელი დაგვიყენე კაცისი, საქონისი, წულიანი და პურიანი". ამოკრეფდა წყალს და წამოიღებდა შინ; რომ მიიტანდა, ოჯახის წევრები ცოტა-ცოტას ყველანი დალევდნენ, ჩაიტანდნენ და ძროხებსაც ასხურებდნენ ახალი წლის დილის წყალს, ოჯახში რაც რამე იყო, ყველაფერს ასხურებდნენ. იგი მიღებული იყო როგორც იაზმა.

მეკვლე რომ ხატში დაბრუნდებოდა ზღვნით, უკვე დაკლული იყო იახსარის ფარიდან საუკეთესო ჭედილა, გაატყავებდნენ და მის ბეჭს დაუდებდნენ ძღვნის მომტანს, გამოუძღვებოდა სოფლისაკენ ჯარის დედა (მიუძღვებოდა მეკვლეთ, ვითომ ჯარს მიუძღვებოდა). მეკვლენი ჯარის დედას მოჰყვებოდნენ ხუმრობა-თამაშობით; აყრიდნენ თოვლს — თეთრად დაგვიბერდიო, ზოგი ხელს ჰკრავდა და თოვლში წააქცევდა. ჯარის დედა თვითონაც უფრო მეტს ხუმრობდა. ამ აბით შემოვიდოდნენ სოფელში. თუ ქათამი შეხვდებოდათ, დაკლავდნენ და ერთი ამბით, მღერა-თამაშობით მოდიოდნენ. სოფელში დაიშლებოდნენ და ყველანი თავ-თავიანთ სახლში წავიდოდნენ მისაკვლევლად.

მეკვლე გოგას შეაგორებდა და შევიდოდა, მიულოცავდა ახალწელს, ოჯახის წევრებიც ჩეულებრივ უპასუხებდნენ, მერე გამართავდნენ სუფრას და ისაუზმებდნენ (არხოტში და ხევსურეთში წყალზე მაშინ წავა ერთ-ერთი ოჯახის წევრი, როცა მეკვლე შინ შემოვა, ოღონდ მეკვლეს არ ეჩვენება წასვლაში. ფშავში კი პირველი მეკვლე სოფელში რომ შემოვა, მაშინ მიდიან წყალზე). მერე მოიყვანდნენ მეზობელს, უფრო ბავშვებს და შემოატანინებდნენ კვალს. კვალის შემომტანი თუ ძალიან პატარა არ იყო და შეეძლო, მიულოცავდა ახალ წელს. ოჯახში დამხვედრებიც ულოცავდნენ მას. გაუმასპინძლდებოდნენ, რაც რამე კარგი საჭმელი მოეპოვებოდათ; თუ დალევდა, არაყსაც დაალევინებდნენ. ხილი, კაკალი ან თხილი ყველას ჰქონდა. ჩვეულება იყო — ამ დღისათვის თაფლი უნდა ჰქონოდა ყველას ოჯახს, უნდა ჩაეყარათ თაფლში გაყინული ერბო, ჯერ მეკვლესათვის მიეტანათ სუფრაზე თაფლ-ერბო და მერე ვისაც დაპატიჟებდნენ, ყველას მიართმევდნენ და დაბერებდნენ ტკბილად. ვიდრე მეკვლეს არ მიიყვანდნენ და კვალს არ შეატანინებდნენ, მეზობელი მანამდინ არ შევიდოდა მეზობლის სახლში. თუ საქმე რამე ჰქონდა, ან დაპატიჟება უნდოდა, კარებზე დაუკაკუნებდა, გაივლიდა და შორს დადგებოდა. ხმამაღლა არ დაუძახებდნენ სახლში ერთიმეორეს. თუ კვალი შეტანილი ჰქონდათ, მასპინძელი სახლში შეიპატიჟებდა, თუ არა და აქედანვე გაისტუმრებდა. ყველა ცდილობდა, მეკვლე ადრე მიეყვანა და კვალი შეეტანინებინა, რომ მერე გახსნილიყო მომსვლელთათვის სახლში შესასვლელი გზა. ამ დღეს ეპატიჟებოდნენ ერთმანეთს. სოფელში რომ მიივლ-მოივლიდნენ, კაცები ისევ წავიდოდნენ ხატში, გაატყავებდნენ იმ დილას დაკლულ საკლავს, მოხარშავდნენ ხორცს, გამართავდნენ სუფრას, ჯერ ადიდებდნენ იახსარს და მერე შენდობას ეტყოდნენ მიცვალებულებისათვის. კარგა დროსტარების შემდეგ წამოვიდოდნენ ისევ სოფელში და კიდევ იმართებოდა ოჯახებში დაპატიჟება. დასტურ-ხევისბრებიც გამოილოცავდნენ და მოდიოდნენ შინ. ასე მთავრდებოდა შობა-ახალწელი.

შობას დროშა სულ გარეთ იყო გამობძანებული. ჩამოხსნიდნენ გამოლოცვის დღეს, ნინახში იცოდნენ მთავარი დღეობა ლიტანია დღეს. ლიტანიას ეძახდნენ წელწდის წინადღეს. ამ დღეს დასტურ-ხევისბრეები დროშით მიდიოდნენ ნინახში. დაკლავდნენ საკლავს და იმართებოდა სმა. მოდიოდნენ სოფლიდან მეზღვნეებიც, მხოლოდ საკლავებს აქ არ გაატყავებდნენ, რადგან აქ დარბაზ-სალუდე და სხვა რამ დაფარული არაფერი იყო და გარეთ სიცივეს არ გაეძლებოდა. საკლავები იახსარში მიჰქონდათ და იქ ატყავებდნენ. დანარჩენ წესსაც ყველაფერს აქ ასრულებდნენ, რაც საკლავის დაკვლის შემდეგ ხდებოდა.

ა ღ დ გ ო მ ა (ახვსება)

წელწდის შემდეგ იახსარში პირველი დღეობა მოდიოდა აღდგომა. აღდგომა-დღეს დასტურ-ხევისბრები მოდიოდნენ ხატში და აწესრიგებდნენ ყველაფერს, მეგანძურს მოჰქონდა თას-განძი, გარეცხავდა და დაალაგებდა მისთვის განკუთვნილ ადგილზე. დანარჩენები ასუფთავებდნენ დარბაზს, საბეროს და სხვა. ლუდი წინასწარ იყო დამზადებული მორიგე დასტურთაგან და საკოდეში კოდში იდგა. დასტურნივე მოიტანდნენ საწირავთ, მესანთლე ამზადებდა სანთელს და ჩამოქნილს ერთად აწყობდა. ყველაფერი რომ წესრიგში მოვიდოდა, დააწყობდნენ კოდთან საწირავთ, მოაცლიდნენ კოდს ლუდის თავზე მოდგმულ ჩამს, ამოიღებდნენ კოშით ლუდს და ჩაასხამდნენ სამს ვერცხლის პატარა თასში. ამ თასებსაც საწირავთან დადგამდნენ, აანთებდნენ სანთელს, დააკრავდნენ კოდზე ერთ, ხოლო საწირავთან სამ ფეხს სანთელს და ხევისბერი შეუდგებოდა დიდებათ (დიდება და სხვა წესები ყველა ისე იყო, როგორც ამაღლების დღეობაში). დიდება რომ მოთავდებოდა, ჯერ ისე დაცლიდნენ ამ თასებს და მერე მიცვალებულებს მოიგონებდნენ ყველა ჩვეულებრივი წესით. ამას მოჰყვებოდა სასოფლო საკლავიც ყველა თავისი წესებით. ამის შემდეგ მოვიდოდნენ სოფლელები, მოყავდა საკლავები, უფრო მეტი ზვარები მოდიოდა ამ დღეობაში, რადგან მარხვაში საკლავს არ კლავდნენ და შვიდი კვირის მანძილზე ბევრი ზვარები გროვდებოდა. ამ ხნის განმავლობაში ზვარას დედას არ აშორებდნენ. იგი უნდა დაკლულიყო მაწოვარი ისე, რომ დედას მოსხლეტილი არ ყოფილიყო. მოდიოდა ქადა-პურები და დასტურ-ხევისბრები ყველაფერს აწესრიგებდნენ ჩვეულებრივი წესით. მარხვას ხევისბრები ამ დღემდე არ გახსნიდნენ. როცა სასოფლო საკლავი დაიკვლოდა მაშინ პირველად პურ-ყველით და მერე ხორცითაც გაიხსნილებდნენ. მარხვის გახსნისას იტყოდნენ: „ღმერთო და ჩემო სალოცაო, ლაღო იაკსარო, უშველე შენთ ყმათა და ბევრი აღდგომა და მარხვის გაჯსნა მშვიდობისა და კარგად ყოფნისი მოჰგვარე". ამის შემდეგ სრულ-

დებოდა ყველა ის წესები, რაც წინ დღეობაში ავწერთ. ამით მთავრდება შუაფხოს წლიური დღეობები იახსარში.

გამოგვრჩა ა ღ ე ბ ა. აღება დიდმარხვის დადგომის წინა შაბათს მოდიოდა, მაშინ კლავდნენ იახსარში ერთ საკლავს. სისხლი ყველგან ესხურებოდა, სადაც საბძანებელი და სხვა არის ამ ხატში. ამას ეძახოდნენ „ეკლესიის ნათვლას". დანარჩენი წესი ამ დღეობაშიც ჩვეულებრივ სრულდებოდა.

შუაფხოელებმა სამხთო იცოდნენ სოფ. ქუთხში, მარიანობის სწორზე.. ქუთხი შუაფხოვლების ყოფილი ადგილი იყო, ახლა აქ ცხოვრობენ მჭედლურები. შუაფხოელ კაცს მოუკლავს მჭედლური კაცი და ქუთხში ერთი კომლის წილი მიუცია მჭედლურისათვის ამ კაცის სისხლში. აქ ჰყოლიათ სალოცავი — ადგილისდედა ხთიშობელი. ადგილი მიუციათ. მაგრამ სალოცავი ისევ შუაფხოვლებს სთხოვდა სამსახურს. მკითხავის პირით შემოუთვლია, რომ მისი დღეობა უნდა დაწესდეს მარიანობის სწორზე. ამ დღეს შუაფხოვლები წავიდოდნენ ქუთხში, სადაც ხთიშობლის კოშკია ძველადვე აშენებული. აქ საკლავს დაკლავდნენ. თან მიჰქონდათ სასმელი: ლუდი ან არაყი. საკლავის ხორცს მოხარშავდნენ და იქვე ჭამდნენ. საღამოს ჩამოვიდოდნენ მაშარას. მაშარაც შუაფხოვლების ადგილია, აქაც ნიშია ადგილის დედისა და ეძახოდნენ სამხთოს (ქუთხი და მაშარა ორივე კარგა დაშორებულია შუაფხოდან სამი-ოთხი კილომეტრით, სამხრეთ-დასავლეთ მხარეს). მაშარაში ძველი ნასოფლარია, აქ ისევ არის მაშინდელი ჩადგმული ქვევრები, რომელთა შესახებ ასეთი თქმულება არის:

მაშარაში თურმე ცხოვრობდა ერთი მდიდარი კაცი, გვარად წიკლაური. ზაფხულობით თავისი ნახირი ედგა უბისთავს, იქიდან ერთი კილომეტრის მანძილზე მილები ჰქონდა ჩაწყობლი, რომლებიც ქვევრებში ჩადიოდა. უბისთავს ძროხას რომ მოწველიდნენ, მილებით ქვევრებში მოდიოდა რძე და ყველ-ერბოს აქ ამზადებდნენ. მერე წიკლაური წასულა თავის ადგილში (როგორც აბობენ, ხევსურეთიდან ყოფილა მოსული). ამ ადგილზე გადმოედავნენ კიდეც როშკელი წიკლაურები შუაფხოვლებს, დახოცეს ერთიმეორე და დიდი მტერობის შემდეგ შერიგდნენ, ადგილი კი შუაფხოვლებს დარჩათ. როცა წიკლაური ცხოვრობდა, აქ ადგილისდედა იყო. მერე შუაფხოვლები აღარ ასრულებდნენ ლოცვის წესებს და თურმე ხშირად სეტყვავდა აქაურ ჭირნახულს. შემდეგ მკითხავს უთქვამს: მაშარაში დააწესეთ სამხთო და მერე მოგშორდებათ სეტყვაო. მას შემდეგ აქაც დააწესეს მარიანობის სწორზე სამხთო და, როგორც ამბობენ, აქ სეტყვა იშვიათად იცის.

ქუთხიდან ჩამოვიდოდნენ მაშარას, აქაც სასმელი მოჰქონდათ, საწირავნი, სანთელი და ერთი საკლავი. აქ მარტო დასტურ-ხევისბრები კი არ მოდიოდნენ, არამედ მთელი სოფლის მამაკაცები. სასმელი

დასტურების მიერ იყო დამზადებული, საკლავი კი სასოფლო იყო-პური ხალხს მიჰქონდა საწირავების სახით. საკლავით ადგილის დედას ახვეწებდნენ ჭირნახულის დაცვას და გადარჩენას სეტყვისაგან. ხორცს ხარშავდნენ და სუფრა იმართებოდა. ამ ღამეს აქ ათევდნენ. დილით ცოტახანს დარჩებოდნენ, ისაუზმებდნენ და წამოვიდოდნენ შინ. ხორცი რაც რჩებოდა, დასტურ-ხევისბრები წაიღებდნენ შინ. საკლავის დაკვლის დიდება და სხვა წესები ყველა ისე იყო როგორც ამაღლებაში.

მთავარანგელოზის ხატის ამბავი, რომელიც ცაბაურთიდან გამოფრინდა. ერთი ცაბაური ქალი იყო შუაფხოში გამოთხოვილი. ეს ქალი ჰყავდა ვიღაც ფოცხვერათ კაცს. ამ ფოცხვერათ სისხა* შეუდგათ დაიხოცებოდნენ. ცაბაური ქალიც ძალიან ავად გახდა და მამას შეუთვალა: ხატი გამოაბძანე, შუაფხოსაკე გადმოახედებინე და იქნება მეშველოსო. მისი მამა მთავარანგელოზის ხევისბერი იყო ცაბაურთაში. ორჯერ დანაბარებზე მამამ არ შეუსრულა, რადგან უდღეობოდ ხატის გამობძანება არ შეიძლებოდა. მესამედაც რომ შეუთვალა — ვკვდები და მიშველეო, ხევისბერმა ჯერ ერთხელ გამოაბძანა და გადმოახედებინა ცაბაურთიდან შუაფხოსაკენ (ცაბაურთა მაღლა მთაზე მდებარეობს, შუაფხო კი ჭალაში არის, სწორედ ცაბაურთის გორის ბოლოში), მეორედაც და მესამედაც რომ გამოაბძანა და გადმოახედნებინა, „დასცქვრა" ხელიდან ხატი და გადმოფრინდა. წამოვიდა და ფოცხვერათ სახლის თავზე რომ მოვიდა, თოფივით დაიქუხა, საკვმისას სახლში პირდაპირ ცეცხლში ჩავარდა. ნაწილი კიდეც დაიწვა. მოასწრეს და გამოიტანეს ცეცხლიდან. გაწყრა ხატი და ის ხევისბერი თავისი ოჯახით სულ ამოწყვიტა — უდროოდ რად გამომაბძანაო. ამ ფოცხვერათ ოჯახიც, ვისი გულისთვისაც ხატი იყო გამობძანებული, სულ ამოწყდა. მერე ხატმა აღარ მისცა ნება, რომ ცაბაურთაში წაებძანათ და დარჩა შუაფხოში იახსარში.

ფოცხვერანი იყვნენ გვარად ბადრიანები და ამათ გვარს ჯერაც დანადები აძევს საკიდლის ნათვლა. ყველა კლავდა წელიწადში ერთ საკლავს თავის ოჯახში. ადიდებდნენ იახსარს, მთავარანგელოზს და სისხლ უწევდნენ თავის საკიდელს. ამას ეწოდებოდა საკიდლის ნათვლა. მას შემდეგ აიკრძალა ცაბაური ქალის გამოთხოვება შუაფხოში და შუაფხოველი ქალის გათხოვება ცაბაურთაში. და თუ ასეთი მოხდებოდა, ბოლო კარგი არ იყო: ან შვილები დაეხოცებოდათ, ან სულ არ ეყოლებოდათ და ან ცოლ-ქმარში მოკვდებოდა რომელიმე ადრე. ეს წესი მოსდევდა გვიანობამდინ და მტკიცედ ასრულებდნენ.

---

* მუცლის ჭირი.

ღლეობები, სხვადასხვა ამბები.

კოპალას ამბები მიამბო მისმა ძველმა ხევისბერმა ხევსურა თათარაშვილმა, 70 წლისამ, მცხოვრებმა სოფელ უძილაურთაში. მისი ნათქვამი ჩაწერილია სიტყვა-სიტყვით.

კოპალა იყო ხორციელი, ხორციელის შვილი. ის პატარაობისას ძალიან კარგი ყმაწვილი ყოფილა, ჭკვიან-გონებიანი. დევები ასეთ ყმაწვილს ძალიან ემტერებოდნენ. ერთხელ, როცა შინ არავინ ჰყავდა, პატარა კოპალა დაიჭირეს დევებმა და თავისთან წაიყვანეს. კოპალა დევებთან დიდხანს იყო. აწვალებდნენ, ამუშავებდნენ, რაც არ შეეძლო, საჭმელსაც ისეთს აძლევდნენ, როგორიც მას არ უნდოდა და ადამიანისაგან არ იჭმეოდა. გამოპარვას ვერ ახერხებდა, რადგან პატარა იყო და გზა არ იცოდა. ცოტა რომ მოიზარდა, გაიპარა და ბერებთან მივიდა, იფიქრა: ბერებთან მივალო, ვილოცავ, ლოცვას დავამთავრებ, დამბადებელს ძალსა ვთხოვ და დევებს ამოვწყვეტო. მივიდა ბერებთან. ბერებმა კარგად მიიღეს. დაიწყო ლოცვა და შეასრულა. მერე დამბადებელს ძალა სთხოვა: ღმერთო და დამბადებელო, იმდენი ძალა მომეცი, რომ დევები ამოვწყვიტოო. დამბადებელმა შეუსრულა თხოვნა და იმდენი ძალა მისცა, რამდენითაც დევებს მოერეოდა. მაშინ დევები ცხოვრობდნენ ციხეთგორს, კართანაში; ერთი ხელმწიფეც ჰყავდათ. მათი ფალავნები იყვნენ: მუსა, ბეღელა და ავთანდილი (მთქმელმა მათი ხელმწიფის სახელი ვერ მითხრა). დევების ხელმწიფე იყო ციხეთგორს და აქიდან სამართლობდა, დევების კრებასაც აქ იწვევდა. როცა დევებს რამე საბრძოლო გაუჩნდებოდათ, ხელმწიფე დაიბარებდა ციხეთგორს და იქ მოისაუბრებდნენ საერთო საქმეებზე. დევები იყვნენ იორზედაც იქაური დევებიც აქაური დევების ხელმწიფეს ემორჩილებოდნენ და მის ბრძანებას ასრულებდნენ.

კოპალამ გაიგო, რომ დევებთან საბრძოლველად დამბადებელმა საკმაო ძალა მისცა. მივიდა ციხეთგორს და დევებს უთხრა: წადით აქედან, ეს ადგილი დამიცალეთ, მე უნდა დავბინავდეო. დევებს გაუკვირდათ მისგან ეს ნათქვამი — ეს ვინ არის, რომ ასე გულდიდად გვეუბნებაო. ეს ბუკუკა ჩვენ რას დაგვაკლებსო (ბუკუკა — პატარა ბუზი). კოპალამ გაუმეორე, — თუ არ წახვალთ, ძალით გაგრეკავთო. მერე ძალის გამოსაცდელად რკინის კუნძი დაუდვეს წინ, ცულის ნაჯახი მისცეს და უთხრეს: თუ ეგეთი ძალის პატრონი ხარ, რომ ჩვენ აყრას აპირებ, აბა ეს კუნძი დაჭერიო. კოპალამ დაჰკრა ცული ცული და კუნძი ორად გახეთქა. დევებს გაუკვირდათ, თანაც შეშინდნენ — ვინ არის ეს ასეთი ძალის პატრონიო. მერე დევებმა უთხრეს: ირემთ

ქალოდან ციხეთგორისაკენ ქვები გავკრათ (გავისროლოთ) და ვინც ვაჯობებთ, ციხეთგორი მას დარჩესო. დათანხმდა კოპალა. დევებმა დაიბარეს ფალავნები: ხაშრით ბეღელა, კართანით მუსა და ავთანდილი. სხვა დევები აქ იყვნენ. დანიშნეს დღე, როდესაც უნდა მოეყარათ თავი დევებს და კოპალას ირემთკალოს და ესროლათ ქვები (ირემთკალო არის სოფელ უძილაურთის მაღლა მთაზე. აქ წინათ ტყიანი ყოფილა და ირმები სცოდნია, იმიტომ ჰქვიან ირემთკალო). დანიშნულ დღეს ყველამ მოიყარა თავი, მხოლოდ ხაშრით ბეღელა არ მოვიდა. მას იახსარმა შეუკრა საპარავის ყელში გზა, ლახტი დაჰკრა და იქვე მოკლა. მერე ჩავიდა ხაშარს და იქაც ამოწყვიტა დევები. თუ სადმე იორზე კიდევ იყო დევების ოჯახები. იახსარი დაჰყვა და ყველგან ამოწყვიტა ისინი. იმასაც ძალა ჰქონდა დამბადებელისაგან მოლოცვილი დევების გასაწყვეტად.

ირემთკალოს, ახლა სადაც საზარეა, ისევ ეტყობა სიპებით დაზღვავებული ადგილი. კოპალამ და დევებმა სიპები დააწყვეს იმ ადგილზე, საიდანაც ქვები უნდა ესროლათ, რადგან სროლის დროს მიწა არ გაუძლებდა და ჩააბრუნებდა. დანიშნულ დღეს კოპალამ ნახა, რომ კართანის დევები მუსა და ავთანდილი მოდიოდნენ და მიწას ისე მოჰკვალავდნენ, როგორც ფიფქ თოვლსა. კოპალა ცოტა შეკრთა ასეთი დიდი დევების დანახვაზე, მაგრამ დამბადებლისა და თავის ძალის იმედი ჰქონდა და გული გაიმაგრა. მოვიდნენ და დასხდნენ დანიშნულ ადგილზე. ერთი ქვა მოიტანეს, კოპალამ სიმსუბუქით დაუწუნა და უკან გადმოაგდო უძილაურთაკენ, ის ქვა ისევე არის. მეორე ქვა მოიტანეს და ესეც ემსუბუქა, მერე ზედ დააკრეს მეორე ქვა ცომივით და დაამძიმეს. მესამე ქვა მოიტანეს და ეს კი კარგი სიმძიმისა იყო, ქვა დაკრულ ქვას გამოუწონეს ისიც. დევები ერთმანეთს „უთვალზმუნებდნენ“ (თვალით ანიშნებდნენ ერთიმეორეს, თვალს უკილავდნენ და დასცინოდნენ): კოპალა რა არის და რა ქვას გაჰკრავსო?! გაღმა კვირა იყო სამრთლის მიმცემი (ციხეთგორი ირემთკალოდან ერთნახევარი კილომეტრით იქნებოდა დაშორებული, ჩრდილო-დასავლეთ მხარეს. შუაზე არის აკუშოს ხეობა). პირველად დევმა გაისროლა ქვა და გადააგდო ციხეთგორს, მეორედ კოპალამ გაისროლა. შეიძლება დევის გასროლილ ქვამდინ ვერცკი მიეღწია, მაგრამ კვირამ მათხარის წვერი წამოჰკრა, შორს გაამალა და გადააჭარბა დევის გასროლილ ქვას. მერე მკითხავის პირით იცის ბრძანება კოპალამ: „კვირა რომ არ დამშველებიყო და ქვა არ გაემალა, შეიძლება მე ჩამოვრჩებოდიო. ქვების გასასინჯად მე და დევები რომ წავედით, ჩემს გასროლილ ქვას ქაჯები ეხვეოდნენ და ვერ ძრავდნენ, უკან გადმოწევა უნდოდათო. ჩვენ რომ გვნახეს, თავი ანებეს და გაიქცნენ. იმ ქვას ახლაც ეტყობა, რომ ნაბრძოლია,

მაგრამ ვერ არის გადმოწეული, სხვა ქვაზეა მოხირებული. იმ ქვებს დღესაც შემოღობილი აქვს გალავანი მაღალი ქვებით.

მერე დევები და კოპალა გაიყარნენ მტრობაზე: კოპალას დარჩა დევების ბინა ციხეთგორს, ტახტიც, რომელიც დევების ხელმწიფეს ჰქონდა, კოპალას დარჩა. დევები აქედან ყველანი გადასახლდნენ ფშავის არაგვზე კართანას. ერთხელ დევებმა: მუსამ და ავთანდილმა მოელაპარაკეს — კოპალას სკამი მოვპაროთო. მუსამ უთხრა: მე ქვას მოვპართ და მოვიტან, შენ კი ნადირობად წადი და შეშა მოიტანეო. წამოვიდა მუსა და როცა კოპალა შინ არ იყო, მოჰპარა ქვის სკამი, ე. ი. საბრძანებელი, „დაიწყო" საბელეზე და წაიღო. გაიგო კოპალამ და თავისი ლახტით დაედევნა. სადაც ახლა არის ის ქვა, კოპალას ქვას ეძახიან, იქ ჩამოეწია, ესროლა ლახტი, დაჰკრა და იქვე მოკლა. ქვას დევის ნახელარი და ნასაბლარი ახლაც ატყვია და სხვა კლდესაც ეტყობა კოპალას ნალახტარი. ალბათ ორჯერ ესროლა, ერთი დევს მოხვდა, ერთი კლდეს, ან დევისად დაკრული მოხვდა კლდესაც.

იმ დროს, როცა კოპალამ მუსა მოკლა და ქვა დააგდებინა, გაღმითა მხარეზე შემოჩნდა ავთანდილიც. ერთ მხარეზე მოკლული ირემი ჩამოეკიდა, მეორეზე ძირით ამოწვდილი წიფელი შეშად. კოპალას ხთის ბრძანება ჰქონდა — სადაც დევს ნახავდა, უნდა მოეკლა. ესროლა ლახტი და ავთანდილიც იქვე მოკლა, ავთანდილი გამოქანდა და ფშავ-ხევსურეთის არაგვში ჩაეგდო. ახლაც იქა ძეს ქვად ნაქცევი. წიფელი გადმოვარდა გზის ძირში და ძირით მიწაში დაეფლო. მერე „ხატმა ბრძანის": ავთანდილის ხე ისევ განედლდა, ავთანდილი კი ქვად გადაიქცა, როცა წყალში ჩავარდაო („ხატმა ბძანის": ნიშნავს როცა ქბდავს დასვამდნენ, ის კოპალას სიტყვებით ელაპარაკებოდა ხალხს: მე ისეთი შეძლება მქონდა, რომ ესა და ეს გმირობა ჩავიდინეო). აქვე ახლო, მიგრიაულთის გორის ბოლოში, დევებს ჰქონდათ დიდი ოჯახი და ციხესიმაგრე. კოპალამ მათი მთავარი ფალავნები მუსა და ავთანდილი რომ დახოცა, ხოლო ხაშრელი ბეღელა იახსარმა მოკლა, კოპალა ახლა ამ დევების ოჯახების ამოსაწყვეტად გაეშურა. გორის ბოლოში რომ მივიდა, დაინახა, რომ ერთი ცხრათავიანი დევის დედაბერი ჯარას უზის და რაღაც მკლავის სისხო ნართსა ძახს. დევის დედაბერმა კოპალა რომ დაინახა, თვალში ეპატარავა, გაიხარა და ჯარაზე დაამღერა: „ჩემი შვილის ვახშამიც მოდისო". კოპალამ აიმაღლა საგმირო ლახტი, დაჰკრა ბებერს და იქვე მოკლა. მერე ავიდა მიგრიაულთ გორის ბოლოში. აქ დევებს ქორწილი ჰქონდათ და კოპალაც სტუმრულად მივიდა, უნდოდა გაეგო, სად როგორ იყვნენ და რაგზით შეიძლებოდა მათი ისე ამოწყვეტა, რომ აღარავინ გადარჩენოდა. დევებმა კოპალა რომ დაინახეს, ერთიმეორეს უთხრეს: „ოჰ, კარგია, რომ ნეფე-

დედოფალთა სუფრაზე მოსატანი საკლავი თავის ფეხით მოგვივიდაო". დევებს კოპალა უბრალო ხორციელი ეგონათ და მაშინ ისინი ხორციელთ ჭამდნენ, სადაც ვის გაეწეოდნენ. კოპალამ შეურჩია დრო, როცა ერთად მოქუჩდნენ, აიმაღლა საგმირო და ყველანი ამოწყვიტნა (ხევსურის სიტყვით: ამობრასტნა). ერთი დევი თვალწამოთხრილი გაიქცა და აბუდელაურის ტბაში ჩავიდა. მას იახსარი ჩაჰყვა ტბაში და მოკლა (იახსრის ამბები ცალკე არის აღწერილი. ამ ამბის მთხრობლებმა ჩამაწერინეს, ვითომც აბუდელაურის დევი თვითონ იახსარს გაექცა, ხალხურ ლექსშიც ისე არის. კოპალას ხევისბერმა ხევსურა თათარაშვილმა კი ჩამაწერინა, რომ ის დევი კოპალას გაექცა, იახსარი მიეშველა და იმან მოკლაო. იახსრის მორიგეებმა და ჩამწერინებლებმა როგორც იახსარის აღწერილობაშია ნათქვამი, იორზე ბეღელთანას, ე. ი. ს. ხაშარში, იახსარმა ამოწყვიტა დევები, როცა საპარავისყელს ბეღელა მოკლა. ხალხური თქმულებითაც, იორზე და თიანეთში იახსარმა ამოწყვიტა დევები, ფშავ-ხევსურეთის მიდამოს კი კოპალამ, გარდა შუაფხოსა და აბუდელაურის დევებისა. ეს უკანასკნელნიც იახსარმა ამოწყვიტაო. კოპალას ხევისბერმა კი ბეღელთანის დევების ამოწყვეტაც თავის სალოცავს — კოპალას მიაწერა).

კოპალამ რომ დევები გაწყვიტა, ერთი დევი ცოცხალი წამოიყვანა და ციხეთგორის ბოლოს ხევში კლდის ძირში ჰყავს მკლავზე მსხვილი ჯაჭვით დაბმული. კოპალა როცა ძალიან ვისმე გაუწყრება, მაშინ იმ დევს აუშვებს, მიუსევს და ავნებინებს დამნაშავისათვის. ის დევის ჯაჭვს ვითომც ნახულობენ იქვე წყალში, მშრალზე არ ინახვოდა. ერთხელ ერთი ხევისბერი გააქადაგა იახსარმა, აიღო დროშა და წავიდა იმ კლდის ძირში, სადაც დევია დაბმული. ხევისბერი დროშით რომ მისულა და ხალხიც მიჰყოლია, უნახავს, რომ რაღაცა იყო ის კლდისძირში და მიიმალაო. ერთხელ უძილაურ ლეგუშამაც ნახა წყალში დევის ჯაჭვი და აკუშელი ხევსურებიც ნახულობდნენ რაღაცას ის კლდის ძირში. ხევსურები იტყოდნენ: ხანდახან ღამით ტირილ-წკმუტუნივით რაღაცას გავიგონებთ იქიდან, სადაც დევი არის დაბმულიო (ხევსურების სოფელი აკუშო ამ ადგილის ახლოს არის და ისინი ვითომც ხედავენ და უსმენენ ამ დევის საცოდაობას).

სადაც კოპალას ნაბრძოლ-ნაომარია, ყველგან ყოფილა მისი სამლოცველო-საზარე და სხვა. კართანას დევების საფლავები ისევაც არის მიგრიაულთის გზა რომ ჩამოვა, გზის პირზე. ისეთი ქვები ჩანს მათ საფლავებზე, რომ ცხრა-ათი კაცი ვერ დასძრავს.

კოპალასაგან დევების დახოცვაზეა ეს ლექსი:

„მშვილდ-ქაიბური ბერისა ქუდიელზედა* ხვიოდა,
მუზას მიარტყა ისარი, ბეღელას გული სტკიოდა,
წყალიც არ იყო იმთვენი, რაც იმას სისხლი სდიოდა“.

კოპალას მამულები ბევრ ადგილას ჰქონდა უძილაურთაში. ხატის დარბაზი, საქობე, ბეღელი და საზარე ყველა სოფლის დასავლეთ მხარეს ჰქონდათ. ამ ხატთ გარშემო სულ ხატის სანადოები იყო. ციხეთგორსაც, სადაც ნასროლი ქვები ეყარა და საზარეც არის, კოპალას სანადო მამულებია. ახმეტაში ჰქონდა ვენახი, ზემო თიანეთში, იხინწაში სანადო მამულები, შახვეტილაში საკურეტე ადგილი და შუაფხოვლების ადგილი მაშარაც კოპალას საკურეტედ იყო იახსარისაგან მიცემული. უძილაურთაში სოფელთან ახლოს რაც მამულები იყო, ამუშავებდა სოფელი სანადოს წესით. ხევისბერი დანიშნავდა ნადს და ამ დღისათვის ყველა მოამზადებდა ხარ-გუთანს (უძილაურთაში უღლის ხარით ხნავენ ახლაც). დილაადრიან მიიტანდნენ ყველანი გუთნებს. ცდილობდნენ ადრე მისულიყვნენ სახატო საქმეში იმიტომ, რომ ადრე მიმსვლელი და გვიან წამსვლელი უფრო მეტად მწყალობნდებოდა. ამ დროს დასტურ-ხევისბრებიც აქ იყვნენ (დასტური მუდმივად იყო ჩორხაულთ გვარიდან. ამაზე მერე იქნება ლაპარაკი). გუთნებს ყველა შეაბამდა, ხევისბერი მოიხდიდა ქუდს და დაამწყალობნებდა: „გწყალობდესთ ჩვენი სალოცავი გმირი კოპალა, იმის საქმეში ადრე მომსვლელსა და გვიან წამსვლელსა, ერთგულ მუშასა, თავდადებულსა. ბევრჯელ მშვიდობით გაგატანიოსთ გუთანი, წელი მშვიდობისა და ღალიან-ბარაქიანი დაგიყენოსთ გმირმა კოპალამ“. „თქვენიცამც მწყალობელია“ — იტყოდნენ ყველანი. თვითონაც ქუდმოხდილები ამბობდნენ: „ჩვენო სალოცაო გმირო კოპალავ, შენ უშველე შენთ ყმათა, შენს ყმათაში დღეს შენს სანადოში მომსვლელთა და ამათ ხარსა და გუთანსა. წელი მშვიდობისა და ღალიან-ბარაქიანი დაგვიყენე, ჩვენო სალოცაო“. ყველანი ერთბაშად გაუჯავრდებოდნენ ხარებს და დაიწყებდნენ ხვნას. ყველა ცდილობდა გულით მოეხნა, ბალახის ძირი გამოეთხარა, რომ მის ნახნავ ადგილზე სხვებზე კარგი მოსავალი მოსულიყო, რადგან ასეთებს უფრო მეტად ამწყალობნებდნენ და თვითანაც იმედი ჰქონდა ერთგულ მუშას რომ კოპალა წყალობას მისცემდა და ბევრ რამეში დაეხმარებოდა, დაიხსნიდა ყველა გაჭირვებიდან. ხარები რომ დაიღლებოდნენ, ყველანი ერთბაშად ისვენებ-

* ქუდიელი — ადგილის სახელია.

დნენ და მანამდე დასტურ-ხევისბრებიც მოასწრებდნენ ლუდის გახსნას (ლუდი წინასწარ იყო ნადუღარი და დამზადებული).

კოდს ხსნიდნენ იმ წესით, როგორც შუაფხოში ამაღლების დღეობაში არის აწერილი. მოიტანდნენ სამს თასს ვერცხლისას, აავსებდნენ ლუდით, დადგამდნენ კოდთან, დააწყობდნენ საწირავთაც, სანთელს კოდზე დააკრავდნენ და ჩვეულებრივი დიდებით გახსნიდნენ კოდს. სხვა ცვლილებები ხუცობაში არ იყო. იახსარის მაგიერ გმირ კოპალას ახსენებდნენ, ამწყალობნებდნენ ყმათ და საყმოში (ამ შემთხვევაში) ნადში მომსვლელს და იმათ ხარ-გუთანს. დანარჩენი დიდების სიტყვები ერთნაირი იყო. კოდი რომ გაიხსნებოდა, ჯერ დასტურ-ხევისბრები დალევდნენ ცოტ-ცოტას, მოიგონებდნენ მკვდრებსაც და ცოცხლებსაც, მერე ქვაბით ლუდს ნადში გაიტანდნენ. აქ დაასვენებდნენ ხარებს და ყველა დალევდა. ამწყალობნებდნენ ყმათ, ყმათაგან ნა-- დში მომსვლელთ და იმათ ხარსა და გუთანს. მერე ერთბაშადვე გაუგმობდნენ ხარებს. ასე სმით, საუბრითა და ერთიმეორის წახალისებით ხნავდნენ. ზოგი დამღერებდა გუთანს:

„აჩაჩამ უთხრა გუთანსა: პატარა პური მაჭმიე,
მაშინ სად იყავ, აჩაჩავ, მე რომ ბუსნები ვამტვრიე“.

ახლა მეორე შამღერნებდა:

„ჯორი ჯობ საქონელშია — შინ მივა აკიდებული,
მემრე ჯარი სჯობ ქორაი, მტყელთ მამულთ გაკიდებული“.

ახლა მესამე:

„მესტვირევ, სტვირი დაგეწვა, მონადირევ, არგანია,
დაილოცე, გუთნის დედავ, მუცელი გაქვს მაძღარია.

შენი ჭირიმე, გუთანო, გათლილო იფნის ხისაო,
ცოცხლისიც შემნახველი ხარ, დამმარხველი ხარ მკვდრისაო“.

სიმღერა წააგავდა ქართულ ურმულს. სიმღერით სიმღერას ცვლიდნენ, ამ ამბით მოთავდებოდა სახნავი. თესლი უნდა მოეტანა დასტურს. დასტური აქ მუდმივად იყო ჩორხაულების გვარიდან. ჩორხაული იყო ხევსური, ბაცალიგველი. იგი ქრისტე-დილას, ოცდახუთ დეკემბერს გააქადაგა კოპალამ ბაცალიგოში. იქედან გამოიქცა და სადილობის დროს ფეხშიშველი მოვიდა უძილაურთაში, კოპალას საბეროში. ფეხებიც არ ჰქონდა გაყინული იმ სიცივეში და თოვლში. იგი დარჩა უძილაურთაში მუდმივ დასტურად. კოპალამ მისცა თავის მამულები და ამითი ცხოვრობდნენ. დასტურობა შერჩა მათ გვარს. აქ სხვა დასტურები არ იცოდნენ, მხოლოდ თითო დღეობაში ოროლნი ადუღებდნენ ლუდს. ამათ ეძახოდნენ „მდუღეთ“. ჩორხაულთ ებარათ თას-განძი და სხვა სახატო ქონებაც, პურსაც ჩორხაულნი ინახავდნენ. როცა პური მოიმ-

�ebodа, ერთ-ერთი ჩორხაული ხელ-მხარს ინათლავდა და შეიტანდა ბეღელში პურს. ჩორხაულთ გარდა საპურე ბეღელში ვერავინ შევიდოდა და ვერც ისინი შევიდოდნენ ხელ-მხრის უნათლავად. პურს როცა შეიტანდნენ, მომავალ მდუღეებს აუწყავდნენ საკმარ პურს სალუდედ. განსაზღვრული ჰქონდათ და იმ რაოდენობით აუწყავდნენ, რადგან ბეღლის კარს წელიწადში ორ-ორჯერ აღებდნენ — ერთხელ პურის ჩაყრის დროს და ერთხელ თესლობის დროს. თესლობის დროს კიდევ აუწყავდნენ მომავალ მდუღეებს ახალი პურის გალეწვამდინ საკმარ სალუდე პურს, რადგან იქ ხელ-მხარის უნათლავად ვერავინ შევიდოდა და ეს კი დაწესებული იყო წელიწადში ორჯელ.

როცა ნადი იყო, ამ დღეს ჩორხაული ერთი საკლავით ინათლავდა ხელ-მხარს, მერე ფეხშიშველი შევიდოდა ბეღელში, ჯერ თესლს აწყავდა, მერე მდუღეებსაც აუწყავდა თავთავის კუთვნილ დღეობაში საკმარ პურს. გამოვიდოდა და დიდი მადლის თხოვითა და ხვეწნით გამოიკეტავდა ბეღლის კარს. ლოცვაში კოპალას სთხოვდა, ეპატიებინა, რომ ხორციელი იმის ბეღელში შედიოდა და თავისი უმეცრებით ბევრ რამეს სცოდავდა. თესლს ჩაყრიდა გუდაში, დაიკიდებდა მარცხენა მხარზე და დასთესავდა ქუდმოხდილი. ერთერთი გუთნიდან, ვისი ხარებიც საიმედო იყო და ხევისბერი შეუთვლიდა, გამოუშვებდნენ ხარებს, შეაბამდნენ ფარცხში და დაფარავდნენ მოხნულ-დათესილ მამულს.

ამის შემდეგ ხარებს აუშვებდნენ და დაისვენებდნენ. აქ გამოგვრჩა: ნადის დაწყებისას ერთი საკლავი დაიკვლებოდა, ხორცი მოიხარშებოდა და სახნავის გათავების შემდეგ იმართებოდა სუფრა, სუფრაზე პური საწირავებისა იყო — როცა გუთანს მოიტანდნენ, საწირავებსაც მოაყოლებდნენ.

ხორცისა და პურის სუფრას გაამზადებდნენ, ხევისბერი დალოცავდა მიცვალებულთათვის, რომელნიც კოპალის ყმათაში თავის სალოცავის საქმეში ერთგული მუშები იყვნენ და ახლა აღარ არიან (შენდობის თქმა იახსრის აღწერილობაში არის ნათქვამი). საკლავი გამოყვანილი იყო კოპალის ცხვრის ფარიდან. ხალხი დასხდებოდა ბუსნოზე, გაუშლიდნენ რამეს სუფრის სახით და ყველას დაუწყობდნენ თავთავის წილობას. ვისაც სურდა, წვენსაც დაუსხამდნენ სპილენძის თასში. თან ლუდს მოაყოლებდნენ და ასმევდნენ ხალხს. პურის ჭამა რომ მოთავდებოდა. წავიდ-წამოვიდნენ სახლებში ყველანი. ჭირნახულს მომკამდე იცავდნენ ჩორხაულნი. აქ ყამირები და სათიბეებიც იყო, რომელსაც ჩორხაულნი თიბდნენ. ყანა როცა მომწიფდებოდა, ხევისბერი გამოუცხადებდა ნადს. ამ დროსაც კლავდნენ კოპალას ცხვრის ფარიდან გამოყვანილ საკლავს. ლუდს ადუღებდნენ მორიგე

დასტურნი, კოდის გახსნა და სხვა წესებიც ჩვეულებრივ სრულდებოდა.

კოპალას ყმები ნადში სხვა სოფლიდანაც მოდიოდნენ. როცა ხალხი ყანასთან თავს მოიყრიდა, ხევისბერი ქუდმოხდილი ჯერ დაამწყალობნებდა იმავე სიტყვებით, როგორც ხვნის დაწყებისას, მერე მისცემდნენ ნამგალს, პირველი თვითონ გამოჭრიდა ყანას და იტყოდა: „ღმერთო და გმირო კოპალაო, თქვენის ძალით მოსდის ცას ნამი და დედამიწას მწვანილი, საზრდონი კაცთანი და ცხოველთანი. გმირო კოპალაო, შენ უშველე შენთ ყმათა და ყმათაში შენს მამულში და ნადში მომსვლელთა თავისი მოვალეობის შესასრულებლადა. მშვიდობით აღებული ნამგალი და ცელი შენთ ყმათ მშვიდობითვე დაადებინე. სთველი შვიდობისა და ღალიან-ბარაქიანი დაუყენე. დიდება ძალსა შენსა“. ამ სიტყვებს იტყოდა ქუდმოხდილი, რამდენიმე ხელეულს გამომკიდა, ნამგალს გადასცემდა სხვებს და თვითონ წამოვიდოდა ხატთაკენ, აქ მას საქმეები ჰქონდა გასაკეთებელი — კოდის გახსნა, საკლავის დაკვლა და სხვადასხვა სახატო წესრიგის შესრულება. თუმცა სხვა ხევისბრებიც ეხმარებოდნენ, მაგრამ თავი ხევისბერი მეტ მოვალეობას ასრულებდა. ხალხი მკას შეუდგებოდა. ხევისბერი ამ დროს საკლავს დაკლავდა ჩვეულებრივი დიდებით, კოდს გახსნიდა და მორიგე დასტურები ხალხში ლუდს გაიტანდნენ. ხალხი ცოტახანს შეისვენებდა, თითო თას ლუდს დალევდნენ და ისევ განაგრძობდნენ მკას. დასტური ფეხზე იდგა და ლუდს თან მიაყოლებდა. თითო კაცს შეაჩერებდა და დაალევინებდა. დანარჩენი ხალხი თან მკიდა, თან მღეროდნენ ორ გუნდად. ჯერ ერთი გუნდი იმღერებდა აჩქარებულის კილოთი, ახლა მეორე. სიმღერის მთქმელი თითო იყო და სხვები ბანს ეუბნებოდნენ:

— ყანაო, ჩვენო ყანაო, აქა რამ მოგიყვანაო?
— ჯარმა მჯნა, კაცმა დამთესა, უფალმა მამიყვანაო.

შენ ჭალაისას წამოდი, წამოვალ მთაჩდილზედაო,
შენ მუშა გამაიყვანე ჯარისპირ ჯაგირზედაო,
მოგიკლავ ჯარსა ირემსა, მოგიტან სადილზედაო,
ჰეგა, ჰოგა, მესვეური არ გივარგა და სხვ.

ასეთი შეტევით ყანას მალე მომკიდნენ. ზოგნი მკიდნენ, ზოგნი ძნას კონავდნენ, ზოგნი თავთავს კრეფდნენ, რომ ხატისყანა უსუფთაოდ არ მომკილიყო, ზოგნი აქუჩებდნენ ძნას და „წერაებად“ აგებდნენ (ხუთ-ხუთ ძნას მიაყუდებდნენ ერთმანეთზე და ამას ეწოდებოდა წერა). წერა ამ სახით კარგა ხანს რჩებოდა, რადგან გამოშრობა იყო საჭირო. რამდენიმე დღის შემდეგ ჩორხაული დასტური „გადაჰკუთულავდა“ — ააგებდა დიდ ძნებს. ყანა რომ გათავდებოდა, პატარა ადგილზე დატოვებდნენ მოსამკალს. ხევისბერი ან დასტური ჩორხა-

ული მოვიდოდა და მოულოცავდა ყანას — „ჯვარი გეწეროს, ყანაო, დარით მოჯნულო, დარით მომკულო, გაიხვიე ულოშია, გაუტიე კალოშია, ჩაეტიე ბეღელშია, გმირის კოპალას სადიდებულოდ და იმის ყმათ სამწყალობნელოდ“. ამ სიტყვებით ყანას გაათავებდა, წელში გაიმართებოდა და ხალხს ეტყოდა: „გწყალობდესთ ჩვენი სალოცავის გმირი კოპალა ყმათა და ყმათიშვილთ დღეს იაკსარის ნადში ვინც ირჯებით და ოფლს იწმედთ, წელი ბარაქიანი დაგიყენოსთ და ჯელი და მკარი შეგარჩინოსთ დალოცვილმა“. „გაუმარჯოს გმირს კოპალას“ — ხმამაღლა დაიძახებდა ხევისბერი და ყველანი აპყვებოდნენ: „გაუმარჯოს, გაუმარჯოს“. ამით გათავდებოდა მკა. მკის დამთავრების შემდეგ მამაკაცები ხატისკარზე წამოვიდოდნენ, ქალები კი შორს დასხდებოდნენ, სადამდისაც მიესვლებოდათ. ადგილს, სადამდინაც ქალები მივიდოდნენ, ქალების საჯარეს ეძახდნენ. მათ საჯარეში მიუტანდნენ სუფრას, კაცები კი იქ დალევდნენ სასმელსაც და სუფრაც იქ ექნებოდათ. სუფრას ხევისბერი შენდობას ეტყოდა მისთვის, ვინც შარშან ნადში იყო და წელს ცოცხალი აღარ არის. აგრეთვე უპატრონო მკვდრებისთვის. პურის ჭამისა და სასმელის დალევის შემდეგ ხევისბერი დაამწყალობნებდა და წავიდ-წამოვიდოდნენ.

ძნას მიიტანდა სოფელი ხატის საძნოვარში და ხატის კალოზე ჩორხაულნი გალეწავდნენ. ერთ-ერთი ჩორხაული საკლავით ხელ-მხარს ინათლავდა და შეიტანდა პურს ბეღელში. როგორც ზემოთ ვთქვით, თესლობამდე რა დღეობებიც მოდიოდა, იმ დღეობებში საკმარ პურს ახლავე აუწყავდნენ იმ დასტურებს, ვისაც რომელი დღეობა ებარა. დანარჩენი პური კი ბეღელში ინახებოდა თესლობამდინ. აქ დღეობების დაწყება ისე არ ხდებოდა, როგორც ფშავ-ხევსურეთის სხვა ხატებში, ახალი დასტურნი ერთ-ერთ დღეობაში რომ შევიდოდნენ და ამ დღეობიდან იწყებოდა დღეობები. აქ ჩორხაულნი მუდმივი დასტურნი იყვნენ და რიგის დასტურობა წყემსობის ჯერივით მოუდიოდათ — ერთ დღეობაში ერთი ადუღებდა ლუდს, მეორე — მეორეში და ასე გრძელდებოდა. ამა თუ იმ კაცს მუდამ ერთი და იგივე დღეობა კი არ ებარა, არამედ ხან რომელი შეხვდებოდა, ხან რომელი.

ზემოთ დასახელებული მამული შეწირული არავისაგან ყოფილა. კოპალა რომ აქ დაარსებულა, მაშინ იმას თვითონ დაუჭერია, მერე იმის მამულზე ნადებ მამულებს თავის გაჭირვების დროს ხალხი სწირავდა, ან ავად გახდებოდა ვინმე და მკითხავი ურჩევდა მამულის შეწირვას, ან ტიალ-ოხრად ვისმე მამული დარჩებოდა და ისიც სახატედ რჩებოდა, თუ ამოწყდებოდა ვინმე, ან გვარი, ან ოჯახი; ან თუ ვინმე ხატის მაშულის ახლო ცხოვრობდა — სიზმარში რამე ეჩვენებოდა, ისიც აიყრებოდა, სხვა ადგილზე გადაინაცვლებდა და მამული სახატოდ რჩებოდა.

მეორე მამული ციხეთგორს ჰქონდა კოპალას, დევები რომ ამოუწყვეტია, მაშინვე დაჭერილი. მერე ხალხისაგან დაემატა შეწირული მამულები და დიდი ხოდაბური გაკეთდა. ამ მამულს ხევსურების სოფელი აკუშო ამუშავებდა. აქაც ნადი იცოდნენ, უძილაურები და აკუშლები ყველანი მოდიოდნენ სამკალში. პური აკუშოში ინახებოდა და ლუდსაც ისინი ადუღებდნენ. უძილაურები მარტო ერთ დღეობაში მიდიოდნენ ზაფხულში. ამ დღეობას ციხეთგორობას ეძახოდნენ. უძილაურებს ლუდიც უძილაურთიდან მიჰქონდათ და საკლავიც. ისინი (აკუშელები) ბევრ დღეობებს იხდიდნენ თავიანთი პურით, დასტურ-ხევისბრები მათ ციხეთგორს თავისი ჰყავდა, უძილაურებს თავისი.

ხოდაბუნები ჰქონდათ ზემო თიანეთში სოფელ ტიღინაანებში. აქ არის კოპალას ნიში, ამ ადგილს ჰქვია იხანჭა, ტიღინაანების სოფლის გვერდზე, სადაც დიდი ხოდაბუნები, ანუ სანადოები იყო კოპალასი (ხოდაბუნებსაც ეძახოდნენ და სანადოებსაც). ამ სოფლის მცხოვრებნი ისეთივე კოპალას ყმანი იყვნენ, როგორც უძილაურები. აქ იცოდნენ ნადი ხვნაშიც და მკაშიც. დასტურ-ხევისბრები ჰყავდათ თავისი. სანადოს ამუშავებდა სოფელი. ლეწავდნენ და პურს ინახავდნენ დასტურნი. ბეღელი ჰქონდათ საპურე და როგორც უძილაურთაში, აქაც იმავე წესით ინახავდნენ პურს. დღეობებსაც სულ ისეთი წესით იხდიდნენ, როგორც უძილაურთაში. ქონებაც ჰქონდათ სახატო, სალუდე და მისი მოწყობილობა, დარბაზი, საბერო და საზარეც ჰქონდათ. მხოლოდ უფროსი და მბრძანებელი იყო უძილაურთის ხევისბერი. აქაური მამულის ჩალას ზამთრობით კოპალას კურეტებს აშმევდნენ. მიუდიოდათ უძილაურთიდან და კვებავდნენ ტიღინაანები. გაზაფხულზე კი მოდიოდა ისევ უძილაურთაში საზაფხულო საძოვრებზე, აქ იყო ჩაბარებული ერთ-ერთი კაცისათვის და ის უვლიდა. ზამთარში კი ტიღინაანები მორიგეობით უვლიდნენ თავის საკუთარ გომურში ნადგომ კოპალას კურეტებს. კოპალას კურეტების ნაწილი აქ ინახებოდა, ნაწილი კი სხვადასხვა ადგილებში (კურეტებზე მერე იქნება საუბარი).

იხინჭაში უძილაურთიდან მიდიოდა დროშა ზაფხულობით, როცა მარანზე მიდიოდნენ კულუხის მოსატანად. ერთ ღამეს იხინჭაში გაათევდნენ ჩავლაზე და ერთს ამოვლაზე. მრავალი საკლავი და შესაწირავიც მოუდიოდათ მაშინ. სხვა დროსაც შეიძლება მიეწვიათ კოპალას დროშა განსაკუთრებული მიზეზით.

დანარჩენი მამულები, როგორც ვთქვით, საკურეტე იყო და ინახებოდა კურეტები ზოგ ადგილებში ზამთარში, ზოგან ზაფხულში.

ხევისბრობას უძილაურთაში იყო მოდენილობით (მემკვიდრეობით), თავიდანვე იყვნენ კოჭლიანნი და თათარაშვილები. ამ ორ გვარში თითო-ოროლ კაცს შეარჩევდა კოპალა ხევისბრად. ხევისბრად მი-

ყვანა ხდებოდა ან ავად გახდომით, ან გააქადაგებდა პირდაპირ ახალ ხევისბრად მიმსვლელს. ავად გახდილს კი მკითხავები ურჩევდნენ ხევისბრად მისვლას. პირველ მიმსვლელი ხევისბერი ცხრა საკლავით ინათლავდა ხელ-მხარს. ვისაც გააქადაგებდა და ისე მიიყვანდა, ის უფრო მკითხაობასაც იწყებდა, დიდებათაც და სახელისდებასაც სიზმარში სწავლობდა, „ხატი ასწავლიდა“.

დღეობების დაწყება გიორგობიდან უნდა ჩაითვალოს, რადგან მაშინ ახალი მოსავლის ლუდი მზადდებოდა, თორემ, როგორც ვთქვით, დასტურები კი არ იცვლებოდნენ იმ წესით, როგორც სხვადასხვა ხატში იცოდნენ.

გ ი ო რ გ ო ბ ა

როგორც სხვა ხატებში, გიორგობა აქაც გიორგობისთვის ათში მოდიოდა. ლუდს დაამზადებდნენ რიგის დასტურნი, ვისაც ჰქონდა ნარგენი ამ დღეობისათვის გაძღოლა. ლუდს ადუღებდნენ რიგის დასტურნი, ხოლო აფუვლებდა ჩორხაული დასტური. გიორგობა დღეს ჩორხაული დასტური, ხევისბერი და რიგის დასტურნი ყველანი ხატში მოიყრიდნენ თავს, ჩორხაული და ხევისბრები შედიოდნენ საბეროში, მხოლოდ რიგის დასტურნი სალუდეში იყვნენ. ლუდიც სალუდეში ცალკე გადაკეტილ ადგილას ედგათ, რომელსაც ეწოდებოდა საკოდე. აქაც რიგის დასტურნი ვერ შედიოდნენ, შედიოდნენ მარტო ხევისბერი და ჩორხაული დასტური. ამ დღეობაშიც იკვლოდა სასოფლო საკლავი. (ზოგიერთ დღეობაში კი კლავდნენ კოპალას ფარიდან გამოყვანილ საკლავს). დასტურ-ხევისბრები გახსნიდნენ კოდს ისეთივე წესით, როგორიც აიწერა იახსარში. საწირავითაც ისეთივე წესით მოიტანდნენ, დააკრავდნენ კოდზე ერთ ფეხ სანთელს, საწირავებზე დადგამდნენ სამ ვერცხლის თასს და ხევისბერი იტყოდა დიდებათ ისეთივე წესით და სიტყვებით, როგორც იახსარში. მხოლოდ აქ ჩაერთვის: „გმირო კოპალაო, შენა სწყალობდე შენთ ყმათა, მთურთა, ბაროულთა, პირიქით, პირაქეთელთა, მავნე მოაშორე, შენი საგმირო აიმაღლე და მოიხმარე შენთ ყმათ დასაცავ-დასახმარებლადა“ და სხვა.. „დიდებათ“ დამთავრების შემდეგ, როგორც იახსარში აიწერა, ისევე დალევდნენ ამ თასებს, ხელმეორედ ავსებდნენ და შენდობას ეტყოდნენ მიცვალებულებისათვის, რომელნიც კოპალას ერთგულნი იყვნენ, იმის საქმეს ეთგულად ემსახურებოდნენ და დღეს ცოცხლები აღარ არიან. ამ შესანდობარ თასებსაც გამოცლიდნენ, საწირავთ პურს გასერავდა ხევისბერი და იტყოდა: „მოიხსენიენეს ჩვენმა სალოცავმა გმირმა კოპალამ ამ დაჭვრეთილი სეფისკვერითაც ის სულწმინდანი, რომლებიც

კოპალას ერთგულნი ყმანი იყვნენ, მაგის საქმეს ერთგულად ემსახურებოდნენ, თავდადებულნი იყვნენ და დღეს ცოცხლები აღარ არიან, ჩვენი სალოცავი არ ივიწყებს მათი დანამადლისის გამოთა და ჩვენ სახელდობრ ვერ ვიგონებდეთ. აგრეთვე, თუ ვინმე საწყალ-საბრალო იყვეს და უპატრონო ?კვდარი'. ამათ ყველას მოიხსენიებდნენ სეფის-კვერითაც და სასმლითაც. დაასხამდნენ ლუდს და გამოიტანდნენ ხალხში. ხალხიც თავისი ოჯახიდან ხელცარიელი არ მოდიოდა, მოჰქონდათ ქადა-საწირავი, არაყი და ზოგს საკლავიც მოჰყავდა. ქადას დაჭრიდა ჩორხაული დასტური. დადებდა სიპისაგან გამართულ სუფრაზე და იტყოდა: „დიდება ძალსა და ძრიელებასა შენსა, ჩვენო სალოცაო, გმირო კოპალაო. შენ შენის ძალითა და საგმიროთ უშველე შენს მლოცავსა ქადის მომტანსა, შენთვის სამსახური არ დაუყრია და შენს წყალობას ნუ დააკლებ, ჩვენო სალოცაო გმირო კოპალაო, უშველე და უმეშველე, კაცითაც ამრავლე და საქონითაც ნუ დაზარალებ, აგრემც გაგემარჯვება“. ამ სიტყვებით ქადას დანით ჯვარედინად გადასერავდა. ერთ მეოთხედს გამოჭრიდა, რომელიც ხატში რჩებოდა და სამი მეოთხედი პატრონს უბრუნდებოდა. საწირავები მთლიანად ხატში რჩებოდა. საკლავის დაკვლის წესი ისეთივეა, როგორც იახსარში არის. საკლავს ტყავს გახდიდნენ ვუდათ, აფეკავდნენ, ნაწილს თავისსავე ტყავში ჩააწყობდნენ, ნაწილ ხორცს კი აქ მოხარშავდნენ, თუ „სუფრის გაკეთება“ ჰქონდათ შეთქმული. ერთი მხარი და ტყავი, ან ტყავის სახსარი — ერთი აბაზი ვერცხლის ფული დასტურ-ხევისბრებს ეძლეოდა. ნაწილი, რაც აქ არ მოიხარშებოდა, სახლში მიჰქონდათ. სუფრის გაკეთების წესიც აწერილია გოგოლაურთაშიც და იახსარშიც. აქაც იმავე წესის მსგავსად აკეთებდნენ. არ იყო სუფრის დადგმაში გარჩევა, ილოცებოდა მიცვალებულთათვის სასმელიც და საქმელიც, აქაც ყველა წესებს შეასრულებდნენ და გამოილოცავდნენ.

შობა

გიორგობის შემდეგ მოდიოდა შობა (ქრისტე). შობის დღესასწაულიც ასეთივე წესებით სრულდებოდა, როგორც გიორგობა. მედროშავე ხევისბერი ააბამდა და გამოაბძანებდა დროშას, მეგანძური მოიტანდა, გარეცხავდა განძს და დაალაგებდა თავთავის ადგილზე. ღამისთევა არ იცოდნენ, დღეობა იწყებოდა პირდაპირ შობადილით. დასტურნი მოიტანდნენ საწირავთ, დაამზადებდნენ სანთელს, მოსჭიჭავდნენ კოდს. საწირავთან დაიდგმოდა სამი ვერცხლის თასი ლუდით სავსე, და ანთებულ სანთელს კოდზე დააკრავდნენ და ხევისბერი იტყოდა დიდებათ. მერე გამოსცლიდნენ სადიდებელს და შესანდობარსაც

მოაყოლებდნენ. ამას მოსდევდა ყველა ის წესი, რაც გიორგობას ითქვა. შობას მოსული ჩორხაული დასტური და ხევისბრები წელწადდღემდენ აღარ მიდიოდნენ შინ, ამ ერთ კვირას რჩებოდნენ საბეროში.

ქრისტე-დღეს იკვლოდა კოპალას ცხვრის ფარიდან გამოყვანილი საკლავი. ნახევარს ამ დღეს მოხარშავდნენ, ნახევარი კი რჩებოდა წელშუის კვირაისათვის (წელშუის კვირას ეძახოდნენ შობიდან ახალწლამდინ ერთ კვირას). ამ კვირას დასტურ-ხევისბრებს უძილაურთის სოფელში მცხოვრებნი ყველანი მიუტანდნენ საკვლევს (მოსაკითხს), ზოგი მიუტანდა ხინკალს, ზოგი კეცეულებს, ზოგი მოხარშულ ხორცს და სხვა. მიაყოლებდნენ თითო-ოროლ ბოთლ არაყს. ამ კვირას საკმარი ლუდი თვითონ ჰქონდათ შენახული. მოსაკითხის მომტანს თვითონაც ლუდს დაალევინებდნენ, მოხარშულ ხორცს ან მწვადს მიართმევდნენ და იმით გაუმასპინძლდებოდნენ. კვირით-კვირობამდინ ყოველ დღე ორი-სამი კაცი მუდამ მოუდიოდათ. მოსული საბეროში ვერ შედიოდა, დასტურ-ხევისბრები სალუდეში გამოდიოდნენ, აქ ანთებდნენ ცეცხლს და მოსულებთან ერთად ისხდნენ მთელ დღეს. მოტანილ სუფრაზე ანთებდნენ სანთელს და ლოცავდნენ პატივისმცემლის მიცვალებულთათვის. იმის მოტანილ არაყიან ბოთლს რომ გამოსცლიდნენ, მერე ლუდით უვსებდნენ და ისე გაატანდნენ შინ.

ასე გაივლიდა ეს ერთი კვირა. ლიტანია დღეს ყველანი ხატში მოიყრიდნენ თავს, მხოლოდ მამაკაცები, სოფლის ხალხი მოიყოლებდა ერთ ნარჩევ საკლავს. საკლავი კოპალის ცხვრის ფარიდან იყო არჩეული და ლიტანია ღამისთევისათვის შენახული. თან მოიტანდნენ თითო ქადას, საწირავთ და ჩამოსაქნელ სანთელს. ქადებს ჩორხაული დასტური დასჭრიდა შუაზე, ნახევარი ქადისა უბრუნდებოდა პატრონს, ნახევარი რჩებოდა ხატში (სხვა დროს და სხვაგან ყველგან მეოთხედი რჩებოდა ხატში და აქ კი — ნახევარი ლიტანია ღამეს). შესაწირავები მთელად აქ რჩებოდა. ქადის დაჭრის დროს დასტური იტყოდა: „ღმერთო, შენა სწყალობდე და, კვირავ ხთის მადლის მოკარვეო და ჩვენო სალოცაო გმირო კოპალაო, შენ ქადის მომტანსა, შენს მლოცავსა და წესისა და რიგის მყენსა და არდამყრელსა. შენთვის რიგი არ დაუურია, ჩვენო სალოცაო გმირო კოპალაო, და შენს წყალობას ნუ დაჯკლებ, გახვეწებთ და გავედრებთ, შეიხვეწე და შეიევედრე შენის ძალისა და დიდების ჭირიმე, ნუ გაუხდი სასინანულოდ შენს სამსახურსა, სასიხარულოდ გაუჯადე და ბევრი შობა-ახალი წელი მშვიდობით ალოცვიე, დიდება ძალსა შენსა“. წამოაყენებდნენ და საკლავსაც დაკლავდნენ. საკლავის დაკვლაში ახვეწებდნენ ყმათ, ყმათაში მეკვლეში მომსვლელთა და კოპალის მლოცავთა. მერე დაკლავდნენ საკლავს, რიგის დასტური გაატყავებდა და მოხარშავდა მას. ხალხი ზოგი ორ

ბოთლ არაყს მოიტანდა. ზოგი ერთს და დაიწყებდნენ სმას (მეკვლენი ისხდნენ სალუდეში და დასტურ-ხევისბრები საბეროში, გარდა რიგის დასტურისა, იგი რადგან საბეროში ვერ შედიოდა, მეკვლეებთან იჯდა) ხევისბერიც დასტურებთან ერთად კოდს გახსნიდა და მერე გამოიტანდნენ ლუდს მეკვლეებთან. მეკვლენი დალაგებულად ისხდნენ და ერთი ვინმე მრიგედ დადგებოდა და ჩამოარიგებდა ლუდს. ამას მოჰყვებოდა ფშაური სიმღერა, ერთმანეთის გალექსება და სხვა. ამასობაში მოიხარშებოდა ხორციც. და გააწყობდნენ სუფრას. სუფრაზე იყო: ხორცი, პური წაწირავებისა, ქადების ნახევრები, რომელიც ხატში დარჩა ქადის გაჭრის დროს. დადგამდნენ ჩხუტით ლუდს, ავსებდნენ თასებს, ერთ თასს ხევისბერს მისცემდნენ, სანთელსაც აანთებდნენ. ხევისბერი სუფრას შენდობას ეტყოდა: „დიდება ღმერთსა ცათა და ჯმელთა გამჩენსა, დიდება დიდს კვირასა ხთის მაღლის მოკარვესა, დიდება შენდა, გმირო კოპალაო, ჩვენო სალოცაო: ამ სუფრითაც, სასმლითა და სეფისკვერითაც და სანთელ-საკმლითაც ამ თავისი ძალის სადიდებლითა. ჩვენმა სალოცავმა მოიჯსენივნეს ის სულწმიდანი, რომელნიცა ერთგულად ემსახურებოდნენ გმირს კოპალასა, იყვნენ ძველნი ჯევისბერნი და დასტურნი და დღეს აღარ არიან. ის სულები კიდენა, რომლებიცა შარშან იყვნენ მეკვლეშია ჩვენის სალოცავის კარზედა და წელს ვეღარ დაესწრნენ. ის სულები კიდენა, რომელთაც ჰქონდეს დანამადლისი ჩვენი სალოცავისადა, ან ენითა, ან ჯელითა, ან კიდენა საქმითა, უპატრონო სული იყოს და ჩვენ სახელდობრ ვერ ვიგონებდეთ და ჩვენი სალოცავი არ ივიწყებდეს". ამ შესანდობარს დასტურ-ხევისბრები დალევდნენ, მერე ხალხშიც ჩამოარიგებდნენ და თან მოაყოლებდნენ სუფრასაც. სუფრის მაგიერ ფიცარივით გათლილ ხეებს დააწყობდნენ და სუფრას ზედ გაშლიდნენ. სხვა დროს წილობებს ხელზე არიგებდნენ, მაგრამ ამ მეკვლე ღამეს საერთო სუფრა ეწყობოდა, ხორცი ბევრი იყო და როგორც ვის უნდოდა, ისე ჭამდა და სვამდა. სუფრა აუღებელი იყო მთელ ღამეს. ატარებდნენ დროს უფრო ლექსობაში. თითქმის მთელი ღამის განმავლობაში ანთებდნენ სანთელ-კელაპტრებს. ლექსობა ამ ღამეს უფრო სახუმარო და გასართობი იცოდნენ (ლექსობა, ფშავლებში ერთიმეორისათვის სიმღერით სიტყვამოსწრებულ შემღერებას ჰქვია, ხევსურულად კი ფანდურზე დამღერებას), მაგ:

შეთემ თქვა ხახონიშვილმა: ჩემ სიტყვა არის ნამდვილი,
სახლ ჯიგრაულთას ავჰყარე, ხიშმუს ავიღე ნაწილი.
იქ კი ტვირთის ქვეშ ვკვდებოდი, აქ კი მუშაობს მარჯილი,
ჩეს დაღონებას რა დალევს, ცხენ გამამდგა მაცილი,
იოსების ძნებს ჩავხედენ, შეიდპირად იყო დაშლილი,
მიძახა კოინტალენა — დავმეხე შენ, თვალ-პირი.

ძნებ რაად ჩამიშლევინე, თვალებ ხვ-არ გქონდა დათხრილი?
შენ თუ არ იცი, მე გეტყვი, ცხენს იქერს საბელ-მარგილი,
განთურა მშიერა იყო, წუხელ უცვალე ადგილი, —
მე კოინტალეს რას ვეტყვი, მაშინებს გზაში შაყრილი.

ასეთი სახუმარო ლექსებით გაათენებდნენ ლიტანია-ღამეს. ცისკარი რომ ამოვიდოდა და თენებას დაიწყებდა, მეკვლენი კვალს დაიჭერდნენ. გარეთ აღარავინ გავიდოდა. ერთიმეორეს გააფრთხილებდნენ — კვალი დავიჭიროთ და გარეთ აღარავინ გავიდესო. ამ დროს საბეროშიც ადგებოდნენ დასტურ-ხევისბრები, დაიბანდნენ პირს და მოემზადებოდნენ გამოსასვლელად. თავხევისბერი გავიდოდა პირჯვრის წერით და მუხლისკვრით, მივიდოდა საზარესთან, ადგებოდა ფეხზე, ევედრებოდა გმირ კოპალას აპატიოს ხორციელს იმის წმინდა ადგილზე საზარესთან მისვლა, წყალობით იყოს თავის ყმათაზე, ბევრი ახალი წელი გამოუცვალოს მშვიდობით და კარგად ყოფნით. შემოჰკრავდა ზარს სამჯერ ნელ-ნელა. თითო შემოკვრაზე პირჯვარს დაიწერდა, მერე ჩქარ-ჩქარა დარეკდა კარგა ხანს. ბოლოს სამჯერ ისევ ნელ-ნელა და პირჯვრის წერით დარეკდა და მადლის თხოვით დაბრუნდებოდა უკან. პირველსავე ზარის ხმაზე მეკვლენი ადგებოდნენ პირჯვრისწერით ფეხზე და იდგნენ ქუდმოხდილნი, ვიდრე ზარის ხმა არ მოთავდებოდა.

ერთი კარგი ჭედილა მეკვლეთ თან ჰყავდათ წინა დღესვე მოყვანილი წელწად-დილისთვის. ამ საკლავს მოამზადებდნენ. დასტური ხმაამოუღებლად მივიდოდა სალუდესთან, სადაც მეკვლენი იყვნენ. მეკვლენი გაიგებდნენ დასტურის მოსვლას და კარებიდანვე იმას გადასცემდნენ ჭედილას. ხმას არც ისინი ამოიღებდნენ და არც დასტური, ის ამ საკლავს სასაკლაოზე წააყენებდა, სადაც ხევისბერი უკვე მზად იდგა. დასტურის და საკლავის მოსვლაზე ის შეუდგებოდა დიდებათ: „დიდება შენდა ღმერთო, ცათა და ჯმელთა დამაარსებელო, დიდება შენდა კვირავ ხთის მაღლის მოკარეო, დიდება შენდა ჩვენო სალოცაო გმირო კოპალაო, შენ გავედრებთ და გახვეწებთ შენთ ყმათა, შაიხვეწენ და შაივედრენ, დღეს შენის კარის მლოცავნი მეკვლენი. ახლის წლის გამოცვლაზედა ბედნიერი წელი და კვალი გამოუცვალე და დაუყენე მშვიდობიანი წელი კაცისი, საქონისი და ცხვარ-საწყემსოსი. შენდა სადიდებულოდ მაიჯმარე ეს წამოყენებული სამსახური და შენთ ყმათ სამწყალობნოდ“. დანარჩენი დიდება გრძელდებოდა ისე, როგორც იახსარში არის აწერილი. ბოლოს საკლავს დაკლავდნენ, რომელსაც დასტური სასაკლაო სიპზე დასდებდა. ყველა დასტურ-ხევისბრები სალუდესთან მივიდოდნენ და კარებთან გაჩერდებოდნენ. ხევისბერს მეკვლენი მიუტანდნენ ოგას. იგი კიდევ დაიწყებდა ლოცვას: „ღმერთო და ჩვენო სალოცაო გმირო კოპალაო, გავედრებ შენთ

ყმათა, შაიხვეწენ და შაივედრენ. ბევრი ბედნიერი წელი გამოუცვალე, ახლის წლის გამოცვლაზე, წელი მშვიდობისა და მადლიან-ბარაქიანი, წულიან-პურიანი დაუყენე, მარცხი და ზიანი მოაშორე შენთ ყმათა, დიდება ძალსა შენსა". ამ სიტყვების საუბარში გოგას შეაგორებდა მეკვლეებთან. ისინიც ფეხზე იდგნენ ქუდმოხდილნი და გოგას აკვირდებოდნენ — რომელ გვერდზე მოვიდოდა. თუ გოგა გაჭვრეთილზე მოვიდოდა სამჯერვე ან ორჯერ მაინც, ეს კარგი ნიშანი იყო, და თუ მეორე გვერდზე, მაშინ ცუდის მომასწავებელი იყო მომავალი წლისათვის.

გოგას შემოგორების შემდეგ ხევისბერი გადადგამდა ზღურბლზე პირველად მარჯვენა ფეხს და შესვლისას იტყოდა: „შემოვდგი ფეჯი, გწყალობდესთ ღმერთი, ფეხი ჩემი, კვალი ანგელოზისი, გილოცავთ ახალი წლის გამოცვლას, დიდი გიმატებიათ, დიდი გიმატოსთ ღმერთმა და ჩვენმა სალოცავმა გმირმა კოპალამ, მრავალი ახალი წელი გამოგიცვალოსთ მშვიდობისი და კარგად ყოფნისი". ასეთივე სიტყვებით მოულოცავდნენ აქ მყოფნი მეკვლენიც და თუ ყველას არა, უფროს კაცებს მაინც აკოცებდა ხევისბერი. მოიტანდნენ საუკეთესო ლუდარაყს და ყველას დაალევინებდნენ. ჩორხაული დასტური გოგას დაჭრიდა ლუკმალუკმად და ჩააწყობდა თაფლიან ჯამში, რომელიც რიგის დასტურთაგან წინადღითვე იყო მოტანილი. ხევისბერი თითო ნაჭერს ყველა მეკვლეს მისცემდა და ეტყოდა: „ეგრე ტკბილად დაგაბეროს ჩვენმა სალოცავმა გმირმა კოპალამ და სიტკბოთ მიგაგებოს ახლის წლის გამოცვლას მრავალჯერა". „თქვენიანადა — თქვენც რომ კარგად მყვანდეთ" — უპასუხებდნენ მეკვლეები, გამოართმევდნენ თაფლიან პურს და შეჭამდნენ. მერე მოაგროვებდნენ ყველა მეკვლეების ქუდებს, დააწყობდნენ ნაბადზე და ზედ ისევ ნაბდის კალთას გადააფარებდნენ. ხევისბერი შეეხვეწებოდა კოპალას: „დალოცვილო ჩემო სალოცაო, შენა სწყალობდე ამ მეკვლეთა და ვისიც კვალი ხვდებოდეს, იმას არგინე მეკვლეობა აგრემც გაემარჯვება შენს ძალსა". ამ სიტყვებით ხევისბერი მუხლისკვერზე დაჯდებოდა, გამოიღებდა ნაბდიდან ქუდს და გადმოაგდებდა ხალხში. ამას მოაყოლებდა მეორე და მესამე ქუდსაც და ერგებოდა მეკვლეობა სამ კაცს. მიულოცავდნენ და გაისტუმრებდნენ სოფელში. მეკვლენი თან წაიღებდნენ თაფლიან და პურიან ჯამს. შევიდოდნენ სოფელში და ჯერ მთლიანად სოფელს მიულოცავდნენ ახალი წლის გამოცვლას, მერე შემოუვლიდნენ ყველა ოჯახს, მიულოცავდნენ და შეუგორებდნენ გოგას სამ-სამჯერ. ჯამიდან თაფლის ნაწილს ოჯახში ყველას მისცემდნენ და ეტყოდნენ: „ტკბილად დაგაბეროსთ ჩვენმა სალოცავმა და მრავალი მშვიდობის ახალი წელი გამოგაცვლევიოსთ, დიდი გიმატებიათ და დიდი გიმატოსთ წულითა, პურითა და კაც-საქონითა". ოჯახის წევრებიც ყველანი

მიულოცავდნენ მოსულ მეკვლეთ, მერე მიიპატიჟებდნენ და რითაც კი შეეძლოთ, პატივს სცემდნენ. ასე მოივლიდნენ სამივენი მთელ სოფელს.

ყველა ოჯახი ცდილობდა მეკვლეებისათვის პატივისცემას, გულკეთილად და კარგი სასმელ-საჭმელით დახვედრას, იმიტომ რომ მეკვლენი თუ კეთილი გულით იქნებოდნენ, მათი აზრით, იმ ოჯახის საქმე კარგად გაიმართებოდა მომავალ წელს.

ამის შემდეგ მეკვლეები ბრუნდებოდნენ ისევ ხატში, დანარჩენი მეკვლენი აქ დაუხვდებოდნენ. დილას რომ საკლავი დაიკლა, იმას გაატყავებდნენ და მოხარშავდნენ ხორცს. ამ დროს თავხევისბერი წავიდოდა წყალზე და წაიღებდა პატარა პურსა და ყველს. აქვე ახლო, რომელსაც ხატის წყაროს ეძახოდნენ, პურ-ყველს ჩაყრიდა და იტყოდა: „წყალო, შენთვის ნაყრი არ დამიყრავ და შენს წყალობას ნუ დამაკლებ, ბედი გამომაყოლე კაცისი, საქონისი. კოპალას ყმათაში ნუ გამოლევ წულსა, წულის აკვანსა". ამოიღებდა თუნგით წყალს, მოიტანდა და ყველას ასხურებდა. წელწად დილას მოტანილი წყალი იაზმის მაგიერ ისმარებოდა. შემდეგისათვისაც ინახავდნენ და რამე უწმინდურს ამით გაწმინდავდნენ. მაგალითად, თუ თაგვი რამეში ჩავარდებოდა და მოკვდებოდა, ის უწმინდური ხდებოდა, წელწად დილას მოტანილ წყალს ასხურებდნენ და განიწმინდებოდა. ამ ხნის განმავლობაში მოიხარშებოდა ხორციც და გამართავდნენ სუფრას. სუფრაზე დაანთებდნენ სანთელს, ლუდიან საწდესაც დადგამდნენ და ხევისბერი შენდობას ეტყოდა განსაკუთრებით ისეთი მკვდრებისათვის, რომლებსაც მომგონე აღარავინ ჰყავდა ამ ქვეყნად, სრულიად უპატრონოდ იყვნენ დარჩენილნი კოპალას ყმათაში, მათი მამულები კოპალას სანადოდ იყო დარჩენილნი, მისი ღალისაგან ლუდი დუღდა (მზადდებოდა) კოპალას სადიდებლად და მიცვალებულთა შესანდობად. ყველას დაალევინებდნენ და გრძელდებოდა სმა-ჭამა და ლხინი საღამომდე.

სოფელში, ისევე როგორც შუაფხოში, მიჰყავდათ კიდევ მეორე მეკვლე — მეზობელი. მეკვლე უფრო ისეთი მიჰყავდათ, ვისი კვალიც კარგად ჰქონდათ დაცდილი, წარსულ წელს ოჯახი არაფრით დაზარალდა, არც კაცით, არც საქონლით, უფრო პატარები იცოდნენ მეკვლედ, ისინი ანგელოზებია, უმანკო და ასეთის შეტანილი კვალი უფრო კარგად მიაჩნდათ. ვინც ბოროტ და ცოდვის ჩამდენ კაცად ითვლებოდა, ასეთი მეკვლის მიყვანას ყველა გაურბოდა. წელიწად-დილას ყველა ცდილობდა, რომ პირველად კარგი კაცი დაენახა, ბავშვებს მშობლები არწმუნებდნენ, რომ ვისაც წელწად დილას პირველად ნახავთ, ისეთი კაცი გამოხვალთო. ამაში დარწმუნებული ბავშვები თუ ბოროტ ან უშნო კაცის ხმას გაიგონებდნენ, არ შეხედავდნენ, ვიდრე ისეთი კაცი არ გამოჩნდებოდა, რომელიც მათი შეხედულებით კაიკაცად ით-

ვლებოდა. მეკვლეს რომ მიიყვანდნენ, გოგას ისიც შეაგორებდა, როგორც პირველი მეკვლე (სხვა სოფელში ყველგან ისეთი წესი იყო, რომ გოგას შეაგორებდა ხატიდან მოსული მეკვლე. მეორე მეკვლე ისე შევიდოდა და მიულოცავდა, გოგას ის აღარ შეაგორებდა). მეკვლე მილოცვის საუბრით შევიდოდა: „შემოვდგი ფეჯი, გწყალობდესთ ღმერთი, ფეჯი ჩემია, კვალი ანგელოზისია. გილოცავთ ახლის წლის გამოცვლასა, ბევრი გიმატებიათ, ბევრი გიმატოსთ ჩვენმა სალოცავმა და მაღალმა ღმერთმა". ასეთი საუბრით მივიდოდა და გაჩერდებოდა ზღურბლზე. აქ ერთ-ერთი ოჯახის წევრი გოგას მოუტანდა, მეკვლე სამჯერ შეაგორებდა და მერე შევიდოდა სახლში. მერე გაუმართავდნენ სუფრას და რაც კი კარგი სასმელ-საჭმელი ჰქონდათ სახლში, ყველაფერს მოუტანდნენ. თაფლ-ერბო აუცილებელი იყო ახალ წელს, ყველა ოჯახში თაფლში გაყინულ ერბოს ჩაყრიდნენ და ისე მიართმევდნენ მეკვლესაც და სხვა პატივსაცემ სტუმარსაც. მეკვლე თუ პატარა იყო, გაატანდნენ ჯამით თაფლ-ერბოს, ბოთლით არაყს, კაკალს, თხილს და ვაშლს. ამის შემდეგ ნება ჰქონდა ყველა მოსულს შინ შესვლისა.

წელწად დღეს ყველანი ცდილობდნენ, რომ ჩხუბი და დავიდარაბა თავიდან აეცილებინათ, დამშვიდებული და მხიარული ყოფილიყვნენ, რადგან იტყოდნენ, რომ ამ დღეს როგორც იქნება კაცი, ის „დაჰკვალავდება" და იმ წელს სულ ისე წავა ის საქმეო. ამიტომ იყო, რომ წელწად დღეს ყველაზე მეტად მხიარულობდნენ, ყველაზე მეტად სტუმარმასპინძლობდნენ და სხვა. მტრებიც რომ ყოფილიყვნენ, ამ დღეს შეურიგდებოდნენ ერთიმეორეს. ასე დაღამდებოდა წელწადი დღე მხიარულებაში. ხატშიც ამ საღამოს გამოილოცავდნენ, სოფელში კი გრძელდებოდა ორ-სამ დღესაც და მეტსაც ერთიმეორის პატიჟობა და მხიარულობა.

ა ღ ე ბ ა

წელწდის შემდეგ შაბათს მოდიოდა ხატობა აღება. აღებასაც რიგის დასტური ლუდს ადუღებდა. დილას ხატში მივიდოდნენ დასტურ-ხევისბრები, მხოლო საქობეში. დარბაზის და საბეროს კარს ამ დღეობაში არ აღებდნენ. საკლავი დაიკვლოდა სასოფლო. იგი ითვლებოდა უფრო სულის დღეობად. ხორცს მოხარშავდნენ და მიცვალებულთა სუფრას გამართავდნენ, სოფლიდანაც მიჰქონდათ სუფრები მიცვალებულებისათვის შენდობის სათქმელად. თან მოაყოლებდნენ ბოთლით არაყს, ლუდი სოფელშიც მიჰქონდათ და დედაკაცებსაც დაალევინებდნენ. ხატში დიდი დღეობა არ იყო, უფრო სოფელში იყო ერთიმეორის პატიჟი და სტუმარმასპინძლობა. ხატში იმავე დღეს

ვამოილოცავდნენ, სოფელში კი დიდ მარხვამდინ გრძელდებოდა ასეთი ამბავი. შაბათის შემდეგ ხორციან რამეს მიცვალებულთათვის შეხდობას აღარ ეუბნებოდნენ. ახალი მიცვალებულების პატრონები კი არც თვითონ ჭამდნენ ხორცეულს. ამ კვირას ყველიერის კვირას ეძახოდნენ. ხორცის გარდა ყველაფერს ჭამდნენ დიდმარხვის შემოსვლამდე. მარხოშამაე-საღამოს ახლო ნათესავები ე. ი. ერთიმეორის განაყრები ერთ-ერთ სახლში მოიყრიდნენ თავს და იქ გამართავდნენ მარხვის შემოსაყვან ვახშამს. თითქმის თეთრად ათენებდნენ ამ ღამეს.

სულთაკრეფა

სულთაკრეფის ხატში არაფერი მზადდებოდა. სოფელში ამზადებდნენ უფრო ახალი მიცვალებულის პატრონები მისი სულისთვის სამარხო სუფრას. მოხარშავდნენ ლობიოს, წანდილს, დააცხობდნენ თხელ ლავაშებს და დაპატიჟებდნენ უფრო ქალებს, ზოგ მამაკაცსაც. სუფრა დაილოცებოდა და ამავე სუფრით გაუმასპინძლდებოდნენ მოწვეულებს. ქალები ყველგან ყველანი მივიდოდნენ, სადაც ასეთი სუფრა იყო დამზადებული. თუ ვინმეს ოჯახში ახალი მიცვალებული იყო, რომ ჯერ წელი არ იყო გასული მისი სიკვდილის შემდეგ და „ტანისამოსნი ისხნენ" (ხევსურულად ტალავარნი), იმართებოდა ტირილი (ტირილის წესებზე მიცვალებულთა ამბებში გვექნება საუბარი). ტირილის შემდეგ ისეთივე სამარხო სუფრა იცოდნენ. სხვა აქ განსაკუთრებული წესი არ იყო.

დიდმარხვაში როგორც ხევსურეთში, აქაც ისეთივე წესით იცოდნენ თაგვ-ჩიტთ უქმი, მგელთ-უქმი და სხვა. დიდ ხუთშაბათს საღამოს იცოდნენ ჭიაკოკონობა. ყველა მცხოვრები თავის კარზე დაანთებდა დიდ ცეცხლს, რომელზედაც ახალგაზრდობა ხტებოდა. ურწყის ორშაბათი აქაც ხევსურულად იცოდნენ. ამის შემდეგ მოვიდოდა დღეობა ახვსება.

ახვსება

ახვსებას (აღდგომა) ლუდს ადუღებდა რიგის დასტური. ახვსების წინა საღამოსვე ჩორხაული დასტური, ხევისბრები და რიგის დასტური მოიყრიდნენ თავს. ყველა თავის საქმეს გააკეთებდა. საკლავს ამ საღამოსვე კლავდნენ და ღამითვე გაიხსნიდნენ მარხვას. დილით ხალხიც მოვიდოდა და დღეობა ისეთის წესით იმართებოდა, როგორც ამის წინა დღეობებში.

ამაღლება

ახვსების შემდეგ იყო ამაღლება. ამაღლებას დროშა ებმოდა. აქ დღეს დილით მოვიდოდნენ ხატში დასტურ-ხევისბრები და, როგორც

ვიცით, ყველა თავთავის საქმეს მოაწესრიგებდა. კოდის გახსნის და სასოფლო საკლავის დაკვლის შემდეგ მოიყრიდა სოფელი თავს და იმართებოდა სმა.. ზოგს მოჰქონდა ქადა-პური, სანთელი, ბოთლით არაყი. ისე რომ, ხატში ხელცარიელი არავინ მივიდოდა (ხევსურეთის ხატებში მეზღვნეების გარდა სოფელსა და სხვა მისულებს არაფერი მიჰქონდათ. ფშავში კი იშვიათად ვინმე მივიდოდა, რომ არ მიეტანა სანთელი, სასმელი ან ქადა-პური). ხატიდანაც ლუდი გამოჰქონდათ. ამაღლებას მეზღვნეებიც მოდიოდნენ, მხოლოდ ბევრი არა. ეს დღეობა იცოდნენ დილიდან საღამომდე. საღამოზე გამოილოცავდნენ.

სერობა

სერობა აქაც მკათათვეში მოდიოდა და ყველაზე დიდი დღეობა იყო კოპალაში. ამ დღეობაში ლუდიც ბევრი მზადდებოდა. კოპალას ვენახი ახმეტაში სამ ადგილას ჰქონდა და ბლომად ღვინოს ამზადებდნენ. ყველა ვენახში თავთავისი მეზვრე ჰყავდათ და მუშასაც ამუშავებდნენ. სერობას მეკულუხე მიდიოდა კოპალას დროშით. თავიხევისბერი ააბამდა დროშას და მეკულუხეს წინ გაუძღვებოდა, თან გაჰყვებოდათ ჩორხაული დასტური და რიგის დასტურიც, ერთ-ორ კაცს სოფლიდან გაიყოლებდნენ. აქედან წასულები ზემო თიანეთში გადავიდოდნენ და კოპალას ნიშთან მივიდოდნენ იხინჭაში. აქ ღამეს გაათევდნენ, მლოცავიც ბევრი შეხვდებოდათ ნიშთან. ვისაც რაიმე მიზეზის გამო აქ წამოსვლა არ შეეძლო, იქ მიჰყავდა და კლავდნენ საკლავებს. ზემოთიანეთელებიც ყმობდნენ კოპალას, სანადო მამულებიც იყო აქ და დღეობაც ისე სრულდებოდა, როგორც უძილაურთაში. იმ დღეს კი, როცა მეკულუხე მოდიოდა, ყველა ყმანი აქ ხვდებოდნენ კოპალას დროშის ჩავლაზედაც და ამოვლაზედაც, მოჰყავდათ საკლავები და კლავდნენ. მართავდნენ სუფრებს, მოჰქონდათ შესაწირავი, ზოგს ბაღდადი დროშისათვის, ზოგს ვერცხლის სამკაული, ვერცხლის თასი და სხვა. მოჰქონდა აგრეთვე ოჯახში დამზადებული სასმელ-საჭმელი მეკულუხეთათვის პატივსაცემად. მხოლოდ ეს სუფრა გამზადებული უნდა ყოფილიყო არადედათწესიანი ქალებისაგან, რადგან მეკულუხენი წმინდად უნდა ყოფილიყვნენ დაცულნი რიოშიანი სასმელ-საჭმელისა და მგზავრობისაგან.

ზემოთიანელებიდან ორი სოფელი იყო კოპალას ყმები — ტიღინაანები და ახალსოფლელები. ესენი ზოგი ჩავლაში და ზოგი ამოვლაში კოპალას დროშას პატივცემით ხვდებოდნენ. ვისაც საშუალება ჰქონდა, საკლავს კლავდა, ვისაც არა და სხვა რამე პატივისცემას გაუწევდნენ მეკულუხეთ. ეს სოფლელები კოპალის მეკულუხეების მოლოდინზე ლუდსაც დაამზადებდნენ და დაახვედრებდნენ. ერთ ღამეს

მეკულუხე იხინჭაში გაათევდა და დილით ადრე გაემგზავრებოდნენ ახმეტისაკენ. ხევისბერი დროშას როცა დააბძანებდა, მაშინაც დაამწყალობებდა მოსულ მლოცავს და როცა ააბძანებდა, მაშინაც ეტყოდა: „წყალობით იყოს ჩვენი სალოცავი გმირი კოპალა თქვენზედა, მოსულნო მლოცავნო და კოპალას ყმანო. ის წყალობა გიბოძოსთ, რასაც თქვენი გული გამოელოდება, გიწინამძღვროსთ ყველა კარგ საქმეში და მრავალს მოგაგებოსთ ამ დღესა ერთურთის კარგა ყოფნითა". ამ დამწყალობნებაში დროშა შინ ეყუდა, მარჯვენა ხელით ეჭირა და აწკარუნებდა ზარს. ხალხიც ქუდმოხდილი ფეხზე იდგა და პირჯვარის წერით ამბობდნენ: „თქვენ თავზედაც იყოს წყალობით დალოცვილი ჩვენი სალოცავი".

ხევისბერი დროშას მარჯვენა მხარეზე გაიდებდა და გაემართებოდა ახმეტისაკენ. თან გაჰყვებოდნენ თანამგზავრებიც. მლოცავი ხალხი კარგა მანძილზე გააცილებდა და გზადაგზა სასმელს აძალებდნენ წამსვლელთ. მერე მობრუნდებოდნენ ისევ იხინჭაში. აქ უკვე დღეობა იყო დაწყებული. ყმანი და მლოცავნი ყველა სახატო წესებს ასრულებდნენ ისევე როგორც უძილაურთაში. დასტურ-ხევისბრები აქაც იყვნენ, სალუდე, დარბაზი, საზარე ყველაფერი ჰქონდათ. საკლავის დაკვლის წესები, დიდებანი, ყველაფერი ისე სრულდებოდა, როგორც უძილაურთაში. მხოლოდ აქ გართობა-მხიარულება მეტი იცოდნენ, ვიდრე მთაში.

მეკულუხე ახმეტაში იმ დღესვე ჩავიდოდა. აქ ერთ-ერთ ვენახში ჰქონდათ მარანი (კოპალას ახმეტაში სამი ვენახი ჰქონდა. სამივე ვენახიდან ყურძენი მიჰქონდათ ერთ ადგილზე და ერთ მარანში აყენებდნენ ღვინოს). მარანთან იყო დროშის საბძანი კოშკი და სასანთლე. დროშას მიაბძანებდა თავიხევისბერი საბძანთან და დაამწყალობნებდა იქ დამხვედრ მლოცავთა და ყმათ (მლოცავი აქაც ბევრი ხვდებოდა). მერე მიართმევდნენ იხინჭიდან წამოღებულ ლუდით საკესე თასს, დადგამდნენ სასანთლესთან, აანთებდნენ სანთელს, დააკრავდნენ სასანთლეზე და ხევისბერი ადიდებდა კოპალას: „დიდება შენდა, ღმერთო, ცისა და ქვეყნის დამაარსებელო, დიდება შენდა, კვირავ ხთის მაღლის მოკარვეო. დიდება შენდა, ჩვენო სალოცავო გმირო კოპალაო, დროშისად მყოლო მოგზაურო ანგელოზო. გახვეწებთ და გავედრებთ თქვენ ყმათა და ყმათაში შენს კულუხზე წამომსვლელთა და თანმყოლთა. შენს მარანზე მოსულთა, შენის კარის და სახელის მლოცავთა". დანარჩენი დიდება გრძელდებოდა ისე, როგორც იახსარში არის აღწერილი. დიდებას რომ დააბოლოვებდა, თასს აიღებდა და დაილოცებოდა, დალოცავდა ყმათა, მლოცავთა და მეკულუხეთ. თითო თას ლუდს სხვა დასტურ-ხევისბრები და მეკულუხენიც ასეთივე დალოცვით დალევდნენ, წამოაყენებდნენ მეკულუხეთ მოყვა-

ნილ საკლავსაც და დაკლავდნენ ჩვეულებრივი დიდებით და ყმათ დამწყალობნებით. ამის შემდეგ ცოტას დაისვენებდნენ და მერე შეუდგებოდნენ საკლავების დაკვლას. მარანში სანთელს აანთებდნენ ქვევრიდან ახალ ამოღებულ ღვინოზე, ადიდებდნენ კოპალას. ნათავარს ამოიღებდნენ, ერთ საცალოს აავსებდნენ და მერე თვითონაც დალევდნენ. მარანზე სანთლის ანთებაში და ღვინოზე ხატის გადიდებაში აჰსენებდნენ: გმირ კოპალას, ქვევრ-მარნისა და ზედაშის მცველ მფარველ ანგელოზს (იგულისხმებრდა: კოპალას ჰყავდა თავისივე ნაწილი ანგელოზი, რომელიც იფარავდა ქვევრ-მარანს). ავსებდნენ ღვინით ყველა საცალოებს და ამზადებდნენ მეორე დილისათვის. აქვე ჰქონდათ ჭაჭისაგან გამოხდილი არაყი და ესეც მოჰქონდათ თან. საკლავის ხორცისაგან სუფრას გამართავდნენ, რომელიც დაილოცებოდა იმ მიცვალებულთათვის, რომელნიც წინათ დადიოდნენ კულუხზე და ახლა აღარ არიან. აგრეთვე უპატრონო მკვდრებისათვის, რომელთაც დანამადლისი ჰქონდათ ამ ქვევრ-მარანზე — ჩვენ ვერ ვიგონებდეთ და ჩვენი სალოცავი არ ივიწყებდესო. მეზღვნეები გამართავდნენ თავის სუფრებს, მთელი ღამის განმავლობაში სვამდნენ ღვინოს და მხიარულობდნენ.

დილით ადრე ხევისბერი აბძანებდა დროშას, დაამწყალობნებდა ყმათ, მლოცავთ და გამოუძღვებოდა მეკულუხეს წინ. ამავე დღეს მოვიდოდნენ ისევ იხინჭაში. აქ ზოგი ისეთი მლოცავი მოვიდოდა, რომ მეკულუხეს უძილაურთაში თან გამოჰყვებოდა, ზოგი კი იხინჭაშივე იზღვნობდა და ზღვნობის ყველა წესებს აქ შეასრულებდა. მეკულუხეს სახარჯო ღვინო-არაყი მოჰქონდა და პატივისმცემელ მლოცავებს ამით უმასპინძლდებოდნენ. ღამეს აქ გაათევდნენ და დილით დამწყალობნების შემდეგ გამოუძღვებოდა ხევისბერი მეკულუხეს, თან გამოჰყვებოდა უძილაურთაში წამომსვლელი მლოცავი, ხალხიც კარგა მანძილზე გამოაცილებდა და გამოისტუმრებდნენ მათ. აქედან წამოსული კოპალას მეკულუხე შუაფხოზე გამოივლიდა, იახსრისა და კოპალას დროშები აქ ერთიმეორეს შეხვდებოდნენ (შეხვედრის წესები მოთხრობილია იახსრის მეკულუხის აწერილობაში). ყველა წესების შესრულების შემდეგ კოპალას მეკულუხე უძილაურთისაკენ გაემართებოდა, იახსარის დროშა მას გააცილებდა, გამოემშვიდობებოდნენ ერთმანეთს და იმავე დღეს კოპალის მეკულუხე უძილაურთაში ავიდოდა, ღამეს იქ გაათევდა. სადაც მისი მთავარი საარსო-საბძანებელი იყო უძილაურთ სოფლის მარჯვეს. სალუდე, საზარე, საბერო და სხვა აქ იყო. აქაც სანთელს აანთებდა ხევისბერი სასანთლეში (სანთლის ანთების წესი იახსარში არის აწერილი), ლუდიან კოდს გახსნიდა და ვისაც რა შეეძლო, სვამდნენ, აქვე ათევდნენ ღამეს. ზღვნობა ამ დღეს არ იცოდნენ, რადგან მეკულუხე დაღლილი იყო.

მეორე დილით ხალხი მოიყრიდა თავს და იმართებოდა დღეობა; მეზღვნეც მოდიოდა და სხვადასხვა შემომწირველნიც. ღვინის ნათავარი ინახებოდა საყეინოსათვის, დანარჩენს აქ ხარჯავდნენ, მოსულ მეზღვნეს და სოფლელებს ყველას ასმევდნენ. ამ ხატში ორ დღეს გრძელდებოდა დღეობა; მოდიოდა მეზღვნე და სრულდებოდა ყველა წესი ისე, როგორც იახსარში. მოსული მლოცავი აქ გროვდებოდა და ემზადებოდნენ ჯერ ციხეთგორს წასასვლელად და მერე უძილაურთის მთაზე ამოსასვლელად. იყვნენ ისეთი მეზღვნეებიც, რომ მარტო უძილაურთას იზღვნობდნენ და უსახსრობის გამო მთაზე ვეღარ მიდიოდნენ. ისინი აქედანვე ბრუნდებოდნენ სახლში, მხოლოდ ასეთები გამონაკლისი იყო. მესამე დღეს ხევისბერი სანთელს მოანთებდა, ზარს დარეკდა, რაც ნიშანი იყო საციხეთგოროდ მზადებისა. ზარის ხმაზე მთელი მეზღვნე წამოიშლებოდა, პირჯვრის წერით ლოცულობდნენ და სთხოვდნენ კოპალას ყოველგვარ გასაჭირში დახმარებას, მერე გაამზადებდნენ ბარგს და შეკაზმავდნენ ცხენებს. ხევისბერი საბეროდან გამოვიდოდა და დროშასთან მივიდოდა. ვერცხლის თასით მას ღვინოს მიუტანდნენ, თასს დროშასთან დადგამდნენ, სანთელს აანთებდა, თასთან ქვაზე დააკრავდა და ადიდებდა გმირ კოპალას. მერე თასს გამოსცლიდა. თითო ღვინიანი თასით დასტურ-ხევისბრები დალოცავდნენ ყმათ და მეზღვნეთ, მერე ამ თასს მეგანძური ჩაიბარებდა და სხვა ვერცხლის თასებთან ერთად წამოიღებდა ციხეთგორს. ხევისბერი დროშას ააბრძანებდა, კიდევ დაამწყალობნებდა ყმათ და მლოცავთ. უსურვებდა კოპალას წყალობით მრავალი ასეთი დღეობის ლოცვას და სთხოვდა გმირ კოპალას, რომ ყმათ თავისი საგმიროთი დახმარებოდა ყოველი გაჭირვების დროს. დროშას მარცხენა მხრისაკენ ასწევდა, თავზე გადმოიტარებდა, მარჯვენა მხარეზე გაიდებდა და გაემართებოდა ციხეთგორისაკენ, თან გაჰყვებოდნენ ჯერ ხატის მსახურნი და მერე მლოცავი. ავიდოდნენ უძილაურთას თავს, იქ სანთლით და ზედაშით კოპალას ადიდებდნენ და გავიდოდნენ ციხეთგორას. აქ მათ დახვდებოდა სოფელ აკუშლების კოპალას დროშა.

მთავარი დროშა, სალოცავი და დასტურ-ხევისბრები იყვნენ უძილაურები და აკუშლებიც ემსახურებოდნენ კოპალას თავის მხრიდან. აკუშლებმა უძილაურების მისვლის დღე და დრო იცოდნენ და მზად იყვნენ (სოფელი აკუშო ციხეთგორასთან ახლო არის). კოპალის დროშა რომ უძილაურთის მთაზე გადმოვიდოდა, აკუშოდან დაინახავდნენ და ისინიც თავისი დროშით წამოვიდოდნენ. ციხეთგორს ერთმანეთს შეხვდებოდნენ — „გამარჯვება ბატონყმათ“ — პირველად აკუშლები ეტყოდნენ, რადგან მთავარი დროშა უძილაურებისა იყო და ნამდვილი ტახტის ყმადაც უძილაურნი ითვლებოდნენ. — „გაგიმარჯოსთ ღმერთმა, წყალობა ჩვენის სალოცავისა, წყალობა“, — ეტყოდა უძილა-

ურთის ხევისბერი. წყალობით იყოს თქვენზედაც დალოცვილი, — ახლა ისინი უპასუხებდნენ. დაბძანებდნენ მარჯვნით უძილაურების, ხოლო მარცხნით აკუშლების დროშას. აკუშელებიც და უძილაურებიც თითო საკლავს მოიყვანდნენ. ორივე საკლავი მოსვლისთანავე, ვიდრე დასხდებოდნენ, დაიკვლოდა. ორივეს დაკლავდა უძილაურთის ხევისბერი. აკუშელი დასტურ-ხევისბრებიც აქ იყვნენ ამ დროს და სხვადასხვა მომსახურეობას უწევდნენ სახატო წესრიგს და საქმიანობას. დაკლულ საკლავებს ორივე მხარის დასტურები გაატყავებდნენ და ხორცს ერთ ქვაბში მოხარშავდნენ. აკუშლებს თავისი ლუდი ჰქონდათ, უძილაურები ღვინო-არაყს მიიტანდნენ. მაგრამ მთავარი ხარჯი ამ დღეობაში აკუშლებისა იყო. მათი ლუდი მეტი უნდა დახარჯულიყო, საყეინოც მათი ლუდით იდგმოდა ციხეთგორს (უძილაურთისთავს კი უძილაურები დადგამდნენ საყეინოს კულუხის ღვინით). საკლავებს რომ დახოცავდნენ, აკუშლები ვერცხლის თასებს დადგამდნენ კოშკთან და აავსებდნენ ლუდით, სანთელს აანთებდნენ და დააკრავდნენ თასებთან. უძილაურთის ხევისბერი ადიდებდა კოპალას და დაამწყალობნებდა ყმათ ამ დღეს კოპალას კარის მლოცავ ფშაველსაც და ხევსურსაც. დამწყალობნების შემდეგ თასებს აიღებდნენ, ერთს უძილაურთ თავხევისბერს მისცემდნენ, მეორე თასს აკუშოს მედროშე ხევისბერს და მესამეს ჩორხაულ დასტურს. ყველანი დაილოცებოდნენ, დაამწყალობნებდნენ ყმათ და დასცლიდნენ თასებს. ამას შემდეგ იწყებოდა ლუდის და ღვინო-არყის სმა და თან ზღვნების ხოცვა, საკლავის დაკვლა და სხვა მთავარი შესასრულებელი წესები უძილაურთ ხევისბერს ეკუთვნოდა. აკუშელთ წვრილმანი დახმარების მეტი არაფერი ევალებოდათ, მხოლოდ ლუდი იმათი იყო და მეზღვნეებს ლუდით ისინი სცემდნენ პატივს. ამ დღეს და ერთ ღამეს დარჩებოდნენ ციხეთგორს. იმართებოდა სუფრები და ერთიმეორის პატიჟობა ბინებზე, მღერა და თამაშობა (ფშავში ციხეთგორობა ისეთივე დიდ დღეობად ითვლებოდა, როგორც ლაშარობა).

ჩემო დედაო, გამიშვი, მიდიან ჯორობაშია,
ან ლაშარობას მოგივალ, ან ციხეთგორობაშია.

ამ სახის სიმღერებს მღეროდნენ. ღამეს ყველა მლოცავი აქ ათევდა, მეორე დღესაც გრძელდებოდა ზღვნობა და რომ წამოსადილდებოდა, აკუშლები დადგამდნენ ლუდით საავე საყეინოს (საყეინო იყო ვერცხლის დიდი თასი). ორივე დროშა აბრძანდებოდა, მათ საყეინოსთან ტარით მიწაზე დაბჯენდნენ, აქანავებდნენ ნელ-ნელა ტარს და დროშის ზარებს აწკარუნებდნენ. ამ დროს მლოცავი ხალხი ქუდმოხდილი პირით დროშისკენ იდგა და პირჯვარს იწერდა. უძილაური ხევისბერი პირველი ადიდებდა კოპალას ისე, როგორც ვიცით იახსარის

დიდება, ამავე სახით (სანთლები საყეინოს პირზე იყო დაკრული). უძილური ხევისბერი რომ დიდებას გაათავებდა, ახლა აკუშოს ხევისბერი იხუცებდა: „ხთისაგან გაგემარჯოს შენის გაჩენისაგან, გმირო კოპალაო, შამაძახილზე ნუ შამასწყინდები კორციელს, შენის სახელის ჭირიმი. შენა სამთავრო გასამარჯოდ მაიკმარი ეს ჭიქა-ბარძიმი, სანთელსაწირი, შენთ ყმათ სახოიშნოდ მაიხმარი, ხთის კარზე შაიტანი შენიმც ძალი-სახელ დიდებისა-დ ჯსენდების“.

ამას მოჰყვებოდა „პირის ქარი“: „ა-ა-ა- — დიდება ღმერთსა, მადლი ღმერთსა, დღეს დღესინდელისა, რჯულს საქრისტიანოს, მზესა მზის მყოლთ ანგელოზთა. დიდება დიდს კვირაეს მაღლის ხთის მოკარვეს, დიდება და გამარჯვება შენდა, გმირო კოპალაო, ამ სამსახურზე ღმერთმა გადიდას, ღმერთმა გაძლიერას. შენ გამჩენ ღმერთი არ მაგიწყენს, არ მაგიძულებს, შენ შენთ ყმათ ნუ მაიწყენ, ნუ მაიძულებ, შენი გავლენითა-დ საგმიროთ დაეკმარი. სცევდი, ხფარავდი, შველოდი, სწყალობდი, დაიჯსნიდი: ავის დღისგან, ლაღის მტრისა და მწარის სიკვდილისაგან, სენის სარჯლისგან, თურა შაგცოდვან, ან უღირსობით, ან პირის ქარით, ან ფეკის ნალით, აპატიეიდი, ყმა შაუწყენ არ იქნებისა-დ ბატონ შაუნდობარი. თუ რა ეკერძებოდას საზიანო საქმე, გადაუდიდი, შენთ ყმათა-დ დღეს შენის კარისა-დ სახლის მლოცავთ, მიწრიელ-ქვეცრიელი შენის საგმიროთ დაულაგმიდი, ზაფხულობა მშვიდობისა დაუყენიდი, კაცსა კაცრივლობას მაღმატიდი შენთ ყმათაში, მაგათ ყუდროში ღონესა ქონეს მაღმატიდი, წულსა წულის აკვანს, თქვენ ზღვენთა ულუფათ მაემატების, დღეს მახრილ ჩოქი, მათხოილ მადლი, მაკსენებულ სამსახური, შენა სამთავრო, შენა გასამრჯოდ, შენთ ყმათად დღეს შენის კარის მლოცავთ სამწყალობნოდ მაიკმარი, მაგათ ყუდროჩი კაცისად, საქონისად, ორფეკოთხფეკისად, ქუდოსან-მანდილოსნისად, ნამაშვრალ-ნამუშავლისად მშველელი, მლხენელ იქნები, ისმინე, გაიგონი, აგრემც გაგემარჯვების, გმირო კოპალაო“.

ამას მოჰყვება კურთხევა: „დღეს რჯულსა ხსნილობაია, ჯვარსა კურთხეულობა, კურთხეულ სია ღმერთია უფალი სამარატია, უკუნისამდე წმიდაო ღმერთო, წმიდაო სანებაო, წმიდაო შაგვიწყალენ ჩვენ ყოველნი, ჩვენნი ურჯულოებანი, შაგვიწყალნა ჩვენ სამებამა წმიდამა ჩვენ ყოველნი ჩვენი ურჯულოებანი, გამგულა და გავედრია, სულნი ჩვენნი ღმერთსა მამასა. მამაო და ძეო, რომენი ხარ ცათაჩია, აგრე ხოყანათაჩია, მაგვიშვი და მაგვიტანე პური ჩვენი არსობილთა, რაც უფალმა მაგვიტანა, ნუ შაგვასხამ განსაცდელსა. შავსწირავ ღმერთსა, ხატო, შენი მოხუცულობითა. ხატო, ნათქვამი შენზე იყო, შენ გვიხსნენ, ჩვენ გადიდებთ, თვალნი მაღლა არიან მაღლისა ხთისანი, ხოლო კაცთა რა ჟამი მასწევია, კაცნი ცხრომლებად არიან დიჩინნი ამპარტავანნი ფეხ-

ნი ბირკოლებისაკენ სატნრ მოვიდა ყოველსა წინასა სიე ცხოველსა. რატო ვერ იცნო დედამა თავი პეტრეა ხთისა მოწაფე, არსივნი შაშინებულან, არსივნი შაკვირებულან გალილიას და ეტყვიან მორე მორე მოდიოდა ადგილსა ამას, იესო ქრისტე ფილიპე ფერსა კითხულობდა ჩვენდა. რაღა თქვიან დედაკაცისად. პეტრესა უთხრა: ეგე ვინ გგონია. ნუ იმერია მერევნელია, თავიც იხსნა, ჩვენც გვაკურთხა, იმაზედ ავაშენეთ ეკლესიანი ხთისანი, ეკლესიას ხთისას, შენი უკვდავი სიტყვაო. უკვდავი მარიემის შორით ექცეოდა, ხატი გამოჩინდე ვითარცა კაცთა შორით ექცეოდა, კაცნი ეწმუნოებით არიან წმინდანი, გამეე, გამააცხადე, თუ რამე იყვა ბნელშია, ხორცნი უფლისანი, სისხლნი მაცხოვრისანი ღაღანებენ, და ბძანებენ ჩვენ წინაწინ დავდეითავ, ახლისა რჯულია სამსახურია. სიგრძით მახენე, იწამე ღმერთი. მამაო ჩვენო ყოფილო ჯერ ხთისა, ხოლო შობილო მამისა გამაშობილო, მამისა კი აგრე ბძანებდა, რომელმა შაღმასენ ცანი ღურბლითა ხოყანანი მწვანილითა, რომენმა გადაანამზადენ წვიმა ხოყანათაზედა, თესლია შენია ჩვენო მაცხოვრებაო, დღეც შენ დაამკვირე, ნათელი, ბნელი. შენ კი არა ერმა უფალმა. უფალო, აკურთხე მარილი ესე, სიორდანე ღვინო გადასცვალე. ბაღდად დახვალ არა შჭამე. დასთხიე სისხლი მისი ვითარცა მხალი, იყვა მიერ ქველი სამოქმედო მოწყალე. მაგვანიჭე მას დღესა რჯულისასა, ხსნილობაი ჯვარსა კურთხეულობა. ხსნილ-კურთხეულ ჯვარი და სისხლი შენი შეიწირე".

კურთხევის დამთავრების შემდეგ პირველად ხევისბრები ჩავიდოდნენ საყეინოში. ან ვერცხლის ფულს ჩააგდებდნენ შიგ ლუდში, ან თუ ვერცხლი არ ჰქონდათ, ქაღალდის ფულს ჩადებდნენ იქვე დადგმულ ცარიელ თასში. ჯერ დაილოცებოდა ჩამსვლელი: „ჩვენის სალოცავის დიდებით და გამარჯვებით, გაუმარჯოს ლაშარის ჯვარის პიროფლიანთა, რომელთაც ხატისა და ხალხის გულისად თავი შესწირეს და ბრძოლაში ოფლი და სისხლი დაღვარეს. დღეს ისინი ცოცხლები აღარ არიან, მაგრამ ჩვენი სალოცავი და ჩვენც მისნი ყმანი არ ვივიწყებთ იმათ სახელსა. გაუმარჯოს ლაშარის ჯვრის პიროფლიანთა, გაუმარჯოს". „გაუმარჯოს"! — დაიძახებდნენ ყველანი. ასე იწყებოდა საყეინოში ჩასვლა. მერე დროშებს თავის ადგილზე მიაბძანებდნენ. საყეინოში ჩასვლა კი გრძელდებოდა. როგორც ნათქვამი იყო, ერთიმეორესაც ეპატიჟებოდნენ საყეინოში. როცა ვინმე საყეინოში ჩავიდოდა და სვამდა, სხვები უკიჟინებდნენ და აქეზებდნენ მეტი დაელია, ხმამაღლა იძახოდნენ: „გაუმარჯოს, გაუმარჯოს! შაიშრო, შაიშრო! აი ყოჩაღ, ყოჩაღ! აი დაეტყო თასსა, დაეტყო, რომ ვაჟკაცი ებძვის". თასი რომ დანაკლულდებოდა, კოშით ლუდს უმატებდნენ, რომელიც იქვე ჩხუტით იდგა. ერთი დასტურთაგანი იყო ლუდის დამმატებლად დაყენებული. თასს ხელში არ იღებდნენ, მიწაზე იდ-

გა და ისე სვამდნენ. საყეინოს სმის დროს ზღვნებიც იხოცებოდა. ყველა მეზღვნე თავთავის საკლავს უვლიდა, ატყავებდა, ხორცს ხარშავდა, სუფრას ამზადებდა. სუფრის წესები აღწერილია იაკსრის დღეობაში და აქაც იმავე წესით სრულდება. მეზღვნეებს თავისი პური ჰქონდათ მოტანილი. სასოფლო საკლავის სუფრაზე კი ხალხისაგან მოტანილი საწირავი პური ჰქონდათ და იმას ანაწილებდნენ. მღერა-თამაშობა იმართებოდა. დღეობის დროს იყო ძალიან სიმთვრალე და ხშირ შემთხვევაში შუღლი და ჭრა-ჭრილობაც ხდებოდა. როცა დიდი ჩხუბი მოხდებოდა, დროშებით გადაუდგებოდნენ შუაზე და ისე გააშველებდნენ. ჩხუბის დროს დროშები რომ აბრძანდებოდა და გადაუდგებოდა, მოჩხუბრები იმ წამსვე ჩერდებოდნენ ხატის პატივისცემით და შიშით. თუ აღმოჩნდებოდა ისეთი ვინმე, რომ სიმთვრალის გამო ჩხუბს დროზე ვერ დაანებებდა თავს, ასეთებს ხევისბრები აჯურუმებდნენ: კურეტით, წელგამოვლილი (ერთ წელზე ზევით) საკლავით და სხვ. „ჯურუმი“ წინასწარ ქონდა ხევისბერისაგან გამოცხადებული — ვინც იჩხუბებდა. ვინც ჯურუმს არ შეასრულებდა, ხევისბრები იმის საკლავს აღარ დაკლავდნენ და არც იმის შესაწირავს შესწირავდნენ, ვიდრე არ შეასრულებდნენ დანადებ ჯურუმს. ეს ამბავი კი ითვლებოდა საბოლოო ამოწყვეტად არა მარტო იმ ოჯახისა, მთელი გვარისთვისაც კი მოსალოდნელი იყო კოპალას რისხვა.

ეს დღე ამნაირად მოსაღამოვდებოდა. საყეინოს ფული კოპალას მთავარ საბრძანებელში მიდიოდა უძილაურთაში, დანარჩენი რაც შემოსავალი იყო, მხარ-ტყავი ან სახსარი ტყავისა, ამას აკუშელი და უძილაური ხევისბრები იყოფდნენ.

საღამო ხანზე ხევისბერი ზარს დარეკდა და მლოცავი გაემზადებოდა წასასვლელად; დროშებს ააბძანებდნენ, ხალხს დაამწყალობნებდნენ, ერთმანეთს გამოემშვიდობებოდნენ და უძილაურთ დროშა გამოუძღვებოდა მლოცავს უძილაურთის მთისაკენ. ვისაც იქაც უნდოდა ზღვნობა, თან გაჰყვებოდა, ვისაც არა და აქედანვე წავიდოდნენ თავის სახლებში და სოფლებში. აკუშელი ჯვარიონნიც წავიდოდნენ აკუშოში, სადაც ჰქონდათ კიდევ საკუთარი დღეობა.

უძილაურთ მთაზე არის დიდი მოედანი; ერთ ადგილას პატარა ამაღლებული გორაკია, ამ ადგილას ეწოდება ირემთკალო; ამავე გორაზე არის კოპალას დროშის საბრძანი და საზარე, იმ ადგილზე, საიდანაც დევებმა და კოპალამ ქვები გაისროლეს. ხევისბერი მაღლა ავიდოდა დროშის საბრძანთან. დროშას ტარით დაბლა დაჰყურებდა აღმოსავლეთისაკენ დახრით და აწკარუნებდა დროშის ზარს, მლოცავები მოედანზე ქუდმოხდილნი პირდროშისაკენ იდგნენ. ხევისბერს მიართმევდნენ ღვინით სავსე ვერცხლის თასს, დადგამდნენ კოშკზე და ანთებულ სანთელსაც კოშკზე თასთან ახლოს დააკრავდნენ. ხევისბერი შეუდ-

გებოდა დიდებათ: „დიდება შენდა, ღმერთო მაღალო, ცისა და ქვეყნის გამჩენო, დიდება შენდა, კვირავ ძალიან-მადლიანო, ხთის მაღლის მოკარვეო, დიდება შენდა, ჩვენო სალოცაო გმირო კოპალაო, დევ-დედაბერთად მეომარო! შენა სწყალობდე შენთ ყმათა და შენთ ყმა-თაში დღეს შენის კარის მლოცავთა. სასიხარულოდ გაუკადე შენი ჯსენება-დიდება, სასინანულოდ ნუ გაუკდი, ზაფხულობა და სთვლობა მშვიდობისა და ღალიან ბარაქიანი დაუყენე“... დანარჩენი დიდება ჩვეულებრივია, როგორც იახსარშია დაწერილი.

დიდების შემდეგ მას თასს მისცემდნენ, ხევისბერი კიდევ დაილოცებოდა და დაამწყალობნებდა ყმათ. ამავე საღამოს სასოფლო საკლავსაც დაკლავდნენ, ან კოპალას ცხვრის ფარიდან გამოყვანილ ცხვარს. მეზღვნე კი მეორე დღემდინ არ ზღვნობდა, თუ ვინმე დაკლავდა, გამონაკლის შემთხვევაში, განსაკუთრებული პირობების გამო, მაგალითად, თუ მისი წასვლა მეორე დილით აუცილებელი იყო. საღამოს იმართებოდა სმა, უძილაურებს ლუდიც ამოჰქონდათ, ღვინოც და არაყიც. აწალ მოსულ მლოცავსაც ყველას ჰქონდა თავ-თავის ბინაზე სასმელ-საჭმელი. ხორცი ციხეთგორიდან ჰქონდათ წამოღებული იქ დაკლული საკლავებისა და აქ ხარშავდნენ, მწვადებს აკეთებდნენ, ვიდრე მეორე დღეს ახალ საკლავს არ დაკლავდნენ. ამ ღამეს ყველანი აქ გაათევდნენ. დასტურ-ხევისბრებსაც ეპატიჟებოდნენ სუფრებზე, ლხინი, მღერა და თამაშობა იყო მთელ ღამეს. დილით დასტურები წყალს მოიტანდნენ, ხევისბერს პირს დააბანინებდნენ და ერთ ჭიქა არაყსაც დაალევინებდნენ. ის მივიდოდა საზარესთან, აანთებდა სანთელს. დიდი პირჯვრის წერით და თხოვნით, რომ — მე ხორციელი რომ შენს წმიდა ადგილში მოვდივარ და უღირსი შენს სამსახურს ვასრულებ, ამაზე ნუ გამიწყრებიო. ამ დროს ხევისბერი ფეხშიშველი იყო, შემოჰკრავდა ზარს სამჯერ ნელ-ნელა, თითო შემოკვრაზე პირჯვარს დაიწერდა და იტყოდა: „დიდება ძალსა შენსა, ჩვენო სალოცაო გმირო კოპალაო!“ სამჯერ დარეკვის შემდეგ ჩქარ-ჩქარა რეკდა, რაც, დაახლოებით, ექვს-შვიდ წუთს გრძელდებოდა. ზარის ხმაზე ყველა მლოცავი ფეხზე ადგებოდა, პირჯვარს იწერდნენ და ნელი ხმით ამბობდნენ: „დიდება ძალსა შენსა, ჩვენო სალოცაო. გმირო კოპალაო! შენ გვიშველე შენ ყმათა“. ხევისბერი ბოლოს კიდევ სამჯერ ნელ-ნელა შემოჰკრავდა ზარს პირჯვრისწერით. ამ დროს მოიტანდნენ სანთელს და ზედაშით სავსე თასებს. იგი სანთლებს სასანთლეებში აანთებდა და სადიდებელ ზედაშეზე ადიდებდა კოპალას. მერე დაამწყვდევდა ყმათ. სასმელ ზედაშეს დასტურ-ხევისბრები გამოსცლიდნენ. აქედან იწყებოდა ზღვნობა, წამოაყენებდნენ საკლავებს და სათითაოდ კლავდნენ ჩვეულებრივი დიდებით. იმართებოდა ლხინ-თამაშობა და სუფრები.

შუადღე რომ მოახლოვდებოდა, ჯერ დადგამდნენ საყეინოს (საყეინოს დადგმის წესი აწერილია იახსარშიც და ციხეთგორშიც). აქ საყეინო იყო ვერცხლის დიდი თასი, ერთი კაცი საყეინოსთან იჯდა, ზურგზე ღვინით სავსე ტიკი ჰქონდა წამოკიდებული და რამდენიც დანაკლულდებოდა უმატებდა. სვამდნენ ერთიმეორის ჯობნაზე და ლოცავდნენ აქაც ლაშარის ჯვრის პიროფლიანთათვის. დროშას აქაც მოაბრძანებდნენ საყეინოს პირველ დადგმაში. საყეინოს ფული ინახებოდა და მერე ხმარდებოდა სახატო საქმეს ან ვენახში სამუშაოდ დაქირავებულ მუშებს ეძლეოდა.

საყეინო რომ მოთავდებოდა და საკლავების დაკვლაც შეთხელდებოდა, ხევისბერი გამოაცხადებდა დოღს. ხმამაღლა ეტყოდა ხალხს: „აბა, ხალხო, რაც მოდენილობა ჰქონდა ჩვენს სალოცავს გმირს კოპალას, იმ წესის შესრულება გვინდარის; დაამზადეთ ცხენები და დოღი წავიდეს, ახლა დრო არისო“. ახალგაზრდები მოაგროვებდნენ ცხენებს. შეკაზმავდნენ და თვითონაც მოემზადებოდნენ. ხევისბერი ავიდოდა საზარესთან, მას მიართმევდნენ ლუდიან თასს და სანთელს. პირველად ადიდებდა კოპალას და დაამწყალობნებდა ყმათ და მხედრებს, გამოცლიდა თასს, მივიდოდა, ზართან, ერთხელ შემოჰკრავდა და მოსთხოვდა მადლს. მხედრები პირველი ზარის ხმაზე ცხენებზე შესხდებოდნენ, მეორე ზარს ცოტა გვიან შემოჰკრავდა, მხედრები მწკრივად დადგებოდნენ პირაღმოსავლეთისაკენ (იქით გრძელი მინდორი მიდის, დაახლოებით კილომეტრნახევარი სიგრძისა და მინდვრის ბოლოს ნაპირში ერთი პატარა კოშკი დგას დოღის მიჯნად). ხევისბერი ზარს მესამედ რომ შემოჰკრავდა, ყველანი მიანებებდნენ ცხენებს სადავეს და მათრახებსაც მიაყოლებდნენ.

მოედანი ქუჩაი ბალახით არის დაფარული და ცხენის სარბენად რბილი და ადვილია. ამ არემარეს არც ქვა მოიპოვება. ცოტა ხნის შემდეგ აღნიშნულ კოშკს გარს შემოუვლიდნენ გახელებული ცხენები. კოშკის წინ გადმოვიდოდნენ და განზე გაიშლებოდნენ მწკრივად პირსაზარისაკენ. ხევისბერი სამჯერ კიდევ დარეკავდა ზარს ნელ-ნელა. მესამე ზარის ხმაზე ერთბაშად გამოსხლტებოდა ყველა ცხენი. მათრახების ტყრიალით უცბად მოიყრებოდნენ საზარის ძირას განსაზღვრულ ადგილზე. ხალხი კიჟინით შეხვდებოდა ცხენების მოსვლას. ჩამოხტებოდნენ მხედრები, ცხენებს სხვები ჩამოართმევდნენ და იქითაქეთ ატარებდნენ. პირველ მომსვლელ ცხენს „დოღი“ ჰქონდა ერთი თულუხი ლუდი, მეორეს ერთი კოში, მესამეს ერთი თასი. დანარჩენები რჩებოდნენ უდოღოდ. ლუდს, რაც დოღად ერგოთ, ყველანი დალევდნენ — მხედრებიც და სხვა ხალხიც. ეს იყო სახატო დოღი. აქვე იყო წესად მიცვალებულის დოღიც. ვისაც ჰყავდა ახალი მიც-

ვალებული, ან ახალგაზრდა ვინმე იყო მკვდარი და პატრონს ემეტებოდა მისთვის, ისიც მართავდა აქ დოღს. ასეთ დოღში აყენებდნენ უფრო ხშირად პირველ მომსვლელისათვის ჭედილას, მეორისთვის ცხვარს, მერე ბატკანს, სხვებისთვის ფულს, მიცვალებულის ტანსაცმელს, ფეხსაცმელს და იარაღიც იცოდნენ დოღად. სასმელიც მიცვალებულის პატრონს ჰქონდა და სუფრასაც უმართავდა მხედრებს. ცხენებს გაისტუმრებდნენ აქაც ზარის რეკვით და იქიდანაც ისევ ზარის ხმაზე წამოვიდოდნენ. იმავე წესით სრულდებოდა ყველაფერი, როგორც ჯვარის დოღში. რაც ეძლეოდათ დოღში, იმასაც ყველაფერს შენდობას ეუბნებოდნენ. აქ საკლავს დაკლავდა დოღის პატრონი, იმისაგან გამართულ სუფრას ეტყოდნენ შენდობას. იმ წესით იხარჯებოდა ყველაფერი, როგორც მიცვალებულის სუფრაზე. სალაღებელს ხელზე ურიგებდნენ პურსაც და ხორცსაც, გარდა ხნიერი ხალხისა და პატივსაცემი სტუმრებისა.

ასეთი დოღი რამდენჯერმე განმეორდებოდა. ამასობაში საღამოც მოატანდა, ხევისბერი დროშას ააბრძანებდა და ხალხს დაამწყალობნებდა. ხალხი დამწყალობნების დროს კოპალას სთხოვდა ხევწნამუდარით, რომ, რაც რამ აწყენინეს, აპატიოს და მოწაღმართე ანგელოზი გააყოლოს, მგზავრობაში ხელი მოუმართოს და კვლავად უკეთესი გულით მოიყვანოს დღეობაში კოპალას სახელისა და ძლიერების სალოცავად. ხალხი მოამზადებდა ცხენებს და დაიშლებოდნენ. ვისაც ცაბაურთის მთაწმინდას უნდოდა წასვლა (მისი დღეობაც მეორე დღეს იყო), ცაბაურთისკენ გადაბანაკდებოდნენ. დასტურ-ხევისბრები აქედან წამოიღებდნენ, რაც დღეობიდან ერგებოდა და დროშით ჩამოვიდოდნენ უძილაურთაში. აქ ერთ ღამეს კიდევ დარჩებოდნენ ხატში, მეორე დილას კი გამოილოცავდნენ და გაყოფდნენ „ნაქათრს“ (ნახორი — ხევსურულად, დარჩენილი სურსათ — სანოვაგე), ხორცს, რაც ერგოთ. უკანასნელად დასტურნი და ხევისბრები მადლს მოსთხოვდნენ, ერთიმეორეს დაამწყალობნებდნენ და წავიდოდნენ თავთავიანთ სახლებში.

ამის შემდეგ მოდიოდა მ ა რ ი ა ნ ო ბ ა. მარიანობას ახალი წესი არაფერი იყო. სრულდებოდა ყველაფერი ისე, როგორც სხვა დღეობებში. მეზღვნე ამ დღეობაშიც ბლომად მოდიოდა, რადგან ყველგან გზა იყო გასული.

ამის შემდეგ იცოდნენ ნ ა დ ი. ნადში რიგის დასტური ლუდს ადუღებდა და იმ წესით იმკებოდა სანადოები ყველგან, როგორც აქ ერთ-ერთ ხატში არის აწერილი.

ამით მოთავდა დღეობების აღწერა.

კოპალას ჰყავდა ბლომად კურეტები. ხალხი ცოცხლად სწირავდა ერთი წლისას და მეტისასაც. შეწირული კურეტები გაერეოდა ძველ კურეტებში, ზაფხულობით მიუდიოდათ მთაში, აყენებდნენ მაშარას და უძილაურთის თავს, მთაზე. მეკურეტე მუდამ იყო ერთი ან ორი მწყემსი. კურეტები ინახებოდა სიბერემდინ, მათი დაკოდვა არ შეიძლებოდა (ხევსურეთში ლიქოკში კი კოდავდნენ და ისე ინახავდნენ). აქაური კურეტები ისე ავდებოდნენ, რომ გარეული ცხოველივით დადიოდნენ სოფელ-სოფელ და საძოვარ მთებში დაეძებდნენ ნახირს. ზოგიერთი გაველებული კურეტი ხევსურეთში როშკამდინ, ფშავში უკანაფშავამდე მიდიოდა. მათი რიცხვი ადიოდა ორმოცამდე და მეტიც. ზაფხულში მთაში, ზამთარში კი ორ-სამ ადგილსაც ინახავდნენ.

როგორც ვთქვით, ზემოთიანეთში კოპალას ყმანი ჰყავდნენ და სანადოებიც ჰქონდათ. კურეტების ნაწილი იქ მიუდიოდათ და ინახავდნენ იქაური ყმები. ცალკე გომური ჰქონდათ და აშმევდნენ სანადოების ჩალას. ნაწილი მიუდიოდათ კახეთში, ილტოზე, სოფელ შახვეტილაში. აქაც იყვნენ კოპალას ყმანი — ღანიშაანები. ესენი არიან ძირად ქისტები. კოპალას მოუყვანია ქისტეთიდან ქისტი, დაუსახლებია შახვეტილაში და ჩაუბარებია თავისი კურეტები. აქ ნიშიც არის კოპალასი, სადაც ღანიშაანები დასტურ-ხევისბრობენ კიდეც. აქ ზამთარშ, ᲨᲛᲔᲕᲐ არ სჭირდება, კურეტები ტყეში გადიოდნენ და გაჰქონდათ თავი. კურეტს ვერ დაკლავდნენ, თუ კოპალას ბრძანება არ იქნებოდა. ხევისბერს ხატი გააგებინებდა, რომელი კურეტი უნდა დაკლულიყო და ის გამოუცხადებდა ყმათ. კურეტს დაკლავდნენ შობას, სხვა დღეობაში არ კლავდნენ. კურეტის ხორცი ნახევარი რჩებოდა მეკურეტეს (მომვლელს), ნახევარს სოფელი მოხარშავდა და ჭამდა. ტყავი რჩებოდა მეკურეტეს. ზოგი კურეტი ხუთმეტ-თექვსმეტ წლამდინ რჩებოდა დაუკლავი და სწორედ ისინი დადიოდნენ გაველებული. კოპალას კურეტს ადვილად ვერც ნადირი რამეს გამორჩებოდა, არც ჭირნახულის წახდენაზე ვინმე წყრებოდა ძალიან. კაცი კაცს ეტყოდა: „შენ განა კოპალაის კურეტი ხარ, რომ ეგრე დადიხარ თავისუფლადო“. (კოპალას კურეტი აქ არც იკოდებოდა და არც ამუშავებდნენ. ლიქოკში, სადაც კოპალას სალოცავი იყო, კოპალას ხარებს ეძახდნენ. დაკოდილებიც იყო და ამუშავებდნენ კიდეც დასტურები). კოპალას ცხვარი ბევრი არ ჰყავდა, ორას-სამასზე მეტი არა.

ხევისბრობა მოდენილობით (მემკვიდრეობით) იყო, კოპლიაანთ გვარში და თათარაშვილების გვარში.

უძილაურები კაცი და დედაკაცი ყველა ერიდება ციეზე მისვლას, (ციეი: მიცვალებული), არცერთი მიცვალებულთან ახლო არ მივა.

მიცვალებულს სხვა სოფლიდან მოსული ხალხი ასაფლავებს. ვინც ციგთან იყო, ის ვიდრე ტანს არ დაიბანდა და იაზმას არ ისხურებდა, უძილაურების სახლში ვერ შევიდოდა. ნაცივარი სახლი ხომ სანამ საკლავით არ დაინათლებოდა, მასში შესვლა უძილაური კაცისათვის წამოუდგენელი იყო. მათი წარმოდგენით ციესა და რიოშს კოპალა ორივეს ერთნაირად ძალიან ჰკრთებოდა.

ს ხ ვ ა დ ა ს ხ ვ ა ა მ ბ ე ბ ი კ ო პ ა ლ ა ზ ე. ერთხელ კოპალას მეკულუხე მიდიოდა. ჩაბანოში გაიარეს. აქ ერთ ბებერს საფქვავი ეფინა. მეკულუხეს ძაღლები გამოუხტნენ და იმათთან ბრძოლაში საფქვავი დაფანტეს. ბებერმა წყევლა-კრულვა და ლანძღვა-გინება-დაუწყო მეკულუხეს. ხევისბერმა ბებერს უთხრა: „ჩავლით ჩამიშვი, ბებერო, და ამოვლით ამბავი მიამბეო". მეკულუხე ახმეტაში ჩავიდა. ამ ბებერს ორი ვაჟიშვილი ჰყავდა, ორივე ავად გაუხდა და მოუკვდა მეკულუხის ამოვლამდინ. ასე მოუვიდა ბებერს კოპალას მეკულუხის გალანძღვის გამო.

კოპალას ძალაზე ხევსურების წარმოდგენით მიამბო შოშია ქერაულმა (ხადუში მცხოვრებმა 52 წლისამ): „ერთი თუში მიდიოდა თიანეთიდან თუშეთისაკენ. თხილაში რომ გადავიდა, გზაში წამოეწია ძალიან ლამაზი ქალი, ერთის შეხედვით თუშსაც მოეწონა. ქალი თუშს მიუახლოვდა და დაეჯახა. მაშინვე გავსხვარიგდიო, — თქვა თუშმა, — დავბორბოწიავდით და მერე აღარაფერი ვიცი, რა მოხდა და სად ვიყავითო. გონზე რომ მოვედი, ქაჯეთში ვიყავი, იქაურობა სავსე იყო ქაჯებით. ვინ იცის, იქ რამდენ ხანს ვიყავით, ქაჯები ორჯერ სადმე წავიდეს და მე არ წამიყვანესო, მესამედ რომ წავიდეს, მაშინ კი მეც თან წამიყვანეს. სადაც მივედით, იქ ხთიშვილნიც იყვნეს და ქაჯნიც. გავიგე, რომ ხთის კარზე ვიყვენითო. ქაჯებს ხთიშვილნი ისეთ მიჭუჭკვილნი ხყვანდეს, რომ ჩუჩუნის საქნარი არ ჰქონდა. თურმე ქაჯებს ხთიდან ნება აქვს მზის დაბრუნვის დროს ხთის კარზე მისვლისა და თამამად ქცევისა. ამ დროს ხთისშვილნიც ხთის კარზე იყრიან თავს. მე ქაჯებს თან ვყავდი და არცად არ მიშვებდნენ, ხოლოთ შორიდან კი ხთიშვილთაც ვხედავდი და ვიცოდი, რასაც აკეთებდნენ. გავხენე და მინდორი ქაჯ-მანდილოსანთ სრუ ეჭირა, ხთიშვილნი იმათგან შეწუხებულნი, მიჭუჭკვილიყვნენ ხთის კარზე. მემრე ხთიშვილთა ჯერ ერთხან სადამ წალალეს კაცი, არავინ მოვიდა. მემრე მეორედ სადამ წალალეს კაცი, არავინ მოვიდა, მესამედაც რო კაც წალალეს (კაცში ნაგულისხმევია ერთ-ერთი ხთიშვილი, მოპატიჟე), ქაჯებს არევდარევა შაეტყვ, შაშინდეს სადამ; მემრე თქვეს: კოპალა მოვაო და ჩვენი საქმე ცუდად ასავ (კოპალა თურმე ხთიშვილთ დაუპატიჟებლად არ მოვიდოდა, ისიც პირველ მაწევარს არ გამოჰყვებოდა. მესამე მაწევრის მოსვლამდინ არ წამოვიდოდა, როცა ხთიშვილნი ხთისკარზე იყრიდნენ

თავს). მავიდ კოპალაი-დ იმ მინდორს სრუ ცეცხლ გაშჩინდ, სადაც ქაჯ-მანდილოსანნი იყვნეს. სრუ დაკვლად აქცივ, ქაჯებ დაწვ ცეცხლში. სხვა ყველა დაიწვა და მე დავრჩივ მარტოივ — თქვა თუშმა. კოპალამ გაიგ, რო მე ჯორციელ ვიყავი — იმით დავრჩი. მავიდ ჩემთან, მკითხ: „ვინ ხარავ, შენ აქ რას აკეთებავ?! მიაც უთხარი ჩემ თავს გადასავალი საით მოვედ აქ — რა დაგჩავ შინავ კაივ, — მითხარ; მე მამგონდ, ცოლი-დ ცხენ დამჩესავ კაებივ. მაგრამ მანამ ვეტყოდი, — ყროლ მაგგონდავ, არ სთქოვ! მიაც მალევ მავისაზრე, ეუთხარ: „ქორან ჯარნიო-დ მამულნ მამჩესავ“. „ჯარნიო-დ მამულნი მიაო-დ შენ — ჯალაფნიივ“, მითხრ. ეს რო მითხრ, მემრ აღარ ვიცი, რაი ვქენი-დ წელწად შინ საითამ მავედ. მე ის არ ვიცოდი, ქაჯეთში რამთვენ ხან დავლიე. შინ მისულს მითხრეს: სამს წელს იყავივ დაკარგულივ“.

მერე ეს ხარებიც ორივე კარატის ჯვარისათვის ე. ი. კოპალასათვის დაუკლიათ, მამულიც კოპალას შესწირეს თურმე ამ თუშისა. წელობამდინ იყო იქ კოპალას მამული და კოპალას დროშაც დადიოდა იქ ლიქოკიდან.

ცაგაურთის მთავარანგელოზი და მისი დღეობები

ჩამაწერინა მთავარანგელოზის ძველმა ხევისბერმა ლევან თათარაშვილმა, მცხოვრებმა სოფელ ჩარგალში, სამოცდახუთი წლისამ:

ერთი კაცი, ალბათ თუში იქნებოდა, ცხოვრობდა თუშეთში, სოფელ დანოში. ამავე დროს ყვარელში მდინარე ბურსას გვერდზე ყოფილ> სატახტო ქალაქი, სადაც მეფე ცხოვრობდა. (ნაქალაქარი ახლაც ეტყობა ყვარლის ტყეში და ნატანტარს ეძახიან). დანოდან ეს კაცი წამოვიდა და მეფეს სთხოვა — აქ დავსახლდებიო. მეფემაც ნება დართო. დაიწყო ცხოვრება ამ ქალაქში. მერე ქალაქს დაღისტანი შემოესია, მეფეც მოკლეს და ქალაქი გადაწვეს. ვინც მოასწრო, ქალაქიდან გაიქცნენ და შეიხიზნენ მთებში (ნატახტარს ახლაც ეტყობა დამწვრობა). ეს თუშიც გამოიქცა და გადმოვიდა იორზე. სოფელ კერნოვანში გაიკეთა ეკლესია და წმიდა გიორგის ჯვარზე ლოცულობდა. აიშენა ციხეც ოთხთვლიანი, რომელიც ახლაც ისევ დგას. აქ ეს კაცი ისე გამრავლდა, რომ მისი შვილ-შვილიშვილი აღარ დაითვლებოდა. გაკეთდა დიდი სოფელი და თანაც მდიდარი. გაიგეს ლეკებმა ამ სოფლის სიმდიდრეზეც. ორმა თავგამოჩენილმა ბელადმა შეკრიბა ჯარი და დაეცნენ ამ სოფელს. ჯერ პირველი ბელადის ჯარი ჩამოვიდა და ბელადმა ზევიდან დაჰკივლა. ხალხმა გაიგო მტრის მოსვლა და შეიარაღებულნი გამოვიდნენ ციხიდან. ბელადმა დაინახა, რომ ბევრი ხალხი გამოიშალა და თქვა: „დახე, რა ხუხუნი გამოიღესო“. მას აქეთ დაერქვა ამ გვარს ხუხუნაშვილები. პირველი ბელადის ჯარი დაეცა სოფელს და გაიმართაბ ბრძოლა. დამხვედრებმა სძლიეს და გაანადგურეს ჯარი,

ჭოჰყვა ამას მეორე ბელადი თავის ლაშქრით. ამასაც შეეგებნენ ხუხუ-ნაშვილები, ლაშქარი დაამარცხეს და ბელადი ცოცხლად დაიჭირეს, მოსჭრეს ცხვირი, მარჯვენა ყური, მარჯვენა ხელი და ისე გაუშვეს, — წადი და შენს ლეკეთში თვითონ წაიღე შენი გამარჯვების ამბავიო. ამ ამბის შემდეგ იცოდნენ, რომ კარგი დღე აღარ დაადგებოდათ, ლეკის ჯარი დაესხმოდა თავს და გაანადგურებდნენ. აქედანაც აიყარნენ და წავიდნენ (ის ციხე და ეკლესია იქ ისევ არის), შემოიხიზნენ და მზილას დასახლდნენ, სიმაგრე კლდეებში, მდინარე ნაროულას სათავეში, ცაბაურთის გვერდზე. მათი ნასახლარები ახლაც ეტყობა ამ კლდეებში. აქედანაც აიყარნენ და გაიფანტნენ სხვადასხვა ადგილებში. ზოგი რუსეთში წასულა, ზოგი სათათრეში, ქართლში (კასპში) და ერთ სომხეთში, რომელიც მისულა ერთ წმიდა ბერთან. ეს ბერი ამავე დროს ყოფილა გმირი. ერევნის ქალაქი მას ემორჩილებოდა და მათგან ბეგარას იღებდა. მისული კაცი ამ ბერთან და მებაღედ დამდგარა. მან რამდენიმე წელიწადი იცხოვრა აქ. მერე ხმა დავარდა, რომ ერევანს მტერი უნდა შემოსეოდა და გაენადგურებინა ქალაქი. ამის გამო ბერი წამოვიდა იქიდან და მებაღეც გამოჰყვა. მოვიდნენ და თიანეთის ზემოთ პატარა გორზე დასახლდნენ. ააშენა ბერმა პატარა ეკლესია და ლოცულობდა აქ. ამ ადგილს ახლაც ბაღიანი გორი ჰქვია და მისი ეკლესიაც აქვე არის. აქედანაც მტრის შიშით აიყარა და წამოვიდა. ჯერ დასახლდა კაწალხევში, მერე მოწმაოში და აქედან ცაბაურთაში. აქ დასახლდა ახლანდელ ბეღლის კარს. თავისი მებაღის მოდენილობიდან მოიყვანა სამი კომლი და ცაბაურთაში დაასახლა. აქაც აიშენა პატარა ეკლესია და ლოცულობდა. აქედან თავისი მებაღეებით გადასახლდა მათურაში. აქაც სამლოცველო ეკლესია გაიკეთა. აქედან მტრისავე შიშით ისევ აიყარნენ და დასახლდნენ ცაბაურთაში. იმისი სამლოცველოს ადგილზე ახლა ბეღელია და ბეღლისკარი ჰქვიან ამ ადგილს. ეს ბერი დეიდაშვილი იყო იახსარისა და კოპალასი. ლევანი ამბობს: „იახსარისა და კოპალას დედას რუსუდანი ერქვა, მთავარანგელოზის დედას მარიამი. ესენი დები იყვნენ. ეს ბერი მთავარი იყო და ბოლოს მთავარანგელოზად იქცა, როცა ხვთიშვილი გახდა. კოპალა და იაკსარი გმირები იყვნენ და მეომრები, დევ-კერპთად მებრძოლები, მთავარანგელოზი ე. ი. ყოფილი ბერი იყო ხთის მლოცველი.

ბოლოს ქისტის ჯარი დაეცა ცაბაურთას და ააოხრა. მთავარი ბერის ეკლესიაც ქისტებმა დაანგრიეს. ამის შემდეგ ბერი დაუმეგობრდა პირქუშს — მჭედელს და თავისი სურათი გააკეთებინა დროშაზე. ჯერ თვითონვე დადიოდა ერევანში და თავის ყმებისაგან ბეგარს იღებდა: წელიწადში სამოც ცხვარს და სამოც ხარს. მოუდიოდა ბეგარი და ყმანი — ხოხორდაულნი ინაწილებდნენ. ცაბაურთას ქისტის ჯარი მეორედ დაეცა და იმის შემდეგ აღარავინ იცოდა, სად წავიდა ეს ბერ-

ყმანი ხოხორდაულნი კი აქ დარჩნენ. ბოლოს ეს ბერი გამოცხადდა მთაწმიდას მთავარანგელოზად და თავისი ყმები მთაწმიდას მოითხოვნა (ცაბაურთის თავი მაღალი მთაა, სადაც წელიწადში ორჯერ დღეობობდნენ: წელწადში და მთაწმიდობას ზაფხულში). ყმანი მთაწმიდას ავიდნენ. მთავარანგელოზმა თავისი პირველი ხევისბერის — გამახარე ხოხორდაულის პირით გამოუცხადა: „მე დამბადებელმა თქვენ სალოცავად ჩამომგზავნა, სისხლის ნამსა და მზის შუქს ჩამომაყოლა და თქვენი თავი ყმად ჩამაბარაო". ხოხორდაულთ მაშინვე ყმობაზე თავი დასდვეს და ხევისბერის ბრძანებით შეუდგნენ საკულტო წესების შესრულებას. ამის შემდეგ მთავარანგელოზმა დამბადებელს მოსთხოვა საბძანებელი და სანადო მამულები. დამბადებელმა მისცა ის ადგილი, სადაც ეკლესია ჰქონდა წინათ და აქვე მისცა სანადო მამულებიც. მერე ცაბაურთაში სამ ადგილას გაკეთდა მთავარანგელოზის სამლოცველო: ბეღლისკარი იყო სოფელ ცაბაურთიდან აღმოსავლეთ მხარეს, იქვე სოფლის ახლო, და მამულებიც აქ იყო სახატო. მეორე სამლოცველო იყო ღუნხევს — ცაბაურთის ზემოთ ჩრდილოეთ მხარეს. აქ მთავარანგელოზი ბურთაობდა. ხევისბრები ასე იტყოდნენ: „ღუნჯევს მებურთვალო". მერე მთაწმიდას, სადაც პირველად დაარსდა მაღალ მთაზე, საზარე და კოშკი ააშენეს, აქვე იყო საბეროც. ღუნხევსაც და ბეღლისკარსაც საზარე, სალუდე, საბერო და ბეღელი იყო და ისევაც არის. ბეღელი იხმარებოდა საპურედ. ახლაც ისევ არის, ოღონდ ცარიელი. დროშა დარჩა თვით ბერის სურათით პირქუშის გაკეთებული და თვითონაც დაუმატეს ზოგიერთი რამეები, მაგალითად: შუბები, ბაღდადები და სხვა.

პირქუშის გაკეთებული დროშით, რომელიც ბერის სურათით იყო შემკული, დაიწყეს ერევანში სიარული და ბეგრის აღება ბერის ყმათაგან. მიდიოდნენ დასტურ-ხევისბრეში და ყმანი ხოხორდაულნი. ხოხორდაულთ ცაბაურთის სხვა მცხოვრებნიც შემოუერთდნენ მთავარანგელოზის ყმად. მაგალითად: ჩიტონი, გოგნელანი და ბეკურაულნი. ესენიც ისეთივე ყმანი გახდნენ, როგორიც იყვნენ ხოხორდაულნი და ასეთსავე მონაწილეობას ღებულობდნენ მთავარანგელოზის სამსახურში. ამათაც დაიწყეს ერევანში გაყოლა ბეგრის ასაღებად. მოტანილ ბეგარაშიც წილი ედებოდათ. მოყვანილი ხარები ზოგი ცოცხლად ინახებოდა, ზოგს დაკლავდნენ და ხორცს ინაწილებდნენ. ცხვარს კი ხატის ცხვრად უშვებდნენ.

იახსარმა, კოპალამ და მთავარანგელოზმა ადგილებიც გამიჯნეს. მთავარანგელოზმა და კოპალამ თავის ადგილებს მიჯნა არ გაუკეთეს, რადგან ორივენი უწყინრები და კარგები იყვნენ. იახსართან კი ორივემ მიჯნა გაიკეთა, რადგან იახსარი ავი და უხდინარი იყო. მთავარანგელოზი და კოპალა იახსარის ადგილში თავის ყმას არ მისცემდნენ

დასახლების უფლებას, არც იახსარის ყმას გაუშვებდნენ თავის ადგილში საცხოვრებლად.

ერთხელ წავიდნენ ერევანში ბეგრის ასაღებად მთავარანგელოზის დროშით და პირქუშის გაკეთებული სურათით (ერევანში, დროშას და ზედ იმათ ბატონის სურათს რომ დაინახავდნენ, იცნობდნენ და დაუზარებლად აძლევდნენ ბეგარს). მისულებს ბევრი სასმელი დაალევინეს. ერთმა მღვდელმა ჯვარი მოპარა და ხიდის ყურში დამალა. ეძებეს ხატი (ჯვარი) და ვეღარ იპოვნეს. ერევნელებმა უარი უთხრეს: ჩვენ არ ვიცით, ვინა ხართ. თუ ჩვენის ბატონის ყმანი ხართ, მოიტანეთ მისი დროშა და სურათიო. მისულებმა ვეღარაფერი უთხრეს, რადგან ხატი აღარ ჰქონდათ და წამოვიდნენ ცარიელები.

რამდენიმე წლის შემდეგ ერთმა ხოხორდაულმა მოიგონა მკითხაობა იმ მიზნით, რომ თავისი ხატი ეპოვნა და წავიდა ერევანში. მალე გაითქვა მკითხაობის სახელი. თან ჩუმად კითხულობდა, სად იყო მათი ხატი დამალული და ვინ მოიპარა. ეს ყველაფერი გაიგო. ახლა იმ ამბავმა შეუწყო ხელი, რომ რაც ეს ხატი მოიპარეს, მას აქეთ რამდენიმე წელი იყო და ერევანში ცას ნამი აღარ ჩამოვარდნილა. მოსავალი არ მოვიდა და ხალხი სიმშილით იხოცებოდა. აბრალებდნენ ხატის მოპარვას, მაგრამ სადაც დამალული იყო, იქიდან მის გამობრძანებასაც ვერვინ ბედავდა. ვინც მოიპარა, ის მღვდელი აღარ იყო ცოცხალი და იყო ხალხი შეწუხებული. ამ უწვიმრობის შესახებ მკითხავთან მოვიდნენ და მკითხავმა უთხრა: თქვენ მოგიპარიათ წმიდა ბერის დროშის ხატი, ის ხიდის ყურში არის დამალული და თუ არ მოიშორეთ, გვალვას კი ნუ სჩივიხართ, ერევანი ცეცხლში გადაიწვებაო. ხალხმა სთხოვა მას: ოღონ ის ხატი მოგვაშორე და რაც გინდა გადაგვახდევინეო. მან უთხრა: მე საიდან მოგაშორებთ, ჯერ ქალაქი რა დღეში ხართ და მე ერთი კაცი მაგას რას გაუხდებიო. ეს კაცი ხატის წამოსაბძანებლად იყო მოსული, მაგრამ ეჭვი რომ არ აეღოთ, მაინც უარს ეუბნებოდა. ბოლოს უთხრეს: თუ მოგვაშორებ ამ ხატს, ორი უღელი ხარ-კამეჩი რასაც დასძრავს, ოქრო-ვერცხლს გაგატანთ და თუ არ მოგვაშორებ, მოგკლავთო. დათანხმდა ეს კაცი. ჯვარი ხიდის ყურიდან გამოაბძანა და წამოიღო მათი მიცემული ოქრო-ვერცხლიც და ჯვარიც.

ხოხორდაულები ზოგნი თიანეთში ცხოვრობდნენ, ზოგნი ცაბაურთაში. ამ კაცმა რაც კი ერევნიდან მოიტანა, ზოგი ხატს შესწირეს და ზოგი თვითონ ძმურად გაიყვეს.

მამულები

მამულები, როგორც ვთქვით, ცაბაურთ სოფელთან ახლო იყო, აღმოსავლეთ მხარეს და სახარნადოს ეძახოდნენ. იხვნოდა ნადით. ნადში ხარები აფშოდან, ჩარგლიდან და ცაბაურთიდან მოდიოდა, როცა ხე-

ვისბერი შეუთვლიდა დანიშნულ დღეს, ნადში ყველანი მოქუჩდებოდნენ და შეაბამდნენ ხარებს (ცაბაურთაში ერთუღელა ხარით ხნავენ). ამ დროს დასტურ-ხევისბრებიც აქ იყვნენ. პირველად ხევისბერი მოიხდიდა ქუდს და დაამწყალობნებდა ყმათ. ყმათაში ერთგულ მუშათ, სახატო საქმისად თავდადებულთ და უსურვებდა მთაგარანგელოზის დიდებით და წყალობით მშვიდობიანი და ღალიან-ბარაქიანი ზაფხულის მოსვლას. მერე გაუჯავრდებოდა ხარებს და ერთ-ორ კვალს თვითონ გაატარებდა. სხვებიც შეეხვეწებოდნენ ღმერთს და მთავარანგელოზს მშვიდობიანი ზაფხულის დადგომას და დაიწყებდნენ ხვნას. აქედან დასტურ-ხევისბრები წავიდოდნენ და კოდს გახსნიდნენ. კოდის გახსნა იმავე წესით იცოდნენ, როგორც სხვა დღეობებში არის აწერილი. კოდის გახსნის შემდეგ დასტური წააყენებდა ერთ საკლავს სასაკლაოზე, სადაც ხევისბერი უკვე იდგა და შეუდგებოდა დიდებათ: „დიდება ღმერთსა, ცათა და ხმელთა დამდგმელსა, რჯულ საქრისტიანოს დამაარსებელსა, დიდება დიდს კვირასა — ხთის მაღლის მოკარვესა. დიდება შენდა, ჩვენო სალოცაო დიდო მთავარანგელოზო. გეხვეწებითა და გევედრებით დალოცვილო ჩვენო სალოცაო, შენს ხსენებასა და შემოძახილზე ნუ გაგვიწყრები, ნუ გაგვირისხდები. გახვეწებთ და გავედრებთ შენთ ყმათა და საყმოში დღეს ნადში მომსვლელთა, ოფლით მაშვრალთა. შაიხვეწენი და შაივედრენი, შენი ხსენება-დიდება სასიხარულოდ გაუკადე და სასინანულოდ ნუ გაუკდი. ჯარის ნაკნავსა და ნამაშვრალს ჯვარი დაუწერე და მადლი და ბარაქა დაუტანე, ზაფხულობა მშვიდობისა დაუყენე, ჯვარ დაუწერე თავის მარჯვენისა და ჯარის ქედის ნამაშვრალ-ნამუშავლისა, ნადობა სასიხარულოდ გაუკადე, სასინანულოდ ნუ გაუკდი და კვლავ უფრო მშვიდობით და სიხარულით დაასწვრენ შენ ყმანი ნადსა და ზაფხულ-შემოდგომას“... დანარჩენი დიდება იმ წესით გრძელდება, როგორც აწერილია იახსარში.

ამის შემდეგ საკლავს დაკლავდნენ და ლუდიან თასებზე და სანთელ-საწირზე კიდევ ადიდებდნენ მთავარანგელოზს, დაამწყალობნებდნენ ყმათ და ჩვეულებრივი წესით გამოცლიდნენ სადიდებელ ზედაშეს. მერე დაასხამდნენ ჩხუტში ლუდს, გაიტანდნენ სახარნადოში და დაალევინებდნენ ხალხს. ხარებს ყველანი ერთბაშად დაასვენებდნენ. თითო თას ლუდს დასტური ყველას დაალევინებდა. ხევისბერი მომავალი ზაფხულის სასოფლო საქმეებზე ელაპარაკებოდა, მაგალითად, ჭირნახულის დაცვაზე, ჭირნახულის დალევის (წახდენის) ჯურუმზე და სხვა სასოფლო-სახატო საჭირბოროტო საკითხებზე. ამის შემდეგ შეუდგებოდნენ ხვნას. ლუდს დასტური თან მოაყოლებდა და ასმევდა ხალხს. ხვნა რომ დამთავრდებოდა, ერთ-ერთ უღელ ხარს შეაბამდნენ ფარცხში. ერთი ხევისბერი, რომელსაც პური ებარა, ქუდმოხდილი თესლს დათესავდა და დასტურები დაფარავდნენ. გუთ-

ნის გაშვების შემდეგ ყველანი სალუდესთან მოიყრიდნენ თავს. ხორცი უკვე მოხარშული დახვდებოდათ. სუფრას გაამზადებდნენ (ხალხისაგან იყო მოტანილი საწირავები, ისეთივე, როგორიც აწერილი არის იახსარში და სხვაგან), სუფრასთან ჩხუტით ლუდს დადგამდნენ, თასს ლუდით აავსებდნენ და იმასაც იქ დადგამდნენ, აანთებდნენ სანთელსაც და ხევისბერი შენდობას ეტყოდა მთავარანგელოზის ძველ და ახალ მიცვალებულ ყმათათვის და უპატრონო მკვდრებისათვის. შესანდობარ თასს ჩამოარიგებდნენ და ყველა დალევდა. მერე ჩამოურიგებდნენ ხელზე ხორცს, პურს და იმართებოდა ლუდის სმა. დაღამებამდინ გრძელდებოდა ეს სუფრა, მერე დაიშლებოდნენ. მოხნულს მომკამდე დასტურები პატრონობდნენ. სათიბეებსაც ისინი თიბავდნენ თავის სასარგებლოდ.

ყანა რომ სამკლად შემოვიდოდა, ხევისბერი გამოუცხადებდა ყმათ: ამა და ამ დღეს მთავარანგელოზის სახარნადოა სამკელი და აგრემც შეგეწევათ ჩვენი სალოცავი, ნურავინ დააკლდებით, სადიდებულო, მთავარანგელოზისა არის და სამწყალობნო თქვენ თავ-ჯალაფობისაო. ხალხი დაემორჩილებოდა ხევისბერის სიტყვას და მოიყრიდნენ თავს ნამგალ-სათითეებით. ლუდი დასტურთაგან დამზადებული იყო. ჩვეულებრივად კოდს გახსნიდნენ და ლუდს მომკელებთან მიიტანდნენ, იმათაც დაალევინებდნენ. პირველად ხევისბერი დაიწყებდა მკას და სხვებიც მიჰყვებოდნენ. ამ დღეს ორი ან სამი საკლავიც დაიკვლოდა და სადილი მზადდებოდა. თან მკიდნენ და თან მღეროდნენ:

ამ ყანას ხო მომკა გვინდა, საზიაროს ჩემსა, შენსა,
თუ ეს ყანა ვერ მოვმკევით, დედა არ გაგვიშვებს მთელთა,

და სხვ. მკიდა ყველა, ქალი და კაცი; ქალები, რომლებსაც დედათწესი არ ჰქონდათ. თუ იმის შემდეგ ხუთი დღე არ იყო გასული, ქალი არც მივიდოდა ხატის ყანაზე. ქალ-ვაჟები მკაში ერთიმეორეს ეჯიბრებოდნენ. ზოგი მესვეური იქნებოდა, ზოგი მეკუდური. მესვეური წინ მიმკიდა და მისჭრიდა ყანას. სხვები თან მიჰყვებოდნენ. მეკუდური სულ უკან შისდევდა და ყანის ნარჩენ ნაპირს მიარჩევდა-მიმკიდა. იყო ერთი ალიაქოთი — მკა, ლუდის სმა და სიცილ-ხუმრობა. გაიყოფოდნენ ორ გუნდად და აჩქარებული კილოთი მღეროდნენ. ჯერ ერთი სიმღერისთავი იმღერებდა, მერე მეორე გუნდის სიმღერისთავი, მეორე გუნდი კი ეტყოდა ბანს:

მესვეურმა დაუძახა — მეკუდურო ხარღაეო,
თიკნის კოსროს გადმოგიგდებ, გახჭრა შაგიძლავღაეო?

მომკელებს თან მკონავები მისდევდნენ ეჯიბრებოდნენ — ისინი უფრო მალე შეკონავდნენ ძნებს, თუ მომკელები მეტ ხელეულს დააგროვებ-

დნენ და მკონავები ვეღარ მოასწრებდნენ შეკონვას. სხვები აქუჩებ-დნენ (აგროვებდნენ) ძნებს, ზოგნი წერეებს დგამდნენ (წერა: ხუთი ძნა იყო და ერთიმეორეზე მიაყუდებდნენ გამოშრობის მიზნით. ძნა აქ წვრილი იციან, თითო ხელეულისა). სალამოხანზე მკა დამთავრდებოდა, გაიმართებოდა პურის ჭამა. სუფრა ილოცებოდა უპატრონო მკვდრებისათვის.

ძნა კარგა ხანს წერებად დარჩებოდა. როცა გამოშრებოდა, მერე დასტურები გადახუთულავდნენ. შემოდგომაზე დასტურნივე მათ მიიტანდნენ ხატის კალოზე, გალეწავდნენ და გაანიავებდნენ. აქ ხევისბერი იყო მეპურე, რომელსაც მარტო პურის შენახვა-გაცემა ევალებოდა. როცა პურს გაანიავებდნენ, მოვიდოდა პურის შენახველი ხევისბერი და ერთ საკლავსაც მოიყოლებდა. ამ დროს თავხევისბერიც აქ იყო. პურის შემნახველის ხელმხრის სანათლავ საკლავს დაკლავდა ჩვეულებრივი დიდებით, ხელებზედაც სისხლს იწევდა და გულზედაც. ტყავი და ხორცი სახლში მიჰქონდა. აქ მარტო მხარი რჩებოდა თავხევისბერს. ხელმხრის ნათვლის შემდეგ შევიდოდა ბეღელში. გარედან დასტურები მიუტანდნენ ქერით სავსე ტომრებს, ის იქიდან გადაიტანდა და ბეღელში დასცლიდა. რამდენი პურიც თესლობამდე დასჭირდებოდა დღეობებს, ამას ანგარიშით ცალკე ჩაყრიდნენ სალუდეში ცარიელ კოდებში. დანარჩენი ინახებოდა ბეღელში. ბეღელში მეპურე ხევისბერი წელიწადში ორჯერ შედიოდა: ერთხელ, როცა გაილეწებოდა, მაშინ ინათლავდა ხელმხარს და ჩაყრიდა პურს; მეორედ, როცა სათესლე პური უნდა გამოეტანა. მაშინაც გაიბანებოდა, საპურეში უქუდოდ და ფეხშიშველა შევიდოდა და გადმოუწყავდა სათესლე პურს, მაშინაც დიდის მოკრძალებით და ხვეწნამუდარით: დალოცვილო ჩვენო სალოცაო მთავარანგელოზო, შენ გეეედრები, გეხვეწები. შამივედრე და შამიხვეწე. ნუ შამისაწყინდბი ჯორციელსა შენს წმიდა ბეღელში შემოსვლაზედა და შენთ ქერ-ოქროთაში ჯელის არევაზედა. შენ უშველე შენთ ყმათაცა, მშვიდობით გატანილი თესლის ჭირნახული, მშვიდობით მოაკლებიე და ზაფხულობა მშვიდობისა დაუყენე, შენის ძალითა და ძლიერებითა, დალოცვილო".

ასე გადმოუწყავდა თესლს, რომელიც დასტურს მიჰქონდა სეხარნადოზე დასათესავად. გალეწილი პურის ჩალა და ბზე დასტურს მიქონდა.

სალუდეში კოდები და აქ დღეობებში საკმარი პური (ქერი) ინახებოდა. გამოანგარიშებული იყო, თითო დღეობაში რამდენი ქერი დასჭირდებოდათ და ამდენის რაოდენობით იყო ჩაყრილი. ამ კოდებიდანაც ისევ მეპურე ხევისბერი გამოუწყავდა დასტურთ, რამდანიც სჭირდებოდათ. ეს თვითონ მეპურემ ზეპირად იცოდა და ისე აძლევდა.

სალუდეში შესვლა პურიან კოდებთან დასტურთაც შეეძლოთ, მხოლოდ ჩაყრა ქერისა და ამოღება ხევისბრის საქმე იყო.

ცალკე განსაკუთრებული სახატო სათიბები, როგორც ხევსურეთში იცოდნენ, აქ არ იყო. არც ტყე ჰქონდა ცალკე ხატს გარდა იმ ადგილებისა, სადაც საარსო-საბრძანებელი იყო. საარსო ადგილებში კი ყველგან იყო ხალხისაგან დარგული იფნები, მუხები, ცაცხვები და ზოგან არყებიც, სადაც გვარობდა. ხეებს რგავდა ხალხი თავის სამწყალობნოდ. ყველა ხატებში იყო დაცული მსხვილი ხეები. აქედან ერო ნაფოტსაც ვერავინ წაიღებდა სახლში. თითო ხის დარგვა თითო საკლავზე მეტად მიაჩნდათ სალოცავებს და მის დამრგველს მეტი წყალობის იმედი ჰქონდა. როგორც საკლავის შეთქმა იცოდნენ, ისევე შეუთქვამდნენ ხის დარგვასაც. შეარჩევდნენ ისეთ ხეს, სადაც როგორი გაიხარებდა. დარგულს უვლიდნენ, მანამ გამთელდებოდა, ან მანამ პირუტყვის მისაწვდენი იყო ტოტებისათვის, მას პატარა გოდორს შემოუღობავდნენ. მკითხავებისა და სახატო ენით ამ ხეებს „ხემხვივანთ“ უწოდებდნენ. შემომწირველთ ცოცხლებსაც ამწყალობნებდნენ და ხატში, როცა სუფრას შენდობას ეტყოდნენ და უპატრონო მკვდრებს მოიგონებდნენ, იტყოდნენ: „თუ ვინმე უპატრონო მკვდარი იყოს და ჩვენ სახელდობრ ვერ ვიჯსენიებდეთ, ჩვენი სალოცავი კი არ ივიწყებდენ, დანამადლისი ჰქონდეს ენითა, ჯელითა, არა და ხემხვივნითა“. ასეთი ხსენება სიკვდილის შემდეგაც ჰქონდათ ამ ხეების დამრგველებს. ამიტომ ხშირ შემთხვევაში ცდილობდნენ ძველები ხეების დარგვას. აქედან პატარა ჯოხიც რო წაეღო ვისმე ბავშვს, მშობლები ისევ წაიღებდნენ და საიდანაც აიღო, იქ დადებდნენ, თან დიდის მუდარით სთხოვდნენ ეპატიებინა ეს დანაშაული. აქედან რამის წაღება დიდ რისხვად მიაჩნდათ თავისი სალოცავთაგან. მოსალოდნელი იყო ოჯახისათვის დიდი უბედურება. ეს ხეები სიბერისაგან რაც თავისთავად მოტყდებოდა, ან ტოტები ჩამოვარდებოდა, იყენებდნენ ხატში ლუდის სადუღებლად, ხორცის მოსახარშად. დასტურ-ხევისბრებიც ხატში ყოფნის დროს ამ შეშის ცეცხლს ინთებდნენ.

ხევისბრობა პირველად მოდენილობით იყო და მერე სხვებიც მიჰყავდა (ხატს) და თავთავის საქმეს აბარებდა. ზოგი იყო მაგანძური, სხვა მეპურე. მგზავრი დროშა, საკლავის დაკვლა და სანთლის მონთება თავხევისბერს ებარა, ხთიშობლის დროშა სხვას, სალაშქრო დროშა სხვას და ასე ცხრა-ათამდე ხევისბერი იყრიდა თავს, მხოლოდ ყველანი ემორჩილებოდნენ ერთ ხევისბერს, რომლის პირითაც სალოცავი მბრძანებლობდა და თავხევისბერადაც ის ითვლებოდა. პირველ გახევისბრებაზე ხევისბერი ცხრა საკლავით ინათლავდა ხელ-მხარს. თუ ერთბაშად შესაძლებლობა არ ჰქონდა, თანდათანობით შეასრულებდა საკლავების რაოდენობას. სიწმინდე აქაურმა ხევისბერებმაც ჩვეულებ-

რივად იცოდნენ. ერიდებოდნენ რიოშიან ადგილ-გზებს, ცივს (მიცვალებულს), ნაცივარ სახლს და სხვ. იბანდნენ ტანს ცივ წყაროებზედ. ცაბაურთაში ერთ წყაროს ხატის ხელოსანთ წყალთ ეძახიან ახლაც. იმ წყაროზე ხევისბრები ახალწელსაც კი იბანდნენ ტანს. გახევისბრება ხდებოდა მომიზეზებით, ან ავად გახდებოდა და მკითხავები ურჩევდნენ. შეიძლება თვითონ ახლად მიმსვლელი ხევისბერი გაექადაგა და მისულიყო პირდაპირ ხატში, მერე თვითონ ხატივე ჩააბარებდა ერთ-ერთ საქმეს. ამას კი თავხევისბერის პირდთ ბრძანებდა.

დასტურობა

დასტურები დგებოდნენ მორიგეობით, — ორი დასტური ერთ წელს და სხვები მეორე წელს. დასტურები აქ ხატში არ ცხოვრობდნენ, როგორც ღელეს და ზოგიერთ სხვა სალოცავებში. წმინდობდნენ, მაგრამ დღეობამდე თავთავის სახლებში ცხოვრობდნენ, დასტურობდნენ როგორც ცაბაურები, ისე სხვადასხვა სოფლებიდანაც. ჩარგლელები, ბეტისჩდილელები და აფშოვლები. ერთ-ერთი დასტური იქნებოდა ცაბაურთიდან, მეორე კი სხვა სოფლიდან მოდიოდა. აქაც რიგით მოაყოლებდა სოფელი და სხვა სოფლებშიც რიგით მოუდიოდათ. საფორე ქერს სხვა სოფლის დასტური აქედან წაიღებდა და იქ დაამზადებდა. ფქვილს და სვეს მოიტანდა და ლუდს აქ უდუღებდნენ სალუდეში.

პირველი დასტურობა იწყებოდა ახალწლიდან. ძველი დასტურები გამოიცვლებოდნენ და ახლები დადგებოდნენ. როგორც იახსარში ვგაქვს აღწერილი, ისეთივე წესით. აქაც გადამდგომი დასტურნი დაკლავდნენ გამოსალოცს საკლავს და დამდგომი დასტურნი შესალოცს. პირველი საკლავი დაიკვლებოდა გამოსალოცი, ხევისბერი გადამდგომ დასტურთ დაამწყალობნებდა საკლავით და მთავარანგელოზს სთხოვდა: ამ ერთი წლის განმავლობაში რაც სცოდეს, აპატიოს და დასტურობა სასიხარულოდ გაუხადოს. მეორედ დაკლავდა დამდგომ დასტურთ საკლავს. სთხოვდა მთავარანგელოზს, რომ მშვიდობით დაწყებული დასტურობა მშვიდობით მოათავონ თავის ხიზან-ჯალაფობით. ეს ხდებოდა წელწდის წინა დღეს. ამ დროს ხევისბრები და ძველ-ახალი დასტურები აქ იყვნენ. ყველა ხევისბრები ამწყალობებდნენ გადამდგომ დასტურთაც და დამდგომთაც. დასტურებიც ერთიმეორეს ამწყალობნებდნენ. გადამდომ დასტურთ, მხარ-ტყავის გარდა, საკლავი შინ მიჰქონდათ, დამდგომ დასტურთ საკლავს კი აქ იტოვებდნენ.

საკლავების დაკვლის შემდეგ ოთხივე დასტური და ხევისბრები შევიდოდნენ საბეროში. ჯერ ხევისბრები დადგებოდნენ მარჯვნივ, მერე მათ გვერდზე გადამდგომი დასტურნი და სულ მარცხნივ დამდგომ,

დასტურნი. მთავარი ხევისბერი კელაპტარს დაანთებდა და აქვე კოშით დადგმულ ლუდთან დააკრავდა, მერე ადიდებდა მთავარანგელოზს და ამწყალობნებდა გადამდგომ და დამდგომ დასტურთ. მერე ხევისბერი (ხევისბერს რომ ვასახელებთ, იგულისხმება მუდამ მთავარი ხევისბერი, ისე სხვა ხევისბრებიც იყვნენ აქ და სხვადასხვა საქმე ებარათ). დალევდა ამ კოშიდან და სხვა ხევისბერს მისცემდა კოშითვე. ისინიც დაამწყალობნებდნენ ორივე დასტურთ და დალევდნენ. მერე კოშს ძველ დასტურთ მისცემდა, ისინიც დაამწყალობნებდნენ ერთიმეორესაც და ახალ დასტურთ. კოშს დასცლიდნენ. მესამე კოშს აავსებდნენ. ძველი დასტურნი გადმოდგებოდნენ მარცხნივ, ახალი დასტურნი კი მარჯვნივ. ხევისბერი ამ კოშს მიულოცავდა ახალ დასტურთ და ეტყოდა: „ამ ზედაშით გილოცავთ ახალ დადგომას დასტურად და ვთხოვ ჩვენს სალოცავს მთავარანგელოზს, რომ მშვიდობით დაწყობილი დასტურობა, მშვიდობით და შაუცოდ-შაუწყინრად გადაგაყრიოსთ თქვენი ხიზან-ჯალაფობით“.

დასტურნი თასს გამოართმევდნენ და მადლობას გადაუხდიდნენ. მერე დაილოცებოდნენ და დალევდნენ. ამ წესით შესცვლიდნენ ახალნი ძველთ. ძველ დასტურნი გადააბარებდნენ სახატო ქონებას ახალთ, რაც კი მათ ებარებოდათ — სალუდე, ლუდის დასამზადებელი მოწყობილობა და სხვა. განძი კი აქ ერთ-ერთ ხევისბერს ებარა — მაგანძურს. ახალი დასტურნი აქედანვე შეუდგებოდნენ დასტურის მოვალეობას. ამ დროს მოიყრიდა თავს სოფლის ხალხიც, მეკვლენი, მოიყვანდნენ სამ საკლავს, ყველა მოიტანდა საწირავთ და სათეო პურს (მოგრძო ლავაშებს), პურ-საწირავს დასტური იბარებდა და აწყობდა ამისათვის განკუთვნილ სიპის თაროზე. მერე ხევისბერი მოვიდოდა სასაკლაოსთან და დასტურები წამოაყენებდნენ საკლავებს, ხევისბერი შეუდგებოდა დიდებათ: „დიდება შენდა, ღმერთო, ცისა და ქვეყნის დამაარსებელო, დიდება შენდა, კვირავ ხთის მაღლის მოკარვეო. დიდება შენდა, ჩვენო სალოცაო მთავარანგელოზო. გევედრებითა და გეხვეწებით, ხვეწნა-მუდარაზე ნე გაგვიწყრებით, ნუ გაგვირისხდებით, გეხვეწებით და გავედრებთ შენთ ყმათა, დღეს შენის კარის მლოცავთა, მეკვლეთა, შაიხვეწენ და შაივედრენ, სასიხარულოდ გაუჯადე შენი ჯსენება, დიდება. სასინანულოდ ნუ გაუხდი. დღეს მოყენებული შენი სამსაზური სადიდებულო შენი იყოს და სამწყალობნელო შენთ ყმათი, შენთ მლოცავთი. ახლის წლის გამოცვლაზედა ბედნიერი და მშვიდობის წელი და კვალი დაუყენე, მადლიან-ბარაქიანი, კაციისიც და ნაქონ-საქონისიც. უმატე დალოცვილთ წულსა, წულის აკავანსა, კაც-საქონსა. ცხვარ-საწყემსოსა. მშვიდობიან ანგელოზი დაუპატრონე, მავნე მაცილი მააშორე და შემდეგი გაგრძელება დიდებისა, ისეა როგორც იახსარში ჩაიწერა.

დიდების დამთავრებისას სამივე საკლავი დაიკვლოდა. დასტურები გაატყავებდნენ და დარბაზში დაკიდებდნენ საკლავების დასაკიდებ ჩანგალზე. ხევისბერი დროშას ააბამდა, ლუდით ტიკებს აავსებდნენ,ყველა მეკვლე თავთავის ბარგს მოამზადებდა, ხევისბერი დროშას ააბძანებდა და გაუძღვებოდა მთაწმიდისაკენ (მთაწმიდა ძალიან მაღლა არის ცაბაურთიდან, ვერსნახევრის დაშორებით), ხალხიც თან გაჰყვებოდა, ყველას მიჰქონდა ქადა-საწირავი და მიჰყავდა ერთი ორი-სამი წლის ჭედილა. აქ გზადაგზა საკვალავი თოვლი იყო და რიგრიგობით გაუძღვებოდნენ დროშას. გზას გაკვალავდნენ ახალგაზრდები. თავთავის ოჯახებიდან წამოღებული არაყი მიჰქონდათ და გზადაგზა ამასაც სვამდნენ. ავიდოდნენ როგორც იყო მთაწმიდაზე. აქ საზარე და საბერო იყო (ამ მთაზე შეშა არ არის და ძველი დასტური ვალდებული იყო, ჯორით მიეტანა შეშა მეკვლეთათვის ლიტანია-ღამეს საკმარი). ხევისბერი დროშას მიაბრძანებდა დროშის საბძანთან, ვერცხლის თასით ლუდს ღასდგამდნენ დროშასთან და სანთელსაც დაანთებდნენ სასანთლეში. ხევისბერი სანთელ-ზედაშეზე მთავარანგელოზს ადიდებდა და ყმათ დაამწყალობნებდა, ლუდიან თასს ჯერ თვითონ გამოსცლიდა, მერე დასტური და შემდეგ მეკვლეთ ჩამოურიგებდნენ. ყველა ამწყალობნებდა ყმათ და მეკვლეთ.

ეს რომ მოთავდებოდა, საკლავსაც დაკლავდნენ (მეკვლეში ყველა მიდიოდა, ვისაც კი იქ ასვლა შეეძლო, თუნდა ორი-სამიც ყოფილიყო ერთი ოჯახიდან). ხევისბერი გააღებდა საბეროს კარს დიდი პირჯვრის წერით და მადლის თხოვით, მერე ყველანი ქუდმოხდილნი თითოობით დაიჩოქებდნენ საბეროს ზღურბლზე, პირჯვრის წერით და ხვეწნით, რომ საბეროში შესვლაზე მთავარანგელოზი არ გაუწყრეს. აკოცებდნენ შესასვლელ კარებში მარჯვენა და მარცხენა მხარეს ზღურბლს და ისე შეიდოდნენ საბეროში. დაღამდებოდა კიდეც. დაანთებდნენ დიდ ცეცხლს და საკლავსაც გაატყავებდა დასტური, ქვაბი თან ჰქონდათ მოტანილი და მოხარშავდნენ ხორცს. აქ წყალი ახლოს არ იყო. დაადნობდნენ თოვლის წყალში ხარშავდნენ ხორცს, რადგან საზვავე თოვლების გამო წყალზე არ იყო წასასვლელი გზა. გამართავდნენ სუფრას, სანთელსაც ანთებდნენ, სუფრაზე მეკვლეთ მოტანილი სათეო პურებს აწყობდნენ, ხევისბერი დალოცავდა ძველ დასტურ-ხევისბერთათვის და მთავარანგელოზის ყმათაში უპატრონო მიცვალებულთათვის, რომელთაც დანამადლი ჰქონდათ სახატო საქმისა და ხალხისათვის. ამ სუფრაზე ხელზე ჩამორიგება წილობებისა წესი არ იყო. პურს და ხორცს დაუწყობდნენ წინ დაფენილ ნაბდებზე, რომელიც ღამის გასათევად ჰქონდათ მიტანილი. ზოგს გუდაზე, რომლითაც საგძალი აიტანეს. დასტურ-ხევისბრებისათვის კი იქ სპილენძის სუფრა ინახებოდა მუდმივად და ამით მოართმევდნენ არჩეული ხორცის ნა-

წილებსა და სხვა საჭმელს. პურის პირველად აღების დროს ყველა დაილოცებოდა: „ღმერთო და ჩვენო სალოცაო, დიდო მთავარო ანგელოზო, შენა სწყალობდე შენთ ყმათა და ყმათაში დღეს შენს წმიდა შთაზე მოსულ მეკვლეთა, მრავალი გამოუცვალე ბედნიერი წელი და კვალი“.

მთელ ღამეს სუფრა გაშლილი იყო, დიდი ცეცხლი ენთო და სმასა და მხიარულებაში ათევდნენ ღამეს. დაძინება ნაკლებად იცოდნენ. თენებაზე ხევისბერი გავიდოდა და ზარს დარეკდა, მეკვლენი პირჯვარს იწერდნენ. ხევისბერი დაბრუნდებოდა და კარებთან გოგას შიაგებებდნენ. ის დაილოცებოდა: „ღმერთო და ჩვენო სალოცაო შთავარო ანგელოზო, გევედრები და გეხვეწები, გახვეწებ შენთ ყმათა, ბევრი ახალი წელი გამოუცვალე მშვიდობისი და კარგად ყოფნისი, ახლის წლის გამოცვლაზედა წელი მშვიდობისი და მადლიან ბარაქიანი დაუყენე“. ამ ლოცვაში თან გოგას სამჯერ შეაგორებდა, ყურადღება ექცეოდა რომელ გვერდზე დადგებოდა გაგორებული, წაღმართზე თუ არა, წაღმართი გვერდი დაჭრელებული იყო, უკუღმართი კი გლუვი.

შემდეგ ხევისბერი აიღებდა ხელში თოვლს, მეკვლეთ გადააშლიდა და ეტყოდა: „ეგრე თეთრად დაგაბეროსთ ჩვენმა მთავარანგელოზმა“. მერე შეავიდოდა და მეკვლეთ ახალ წელს მიულოცავდა. „გილოცავთ მეკვლენო, ახალ წელს, დიდი გიმატებიათ, დიდი გიმატოსთ ჩვენმა მთავარანგელოზმა, ახლის წლის გამოცვლაზედა ბედნიერი წელი და კვალი დაგიყენოსთ“. მეკვლენი პასუხობენ: „აგრევე თქვენა, გალოცვინოს ჩვენმა სალოცავმა მრავალი ახალი წელი შენის ცოლშვილით მშვიდობისი და კარგად ყოფნისი“. ხევისბერი ყველას გადაკოცნიდა. მერე დასხდებოდნენ, სადილაო არაყს დალევდნენ და მოემზადებოდნენ. ხევისბერი დროშას ააბძანებდა, ხალხს დაამწყალობნებდა და გამოუძღვებოდა ცაბაურთისაკენ. ჩამოვიდოდნენ ბეღლისკარს. აქ ზოგიერთი ხევისბრები, ერთი დასტური და ვისაც მთაწმიდაზე ასვლა არ შეეძლო, დარბაზში დაუხვდებოდნენ. მთაწმიდიდან მეკვლეთ მისვლაზე ისინი კვალს დაიჭერდნენ და გარეთ აღარ გამოდიოდნენ. ხევისბერი დროშას დროშის საბძანთან მიაბძანებდა, მეკვლეთ დაამწყალობნებდა. ამ დროს მეკვლენი ქუდმოხდილნი დარბაზთან ახლო იდგნენ. ხევისბერი მივიდოდა დარბაზის კართან და აქ მყოფნი (რომლებიც მთაწმიდაზე არ იყვნენ წასულნი) გოგას მიაგებებდნენ კარებთან. იმავე ლოცვით, როგორც მთაწმიდაზე, ხევისბერი აქაც შეაგორებდა გოგას სამჯერ, მერე აქაც თოვლს გადააშლიდა — ეგრე თეთრად დამიბერდითო და პირველი შევიდოდა, აქ მყოფთ ახალწელს მიულოცავდა და თითოობით ყველას გადაკოცნიდა. მას მიჰყვებოდნენ მეკვლენიც, ულოცავდნენ ერთიმეორეს ახალ წელს. მერე ყველანი თავთავის ადგილზე დასხდებოდნენ, აქ დაკლული საკლავების ხორცი უკვე მოხარ-

შული იყო და მოსულებს გაუმართავდნენ სუფრას. ხევისბერი ამ სუფრასაც შენდობას ეტყოდა, თუ ვინმე ყმათაგანი ამ წელს დააკლდა, მოიგონებდა ძველ დასტურ-ხევისბერთ და ხატის მსახურთ, აგრეთვე უპატრონო მკვდრებს. პურის ჭამის შემდეგ გაშლიდნენ ნაბადს, მეკვლეთა ქუდებს ზედ დააგროვებდნენ, და მეორე კალთას გადააფარებდნენ. აანთებდნენ სანთელს და ქუდებთან ახლო დააკრავდნენ ქვაზე. ხევისბერი იტყოდა: „დიდება შენდა, ღმერთო, ცისა და ხმელთა გამჩენო, დიდება შენდა, კვირავ ხთის მაღლის მოკარვეო, დიდება შენდა, ჩვენო სალოცაო დიდო მთავაროანგელოზო, შენ უშველე შენთ ყმათა და ახლის წლის გამოცვლაზედა ბედნიერი წელი და კვალი დაუყენე. დალოცვილო, ჩვენო სალოცაო, ამ ახლის წლის გამოცვლაზედა შენთ ყმათაში, ვისიც კვალი ხედებოდეს შენის ძალითა და დიდებით, არგინე მეკვლეობა და მილოცვა შენთ ყმათადა. დიდება ძალსა შენსა“. ამ სიტყვებს რომ დაამთავრებდა, ნაბადში ხელს შეჰყოფდა და ვისი ქუდიც შეხვდებოდა, გადმოაგდებდა. მისი პატრონი იქნებოდა პირველი მეკვლე, მეორე ქუდისა მეორე მეკვლე, მესამე ქუდისა — მესამე მეკვლე. პირველ მეკვლეს ლუდით სავსე თუნგს მისცემდნენ, მეორე მეკვლეს ლუდით სავსე კოშს და მესამეს ლუდიან თასს. ხევისბერი გამოისტუმრებდა სოფლისაკენ და ეტყოდა: „კეთილი და ბედნიერი იყოს თქვენი მიკვლევა, ფეხი თქვენი იყოს და კვალი ანგელოზისი“. ამის შემდეგ მეკვლენი წამოვიდოდნენ სოფელში, ერთი ნაპირიდან დაიწყებდნენ და ყველა ოჯახში მივიდოდნენ, ყველგან გოგას შეუგორებდნენ და მიულოცავდნენ ახალწელს. არ შეიძლებოდა, რომ ოჯახში თაფლ-ერბო არ ყოფილიყო და მოსულები ამით ტკბილად არ დაებარებინათ.

მეკვლეებიც თავისი ლუდიდან ყველა ოჯახში დაალევინებდნენ. ლუდს ყველანი მოხათრებით დალევდნენ — მეკვლეთაგან მოტანილი ლუდი მიაჩნდათ ღვთიდან და სალოცავიდან ნაკურთხ და დამლევისათვის სასარგებლო სასმელად, მავნე სულის მომშორებლადაც კი. ამიტომ ყველანი დალევდნენ, ვერ დალევდა ის ქალი, თუ სამი დღის წინ „რიოშიანი“ ადგილიდან იყო მოსული და ხუთი დღე მაინც არ იყო გასული მისი „რიოშიანობის“ შემდეგ. სოფელში ყველა ცდილობდა მეკვლეებისათვის მეტი პატივი ეცა, მეტი სასმელი დაელევინებინა, განსაკუთრებულ კარგ არაყსაც მათთვის ინახავდნენ და რაც შეეძლო, საჭმელსაც კარგს ამზადებდნენ. ამასთან თხილით და კაკლით უვსებდნენ ჯიბეებს. მეკვლეები სოფელს შემოუვლიდნენ და დათრობასაც არ ასცდებოდნენ. როგორც იქნებოდა დაბრუნდებოდნენ ხატში, სადაც ამათ გარდა სოფლის სხვა ხალხი დღეობობდა. წინა დღეს დაკლული საკლავების ხორციც მოიხარშებოდა და სუფრა იყო გამართული. მეკვლენი მოუტანდნენ ხალხს სოფელში მიცემულ თხილს,

კაკალს, თაფლ-ერბოს და სხვა. ხალხი აქ კარგა ხანს იყო და მერე სოფელში დაპატიჟებდნენ ერთიმეორეს, იმართებოდა სმა და მხიარულება.

ხატში დღეობა ერთ დღეს არის, გამოილოცავდნენ, როცა მოსაღამოვდებოდა. წყალკურთხევამდე გრძელდებოდა სოფელში დღეობა, ხევისბრებიც მიდიოდნენ დაპატიჟების დროს სოფელში, მხოლოდ ისეთ სახლში, სადაც „ნალაჯი" არ იყო. მაგრამ მაინც წმინდად ინახავდნენ თავს: ყოველ დღე „ხელოსანთ წყალს" ეძახდნენ და აქ იბანდნენ ტანს, რაც უნდა სიცივე ყოფილიყო. მხოლოდ გაბანის დროს სვამდნენ მაგარ არაყს და სიცივისაგან ის იცავდა. წყალთკურთხევა დღეს ისევ ხატში მოიყრიდნენ თავს დასტურ-ხევისბრები და სოფელიც. ერთ საკლავს დაკლავდნენ სასოფლოს, კოდს გახსნიდნენ ჩვეულებრივი წესით, ხორცსაც მოხარშავდნენ და სუფრაც დაილოცებოდა მიცვალებულთათვის. იმართებოდა სმა-ჭამა და მხიარულება.

დროშა ამ დღემდე გარეთ იყო (დროშა ცაბაურთაში სამი იყო: სალაშქრო ორტოტი შუბით, მგზავრი დროშა ვერცხლის ჯვარით და ასეთივე ჯვრით ხთიშობლის დროშა. ყოველ დროშას მედროშავეც თავისი ჰყავდა, მხოლოდ თავხევისბერის განკარგულებაში იყო ეს დროშებიც და მედროშავეებიც). როგორც ვთქვით, ქრისტეს გამოყვანილი დროშა წყალკურთხევამდინ გარეთ იყო (დღეობები დავიწყეთ წელწდიდგან, რადგან დასტურნი მაშინ იცვლებიან, ქრისტეზე მერე, დღეობების ბოლოს, წელწდადმდინ გვექნება საუბარი), თუ ლაშქრობა არ იყო ან ხთიშობლის დღეობა არ ემთხვევა, მაშინ მგზავრი დროშა არ გამოდიოდა გარეთ.

წყალკურთხევას ჩაატარებდნენ ჩვეულებრივი წესით. სოფლიდან მოდიოდა ქადა-პური, საწირავნი. ზოგიერთები დასტურ-ხევისბერებისათვის პატივსაცემად სადილსაც მოიტანდნენ, სუფრა და ერთი კოში ლუდი დაილოცებოდა მიმტანის მიცვალებულთათვის. საკლავებით მეზღვნე ამ დღეობებში ბევრი არ მოდიოდა, რადგან ზამთარში სოფლებში გზა არ იყო. ასე დამთავრდებოდა ეს დღეობა. მედროშე თავხევისბერი დროშას ჩამოხსნიდა, განძს მეგანძური ჩაიბარებდა და დროშის მასალაც განძს მიჰყვებოდა. გაინაწილებდნენ ნაქათრს (ნაქათრი — ნარჩენები პურის, ქადის და ხორცისა), მოსთხოვდნენ მთავარანგელოზს მადლს და წავიდოდნენ.

გადმოცემა ხოხორდაულზე. ერთხელ, უძველეს დროს, მთაწმიდას მეკვლეთ დიდი თოვლი მოუვიდა. ლიტანია-დღეს შეიცვალა ამინდი, მაგრამ მეკვლენი მაინც ავიდნენ მთაწმიდას. ყველა წესები შეასრულეს. ღამე თოვა დაიწყო. დილისათვის ყელამდინ თოვლი დადო. მთაწმიდას სადღეობო ისეთ გორაზე არის, რომ გარშემო სულ საზვავე ადგილები, დაქანებული გვერდალი კლდეები ახვევია, ხან ერთ მხა-

რეს მოემზადნენ და ხან მეორეს, მაგრამ წამოსვლა ვერ გაბედეს. ბოლოს გააქადაგა მთავარანგელოზმა ხევისბერი გამახარე ხოხორდაული. მან აიღო ხელში სამი ვერცხლის თასი, მხარზე დროშა გაიდო და ქადაგობით პირდაპირ საზვავე კლდეზე დაეშვა პირთავქვე. გატყდა მთის დიდი ზვავი და წამოიღო ხევისბერი. ერთი დიდი კლდე წამოიღო და ხევისბერი ზედ მოხვდა. კლდე ვერსნახევარზე ისე ჩამოიტანა რომ გვერდი არ გადაუქცევია და ხევისბერიც თან ჩამოაყოლა. ჩამოვიდა ხატთ პირდაპირ მზილას. რომ გაჩერდა, ხევისბერი მშვიდად გადმოვიდა კლდიდან და დროშის წკარუნით გავიდა ხატში. დროშაც მხარზე ედო და თასებიც ისევ ხელში ეჭირა. მთაწმიდას ხალხი შეშინდა და დაეშვნენ ნაზოვარზე პირთავქვე; რომ ჩამოვიდნენ, ნახეს კვალი ბეღლისკარისაკენ. გამახარე ხევისბერი საბეროში იჯდა და მთაწმიდის ამბებს უამბობდა ხალხს. ამ ხალხმაც დაინახა ზვავი, კლდეზე ნაჯდომი გამახარეც და დიდი მოკრძალებით შეხვდნენ, როგორც ხთიშვილისაგან გადარჩენილ კაცს. ამის შემდეგ გამახარეს ხთიშვილთან ერთად სცემდნენ პატივს. ის კლდე, რომელზედაც გამახარე იჯდა, ახლაც მზილას არის და იმის ახლოს მირეული ქალი არ გაივლის. პატივს სცემენ როგორც წმიდა ადგილს. ხოხორდაული რომ ზვავმა წამოიღო, შემოსძახნა: მიშველე, მთავარანგელოზოო! როცა გადარჩა, იმის შემდეგ თვითონვე გააქადაგა და თქვა: „წინ-წინ რომ შამომძახნე, ერევანში ვიყავი, მეორედ კახეთის თავს და მესამედ მთაწმიდას ვიქენი და მოგეშველე კიდეცაო“. ლექსადაც არის ეს ამბავი. მთავარანგელოზი ამბობს.

> წინწინ რო იძახ, მსახურო, ერევანს ვიყავ ყმისასა,
> მეორედაც რომ იძახენ, თავს ვიქენ კახეთისასა,
> მესამედა რომ მიძახენ, წვერს ვიქენ მთაწმიდისასა,
> მალედავ ჩამოგეშველე, მადლსა იმ შენის ხთისასა.

მერე ხევისბერმა დაიკვეხნა: — მთავარანგელოზო, ჩემმა დაელათმა გიშველა, თორომ დროშაც დაგეკარგებოდა, თასნიც და ხევისბერიც მოგიკვდებოდაო. ეს იწყინა მთავარანგელოზმა. გამახარეს დალევა (ამოწყვეტა) დაუპირა, მაგრამ ლაშარის ჯვარმა არ დაანება, უთხრა: მე დასალევნი ყმანი არა მყვანო.

ეს ხოხორდაულნი ცხრანი ძმანი ყოფილან და ძალიან ამაყნი. არც ხატს ემორჩილებოდნენ ბევრად და არც ხალხს რამეს ჰკითხავდნენ. ამიტომ მთავარანგელოზი შათზე კარგი გულით არ იყო, მაგრამ ლაშარის ჯვარი იცავდა და მათი ზიანის ნებას არ აძლევდა. ბოლოს მთავარანგელოზმა უთხრა: ამ ცხრა ძმათ მოგცემ და შენი ყმებიდან ერთი კაცი მომეციო. ლაშარის ჯვარმა ცხრა ძმაში ერთი კოჭლი კაცი მისცა — მჭედელი, ხოშარელი, ისინი კი აიყვანა თავის ყმად. იმ კოჭლი მჭედლის მოდენილობის (შთამომავლობა) ხალხი მჭედლურები ეხლაც

არიან, ცხოვრობენ სოფელ აფშოში, ქუთხში და თითო-ოროლა სხვა სოფლებშიც. ამ მჭედელმა მთავარანგელოზში ბევრი რამე გააკეთა: სალუდე ქვაბები, საკიდელი და სხვა რამეები, რაც სჭირდებოდათ ხატში (სალუდე ქვაბი იყო ჯერ „კუროებში" ჩასმული და მერე რკინის საკიდელით ჭერში ჩამოკიდებული. „ქობ-საკიდელი" ერქვა). ბოლოს მთავარანგელოზმა ხევისბრად დაიჭირა ეს მჭედელი. ამაზე გახდნენ მჭედლურები მთავარანგელოზის ნამდვილი ყმანი.

ა ღ ე ბ ა

წელწდის შემდეგ მოდიოდა დღეობა აღება. აღების წინა დღეს იცოდნენ ბერაკაობა. მორთავდნენ ერთ ან ორ ბერაკას, გაუკეთებდნენ უფრო ხშირ შემთხვევაში თხის წვერებს, თხის რქებს, ტანზედაც ჩაიცვამდნენ თხის ტყავს ბეწვით გარეთ და რაც შეიძლება სასაცილო სახეს მიაღებინებდნენ. შემოღამებაზე ახალგაზრდობა მოიყრიდა ერთგან თავს, ყველა გააკეთებდა ხის ხმალს, დაიჭერდნენ ხელში და მთელი ღამის განმავლობაში შემოივლიდნენ სოფელს. ჩონგურის დაკვრით ყველა ოჯახში მივიდოდნენ, თავისუფლად გააღებდნენ კარებს და შევიდოდნენ სახლში. ყველამ იცოდა, რომ ღამე ბერიკანი მოვიდოდნენ და მათი მოსვლისათვის მზად იყვნენ. შენახული ჰქონდათ არაყი, ერბო, კვერცხი, ფქვილი და სხვა. ბერაკანი ოჯახში ხუმრობით და ჭყივილით შეცვივდებოდნენ, სახლის პატრონი აანთებდა ცეცხლს, შესულები მაშინვე ჩონგურს დაუკრავდნენ და ბერაკა დაიწყებდა სასაცილოდ ხტუნვას, ვითომ ცეკვას. ახალგაზრდობა და ბავშვები (ვისაც შეეძლო სიარული, ყველა მიდიოდა ბერაკაში) ეხუმრებოდნენ ბერაკას. ზოგი ხმლით სცემდა, ზოგი ხელს კრავდა და ისიც მოხუცი კაცის ხმით და ენით საზუმარო სიტყვებით ეხუმრებოდა მათ. ისე იყო მორთული, რომ თავის მშობლებიც ვერ იცნობდნენ; ხმასა და ენასაც იცვლიდა. პირში ყალიონს დააჭერინებდნენ — ყანწში გაჩრილ გრძელ სირას. ხანდახან ყალიონსაც გაარტყამდა ახალგაზრდებს, როცა გააჯავრებდნენ. ყალიონში თივის ნაფშვენს ჩაუყრიდნენ, ვითომც ეწეოდა, მალ-მალე დაადებდნენ ნაღვერდალს. ნავთის შემოღების შემდეგ ნავთიან რამესაც ჩადებდნენ ყანწში და რომელ ოჯახშიც შევიდოდნენ, მოუკიდებდნენ ცეცხლს (ყანწი იყო ძროხის რქისა) და ყანწიდან ამოდიოდა ცეცხლის ალი. ჯერ ბერაკად მორთული კაცი ითამაშებდა, თუ ორი იყო ორივე ერთად, მერე სხვებიც გამართავდნენ თამაშობას. დიდი და პატარა ყველა ითამაშებდა. მასპინძელი გაუმასპინძლდებოდა სასმელ-საჭმელით, იცოდნენ წინასწარ ხინკლის მოხარშვა და მათთვის შენახვა (ფშავში ხინკალი არის მიღებული ყველაზე მეტ პატივსაცემად). თუ ხინკალი არ ექნებოდათ, კეცეულებს გამოუცხობ-

დნენ (ეეცეულები: პატარა ზომის გამომცხვარი ხაჭაპურებია). არა-ყიც ჰქონდათ მათთვის შენახული და ასმევდნენ. ბერაკათ თან ჰქონ-დათ გუდა, ფქვილის ჩასაყრელი, პატარა ქვაბი ებოს ჩასადებად, კა-ლათი კვერცხებისათვის. აგრეთვე ყველის, ხორცის და ხაჭოს ჩასადები ჭურჭელი. ყველა ოჯახიდან მისცემდნენ, ვისაც რის შესაძლებლობა ჰქონდა. მათვე ჰქონდათ ტიკი არაყისათვის. ყველა ოჯახი ჩაუსხამდა არაყს. როცა მასპინძელი არაყით გაუმასპინძლდებოდა, ისინი თავისი ტიკიდან დაალევინებდნენ მასპინძლებს გამოემშვიდობებოდნენ ერთ-ოჯახს და გადავიდოდნენ მეორეში.

სოფელს რომ შემოუვლიდნენ გათენდებოდა კიდეც. მივიდოდნენ ერთ-ერთ ოჯახში, სადაც სახლის პატრონთან წინასწარ შეთანხმებულნი იყვნენ და დაიდებდნენ სინას (ბერიკაში ღამე ქალები არ დადიოდნენ), გათენების შემდეგ მოიწვევდნენ ქალებსაც და იმართებოდა მხიარულო-ბა, ქალები გასცრიდნენ ფქვილს, გაამზადებდნენ ხინკალის გულს. ქა-ლები და ვაჟი ახალგაზრდები ხელებს დაიბანდნენ, ყველა ოჯახში აქვთ სახინკლედ გაკეთებული პატარ-პატარა სუფრები ფიცრებისაგან. ამ სუფრებს ჩაიდებდნენ კალთაში და დაიწყებდნენ ხინკლის კეთებას. ხინ-კალი რომ მოიხარშებოდა, დიდებს სუფრით დაუდგამდნენ, პატარებს ხელზე ურიგებდნენ. მოხარშულ კვერცხებსაც ხელზე ურიგებდნენ, თხილ-კაკალსაც დაარიგებდნენ ხელზე.

ხუმრობით ზოგი ფქვილს ჩაყრიდა ხინკალში გულის მაგიერ და იმას შეახვედრებდნენ, ვისაც ეხუმრებოდნენ. ხინკალს რომ მოკბეჩ-და, პირი ფქვილით აევსებოდა და იყო სიცილი და ერთი ამბავი. და-ღამებამდე აქ ატარებდნენ დროს და ასე დამთავრდებოდა ბერაკა-ობა. ბერაკობა ფშავში ყველა სოფლებში იცოდნენ, მხოლოდ ზო-გიერთებმა ყველიერში, ზოგმა აღებას, ხოლო სოფელ ხოშარაში, წელწადი რომ დაღამდებოდა, მაშინ. ამ საღამოს ხოშარაში ხატში სან-თელი მოენთებოდა, ქალებიც მოვიდოდნენ, სადამღინაც შეიძლებოდა მათი მისვლა. სანთლის მონთება რომ მოთავდებოდა, ხნიერი კაცები ხნიერ ქალებს ასტაცებდნენ თავჩითებს (თავზე მოსახვევებს) და იღებ-დნენ თავჩითების სახსარს. როგორც ბერაკათ წესია, მერე მიჰქონდათ ერთ ოჯახში და იმართებოდა ისეთივე აბავი, როგორც აიწერა ცაბა-ურთაში. ბერაკობა ძალიან სასიხარულო დღეობა იყო ახალგაზრდო-ბისათვის.

ახვსება

ახვსებას დილით დასტურ-ხევისბერები ყველანი ხატში მოიყრიდ-ნენ თავს და თავისი მოვალეობის შესრულებას შეუდგებოდნენ. პირ-ველად მოიყვანდნენ სასოფლო საკლავს და დარბაზის სანათლავად დაკ-ლავდნენ. დარბაზის სანათლავი ნიშანი იყო მარხვის გახსნილებისა. სა-

კლავის სისხლით დაინათლებოდა დარბაზი და მისი მიდამო. ხორცი მოიხარშებოდა, ხალხი და დასტურ-ხევისბრები ყველანი აქ იყვნენ. სუფრას გამართავდნენ და შენდობის თქმის შემდეგ ყველანი დასხდებოდნენ. ხორცს და პურს ხელზე ჩამოურიგებდნენ. აქ ხალხის მიერ მოტანილი პური, საწირავები და ქადის წილობები იყო. ახალი წესი არაფერი სრულდებოდა. დღეობა დილიდან საღამომდე გრძელდებოდა. საღამო-ხანზე დროშასაც ჩამოხსნიდნენ. რაც ნაქათრი დარჩებოდა, დასტურ-ხევისბრები გაიყოფდნენ, გამოილოცავდნენ და წამოვიდოდნენ თავთავის სახლებში.

ამაღლება

აღდგომის შემდეგ იყო დღეობა ამაღლება. ამაღლების დღეობაც ისეთივე იყო ყველა წესებით. როგორც აღდგომა. იცოდნენ ერთი დღე. ამ დღეობაში უფრო მოდიოდა ქადა-საწირავი, ზღვნობა ბევრმა არ იცოდა, სასოფლო საკლავი კი, როგორც სხვა დღეობებში, ამაღლებასაც ისე იკვლოდა.

კვირისჯვრობა

ამაღლების სწორზე მოდიოდა კვირისჯვრობა. კვირისჯვრობას ხატში ბევრი ხალხი მოდიოდა. ცაბაურთ გარდა ყმანი ყველა სოფლებიდან მოდიოდნენ — ჩარგლიდან, მიგრიაულთიდან, აფშოდან და ბეტისჩდილიდან. ყველას მოჰქონდა ქადა-საწირავი. ამ დღეს დროშაც გამოდიოდა, იკვლოდა ცხრა საკლავი. საკლავები განაწილებული იყო სოფლებზე და რამდენიც ვის ხვდებოდა, იმდენი მოჰყავდათ. მაგალითად, აფშო და ბეტისჩდილი მოიყვანდა სამ საკლავს, მიგრიაულთ› — სამს და სამი საკლავი ცაბაურთისა იყო. საკლავები უნდა ყოფილიყო საუკეთესო, არჩეული. ამ დღეს იცოდნენ სამხთო, ხსენდებოდნენ ფშავის ხთიშვილნი და ზოგიერთი ხევსურეთის ხატებიც. სანთელიც ყველა ხთიშვილთან ენთებოდა და სადიდებელზედაც ახსენებდენ ჯერ ღმერთს და კვირას, მერე ყველა ხთიშვილთ. ამ საკლავების ხორცი მოიხარშებოდა და გაიმართებოდა სუფრა. სუფრას შენდობას ეტყოდნენ ჩვეულებრივი წესით. ქალებსაც სუფრას გაუშლიდნენ და კაცებსაც. ამ დღეს ხორცს ხელზე არ არიგებდნენ, რადგან წესად არ ჰქონდათ ხელზე დარიგება სამხთოში. ერთ-ერთი საკლავი დროშათ სანათლავად დაიკვლოდა და დროშას სისხლს უწევდნენ. ამ დღეს მხიარულობით და სმა-ჭამით დააღამებდნენ, საღამოზე ყველანი წავიდ-წამოვიდოდნენ, დასტურ-ხევისბრებიც გამოილოცავდნენ.

მკათათვეში ორ რიცხვში მოვიდოდა დღეობა მთაწმიდობა. ამ თვეში ფშავ-ხევსურეთის სალოცავებში ყველგან იცოდნენ დიდი დღეობები, მხოლოდ სხვადასხვა რიცხვებში. ფშავში ერთიმეორეზე მიყოლებით, ორი სამი კვირის განმავლობაში ხალხი სულ ხატებში იყო: ერთი ხატიდან მეორეში მიდიოდნენ, მეორედან მესამეში და ა. შ. მთავარანგელოზში მკათათვის დღეობას მთაწმიდობას ეძახოდნენ — სანამ დღეობა დაიწყებოდა, მეკულუხე მიდიოდა. თავხევისბერი მეკულუხეს დროშით გაუძღვებოდა, გაჰყვებოდა დასტური და ზოგი სხვა ხალხი სოფლებიდან. ამბობენ, რომ ძველად სამოცი ცხენის საპალნე ღვინო (კულუხი) მოჰქონდათო, მერე ცამეტ საპალნეზე რომ ჩამოვიდა, ეს კი ახსოვს ამის ჩამწერინებ ლევანს.

როგორც ავწერეთ იახსარის და კოპალას მეკულუხე, აქაც ამ სახით წავიდოდნენ. მეორე დღეს ახმეტაში მივიდოდნენ (აქ მათ სამი ვენახი ჰქონდათ და დიდძალ ღვინოს აზადებდნენ. ვენახები ორი მთავარანგელოზისა იყო, ერთი კი ხთიშობლისა, სამივე მაინც ერთი იყო, რადგან მთავარანგელოზის საქმეს ემსახურებოდა. ხთიშობელი, ე. ი. ადგილისდედაც, მთავარანგელოზს ემორჩილებოდა. ის იყო მეორეხარისხოვანი სალოცავი. პირველი კი მთავარანგელოზი იყო). ახმეტაში ერთ-ერთი ვენახი იყო მთავარი, სადაც მარანი და დროშის საბძანისი იყო. მეკულუხე აქ მივიდოდა, საკლავს დაკლავდნენ, სანთელს აანთებდნენ და საუკეთესო ღვინის ნათავარს ამოიღებდნენ ზედაშედ. ერთი ცხენის საპალნე ზედაშეს დაამზადებდნენ და მერე თვითონაც დალევდნენ ღვინოს.

ვისაც მთაში წამოსვლის საშუალება არ ჰქონდა, ან ყმა იყო მთავარანგელოზისა ბარში გადასული, ან ქალ-დისწული, ისინი აქ მოდიოდნენ ზღვნით. კარგა ბლომად საკლავები დაიკვლოდა პირველსავე დღეს, როცა მეკულუხე მოვიდოდა. მეორე დილით კი ადრე წამოვიდოდნენ უკან და დრო საკლავების დაკვლისა აღარ ჰქონდათ. როგორც სხვა საკლავების მეკულუხის წესი ვიცით, ყველაფერი ისე შესრულდებოდა და მოვიდოდნენ ცაბაურთას ცხრამეტში. აქ დღეობა უკვე დაწყებული იყო ბეღლისკარს და ღუნხევს. ხევისბერი მგზავრ დროშას დააბრძანებდა სალაშქრო და ხთიშობლის დროშებთან ერთად. სანთლის ანთება და სხვა ჩვეულებრივი დღეობის წესები სრულდებოდა. მეორე დღეს დილით, თუ ვინმეს წასვლა ეჩქარებოდა, იზღვნობდნენ, დანარჩენები ემზადებოდნენ მთაწმიდას წასასვლელად.

წამოსადილების შემდეგ ხევისბერი მივიდოდა საზარესთან და ზარს დარეკდა. მლოცავები ფეხზე ადგებოდნენ, პირსაზარისაკენ დადგებოდნენ, იწერდნენ პირჯვარს და ეეედრებოდნენ მთავარანგელოზს

— შეიწიროს მათი მოსვლა და ზღვენი, წყალობით იყოს მათზედა: ზარის რეკას რომ დაამთავრებდა ხევისბერი, მგზავრ დროშას ააბრძანებდა და დაამწყალობნებდა მლოცავთ და ყმათ: „გწყალობდესთ მთავარანგელოზი ყმათა და ყმათაში დღეს თავის კარის მლოცავთა. შეიწიროს დალოცვილმა თქვენი მოსვლა და მოყვანილი სამსახური, მთავარანგელოზის სადიდებულო და თქვენი თვალჯალაფობის სამწყალობნო. მრავალი თავისი კარის დღეობა გალოცვინოსთ დალოცვილმა მშვიდობით და კარგად ყოფნით. სასინანულოდ ნურა გაგიჯადოსთ, სასიხარულოდ გაგიჯადოსთ მისი ჯსენება და დიდება“. „თქვენიცამც მწყალობელია“ — იტყოდნენ ყველანი. ხევისბერი დროშას მარცხენა მხრისაკენ ასწევდა, თავზე გადმოატარებდა, მარჯვენა ხარეზე დაიდებდა და გაემართებოდა მთაწმიდისაკენ. თან გაჰყვებოდნენ დასტურ-ხევისბრები და სხვა მლოცავები. მთაწმიდამდე კარგა დიდი აღმართია და ორ-სამ ადგილას იყო დანიშნული ადგილები დროშის დასაბძანებლად. დაისვენებდნენ, ცოტა სასმელს დალევდნენ და ყველა დასვენებაზე მოკლე სიტყვებით ადიდებდნენ მთავარანგელოზს. მთაწმიდაზე ღვინით სავსე სამ ვერცხლის თასს დადგამდნენ და სანთელს აანთებდნენ. ხევისბერი ზედაშით მთავარანგელოზს ადიდებდა და დაამწყალობნებდა ყმათ და მთავარანგელოზის სალოცავად იმის წმიდა მთაზე მომსვლელთ. ყმანი მუხლმოყრით იწერდნენ პირჯვარს და სთხოვდნენ მთავარანგელოზს, რომ აპატიოს ხორციელის ფეხით მისი წმინდა ადგილის დალახვა და შეიწიროს მათ მიერ მოყვანილი სამსახური.

დამწყალობნება რომ მოთავდებოდა, მლოცავნი ფეხზე ადგებოდნენ. აქ პირველად სასოფლო საკლავი დაიკვლებოდა, და მერე მოჰყვებოდა სხვა ზღვნების დახოცა, სუფრები „არ უწესობდა“, მარტო სასოფლო საკლავის ხორცს მოხარშავდნენ და დასტურ-ხევისბრების გარდა სხვებსაც დაურიგებდნენ ხელზე. საკლავების თითო მხარი ხატის მსახურთ ეძლეოდათ, დანარჩენი პატრონისა იყო. საკლავს გუდად გაატყავებდნენ, ხორცს ასჭრიდნენ და ჩააწყობდნენ ათვისავე ტყეში. მღერა-თამაშობა აქაც იყო მხოლოდ ერთ დღეს. სასმელი ხალხს თავთავისი ჰქონდა: ღვინო, უფრო კი არაყი. სახატო ლუდი და ღვინოც მოჰქონდათ დასტურებს და უმასპინძლდებოდნენ ხალხს. საღამო-დროს ხევისბერი ზარს დარეკდა, მლოცავი წამოიშლებოდა, პირჯვარს დაიწერდნენ და მოემზადებოდნენ წამოსავლელად. ხევისბერი სანთელს აანთებდა, ღვინით სავსე ვერცხლის თასს დადგამდნენ და სანთელსაც იმასთან დააკრავდნენ. იგი კიდევ ადიდებდა მთავარანგელოზს, დაამწყალობნებდა ყმათ, ააბძანებდა დროშას და გაუძღვებოდა მლოცავს. ჩამოვიდოდნენ ღუნხევს, აქ იყო მლოცავი და ზოგიერთი დასტურ-ხევისბრებიც. დროშას გაეგებებოდნენ პირჯვარის წერით და მადლის თხოვ-

ნით. ხევისბერი დროშას მიაბძანებდა და ხალხს დაამწყალობნებდა: „წყალობა მოგიტანეთ მთავარანგელოზისა, წყალობა! წყალობით იყოს თქვენზედა ჩვენი სალოცავი და დაგასწვრასთ მრავალს ამ დღესასწაულსა თქვენის თავჯალაფობითა. სასინანულოდ ნურა გაგიჯადოსთ, მისი კარის ლოცვა სასიხარულოდ გაგიჯადოსთ დალოცვილმა“. „თქვენიცამც მწყალობელი“ — იტყოდნენ ყმანი და მლოცავნი. მოსულები ცოტახანს დაისვენებდნენ, ბინებს დაიდებდნენ და ყველა შეუდგებოდა სუფრის სამზადისს. აქ ვისაც საკლავი ჰყავდა მოყვანილი, ისიც დაკლავდა და ამზადებდა სუფრას. უმრავლესობას სუფრა ჰქონდა შეთქმული. მთავარანგელოზის ყმებში ამ წელს ვისაც ვაჟი ეყოლებოდა, უფრო ამ დღეობაში მოჰყავდათ ხატში გასაყვანად, რადგან სითბო იყო. წულის პატრონი იმის „გასამყვანლოს“ მოიყვანდა ერთ ხარს და ერთ ცხვარს. ორივეს ერთად წააყენებდნენ სასაკლაოზე და ერთი ხევისბერი წულს დაიჭერდა ხელში, თავხევისბერი კი შეუდგებოდა დიდებათ: „დიდება შენდა, ღმერთო, ცისა და ქვეყნის დამაარსებელო, დიდება შენდა, კვირავ ხთის მაღლის მოკარვეო, დიდება და გამარჯვება შენდა, ჩვენო სალოცაო მთავარო ანგელოზო. შენ გევედრებით და გეხვეწებით, ხვეწნა-მუდარაზე ნუ გაგვიწყრები ნუ გაგვირისხდები, გახვეწებთ და გავედრებთ დღეს წულსა, შენს ყმასა, შენთ ყმათად შამამატებულსა და წულის პატრონსა და შენს კარზე სამსახურის მომყვანსა. შენთვის სამსახური და რიგი არ დაუყრავ; მთავარო ანგელოზო, და შენს წყალობას ნუ დაიშურებ, გაზარდე შენი ახალი შამამატებული ყმა შენის სახელის მადლსა, გამოიყვანე ბედიანი და დავლათიანი, შენთ ზღვენთა და დიდებათ მოემატება, დიდებულო მთავარანგელოზო, წულის პატრონსა სიხარულად გაუჯადე, სასინანულოდ ნუ გაუჯდი შენს კარზე წულის მოყვანას სამსახურითა, აგრემც იდიდები შენის გამჩენის ხთისაგან. კაცს უმატე კაცრივლობასა, წულსა, წულის აკავანსა და კვლავ უკეთესის გულით იმსახურე...“

დანარჩენი დიდება ისეთი იყო, როგორიც იახსარში. დიდებათ შემდეგ თავხევისბერი წულს აიყვანდა, სამჯერ მაღლა ასწევდა და იტყოდა: „დალოცვილო ჩვენო სალოცაო, ახალ შემომატებული შენთვის ყმად მოუბარებია, იყმე და მიიბარე, შენის ძალით შეინახე და დაიფარე მავნე მაცილისაგანა და ავადობისაგან, გაზარდე და ღირსეული ყმა გამაიყვანე შენის სახელის სადიდებლადა. მაგის გაზდითა და დაკაცებით შენთ ზღვენთა და ულუფათ მოემატება, დიდება სახელსა შენსა“.

ამის შემდეგ მშობელს გადასცემდა წულს და მიულოცავდა: „გაგიზარდოსთ ღმერთმა და ჩვენმა სალოცავმა ახალშემომატებული და კვლავად კიდევ წულით მოგიყვანოსთ ჩვენმა დიდმა მთავარანგელოზ-

მა“. ხარს წააქცევდნენ და დაკლავდნენ, ცხვარსაც დაკლავდნენ და იმის სისხლს გულზე უწევდნენ ყმაწვილს. მერე წაიყვანდნენ და გადასცემდნენ დედას, მიულოცავდნენ როგორც დასტური, ისე სხვა იქ დამსწრენი. საკლავებს გაატყავებდნენ. ბეჭებს ხატის მსახურთ მისცემდნენ. თავებსაც და ტყავების სახსარსაც, თითო აბაზ ვერცხლს, ხატში მისცემდხენ. ცხვარს მოხარშავდნენ და სუფრას გააკეთებდნენ. სუფრა ილოცებოდა ამ წულის მოსახელისათვის (მოსახელე როგორც ხევსურეთში, ისევე ფშავშიც იცოდნენ. ან მკითხავი ეტყოდა, ან სიზმარში ნახავდნენ და თავისი მახლობელი მიცვალებულის სახელს დაარქმევდნენ. შეიძლება შორეულიც ყოფილიყო, უნათესაოც, თუ ის სიცოცხლეში თვალსაჩინო კაცი იყო. ბავშვი რომ ტირილს დაიწყებდა ან ავად გახდებოდა, მაშინ მკითხავს მოიყვანდნენ და მიცვალებულის პირით ის გადასცემდა: მე ვუზივარ აკვანს და ჩემი სახელი „შოაქვივნეთო“. შეიძლება ბავშვი არ დაწყნარებულიყო, მაშინ კიდევ გამოუცვლიდნენ სახელს. სწორედ ასეთი მესახელისათვის ხშირ შემთხვევაში ილოცებოდა სუფრა). ამ სუფრაზე ბევრი რამ იცოდნენ — ხილი, თხილი, კაკალი, მოხარშული კვერცხები, ხავიწიანი ქადის ნაჭრები და სხვა. დანარჩენი წესი ამ სუფრაზეც ჩვეულებრივი იყო. სხვა მეზღვნეებიც ხორცს მოხარშავდნენ და გაიმართებოდა სუფრებზე გადაპატიჟება და ქეიფი.

დასტური დადგამდა დიდ ვერცხლის თასს საყეინოს, მოიტანდა ნათავრად წამოღებულ ღვინიან ტიკს და ამასაც გვერდზე მიუდებდა. აავსებდა საყეინო თასს ზედაშით, სანთელსაც აანთებდა და დააკრავდა თასზე. ხევისბერი პირჯვარისწერით მივიდოდა დროშასთან, მუხლს მოიყრიდა და დროშის ტარს ემთხვეოდა. მერე დროშას ააბძანებდა, მარჯვნიდან მარცხნისაკენ დახრით დაიჭერდა და ზარის წკრიალით მოვიდოდა საყეინოსთან (ეს მგზავრი დროშა იყო), დროშის ტარს მარჯვენა ფეხზე დაიდგამდა და შეუდგებოდა დიდებათ: ადიდებდა, ღმერთს, კვირას და თავის სალოცავ მთავარანგელოზს. როგორც ვიცით, იმავე წესით დაამწყალობნებდა ყმათ, პირველი თვითონ ჩავიდოდა საყეინოში და მერე დაიწყებდნენ სხვებიც. საყეინოში ჩასვლის წესები ყველაფერი აწერილი გვაქვს უძილაურთაში და შუაფხოში. აქ დროშა საყეინოსთან იყო, ვიდრე არ მოთავდებოდა მისი წესი.

შემდეგ ხევისბერი დროშას თავის ადგილზე მიაბძანებდა. ფულსაც დასთვლიდნენ და მეგანძურ ხევისბერს ჩააბარებდნენ. ის განძთან და სხვა ფულთან ერთად შეინახავდა და საჭიროების დროს გამოიყენებდნენ. ხევისბერი სანთელს მოანთებდა, ზარს დარეკდა და კიდევ დაამწყალობნებდა ყმათა და მლოცავთ.

ცაბაურთაში ღუნხევს დიდი დღეობა იცოდნენ, მღერა-თამაშობა და სუფრებზე ერთიმეორის პატიჟი. ამ ღამეს ყველა მლოცავი აქ

გაათენებდა, მიდი-მოდიოდნენ ერთიმეორის ბინებზე და ატარებდნენ დროს. ღამით ფშაველური წაწლობაც ხდებოდა მლოცავებს შორის. ასეთი ამბებით გაათევდნენ და მეორე დილას კიდევ იწყებოდა გვიან მოყვანილი საკლავების დაკვლა და დღეობის ყველა წესების შესრულებით ლხინი და მხიარულება. თუ შენიშნეს ქალ-ვაჟი წაწლობაში, ან ქუდს მოხდიდნენ, უფრო ჩიქილას ქალებს და აჯარიმებდნენ ერთი ბოთლი არაყით. იყო ამაზე სიცილი, ხუმრობა, ხან „სასამართლოს“ დაუნიშნავდნენ და სხვა.

ხევისბერი ამ დღესაც სანთელს მოანთებდა, ზარს დარეკდა და ამწყალობნებდა მთავარანგელოზის ყმათ და დღეს იმის კარის მლოცავთ. ამ ამბით გაივლიდა ეს დღეც და საღამო ხანზე თანდათანობით დაიშლებოდა ხალხი. მოსთხოვდნენ მადლს წამსვლელები: „დალოცვილო ჩვენო სალოცაო მთავარო ანგელოზო, ნუ რაით გაგვირისხდები, თუ რამეს ჩვენის ხორციელობით გცოდავთ, გვაპატიე და შენი ხსენება დიდება სასიხარულოდ გაგვიკადე; სასინანულოდ ნუ გაგვიკდი“ ამ სიტყვებით მუხლს მოიყრიდნენ და მიწას აკოცებდნენ. ადგებოდნენ და ხატის მსახურთ ეტყოდნენ: „მშვიდობით იყვენით, მშვიდობითა ხატიცა და კაცებიც, ყველამ გვაპატიეთ, თუ რამე უცოდრობით გაწყენინეთ და ცუდს გულს და თვალს ნუ გამოგვაყოლებთ“. „მშვიდობით წადით, მშვიდობითა, წაღმა დაგყვეს ჩვენი სალოცავი და მოწაღმართე ანგელოზი გამოგაყოლოსთ“. — უპასუხებდნენ ისინი. ხატის მსახურნიც გაიყოფდნენ ნაქათარს თანასწორად. მედროშავე დროშას დარბაზში შეაბძანებდა და ჩამოხსნიდა. მეგანძური განძს წაიღებდა თავის დანიშნულ ადგილას და წავიდოდნენ სახლებში.

კულუხის აღწერაში აღინიშნა, რომ მთავარანგელოზს სამი ვენახი ჰქონდა. სხვა ხატების ხევისბრები ამბობდნენ, რომ ფშავ-ხევსურეთის სალოცავებს ვენახები მიცემული ჰქონდა ბახტრიონის აღების დროს, რომელი სალოცავის დროშაც იქ იყოო. მაშინ მეფეს უთქვამს ფშაველ-ხევსურთათვის — ამ გამარჯვებისათვის მინდა ყველა დაგასაჩუქროთ და თვითონ თქვით, ვის რა გინდათო. თუშებმა ალვანი მოითხოვეს და მეფემ უბოძა, ფშავ-ხევსურებმა უთხრეს: „ჩვენ მთის ხალხი ვართ, აქ ვერ ვიცხოვრებთ, მხოლოდ ჩვენს სალოცავებს ახმეტაში თითო ვენახი შემოსწირეთო“. მეფემ ამათი სურვილიც დაკმაყოფილა და ყველა იმ სალოცავებს შესწირა თითო ვენახი, რომელთა დროშები ამ გამარჯვების მონაწილენი იყვნენ. ცაბაურთის მთავარანგელოზის ხევისბერმა ლევან თათარაშვილმა თავის წინაპართა გადმოცემა სხვანაირად ჩამოაწერინა. მან თქვა: მთავარანგელოზს ერთი ვენახი მაშინდელი ჰქონდა, ორი ვენახი კი ტყვეობის დროინდელიაო. საქართველოს რომ დაღისტანი ეცემოდა და ტყვეები მიუდიოდათ, მაშინ ტყვის დასახსნელად სამოცი ვერცხლი იყო საჭირო. ტყვის პატ-

რონი ამდენ ვერცხლს ვერ შოულობდა და მომართავდა ფშავში ქონებით შეძლებულ (მდიდარ) ხატებს. ხატის ყმათ და მსახურთ სთხოვდა დახმარებას და აღუთქვამდა შესაწირავად რამდენიმე დღიურ ვენახს. იმ დროს აქ ხატებში ქონება იყო. მისცემდნენ სამოც ვერცხლს, ის ტყვეს დაიხსნიდა და ვენახი სახატოდ რჩებოდა. ლევანმა თქვა: ჩვენი სალოცავის ორი ვენახი ასეთი ვერცხლის მიცემით არის შეძენილიო.

საყეინო

სიტყვა საყეინო, ან თასი და შიგ ფულის ჩაყრა საიდან წარმოიშვა, ვისაც ვკითხე, სხვადასხვანაირად ხსნიან. ერთნი ამბობენ: საქართველოში ყეინობის დროს დაიდგმოდა საყეინო, რაც ფული შემოვიდოდა — ყეინს მიართმევდნენ და ამ თასს საყეინო იმიტომ დაერქვაო. მეორენი ამბობენ: საქართველოში როცა ყეინი იყო, აქ რაც ქონება გროვდებოდა, სულ იმას მიჰქონდა და ივსებდა ოქრო-ვერცხლით. ხალხი მას ემონებოდაო. იმის მსგავსად ყეინობის შემდეგ ქართველები მორთავდნენ ერთ კაცს ყეინად. ყეინობა დღეობა იყო დანიშნული, ყეინი იყო მდიდრულად მორთული, მას ხალხი დაჰყვებოდა; რომელ სოფელშიც მივიდოდნენ, ასეთ თასს დასდგამდნენ და რაც ფული შემოვიდოდა, ყეინობის წარმომდგენი ხალხი იყენებდა ამ დღეობაში დროს გასატარებლად (ე. ი. წარმოდგენას მართავდნენ ყეინობის დროინდელსო).

ლევან თათარაშვილმა საყეინოს ამბები სულ სხვანაირად ჩამაწერინა. მან თქვა: როცა თათრებმა საქართველო ააოხრეს, მაშინ ყეინი დაბინავდა იორზე ბოჭორმის მარჯვეს. იმ ადგილს, სადაც ის ყეინი სადილობდა, ახლაც სასადილო ჰქვიან. პირველ შემოსვლაზე ბარის სოფლები მოაოხრა და მთაში ვერ შემოვიდა, მთიელები ყველა ამაგრებდა თავ-თავის ადგილს, ყარაულობდნენ მთის გადასასვლელებსაც და ჭალისგზებსაც. იყო ერთი სახელოვანი კაცი ლუხუმი. ის ცხოვრობდა აფხუშოში და ძალიან იცავდა ჩარგალს და საერთოდ ფშავს მტრებისაგან. თათრები ბევრი ეცადნენ, მაგრამ ვერ შემოვიდნენ ამ ვიწრო ხეობაში. ბოლოს ცხენებს ნალები უკუღმა დააკრეს (უკუღმა დაჭედეს) და ისე გამოიპარნენ ღამით ჩარგლის მთაზე. ყარაულებმა ცხენის კვალი ნახეს და მოსულებად კი არა, აქედან წასულებად ჩასთვალეს. თათრები იმ დღეს ტყეში დაიმალნენ და ღამით აფხუშოს დაეცნენ. ზოგი დახოცეს და ზოგი ტყვედ წაიყვანეს. ლუხუმის ორი ვაჟიც ტყვედ მოჰყვა — ღაჭაური და ივანე. მოიარეს ფშავში სხვა სოფლებიც და მოაოხრეს. ლუხუმის უმცროსი ვაჟი ღაჭაური მაშინ ხუთმეტი წლისა იყო, როცა ტყვედ წაიყვანეს. შესახედავად მეტისმეტად კარგი და ყოჩაღი ახალგაზრდა თათრის ყეინს ძალიან მოეწონა და

„ბშვილა, რადგან თვითონ უშვილო იყო. ღაჭაურიც ისე იქცეოდა, რომ ყეინთან დიდი ნდობა დაიმსახურა. თვრამეტი წლისა რომ გახდა, ყეინი სადავლოდ ჯარით გზავნიდა მას და სარდლობას ავალებდა. ისიც უსრულებდა სამსახურს. ყეინმა კიდევ მოინდომა ფშავ-ხევსურეთის დაბეგვრა, წამოვიდა ჯარითა და თავისი ერთგული ფშავლებიც თან წამოიყვანა: ღაჭაური, ივანე და სხვები. ამოვიდნენ ფშავში და ნადავლით დაბრუნდნენ უკან. ღაჭაურმა ვეღარ მოითმინა, რომ თავის სამშობლოს თვითონვე ანადგურებინებდნენ, თან ხალხიც ეცოდებოდა მტრისაგან გათელილი და გადაწყვიტა — რადაც არ უნდა დამიჯდეს, სამშობლო უნდა ვიხსნა თათრებისაგანაო. მივიდა ყეინთან და სთხოვა: „სამი კაცი მომეცი. წავალ, სადაც ვერ მივსწვდით და დავლა ვერ ავიღეთ, ამ სოფლებს მოვივლით და ნადავლით დავბრუნდებითო“. ყეინს ეშვი არ შეჰპარვია და უთხრა: „რომლებიც გინდა წაიყვანე, მხოლოდ ძალიან ნუ დაგვიანდებიო. ღაჭაურმა წაიყვანა თავისი ძმა ივანე, ერთი ხევსური და ერთი მთიული, ესენი ყველანი ტყვეები იყვნენ. მხოლოდ მის თვალში ნდობა ჰქონდათ დამსახურებული. ასე წამოვიდნენ სადავლოდ. იორზე, საყარაულოში რომ მივიდნენ, გადაწყვიტეს — ერთი წასულიყო ივრის ხეობაზე, მეორე ალაზანზე, მესამე ფშავ-ხევსურეთის არაგვზე და მეოთხე მთიულეთში, და მოეგროვებინათ ჯარი, დანიშნეს დღე, როცა ჩარგლის კართ უნდა მოეყარათ თავი თავისი ლაშქრით. ფშავ-ხევსურეთში წამოსვლა ღაჭაურს ერგო, მთიულეთში მთიული წავიდა, იორზე ხევსური და ალაზანზე ივანე. პირველად ხალხი ღაჭაურს ცუდად შეხვდა და არ ენდობოდნენ, მერე ფიცით დაუმტკიცა, რომ დასახსნელად არის მოსული და ხალხიც გამოჰყვა.

დანიშნულ დღეს ჩარგლისკართ მოიყარეს თავი და მოიყვანეს სამასი მეომარი. აქ ღაჭაურმა მთიელებს თავისი სურვილი გამოუცხადა. დაიფიცეს ერთგულებაზე და თავის დადება გადაწყვიტეს სამშობლოს განთავისუფლებისათვის. წავიდნენ ღაჭაურის წინამძღოლობით. დღე მიდიოდნენ, ღამით ტყეში იყვნენ დამალულნი. მიუახლოვდნენ სოფელ სასადილოს, ღაჭაურმა მთიელთა ლაშქარი ტყეში დამალა და თვითონ წავიდა ყეინთან. ლაშქარს უთხრა ყეინს მივესალმები და მივულოცავ, თუ შეიარაღებულები არიან, წითელ ალამს გაჩვენებთ და თუ შეიარაღებულები არა, მაშინ თეთრ ალამსო. თუ იარაღდაყრილები არიან და იმისი ნიშანი მოგეცით, მოულოდნელად თავს დაგვესხით, შეც იქ ვიქნები და გავანადგუროთ მტერიო. წავიდა ღაჭაური, მივიდა ყეინთან, მიესალმა და მიულოცა ვითომც თავისი გამარჯვება. უთხრა: დავლით და ტყვეებით სავსე მოვდივარო. ყეინმა დაუმადლა და მისი შგზავრობის ამბის გამოკითხვა დაუწყო. ღაჭაურმა საუბარი განგებ გააჭიანურა. ამ დროს გარედან ყიჟინა შემოისმა, ყეინი შეკრთა და იკითხა, რა ამბავი მოხდაო?. ვითომც ამბის გასაგებად ღაჭაური გარეთ

გავარდა, იშიშვლა ხმალი და მთიელთა ლაშქარს შეუერთდა. ყეინის ხალხი უცბად შეკრთა და აირია. მთიელები ეცნენ და ამოხოცეს თათრის ჯარი. ვინც გადარჩა, თავს უშველეს და გაიქცნენ. ამ დროს ყეინი კარავში შეიმალა. ღაჭაური რაკი მისი ნაშვილობი იყო, თავისი ხელით მოკვლა არ უნდოდა და თავისი ძმა ივანე შეგზავნა, უთხრა: წელსზეით მაგას სუ რკინის იარაღი ასხია, ხმალი არ გასჭრის, ხმალი წელს ქვევით შემოჭკარიო. ივანე ალბათ შეკრთა და დააგიწყდა დავალება. შესულმა ხმლითა სცა თავში, ყეინს მუზარადი ეხურა და ივანეს ხმალი გაუტყდა. ღაჭაურმა ეს შენიშნა და მაშინ შევარდა კარავში, ყეინს წელზე შემოჭკრა ხმალი და შუაზე გადასჭრა. თათრები გაანადგურეს და გაანთავისუფლეს სოფლები მათი ბატონობისგან. აქ თათრებს ბევრი დავლა ჰქონდათ — ოქრო და ვერცხლი. ეს დავლა მთიელებმა ერთგან მოაგროვეს. ღაჭაურმა უთხრა: ძმურად გავიყოთ ნადავლიო. ხალხმა უპასუხა: ეს გამარჯვება და მტრის განადგურება თქვენგან არის და ეს დავლა თქვენი იყოსო. ივანემ და ღაჭაურმა ბევრი იბრძოლეს, რომ დავლა გაეყოთ, მაგრამ ხალხმა მაინც არ აიღო. ბოლოს ღაჭაურმა წამოიღო და ფშავ-ხევსურეთის სალოცავებს შესწირა. აფხუშოში თავის სალოცავ წმიდა გიორგის შესწირა ყეინის მუზარადი და საყეინოდ ის იხმარებოდა. ლაშარის ჯვარს შესწირა ბევრი რამ, მაგრამ მაინც გაწყრა — მე მოლაშქრე ვარ და მუზარადი მე მეკუთვნოდაო. ლაშარის ჯვარმა ეს მუზარადი მიატანინა, მაგრამ ღაჭაურს ბედში წილი მაინც აღარ ჩაუდვა, იგი უშვილო დარჩა და ისე მოკვდა. იმის ძმას ივანეს კი ჰყავდა ვაჟიშვილი და იმის მოდენილობისანი არიან ხუხუნაშვილები.

აქაური ნადავლის ნაწილი ყველა ხატებს შესწირა, მაგრამ გამორჩა კოტიას წმიდა გიორგი. ღაჭაური გახდა ავად და კინაღამ მოკვდა. მერე გამოუვიდა მიზეზი; წმინდა გიორგიმ მკითხავის პირით ბრძანა: „მე სხვა ხთიშვილთან ერთად გეხმარებოდით თათრებთან ომში, ნადავლში წილი არ დამიდევითო". ადგა ღაჭაური და თვრამეტი ვერცხლის თასი შესწირა. ცაბაურთაში თავის მთავარანგელოზს შესწირა შვიდი საყეინო. საყეინოები იყო ბაკნის ოდენი ვერცხლის თასები. ნელობამდინ იყო ეს საყეინოები, ბოლოს მოიპარეს ჩიტოთ სუსლიკამ, ცქიფათ თირილამ და თირილას ცოლმა. გამოუჩნდათ თასების მოპარვა და აზღვევინეს. მხოლოდ საყეინოები ვეღარ მოიტანეს, რადგან გაყიდული იყო სადღაც შორს. ეს ქურდები იტყოდნენ: „შვიდი ტომარა წავიღეთ ვერცხლით სავსეო, საყეინოები ისეთი დიდები იყო, რომ დაუჭრელად ტომარაში არ ჩავიდაო. შვიდი საყეინოდან დარჩა მარტო ერთი, რომელიც ყველაზე პატარა იყო. ამ ერთი ქურდისაგან პატარა ლექსი არის მაშინდელი ნათქვამი:

თირილაი ვარ ცქიფათი, თას-სურაების ხიფათი,
დედა გიტირე, დასტურო, ეხლა დაჯე და ხითა სვი.

მთავარანგელოზში ბოლოს რომელი საყეინო თასიც დარჩა, იმაზე ლომისა და ტრედის სახეები იყო გამოყვანილი. ბოლოს ისიც ვიღაცამ მოიპარა. ლევანი ამბობს, რომ სახელწოდება საყეინო იმაზე წარმოიშვა, რომ ყეინისათვის წართმული იყო ეს საყეინო თასები. ლაშარის ჯვრის პიროფლიანთაში იყვნენ ჩარიცხული, აქ ვინც დაიხოცნენ სამშობლოსათვის ბრძოლაში. აგრეთვე ქისტებთან ბრძოლაში დაღუპულნიც ითვლებოდნენ პიროფლიანად და საყეინო მათ შესანდობრად იდგმოდა. ლაშარის ჯვრინ პიროფლიანად საერთოდ ისინი ითვლებოდნენ, ვინც ლაშარის ჯვრის დროშის წინამძღოლობით სადმე ბრძოლაში იყვნენ და იქ დაიხოცნენ. საყეინოს სახელწოდების წარმოშობის შესახებ ლევანის თქმა არასწორად მიმაჩნია. სწორია უფრო, რომ ყეინად მორთავდნენ ერთ კაცს, ნალხი დაჰყვებოდა სოფლებში და რაც შემოსავალი გროვდებოდა, ამით ივივე თანამყოლი ხალხი ქეიფობდა მორთული ყეინი მბრძანებლობდა, როგორც ყოფილი ყეინი და ხალხს ახსენდებოდა თავისი წარსული მწარე დრო ყეინის ხელში. ერთი სიტყვით, წარმოდგენის სახით იმართებოდა ყეინობა და საყეინო თასი დაიდგმებოდა შემოსავლისათვის. შემოსული ფულით ივივე ხალხი ატარებდა დროს. უმრავლესობა საყეინოს ასე ხსნის. ლაშარის ჯვარის პიროფლიანთ ქისტებთან ბრძოლიდან იწყებდნენ და ზოგნი თათრებთან ბრძოლაში დაღუპულებსაც პიროფლიანთან სთვლიდნენ.

პირველი პიროფლიანი ლაშარის ჯვარის ხევისბერი იყო გარა თურმანაული. ეს კაცი ლაშარის ჯვარის დროშით მუდამ დადიოდა ლაშქრის წინამძღვრად. გარას ორი სხვა ძმა ჰყავდა და სამივენი ძალიან ამაყები იყვნენ. ორმა ძმამ ფშავში სხვისი ცოლები შეიყვარეს, წაართვეს და თვითონ მოიყვანეს, გარა კი უცოლო იყო. ერთი ჭიჩოელი კაცი იყო თავმომწონე და იმან თქვა: თურმანაულები რომ სხვების ცოლებს ართმენ, აბა ჩემს ყელღილიანს მოჰკიდონ ხელი და მერე ნახავენ რას ვუზამო. ამ კაცს ცაბაურთიდან ჰყავდა ცოლად ჩიტოთ ქალი. ის ერთხელ მამისახლში წავიდა და ერთი ძაღლი გაიყოლა. ცაბაურთის გზა გოგოლაურთ სოფელზე გადიოდა. ჭიჩოელი კაცის ნათქვამი თურმანაულებს გაგონილი ჰქონდათ და გადაწყვიტეს იმისათვის ცოლის წართმევა და გარასთვის მოყვანა. ამ ქალმა ცაბაურთისაკენ აიარა, ჩამომავალს გზა შეუკრეს და მოაბრუნეს გარას ცოლად. თავაყრილი ხალხი იყო თურმანაულები და არავის არაფრად აგდებდნენ. იმათ შიშით ვეღარც ქალმა თქვა გარას ცოლობაზე უარი. ამ ქალის ქმარმა ბევრი იწვალა, მაგრამ თურმანაულებს ვერაფერი დააკლო.

ამ დროს ლაშარის ჯვრის ხევისბრებთან ასაჩივრებდნენ ასეთ საჭირბოროტო საკითხებს და ისინი ასამართლებდნენ ხალხს. ჭიჩოელმა კაცმაც აქ გაასაჩივრა თავისი საქმე, მაგრამ გარა აქ თავხევისბერი იყო და იმის შიშით ვინ რა სამართალს მისცემდა. ბოლოს გარამ თვითონ უთხრა: ახლა ლაშარის ჯვრის ბრძანება არის მითხოში ლაშქრით უნდა გადავიდეთ და დავლა წამოვიღოთ. ეგ ჭიჩოელი თუ ვაჟკაცობაზე თავსა სდებს, გამოგვეყვეს იქ, ლაშქარში თავი ისახელოს და მაგ ქალს ისევ დავუბრუნებო. ჭიჩოელმა იქ წასვლაზე უარი თქვა. გარა სალაშქროდ მოემზადა, მაგრამ ბევრი ხალხი არ გაჰყვა. გაჰყვნენ მარტო გოგოლაურნი. მითხოში ჩავიდნენ, დაეცნენ სოფლებს და დიდძალი ცხვარ-ძროხა გამორეკეს, იმდენი, რომ წინა პირი ლაშარს იყო მისული და ბოლო ხოშარაში გადიოდა. ხალხმა ეს რომ დაინახა, შურით აივსნენ და ამბობდნენ: უყურეთ, მაგ ხვეყნის მექალრძლეთ რა უქნიათ, რამდენი დავლა მოიტანესო. რამდენიმე წლის შემდეგ გარამ კიდევ გამოაცხადა ლაშარის ჯვრის ბრძანება — მითხოში უნდა წავიდეთ, გამარჯვება ჩვენია და დიდი დავლა დაგვრჩებაო. ხალხი მოემზადა და გაჰყვა. მითხოში გარა ლაშარის ჯვრის დროშით ჩაუძღვა ლაშქარს, მაგრამ ქისტებმა ადრე გაუგეს, გზა შეუკრეს და ბრძოლაში ბევრი ხალხი დაიღუპა. ვინც დარჩნენ, იმათ კი წამოიღეს ნადავლი და ლაშარის გორზე გაინაწილეს. იქ დაღუპულთათვის დააწესეს შესანდოზარი, რომელიც ქორწილშიც იდგმება, საყეინოშიც იხსენიებენ და ხან სხვა დროსაც მოიგონებენ. „პიროფლიანნი“ ნიშნავს იმას, რომ ბრძოლაში დაიხოცნენ დაღლილები და ოფლიანები, თავის ხალხისა და ლაშარის ჯვრის დროშის გულისათვის. პიროფლიანნი პირველად ესენი იყვნენ. ზოგი ამბობს: მითხოს ბრძოლაში შვიდი კაცი გიაფიცა, რომ თავი დაედოთ და ხალხი გადაერჩინათ. შვიდივე მოკვდა, ხალხს კი გზა გაუხსნეს და ქისტების გარშემორტყმისაგან გაანთავისუფლეს, ესენი არიან პიროფლიანნიო.

აქ აიწერა მთაწმიდობა და მასთან დაკავშირებული ამბები: საყეინო, პიროფლიანნი და სხვა. მთაწმიდობის შემდეგ მოდიოდა მარიანობა.

მ ა რ ი ა ნ ო ბ ა

მარიანობა ტარდებოდა ისეთივე წესით, როგორითაც სხვა დღეობები. დასტურნი ამზადებდნენ ლუდს. ხალხი, მეზღვნეც მოდიოდა ამ დღეობაში, რადგან გზები ყველგან იყო, სასოფლო საკლავიც იკვლოდა და სუფრა კეთდებოდა. მარიანობას დროშა არ გამოდიოდა.

გიორგობასაც ლუდი, საკლავი, სასოფლო და სხვა წესები ყველა ჩვეულებრივ სრულდებოდა. ახალი წესი არაფერი იყო. ამ დღეობაში დროშა არ გამოდიოდა.

ᲥᲠᲘᲡᲢᲔᲨᲝᲑᲐ

ქრისტეშობას ყველა დასტურ-ხევისბრები თავს მოიყრიდნენ დარბაზში (საბეროში აქ ყველა ხევისბერი ვერ შედიოდა), ყველა თავთავის საქმეს აკეთებდა, მაგანძური განძს მოიტანდა და დაალაგებდა თავ-თავის ადგილზე, მედროშაე დროშას ააბამდა, გამოაბძანებდა და თავის ადგილზე დააბძანებდა. კოდს გახსნიდნენ, სასოფლო საკლავს დაკლავდნენ და ყველა იმ წესს შეასრულებდნენ, რა წესიც სრულდებოდა სხვა დღეობებში. ხალხი — სოფელი, მეზღვნე და ყმანი ყველა მოვიდოდა, მოსულებს ქადა, საწირავი, სანთელი და არაყი მოჰქონდათ, შობას სიცივის გამო ქალები ვერ მოდიოდნენ. მოსული ხალხი სალუდეში ანთებდა ცეცხლს, იქ სვამდნენ ლუდსაც და სასოფლო საკლავის სუფრასაც აქ გამართავდნენ. დღეობა აქ ერთ დღეს იყო, საღამო-ხანზე სოფელი და სხვა ხალხი დაიშლებოდა, დარჩებოდნენ მარტო დასტურ-ხევისბრები. ახალწლამდე დროშაც გარეთ რჩებოდა. ხევისბრებს მოუდიოდა სოფლიდან ზღვენი, ხინკალი, კეცეული, არაყი და სხვა. როგორც შუაფხოში არის აწერილი, აქაც ისეთი წესი სრულდებოდა ახალწლამდინ. აქ ძღვენი მოჰქონდათ სხვადასხვა სოფლებიდანაც მთავარანგელოზების ყმათ. სუფრა ილოცებოდა მომტანის მიცვალებულთათვის. ლუდი და არაყი დასტურ-ხევისბერს თავისიც ჰქონდათ და სოფლიდანაც ყოველდღიურად მოუდიოდათ და, შთელი კვირის განმავლობაში ქეიფობდნენ. ლიტანია-დღეს მოვიდოდა ხალხი და დაიწყობოდა წელწადი.

ᲓᲦᲔᲝᲑᲔᲑᲘ ᲞᲘᲠᲥᲣᲨᲘ

(ჩამაწერინა ჭრელ გოდერძაულმა, სოფელ ახადში მცხოვრებმა, 60 წლისამ). პირქუში ხევსურეთშიც არის სოფელ ბაცალიგოში და ფშავში სოფელ ახადშიც. რაკი ერთი სალოცავი ჰქვიან, ახადში მცხოვრებთ და ბაცალიგველებს ძმობაც ჰქონიათ. ჯერაც ერთიმეორეს ბიძაშვილს ეძახიან. პირქუში პირველად იყო კაცი. სახელგანთქმული მჭედელი და ამასთან ხთისმლოცავი. ხვთიდან ჰქონია გავლენა დევკერპთაზედაც.

უკანაშფავში მდგარა ერთი თავადი და დევები თურმე ავიწროებდნენ მას. ისინი მდგარან უკანაფშავის სოფლის უფრო შეღმა ხევზე, — წყაროსთავს. წყაროსთავი მოხერხებული ადგილია საარსებოდ და აქ დადგომა სდომებია წყაროსთაულს. დევებს არ გაუშვიათ. ამ დროს პირქუში იორზე მდგარა. წასულა ეს თავადი, პირქუშისათვის მშვილდისარი გაუკეთებინებია და ზროიანი ისრები. პირქუში თვითონაც გამოჰყოლია. იქ, სადაც დევები მდგარან, ახლო ერთი პატარა გორია, მაშაღოს გორს ეძახიან, მოჰპარებიან მაშაღოს გორიდან წყაროსთაული და პირქუში და ისრებით ეს დევები სულ ამოუწყვეტიათ. მას შემდეგ წყაროსთაული წყაროსთავს დამდგარა და ხთიშვილად გადაქცეულა. ახლა ასე ახსენებენ: „თავადო წყაროსთავ წმიდაო გიორგიო, დევდედაბერთ ამომწყვეტო“.

ახადს აქვს ორი ადგილი: ერთი პირიქითს, ივრის კუდებში აონგორი. პირქუში როცა გადაქცეულა ხთიშვილად, სალოცავად პირველად დაარსებულა აონგორს. აქაც ახადელი ხალხი მდგარა, სამოცი კომლი. პირველად აქ ლოცულობდნენ პირქუშს, მერე ახადსაც მოვიდა და დაარსდა. აონგორსაც აქვს სალუდე, დარბასი, საბერო, საჯარე და საზარე. ხოდაბურებიც აქ უფრო ბევრი ჰქონდა, დასტურ-ხევისბრებიც ჰყავდა თავისი და დღეობის წესრიგიც ახადს და აონგორს ერთნაირად სრულდებოდა. ახადს ჰქონდა საზარე, სალუდე, საბერო და სადასტურო. საპურე ბეღელი აონგორსაც იყო და ახადსაც. ახადს თავისი ხევისბერ-დასტურები ჰყავდა, მხოლოდ ერთიმეორეში ზაფხულობით თავისუფლად მიდი-მოდიოდნენ. გარჩევა არ ჰქონდა, რომელი ხევისბერიც უნდა ყოფილიყო, იქაური თუ აქაური. ორივენი ერთნაირად ასრულებდნენ სახატო სამსახურს ორგანვე.

ახადში ხოდაბურებს ნადით ხნავდნენ. ასეთ მამულებს ეწოდებოდა: ხოდაბურები, სანადოები და ნაყევრალები. ნადისათვის დასტურები ადუღებდნენ ლუდს. ერთ სასოფლო საკლავს მოიყვანდნენ და დაკლავდნენ. მამულები დაყოფილი იყო ნაყევრალებად და ყველა გააბამდა ხარ-გუთანს თავის ნარგენ ნაყევრალებზე. ვიდრე ხვნას დაიწყებდნენ, ხარებს დააყენებდნენ პირაღმოსავლეთისაკენ. ხევისბერი მოვიდოდა, დასტურნიც საწდით ლუდს და სანთელს მოიტანდნენ ხოდაბურზე. აავსებდნენ თასს, დააკრავდნენ სანთელს, ხევისბერი დაიჭერდა მარცხენა ხელში, დაიწერდა პირჯვარს და იტყოდა: „შენამც იდიდები, დიდებულო ღმერთო, ცათა და ხმელთა გამჩენ-დამდგმელო, შენამც იდიდები, კვირავ ხთის მაღლის მოკარვეო“. გადიდოს, გაძლიეროს ღმერთმა პირქუშო ყაწიმმშვენიერო ზიწზილიანო, დევ-დედაბერო ამომწყვეტო. შენი სადიდებულო იყოს ეს ჭიქა-ბარზიმი, სანთელ-კელაპტარი და სამწყალობნელო იყოს შენთ ყმათი, შენთ ყმათაში დღეს შენის ხოდაბურის ნადში მომსვლელთათვის, ხარისა და კაცის დამღალ-

ველთათვის, თავის ვალის პირნათლად მომჯდელ-შემსრულებელთათვის. მოსულან შენ ყმანი თავის ჯარ-გუთნითა, წესი და რიგი არ დაუკლავის და შენ შენს წყალობას ნუ დააკლებ. უშველე, დალოცვილო, ველთაცა და შინაცა, მაგათ კაცსაცა, საქონსაცა, ჯარსაცა და გუთანსაცა. მაგათ ნაშვრალ-ნამუშევარსაცა, წელი მშვიდობისა დაუყენე და თავის ნაშრომს მადლი და ბარაქა დაუტანე, შენამც იდიდები შენის გამჩენის ხთის კარზედა". ამ დროს ხალხიც ხევისბერთან იყო მოგროვილი და ქუდ მოხდილნი პირჯვარს იწერდნენ. ხევისბერი დიდებათ რომ გაათევებდა, კიდევ დაამწყალობნებდა: „გწყალობდესთ პირქუშის დავლათი ყმათა. თავის ხარისა და თავის მარჯვენის დამდალავთა ნადშია და სახატო საქმეზე თავდადებულთა, წელი მშვიდობიანი და ღალიან-ბარაქიანი დაგიყენოსთ, მრავალი გაზაფხული და შემოდგომა მშვიდობისა მოგგვაროსთ ჩვენმა სალოცავმა პირქუშმა, ნუ შეგანანოსთ გუთნისა და ჯარის და მარჯვენის დაღალვა, სასიხარულოდ გაგიჯადოსთ დალოცვილმა".

ხალხიც პასუხობდა: „თქვენიმც მწყალობელი იყოს". ხევისბერი თასს გამოსცლიდა და თითოს ყველას დაალევინებდნენ. ყველანი დაილოცებოდნენ და უსურვებდნენ ერთმანეთს მადლიანი და მშვიდობიანი წლის დადგომას. მერე გაეშურებოდნენ და გაირეკავდნენ ხარებს. ხვნის დროს მხიარულობა იყო. დამღეროდნენ გუთანზე, დაჰკიოდნენ ხარებს და იყო ერთი კიჟინი. დასტურები თესლს მოიტანდნენ და ლიტრობით გაყოფდნენ. ყველა გაიტანდა თავის ნაყევრალის საკმარ თესლს, თვითონ დათესავდა და დაფარავდა. ხვნა რომ გათავდებოდა, ხორციც მზად იყო მოხარშული. ხალხის მიერ მოტანილი საწირავს გრძელი ფიცრის სუფრაზე დააწყობდნენ და ზედ ხორცს დაალაგებდნენ. დადგამდნენ სამ ლუდით სავსე თასს, დააკრავდნენ ზედ სანთელს. ხევისბერი შენდობას იტყოდა: „ღმერთო, შენა ხარ ცისა და ქვეყნის გამჩენი, შენ გააჩინენ კაცნი და ხთიშვილნი, შენდა სადიდებლად, შენ დაარსენ ხთიშვილნი ხთიშვილადა და ჩვენ კაცნი თქვენ და და ხთიშვილთ სამსახურის შემსრულებლადა. შენ იდიდე და იძრიელე შენის გამჩენის ხთისაგანა, კვირავ ხთის მაღლის მოკარვეო. შენი გამჩენი ღმერთი შენც გადიდებს, გაძრიელებს, პირქუშო, ყაწიმ-მშვენიერო, ზინზილიანო, დეე-დედაბერთ ამომწყვეტო — შენის გაჩენის ხთის კარზე იდიდე და იძლიერე. სადიდებულო თქვენი იყოს ეს დადგმული ჭიქა ბარძიმი და დაჭვრეთილნი სეფისკვერნი და სამწყალობნო შენთ ყმათი. მაიჯსენივნეს ჩვენმა სალოცავმა ჩვენს წინათ ვინც მკადრენი ჰყვანდნენ და აღარა ჰყვან ცოცხალნი. მოიჯსენივნეს ისინიცა, ვისაც ჰქონდეს დანამადვილისი ჩვენი სალოცავისადა, ჩვენ სახელდობრ ვერ ვიგონებდეთ და ჩვენი სალოცავი კი არ ივიწყებდეს, დანამადლისი ჰქონდეს ან ენითა, ან ჯელითა, არადა სხვა საქმითა. აგრეთვე მოიჯ-

სენივნეს ის უპატრონო მკვდრებიცა, რომენთაცა მომგონებელი არა ჰყავ და შანდობის თქმას მოგელოდებოდენ. შანდობა ჰქონდეს იმათ სულებსა და პირქუშის ყმათა და შემოსწრებულ სტუმრებს სიცოცხლე და დღეგრძელობა". ასეთ შესანდობარს ყველა დალევდა და დასხდებოდნენ. ხელზე ჩამოურიგებდნენ ხორცის და პურის წილობებს. თან იმართებოდა სმა და ფშაური სიმღერები. ასე მთავრდებოდა ნადი.

ზაფხულის განმავლობაში თავთავის ნაყევრალებს აქცევდნენ ყურადღებას, იცავდნენ პირუტყვისაგან. საერთო ჭირნახულს უვლიდნენ დასტურნი. ყანის ნაპირყურეს, ყამირებსა და სათიბებს დასტურები თიბავდნენ. შემოდგომაზე ყანები რომ სამკალად მოვიდოდა, ხევისბერი ერთ-ერთ დღეს (უფრო შაბათი დღე იცოდნენ) დანიშნავდა და ხალხში გამოაცხადებდა: ამადაამ დღეს ნადი არის და ყველა მოვიდეს, ნურავინ დააკლდებაო. დანიშნულ დღეს ყველანი მოვიდოდნენ დასტურ-ხევისბრებიანად. ხევისბერი პირველი აიღებდა ნამგალს, გამოსჭრიდა ყანას და იტყოდა: „ღმერთო´ და ჩვენო სალოცაო, პირქუშო ყაწიმ-მშვენიერო, თქვენ უშველეთ თქვენ ყმათა, სთველი მშვიდობისა და ღალიან ბარაქიანი დაუყენეთ და მრავალს ნადობას დაასწვრენით ნადში მსჯელნი და ოფლის მღვრელნი. თავის ნაშვრალ ნამუშევარიც მშვიდობას მოაჯმარეთ და მადლ-ბარაქა დაუტანეთ". ყველანი შეუდგებოდნენ მკას და ამავე სიტყვებს გაიმეორებდნენ მკის პირველი დაწყებისას. მერე ჩვეულებრივი წესით გაიხსნებოდა კოდი და მოიტანდნენ ლუდს, თან მკიდნენ, თან იმღერებდნენ და მხიარულობდნენ. დაიკვლოდა ორი საკლავი, ხორცი სრულად აქ მოიხარშებოდა, პური ხალხის მოტანილი იყო. მკის დამთავრების შემდეგ იმართებოდა სუფრა იმავე წესით, რა წესითაც ხვნის ნადშია აწერილი. ძნას ყველანი ააგებდნენ წერად, უფრო თავთავის ნაყევრალს მიაქცევდნენ ყურადღებას, თავთავს მოკრეფდნენ და წერაებს კარგად დასდგამდენ. ამის შემდეგ მთლიან ძნას უვლიდნენ დასტურნი. როცა დრო მოვიდოდა, მოიტანდნენ ხატის კალოზე, მამაკაცები გალეწავდნენ, ახალ დამდგომ დასტურნი ხელმხარს ინათლავდნენ თითო საკლავით და ჩაყრიდნენ საპურე ბეღელში პურს.

აქ დასტურები წელწადში ორჯერ დგებოდნენ, პირველი დასტურნი (ორი კაცი) დადგებოდნენ გიორგობას და ამაღლებამდინ რაც დღეობები და საჯვარო სადასტურო საქმეები არის, ისინი უძღვებოდნენ. ამაღლებას შევიდოდნენ მეორე დასტურნი (ახალნი) და გიორგობამდინ ისინი ემსახურებოდნენ სადასტურო საქმეებს. გიორგობას შემსვლელი დასტურნი ლეწავდნენ ჯვარის ძნასაც, ხელმხარს ინათლავდნენ და მერე შეიტანდნენ პურს საპურე ბეღელში. ცალკე ინახავდნენ თესლობამდინ საკმარ პურს, რამდენიც დღეობებს დასჭირდებოდა იმიტომ, რომ ხელმხრის უნათლავად ბეღელში ვერავინ შევიდო-

და. შედიოდნენ წელიწადში ორჯერ: პურის ჩაყრაში და სათესლე პურის გამოტანაში. ჩალაც პურის გამლეწავ დასტურთ რჩებოდათ, ხოლოთ სათიბეებს ამაღლებას დამდგომნი დასტურნი თიბდნენ და ზაფხულში სახატო ყანა-სათიბებსაც ისინი პატრონობდნენ.

პირველად შემსვლელ დასტურთ მოჰქონდათ ქადა-პური, საწირავნი. ხელმხარს ორივენი ინათლავდნენ თითო საკლავით. ერთი საკლავი შესალოცი მოჰყავდა ორივეს ერთად. ეს ორი დასტური ერთ-ერთ შესალოც საკლავს დაკლავდა და როცა გამოილოცავდნენ მათთვის დავალებული დღეობების დამთავრების შემდეგ, მეორე დასტური გამოსალოც საკლავს დაკლავდა. ეს ორივესთვის საერთო იყო და ერთად მწყალობნდებოდნენ (დამწყალობნების წესები აქ არ იწერება, რადგან ფშავში ერთი და იმავე წესით ამწყალობნებენ და სხვა დღეობებში და ხატებში არის აღწერილი). ძველი დასტურნი ახლებს გადააბარებდნენ სახატო თას-განძს (ფშავში ამბობენ: ხატი, სახატო და ხევსურეთში: ჯვარნი, საჯვარო და სხვა), პურიან ბეღელს და დანარჩენ სახატო ქონებას. აქ იყო სადასტურო, სადაც დასტურნი მუდმივად ცხოვრობდნენ და თავს ძალიან წმინდად იჭერდნენ. არ შედიოდნენ სოფელში თავისი დასტურობის დამთავრებამდენ, სახლში შესვლა ხომ დაუშვებელი და უპატიებელი დანაშაული იყო. წმიდად იყვნენ და ამიტომ მათ ეწოდებოდა „წლის ბერები". არ ჰამდნენ მიცვალებულთათვის ნალოც პურს, არ სვამდნენ სასმელს იმ ყანწით, რითაც ხალხი სვამდა. მათ თავისი ყანწი ჰქონდათ ან მათარა (მათარა იყო მოზვრის უკანა ფეხის ტყავის სასმისი. ტყავი კარგად მოიზილებოდა, მოიქნებოდა ბეწვის გაცლის შემდეგ. წვრილ პირს ღვედით დაკერავდნენ და ქამარზე ჩამოსაკიდს გაუკეთებდნენ და სასმელს ამით დალევდნენ). თუ ვინმეს სახლი სოფლის ნაპირზე იყო, სადაც რიოშიანი გზა არ შეხვდებოდათ (ქალების ნასიარულევი გზა), ასეთი სახლის ბანზე მისვლა შეეძლოთ, თუ იქ სმულობა და ხალხიანობა იყო და დაპატიჟებდნენ. ძალიან ერიდებოდნენ ისეთ გზას, სადაც ქალების ფეხით სასიარულო იყო. პირსაც კი არიდებდნენ ქალებს, რომ გულშიც წმიდა ყოფილიყვნენ. სამუშაოზე რომ წავიდოდნენ, ცდილობდნენ, ოფლი არ გამოსვლოდათ და თუ გაოფლიანდებოდნენ, ტანდაუბანლები ხატში არ მივიდოდნენ, რადგან ხატს ოფლიანი ეჯავრებოდა.

სახატო ქონება დასტურთ ხელში იყო. ძველი დასტურნი ახალთ ჩააბარებდნენ თვლით. ჩაბარებას ესწრებოდა თავხევისბერი. მას ზეპირად ახსოვდა, რა იყო ხატის ქონებაში და რა არა. ჩაბარების დროს თუ რამე დააკლდებოდათ, ხევისბერი ეტყოდა და მოატანინებდა. მანამ არ მოიტანდნენ და სახეზე არ ნახავდა, ვინც იბარებდა, არ შეიძლებოდა დათანხმებულიყო იმის თქმას, რომ ნივთი იქ სადმე

ჭრის და მერე მოვიტანთო. გადაბარების დროს უკლებლად უნდა ყოფილიყო ყველა ნივთი.

პირველი დასტურნი დღეობას იწყებდნენ გიორგობიდან. ახალი დასტურნი გიორგობას თითო საკლავს მიიყვანდნენ და საწირავთ მიიტანდნენ პირველად ხევისბერი დასტურების ხელმხარის სანთლავებს დაკლავდა. ისინი საკლავის სისხლს გულზე, ხელებზე და შუბლზე იწევდნენ. მერე დასტურთა მიერ მოტანილ საწირავთაზე ადიდებდა პირქუშს და გახსნიდა კოდს. ამ დროს ერთი სანთელი კოდს ეკრა, ერთი კი ლუდიან თასთან ერთად ხევისბერს ეჭირა. დაამწყალობნებდა ახალდამდგომ დასტურთა და მაგათ სახლ-ჯალაფობას. უსურვებდა, მშვიდობით დაწყებული დასტურობა მშვიდობით გადაეყარათ, შეუცოდვრად და შეუწყინრად. გამოიტანდნენ ლუდს საჯარეში, სადაც სოფლის ხალხი ისხდა. ლუდის მომტანს მოეგებებოდნენ, ჩამოართმევდნენ ლუდიან ქვაბს, ერთი მრიგე დადგებოდა და დაარიგებდა ლუდს. ყველანი ამწყალობნებდნენ ახალ დამდგომ დასტურთ და ყმათ. ამასობაში დასტურთ დაკლული საკლავების ხორციც მოიხარშებოდა, ხალისაგან მოტანილ საწირავებზე სუფრა მზადდებოდა. სუფრას შენდობას ეტყოდნენ, ხელზე პურსა და ხორცს დაარიგებდნენ. იმართებოდა დღეობა, სმა და მღერა, მოვიდოდნენ მეზღვნეებიც, დაიკვლოდა საკლავები და ისინიც მართავდნენ ჩვეულებრივ სუფრას.

დასტურთ დამზადებული სუფრა ასე ილოცებოდა: „დიდება შენდა, ჩვენო სალოცაო პირქუშო ყაწიმმშვენიერო, ზინზილიანო. ამ გამართული სუფრით, დაჭვრეთილი სეფეებითა და დადგმული ჭიქა-ბარზიმითა მოიხსენიენეს ჩვენმა პირქუშმა მოლაშქრენი და ვინც კიდენ ჩვენს უწინ იყვნენ პირქუშის მკადრენი, დასტურნი და ჯევისბერნი და დღეს აღარ არიან. აგრეთვე უპატრონო ზკვდრები, რომელთაც ჩვენი სალოცავისად დანამადლისი ჰქონდეს, ჩვენი სალოცავი არ ივიწყებდეს და ჩვენ სახეზე არ გვაჯსონან და ვერ ვიგონებთ და ისინი კი ამ ჩვენის სალოცავის კარზე შენდობის თქმას მოგველოდებოდნენ“.

ხევისბერი შენდობის შემდეგ ცოტა ლუდს დაასხამდა ყველაფერზე, რაც კი სუფრაზე იყო დაწყობილი. შასანდობარს მთელ ხალხში ჩამოატარებდნენ და ყველა დალევდა. აქ დაყოფილი იყო ადგილები, თუ სად ვის ეკუთვნოდა მისვლა და დაჯდომა. საბეროში ხევისბრების მეტს არავის შეეძლო შესვლა. ადგილობრივი ორი ხევისბერი იყო და საბეროში მარტო ისინი შედიოდნენ. სადასტუროში მარტო ორი დასტური შედიოდა და აქ შესვლაც შეეძლოთ ხევისბრებს. დანარჩენი ხალხი ვერ შედიოდა. საპურე ბეღელში შესვლა შეეძლო მარტო დასტურს, იმასაც მაშინ, როცა ხელმხარს ინათლავდა. აქ ვერც ხევის-

ბერები შევიდოდნენ და ვერც დასტური ხელმხრის ნათვლის გარეშე. საზარეულთან თავხევისბრის მეტი ვერავინ მივიდოდა — ისიც მაშინ. როცა დაწესებული იყო ზარის დარეკა. ფეხსაცმლიანი აქ ვერც ის შივიდოდა. — ან უნდა ყოფილიყო წინდებით, ან ფეხშიშველი. საპურეში დასტური ტანდაბანილი, ფეხდაბანილი, ფეხშიშველი და ახალმხარნანათლი უნდა ყოფილიყო, უიმისოდ შესვლა არ შეიძლებოდა. საჯარეში სოფლის ხალხი ყველა შედიოდა, თუ შინდან არ იყო უწმიდურად, თუ ცოლი ქოხში ჰყავდა მშობიარობაზე, ან ბოსელში დედათწესის დროს.

საჯარე დაფარებული იყო და სოფლის ჯარი აქ სხდებოდა. ხატთან კარგა მანძილით დაშორებით ისხდნენ დედაკაცები. მათ ჰქონდათ განსაზღვრული ადგილი და როგორც „უწმიდური არსებანი" ხატთან ახლო ვერ მივიდოდნენ. დედაკაცები ხატში არც მოვიდოდნენ, თუ შესაწირავი არაფერი ჰქონდათ. მამაკაცები კი მარტო სასმლის დასალევადაც მოდიოდნენ. დედაკაცებს მიჰქონდათ ქადები, სანთელი. საწირავნი ქადას დასჭირდა ხევისბერი ან დასტური და ერთ კოტორს გამოსჭრიდა ხატის მსახურთათვის. სამი კოტორი კი პატრონს რჩებოდა. ერთი ქადა იყო, რომელსაც „ფურთ ნათავარს" ეძახოდნენ (ძროხების ნათავარი). ფურთ ნათავარზე ახვეწებდნენ მარტო ფურებს და სთხოვდნენ პირქუშს და ადგილისდედას ფურების ღალიან-მადლიანობას. ფურთ ნათავარის ქადა ჩვეულებრივ ხავიწიანი იყო ფურების სამხვეწროდ. ის გაჭრის დროს მარტო გაისერებოდა და კოტორს არ გამოსჭრიდნენ. ოთხივე კოტორი პატრონს მიჰქონდა. მხოლოდ ზედ მოყოლებული სანთელი ენთებოდა სახატოდ. ქადა მიჰქონდათ ადგილისდედაში (ხთიშობელს ეძახდნენ). ეს იყო პირქუშის ხელქვეითი და მისი დამხმარე ადგილისა და პირუტყვის დაცვაში. ხთიშობელს ცალკე არაფერი ჰქონდა და არც ჰყავდა. ის იყო დამოკიდებული პირქუშზე. თუ კაცი დააკვირდება, პირქუშის გარეშე იგი ცალკე არსებად არც ჩანდა.

ხევისბრობა აქ მემკვიდრეობით გადადიოდა, მაგრამ მაინც მომიზეზებით და მკითხავის საშუალებით მიდიოდნენ ხევისბრებად. ერთ-ერთი ხევისბერი ჰყავდა აყვანილი მედროშედ და დროშა მუდმივად მას ებარა, ააბამდა, ჩამოხსნიდა და სადაც საჭირო იყო, ატარებდა, ოღონდ როცა ჩამოხსნიდა, მისი სამკაულების შენახვა დასტურს ევალებოდა, ინახავდა თას-განძთან ერთად, ზარის დარეკვა კი თავხევისბერს ებარა.

შობა ანუ ქრისტე

ქრისტე-დღეს პირველად დასტურ-ხევისბრები მოიყრიდნენ თავს სადასტუროში. ყველა თავ-თავის მოვალეობას შეასრულებდა, მაგან-

ძური დასტური განძს მოიტანდა, მედროშე ხევისბერი დროშას ააბამდა, კოდს გახსნიდნენ, დროშას გამოაბძანებდნენ, სასოფლო საკლავიც დაიკვლოდა, ხევისბერი ზარს დარეკდა და იწყებოდა ჩვეულებრივი დღეობა.

ქრისტე-დღე რომ დადამდებოდა, ყველანი წავიდოდნენ თავთავის სახლებში. იქ რჩებოდნენ დასტურნი და ხევისბრები. დასტურნი მუდმივად აქ იყვნენ და ამ კვირას წელწად-დღემდინ ხევისბრებიც აქ რჩებოდნენ. ვინც აქ დარჩებოდა, მათ ერთი კოდი საუკეთესოდ დამზადებული ლუდი ჰქონდათ. ხორცი ქრისტეს ბლომად რჩებოდა, სოფლიდანაც ყველა კომლს მოჰქონდა მოსაკითხი: ხინკალი, კეცეული და სხვა. მოსაკითხს მოაყოლებდნენ ერთ ხელადა არაყს, თხილ-კაკალს და, თუ ჰქონდათ, სხვა ხილს, სამ ფეხ სანთელს. ხევისბერი სუფრას შენდობას ეტყოდა ანთებული სანთლით, და დადგმული თასით მოსაკითხის მომტანის მიცვალებულთათვის. ერთ თუნგ ლუდს თან გაატანდნენ მოსაკითხის მომტანს ოჯახის წევრების და ამ სუფრის დამამზადებელი დიასახლისის პატივსაცემად. ასე გრძელდებოდა ერთი კვირის მანძილზე ხატის მსახურთა ცხოვრება ლიტანია-დღემდინ (ლიტანია-დღეს ფშავლები წელწდის წინა დღეს უწოდებდნენ).

ლიტანია-დღეს მთელი სოფლის ხალხი საჯარეში მოიყრიდა თავს. ესენი იყვნენ მეკვლენი. მეკვლეში ყველა ქუდიანი მოდოდა, ვისაც კი შეეძლო, ოჯახიდან თუნდა ოთხი-ხუთი კაცი ყოფილიყო. რამდენიც მოვიდოდა, ყველას მოჰქონდა თითო კონა შეშა ამ ღამისათვის, თითო დიდი მრგვალი ხმიადი (ამას ეწოდებოდა სათეო პური), საწულადო კელაპტარი იმდენი, რამდენი ქუდიანიც იყო ამ ოჯახში, გუდით ხაჭო, ყველი და სხვა ამ ღამის საგძლად, თითო ჩარექა არაყი და ყანწი. მეკვლენი როცა მოგროვდებოდნენ, მოიყვანდნენ ცხვარს ან ჭედილას და თხას. თხა დაიკვლოდა ხთიშობელში და ცხვარი კი პირქუშში. გაატყავებდნენ და ხორცი მთლიანად მოიხარშებოდა ერთ ქვაბში. დიასახლისობდნენ დასტურნი. ამ დროს მეკვლენი მართავდნენ სმას და სიმღერას. მღეროდნენ ძველ ლექსებსაც და თავისპირის ლექსებსაც (თავისპირის ლექსი ეწოდება ისეთ ლექსს, რომელიც აქამდინ ნათქვამი არ იყო და მღერის დროს იგონებდნენ). უფრო იცოდნენ მოკლე ლექსები მოსწრებული სიტყვებით. მაგალითად:

პირველი მომღერალი: „ხევისბერ არაყს დამპირდა, უნდა ვილექსო ეხლადა“. მეორე: „გუშინ რაც არაყ დალიე, ისიც მოგექცეს ცეცხლადა“.

მეკვლენი სვამდნენ და მხიარულობდნენ (ფშავლები მშვიდი და მომთმენი ხალხია სმის დროს, ჩხუბი ადვილად არ იციან. ხევსურები კი სულ ჩხუბზე ფიქრობენ). ხორცი რომ მოიხარშებოდა, დასდებდნენ

გრძელს ფიცრის სუფრას, დააწყობდნენ სათეო პურებს, ზედ დაწილობებულ ხორცს, დაუდგამდენ გვერდით ქვაბით ან ჩხუტით ლუდს, დააკრავდნენ ანთებულ სანთლებს ლუდზეც და სუფრაზედაც. ვერცხლის თასს აავსებდნენ ლუდით, სანთელდაკრულს ხევისბერი დაიჭერდა და ადიდებდა პირქუშს ჩვეულებრივი დიდებით. მერე თითო თასს ყველას დაალევინებდნენ ყმათ სამწყალობნოს. მერე თასს აავსებდნენ და ხევისბერი შენდობას ეტყოდა სუფრას, შესანდობასაც ყველა დალევდა, მერე დასხდებოდნენ და დასტურნი პურს და ხორცს ხელზე დაურიგებდნენ. დასტურ-ხევისბრები კი სუფრიდან შეექცეოდნენ. თავის კერძ (კუთვნილ) წილობას რამდენიც უნდოდათ ჭამდნენ, რაც არა, გუდაში ჩაიწყობდნენ. მთელი ღამის განმავლობაში სვამდნენ სასმელს, საჭმელი თავისი გუდებიდან ამოჭონდათ და ჭამდნენ. დასტურ-ხევისბრებიც მეკვლეებთან ისხდნენ დამათთან ერთად ღებულობდნენ მონაწილეობას მღერა-მხიარულობაში. როცა შუაღამე გადავიდოდა და დასტურ-ხევისბერები დასაძინებლად წასვლას მოისურვებდნენ (მეკვლენი საჯარეში ათევდნენ ღამეს), აანთებდნენ მეკვლეთ მოტანილ საწულო სანთლებს, დადგამდენ ლუდით სავსე სამ ვერცხლის თასს, სანთელს დააკრავდნენ და ხევისბერი კიდევ იტყოდა დიდებათ. ამ ჭიქა-ბარძიმით და სანთელ-კელაპტრით ახვეწებდა პირქუშს თავის ყმებს, სთხოვდა, რომ წულს და წულის აკვანს მომატებოდა მის ყმათაში, რითაც პირქუშის ზღვენთა და დიდებათ მოემატებოდა. დიდებათა დამთავრების შემდეგ შთავარ თასს ხევისბერს მისცემდნენ, დანარჩენ ორ თასს კი დასტურნი დაიჭერდნენ. ყველანი დაამწყალობნებდნენ პირქუშის ყმათ და ყმათაში წულსა და წულის აკვანს. მეკვლეთათვის კიდევ დაასხამდნენ კოდიდან ლუდს და წავიდოდნენ დასაძინებლად. მეკვლენი არ იძინებდნენ. თითო-ოროლს თუ დაეძინებოდა. იმასაც არ ასვენებდნენ, შეუყრიდენ ცხვირში დაფშვნილ თამბაქოს ან სხვა რამე ოინს გაუკეთებდნენ. გაეღვიძებოდა და მაშინვე შესთავაზებდნენ სასმელს. ამ ამბობაში მოატანდა თენება და მეკვლენი დაიჭერდნენ კვალს. ვარსკვლავები ჰქონდათ დასწავლილი. დასტურნი ამ ვარსკვლავებს თვალყურს ადევნებდნენ და როცა ისინი სათენებო ადგილას მივიდოდნენ, მოხათრებით გააღვიძებდნენ ხევისბერს. დაეტყობოდა თუ არა თენება, ხევისბერი გაიხდიდა ქალამნებს და წინდიანი მივიდოდა პირჯვრისწერით და მადლის თხოვით საზარესთან. სამჯერ მოიყრიდა მუხლს, მერე ადგებოდა და სამჯერ ნელ-ნელა შემოჰკრავდა ზარს, დაიწერდა პირჯვარს და შეეხვეწებოდა პირქუშს — როგორც ხორციელს მის წმინდა ზართან მისვლა აპატიოს და არ გაუწყრეს უღირსობისათვის. ასე გაიმეორებდა სამჯერ და მერე ჩქარ-ჩქარა რეკდა კარგა ხანს. ზარის ხმაზე მეკვლენი აიშლებოდნენ და იწერდნენ პირჯვარს. ხევისბერი პირდაპირ საჯარეში მეკვლეებთან მივიდოდა,

შემოიყოლებდა მარჯვენა ხელით თოვლს და გადააშლიდა — ეგრე თეთრად დამიბერდითო და მერე მოულოცავდა ახალი წლის გამოცვლას: „გილოცავთ ახალი წლის გამოცვლას, ახლის წლის გამოცვლაზე ბედნიერი წელი და კვალი დაგიყენოსთ ჩვენმა სალოცავმა პირქუშმა, დიდი გიმატებიათ, დიდი გიმატოსთ კაცითა და საქონითა, წულითა და წულის აკავანითა, გალოცვინოსთ მრავალი ახალი წელი, ერთხელ ახლა და ათიათასჯერ კვლავადა".

ამ ლოცვაზე გოგას შეგორება არ იცოდნენ როგორც ზოგიერთ სხვა ხატებში ფშავში. მილოცვა რომ გათავდებოდა, ყველანი გარეთ გამოვიდოდნენ და სასაკლაოზე დასტური წამოაყენებდა ერთ კარგ ჭედილას, რომელიც შერჩეული იყო წელწად-დილისათვის. დაკლავდენ ყმათა და მეკვლეთ საძწყალობნოდ. საკლავი რომ დაიკვლოდა, აავსებდნენ ლუდით თასს და მისცემდენ ხევისბერს. ის იტყოდა: „შეიწყალოს წიწნაურნი ძაღლითა და ციცაითაო, იმათი სული კრული და წყეული იყოს და შუა ჯოჯოხეთში იყოს საიქიოსაო". ამას იტყოდა და დაღვრიდა თასს. ორჯელ კიდევ აუვსებდნენ თასს და კიდევ დაღვრიდა ასეთივე წყევა-კრულვით. ხალხიც აქ იდგა ამ თასის დაღვრაში და „ამინ!" ეუბნებოდნენ.

წიწნაურნი ყოფილან სოფლის გამტეხნი და მოღალატენი. იმათი მამაშვილობა სოფელში თურმე არავის და არაფერს ინდობდა, სცემდნენ და აგინებდნენ ხალხს, ქურდობდნენ და არავითარ ბოროტებას არ ერიდებოდნენ. სოფელში ყველას ერეოდნენ და ვერავინ ვერაფერს უბედავდა. მერე სოფელს მოულაპარაკია: ერთიმეორეს ავუტეხოთ ჩხუბი. ისინი მეშველად მოვლენ და დავხოცოთო. წიწნაურთ გვარში ორი ძმანი ყოფილან საშიში და მათი მოშორება უნდოდა სოფელს. გახადეს ჩხუბი და სოფელში ამ დროს ერთი ძმის მეტი არ აღმოჩნდა. მოვიდა მეშველად, ვითომ ერთიმეორეს გაუქანეს ხანჯალი, იმას მოახვედრეს და მოკლეს. მეორე ძმა სადღაცა სოფლებში იყო წასული, გაიგო, რომ ძმა მომიკლესო, წამოვიდა და ანადის პირდაპირიდან დაუძახა: მანდ ხომ არაფერი ამბავია, ხომ არავინ მომიკლესო? დედამ დაუძახა: ძმა მოგიკლესო. ის კაცი სოფელში აღარ მოვიდა და მოკლა ერთი ბერიკაცი თირილაურთ გვარისა, ხბოებში ნამყოფი. ეს იყო ანადში ძალიან კარგი კაცი. მეორე იყო ყაფარში ანადელთაზე კაი კაცი. წიწნაურთ კაცი პირდაპირ ყაფარში წავიდა — იმასაც მოვკლავო. იმას ერქვა გოდერძი, რომლის მოსაკლავადაც წავიდა. რომ მივიდა, ქორწილი იყო და მთვრალ ხალხს საბძელში ეძინა, წიწნაურთ კაცი საბძელში შევიდა და ათვალიერებდა, გაუგეს გოდერძის მოკვლა უნდაო და ეს აქ მოკლეს.

ხატში თასს იმიტომ ღვრიდნენ, რომ წიწნაურები წყევა-კრულვით იყვნენ მოხსენიებულნი და თუ ვინმე იმათი მონათესავე არის,

ისინც ასე დაიღვარნენ და გათავდნენ, როგორც ეს თასი დაიღვარა და გათავდაო. ხალხის გასაფრთხილებლადაც იყო ეს წესი, რომ გაეგოთ, ცუდ ხალხს როგორი წყევლა-კრულვით იხსენიებს სოფელი, რომ მომავალში აღარავის გაებედა სოფელში ავნობა და ავხელობა. თუ ვინმე გაბედავს სიცუდეს, ყველამ უნდა იცოდეს, რომ სიკვდილის შემდეგაც და სიცოცხლითაც ასეთი ცუდი ხსენება ექნებათ. ამიტომ ახადს ძალიან კარგი სოფლობა აქვს.

საკლავის ხორცს დასტურნი მთლიანად .მოხარშავდნენ. ხევისბერი დაჭრიდა წნელისაგან წილებს და ჩაყრიდა ქუდში, ეს წილები დანიშნული იყო: ზოგს ორგან დაუჭდევდა, ზოგს მეტ ადგილას, ზოგს ერთგან, ზოგს ისრის კილოს გაუკეთებდა და ასე იხსომებდნენ თავთავის ნიშნებს. ხევისბერი წილებიან ქუდს დაიჭერდა და იტყოდა: „დალოცვილო ჩვენო სალოცაო, შენ უშველე შენთ ყმათა და ბევრი ახალი წელი მშვიდობისა ალოცვიე, შენის სახელით მიარგინე მეკვლეობა, მეკვლეთად გაძღოლა იმასა, ვისაც კვალი კეთილად ხვდებოდეს". დასტური წილს ამოიღებდა, ვისაც იქნებოდა, იმას ერგებოდა მეკვლეთათვის წინ გაძღოლა. გადმოიშლებოდნენ მეკვლენი სოფლისაკენ. გამოუძღვებოდა წინ გამძღოლი მეკვლე, დანარჩენები მღერა-მხიარულობით მოდიოდნენ და ასე შემოვიდოდნენ სოფელში. სხვა სოფლებში ხატიდან წამოსული მეკვლეები ყველგან მივიდოდნენ და ყოველ კომლს შეუგორებდნენ გოგას. აქ კი ასე არ იყო. ზოგან ოჯახის წევრი მეკვლე შეაგორებდა გოგას, ახადში არც ეს ყოფილა. მეკვლენი რომ დაიშლებოდნენ, ზოგი აქედანვე წაიყვანდა კვალის შემტანს და ზოგი მერე დაუძახებდა, ვისი კვალიც კარგად ჰქონდა დაცდილი. როგორც ვიცით, სხვა სოფლებშიც იცოდნენ კვალის შემტანად ნამდვილი მეკვლის გარდა კიდევ სხვა მეკვლის მიყვანა. აქ ასეთი მეკვლე შეაგორებდა გოგას. აქაც დიასახლისი გოგაზე დანიშნავდა ცხვრის მხარეს, ძროხის მხარეს, პურის და სხვა ოჯახური ქონების მხარეებს .და გამოცხობის შემდეგ რომელი ადგილიც უფრო მაღლა ამოიბერებოდა, ნიშანი იყო იმისი კეთილდღეობისა და უხვი მოსავლისა. შემოგორების დროსაც აქცევდნენ ყურადღებას: რომელ გვერდზე დადგებოდა გოგა, წალმა თუ უკუღმა. თუ წალმა მოვიდოდა, ოჯახი გახარებული რჩებოდა და თუ უკუღმა, საწყინო იყო. მეკვლეს სამჯერ შეაგორებინებდნენ გოგას, მერე გადააბიჯებდა ზღურბლზე და მიულოცავდა: „შემოვდგი ფეხი, გწყალობდეთ ღმერთი, ფეხი ჩემი, კვალი ანგელოზისა; ბევრი გიმატებიათ, ბევრი გიმატოსთ ახალის წლის გამოცვლაზედა ჩვენმა სალოცავმა და ღმერთმა, მრავალი გალოცვიოსთ ახალი წელი ერთურთის სიცოცხლით და კარგად ყოფნითა". ახლა ისინიც ულოცავდნენ ამავე სიტყვებით...

გოგას შეინახავდნენ ამ სახით წყალკურთხევამდინ. წყალკურთხევას ხარის კისერზე გასტეხდნენ და იტყოდენ: „ღმერთო და ჩვენო სალოცაო, შენ უშველე ჩვენს ოჯახში ჯარსა, გუთანსა, კაცსა, საქონსა, ჯარის ნაჯნავსა, ფურის ნაწველსა და კაცის ალალ ოფლით ნაშვრალ-ნამუშევარსა, წელი მშვიდობისა და მადლიან-ბარაქიანი დაგვიყენე, მიგვაგებე მრავალს ახალწელსა მშვიდობით და კარგად ყოფნითა". გოგას ხარის კისერზე ორად გატეხდნენ, ნახევარს კიდევ ორად და მეოთხედს ამ ხარს შეაჭმევდნენ. მეორე ხარსაც შეაჭმევდნენ გოგას ნაწილს. გოგას გასტეხდნენ იმ ხარის კისერზე, რომელიც ხნით უფროსი იყო და ოჯახზედაც მეტი ამაგი ჰქონდა.

მეკვლენი რომ სოფელში მივიდოდნენ, ყველას დაეშურებოდა, რომ სხვაზე ადრე გაეშვა ძროხები და გაერეკა წყალზე. ცხენსაც ადრე წაიყვანდნენ წყალზე. თან მიიტანდნენ ნაყრს: პატარა პურს და ყველს, ჩააგდებდენ წყალში და იტყოდნენ: „წყალო, შენთვის ნაყრი არ დამიყრავ და შენ შენს წყალობას ნუ დაგვაკლებ — შენის გამჩენის ხთისაგან. წელი მშვიდობისა დაგვიყენე და მრავალს მიგვაგებეთ ახალწელს კაცითა და საქონით".

ეს წესები რომ მოთავდებოდა, მეკვლენი ისევ ხატში წავიდოდნენ. იქ გამართავდნენ სუფრას. იმართებოდა ლხინი. სმა-ჭამა რომ მოთავდებოდა, წამოვიდოდენ სოფელში. სოფლის გვერდზე შარა იყო, სადაც მოიტანდნენ ლუდს, მოვიდოდა ქალ-რძალიც და იმართებოდ: სმა და მღერა-თამაშობა. ამ მხიარულ მღერაში თავის პირისლექსით ქალებსაც შეეხუმრებოდნენ:

ქალებს ჭრელებ კაბები სცვავ, ბულულაით ნაყიდები,
ყელზე ვერცხლის შიბებ უსხავ, ბოლო-ბოლო საკინძები,
რახან გზაში შამხვდებიან, გამწყრალივით გავსცილდები,
რა გავსცდები, გადმოვხედნენ, ობოლივით ავტირდები.

აქ რომ მოათავებენ სმას და მხიარულებას, მერე ვინმე დაპატიჟებს ხალხს და ყველანი იქ წავლენ. სხვა სოფლებში არ იციან, ახადში კი, ხევსურების მსგავსად, ბედისკვერას აცხობენ, მხოლოდ „კვერას" ეძახიან. კვერას ყველას უცხობენ, რამდენიც არის ოჯახში კაცი და ქალი, დიდი და პატარა. თუ სადმე ვინმე წასული ჰყავდათ, იმისთვისაც გამოაცხობდნენ კვერას და მოსვლამდე შეუნახავდნენ, ან იქ გაუგზავნიდნენ. ვისთვისაც გამომცხვარი იყო, იმას უნდა შეეჭამა კვერა. თაფლ-ერბოსთან ან მარტო ერბოსთან ერთად. კვერა იყო პატარა, მომრგვალებული პური, ერთ გვერდზე დაჭრელებული და ერბოთი გაპოხილი. სულერთი იყო, რომელ დღეს შეჭამდნენ.

ახალწლისათვის ყველა მომზადებული იყო სასმელ-საჭმელით და სამი დღის განმავლობაში ეპატიჟებოდნენ ერთმანეთს (წელწადი აქ

სამს დღეს გრძელდებოდა. მეორე დღეს გათენდება „კუმეტი-დღე“ (ამ დღეს აქაც კუმეტს ეძახიან, როგორც ხევსურეთში). კუმეტს ყველა კომლი ამზადებს ხინკალს და დილიდანვე იწყებენ ხატში მიტანას. ხინკალს თან მიაყოლებენ თითო ჩარექა არაყს. ხევისბერი ყველას ერთად ეტყვის შენდობას, თქმის დროს აანთებს სანთელს. დადგამენ ლუდიან თასებს; ხევისბერი დაიჭერს ერთ თასს, სანთელს და იწყებს შენდობის თქმას: „დიდება ღმერთსა ცისა და ქვეყნის გამჩენსა, დიდება დიდს კვირასა — ხთის მაღლის მოკარვესა, დიდება შენდა, ჩვენო სალოცაო პირქუშო, ყაწიმშვენიერო, ზინზილიანო. შენ უშველე შენთ ყმათა ცოცხალთა და დაასწრენ მრავალს წელწად-კუმეტსა. შენს საყმოში მიცვალებულნი კი მოიკსენიენეს ღმერთმა ძველნი და ახალნი, რომელნიც იყვნენ და ემსახურებოდნენ თავის სალოცავსა და სოფელშიც სვინდის-ნამუსიანნი იყვნენ, ენითაცა, ჭელითაცა და ყველა საქმითა, ქალსთანაცა და რძალთანაცა. დღეს კი ისინი აღარ არიან და ვეღარა ვხედავთ. სულწმიდანი არიან, შანდობას გამოგვეღიან და ჩვენ ყველას სახელდობრ ვერ მოვიგონებთ. ამ სუფრითაცა, სასმელითაცა და სანთელ-კელაპტრითაცა გაანათლოს ისინი თავის ქვეყანაშია. თუ კიდენა ვინმე მისადევარი იყოს პირქუშის ყმათაში, დისწულ-დედიმმა იყოსა, არადა სიძე-ცოლური, დობილ-ძმობილი, მოგბიროოდეს ამ სუფრასა და ჩვენ არ ვიცოდეთ — შეიწყალოს ისინიცა პირქუშის ყმათაში დაკლებულ სულიწმიდათ მასპინძლობითა. ამ საყმოთ პირქუშმაცა და მაღალმა ღმერთმაცა მადლი და ბარაქა დაუტანოს და კვლავად მშვიდობით მოაგებოს წელწად-კუმეტსა“.

ხევისბერი ამ თასიდან სუფრებზე ცოტა ლუდს დაასხამდა და მერე გამოცლიდა. შესანდობარს ყველანი დალევდნენ. დასტური ხინკალს ყველას ხელზე ჩამოურიგებდა. დასტურ-ხევისბრები კი სადასტუროში წაიღებდნენ, გაათბობდნენ და ჭამდნენ. ხალხი ზოგი აქ შეჭამდა თავის წილ ხინკალს, ზოგი შინაც წაიღებდა. დაასხამდენ ლუდს და კიდევ იმართებოდა სმა. მერე დაასხამდნენ კიდევ ლუდს და ამოიტანდნენ შარაში. აქ მოვიდოდა ქალიც და რძალიც. მოიტანდნენ თხილს, კაკალს და დაურიგებდნენ ყველას. იმართებოდა კიდევ სმა, მღერა და თამაშობა. ქალ-ვაჟები ერთობოდენ თხილ-კაკლის ლუწი-კენტობით, თამაშობდნენ ქალ-ვაჟები ოროლი ერთად. ხნიერმა კაცდედაკაცებმაც იცოდნენ ერთად თამაშობა. მღეროდნენ, ალექსებდნენ ერთმანეთს მოსწრებული სიტყვებით. საღამომდე აქ ატარებდნენ დროს.

აღება

აღება იყო დიდი მარხვის შემოსვლის წინა შაბათს. აღებას ლუდი ხატში არ მზადდებოდა, მხოლოდ ხევისბერი სანთელს მოანათებდა

ხატში და შეიძლება სოფლიდან ვინმეს მიეყვანა საკლავი ან ზვარა ხბო და სასმელიც მიეყოლებინა. ამ სასმელით ადიდებდნენ ხატს, დაამწყალობნებდნენ არყის მომტანს და დალევდნენ (ზვარა არის დეკეულის ხბო, ძროხა როცა პირველ ხბოს მოიგებს, ამას არც ფშავლები გაზრდიან და არც ხევსურები. ხევსურები თავ-თავის ხატში კლავენ, ფშავლები კი თავის ხატთან არსებულ ადგილისდედაში ანუ ხთიშობელში. აქ ყველა ხატთან არსებობს ადგილისდედა და მას ხთიშობელსაც უწოდებენ). აღებას შეიკროდა ხორცის პირი და უმრავლესობა აღდგომამდინ ხორცს აღარ ჭამდა. ეს იყო შაბათი დღე და ორშაბათს იყო თაგვ-ჩიტთ უქმი.

თ ა გ ვ-ჩ ი ტ თ უ ქ მ ი

ყველა უქმობდა, არ მუშაობდნენ. იტყოდნენ: თუ ვინმემ იმუშავა, თაგვები და ჩიტები ჭირნახულს გაუნადგურებენო და ასეთ ბევრ მაგალითს მოიყვანდნენ. ვინც გატეხა უქმი, რა ზარალი მიაყენეს. ვიღაც ქალმა გატეხა თაგვ-ჩიტთ უქმი და თაგვებმა ძილის დროს თმა მოაკვნიტეს ერთი ნაჭაპნიო (ნაწნავი), დაუჭრეს ტანსაცმელი და ნახელსაქმარი და სხვა.

თაგ-ჩიტთ უქმ დღეს ყველა მოხარშავდა ფაფას („ჩიტთ ფაფას" უწოდებდნენ). პატარა წიწნით (ჯამით) ფაფას გაიტანდნენ და გარეთ დადგამდნენ, რომ ჩიტებს ეჭამათ. თაგვებს კი არ სცემდნენ იმდენ პატივს, რომ მათთვისაც საჭმელი მიეცათ. ეშინოდა კი, რომ იმათაც შეეძლო ადამიანისათვის ზარალის მიყენება. ჩიტები თუ ფაფიან წიწანს არ მიეკარებოდნენ, მაშინ იქვე სადმე ქვაზე დადებდნენ ფაფას, სადაც ადამიანები ხშირად არ დადიოდნენ და არ დააფრთხობდნენ მათ. ეს ჩიტებისათვის პატივისცემა იყო, ვითომ ისინიც მიხვდებოდნენ და აღარ დააზიანებდნენ პატივისმცემლის ჭირნახულს.

ურ წ ყ ი ს ო რ შ ა ბ ა თ ი

ურწყის ორშაბათი არის ორი: ერთი ხსნილით და ერთი დამარხვების შემდეგ. ურწყნი დგებიან მარხვა-შემოსვლის წინა ორშაბათს და გრძელდება ორ კვირას, ერთი ხსნილის და ერთი მარხვის კვირა. მარხვის ერთი კვირა რომ გავა, იმ ორშაბათს არის ურწყის მეორე ორშაბათი, მანამდე ორი კვირის ყველა დღეებს ურწყთ ეძახოდნენ. ამ ორი კვირის განმავლობაში ოთხშაბათ-პარასკეობით საკაცო საქმეს არ გააკეთებდნენ. ქალები საკაცო ტანსაცმელს არც მოქსოვდნენ, არც დაართავდნენ საკაცო ტანსაცმლისათვის, არც შეკერავდნენ კაცის ტანსაცმელს. ურწყთ დღეებში არც მკითხავები მკითხაობდნენ, არც საკლავი დაიკვლოდა, რადგან ეს დღეები ხვთიდან ურწყთათვის

იყო მიცემული და ხთიშვილნი აღარ ხსენდებოდნენ. ურწყნი წარმოდგენილნი იყვნენ დედაკაცების სახით და მავნებლად. ამ დღეებში ჰქონდათ ძალა ადამიანთა ვნებისა. ამიტომ იყო, რომ ქალები და ბავშვები სოფლის გარეთ მარტოები არ მიდიოდნენ ურწყთ შიშით. დედაკაცებს და ბავშვებს პატრონობდა პატარა ანგელოზი, რომელიც ურწყთაზე გავლენას ვერ მოახდენდა, რომ დაეცვა თავისი საპატრონო ადამიანი, ამიტომ იმათთვის უფრო საშიში იყო. კაცების, ნამეტნავად ზოგიერთი მამაკაცის, ანგელოზი მძლავრი იყო და იმის ყისმათს ურწყნი ახლო ვერ მოეკარებოდნენ. ურწყნი ავნებდნენ მაშინ, თუ ვინმე გზაში შეხვდებოდათ, ან მათთვის მოლოცვილ დღეებში იმუშავებდა, ისე ისინი სავნებლად სახლში არ ეძებდნენ ადამიანსა და არც ჰქონდათ უფლება დამბადებელიდან, რომ უმიზეზოდ დაესაჯათ ადამიანი და რამე ზიანი მიეყენებინათ.

მგელთ უქმი

მგელთ უქმი მოდიოდა მარხვის პირველ შაბათს. ამ უქმესაც მგლების შიშით ყველა უქმობდა, კაცი და დედაკაცი. თუ ვინმე რამეს იმუშავებდა, მეზობლები იტყოდნენ: არ შეინახა კი მგელთ უქმი და ნახავთ, მგელი რას უზამსო. თუ მოხდებოდა და მგელი მართლა ზარალს მიაყენებდა უქმის გამტეხის ცხვარ-ძროხას, მაშინ ხომ მეტიც აღარ უნდოდათ. შეიქმნებოდა მითქმა-მოთქმა — მგელთ უქმს არ ინახავენ და მაშ რა კარგი უნდა მოუვიდესო. ეგონათ, მგლები მათი უქმის გატეხას შეარჩენდნენ და ახლა ხომ ნახეს, რა დაემართათო.

ხევსურეთში იცოდნენ მგლის პირის შეკვრა. ცხვრის საპარსავ დუქარდზე ბაწარს დაახვევდენ და იტყოდნენ: მგელო, პირი შეგიკარი, პირიმც შაგეკვრის და ნუღარამც გექნების ლაშთ დაძვრის ნება ჩემის საქონის შასაჭმელადო. ვითომც ამის შემდეგ მგელი პირის შემკვრელის პირუტყვს რომ მიუახლოვდებოდა, პირი ან გაღებული დარჩებოდა ან შეკრული და პირუტყვისათვის ზიანის მიყენება აღარ შეეძლო. ფშავში კი ამ მიზნით დაბმა იციან მგლისა. შეკრავენ ბაწრით ერთ გურჩს (გურჩი: ფილთაქვა), დანას და კოვზს და იტყვიან: „მგელო, ეგრემც დაემბი, როცა ჩემს ცხვარ-ძროხას მიუახლოვდები, როგორც ეს გურჩნია, დანა და კოვზი არიან შეკრულ-დამბულნი. ჩემს საქონსა და ცხვარს რო ნახავ, ნუმცაღ გექნება ძალა მათი დაზიანებისა. შეკრულიმცა ხარ ცათა და ქმელეთის გამჩენის ხთის ძალითა და ნუმცარას ზიანს მოგვაყენებ". მგლის დაბმა ხდებოდა მგელთ უქმე დღეს. ამის შემდეგ ამის შემსრულებელი დაიმედებული იყო, რომ მგელი ზიანს ვეღარ მიაყენებდა.

მგელთ უქმის სწორზე, ე. ი. მარხვის მეორე შაბათს, არის სულთაკრეფა, სულების დღეობა. სულთაკრეფისათვის ემზადებოდა ყველაკომლი, აცხობდნენ ლავაშებს და პურებს, მოხარშავდნენ ლობიოს, კარტოფილს, ვისაც რისი საშუალება ჰქონდა. გამართავდნენ სამარხო სუფრას, ოჯახში ვისაც უფრო ეხერხებოდა, ის დალოცავდა სუფრას თავისი მიცვალებულებისათვის. დალოცვა უფრო ეევალებოდა ოჯახში უფროს კაცს ან დედაკაცს. ახალი მიცვალებულის პატრონი კი (იმ წელს გარდაცვლილისა) სასმელსაც ამზადებდა და მეზობლებს დაპატიჟებდა. უფრო ქალებმა იცოდნენ სულის დღეობაში მიცვალებულთა ხარჯებში და ტირილ-სატირლობაში მისვლა. იცოდნენ ძალიან თხელი ლავაშების გამოცხობა წმიდა პურის ან სვილის ფქვილისაგან. გააწყობდნენ სამარხვო სუფრას და ხნიერი ვინმე იმ სულისათვის შენდობას ეტყოდა, ვისთვისაც გამეტებული იყო ეს სუფრა. ასეთ სუფრაზე სანთელსაც ანთებდნენ, უბრალო ოჯახური სუფრის დალოცვაში კი სანთელს არ ანთებდნენ. როცა განსაკუთრებული სულისათვის ილოცებოდა, სანთლის ანთებით ლოცავდნენ. სუფრაზე დააწყობდნენ ლავაშებს, ჯამებით ლობიოს, ბაკნით მოხარშულ, დაფცქვნილ კარტოფილს, მეორე ბაკნით თხილ-კაკალს, ვაშლს (ყველაფერს ერთად ეწოდებოდა „სალაღებელი“, ვითომც ამითი გალაღდებოდენ მიცვალებულები). აქვე დადგამდნენ ხელადით სასმელს, თუნგით წყალს, აანთებდნენ სამ ფეხ სანთელს, აავსებდნენ სასმლით ყანწს და მისცემდნენ ერთ-ერთ უფროსს კაცს ან დედაკაცს (დიდ სუფრას უფრო ხშირად კაცები ლოცავდნენ, პატარა სუფრას — შინაურს, დედაკაცები). ის ყანწს დაიჭერდა ხელში და იტყოდა: „დიდება შენდა, ღმერთო, ცისა და ქვეყნის გამჩენო. ცის ნამთა და დედამიწის მწვანილთა დამაარსებელო. ღმერთო, შენგან არის გაჩენილი კაცისა სიკვდილ-სიცოცხლეცა, შენგან არის გაჩენილი ჯსნილი და მარხვაცა და სულის ჯსენებაცა. შენ მიეც მადლი და ბარაქა ამ სუფრის პატრონსა (სახელი), მწუხარება კეთილად მოათმენინე და ნუღარას მიჰკერძებ ამის გარდა სამწუხარო საქმესა. გაუმეტებია და გაუმზადებია ეს სუფრა, სასმელი და სანთელ-კელაპტარი (მიცვალებულის სახელი: მაგალითად — ხვთისო). ხვთისოსთვინა, როგორც გამეტებული იყოს, ისე მოიჯსენიოს ხთისოს სული ღმერთმა, ამ სეფისკვერითა, ზედაშითა და სანთელ-კელაპტრითა. თუ ვინმე მოჰბიროოდეს ამ სუფრაზედა და ჩვენ ვერ ვიცოდეთ, ხთისოს მასპინძლობით მოიჯსენივნეს ისინიცა, იქაურის წეს-სამართლითა. თავის ნებითამც გასცემს ხთისო ამ სუფრიდან, ვისადაც რა ემეტებოდეს, ძალითამც ნურას ვინ გამოედავ-გამოეკიდება. ცოტამც დიდად ეჩვენება, რიოში — წმიდად.

ამ სითბოთა და სინათლითამც მიუვა, მზის შუქითა და საკთელ-კელაპ-ტრითა. იმას შანდობა ჰქონდეს, იმის დანარჩენებს სიცოცხლე და დღეგძელობა. დანარჩენ ცოცხლებს ჯვარი დაუწეროს ღმერთმა და ნუღარა სამწუხარო მოარგინოს. აკმაროს ზარალი ზარალად და დღეის გარდა სალხინო სამშვიდობო სუფრა ამზადებინოს".

ასე დაამთავრებდა შენდობის მთქმელი და ყანწიდან დაასხამდა პურზე ცოტა სასმელს. „ამინ!" — იტყოდნენ სხვებიცა. — „შეიწყალოს ღმერთმა ხთისო და დანარჩენ ჯალაფობას ჯვარი დასწეროს და ნუღარა ავი და ურიგო მიარგინოს". დამლოცავი დალევდა და ყანწს გადასცემდა მასპინძელს, ან მრიგეს. ის დაასხამდა და ყველას დალევინებდა შესანდობარს. მერე დედაკაცები გაშლიდნენ ტანისამოსს და ტიროდნენ (ტირილის წესები ცალ-ცალკე იქნება აწერილი). ტირილს რომ მოათავებდნენ, გაუშლიდნენ სუფრას და თან სასმელს მოაყოლებდნენ. სასმელი ასეთ სუფრაზე იცოდნენ. ისე ოჯახებში კი უსასმელოდ იცოდნენ სუფრები და არც არავის ეპატიჟებოდნენ. სულთაკრეფა ერთ-ერთი აუცილებელი ხარჯი იყო ახალი მიცვალებულისათვის გადასახდელი.

შუამარხვა

სულთაკრეფის შემდეგ მოდიოდა შუამარხვა. შუამარხვაში იცოდნენ თავ-თავის ოჯახში სამარხვო სუფრები. ახალი მიცვალებულისათვის სახელის შედება სავალდებულო არ იყო, როგორც სულთაკრეფას. უქმობდენ კიდეც. შვილების პატრონი ამ დღეს ხელუძრავად ინახავდა. ამ დღეს გაკეთებული საქმე ორად იყოფაო: ნახევარი სასარგებლოა, ნახევარი ეშმაკისთვის არისო. შვილების პატრონმა თუ იმუშავა, შვილნი ორად გაეყოფიანო, ვითომც ნახევარი შვილები დაეხოცებაო. შუამარხვაში თუ ფრჩხილი მოიჭრეს, ორად გაყოფილი გამოვაო (ეს ხევსურეთშიც ასე სწამდათ. მე მახსოვს, ჩემს ბებიას შუათითის ფრჩხილი ორად გაყოფილი გამოუდიოდა, ის იტყოდა: ეს ფრჩხილი შარხოშუაობას მოვიჭერი და იმიტომ ასეთი გამოვიდაო).

ამ დღეს ფშავში ყველა კომლის ერთი კაცი წავიდოდა ლაშარის ჯვარში, წაიღებდნენ კარგად გარჩეულ ერთ ჯამს კარგ ქერს, ერთ ჩარექა არაყს და სანთელს. ხევისბერი ქერს ლაშარის ჯვარის კოშკთან მიიტანდა, მოაბნევდა და იტყოდა: „დალოცვილო ლაშარის ჯვარო, შენ სასახელოდ იყოს ეს მხვიმე და შენის ლურჯაის სასარგებლოდ". ვითომც ლაშარის ჯვარის ლურჯას ქერი სჭირდება საჭმელად და ხალხს მიაქვს მისთვის შესაწირავად თავის ჭირნახულის ნათავარი (მიტანილ ქერს მხვიმეს უწოდებდნენ). ახიელში (არხოტის თემი, ხევსურეთი) კი ქერსა და სვეს სოფელზე მოკრეფდნენ, ლუდს ადუღებ-

დნენ და ამაღლებას ერთ დღეს ამით დღეობობდნენ. ამ ლუდს ეძახოდნენ მხვიმეს, ლუდის მდუღეთ ე. ი. ქერის შემკრეფთ და დასტურის წესრიგის შემსრულებელთ — მხვიმის დასტურთ. ფშავ-ხევსურეთში სხვაგან არ შემხვედრია მხვიმე. ახადში კი ლაშარის ჯვარში მისატან ქერს უწოდებდნენ თურმე მხვიმეს. ხევისბერი ქერს რომ გადაშლიდა, დაიწყებდნენ არაყის სმას. თანდათან ხალხი მოგროვდებოდა და იმართებოდა დღეობა. მხოლოდ მარხვაში საკლავს არ კლავდნენ. სვამდენ, გუდებით მიჰქონდათ სამარხო საჭმელი და სმის დროს აყოლებდნენ. როცა ხალხის მსვლელობა მოთავდებოდა, ხევისბერი მოტანილ სანთელს ყველას ერთად აანთებდა და დაამწყალობნებდა ლაშარის ჯვარის ყმათ, მხვიმის ძიმტანთ. ფშაველნი მთლიანად ითვლებოდნენ ლაშარის ჯვარის ყმად. ეს ჯვარი მთელ ფშაველთ ეკუთვნოდა.

ყველაფერი რომ მოთავდებოდა, დაიშლებოდა ხალხი.

კუდიან დღე-ღამენი

კუდიანი დღე იყო ოთხშაბათი, ამ დღეს კუდიანებს ჰქონდათ ნება სიარულისა, ხთიშვილნიც ნებას აძლევდნენ და ღმერთიც. ხთიდან წელიწადში მარტო ეს ერთი დღე ჰქონდათ მიცემული მათ. კუდიან-დღეს ქალები და ბავშვები მარტონი ვერსად წავიდოდნენ კუდიანების შიშით. ისინი ვითომც გამოღვიძლავდნენ ადამიანს, როცა შეხვდებოდნენ. გამოღვიძლული ადამიანი ავად გახდებოდა და მოკვდებოდა. კუდიანები იყვნენ მამაკაცებიც და დედაკაცებიც. ისინი ციცებად გადაიქცეოდნენ, გაძვრებოდნენ სახლიდან, როცა ოჯახის წევრები დაიძინებდნენ და წავდოდნენ შორს მინდორში, სადაც იმ ღამის კუდიანები იყრიდნენ თავს (ხევსურების წარმოდგენით, აჩხოტის მინდორში იყრიდნენ თავს, ყაზბეგთან ახლო. ფშავლები ზოგი იქ ამბობს, ზოგი სადღაც იორზე). მთელ ღამეს იქ იყვნენ, არიგებდენ, სად რა ვის ავნონ, ვინ წყალშ ჩააგდონ, ვინ მოკლან ზავით და სხვა. ავალებდნენ: შენ ის უნდა გამოღვიძლო და შენ ისაო, თუნდაც იმისი ნათესავი იყოს.

ერთ კუდიან ქალს თურმე უყვარდა თავისი მაზლი ნათესაურად, რადგან ის ძალიან კარგი იყო. დაავალეს თურმე კუდიანებმა მისი გამოღვიძლვა. თუ არ გამოტეხილიყო, აუცილებლივ უნდა შეესრულებინა დავალება. გამოტყდა იმის გულისათვის, რომ მაზლი ვერ გაიმეტა. გამოვიდა და სახალხოდ თქვა: მე კუდიანო ვარ და გავტეხილვარო. თუ გამოტყდებოდა, რომ ის კუდიანია, კუდიანობის უნარს კარგავდა, ჩვეულებრივ ადამიანად იქცეოდა.

კუდიანი დედაკაცი ძალიან მავნებელი და დაუზოგავია. იშვიათად მოხდება ვინმე რომ დაზოგოს. რომ დაავალონ, შვილსაც გამოღვიძლავს

ან სხვა რამით მოკლავს (იტყვიან, თუ ვინმეს შვილები დაეხოცა: კუდიანია, შვილები ამოიჭამაო. ზოგი შვილებ და სხვა ოჯახის წევრებ ამოწყვეტილი დედაკაცი თვითონაც იტყვის: ყველა დამეხოცა და მე დავრჩი, ცოცხალი კუდიანი ვარ, ასე რად მომივიდაო). კუდიანი კაცი კი არ ყოფილა მავნებელი. ის ყოფილა მშვიდი, იმას ვერც ავალებდნენ კუდიანები ვინმეს გამოღვიძლვას და არც შეასრულებდა. ის ყოველთვის იცავდა თავის გვარს და თავის ნათესაობას. როგორც კუდიანი, ის წინასწარ მიხვდებოდა თავის გვარში და ნათესაობაში მომავალ უბედურებას. არ იტყოდა, რომ კუდიანი ვარ და გავიგეო, მაგრამ მანამდინ ეცდებოდა, სანამ არ ააცილებდა მომავალ ხიფათს. ამიტომ იტყოდნენ: ნეტავინ იმ მამიშვილობას, რომელ მამიშვილობაშიც კუდიანი კაცია და ვაი იმ მამიშვილობას, ვის მამაშიც კუდიანი დედაკაციაო. თუ ეჭვი ეპარებოდათ, რომ ვინმე კუდიანი იყო, ძალით გააშიშვლებდნენ და წყალში ჩასვამდნენ: წყალში გამოჩნდება კუდიანი ადამიანის კუდი თითის ოდნადო. თუ ასეთი მართლა აღმოჩნდებოდა, უნდა გამოტეხილიყო და დაკარგავდა კუდიანურ თვისებებს. გამოტეხილი კუდიანი ბევრ რამეს ილაპარაკებდა. მაზლის გულისათვის რომ გამოტყდა, იმ კუდიანმა ილაპარაკა: ერთი კაცი მოდიოდა მთაზე საზვავე თოვლში, იმის მოკვლა გვინდოდა ზვავით, მაგრამ დავლათიანი ყოფილიყო და ვერ მოვკალითო. თოვლიან მთაზე რომელი გზაც უნდა გაევლო, იქ წავედით და სადაც უფრო საზვავე თოვლი იყო, ბალახი ისე გავაკეთეთ; ვითომც თოვლი ძალიან თხლად იყო და გამხმარი ბალახი მიწის პირიდან ისევა ჩანდაო. ეს კაცი რომ მოვიდა, ჩვენ გვიხაროდა — ახლა კი მოვკლავთო, მაგრამ დადგა, მიიხედ-მოიხედა და არგნით გასინჯა თოვლის სიმაღლე. არგანი ღრმად წავიდა, გაუკვირდა და თქვა: დიდება შენდა, ღმერთო, ეს რა ამბავია, ამსისხო თოვლია და ეს ბალახები როგორღა ჩანსო. ღმერთის ხსენებაზე მისთვის დამზადებული საზვავე თოვლი გატყდა, ისეთი ზვავი ჩავიდა ჭალაში, რომ ციხეზე კიდევ მაღლა იყო. ეს კაცი ჯერ თოვლზე არ შემდგარიყო და თავისი დავლათით გადარჩა (ამიტომ იციან მგზავრებმა და მონადირეებმა, რომ ნაქარზე არ შედგებიან, თუ არგნით არ გასინჯეს და ღმერთი არ ახსენეს პირჯვრის დაწერით, არ ენდობიან — ვაითუ, ეშმაკებმა და კუდიენებმა კარგი გასავალი მოგვაჩვენონ და ზვავი გატყდესო). ასეთი ბევრი რამ უთქვამს გამოტეხილ კუდიანს. კუდიანი ადამიანი როცა კაცის სახეს მიიღებს და მიდის სადმე, შავია. ამიტომ იყო, რომ შავ ციცას თუ ხელში ჩაიგდებდნენ, გაშანთებული რკინით დადაღავდნენ პირისახეზე — ადამიანად რომ იქცევა, დადაღული კარგად შეეტყობა სახეზეო. ერთი ასეთი ციცა დაუდაღავთ და რომელ დედაკაცზეც ეჭვი ჰქონდათ, მეორე დღეს სახეშეხვეული

გამოსულა, დაიჭირეს თურმე, შეხსნეს შეხვეული და აღმოჩნდა ლოყებზე დადაღული, როგორც შავ კატას დაუდაღეს.

კუდიანთ ოთხშაბათი რომ დაღამდებოდა, ყველა ოჯახის კარზე დაანთებდნენ დიდ ცეცხლს — ჭიაკოკონას. იცოდნენ თოფების სროლაც ჰაერში კუდიანების დასაშინებლად; ეკლესიაც გაუკეთებდნენ საკვამლეში, კარის თავებზე, საპურე გოდრებზე, ძროხებთან შესასვლელ კარებში, გარეთ დაგროვილ ძროხის ნაკელზე. ერთი სიტყვით, სადაც რა სასარგებლო ჰქონდა ოჯახს, ყველგან გაუკეთებდნენ ეკლესს. კუდიანებს ეკალი აშინებდა, ახლოს ვეღარაფერს მიეკარებოდნენ და მადლ-ბარაქას ვეღარ დაუკარგავდნენ. კარისთავზე რომ ეკალი იყო, კუდიანი შიშით სახლში ვეღარ შეძვრებოდა და სხვაგან წავიდოდა. თუ ვინმეს შემთხვევით უეკლოდ დარჩა საკვამი ან კარები, იქ შეძვრებოდნენ და ოჯახს ზიანს მიაყენებდნენ. ოჯახში იცოდნენ ბუნაგთ დაბეჭდვა ნახშირით, ძროხების და ცხვრების დაბეჭდვაც. მიიტანდნენ ნახშირს, ყველგან დაყრიდნენ და იტყოდნენ: „ჯვარი გეწეროსთ წმიდის გიორგის დაწერილი". მოხუცი ქალები დაწოლის შემდეგ თავისი ოჯახის ქალ-რძლებსა და ბავშვებსაც დაბეჭდიდნენ: „ჯვარი გეწეროსთ წმიდის გიორგის დაწერილი" — ამ სიტყვებით ლოგინში მწოლიარეებს გადააყრიდნენ ნახშირს. დედაბრებმა ამ წესის შესრულება კუდიან-დღის გარდა სხვა დღეებშიც იცოდნენ ეშმაკების შიშით. თუ ოჯახში კაცი არ იყო და ეშმაკებისა ეშინოდათ, ყოველ ღამე ნახხშირს გადააშლიდნენ ოჯახის წევრებს და ჯვარს დასწერდნენ. თუ სამგზავროდ წავიდოდა ქალი ან ბავშვი და კაცი არ ახლდა, იმასაც ჯვარის დაწერით უბეში ჩაუდებდნენ ნახშირს და წასულს გადააშლიდნენ; ეშმაკებსა და კუდიანებს ნახშირისა ეშინოდათ. ნახშირით გადაბეჭდილს და წმიდის გიორგის სახელით ჯვარწერილს სავნებლად ვეღარ მიეკარებოდნენ. კუდიან-სალამოს ნახშირს გამოიტანდნენ, ან ცეცხლიან ნაღვერდლებს და სახლის გარშემო გადაშლიდნენ. თუ ვინშეზე ეჭვი ეპარებოდათ — კუდიანიაო, კუდიან-ღამეს ყარაულობდნენ — იგი აუცილებლად შავ კატად გადაიქცეოდა და სადღაცა გადაიკარგებოდა, თენებაზე ისევ მოვიდოდა, შეძვრებოდა შინ და ადამიანად იქცეოდა.

ᲐᲦᲓᲒᲝᲛᲐ (ᲐᲮᲕᲘᲡᲔᲑᲐ)

ეს დღეობა კვირას დილით იწყება. დასტურნი ხომ მუდამ სალოცავში იყვნენ და ლუდიც მათგან იყო დამზადებული. დილას ხევისბრებიც მოვიდოდნენ. ხატში მოსვლამდინ ხევისბრები ხუთმეტი დღით ადრე წმიდობდნენ. იბანდნენ ხშირად ტანს და ისეთ ადგილებში არ გაიელიდნენ, სადაც დედათწესიანი ქალები დადიოდნენ. დღეობის წეს-

რიგი ჩვეულებრივ მიმდინარეობდა, მხოლოდ აღდგომა-დღეს ყველა კომლი ხატში მიიტანდა ქადა-საწირავთ. ქადაზე დებდნენ სამ ხავიწიან პატარა ქადისკვერს. ქადას დაჭრიდნენ ხთიშობელში ნაწველ-ნადღვების სამხვეწროდ. ერთ კოტორს გამოჭრიდნენ და სამ წილს პატრონს უბრუნებდნენ. ქადისკვერს აგროვებდნენ ბავშვებისათვის დასარიგებლად. აღდგომას ზვარაც (ზვარაკი) ბევრი მოდიოდა. დამარხვდებოდა თუ არა, ფშავის ხატებში საკლავს აღარ დაკლავდნენ. ზვარას გაზრდა არ შეიძლებოდა და დაკვლამდე არც დედისათვის მოშორება (ასხლეტა). ზვარა უნდა დაკლულიყო პირრძიანი. ისე ჩვეულებრივ ოთხი კვირისას კლავდნენ. ახლა კი რადგან მარხვა გრძელია, ბევრს უხდებოდა ექვსი-შვიდი კვირაც აღდგომამდინ, ამიტომ ძალიან გათამამებული ზვარები მოდიოდა. ფშავლებს ბევრი ძროხები ჰყავდათ და ზვარაც ბევრი იყო, განსაკუთრებით ამ დღეებში, რადგან დიდმარხვის ხანებში იცის ხბოიანობა ძროხების უმრავლესობამ. როგორც ქადა იჭრებოდა ნაწველ-ნადღვების სამხვეწროდ, ისევე ზვარა დაიკვლოდა საქონლის სამხვეწროდ. ხევისბერი იტყოდა: „შენ სასახელოდ იყოს ეს ზვარაკი და შენ მეხვეწურთ კაცისა და საქონის საშწყალობნელოდ, ადგილის დედაო ხთიშობელო, ჩვენო სალოცაო (ხევისბრების და მკითხავების ენით ზვარაკი იყო, ხალხი კი ზვარას უწოდებდა). უშველე შენთ მეხვეწურთა, მადლი და ბარაქა დაუტანე ჯარის ნაჯნავსა და ფურის ნაწველსა“ და სხვა.

ზვარების მიმყვანთა გარდა სხვა მეზღვნეც მოდიოდა და იმართებოდა კარგი დღეობა. სოფელი მოვიდოდა და საჯარეში დასხდებოდა. ამათ მისცემდნენ თავის კუთვნილ ლუდს და აქაც სმა იმართებოდა. ქალებს ქადები მოჰქონდათ. მათი ჯარი იმართებოდა ხატიდან მოშორებით. იმათთანაც გაჰქონდათ ლუდი. ახალგაზრდა ვაჟებიც გავიდოდნენ და იმართებოდა ლხინი და თამაშობა-მხიარულობა. რომ მოშუადღევდებოდა, ხევისბერი ჩვეულებრივად წინდებიანი მივიდოდა საზარესთან და დარეკდა. სოფელი და სხვა მლოცავი ხალხი ქუდმოხდილები დგებოდნენ და იწერდნენ პირჯვარს. ზარის ხმაზე ბავშვები ცალკე გაერჩეოდნენ და უყურებდნენ ხევისბერს. ხევისბერი რომ დაბრუნდებოდა, მიუტანდნენ ქადისკვერებიან ბაკანს. ის ოროლ-სამსამობით იღებდა და უგორებდა ბავშვებს. ბავშვები, ვინც რას მოასწრებდა, იტაცებდნენ. ვინც პატარები იყვნენ, მათ დაუძახებდა და ხელზე დაუდებდა კვერებს. აქედან მობრუნებული მოვიდოდა ხალხთან და ეტყოდა: „წყალობა მოგიტანეთ პირქუშისა, წყალობით იყოს თქვენზე და თავის ყმათაზე“. — „თქვენიც მწყალობელი იყოს“, უპასუხებდა ხალხი. ამის შემდეგ თუ ვინმეს შეთქმული ჰქონდა, სუფრებს გამართავდნენ; იმართებოდა სმა-ჭამა და მხიარულება. ზვარას ხორცი პატრონს მიჰქონდა, რჩებოდა დასტურ-ხევისბრებს თავი და ერთი მხარი.

აღდგომა იყო ერთ დღეს, საღამოზე გამოილოცავდნენ. დასტურნი აქ რჩებოდნენ, ხალხი და ხევისბერები კი შინ წავიდოდნენ.

აღდგომის სამშაბათს ყველა ოჯახში დიასახლისები ცხრა-ცხრა ხავიწიან კვირებს გამოაცხობდნენ და ერთს უგულო საწირავს (საწირავი აწერილია სხვა ხატებში და ყველგან ერთნაირი იციან). ნატეხარაში გაადნობდნენ სანთელს (ნატეხარა იყო თიხის ჯამის ნატეხი რამე ან სხვა ისეთი რამ, რომ სანთელი გამდნარიყო), ჩააგდებდნენ შიგ გამდნარ სანთელში თიკვის პირს რამეს (ფაბრიკული ქსოვილის ნაჭერი) და მოუკიდებდნენ ცეცხლს. თიკვის პირს ცეცხლი აღარ გაუქრებოდა მანამ სანთელი სულ არ ამოიშრიტებოდა. დედაკაცები თვითონ ახსენებდნენ ამ კვერებს და ანთებულ სანთელს სახლის ანგელოზისთვის (ფშავში სახლის ანგელოზს ეძახიან, ხევსურეთში სახლის ანგელოზსაც და მეკეზისწვრე ანგელოზსაც, წარმოდგენა სახლის ანგელოზზე ერთნაირი იყო, ფიქრობდნენ, რომ ყველა სახლს ჰყავდა ანგელოზი. უამისოდ არ შეიძლებოდა. დედაკაცები დაწოლის დროს ჯერ ღმერთს სთხოვდნენ და იმ ადგილის სალოცავს, რომ ღამით მშვიდობიანი ძილი და მშვიდობის დილა გასთენებოდა თავისი ოჯახის წევრებით. მერე იტყოდნენ: სახლის მამცაურო მეკეზისწვრეო ანგელოზოო, და იმასაც თხოვდნენ (დახმარებას). ხსენებაში საჭირო არ იყო არც ხევისბერი და არც სხვა მამაკაცი. დედაკაცს უფლება ჰქონდა სახლის ანგელოზისათვის თვითონ მოეხსენებინა კვერები და სანთელი.

ამაღლება

ამაღლება სხვა დღეობების მსგავსად არ იცოდნენ, დასტურნი ლუდს არ ამზადებდნენ. არ წესობდა ლუდის დუღება ამაღლებას. მხოლოდ ხევისბერი კი მოვიდოდა და თუ ქადას ვინმე მოიტანდა, იმას გასჭრიდა.

სერობა

ამაღლების შემდეგ მოვიდოდა დღეობა სერობა. დასტურნი, როგორც ზემოთ ითქვა, წელწადში ორჯერ იცვლებოდნენ — გიორგობას და ამაღლებას (ეს ამბავი ამაღლების მოკლე აღწერაში გამოგვრჩა). ამაღლებას გამოიცვლებოდნენ ორივენი, ხელმხარს ინათლავდნენ და დაიწყებდნენ სადასტუროში ცხოვრებას. რადგან ამაღლებას ლუდი არ არის და პატარა დღეობა იყო, არც თას-განძი მიჰქონდათ და სერობამდე რჩებოდა ისევ ძველ დასტურთა განკარგულებაში. სერობას ლუდიც მზადდებოდა, დროშაც გამოდიოდა, სასანთლეში სანთლებიც ენთებოდა, ზარიც ირეკებოდა. ყველა წესი სრულდებოდა, რაც კი ხატს უწესობს. ამიტომ ძველი დასტურნი ახალთ აბარებდნენ თას-განძსაც

და სხვა რახატო ქონებასაც. ლუდი ამ დღეობაში ახალ დასტურთაგან შზადდებოდა, პურიან ბეღელსაც იმათ გადააბარებდნენ ძველი დასტურები. ერთ-ერთი მათგანი ჩაიბარებდა, მხოლოდ ვიდრე საჭირო არ იქნებოდა, შიგ არავინ შეეიდოდა (საპურეში შედიოდნენ შემოდგომაზე და გაზაფხულზე და მაშინ ინათლავდნენ ხელ-მხარს). სერობას შეასრულებდნენ ყველა იმ წესს, რაც სხვა ხატებში არის აღწერილი. მეზღვნე ბევრი მოდიოდა, რადგან ამ დღეობაში გზა ყველგან არის გასული და საკლავსაც ადვილად შოულობდნენ, რადგან მთებში ბევრი ცხვარი იყო მოსული (ხატებში ფშავლები გაბეჩავებულ საკლავს არ დაკლავდნენ, რეტიანი ხომ შეუძლებელი იყო ხატში დაეკლათ; ყოველთვის კლავდნენ შერჩეულს. ხევსურეთში პირიქით; ვისაც ზღვნობა უნდოდა და თავისი ცხვარი არ ჰყავდა, სოფლებს შემოივლიდნენ — სახარჯო ბატკანი თუ ვისმე გყავთ მოგვყიდეთ, სული ედგეს, ხატში მიაღწიოს ცოცხალმა და სხვა არაფერი მინდაო. არც რეტიანს იწუნებდნენ და მოპარულის დაკვლასაც არ ერიდებოდნენ). ამ დღეობაში შორიდანაც მოდიოდნენ. უმრავლესობას შეთქმული ჰქონდა სუფრის გაკეთება. ეს ისეთივე წესით სრულდებოდა, როგორც იახსარში გვაქვს აღწერილი. იდგა საყეინო და სვამდნენ ლაშარის ჯვრის პიროფლიანთ შასანდობარს. დანარჩენი წესები სრულდებოდა ყველგან ერთნაირად. სერობას პირქუში კურეტებიც ბევრს მოუდიოდათ. დღეობა იყო ერთ დღე-ღამეს, მეორე დილას გამოილოცავდნენ. სერობას პირქუშში ფერხისა იცოდნენ. პირქუშისა და ხთიშობლის ნიშნები ახლო-ახლო იყო. პირქუშში დაბამდნენ ფერხისას და გადავიდოდნენ ხთიშობელში ფერხისულის მღერით. აქ ლუდი პირქუშიდან იყო გადატანილი და ფერხისაში ჩაბმულ ხალხს დაშლამდე დაალევინებდნენ. როცა ყველა დალევდა, სიმღერისთავი იმღერებდა:

„მცხეთა აივსო კირითა, თქვენი დუშმანი ჰირითა“

და დამთავრდებოდა ფერხისა. მეორე დღეს საღამო ხანზე გამოილოცავდნენ.

მარიანობა

სერობის შემდეგ მოდიოდა მარიანობა. იგი ჩვეულებრივი დღეობა იყო. ახალი წესი არაფერი სრულდებოდა. ლუდი დამზადებული იყო დასტურთაგან და მეზღვნეს ამით სცემდნენ პატივს. სოფელიც მოვიდოდა, საჯარეში დასხდებოდნენ და თავის კუთვნილ ლუდს მოიკითხავდნენ. იმართებოდა მხიარულება. მერე მოვიდოდა გიორგობა და დასტურნი იცვლებოდნენ. ამაღლებას დამდგარი დასტურნი განთავისუფლდებიან გიორგობას.

ხთიშობელი ანუ ადგილის დედა ყველა თემს ჰყავდა; თემში შემავალ სოფლებსაც ჰყავდა თავ-თავისი ხთიშობელი თითო-ოროლა სოფლის გამოკლებით. ვიცით, რომ ყველა მცხოვრებს მიჰქონდა ხთიშობელში ძროხის ნაწველის ნათავარის ქადა, კლავდნენ ზვარას, მიჰქონდათ კელაპტარი და საკლავსაც კლავდნენ. მაგრამ ხთიშობელს ყველაზე პაწაწინა თავისი საკუთარი მამულიც არ ჰქონდა სალუდე-სადასტურო, საბერო და სხვა. არც დასტურ-ხევისბრები ჰყავდა საკუთარი. პირიქით-პირაქეთ ფშავში სამი ხთიშობილი იყო (პირიქით ფშავი — ივრის ფშავი და პირაქეთი — ფშავის ხეობა): ერთი მუქუში, მეორე უკანა-ფშავში და მესამე ბაჩალში (ბაჩალი სოფელია ივრის სათევეში), რომელთაც ჰქონდა ყველაფერი საკუთარი: მამული, სადასტურო, საბერო, სალუდე, საზარე, ბელელი, საღვბნე ანუ მარანი და სხვა. ჰყავდა საკუთარი დასტურ-ხევისბრებიც — ასეთ ხთიშობელს ეწოდებოდა „მოხარნადე ხთიშობელი". მოხარნადე იმიტომ, რომ სანადო მამულები ჰქონდა და მისი დამუშავება ხარ-ნადით ხდებოდა. ყველას ხარები მუშაობდა ნადით, ერთობით. მოხარნადე ხთიშობელი ყოფილა დიდი და ძლიერი სალოცავი. სხვა ხთიშვილებში მასზე ძლიერია მხოლოდ ლაშარის ჯვარი, რადგან ბევრნი ყმანი ჰყავდნენ.

მუქუს ხთიშობელს ჰქონდა საკუთარი მამული თავისი საარსებო ადგილის დასავლეთ მხარეს; ეწოდებოდა ხატის სანადო. ხატიდან ასი შეტრის მანძილით დაშორებული ჰქონდა აგრეთვე მამული ხოდაშენში, კახეთში, თელავის რაიონში, სადაც ვენახი ჰქონდა გაშენებული. ჰყავდა თავისი მეზვრე, ჰქონდა მარანი, სადაც პატარა კოშკიც იდგა დროშის საბძანით. მეკულუხე რომ მივიდოდა, დროშა ამ კოშკთან დაბძანდებოდა, აქ მოსული მეზღვნის საკლავებიც კოშკთან იხოცებოდა (ზემოთ გამოგვრჩა: ხსენებულ დიდ ხთიშობლებს დროშებიც თავისი ჰქონდა და მედროშეებიც თავისნი ჰყავდა. დანარჩენ წვრილ ხთიშობლებს დროშები არ ჰქონდათ და არც მედროშენი ჰყავდათ. აქ დროშა შიჰყავდათ ან სათემო, ან სასოფლო ხატებიდან, რომელ სალოცავთანაც ახლო იყო, იმისი დროშა მიდიოდა).

მამულებს ეწოდებოდა სანადოც და ხოდაბუნიც. ამუშავებდა სოფელი. აგრეთვე მათი განაყრებიც მოდიოდნენ სხვა სოფლებიდან და ეხმარებოდნენ ხვნასა და მკაში. ხვნაში მოხმარება გადასულებისაგან ძნელი იყო, რადგან შორს იყვნენ გადასახლებულნი და ხარების მოყვანა უძნელდებოდათ, მკაში კი მოდიოდნენ და ეხმარებოდნენ. ისეთ დროს ხნავდნენ გამოანგარიშებით, რომ მარიანობას სამკალი ყოფილიყო. მაშინ აქ მთავარი დღეობა იყო და სალოცავად უმრავლესობა მოდიოდა. მოსული მლოცავი ხოდაბუნებსაც მომკიდა, თუ ამინ-

დი ხელს არ შეუშლიდა. ნადისათვის განსაკუთრებით ცალკე იყო ლუდი დამზადებული და საკლავებსაც ცალკე კლავდნენ. მომკილ ძნებს დააგროვებდა ადგილ-ადგილ ხალხი და დასტურები ააგებდნენ. ამის შემდეგაც უვლიდნენ, რომ არ დაშლილიყო და არ დამპალიყო. შემოდგომაზე დასტურნივე მოიტანდნენ ძნებს კალოზე, დადგამდნენ, გალეწავდნენ, ერთ-ერთი დასტური ხელ-მხარს ინათლავდა და პურს ჩაყრიდა ქვისგან აშენებულ საპურე ბეღელში (ბეღელი ქვითკირისაა და დღესაც არ არის დაზიანებული, მხოლოდ პური აღარ ინახება შიგ, რადგან ხალხი არ ამუშავებს ნადით, თავ-თავისთვის ხნავენ და პურს ოჯახიდან ხარჯავენ საჭირო დროს). ნადის დროს თავხევისბერი გამოაცხადებდა: ამა და ამ დღეს ხატის მამულზე ნადი არის დანიშნული და ყველა მოდით გამართული ხარ-გუთნითო. ხალხი დანიშნულ დღეს შეგროვდებოდა და ყველა შეაბამდა გუთანში ხარებს. ხევისბერი დაამწყალობნებდა: „გწყალობდესთ დედა ხთიშობელი ყმათა და ხარნადში მონაწილე ხალიზით მომსვლელთა, ერთგულ მუშათა, მშვიდობისა და ღალიან ბარაქიანი წელი დაგიყენოსთ, კარგი მოსავალი მოგგვაროსთ და მრავალჯერ მშვიდობით მოგიყვანოსთ დალოცვილის ჯარ-ნადში“. გუთნისდედა, მეხრეები ყველანი თავ-თავის გუთნებთან იდგნენ ქუდმოხდილნი და ხევისბერის დამწყალობნების შემდეგ იტყოდნენ: „გწყალობდესთ ყმათა, დასტურ-ჭევისბერთა და ერთგულ მუშათა“. ამის შემდეგ ყველა გაუჯვარდებოდა ხარებს და დაიწყებოდა ხვნა. დასტურ-ხევისბრები კი ლუდიან კოდს ჩვეულებრივი წესით გახსნიდნენ, ორს ან სამს სასოფლო საკლავს დაკლავდნენ. დასტურნი ხორცს მთლიანად მოხარშავდნენ. ეს ხდებოდა იქვე ახლო, ხატში. ქვაბით ლუდს მიიტანდნენ ერთ-ერთ საშუალო ადგილზე და კიდევ დაამწყალობნებდნენ: „გწყალობდესთ ხთიშობლის ხოდაბუნზე მოხარნადეთა ყმათა და ერთგულ მუშათა“. მერე ხარებს პირაღმოსავლეთისაკენ დააყენებდნენ, ლუდთან მოგროვდებოდნენ და ყველანი დალევდნენ. ყველა დაილოცებოდა და დაამწყალობნებდა ყმათ და ყმათაგან ზარნადში მონაწილეობის მიმღებთ. კარგა ხანს ისვენებდნენ და ხვამდნენ ლუდს (მოსულებს მოჰქონდათ საწირავნი. აწერილია იახსარის დღეობებში). ხვნა რომ მოთავდებოდა, თესლს თესავდა ხელმხარნანათლი დასტური, რომელსაც ებარა ბეღელი. ერთი დასტური ფარცხავდა, ფარცხზე ბავშვი ეჯდა. რომ მორჩებოდნენ, წამოვიდოდნენ ხატში. აქ დახვდებოდათ მოხარშული ხორცი და პური (საწირავები დაიჭრებოდა), ხალხი დასხდებოდა ბუსნოზე უსკამოდ. ხელზე ჩამოარიგებდნენ პურს და ხორცს. ყველანი დაილოცებოდნენ: „ღმერთო და დედაო ხთიშობელო, უშველე შენთ ყმათა და ჯარ-ნადში მონაწილეთა, შენის წყალობით შეინახენ, ბევრი მშვიდობის ჯარნადო-

ბა მოჰგვარე, დალოცვილო, შინ მშვიდობა მიეცი და ველთ გამარ-ჯვება". ამის შემდეგ დაიწყებოდა სმა-ჭამა დაღამებამდე.

დასტურები დგებოდნენ მარიანობახ (ორი კაცი) ხატის არჩევით, მკითხავითა და უფრო ხევისბერის სიტყვით, რადგან ხევისბერი ასრულებდა შუამდგომლურ თანამდებობას ხატსა და ხალხს შორის. დასტურად დგებოდა წოწკურაულთ გვარში ყველა მამიდან, როცა ხატი უბძანებდა თავის ხევისბრის პირით. დასტური ერთ წელიწადს იცხოვრებდა სადასტუროში. მას არ შეეძლო თავის სახლში მისვლა, არც იმ ადგილებში გავლა, სადაც „მირეული ქალები" დადიოდნენ. პურსაც არ ჭამდნენ ქალის გამომცხვარს, თუ ის ´ხნიერი არ იქნებოდა. ხევისბრობა უფრო ხუმარათ მამაშვილობას მოუდიოდა. დასტურობასაც კი ასრულებდნენ შეხვედრის დროს ხუმარათ მამის კაცები, მაგრამ თავხევისბერი იმათ მამიდან უფრო დგებოდა. ხთიშობელს ეყმობოდნენ მთლიანად წოწკურაულნი, ესენი კიდევ იყოფოდნენ მამებად. წოწკურაულთა ძველი გვარი იყო გიგაური და მერე წოწკურაულად დაეწერნენ (გიგაური იყო ბლოელი ხევსური და იმისგან გამრავლებულან). მათი მამები: პაპიანი, ცქიფანი (ცხოვრობენ არბაჩხანში — მაღაროსკარის სასოფლო საბჭოში, ნაწილობრივ ხეობაში, ნოჯასა და ფიჭვიანში), ხუმარანი (ცხოვრობენ: ნოჯაში, ხეობასა და ფიჭვიანში), ღვდლიანნი (ხეობაში), ზარავანდანი (ხეობაში), ბერანი (მუქუში), ხადილანი (არბაჩხანში და პანკისში, ჩაბანოში), ლომანიც, ცქიფათ ახლობლები. არბაჩხანაში არიან, ლუბიანურნი არიან ჯარით გაფიცულნი. ისინი ახლა იწერებიან წოწკურაულად. არიან ძირად ზვიადაურნი, არდოტიდან გადმოსულნი. ბაწაწანიც არიან კახეთიდან გამოქცეული კაცის შთამომავლობიდან. გამოჰქცევია ბატონს და შეხიზნულა წოწკურაულთ თემში, გაფიცულა ხთიშობლის ხატში და დაწერებულა წოწკურაულად. ახლა არიან სრული ყმანი.

მთავარი დღეობა მარიანობა იყო ხთიშობელში.

მ ა რ ი ა ნ ო ბ ა

ხსენებულ დღეობაში ძველი დასტური, რომელსაც საპურე ებარა და ხელმხარი ჰქონდა ნანათლი, ახალ დასტურთ პურს აუწყავდა იმ რაოდენობით, რამდენიც დაწესებული იყო მარიანობისათვის. ახალდამდგომი დასტურნი ალაოს გაკეთებდენ (ფორი ხევსურულია, ალაო ფშაური) და, როგორც ვიცით, იმავე წესით დაამზადებდნენ ლუდს. მარიანობა-დილას დასტურნი მდინარეში ან სადმე წყაროზე გაიბანებოდნენ (ტანს დაიბანდნენ), გამოაცხობდნენ ქადას, საწირავთ, დაახვევდნენ თითო კელაპტარს, წაიყვანდნენ თითო საკლავს და მივიდოდნენ ხატში. ამ დროს ხევისბერი, ძველი და ახალი დასტურნი დადგებოდნენ სასაკლაოსთან (ძველ დას-

ტურთაც თითო საკლავი ჰყავდათ მოყვანილი, ქადა-საწირავთან ერთად), პირველად ძველი დასტურნი დადგებოდნენ მარჯვენა მხარეზე და ხევისბერი მათ გამოსალოც საკლავებს დაკლავდა. შეახვეწებდა გადამდგომ დასტურთ და სთხოვდა ხთიშობელს ეპატიებინა მათთვის, რაც სცოდეს ამ ერთი წლის მანძილზე მის სამსახურში და სთხოვს, რომ კვლავ მშვიდობით მიარგინოს დასტურობა. საკლავები რომ დაიკვლებოდა, ძველი დასტურნი გადმოდგებოდნენ მარცხნივ, ახალი დასტურნი კი მარჯვენა მხარეზე დადგებოდნენ. ხევისბერი ახალ დასტურთ დაამწყალობნებდა და დაკლავდა მათ საკლავებს. დასტურნი საკლავის სისხლით ხელებს გადაიბანდნენ, გულს გაიხსნიდნენ და ხევისბერი სისხლით ჯვარს გამოუსახავდა. მერე იქ მყოფნი წყალობას ეტყოდნენ: „გწყალობდესთ ახალ დამდგომ დასტურთ, მშვიდობით გაგატარებიოსთ მისი სამსახური და კვლავად კიდევ უკეთესი გულით მოგარგინოსთ დასტურობა“. მერე ერთ-ერთი დასტური კოშით ლუდს მოიტანდა, რომელიც წინასწარ იყო გამზადებული ამ დროისათვის, ანთებულ კელაპტარს დაანთებდა და ხევისბერი კიდევ დაილოცებოდა, დაამწყალობნებდა ახალ დასტურთ, სხვებიც დალევდნენ ლუდს და ანთებული სანთლითა და თასით ახალდამდგომ დასტურთ ამწყალობნებდნენ. ეს თასიც რომ მოთავდებოდა (ეს ხდებოდა გარეთ, სასაკლაოზე, ვიდრე ახალი დასტურნი ხატში შევიდოდნენ), ხევისბერი ახალ დასტურთ დარბაზში შეუძღვებოდა. ისინიც ქუდმოხდილები მუხლზე დასხდებოდნენ. კარის ასთეებს (ჩარჩოებს) აკოცებდნენ და მუხლის კვრით (ჩოქით) შევიდოდნენ დარბაზში, თან ეხვეწებოდნენ ხთიშობელს: გვაპატიე უღირსთ, რომ შენი ზღურბლი დავლახეთო. ადგებოდნენ ფეხზე და ხევისბერი მოულოცავდა დასტურობის დაწყებას და ხატში შესვლის ღირსების მოპოვებას. უსურვებდა სამსახურის მშვიდობით და უცოდველად შესრულებას. კიდევ აანთებდნენ კელაპტარს და სთხოვდნენ ხთიშობელს: იმსახუროს უღირსი ყმები და მისცეს იმდენი გონება, რომ ამ წლის ბერობის მანძილზე განზრახვა და ფიქრიც კი არაფერზე მოუვიდეს ისეთი, რაც ეწინააღმდეგება წლის ბერის ცხოვრების წესებს. ხევისბერი ესაუბრებოდა მათ, თუ რა ევალებოდათ, რა შეუძლიათ გააკეთონ და რა არ შეიძლება, რა ადგილზე შეუძლიათ მისვლა, რომელია აქ მათი კუთვნილი სკამი და ადგილი და სად არა აქვთ უფლება დაჯდომისა. მერე გავიდოდნენ გარეთ, გაუტანდნენ ხალხსაც ლუდს და ახალ დასტურთ სადღეგრძელოს ყველა დალევდა.

ახალი დასტური ძველისაგან ამავე დღეობაში ჩაიბარებდა განძს, მარტო სპილენძს. ვერცხლის თას-განძი კი ერთ-ერთ ხევისბერს ებარა (განძი ხევსურეთში მარტო ვერცხლეულს ეწოდება, ფშავში კი სპილენძის ჭურჭელსაც, რაც ხატში არის). ახალი დასტურნი უვლიდნენ

ხალხს, მეზღვნეებს. საკლავების გატყავება აქ დასტურს არ ეკალებოდა, თვითონ პატრონი გაატყავებდა, საკლავის ნასხეპს ხატის მსახურთ მისცემდა, მეორე ნასხეპი თვითონ რჩებოდა (ნასხეპი — ხევსურულად „ფელკი", — ჰქვიან საკლავის ნახევარს ზურგის ტვინზე გაჭრილს), ვისაც „სუფრის დაგება" ჰქონდა შეთქმული, ამ ნასხეპსაც მოხარშავდა, სუფრას გამართავდა და ხევისბერს მოიყვანდა. ის შენდობას ეტყოდა ამ სუფრის პატრონის მიცვალებულისათვის. სუფრის პატრონი ხალხს მოიწვევდა, ხორცს და პურს ხელზე ჩამოარიგებდა, სალაღებელსაც. სუფრაზე დაუწყობდა თავის წილ პურს და ხორცს, ვინც პატივსაცემი კაცი იყო. მერე მოაყოლებდა ერთი ყანწით და ხალხს დაალევინებდა პირველად ამ მიცვალებულის შესანდობარს. მერე მოაყოლებდნენ სხვადასხვა შესანდობარს სადღეგრძელოებს. ასეთი ამბები მთელ დღეს გრძელდებოდა. დასტურებიც მოხარშავდნენ მათთვის მიცემული ნასხეპების ხორცს, დაჭრიდნენ ქადა-საწირავების ნაწილ პურებს და გამართავდნენ სუფრას დარბაზში. ამ სუფრას საერთოდ ეტყოდნენ შენდობას, საკლავების შემომწირველთა ე. ი. მეზღვნეების მიცვალებულთათვის. შეიძლება გარეთაც გამოეტანათ სუფრის ნაწილი და ხალხი დაეპატიჟათ.

ხევისბერი ხალხს ეტყოდა: ხატი უნდა გამოვაბძანოთო, ხალხი ქუდმოხდილი ფეხზე ადგებოდა, ხევისბერი გამოაბძანებდა ღვთიშობლის ხატს, ქრისტიანული ღვთიშობლის სურათს. ხელში დიდი კელაპტარიც ეჭირა და დაამწყალობნებდა ხალხს. ხალხი დაბამდა ფერხისას, შემოუვლიდნენ ეკლესიას გარშემო ფერხისით (აქ ძველი ეკლესია იდგა, მთხრობელმა თქვა: ვიდრე ეს ეკლესია იქნებოდა, ალბათ დარბაზს და ან სხვა ასეთ რამეს შემოუვლიდნენო); ფერხისა იყო ხელი-ხელს ჩაკიდებული ხალხის წრე. მღეროდნენ ორ გუნდად. სიმღერის თავი ერთი იყო და იმის მოპირდაპირე მხარეს მეორე მომღერალი იმეორებდა პირველი სიმღერისავე სიტყვებს, პირველს პირველი მხარე აძლევდა ბანს. მეორე მხარე ჩუმად იყო, ვიდრე პირველნი სიტყვას სიმღერით დააბოლოებდნენ; შემდეგ ამავე სიტყვებს მეორე მომღერალი მღეროდა და მისი მხარის ხალხი ბანს აძლევდა. მღეროდენ საგმირო სიმღერებს. უფრო გავრცელებული იყო შემდეგი სიმღერები:

თუ მკითხავთ, ამბავს გიამბობთ ჩემსა და ხირჩლას ძისასა,
შევიყარენით მარტონი სამძღვარსა მუხრანისასა,
პური მთხოვა და ვაჭამე, ირჩევდა თათუხისასა,
ჯორცი მთხოვა და მივართვი, ირჩევდა ხოხობისასა,
ღვინო მთხოვა და მივართვი, ირჩევდა ბადაგისასა,
ცოლი მთხოვა და ვერ მივეც, მომყვანდა სიდედრისასა,
წამოსწვდა, ხელი გაჰკიდა ნაჭაპნსა გიშლის თმისასა.

ქალმა დაიწყო ტირილი — იმედს ვარ ცუდაისასა,
ჯელი გავიკარ ხანჯარსა, ნაჩუქარს ცოლისძმისასა.
წინ-წინ იმანავ დამასწვრა, ელვასა ჰგვანდა ცისასა,
ერთ კი მეც გადაუქნიე, წვერი უწვდინე ქვიშასა,
მე აქ მოგიყვედ, ბატონო, ის იქავა ჭამს მიწასა.

აქვე ახლო, ხატის აღმოსავლეთ მხარეს, პატარა კოშკი იდგა და ფერხისა იქით გაემართებოდა. ჩავიდოდნენ კოშკთან სიმღერით. ფერხისას წინ მიუძღვებოდა ხევისბერი, რომელსაც ხატი ეჭირა ხელში. ამ ნიშსაც სამჯერ გარშემო შემოუვლიდნენ. მესამედ რომ შემოუვლიდნენ, ფერხისა დაიშლებოდა. ყველას ჰქონდა სანთელი და ხევისბრებს აძლევდნენ. ხევისბერი სანთლებს ერთად აანთებდა და ახვეწებდა ყმათა და სანთელ-კელაპტრის შემომწირველთ. ხალხი ამ ნიშთან ახლო დასხდებოდა და გამართავდნენ ლხინს. სასმელი ხალხსაც მოჰქონდა და ხატის ლუდიც ჰქონდათ. საკლავი კი ამ ნიშთან არ დაიკვლოდა. კლავდნენ მარტო დარბაზთან დანიშნულ სასაკლაოზე. იცოდნენ ერთმანეთისათვის შემღერება. თურმე ერთი გოგოლაური ამ ხატში მოვიდა და საკლავი და სანოვაგე სახედარით ამოზიდა. ამავე ხატში მოსულმა წოწკურაულმა შემღერნა მას:

მე კი არ გამიგონავის ხატში წამოსვლა ვირითა,
ამოჩნდა საჯარეშია, იმ დღეს სუ მოკვდა ყვირილსა,
გულ მეწვის იმის ცოდვითა, აღარა მიკლავ ტირილსა.

ასეთი შემღერებები მთელ დღეს გრძელდებოდა, იმართებოდა ჩონგურ-გარმონის დაკვრა და თამაშობა. საღამომდე ამ ნიშთან ატარებდნენ დროს. საღამოზე ხევისბერი გამოაცხადებდა ხატის და დროშაის მიბძანებას თავის ადგილზე (ზემოთ გამოგვრჩა: დროშა გამობძანდება მარტო მარიანობას, სხვა დღეობებში არ გამოდის. ფერხისას რომ დაამბენ და ნიშისაკენ ხატის წინამძღვრობით გაემართებიან, მაშინ დროშაც მხარდამხარ მიჰყვება ხატს. დროშას ნიშზე მიაყუდებენ და ხატს კი კოშკზე დააბძანებენ მისთვის განკუთვნილ ადგილზე). მედროშე ააბძანებდა დროშას, ხოლო თავხევისბერი ხატს; ხალხი ისევ ფერხისას დაბამდა და მღერით გამოემართებოდნენ დარბაზისაკენ, რომლის გვერდით საჯარეც იყო ხალხისათვის. სიმღერით და დროშის ზარის წკარუნით ხალხი მივიდოდა თავის ადგილზე. აქ დასტურნი ჩადგებოდნენ ფერხისის შუაში, დაიდგამდნენ ლუდიან ჩხუტს და მომღერლებს თასით ასმევდნენ. ამ დროს ფერხისა ნელ-ნელა გარშემო ტრიალებდა. თუ ერთი სიმღერისთავი დაიღლებოდა, ან საფერხისო სიმღერები შემოაკლდებოდა, ამ შემთხვევაში სხვა ახალი მომღერალი შეცვლიდა. როცა მოთავდებოდა სასმელი, მომღერალი გამოვიდოდა და დაიძახებდა: თუ გინდათ კიდევ ვიმღეროთ, თუ გინდათ გავათავოთო. მეორე

მომღერალი: არალე, გავათავოთო. პირველი მომღერალი: მცხეთა აივსო კირითა, თქვენი დუშმანი ჭირითა. მერე დაიშლებოდა ფერხისა. ამ ღამეს მთელი ხალხი აქ გაათევდა მღერა-თამაშით და ერთიმეორის თავ-თავის ბინაზე გადაპატიჟებით (მოსულ მლოცავებს ყველას თავ-თავისთვის ბინა ჰქონდა. ერთიმეორის ახლობლები ერთად დებდნენ ბინას).

მეორე დღეს ხევისბერი დილით ადრე სანთელს აანთებდა სასანთლეში (სასანთლე იყო პატარა კოშკი, რომელსაც, „შუკუმი" ჰქონდა დატოვებული და სანთელი ხმაში ენთებოდა, რადგან დაცული იყო ქარისაგან), საზარესთან მივიდოდა და მუხლმოყრილი შეეხვეწებოდა ხთიშობელს, რათა ეპატიებინა მისთვის მის წმინდა საზარესთან მისვლა. მერე ადგებოდა, შემოჰკრავდა ზარს და დაამწყალობნებდა ყმათა და მლოცავთ. ზარის ხმის გაგონებაზე ყველანი ადგებოდნენ ფეხზე და იწერდნენ პირჯვარს. ხევისბერი ხალხს ეტყოდა: „გწყალობდესთ ხატი". „გწყალობდეს ხატიცა და ღმერთიც" — უპასუხებდნენ ყველანი. თუ ვინმე გვიან მოსული იყო და წინა დღეს ვერ მოასწრო საკლავის დაკვლა, ახლა დაკლავდნენ. ხევისბერი და დასტურები გამოიტანდნენ „საყეინოს" (საყეინოს დადგმა და ყულუხის მოტანა აწერილია კოპალას და იახსარის დღეობებში და აქაც იმავე წესით სრულდებოდა). ზოგნი ცეკვავდნენ, ზოგნი ფშაურ სიმღერას მღეროდნენ:

ჩვენის ბატონის კარზედა ხე ალვად ამოსულაო,
წვერად მოუსხამ ყურძენი, საჰმელად შემოსულაო.
მაგის უჰმელი ქალ-ვაჟი უდროოდ დაშაულაო.

როცა კაცები საყეინოსთან იყვნენ, სვამდნენ და მხიარულობდნენ, მაშინ ქალები ხატის მოშორებით ერთ-ერთ ბინაზე მართავდნენ თამაშობას. უკრავდნენ გარშონს და ცეკვავდნენ. მათი ხნის ახალგაზრდებიც ხანდახან შორდებოდნენ საყეინოს და ქალებთან ერთად ცეკვავდნენ. მლოცავებს ყველას მოჰქონდა კელაპტრები საკმაო რაოდენობით და მთელი ღამის განმავლობაში ანთებდნენ. მეორე ღამესაც აქვე გაათევდნენ. ღამით რამდენიმე კაცი დასტურ-ხევისბრეგიდან მუდმივად იყო დროშასთან. სხვა ახალგაზრდებიც მიდიოდნენ და თეთრად ათენებდნენ ღამეს, თან სასმელ-საჰმელიც ჰქონდათ და დროს ატარებდნენ. მესამე დღის ბოლოს ხევისბერი დაიძახებდა: ხატი შევაბძანოთო. ხალხი აიშლებოდა, დაადგამდენ ფერხისას, დროშას და ხატს. მათი მკადრეები ააბძანებდნენ და წავიდოდნენ თავისი სამკვიდროსაკენ. ფერხისა თან გაჰყვებოდა და მიაცილებდნენ დარბაზის კარამდე სიმღერით. ეს იყო უკანასკნელი წესი ამ დღეობისა, ამის შემდეგ

შეეძლო ხალხს შინ წასვლა. თუ სამკალი იყო და ამინდიც ხელს უწყობდა, კიდევ დარჩებოდნენ მომკამდი.

გიორგობა

მარიამობის შემდეგ მოდიოდა გიორგობა. გიორგობას ჩვეულებრივი წესით დღეობობდნენ, ერთ დღეს დასტურნი ლუდს ამზადებდნენ, თასგანძს მოიტანდა ის, ვისაც ებარა და იწყებოდა დღეობა. ხალხი ამ დღეობაშიც საკმარისი რაოდენობით მოდიოდა. ამ დღეობაში ახალი წესი არაფერი სრულდებოდა, მხოლოდ „სასუქი" ხარ-კურეტები და ცხვრები იხოცებოდა. „სასუქი" შეიძლება მარტო საზამთრო სახორცედ შაენახათ და ის დაეკლათ გიორგობას, მაგალითად, დაკოჭლებული ბებერი ხარი, ჭედილა და სხვა. შეიძლება მომიზეზებითაც „აესახელა" და გიორგობას დაეკლა, თან ხატის მიზეზით და თანაც საზამთრო სახორცედ. კურეტსაც კლავდნენ, ოღონდ ხბოობიდანვე „აასახელებდნენ". მაგალითად, ვაჟი თუ ეყოლებოდა, ან რომელიმე ავადმყოფი მოურჩებოდა, ან სახიფათო მდგომარეობიდან ვინმე დაუბრუნდებოდა, ამისათვის ხატს შეპირდებოდა: ამ ხბოს გავზრდი, როცა ან სამი წლისა გახდება ან ხუთისა, მაშინ დავკლავო. წლოვანება უნდა ყოფილიყო კენტი, უფრო სამი ან ხუთი, ოთხის ან ორი წლისას შემთხვევით თუ დაკლავდნენ, თორემ შესახელებით სამ წელს იტყოდნენ ან ხუთს. შესახელებულ კურეტს უფრო გიორგობას კლავდენ იმიტომ, რომ ამ დროს საქონელი მსუქანი იყო, ზამთარიც ახლოიყო და ხორცს ინახავდნენ კასრებში ზამთრისათვის. საწველ ძროხას ან დეკეულს აქ არ კლავდნენ. სახარეს და საფურე ხბოს კი არ გაარჩევდნენ, ორივეს კლავდნენ ზღვნადაც და ზვარას დაკვლა ხომ სავალდებულო იყო. კურეტის, ხარის, თუნდ ცხვრისას ერთ მხარს აძლევდნენ დასტურ-ხევისბრებს, დანარჩენი ხორცი სახლში მიჰქონდათ. თუ სუფრა ჰქონდათ შეთქმული, ხორცის ნაწილს მოხარშავდნენ და სუფრას გამართავდნენ. როცა კურეტს კლავდნენ, ხშირ შემთხვევაში ერთ საკლავსაც აყოლებდნენ თან და ამ საკლავის ხორცს უფრო მოხარშავდნენ ხატში სუფრისათვის. კურეტის ხორცი იშვიათად იხარშებოდა ხატში (ხევსურეთში კურეტს და ცხვარ-ჭედილას ხატში კლავდნენ, სასუქ ხარს კი ხატში მიიყვანდნენ, იხუცებდნენ, ყურს მოსჭრიდნენ, მერე შინ წაიყვანდნენ და იქ კლავდნენ. ფშავში ხარსაც ხატში კლავდნენ და აქედან მიჰქონდათ ხორცი შინ). ხატში „გაგებულ" სუფრას აქ „ტაბლობასაც" ეძახიან და „სუფრის გაგრძელებასაც". ამ წესით გიორგობა გრძელდებოდა საღამომდინ. საღამოს ხანზე მლოცავიც წავიდოდა და დასტურ-ხევისბრებიც თავის მოვალეობის შესრულების შემდეგ თავ-თავის ადგილს ჩაბარდებოდნენ.

გიორგობის შემდეგ მოდიოდა დღეობა — შობა. დღეობა ერთი დღე იყო ისეთივე წესით, როგორც გიორგობა. მეზღვნე ამ დღეობაში ნაკლებად იყო, რადგან ზამთარში აქ შორიდან ადვილად ვერ მოდიოდნენ. დღეობა დილიდან საღამომდინ გრძელდებოდა. საღამოზე ხალხი წავიდოდა. დასტურ-ხევისბრები კი აქ რჩებოდნენ წელწდის მეორე დღემდე. ამ კვირას, ე. ი. შობიდან წელწდამდინ, ეწოდებოდა თევის კვირა. ამ კვირის მანძილზე სოფელი დღეგამოშვებით კლავდა თითო სასოფლო საკლავს, რის ხორციც ხმარდებოდა აქ მყოფ დასტურ ხევისბრებს (ეს ამბავი აწერილია იახსარის დღეობებში და აქაც იმავე წესით მიდიოდა შობა-ახალწლის შუა კვირა). დასტურ-ხევისბრების მოსაკითხი სოფლიდან ყველა კომლს მორიგეობით მოჰქონდა. მოსაკითხით მოსული ერთი-ორი კაცი დასტურ-ხევისბრებთან მუდამ იყო. სასმელ-საჭმელსაც არ იკლებდნენ და თან სოფლის საჭირბოროტო საქმეებზეც მსჯელობდნენ. რა ჭურჭლითაც არაყი მოჰქონდათ მოსულებს, ამავე ჭურჭელს ლუდით უვსებდნენ და ატანდნენ შინ. ამ წესით გაივლიდა ერთი კვირა და მოვიდოდა წელწადი, ე. ი. ლიტანიობა საღამო.

წელწადი

ლიტანია-საღამოს ყველა მამაკაცი მოიყრიდა თავს, მოიტანდნენ კელაპტრებს და საწირავთ. მოიყვანდნენ და დაკლავდნენ ერთ თიკანს, რომელსაც ეწოდებოდა სალიტანიო თიკანი (როგორც ბასილ წოწკურაულმა ჩამაწერინა, ლიტანია-საღამოს თიკანი სხვა ხატებშიც იკვლოდა, წესად იყო თიკნის დაკვლა პირდაპირ ხთიშობლისათვის. ლიტანია-საღამოს გარდა, თიკანი ხატისთვის არ დაიკვლოდა, გარდა კვირისა. თიკანს უფრო კლავდნენ უქმის სანათლავად და ახსენებდნენ კვირას). ამ საღამოს სასოფლო თიკნის გარდა არაფერი იკვლოდა. ხორცს მოხარშავდნენ და მეკვლეებს ხელზე დაურიგებდენ. სასმელ-საჭმელი მათ სახლიდან მოტანილი ჰქონდათ, ლუდი კი ხატში იყო მათთვის დამზადებული. ლატანია-ღამეს მთელი სოფელი ხატში იყო, სახლებში თენებაზე წავიდოდნენ; დაამზადებდნენ სუფრებს და მიჰქონდათ ხატში. ყველა ცდილობდა, ადრე მოსულიყო და დასტურ-ხევისბრებისათვის ნაყრი ადრე მოეტანა (ნაყრი ეწოდებოდა დილას მოტანილ საჭმელს, საერთოდ საუზმეს ნაყრი ჰქვიან ფშავში). ნაყრს რომ მიიტანდნენ, თან მიაყოლებდნენ არაყს, თაფლ-ერბოს, ხილს და სხვა, თუ კი რამე კარგი სასმელ-საჭმელი ექნებოდათ სახლში; ხევისბერი დალოცავდა მომტანის მიცვალებულთათვის. დალოცვის დროს ანთებდნენ ერთ ფეხ სანთელს, რომელსაც მომტანი სახლიდან

მოაყოლებდა. ნაყრი რომ დაილოცებოდა, ყველა იქ მყოფნი ჭამ-დნენ. ამის შემდეგ დასტურ-ხევისბრების გარდა ყველანი სახლში ბრუ-ნდებოდნენ. ყველას მიჰყავდა თავის შერჩეული მეკვლე. თუ მეკვლე არ დანებდებოდა, მაგალითად ერთი და იგივე მეკვლე რამდენიმე ოჯახს უნდოდა მიეყვანა, ამ შემთხვევაში ელოდებოდნენ მის მისვლას. ერთიმეორესაც სთხოვდენ — პირველად მე დამითმე მეკვლე, მე წა-ვიყვანოო, ხანდახან წილისყრამდე მიდიოდა საქმე.

მეკვლეს რომ მიიყვანდნენ, კარებთან მოაგებებდენ გოგას. მეკვლე დაიწყებდა ლოცვასა და თან სამჯერ გოგას შეაგორებდა: „ფეხი ჩემი ქვალი ანგელოზისა. დიდი გიმატებიათ, დიდი გიმატოსთ ახალი წლის გამოცვლამა, წულიანი, პურიანი, მადლიანი და ბარაქიანი წელი დაგი-ყენოსთ ჩვენმა სალოცავმა, მრავალი წელი გამოგიცვალოსთ მშვიდო-ბისი და კარგად ყოფნისი“. გოგას შემოგორების წესი ჩვეულებრივი იყო. ოჯახის ერთ-ერთი წევრი წყალზე წავიდოდა და წაიღებდა ნაყრს. ნაყრში ეხვია პური, ქერი, გამომცხვარი პურის ნაწილი, ნახშირი, ყველის და ერბოს ნაწილი და ოჯახში რაც კი ადამიანის საზრდო იყო, გარდა ხორცისა. ნაყრს წყალში ჩაუგდებდნენ და იტყოდნენ: „წყალო, ნაყრი მოგიტანე (ხევსურულად — ნიჟი), ბედი გამომაყოლეო. შენის მადლით და ხვთისა და ჩვენის სალოცავის შეწევნით წელი მშვიდობისი, კარგად ყოფნისი და მადლიან-ბარაქიანი დაგვიყენე — ერთურთის კარ-გად ყოფნისი და ჯანმრთელობისი“. შემდეგ წყალს ამოიღებდნენ და მოიტანდნენ შინ. ძროხებს პურს შეაჭმევდნენ და ამ წყალს იაზმის მა-გივრად ასხურებდნენ ყარტის კონით. ზოგიერთები ამ დილას ადრე წყალზედაც გარეკდნენ ცხენ-ძროხას და წყალს იქ დაალევინებდნენ.

მეკვლეობა რომ მოთავდებოდა, მამაკაცები ისევ ხატში წავიდოდ-ნენ, მიიყვანდნენ ორ სასოფლო საკლავს, დაკლავდნენ და იმართე-ბოდა ჩვეულებრივი დღეობა. ლუდი სოფელშიც მიჰქონდათ ქალებ-თან და იმართებოდა ლხინი ერთ-ერთ სახლში.

წელწადი იცოდნენ ერთი დღე. წელწდის შემდეგ მეექვსე დღეს შოდიოდა წ ყ ა ლ კ უ რ თ ხ ე ვ ა. წყალკურთხევა-დღეს მარტო სანთელი ენთებოდა ხატში და საწირავთაც მიიტანდა სოფლის ზოგიერთი კაცი. სასმელსაც მოაყოლებდნენ და დასტურ-ხევისბრებთან ერთად დალევ-დნენ. ამ სასმელზე ხატსაც ადიდებდნენ.

წესობა

დიდი მარხვის მეოთხე კვირას დასტურ-ხევისბრები მივიდოდნენ ხატში და დაანთებდნენ სანთელს. სანთელს ანთებდნენ ყოველ დღე ბზობის კვირამდე. ამას ეწოდებოდა წესობა.

აღდგომა ტარდებოდა ისეთივე წესით, როგორც ზემოთ აიწერა წვრილმანი დღეობები. სასოფლო საკლავი დაიკვლება, მოიხარშება და ხორცი ხელზე ურიგდებათ. ლუდი დამზადებულია დასტურთაგან და იხარჯება ჩვეულებრივი წესით.

ᲐᲛᲐᲦᲚᲔᲑᲐ

ამაღლებაც ჩვეულებრივ სრულდება. ამ დღეობაში, როგორც აღდგომას, ახალი წესი არაფერია, დღეობის წესები ჩვენთვის ცნობილია და გამეორება არ არის საჭირო.

ხატის მამულები კარგა ხანია ხალხის ხელში გადავიდა და თითო-დღეობაში თითო საკლავს კლავენ ისინი, ვინც ამ მამულებს ღალავენ.

ბასილ წოწკურაულმა მიამბო: ჩვენ წოწკურაულებს მუცელგველიანთ გვეძახიან იმიტომ, რომ ზურაბ ერისთავს ჩვენი წინაპრისათვის გველის ხორცი უჭმევია. ერისთავი ტეხდა თურმე ხატებს და გაჰქონდა სიმდიდრე, თან უნდოდა ლაშარის ჯვრის მუხის მოჭრა, რომელზედაც ოქროს შიბი ყოფილა გაბმული. ზურაბმა თემ-თემის კაცები დაიბარა და წოწკურაულთ თემის უფროსს დაავალა: ან გველის ხორცი ჭამე, ან მასწავლე ლაშარის ჯვარის მუხა როგორ მოვჭრა, ან როგორ გავტეხო ლაშარის ჯვარიო. წოწკურაულმა არ ასწავლა, ერისთავმა დაიჭირა და აჭამა გველის ხორცი. ამიტომ დაგვედო საყვედური — მუცელგველიანნი. ცაბაურთ თემის უფროსი დაიბარა და დაავალა ძაღლის ხორცის ჭამა, თუ არ ასწავლიდა მუხის მოჭრის ხერხს. არც ცაბაურმა ასწავლა და აჭამა მოხარშული ძაღლის ხორცი, ამიტომ არის ძველი ნატირალი ცაბაურ კაცზე:

> იქით მიმიდეგ, ცაბაურო,
> ძაღლის მჭამელო გოგოჭურო.

მესამე თემის კაცისთვის დაუვალებია: თუ გვასწავლი, გვასწავლი, თუ არა — ძმას მოგიკლავთ, იმის ხორცს მოგიხარშავთო (ეს როშელი თემის წინაპარი იყო, ბასილმა არ იცის). ეს კაციც არ დათანხმდა და აჭამეს თავისი ძმის ხორცი, მერე აფციაურს დაჰპირდა ერისთავი საჩუქრებს და იმან ასწავლა ლაშარის ჯვრის მუხის მოჭრა. მუხის ძირში დაკლეს შავი კატა და მოსჭრეს (ასეთივე თქმულება არის ბარისახოს ხმალას ხესთან, რომელსაც თურმე მირონი ჩამოსდიოდა, ძირშ ქვევრები ედგა, მირონი ქვევრებში ჩადიოდა და იქიდან ხალხი იღებდაო. წვერზე მუხას ოქროს შიბი ება და ერისთავმა რომ მოჭრა (ღუელმა არეშაულმა ასეთივე მოჭრის ხერხი ასწავლა), შიბი მოწყდა,

ზეცას წავიდა, ხემ შურისციხეს დაჰკრა წვერი და ხე სულ დაიმ-სხვრაო. შურისციხე ხმალას სალოცავის პირდაპირ არის მაღალ ციცაბო ,კლდეზე.

ბასილმა დასძინა: გველი მარტო ერთ კაცს აჭამა და რა საჭმელ-შიც ის მოხარშა, მთელ წოწკურაულთ გვარს აჭამა, ვინც ხელში ჩაიგ-დო. მაშინ ოცდათოთხმეტი კაცი მომკვდარა გველისაგან მოწამლულიო.

ლაშარის ჯვრის ამბები

ლაშარის ჯვარზე და თამარ ნეფეზე ბევრ მცოდნე და ძველ ფშავ-ლებს (ჭრელ ჯიხვიაშვილს, ბიჭურ ბადრიშვილს, ბიჭუა ხახაშვილს, ივანე ნაკვეთაურს და ჭრელ გოდერძაულს) დავკითხე და, სამწუხა-როდ, ეს ამბები როგორც საჭირო იყო, ისე მაინც არ ჩანს; არ ვიცი, მთხრობლებმა არ იცოდნენ, თუ მართლა მეტი არაფერი იყო.

ლაშარის ჯვარს სანადო მამულები არ ჰქონია. ჰქონდა მარტო ვენა-ხები კახეთში. იქ ჰყავდა მეზვრე და ერთი ხევისბერიც დადიოდა ყვე-ლა დღეობაში. ღვინის ნაფასური ისევ ვენახის მუშებზე იხარჯებოდა — აქ მოჰქონდათ კულუხი სერობას (ლაშარის ჯვრის ამბები, მუხის მოჭრა და სხვა, აწერილია დღეობათა წლიურ კალენდართან, ახლა ხელმეორედ იწერება დანარჩენი ნაკრები ამბები). აქ ოთხჯვრ სცოდ-ნიათ დღეობა: მთავარი დღეობა ყოფილა სერობას, მეორე მარია-ნობას, ახალ კვირეს და გიორგობას. ამ დღეობებში მოდიოდა ბევრი მლოცავი, თავს იყრიდნენ ბჭე-ხევისბრები და ბევრი ხალხიც ზღვენ-სანთლით.

მთელი თორმეტი თემი იყრიდა თავს ახალკვირეს მაისში, აღდგო-მის სწორის სწორზე. ამ დღეობაში მოდიოდა დროშები ყველა თემი-დან, რომელთაც ლაშარის ჯვარის დროშა გამობძანებული დახვდე-ბოდათ. გომეწარი შედის გოგოლაურთ თემში, მაგრამ სოფელ გომე-წარში ჰყავდათ თავისი სასოფლო სალოცავი კოპალა, უძილაურთ კოპალას მომძე. გომეწარი მდებარეობს ლაშარიდან დაახლოებით ოცდაათი კილომეტრის დაშორებით. ამ სალოცავს თავისი საკუთარი დროშაც ჰქონდა სხვა სახატო ქონებასთან ერთად. ახალკვირეს აქა-ური ხევისბერი ხელმხარს ინათლავდა, დროშას ააბძანებდა და წა-მოვიდოდა. გამოჰყვებოდა თან ლაშარის ჯვარის მლოცავი ხალხიც. ყვე-ლას მოჰყავდა საკლავები და კარგა ბლომად ცხვარი მოიყრიდა თავს. მლოცავს წინ მოუძღვებოდა დროშა. გზადაგზა ისვენებდნენ და სმით და მღერა-თამაშით ატარებდნენ დროს. ასეთი სიარულით მოვიდოდნენ შუაფხოში. მლოცავი ხალხი ჭალაში დაბინავდებოდა, დროშა კი პირ-დაპირ იახსარში წაბრძანდებოდა. კოპალას დროშის ზარის ხმას რომ გაიგონებდნენ, იახსარის ხატის გამძღონიც გამოვიდოდნენ, მედროშე

დროშას აბძანებდა და გაეგებებოდნენ გზაში; გაიტანდნენ კოშინა ლუდს. მოსული და იახსარის მედროშენი ხმაამოუღებლად წინ წამოდგებოდნენ, დროშებს მხრიდან ჩამოიღებდნენ და თითქოს კაცმა კაცს აკოცაო, ერთი დროშის ჯვარს მეორე დროშის ჯვარზე დაამთხვევდნენ. მერე ცოტა განზე გადგამდნენ ნაბიჯს და ერთიმეორეს ეტყოდნენ: გამარჯვება ბატონ-ყმათ, გწყალობდესთ ბატონი. ამ სიტყვებით მედროშენი ერთიმეორეს ხელს ჩამოართმევდნენ, პირზე აკოცებდნენ და მოულოცავდნენ: „გწყალობდესთ ჩვენი სალოცავები. ბევრი ეს დრო მშვიდობისა მოგვგვაროსთ დალოცვილმა, მშვიდობის და კარგად ყოფნისი“.

ამის შემდეგ სანთელს აანთებდნენ, დააკრავდნენ ლუდიან კოშზე და ადგილობრივი ხევისბერი ადიდებდა ფშავის სალოცავებს. პირველად ახსენებდა ლაშარის ჯვარს და დაამწყალობნებდა ფშაველთ, ლაშარის ჯვარის ყმათ. მერე მოჰყვებოდა და თორმეტი თემის ყველა სათემო სალოცავს ახსენებდა და ყველა სალოცავის სახელით ამწყალობნებდა ლაშარის ჯვარის ყმათ. შემდეგ ამ თასიდან ცოტას დალევდა ის, ვინაც ახსენა და ახლა მოსულ ხევისბერს გადაულოცავდა. ისიც დაამწყალობნებდა და დალევდა ცოტას. მერე გადასცემდნენ იქ მყოფ დასტურებსაც და ასე ბოლომდინ ჩამოირიგებდნენ, ყველანი დაამწყალობნებდნენ ლაშარის ჯვარის ყმათ. მეორედაც ჩამოარიგებდნენ ამ თასს და, თუ არ გამოიცლებოდა, მესამედაც. როცა გამოიცლებოდა, მაშინ თასს ადგილობრივი დასტური წაიღებდა. მედროშაველები კი დროშებს წამოაბძანებდნენ. იახსარში დროშის საბრძანი კოშკია და იქ მიაბრძანებდნენ. შეიძლება უძილაურთის კოპალას დროშას მოესწრო მოსვლა იახსარში და ისაც ამავე წესით შეხვდებოდა იახსარის დროშასაც და გომეწრიდან მოსულ კოპალას დროშასაც. მოსულ დასტურ-ხევისბრებს იახსარში რითაც შეეძლოთ, კარგად გაუმასპინძლდებოდნენ. მერე ააბძანებდნენ დროშებს და გაემართებოდნენ ლაშარისაკენ. ლაშარი შუაფხოდან დაახლოებით ათი კილომეტრით იქნება დაშორებული. მნიშვნელობა არ ჰქონდა, რომელი დროშები წინ გაუძღვებოდა და რომელი არა. გაუძღვებოდა ის მედროშე, რომელიც ხნით უფროსი იყო. აქედან წასულს გზაში შეხვდებოდა ცაბაურთ თემის სალოცავი მთავარანგელოზის დროშა. იმ დროშის შეხვედრაც ამავე წესით ხდებოდა. შეხვედრისას ჯერ დროშებს დაამთხვევდნენ ერთიმეორეს და მერე ხევისბრებიც ერთმანეთს გადაკოცნიდნენ. ამავე წესით შეხვდებოდა გოგოლაურთ წმინდა გიორგის, მუქუს ღვთისმშობლის, მათურის მთავარანგელოზის, ხოშარის თამარნეფის, ჭიჩოს პირცეცხლის, ახადის პირქუშის, წითელაურთის კოტიას წმიდა გიორგის, უკანაფშავის წყაროსთაურის და, თუ მთაზე გზა იქნებოდა გამოსული, ხახაბოს წმიდა გიორგის დროშები ერთმანეთს და ყველანი ლაშარის დროშას. გზა-

დაგზა რაც სალოცავები შეხვდებოდათ, ყველგან დაანთებდნენ სანთლებს. მაგალითად: მათურთხევს — დამასტურში, ხოშარას — სახუთ-შეტოში და სხვა. სანთლების ანთებისას თუ ჰქონდათ სადიდებლად ლუდი ან ღვინო, ხატებსაც გაადიდებდნენ, ცოტა ხანს შეისვენებდნენ და დალევდნენ (უწინდელ დროში ჯვართ ადიდებ-ახსენებდნენ მარტო ღვინოზე და ლუდზე. თუ ეს არ ჰქონდათ, თაფლში წყალს გაურევდნენ, ე. ი. თაფლ-წყალს გააკეთებდნენ და იმაზე ადიდებდნენ ხატებს. თუ თაფლიც არ ჰქონდათ და ხატის გადიდება კი წესის მიხედვით აუცილებელი იყო, იმ შემთხვევაში წყალში ჩაყრიდნენ დაფხვნილ პურის გულს, ფშაური სიტყვით: „გურგულას", და იმაზე ადიდებდნენ. არაყზე ხატების გადიდება არ შეიძლებოდა. მერე კი თანდათანობით შემოიღეს და არაყზედაც ადიდებდნენ ხატებს).

ბოლოს ყველანი ლაშარს მოიყრიდნენ თავს. აქ ერთი განიერი კოშკი ანუ კვრივი იდგა და ყველა დროშა იქ დაბძანდებოდა. მხოლოდ ყველა მისულ დროშას გამოეგებებოდა ლაშარის ჯვარის დროშა, რორგორც ზემოთ ითქვა, იმ წესით: ერთიმეორეს ემთხვეოდნენ ჯერ დროშები და მერე ხევისბრები. მერე ზემოთ თქმული წესის მიხედვით დააბძანებდნენ დროშებს. არა მარტო ლაშარის ჯვარის დროშა გამოეგებებოდა მოსულს, არამედ ის დროშაც და იმავე წესით შეხვდებოდა, რომელიც ახალ მოსულ დროშაზე თუნდა ერთის ბიჯითაც წინ მოვიდოდა. ამნაირად თორმეტი თემის დროშები ლაშარს მოიყრიდა თავს და მეცაშეტე ლაშარის ჯვარის დროშა აქ დახვდებოდა. ეს იყო მთლიანად ფშაველთა სალოცავი და ყველა სათემო სალოცავებზე უფროსი. პირველად მარჯვენა მხარეს ლაშარის ჯვარის დროშა დაბძანდებოდა, მერე კოპალას დროშა, მერე იახსარისა და ასე შემდეგ მოყოლებით. ცოტა ხანს შეისვენებდნენ და ლაშარის ჯვარის ხევისბერი ყველა თემის ხევისბრის მოტანილ სანთელს აანთებდა სასანთლეში, ახსენებდა ჯერ ლაშარის ჯვარს და მერე ყველა ხთიშვილთ, რომლის დროშებიც აქ მოვიდა. ამის შემდეგ იმართებოდა სამხთო. ეს სამხთო დიდ სამხთოდ ითვლებოდა (ასე უწოდებდნენ), დაწესებულია ჭირვეულობის, ქარ-სეტყვის და მიწისძვრის თავიდან ასაცილებელ სახვეწრად. ამით სთხოვდნენ ლაშარის ჯვარს და ყველა ამ ხთიშვილთ, რომ იშუამდგომლონ იმ ანგელოზთან ან ხთიშვილთან, რომელთაც აქვთ მოლოცვილი ასეთი მოვლენების მოვლენა ქვეყნად, რომ თავიდან ააცილონ ქვეყანას ზარალი, ყველა თემს ჰყავს თითო ღირეული საკლავი ლაშარის ჯვარისათვის, თითო თავისი სალოცავისათვის, თითო კვირაისათვის (მეორე დღეს საკვირაოს გავლენ და კვირეისათვის იქ იქნება სამხთო), თითო საკლავი კი დამასტურისათვის (აქ მაშინ გადაიხდიან სამხთოს, როცა ლაშარიდან დაბრუნდებიან). დამასტური მათურხევს არის, სადაც ყველა დროშები ამ გზით გაივლიდნენ

და აქ „იზამდნენ“ საშხთოს. ყველა საკლავს ლაშარის ჯვარში დაკლავდა ლაშარის ჯვრის თავხევისბერი. თუ ვინიცობაა აქ რაიმე შემთხვევით ლაშარის ჯვრის ხევისბერი არ არის, მაშინ ან კოპალას ხევისბერი გაუძღვებოდა ყველა საქმეს, ან იახსარისა. აქ სხვა ხევისბერს გაძღოლა, საკლავის დაკვლა და სხვა რაიმე სამსახურის შესრულება არ შეეძლო. საკლავები დაიკვლებოდა ლაშარის ჯვარისათვის ლაშარის ჯვრის ყმათ სამხვეწროდ. მერე თავისი სალოცავებისათვის თავ-თავის ხევისბერი დაკლავდა თითო საკლავს. ორივეს საკლავს გაატყავებდნენ ყველა თემის სალოცავის საკუთარი დასტურები (ლაშარის ჯვარისა და თავისი სალოცავებისათვის დაკლულებს), ხორცს მთლიანად აქ მოხარშავდენ.

აქ იყო თორმეტი თემი, თორმეტივეს საჯარეები ცალ-ცალკე ჰქონდათ მინდორზე. საჯარეები დაფარებული არ იყო, მაგრამ თავისი საჯარე ყველამ იცოდა და იქ დაბინავდებოდა. აქ მარტო დასტურ-ხევისბრები კი არ იყვნენ, მლოცავიც ბევრი მოდიოდა. მლოცავიც თავ-თავისი თემის საჯარეში მოდიოდა და იქ ბინავდებოდა. იმართებოდა საკლავების დაკვლა, ხორცის მოხარშვა და სუფრების გამართვა. სათემო საკლავები რომ მოიხარშებოდა და სუფრას გამართავდნენ, სასმელიც ყველას ჰქონდა თავ-თავის ხატიდან წამოღებული. ოჯახებიდანაც საკმარისად მომზადებულნი მოდიოდნენ სასმელ-საჭმელით. ერთ-ერთი თემის საჯარეში გაიმართებოდა სუფრა და ქეიფი, ყველა საჯარედან აქ მოიპატიჟებდნენ ხალხს და სმა-ჭამასთან ერთად იმართებოდა ლხინი, სიმღერა და ფერხისული. ფერხისულ სიმღერებს უფრო ისეთს მღეროდნენ, რომლებიც დაკავშირებული იყო ლაშარის ჯვართან და ფშავლების გმირობასთან. მაგალითად:

ლაშარს მოიდა თილიზძე, გულდიდად დაჯდა ჯარიო,
შამაეხვივნეს ფშავლები, ბატონს რო თავის ყმანიო,
შენ აქ არ მოგესვლებოდა, დიდი ჰქენ ცოდვა-ბრალიო,
დასწვი, დაზდაგე ხოშარა, ცამდინ გაუშვი ალიო.
თავ გისჭერ დიაც-ყმაწვილსა, კალოდ გალეწე მკვდარიო.
ნაკვეთაურის ჭერხოსა შენ შაჰკსენ რკინის კარიო,
— აცათ, მაცალეთ, ფშავლებო, მალოცეთ თქვენი ჯვარიო!
სახვეწრად მომიყვანავის თეთრი ქორაი ჯარიო,
თანაც კი მომიყოლებავ რქაჯანგიანი ცხვარიო.
ეგ მაშინ გავარიგოდეთ, რახან გამავლენ მთანიო,
ვისაი ჭეხდეს მაჟარი, ვისაი ჭრიდეს ჯმალიო,
უბისთავ დანათდებიან თილიზძის ცხენის ნალნიო.
ცხენს ეჯდეს თილიზძისასა ჩაქუნაურის ქალიო,
არ დაიჯერეს ფშაველებმა, ჭალას გაიღეს მკვდარიო.

თუშები თურმე ხშირად ლაშქრავდნენ ფშავს და მიჰქონდათ დავლა. ერთხელ დაეცნენ სოფელ ხოშარას თუში თილიზძის მეთაურობით.

თილიზძე თუშეთში სახელგანთქმული მეომარი იყო და კარგა მძიმე ლაშქრით დაეცა ხოშარას, დავლა წაიღო, სახლები ცეცხლით დაწვა და დიაც-ყმაწვილიც დახოცა. ახლა ხოშარაში მცხოვრები ნაკვეთაურების პაპა მაშინ ცხოვრობდა მისრიანთკარის ახლო, გზის ქვემოთ. ეს ნაკვეთაური ლაშარის ჯვარის დაჭერილი ხელწმიდა კაცი ყოფილა და მისი ძალით ნაწილიანი ისარნი ჰქონიან. როცა მტერი მოახლოვდებოდა და საბრძოლო დრო დადგებოდა, ისარნი ჩუჩუნს დაიწყებდნენ. თილიზძემ რომ ხოშარა დალაშქრა, ნაკვეთაურის ისრებმა ჩუჩუნი დაიწყეს. ახლო ერთი გორია, საიდანაც სოფელი ხოშარა ჩანს. ნაკვეთაურმა ცოლი გაგზავნა, — ისრები ჩუჩუნებენ, რაღაც ამბავია, აბა ხოშარას გადაუხედენ, ხომ არაფერი ცუდი ამბავი დაეცაო. ცოლმა დაინახა, რომ ხოშარას ცეცხლი ჰქონდა წაკიდებული, მაგრამ ქმარს დაუშალა, მერე დედა გამოგზავნა, იმანაც დაუმალა. ისრები ისევ ჩუჩუნებდნენ. მესამედ ნაკვეთაური თვითონ გამოვიდა ღელის გორზე და გადაუხედნა. დაინახა, რომ სოფელს ცეცხლი აქვს წაკიდებული და ალი ცამდე ადის. „აიხვნა“ (აიღო) ისარნი, მშვილდი და წამოვიდა საბრძოლველად. ხოშარას ბოლოდან მოეპარა და დაინახა, რომ თუშები სალუდე ქვაბს ჭრიდნენ (იმ დროს სპილენძი ისეთი ძვირი ყოფილა, რომ როცა ლაშქარი დავლას აიღებდა, პირველ რიგში სპილენძს მოაგროვებდნენ წასაღებად. ჭრიდნენ სალუდე და სხვა დიდ ქვაბებს, რაც მთლიანად წასაღები არ იყო სიმძიმის გამო ან ნაჭრებად მიჰქონდათ). ნაკვეთაურმა ესროლა ნაწილიანი ისარი და ერთი თუში ზედ ქვაბს მიაკერა. თუშებმა გაიგეს, რომ ფშავში ხმა გაუტყდათ და კარგი დღე აღარ მოელოდათ, დაანებეს თავი დავლას და გაიქცნენ. დაედევნა ფშაველთ მდევარი და ძალიან აზარალეს თუშის ლაშქარი. მთხრობელმა თქვა: იმდენი თუშები დახოცეს მაშინ, რომ მარტო ჩითები გაყვეს თურმე გოდრითო (ჩითა თუშური ფეხსაცმელი წინდისებურად მოქსოვილი სქელი და მაგარი ძირით). მაგრამ ამ ბრძოლაში ერთმა დაჭრილმა და მკვდრებთან ჩამალულმა თუშმა ისრით მოკლა ნაკვეთაური (იმ ნაკვეთაურის ჩამომავლობის კაცმა ივანე ნაკვეთაურმა მიამბო: ის ჩვენი პაპა ნაკვეთაური ელიაწმიდას ერთი ფიქვი დგას და იქ მარხიაო. დღესაც ვიხდით იმის საფლავზე სამხთოს და ვიხსენიებთ იმის სულსაო. მაშინ ჩვენ გავთავებულვართ. იმისი ცოლი დამრჩალა ორსული, ვაჟი ეყოლა და იმაზე ისევ გავთესლებულვართო). სხვა ყველა დახოცეს და გაიქცა მარტო ლაშქრის წინამძღვარი თილისძე. მას დაედევნა სახელგანთქმული მებრძოლი სუმელჯი წოწკურაული სოფელ მუქუდან (სუმელჯი ლექსშიც არის მოხსენიებული ცნობილ მებრძოლად). მან მოკლეზე გზა გადაუჭრა, მთა შეუკრა და თილისძე ტყვედ დაიჭირა. თილისძეს ისრები აღარ ჰქონიყო და სუმელჯიმ ამიტომ ჩაიგდო ხელში, წამოიყვანა და ლაშარს მოიყვანა. ხალხი შეი-

ყარა მის გასასამართლებლად. თილისძე სუმელჯის შეეხვეწა — გამიშვი და შენი სალოცავის ყმა გავხდებიო. სუმელჯი თვითონ დაუდგა თილისძეს თავდებად, სთხოვა ხალხს — ჩემი თავდებობით ცოცხალი წავიდეს, პირობას იძლევა, ჩვენი ლაშარის ჯვრის ყმა გახდესო. ხალხი დათანხმდა და უთხრა: შენი ტყვე არის და როგორც გინდა, ისე მოიქეცი, ჩვენ თანახმა ვართო. სუმელჯიმ თილისძე გაუშვა.

თილისძემ პირობა არ გატეხა და ლაშარის ჯვარის ერთ-ერთ დღეობაში მოვიდა. გასაფიცავად მოიყვანა თეთრი ხარი და ერთი ცხვარი.

ამ ამბავზე ბევრს დავკითხე. ზოგნი ამბობენ: თილისძე შეირიგეს და ლაშარის ჯვარის ყმა გახდაო. სხვები ამბობენ: ლაშარს რომ მოვიდა, ლაპარაკში ისევ მუქარას ითხოვებოდა, ფშავლებმა ვეღარ მოუთმინეს და იქვე მოკლესო. ზოგმა კი თქვა: ეს ტყუილია, გაფიცვის შემდეგ ფშავლები თილისძეს აღარ მოკლავდნენო.

ლაშარის ჯვარი ლურჯცხენიანი ჰყავთ წარმოდგენილი ფშავლებს და იმის ლურჯას ხშირად ლექსშიაც ახსენებენ:

ლაშარელაის ლურჯასა ასხავ ფაფარი გიშლისა,
რახან სამცხეთოდ წავიდეს, კოტორ გაჰყვება ნისლისა,
საჩქაროდ შემოჩინდება, ხან რომ არ იყოს მისელისა.

ბრძოლებშიაც ვითომც ლაშარის ჯვარის ლურჯა ანადგურებდა მტერს.

როგორც ვთქვით, თორმეტ თემს თავ-თავისი საჯარე ჰქონდა. საჯარეები ისე იყო მიყოლებული მრგვლად, როგორც თემები არის მოყოლებული ფშავის ხევის გაღმა-გამოღმა: ჯერ ერთს საჯარეში იმართებოდა სმა-ჭამა და მხიარულება, მერე მეორე საჯარეში გადაიპატიჟებდნენ და ასე გრძელდებოდა ერთ დღე-ღამეს. ლაშარის პირდაპირ არის საკვირაო, სადაც ლოცულობენ კვირას. საკვირაოზე გასვლამდე ლაშარის ჯვარში იმართებოდა საბჭო. აქ სიპით დახურული გრძელი დარბაზი იყო (ჯიხვიშვილი ჭრელას თქმით) და სახელად „საბჭო“ ერქვა. ამ საბჭოს ორ მხარეზე ჰქონდა დაწყობილი ქვის სკამები. ორივე მხარეს დასხდებოდნენ ყველა თემის ბჭე-ხევისბრები. ბჭეში შედიოდნენ უფრო ხევისბრები და ხნიერი მცოდნე კაცებიც. ასეთებს თვითონ ხალხი ასახელებდა. ხევისბრები ხომ ხატისაგან იყვნენ მოყვანილი და ბჭეშიც თავისთავად შედიოდნენ. ლაშარის ჯვარის საბჭო არჩევდა ისეთ საქმეებს, რაც ეხებოდა მთლიანად ფშაველთ, როგორც არის ლაშქრობა, ლაშარის ჯვარის ირგვლივ გასაკეთებელი რამე და სხვა. თუ რომელიმე თემს ჰქონდა სადაო მეორე თემთან (ადგილის საზღვარი, სადაო მიწები და ტყეები), ამასაც გაასაჩივრებდნენ და არჩევდა ლაშარის ჯვარის საბჭო. თუ რომელიმე თემს გაუჩნდებოდა შიგნით სადაო საკითხები და თავის თემში ვერ მოწესრიგდებოდა, ასეთი საჩივარიც ლაშარის ჯვარის საბჭოში შედიოდა გასარჩევად. თუ ერთი ხატის ყმა-

თაში ქალის თხოვა-გათხოვება, გაყოლა ან უკანონო შვილის ყოლა რამე მოხდებოდა, ეს საქმეც ლაშარის ჯვარის საბჭოში შედიოდა გასარჩევად იმ შემთხვევაში, თუ თავის თემში ვერ მოწესრიგდებოდა. ლაშარის ჯვარის საბჭო რასაც გადაწყვეტდა, ეს უცვლელი იყო და აუცილებლივ უნდა შესრულებულიყო. ლაშარის ჯვარის ძლიერების და სიმტკიცისათვის ამ დადგენილება-გადაწყვეტილებას მთლიანად ფშაველნი დაუჭერდნენ მხარს და სისრულეში მოჰყავდათ.

საბჭო იმართებოდა ხატობის დროს. მაგრამ თუ გაჩნდებოდა რამე აუცილებლად გადასაჭრელი საჩქარო საკითხი, ამ შემთხვევაში ხატობის გარეშეც მოიწვევდნენ ლაშარის ჯვარის საბჭოს და გადაწყვეტდნენ საკითხს. საბჭო რომ გასარჩევ საქმეს მოათავებდა, ყველა მედროშე ხევისბერი დროშებთან მივიდოდნენ და თავ-თავის დროშას ააბძანებდნენ. ლაშარის ჯვარის ხევისბერი ერთ თას-სადიდებელზე და სანთელზე ადიდებდა ჯერ ლაშარის ჯვარს და მერე ფშავის ყველა ხთიშვილთ და ანგელოზთ. ამ სადიდებლის დროს თავ-თავის დროშა ყველას ხელში ეჭირა და ნელა აწკარუნებდნენ დროშის ზარს. ეს სადიდებელი ყველა ხევისბერს ჩამოურიგდბოდა და ამწყალობნებდნენ ლაშარის ჯვარის ყმათ. შემდეგ ყველანი მხარზე გაიდებდნენ თავ-თავის დროშას და წავიდოდნენ საკვირაოსაკენ. წინ გამოუძღვებოდათ ლაშარის ჯვარის დროშა, მერე კოპალა, იახსარი და სხვები. საკვირაო ლაშარიდან შორს არ არის, არაგვი ჩამოუდის შუაზე — ერთი წყალს გაღმაა, მეორე გამოღმა; დროშები რომ გაუძღვებოდა, ხალხი ფერხისას დაბამდა და გაემართებოდა საკვირაოსაკენ. აქ იყო დარბაზი, სალუდე, საზარე. აქვე იყო კოშკი ანუ კვრივი იმდენი სიდიდისა, რომ თორმეტივე თემის დროშა ზედ მიყუდებული თავსდებოდა. ხალხი თავის სადღეობო ადგილას გაჩერდებოდა, დროშებს კი მიაბრძანებდნენ საკვირაოს კვრივზე. აქ ცალ-ცალკე თემებს თავ-თავისი საჯარე არ ჰქონდა, ყველანი ერთ საჯარეში მხოლოდ ცალ-ცალკე ბინად დაბინავდებოდნენ, სადაც ვის შეხვდებოდა. დროშებს რომ მიაბრძანებდნენ, სადიდებელს, რომელზედაც კელაპტარი ენთო, დადგამდნენ. ლაშარის ჯვარის ხევისბერი ადიდებდა ჯერ კვირას, რადგან მისი დღეობა იყო, და მერე ყველა ხთიშვილთ. კვირას საკუთარი დასტურ-ხევისბრები არ ჰყავდა. აქ ხევისბრობას ასრულებდნენ ლაშარის ჯვარის ხევისბრები. სადიდებელთ, ჩვეულებრივ, ყველა ხევისბრები ჩამოირიგებდნენ და ამწყალობნებდნენ მთლიანად ფშაველთ (საკვირაოც მთლიანად ფშაველთ ეკუთვნოდა, როგორც ლაშარის ჯვარი. ეს არ იყო რომელიმე თემის ცალკე კუთვნილი სალოცავი). მერე ყველას მოტანილ კელაპტრებს სასანთლეში დაანთებდა ლაშარის ჯვარის ხევისბერი. დარეკდა ზარს და ამწყალობნებდნენ ყმათ. ამ დროს ხალხი

ქუდმოხდილი პირხატისაკენ იდგა, ყველა პირჯვარს იწერდა და ჩუმის საუბრით სთხოვდა კვირას ღმერთთან და ხვთიშვილთან შუამდგომლობას და დახსნას უბედურებიდან.

სადიდებელი, ზარის დარეკა და ეს ყველა რომ მოთავდებოდა, დაიწყებოდა სათემოდ მოყვანილი საკლავების დაკვლა ისევე ლაშარის ჯვარის ხევისბერის ხელმძღვანელობით (ზემოთ ითქვა, რომ ყველა თემს მოჰყავდა თითო საკლავი ლაშარის ჯვარისათვის, თითო თავის სათემო სალოცავისათვის, თითო საკვირაოზე და თითო მათურხევს დამასტურში. ეს საკლავები სასოფლო იყო. სოფელს მორიგეობით მოუდიოდა და ვისი რიგიც იყო, ის თავისი ოჯახიდან მოიყვანდა. მხოლოდ ამ დღეობაში ღირსეული ცხვარი ჰედილა უნდა ყოფილიყო, რომ სხვებზე მდარე საკლავი არ ჰყოლოდა თემსა და სათემო სალოცავის ყმათ). საკლავებს კლავდა ლაშარის ჯვარის ხევისბერი, მხოლოდ საკლავის დაკვლაში ეხმარებოდა ის ხევისბერი, რომლის თემის საკლავიც იყო. აქ ზღვნობა-სანთლობასაც დიდი სამხთო ანუ ფშაველთა სამხთო ეწოდებოდა. როცა მოთავდებოდა სათემო ზღვნების დაკვლა, მერე იწყებოდა კერძო ზღვნობა. კერძო ზღვნებით ოჯახები ეხვეწებოდნენ ხატს დახმარებას, სათემო საკლავებზე კი ჯერ თემს ახვეწებდნენ და აქვე ჩაურთავდნენ ლაშარის ჯვარის ყმათ, მთელ ფშაველთ. სათემო საკლავებს მოუვლიდნენ თემის სალოცავის დასტურნი, ხოლო თავის საკლავებს პატრონები. სათემო საკლავების ხორცი რომ მოიხარშებოდა, ყველა გამართავდა ცალ-ცალკე სუფრას და პატიჟობდნენ ერთიმეორეს. კერძო მეზღვნეებიც მართავდნენ სუფრებს და პატიჟობდნენ ხალხს. სათემო სუფრა ილოცებოდა თემის ძველი ხევისბრების, დასტურებისა და მიცვალებულებისათვის. კერძო სუფრები კი დაილოცებოდა კერძო ოჯახის მიცვალებულებისათვის: ან მთლიანად იმ ოჯახის მიცვალებულთათვის, ვისი საკლავიც იყო, ან ერთ-ერთი მიცვალებულისათვის. ან ახალი სული იქნებოდა, ან მკითხავის თქმით, რომელიმე მიცვალებული მოითხოვდა სუფრის გამართვას ამათუიმ ხატში, ან ვინმე ძველი ხელწმინდა კაცი ამ ოჯახის მიცვალებული. რძალი, ან სხვა ვინმე ოჯახის წევრი გამართავდა სუფრას. მლოცველები, ქალი და კაცი, ერთად იყვნენ, დასტურ-ხევისბრები კი საკვირაოს ხატში ცალკე. აქ პატარა მდინარე ჩამოდის, არაგვის შენაკადი, მას წაწადს უწოდებენ, რომლის გაღმა საკვირაოს ხატია, გამოღმა კი ხალხის საჯარე-საბინაო.

ამ დღეობაში რაკი მთელი ფშავი იყრიდა თავს, უცოლო, უქმრო ქალ-ვაჟი აქ მოდიოდა ერთიმეორის გასაცნობად და მოსალაპარაკებლად. ამ თვალსაზრისით არა მარტო ახალგაზრდები ზვერავდნენ ერთიშეორეს, არამედ მათი ნათესავებიც მოდიოდნენ ქალების დასათვალიერებლად. უფრო ისინი უმართავდენ ახალგაზრდა ქალებს მო-

ლაპარაკებას და ეძებდნენ მოხერხებულ დროს, ქალ-ვაჟი ერთიმეორისათვის გაეცნოთ და შეეხვედრებინათ. აქვე მიდიოდა ლაპარაკი მშობლებთანაც ქალ-ვაჟის შესახებ. ახალგაზრდები ქალებს თავის პირის ლექსებს უმღეროდნენ, ეხუმრებოდნენ და ეთამაშებოდნენ.

ქალებმაც იცოდნენ გაშაირება. თუ კარგა ხნის ქალი იქნებოდა, ის არაფრის თქმას არ ერიდებოდა, ახალგაზრდა ქალები კი მორიდებულნი იყვნენ:

არტანს ქორწილში მოვიდა ფეტვიაშვილი შავწვერა,
ერთმა თქვა — კარგი ყოფილა, სხვამ თქვა — ჩემობამც დასწერა,
მესამემ — არა ყოფილა, ერთ ბარკალი მაქვ მაგთვენა.

ასეთი ქალ-ვაჟური გაშაირებებით ერთობოდნენ ახალგაზრდები. საღამო ხანზე თავ-თავის ბინაში ყველა მოზიდავდა შეშას, ანთებდნენ ცეცხლს და თეთრად ღამეს ათევდნენ. თუ ვინმე ნადობ-ნაძმობი გაიპარებოდა და სადმე მოფარებულ ადგილას ერთად დაწვებოდნენ, ზოგიერთი ახალგაზრდები ეძებდნენ სახუმაროდ, მწოლარეებს მოპარავდნენ ან ქუდის, ქალის თავჩითას, ფეხსაცმელს და მეორე დღეს აღარ მისცემდნენ, მანამ ჯარიმას — ერთ ბოთლ არაყს არ გადაიხდიდნენ. ამ ამბავს სხვებიც გაიგებდნენ და იყო ერთი ხუმრობა და სიცილი. ეს უფრო ხდებოდა მონათესავე ქალ-ვაჟს შორის, რომ მათზე ცუდი არაფერი იყო საფიქრობელი, თორემ უნათესაო ქალ-ვაჟი კი ასე აშკარად ერთად ვერ გაბედავდნენ ღამის გათევას, მას ქალის ნათესავების გაანჩხლება და უსიამოვნება მოჰყვებოდა. ერთი ხატის ყმა ე. ი. ერთი თემის ქალ-ვაჟები უფრო ახლო იდგნენ ერთიმეორესთან. და-ძმას უწოდებდნენ, რადგან ცოლ-ქმრობა აკრძალული იყო ერთი ხატის ყმებში და ამათზე ცუდი არაფერი ითქმოდა.

მეორე დილას კიდევ იმართებოდა ერთიმეორის პატიჟი და მხიარულება. შუადღის დროს ლაშარის ხევისბერი საკვირაოს სასანთლეში აანთებდა სანთლებს, დარეკდა ზარს და დაამწყალობნებდა ლაშარის ჯვარის ყმათ. აიშლებოდა მლოცავი, მედროშეები თავ-თავიანთ დროშებს ააბრძანებდნენ და გამოუძღვებოდნენ მლოცავს. ლაშარის ჯვარის დროშას გამოემშვიდობებოდნენ იმიტომ, რომ ის სხვა წვრილმან და სათემო ხატებში არ წავიდოდა და მაინც უკანაფშავის, წითელაურთის, ახადის, ხოშარისა და ჭიჩოს დროშები იმ გზით აღარ გამოივლიდნეხ, სადაც დამასტურს ილოცავდნენ. დამასტური არის მათურხევს; მათურის, გოგოლაურთის, შუაფხოს, ცაბაურთის და უძილაურთის დროშები კი მათურხევზე გაივლიდნენ, აგრეთვე გომეწრის დროშაც, ხანდახან კი ჭიჩოს დროშაიც ამ გზით გაივლიდა, როცა მთიდი-მთივ არ წავიდოდნენ და ჭალაზე ხიდი იყო არაგვზე გასავალი. წყალდიდობაში აქ ხიდი არ იყო და მთაზე დადიოდნენ. ხსენებული დროშები მათურ-

ხევს გამოიკლიდნენ და საკლავებსაც ყველა მოიყვანდა დამასტურში. აქაც მთელი ფშაველნი სამხთოს გადაიხდიდნენ. უფრო ჭირნახულის სამხვეწრო სამხთო იყო, რადგან, ფშაველთა რწმენით, ცა და ღრუბელი, დარი და ავდარი მას აბარია და მოსავლის ავ კარგ[illegible] ამ ხატზე არის დამოკიდებული. აქ არამარტო სამხთოს იხდიდნენ დანიშნულ დროს, სხვა მეზღვნეც ამ დროს მოდიოდა საკუთარი ჭირნახულის სამხვეწრო საკლავით. გარდა ამისა, ფშაველნი გადაჭარბებულ წვიმიანობაში და გვალვის დროსაც დათქვამდნენ და რიგგარეშე (ე. ი. არა დღეობაში) დანიშნავდნენ დღეს, მოკრეფდნენ სალუდე სვე-ფორს, დაამზადებდნენ ლუდს, მოიყვანდნენ საკლავებს და გადაიხდიდნენ სამხთოს. ამ დროს ყველა თემი არ მოდიოდა — ეს მოუდიოდა თემებს მორიგეობით და რომელ თემსაც შეხვდებოდა, ის გადაიხდიდა სამხთოს თორმეტისავე თემის ჭირნახულის სამხვეწროდ და ხალხთა საჭწყალობნელოდ.

ახლანდელ სამხთოში, ჩვენ ვთქვით, რომ ნაწილი დროშები მოვიდოდნენ დამასტურში, რომლებიც არ მოვიდოდნენ, იმ თემიდანაც სოფლის კაცები საკლავებს მოიყვანდნენ, ვისი რიგიც იყო სასოფლო საკლავის დაკვლა. დროშები რომ მოვიდოდნენ, აქაც იყო დიდი კვრივი და ყველა იქ მიბრძანდებოდა. დახვდებოდათ გოგოლაურთაში მცხოვრები ხევისბერი მგელაშვილების გვარიდან (გვარების აღწერაში უკვე ნათქვამია, რომ დამასტურში ხევისბრობა მოუდიოდა მგელათ პაპიდანვე). /

დროშებს როცა მიაბრძანებდნენ, სადიდებელს დადგამდნენ და ზედ კელაპტარს დააკრავდნენ, დამასტურის ხევისბერი ადიდებდა ამ ხატს, შეახვეწებდა ფშაველთ ჭირნახულს, ქონებას და ხალხს, აგრეთვე სთხოვდა ეშუამდგომლა ყველა ხთიშვილთან, რომ ჭირვეულობაც (ავადმყოფობა, ჭირიხნობა) ასცილებოდა ხალხს თავიდან და თუ ხთისპირს გადმოსული იყო აქ ჭირვეულობის გაჩენა, ხთიშვილთა და ანგელოზთ დახმარებით გადაეტანა სადმე სხვა კუთხის ხალხზე და აქ მშვიდობა ყოფილიყო. ამ სადიდებელს ჯერ ხსენებული ხევისბერი დალევდა, მერე სხვა ხევისბრებიც დაილოცებოდნენ, დაამწყალობნებდნენ ლაშარის ჯვრის მთლიან ყმათ და ამ დროს აქ მოსულ მლოცავთ. სადიდებელი რომ ბოლოს გავიდოდა, ცოტა შესვენების შემდეგ დაიწყებოდა სათემო საკლავების დაკვლა, შემდეგ კერძოდ მოყვანილი საკლავებისა. ხსენება ასეთი იყო დამასტურისა: „მათურხევს მარიამ წმიდაო გიორგიო, დ ა რ-ა ვ დ ა რ თ მ ო უ რ ა ვ ო“ (თავშიაც მოვიხსენიეთ, რომ გავლაზე აქ მარტო სანთელს ანთებდნენ, აქ დასაკლავი საკლავები თან მიჰყავდათ და როცა დაბრუნდებოდნენ, მაშინ იმართებოდა აქაური სამხთო). იმართებოდა დიდი სმა და მხიარულება. აქ ღამეს აღარ გაათევდნენ. რომ მოსაღამოვდებოდა, ხევისბერი პირჯვრის წერით

შივიდოდა საზარესთან და დარეკდა ზარს, მოემზადებოდა წასასვლელად. მედროშეები დროშებს ააბძანებდნენ. უკანასკნელად დაამწყალობნებდნენ ფშაველთ და გამოემგზავრებოდნენ. დროშები როცა გზასაყარში მივიდოდნენ — ერთიმეორეს ჯერ დროშები ემთხვეოდნენ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მერე ხევისბრებიც აკოცებდნენ ერთმანეთს. საგზაო სასმელი ყველას ჰქონდა და გაყრის დროს აძალებდნენ ერთმანეთს.

მათურხევიდან პირველად მათურის მთავარანგელოზის დროშა გაეყრებოდა და წავიდოდა მათურის გზით. მერე მუქუს დროშა წავიდოდა მუქუსაკენ. მერე გოგოლაურთ წმიდა გიორგის დროშა, მერე ცაბაურთ მთავარანგელოზისა, მერე ჩამოვიდოდნენ შუაფხოში და გაივლიდნენ იახსარში. აქ აუცილებლად სასმელი ექნებოდათ შენახული და პატივს სცემდნენ მოსულებს. აქ ნართაული ხალხი აღარ იყო, მარტო ხატის გამძღონი დაჰყვებოდნენ დროშებს. იახსრიდან გამოემშვიდობებოდა და წავიდოდა უძილაურთის კოპალის დროშა და საბოლოოდ გაისტუმრებდნენ გომეწრის კოპალას დროშას. გომეწარში არიან გოგოლაურთ თემიდან გადასულნი წმინდა გიორგის ყმანი, მაგრამ იქ თავის საოფელში ჰყავდათ კოპალა და საკუთარი დროშაც ჰქონდათ. საკლავები რაც სათემოდ დაიხოცა, მათი ტყავი და ხორცი რაც დარჩა, ხატის გამძღოთ რჩებოდათ. კერძოდ, საკვირაოზე და ლაშარის ჯვარში დაკლული საკლავებისას ტყავს ან ტყავის სახსარ ფულს აძლევდნენ ლაშარის ჯვარის გამძღოთ, დამასტურში დაკლული ტყავის სახსარი და მხარი კი აქაურ ხევისბრებს მიჰქონდა.

კ ვ ი რ ი ს ჯ ვ რ ო ბ ა ს ამ ხატებში დიდიძალი საკლავი იხოცებოდა. სოფელ ახადში მცხოვრებ ჭრელ გოდერძაულისაგან ჩავიწერე აქაური ამბები და, არ ვიცი, რამდენად მართალია, მან მითხრა: „ერთხელ ლაშარის ჯვარში კვირისჯვრობას ორასი საკლავი დაიკლაო“.

ლაშარის წმიდა გიორგი ადრევე იყო ფშაველთა სალოცავიო, — ჩამაწერინა ჭრელ ჯიხვიაშვილმა. ერთხელ ლაშა გიორგის დროს აქ ფშაველთა დღეობა იყო და მთელი ფშავი შეკრებილიყო. ამ დროს მოვიდა ლაშა გიორგი თავისი მხლებლებით. ფშავლები კარგად გაუმასპინძლდნენ და გიორგი როცა წავიდა, ოქროს ჯვარი გამოუგზავნა, შიგნით ოქრო იყო ის ჯვარი და გარეთ ვერცხლი ჰქონდა გადაკრული. ეს ჯვარი ძალიან დიდი იყო და ინახებოდა ლაშარის ჯვარში. მას შემდეგ დაერქვა ამ სალოცავს ლაშარის ჯვარიო. ბოლოს ეს ჯვარი სადღაცა ერთმა ბერმა წაიღო და დაიკარგა. ეს ბერი იყო ახადელი ფშაველი ილარიონი.

ლაშარის ჯვარში ხევისბერი შეიძლებოდა ყოფილიყო ყველა თემიდან, თუ მას ლაშარის ჯვარი მოიკითხავდა (უკენა ფშავლები, ახადლები, ხოშარლები, წითელაურები და სხვ.).

ლაშარის ჯვარს ნაწილიანი ჯვარი ჰქონდაო — ჩამაწერინა ივანე ნაკვეთაურმა (ს. ხოშარა). როცა ფშაველნი სალაშქროდ წავიდოდნენ, ეს ჯვარი მიჰქონდათ და ამიტომ იმარჯვებდნენ მტერზეო (ნაწილიანი ნიშნავს ზებუნებრივი ძალის მქონეს, რომელსაც ვერაფერი ვერ მოერევა).

ლაშარის ჯვარი იყო მოლაშქრე. მისი დროშა ლაშქარს უძღვებოდა. ის თვითონაც ეხმარებოდა ბრძოლაში ყმათ. ამას ცალკე გამოყოფილი ყმანი არ ჰყავდნენ, როგორც სხვადასხვა სალოცავებში. ლაშარის ჯვარი მთლიანად ფშაველთა სალოცავი იყო და ყველა ფშაველი ითვლებოდა ლაშარის ჯვარის ყმად. ლაშარის ჯვარს სანადო მამულები არ ჰქონდა. ის ისეთ ადგილას არის დაარსებული, რომ იქ არც მამულია და არც სოფელი. აქ უცხოვრიათ ბერებს; მათი საფლავებიც ისევ არის ლაშარის გორზე.

ლაშარის ჯვარს ემსახურებოდნენ სხვადასხვა სოფლებიდან ხევისბრები. სალუდე და ლუდის დამზადება აქ არ იცოდნენ, არც დასტური იყო. მოსული ხალხი თავის სასმელ-საჭმელსაც მოიტანდა, სალუდე ქერი და სვე ხალხზე იკრიფებოდა და სხვაგან ადუღებდნენ. ლუდს სხვა ხატებში დამზადებულს მიიტანდნენ. აქ მთავარ დღეობაში დიდძალი მლოცავი იყრიდა თავს. აქ იყო მხოლოდ საბერო და საზარე; დანარჩენი აქ არა იყო რა. განძი და დროშა თავისი ჰქონდა და ხევისბრებს ებარა. გადმოცემით აქ იდგა ერთი დიდი მუხა. ციდან სვეტი იყო მასზე ჩამოსული და ოქროს შიბით ცას იყო მიბმული. ამ მუხას ფოთოლიც სხვანაირი ჰქონდა. ზურაბ ერისთავმა ამ მუხის ფოთოლი ჟინვალში ნახა და გაიგო, რომ ამაზე ოქროს შიბი იყო. მოინდომა მისი მოჭრა, მაგრამ ფშავ-ხევსურთ შიშით ვერ მოდიოდა. მერე ერთ აფციაურს საჩუქრებს დაპირდა, თუ ამ მუხას მოჭრიდა. აფციაურმა ვერ მოჭრა, ცულს დაჭრავდა და მუხა ისევ გამთელდებოდა. მერე ერთმა ახადელმა, გვარად აფციაურმა ასწავლა: მუხის ქვეშ ციცა დაკალი და მერე მოიჭრებაო. დაკლა ციცა. ოქროს შიბი მოსწყდა მუხას და ზეცაში წივილით წავიდა. მუხა წამოიქცა და წვერი გაღმა მხარეს საკვირაოს დაჰკრა. მუხის მოჭრამდინ იქ მარტო ბერები ცხოვრობდნენ, სხვა კაცს იქ მისვლა არ შეეძლო, მლოცავი დაბლიდან ლოცულობდა. მაშინდელი ლექსია:

დიდი ვარ ლაშარის ჯვარი, ცასა ვკიდივარ შიბითა,
ჯმელ გორზე მიდგა ბერ მუხა, ასავალია კიბითა.
წყეულმა ერისთვიშვილმა, გადამაბრუნა ძირითა,
ჯელი გაუსვა, გაწმინდა, მინდორზე გაიჯირითა.
გამამიკიდა ბძანება დამბადებელის პირითა:
ჯერ სუ ძეობით დავლიე, მემრე ქალ-ქალიშვილითა.
უკუღმ ჩაუდევ საყელო შვილითა, შვილიშვილითა.

მას შემდეგ აფციაურებს შეუდგა ავადობა და ილეოდნენ. მოვიდნენ სალოცავად და ხატმა აღარ მიიღო. მას შემდეგ მათ საყელო პერანგისა უკუღმა უდგას მარცხნისაკენ, ლაშარის ჯვარი წაღმა საყელოს გაკეთების ნებას არ აძლევს. მას შემდეგ აკრძალულია ლაშარის ჯვარის ყმის ე. ი. ფშაველის ქალის აფციაურზე გათხოვება და თუ გათხოვდა, არ იხეირებს. ამ ჩვეულებას ახლაც იცავენ ზოგიერთები.

წყაროსთავ წმ. გიორგისა და მოხარნადე ღვთისმშობლის დღეობები*

წყაროსთავ წმიდა გიორგის ხატი იყო უკანაფშავის თემის სალოცავი. მას არ ჰქონდა სანადოები, დასტურ-ხევისბრები კი ჰყავდა. ხევისბრები ორი გვარიდან დგებოდნენ — ბობღიაშვილები და სოხურაშვილები, დასტურად კი წლობით დგებოდა ორი კაცი მორიგეობით — მთლიანად უკანაფშავის თემში ყველა გვარიდან.

წყაროსთავ წმიდა გიორგის სალოცავი მოთავსებულია ორ პატარა მდინარეს შუა გორის ცხვირში. აქ არის სალუდე, საზარე და დარბაზიც იყო. ხატში დარგულია შემოწირული ხეები (ხემხვივანნი — ხატის ენით): იფნი და ცაცხვი. გარშემოც ბუნებრივი ტყე იყო — არყი, თხილი, ცაცხვი, ცირცელი, წნორი და ადგილ-ადგილ მუხაც (ეს სოფელი რადგან ბორბალოს მთის ძირშია, მუხა კარგად ვერა გვარობს). წყაროსთავი სოფელ ელიაგზიდან აღმოსავლეთ მხარეს არის და დაშორებულია სოფლიდან ერთნახევარი ვერსით. აქ წინათ დევები ყოფილან. წმიდა გიორგის ეს ადგილი მოსწონებია და თვითონ მოუსურვებია აქ დადგომა. დევებისათვის შეუთვლია: დაცალეთ ეგ ადგილი, თორემ სულ ამოგწყვეტთო. დევებს არად ჩაუგდავ წმიდა გიორგის ნათქვამი და არ აყრილან. მაშინ წმიდა გიორგი მიჰპარვია და გორზეით ისრით ამოუწყვეტია, ერთი დევისად ისრით ფეხი მოუტეხია, რომელიც ტყეში შემალულა. წმიდა გიორგის ის აღარაად ჩაუგდავ, აღარ მიუქცევია ყურადღება. მერე რო მოუძებნია, იქ ვეღარ მოუკელავ, გაპარულა და გადაკარგულა სადღაცა.

მას შემდეგ დაარსებულა აქ წმიდა გიორგი და ხალხსაც მადლი მოსვლია, დევ-კერპთ ვეღარ უვლიათ წმიდა გიორგის შიშით.

წმიდა გიორგის, როგორც ვთქვით, სანადოები არ ჰქონდა, ჰქონდა. მამულები და ვენახები კახეთში, მეფეებისაგან მიცემული. როცა თათრებს ებრძოდნენ, მაშინ წყაროსთაულის დროშაც უვლევავთ იქა

* მიამბო გიორგი მამიაურმა, მცხოვრებმა უკანაფშავში, სოფელ ელიაგზაში, 55 წლისამ.

და ხალხსაც უვლავ საბრძოლველად. მტერი რომ დაუმარცხებიათ, მეფეს შეუწირავს წყაროსთაულისათვის ერთი მამული ლალისყურეში და ერთი ფშაველში. ფშაველში მარანიც იყო თავის ვენახში (ამისი ქაღალდი იყო მეფის მიერ მიცემული. მთხრობელმა ახლა არ იცის, ის ქაღალდი სად არის, წინათ კი უნახავს). ვენახში ჰყავდათ ხატის მიერ არჩეული კაცები ხევისბრებიდან, რომელთაც ებარათ ვენახის და ქვევრ-მარნის მოვლა-პატრონობა. ერთი კაცი მუდმივად იქ ცხოვრობდა, დანარჩენები კი როცა საჭირო სამუშაო იყო, მაგალითად, ყურძნის დაკრეფა და სხვა, იმ დროს მიეშველებოდნენ. ამ მარანზედაც იყო პატარა კოშკი ქვისაგან აშენებული. ყველა სამუშაოს დაწყების დროს აქ საკლავი იკვლოდა წმიდა გიორგისათვის, ახვეწებდნენ ჯერ მთლიანად ყმათ და მერე ყმათაში ერთგულ მუშას და თავდადებულს სახატო საქმეზე. აქ ზედაშე ღვინოც გამოულეველი იყო, პატარა დღეობას გადაიხდიდნენ და გაიხსნებოდა ესა თუ ის სამუშაო (ეს ღვინო სად იხარჯებოდა, ამაზე შემდეგ გვექნება ლაპარაკი).

წმიდა გიორგის ივრის კუდებში (ივრის სათავეებში) ჰქონდა საძოვარი მთები. ამ მთებს აქირავებდნენ მეცხვარე ხალხზე, რომლებსაც მოუდიოდათ ზაფხულში შირაქიდან დაბრუნებული ცხვრის ფარები. ისინი საბალახეს იხდიდნენ (საბალახეში იღებდნენ საუკეთესო ცხვრებს და ჭედილებს განსაზღვრული რაოდენობით). საბალახე ჩაბარდებოდა დასტურებს, რომლებიც ინახავდნენ, მანამ დაკვლა არ დაჭირდებოდათ. ეს ჭედილები და ცხვრები დაწესებული რაოდენობით იკვლებოდა ამა თუ იმ დღეობაში. მაგალითად, ქრისტეს (შობას) დაკლავდნენ ერთ საუკეთესო ჭედილას, წელწადში უნდა დაეკლათ სამი, რადგან წელწადი სამ დღეს იყო და თითო დღეს თითოს კლავდნენ. ხორცი იხარშებოდა და სოფელი ჭამდა, ტყავი კი ცხვრის შემნახველს მიჰქონდა.

ხევისბრები იყვნენ ბევრნი. ყველას თავისი საკუთარი საქმე ჰქონდა ხატისაგან ჩაბარებული. ჩაბარებას ხატი გამოუცხადებდა მკითხავის პირით: ამა და ამ ხევისბერს ვაბარებ ზარს და საკლავის დაკვლასო (ეს ორივე ერთ ხევისბერს უნდა შეესრულებინა); მეორე ხევისბერს — ლალისყურის მამულის მოვლას; მესამეს — ფშაველში ვენახის და ქვევრ-მარნის პატრონობას; მეოთხეს — ქადა-პურის დაჭრას; მეხუთეს — დარბას-სალუდეში სისუფთავის დაცვას; მეექვსეს — თას-განძთა მოვლა-პატრონობას, მის დარეცხა-დასუფთავებას, დათვლას, თავის დანიშნულ ადგილზე დაწყობა-დალაგებას და ხანდახან დამალვას სხვადასხვა ადგილებში, როცა მტრის დაცემის შიში იყო. როცა დამალავდნენ თას-განძს, ეს სამ კაცს უნდა სცოდნოდა — მტრის დაცემის დროს ამ სამში ერთი მაინც გადარჩებოდა და თას-განძი არ დაიკარგებოდა. ასევე ყველას ჰქონდა თავ-თავისი ქვის სკამი და სხვა სხვის ადგილზე

არ დაჯდებოდა. ამათში უფროსად ანუ თავხევისბრად ის ითვლებოდა, ვისაც ზარი ებარა და საკლავის დაკვლა ევალებოდა. მეტწილად იმის სიტყვას ემორჩილებოდნენ, სხვადასხვა სახატო საქმეზე მას ეკითხებოდნენ და თუ მისი ნებართვა არ იქნებოდა, ისე არაფერს გააკეთებდნენ. ხშირ შემთხვევაში ასეთი ხევისბრები მკითხავებიც იყვნენ, უფრო სიზმრით. თუ ვისმეს სამკითხაო ექნებოდა, მასთან მიიტანდნენ სანთელს, ის დაახვევდა (ჩამოქნიდა) და ერთ ღამეს ჩამოქნილ სანთელს თავისი ლოგინის თავთით დააწყობდა (სამ ფეხ სანთელს). მეორე დილას აანთებდა და რაც იმ ღამეს სანთლის პატრონისათვის სიზმარში მოიხილა (ნახა), გამოუცხადებდა. თავხევისბერი აწესრიგებდა, ხატის ბრძანებით ვის რა უნდა ჩაბარებოდა სახატო საქმე. დაავალებდა კახეთში წამსვლელებს, რა უნდა გაეკეთათ ხატის მამულში ან ვენახში. ერთი სიტყვით, თავხევისბერი წმიდა კაცად იყო მიღებული და თემიც ემორჩილებოდა მის სიტყვას. სათემო საკითხებში მის დაუსწრებლად არაფერი გადაწყდებოდა, სალაშქრო საქმეებსაც ის განაგებდა. როცა სალაშქროდ მიდიოდნენ, დალოცავდა (დაამწყალობნებდა საკლავის დაკვლით) წამსვლელებს. დროშას მედროშე ხევისებრი ააბრძანებდა და გაუძღვებოდა ლაშქარს. თუ ძალიან ხნიერი არ იქნებოდა, თავხევისბერიც თან გაჰყვებოდა და მართავდა ლაშქრის მგზავრობას. თან გამარჯვება-დამარცხების საკითხებზედაც მკითხაობდა სიზმრებით.

დასტურები

უკანაფშავის თემი იყოფოდა სამ თემად: ერთი თემი იყო ელიაგზა, შეორე თემი — ჭიდალი და მესამე — ვაკის სოფელი და ვაკის სოფლის ცოტა ზემოთ სოფელი გოქცი (ამ თემებს ერთად ერქვა უკანაფშავის თემი — ერთ-ერთი, ფშავის თორმეტთაგანი). სამივე თემიდან ერთი წლის ვადით დგებოდა თითო თემში ორი დასტური — სულ ექვსი დასტური. დასტურებს დაყოფილი ჰქონდათ დღეობები და დიდ დღეობებში (ე. ი. რამდენიმე დღიან დღეობაში) კიდევ დღეები ჰქონდათ განაწილებული. დასტურები იცვლებოდნენ წელწადში. ახალ დამდგომ ექვსივე დასტურს მოჰყავდა ხატში შესამლოცაო თითო საკლავი, ხოლო ძველ დასტურებს თითო გამოსალოცი საკლავი. თხის გარდა ყველაფერი შეიძლებოდა — ცხვარი, ჭედილა, თოხლი, ხბო განურჩევლად მისი დედალ-მამლობისა. მიჰქონდათ ქადა-პურები, მიაყოლებდნენ საწირავთ (ერთი ხმიადი და სამი მრგვალი პატარა პური, რომლის გულში ჩადგმულია ღრმად ბერა თითი). საწირავთა და ქადა-პურებს მიჰყვება სანთელი, რასაც შესახელების დროს ანთებდნენ და ახვეწებდნენ მომტანს: „წყაროსთავ წმიდაო გიორგიო, უშველე შენთ მეხვეწურთა,

ხალიზი მიეცი, ბალინჯი აშორე და წელიწადი მშვიდობისა დაუყენე". პირველად მარჯვენა მხარეზე დააყენებდნენ ძველ, გადამდგომ დასტურთ, მათ ქადა-პურებზე ანთებდნენ სანთელს და ახვეწებდნენ, რომელთაც შეასრულეს თავისი მოვალეობა. საკლავებიც მათი დაიკვლებოდა პირველად. ახალდამდგომ დასტურთ დააყენებდნენ მათ ადგილზე, ძველ დასტურთ კი მარცხენა მხარეს გადმოაყენებდნენ. აანთებდნენ სამ-სამ ღერ სანთელს და შეუსახელებდნენ ქადა-პურებს ახალდამდგომ დასტურთ სამწყალობნოდ. შემდეგ წამოაყენებდნენ ახალდასტურთ მოყვანილ საკლავებს და ხევისბერი შეუსახელებდა შესამლოცაოდ: „დიდება შენდა, ღმერთო მაღალო, ცისა და ქვეყნის გამჩენო, ხმელეთის დამდგმელო, ჯორციელ-უჯორცოთ გამჩენო და იმათთან წესრიგის დამაარსებელო. დიდება შენდა, კვირავ ძალიან-მადლიანო, ხთის მაღლის მოკარვეო. დიდება ძალსა და სახელსა შენსა, წყაროსთავ წმიდაო გიორგიო. შენთვის სამსახური მოუყვანია შენის წესის მიხედვითა ახალდამდგომ დასტურთა, მსახურთა. მოსულან შენს სამსახურებლად და დაწესებული წესის შესასრულებლადა — შეიწყნარენ და მიიღენ, დიდო წყაროსთავ წმიდაო გიორგიო, შენდა სამსახურებლადა. ხალიზი მიეცი და ბალინჯი საქმე აშორე, შენი სახელის ჭირიმე. თუ რამე საზიანო საქმე ეხედვებოდეს ამათ კაცსა, საქონსა — მააშორე შენის ძალითა და დიდებითა, დალოცვილო წმიდაო გიორგიო. ბევრი გყავ ორგული და მოღალატე და მაგათად დახედვებული მანვე საზიანო საქმე შენს ორგულ-მოღალატეზე გადაიღე და მაგათ სახლჯალაფობას, კაცსა და საქონს მოაშორე. თუ რამე თავის უცოდინრობით გცოდონ ამ მომავალი წლის განმავლობაშია, შანაცოდვარი და შანაწყინარი შეუნდევ, შენის სახელის ჭირიმე, შანაწყინარზე ნურას საზიანო საქმეს მიაყენებ. ზღვნითა და სანთლით შაიხვეწენ და გადააჯდევიე თავისი უგნურობით შანაცოდარი საქმე. თუ რამე ჩემის უვიცობით შენს ჯსენებასა და დიდებას აკლდებოდეს, დალოცვილო წმიდაო გიორგიო, მაპატიე და შამინდევ და შენთ ახალ დამდგომ დასტურთაცა შენს წყალობას ნუ დააკლებ".

შესახელება რომ დამთავრდებოდა, დასტურები თავ-თავის საკლავს დაიჭერდნენ და ხევისბერი ყელებს გამოსჭრიდა. მერე კიდევ დაამწყალობნებდნენ: „წყალობით იყოს თქვენს თავზე დალოცვილი, წყაროსთავ წმიდა გიორგი, შეიწიროს თქვენი შენაზღვენი, ნურა ავი და ურიგო მოგცესთ. თქვენთვის დახედვებული საავო საქმე თავის მუხანათ-ორგულთაზე გადაიღოს და თქვენ უსაწყინოდ შეგინახოსთ". ხევისბერი ამ სიტყვებს ძალიან ნელი და ტკბილი ხმით ეუბნება (ხევსურეთში კი ყველანი ხმამაღლა ყვირიან დამწყალობნების დროს, იქ მყოფნი ყველანი ამწყალობნებენ. ფშავში კი მარტო ხევისბერი ძლივს გასაგონი ტკბილი ხმით ამწყალობნებს. თითოოროლა ხევისბერი და

დასტური თუ ჩაურთავდა სიტყვებს: „წყალობით იყოს თქვენზედა ჩვენი სალოცავიო“). დამწყალობნებული დასტურნიც ნელი ხმითვე უპასუხებენ: „თქვენიცამც მწყალობნელია დალოცვილი წყაროსთავ წმიდა გიორგი, ჩვენი სალოცავი“.

საკლავების დაკვლის შემდეგ დადგამდნენ ლუდიან ჭურჭელს, ან ღვინოს, დაასხამდნენ პატარა ყანწში და მისცემდნენ ხევისბერს, სანთლებს აანთებდნენ და იქვე დააკრავდნენ რამეზე. ხევისბერი დაილოცებოდა: „აბა გაემარჯოს ჩვენს სალოცავს წყაროსთავ წმიდა გიორგისა. გაემარჯოს კვირას ძალიან-მადლიანსა, ხთის მაღლის მოკარვესა, გაემარჯოს დიდს ლაშარის ჯვარსა, თამარ ნეფესა და ყველა ხთიშვილთა და ყველა ანგელოზთა (აქ ბევრ ხთიშვილთ დაასახელებდა ხევისბერი), ფშავ-ხევსურეთის ყველა სალოცავებსა. წყალობით იყვნენ თქვენს ახალ დამდგომ წყაროსთავ წმიდა გიორგის დასტურთაზედა ყველა ანგელოზნი და ყველა ხვთიშვილნი. ავი და ზიანი გაშოროსთ, მშვიდობა და კეთილი საქმე მოგანიჭოთ, დაგეჯმარონთ დალოცვილნი ველთაცა და შინაცა, კაცსაცა და კიდენ საქონსაცა, თავისი სამსახური მშვიდობით შეგასრულებინოსთ და კვლავად უკეთესის გულით შეგახვედროსთ დალოცვილმა თავის სამსახურსა. გიმატოსთ წულსა, წულის აკავანსა, უშველოს თქვენს კაცსა და საქონსა. ნელი მშვიდობისა და ღალიან-ბარაქიანი დაგიყენოსთ დალოცვილმა ჩვენმა სალოცავმა. ნაჯსენებ-ნადიდებ ანგელოზთ და ხვთისშვილთ დიდება ჰქონდეს და თქვენ იმათი წყალობა ნუ მოგაკლდესთ“. ხევისბერი რომ დაილოცებოდა, სასმელს დალევდა. შემდეგ ყველა აქ მყოფთ ჩამოურიგებდნენ ამავე ყანწით და ყველანი გაიმეორებდნენ ამ სახის დალოცვას, მხოლოდ ასე ვრცლად არა. საკლავებს პატრონები გაატყავებდნენ. საკლავის თავს, ერთ მხარსა და ტყავს დასტურ-ხევისბრებს გაუწირავდნენ, დანარჩენ ხორცს კი შინ გაგზავნიდნენ; გულ-ღვიძლს, ფილტვებს და თირკმელებს მოხარშავდნენ, ან შეწვავდნენ და ყველანი ჭამდნენ. საკლავის პატრონს თუ თავისი საკლავის ვატყავების დრო არ ჰქონდა, მის მაგიერ სხვა ვინმე გაატყავებდა, ის აიღებდა „საორახოთ“ (გულ-ღვიძლს, ფილტვებს და თირკმელებს ერთად „საორახონი“ ჰქვიან და ეკუთვნის საკლავის გამტყავებელს).

ახალ დამდგომი დასტურები ხევისბერისაგან წინასწარ გაფრთხილებულნი იქნებოდნენ და წელწდისათვის დაამზადებდნენ ლუდს შემდეგის წესით: თავ-თავის თემში აკრეფდენ „საწულადოს“ თითო ლიტრა ფქვილს ფორისას და თითო ლიტრა სვეს იმდენს, რამდენი ქუდიანიც იყო (წული) კომლში. ე. ი. ყველა კომლი, თავის ოჯახში რამდენი წულიც ჰყავდა, იმდენ ფქვილს და სვეს იხდიდა ლიტრით (ლიტრაში ჩადის თორმეტი გირვანქა ქერის ფქვილი). ელიაგზის დასტურნი ელიაგზაში შეაგროვებდნენ საწულადოს და დაამზადებდნენ ლუდს, ჭიდ-

ლელნი ჭიდალში და ვაკისსოფელი და გოქცი ერთად. ლუდს სამიეე თემის დასტურნი ცალ-ცალკე დააყენებდნენ. წელწადი წყაროსთაულში სამს დღეს იცოდნენ. თითო დღეს თითო თემის დასტურთ დამზადებულ ლუდს გამოიტანდნენ ხალხში და ხატშიც იმავე დასტურთ ლუდის ხარჯზე იყო დღეობა, მეორე დღეს მეორე დასტურთ ლუდი იხარჯებოდა, მესამე დღეს კი მესამე დასტურთი. ამას აწესრიგებდა თავხევისბერი, დუღილის დროსვე დაავალებდა, ვინ რომელ დღეს გაუძღვებოდა ლუდით ხალხს და ხატს.

ლიტანია-საღამო

ლიტანია-საღამოს უკანაფშავის მთლიანი თემის ქუდიანი ხალხი შეიკრიბებოდა წყაროსთაულის ხატში (აქ სადასტურო არ იყო; რადგან დასტურები იქ არ ცხოვრობდნენ, როგორც ზოგიერთ სხვა ხატებში იცოდნენ ერთი წლით სადასტუროში ცხოვრება. აქ დასტურნი თავ-თავის ოჯახში იყვნენ, ნალახ ადგილებს ერიდებოდნენ, წმიდობდნენ, მაგრამ ისე ძალიან არა, რომ ერთი წლის განმავლობაში მოწყვეტილნი ყოფილიყვნენ ხალხში მისვლას და თავის ოჯახს). ყველა მიიტანდა წულის სანთელს (ჩამოსაქნელს — ვისაც რამდენი შეეძლო, მაგ., ასი-ორასი გრამი, ან მეტი), სანთელზე გადახვეული იყო „სანთლის ჩილა" (ბამბის ბაწარი, რაზედაც ჩამოქნიდნენ სანთელს). ყველას მიჰქონდა საწირავნი: დასტურები მიიყვანდნენ საბალახოდან მოყვანილ „სათეო" საკლავს, მიიტანდნენ ბოთლებით თავის არაყს. როცა ხალხი მოგროვდებოდა, ხევისბრები გამოვიდოდნენ და დაამწყალობნებდნენ მოსულ მეკვლეთ. ისინიც ქუდმოხდილნი ფეხზე ადგომით შეხვდებოდნენ და დამწყალობნებაზე უპასუხებდნენ: თქვენიცამც მწყალობელია და თქვენის თავჯალაფისი. დასტურები წამოაყენებდნენ სასაკლაოზე სათეო საკლავს. თავხევისბერი ხელში ხანჯალს დაიჭერდა, პირალმოსავლეთისაკენ დადგებოდა და საკლავს შეუსახელებდა ჩვეულებრივად ყმათ. საკლავს ან დასტური ან ერთ-ერთი ხევისბერი დაუჭერდა ფეხებს და ხევისბერი დაკლავდა (მთხრობელმა თქვა: საკლავის ფეხების დაჭერაც კი ერთ-ერთ ხევისბერს ჰქონდა დავალებულიო. მე არ ვიცი, რამდენად სწორია, რადგან ასეთი სხვაგან არსად გამიგონია და არც შევსწრებივარ). საკლავის დაკვლის შემდეგ ხევისბერი კიდევ დაამწყალობნებდა. სასმელს მიართმევდნენ, სამ ფეხ სანთელსაც აანთებდნენ და იქვე დააკრავდნენ სიპზე (რაც გამოყენებული იყო პურის, სასმელის ჭურჭლის, ხორცის და სხვადასხვა რამეების დასალაგებლად). ხევისბერი კიდევ დაილოცებოდა და უსურვებდა წმიდა გიორგის ყმათ ბედნიერ ახალი წლის დადგომას და დალევდა სასმელს.

მერე ყველა გაიმეორებდა ხევისბერის სიტყვებს და დალევდნენ თითო-ჭიქა არაყს. საკლავს გაატყავებდა ვინმე ახალგაზრდა დასტური. თუ ასეთი აქ არავინ იყო, ერთ-ერთი სოფლის ახალგაზრდა გაატყავებდა, რომელიც საორახოთ აიღებდა (ხანდახან დიდ დღეობაში ზოგიერთი კაცი, ვინც ოჯახში სუსტად ცხოვრობდა, ბევრ საკლავებს ატყავებდა და იმდენ საორახოებს მოაგროვებდა, რომ ერთ სავსე ტომარას წაიღებდა შინ).

ამის შემდეგ ხალხი დარბაზში შევიდოდა (ცეცხლს აქ წინათვე დაანთებდნენ დასტურ-ხევისბრები, შეშა დამზადებული იყო დასტურების მიერ ბლომად, რადგან ტყე აქ შორს არ არის). დარბაზში ყველანი დასხდებოდნენ და თავ-თავისი არყიდან ყველა ასხამდა პატარ-პატარა ყანწებში და ასმევდნენ ერთმანეთს. ზოგიერთ ხატებში მეკვლენი მთლიანად ხატში ათევდნენ ღამეს, შინ წასვლა არ შეიძლებოდა. აქ კი ასე არ იყო. ვისაც სურდა, აქ გაათევდა ღამეს, ვისაც არა, მეორე დილას ადრიანად მოვიდოდა. კარგა ხანს ისხდნენ იქ; სვამდნენ. სიმღერებსაც შემოსძახებდნენ, ერთიმეორესაც ალექსებდნენ თავისპირით და მხიარულობა-თამაშობასაც მართავდნენ. ფშავში გართობა და გამხიარულება უფრო თავისპირით მღერაში იყო მიღებული; ისე სმა და დროისტარება არ იქნებოდა, რომ ორი ან რამდენიმე კაცი არ შებმოდნენ. მოსწრებულ სიტყვებს უმღერდნენ ერთმანეთს და იყო ერთი სიცილ-ხარხარი. ამავე საღამოს გაიხსნებოდა პირველად ნადუღარი ლუდი. საკლავის ხორცი მოიხარშებოდა. დასტურები მოხარშავდნენ. მოხარშვა ხორცისა იცოდნენ ასო-ასო, მაგალითად: მხარს მთლიანად ჩააგდებდნენ ქვაბში, ბარკალს ორად ან სამად გაჭრიდნენ. ასევე სხვა ნაწილებსაც დიდდიდად დაჭრილს მოხარშავდნენ, ფიცარზე ამოალაგებდნენ და ერთ-ერთი დააწილებდა. მიიტანდნენ ნაწილებად დაჭრილ საწირავთ პურებს და დააწყობდნენ ხორცთან. აანთებდნენ სანთლებს, დაასხამდნენ სასმელს და თავხევისბრებს მისცემდნენ ლუდიან თასს. იგი ახსენებდა დიდებით ჯერ ღმერთს, ლაშარის ჯვარს და მერე თავის სალოცავ წყაროსთავ წმიდა გიორგის. დალოცავდა ამ სუფრასაც და სასმელსაც ძველი ხევისბრებისათვის, რომლებიც აღარ არიან; ხევისბერი შენდობას ეტყოდა ამათ სულებს ასე: „დიდება შენდა ღმერთო მაღალო, ცათა გამჩენო, ქმელთა დამდგმელო, შენგან არის გაჩენილი ცაცა და ქვეყანაც, შენვე გააჩინენ კაცნი, შენიანა არიან ყველა ხვთისშვილნი და ანგელოზნი; შენს სახელს აკსენებენ და ადიდებენ სულნი წმიდანი. დიდება შენდა დიდო კვირავ ძალიან-მადლიანო, ხთის მაღლის მოკარვეო, კაცთა და ხვთის შუამდგომელო, დიდება შენდა დიდო წყაროსთავ წმიდა გიორგიო, ჩვენო სალოცავო, ზედაშე და სადიდებელი შენია, შენ გადიდოს შენმა გამჩენმა ღმერთმა და შენ გაძრიელოს ღმერთმა და ჩვენმა სალოცავმა. მოიკსენიენეს ამ

სანთელ-სუფრითა და ზედაშითა ის სულიწმიდანი, რომელნიცა იყვნენ ამ ჩვენს სალოცავშია წინანი ჯვისბერნი, ემსახურებოდნენ ამ ჩვენს სალოცავსა და ასრულებდნენ მისგან დაწესებულ წესრიგსა — დღეს კი ისინი აღარა არიან, მათი დაჯსომება ჩვენში კიდევ არის. კიდენა თუ ვინმე იყოს სულიწმინდა, რომა ღირსი იყოს შანდობისა, მოგველოდებოდეს და ჩვენ ვერ ვიგონებდეთ, — გაანათლოს იმათი სულიცა ჩვენმა სალოცავმა და მაღალმა ღმერთმა. სულის მადლმა და ხვთისამა და ჩვენმა სალოცავმა უშველოს ამ თემსა და სოფელსა, წელი მშვიდობისა და მადლიან-ბარაქიანი დაუყენოს. სულებს შენდობა ჰქონდეს, ჩვენს სალოცავს დიდება და თქვენ ყველას სიცოცხლე და დღეგრძელობა". ამის შემდეგ ხევისბერი გამოცლიდა თასს და ყველას დაალევინებდნენ ამავე თასით ასეთსავე შესანდობარს. ამ დროს დარბაზში დიდი ცეცხლი ენთო და ერთერთი ხევისბერი სანთლებს უვლიდა, — ცეცხლთ ახლოს იჯდა და სანთლებს გვერდს უქცევდა, გამლხვალ გვერდებს სთლიდა დანით და ხელში ზელდა. ჩილას ერთი წვერით ჭერში ჩამოაბამდნენ, ბოლოს ვინმე სხვა დაიჭერდა და მესანთლე ხევისბერი დარბილებულ სანთელს ჩამოქნიდა. ჩამოქნიდნენ მთლიანად, რაც წულის სანთლად იყო მოტანილი და ერთი ხელის დადების სიგრძეზე დაჭრიდნენ. წინასწარვე არჩეული იყო ხევისბერი, რომელსაც ევალებოდა წელწად-დილას გოგის შეგორება. ამ ხევისბერს ეწოდებოდა „უფროსი მეკვლე". დღეს ის განაგებდა მეკვლეობის წესრიგს, მას ირჩევდნენ თვითონ ხევისბრები. უფროს მეკვლეს დათვლილი ჰყავდა რამდენი წული იყო ამ თემში (წული: მამაკაცია აკვნის ბავშვებიანად). წულის რაოდენობის მიხედვით დაითვლიდა წულის სანთელს და ლიტანია ღამეს სამჯერ დაანთებდა, დარბაზში გრძელი სიპის თარო იყო და იმაზე მწკრივად დააკრავდნენ სანთლებს, მოუკიდებდნენ ცეცხლს და უფროსი მეკვლე დაილოცებოდა. ეკედრებოდა წყაროსთაულს, ღმერთს და კვირას მშვიდობის წლის დაყენებას, წულისა და წულის აკვნის მომატებას, საზიანო საქმის მტერ-მუხანათზე გადაღებას და სხვა. პირველად დაანთებდა პირველ ღამეს, მეორედ შუაღამის დროს და მესამედ თენების დროს. ვარსკვლავებზე ჰქონდათ დასწავლილი რომელი ვარსკვლავი სად იდგა და მათი მოძრაობის საშუალებით იგებდნენ შუაღამეს, თენებას და სხვა; თუ ცა მოწმენდილი არ იყო, მაშინ ვარაუდით ასრულებდნენ ამ წესს. სუფრას სახელს რომ შესდებდნენ (შენდობის თქმა), ხალხი დასხდებოდა მწკრივად. ერთი ვინმე ადგებოდა და ხალხში ჩამოარიგებდა ხორცის და პურის ნაჭრებს — არჩევდა ისე, რომ ყველას ერთნაირი ნაჭრები შეხვედროდა, უფარდებდნენ ერთიმეორეს დიდპატარას. ზოგი შეჭამდა, ზოგი გუდაში ჩაიწყობდა (ყველას თან მოტანილი ჰყონდა სასაგძლე გუდა).

ღამეს ამ ამბით გაათევდნენ. ვარსკვლავები რომ სათენებოს მიუახლოვდებოდნენ, მაშინ კვალს დაიჭერდნენ და გარეთ სიარულს აუკრძალავდნენ ერთმანეთს. დასტურ-ხევისბრები ღამეს ათევდნენ ელიაგზაში, ხთიშობელში, სადაც განსაკუთრებით მათთვის იყო დარბაზი, ხსენებული მეკვლეც იქ ათევდა ღამეს და თენებაზე წავიდოდა წმიდა გიორგის დარბაზში, სადაც უკანაფშავის თემის მეკვლენი იყვნენ. არჩეული მეკვლე რომ მივიდოდა, უკვე დღე-ღამე ირჩეოდა. იგი საზარესთან მუხლს მოიყრიდა და წმიდა გიორგის ევედრებ-ეხვეწებოდა ახალი მშვიდობიანი წლის დაყენებას, ახვეწებდა ყმათ და სთხოვდა მათთვის მშვიდობას და კაც-საქონის გამრავლებას. მერე პირჯვარს დაიწერდა, ფეხებზე ქალამნებს გაიხდიდა და წინდებიანი დიდი მოხათრებით მოვიდოდა ზართან. ზარს სამჯერ ჩამორეკდა, კიდევ მოიყრიდა მუხლს და წამოვიდოდა დარბაზისაკენ. მეკვლენი ზარის ხმაზე ადგებოდნენ, ქუდებს მოიხდიდნენ და ევედრებოდნენ თავის სალოცავ წმიდა გიორგის: ახალი მშვიდობიანი და ღალიან-ბარაქიანი წელი დაგვიყენეო (ეს ზარის ხმა ნიშანი იყო იმისა, რომ ძველი წელი დამთავრდა და ახალი წლის ზარი დაირეკა). ხევისბერს დარბაზის კარებთან გოგას გამოუტანდნენ. ამ დროს სრული სიჩუმე იყო, მარტო მეკვლის ხმა ისმოდა: „ღმერთო და ჩვენო სალოცაო, წყაროსთავ წმინდაო გიორგიო, დიდო კვირაკ — ხვთის მაღლის მოკარვეო, ხვთისა და კაცთა შუამდგომელო, უშველეთ წმიდა გიორგის ყმათა უკანაფშაველთ თემსა, ფეხი ჩემი იყოს და კვალი ანგელოზისა, წელი მშვიდობისა დაუყენეთ, თქვენს ხვეწნა-ვედრებას ნუ დაუკარგავთ, წულსა და წულის აკავანს უმატეთ, წლის მოსავალს ჯვარი დაუწერეთ და ღალიან-ბარაქიანობას მოუმატეთ. თუ რამე ეხედვებოდეს მარცხი და ფათერაკი, თქვენს ორგულ-მუხანათზე გადაიტანეთ, თქვენის სახელის ჭირიმე“. ამ ლოცვის დამთავრების შემდეგ ზღურბლზე ფეხს არ გადადგამდა, მანამ გოგას სამჯერ არ მოუტანდნენ და არ შეაგორებდა. მესამედ რომ გააგორებდა, ფეხსაც გადასდგამდა ზღურბლზე და იტყოდა: „ფეხი ჩემი, კვალი ანგელოზისა, შემოვდგი ფეხი, გწყალობდეთ ღმერთი და ჩვენი სალოცავი წყაროსთავ წმიდა გიორგი, მოგილოცავთ ახალი წლის გამოცვლას, ბედნიერი წელი დაგიყენოსთ წულით და წულის აკავნით, კაცით და საქონით, წელი მადლიანი, ღალიან-ბარაქიანი და მშვიდობიანი მოგინიჭოსთ ჩვენმა სალოცავმა“.

ყველა გადაკოცნიდა ერთმანეთს. მოჰქონდათ თაფლიანი ტკბილი რამე, ერთმანეთს შესთავაზებდნენ და ეტყოდნენ: „ეგრე ტკბილად დამიბერდიო“. მილოცვა რომ დამთავრდებოდა, მოიყვანდნენ საბალახეში მოყვანილ ორ საუკეთესო საკლავს. ამ დროს ხატში, წყაროსთავს, ყველანი მოსულნი არიან უკანაფშავის თემიდან, გარდა პატარა

ბავშვებისა და ძალიან მოხუცებულებისა. საკლავებს სასაკლაოზე წამოაყენებდნენ და ყველანი ქუდმოხდილნი დადგებოდნენ მზის ამოსავლისაკენ. ხევისბერი საკლავებს შეუსახელებდა და დაკლავდა (ზემოთ გამოგვრჩა: აქ, უკანაფშავის თემში, კიდევ იყო ერთი ხთიშობელი ვაკის სოფლის ზემოთ, ხთიშობელ ციხის ანგელოზი. ამ ხთიშობელშიც იყვნენ დასტურ-ხევისბრები. დილას, როცა სამეკვლეოს შეგორების დრო მოვიდოდა, აქაური მეკვლეც წავიდოდა და შეაგორებდა წყაროსთავის მეკვლეთა გოგას. მესამე გოგას თვით წყაროსთავისას შეაგორებდნენ. მხოლოდ ამათში უფროსი მეკვლე ერთი იყო). აქ უფროსი მეკვლე ყველა მეკვლეების ქუდებს მოაგროვებდა და არევ-დარევდა ერთმანეთში, დააფარებდნენ ნაბადს, უფროსივე მეკვლე ქუდმოხდილი ეეედრებოდა წყაროსთავს, რომელიც ღირსი იყოს, სოფლის მეკვლეობა იმას არგუნეო. ნაბდის ქვეშიდან გამოიღებდა სამ ქუდს, პირველი ქუდის პატრონს ერგებოდა ელიაგზის სოფელში მეკვლეობა, მეორეს — ჭიდალში და მესამეს — ვაკისსოფელსა და გოქციში. მეკვლეებს მიულოცავდა: „ღირსი ხარ და ღირსად გცნო ჩვენმა სალოცავმა, მრავალს დაესწარი მეკვლეობას, ნუ შაგანანოს დალოცვილმა, შენი ფეხი იყოს თემისა და სოფლისათვის და კვალი წმიდა ანგელოზისა“. ამ დროს მეზარე სამჯერ კიდევ ჩამორეკდა ზარს და მეკვლეები სოფლებისაკენ გაეშურებოდნენ. დანარჩენი ხალხი ცოტა ხანს კიდევ სვამდა. საკლავებსაც გაატყავებდნენ, ხორცი ჯერ მოხარშული არ იყო, რომ ყველანი წამოვიდოდნენ თავთავის სოფელში. პირველად წასული მეკვლე ყველა ოჯახში მივიდოდა, მიულოცავდა ახალ წელიწადს და შეუგორებდა გოგას. ცოტა რამეზე დაპატიჟებდნენ (უფრო თაფლ-ერბოზე, რომელიც ამ დილას ყველა მეკომურს უნდა ჰქონოდა).

მეკვლე სოფლის მეკომურებს ყველას შემოუვლიდა და ბოლოს ერთ კომლთან გაჩერდებოდა; ვისთანაც ბოლოს მივიდოდა, ისინი აღარ გაუშვებდნენ. მეკვლე რომ მოვიდოდა, ყველა ოჯახიდან მიჰქონდათ წყალზე ნაყრი. ოჯახში რაც რამ ქონება არის, ყველაფრის ნაწილს გამოხვევდნენ თიკვში (ქსრვილის ნაჭერი), მაგალითად, ხორბლის მარცვალი, ქერი, სვილი (ჭვავი) და ძროხის ნაწარმი — ერბო, ყველი, ხაჭო; მატყლი. წყალთან რომ მივიდოდნენ, ჩააგდებდნენ დიტყოდნენ: „წყალო, ნაყრი მოგიტანე და მადლი და ბარაქა გამომაყოლე, წელი მშვიდობისა და ღალიან-ბარაქიანი მოგვანიჭოს შენმა გამჩენმა ღმერთმა“. ნაყრის მიმტანს თან მიჰქონდა წყლის ჭურჭელი, აავსებდა და წამოიღებდა შინ.

გოგას დასჭრიდნენ და ყველა ჭამდა თაფლ-ერბოსთან ერთად. ცოტა ნაწილს ხარებსაც შეაჭმევდნენ, ფურებსაც და ცხვარსაც. ამის შემდეგ იწყებოდა ჩვეულებრივი წელიწადი. ერთიმეორესთან ოჯახებ-

ში პატიჟი, მღერა-თამაშობა და ხუმრობა. ერთი სოფელი მეორე სოფელს „ეცემოდა ჯარად“, მეორე მესამეს და ასე გრძელდებოდა. ხატში ხევისბერს მორთავდნენ „ხელმწიფედ“, გამართავდნენ ჯიხზე სახუმარო ალამს. როცა სოფელი სოფელს „დალაშქრავდა“ ხელმწიფე გამოეგებებოდა ალმით და თავისი ამალით. თავდამსხმელ სოფელში ვინმე ხნიერი დედაკაცი იქნებოდა, მოხუცებული კაციც შეიძლებოდა, უფრო კი ასეთი ხუმრობის დროს ცდილობდნენ დედაკაცი ვინმე გამოსულიყო; დედაკაცი გამოვიდოდა ფალავნად და ეტყოდა: ჩვენ ყველამ რად უნდა ვიომოთ, გამოიყვანეთ თქვენი ხელმწიფე, შევებმი და თუ დავამარცხე ჩვენია გამარჯვება და თუ არა, თქვენ ხართ გამარჯვებულნიო. ხელმწიფე დათანხმდებოდა და გამოვიდოდა საბრძოლველად, მაგრამ ყოველთვის დაამარცხებდა დედაკაცი, წააქცევდა, სხვები მივარდებოდნენ და დროშას წაართმევდნენ. ზოგებს ტყვედ დაიჭერდნენ და აღარ უშვებდნენ, მანამ სახსარს არ მოატანინებდნენ — ლუდს ან არაყს. ხელმწიფის სახსარი იყო ერთი კოკა ლუდი, უფრო ნაკლები იყო უბრალო მებრძოლის სახსარი (კოკა — თულუხი სპილენძისა; ხევსურეთში ჩხუტით წყავენ და საზღვრავენ ლუდს, ფშავში კი იმის მაგიერ კოკა არის მიღებული). თუ ვერ მოშველდებოდნენ ტყვეების სახსარზე, სასამართლოს აირჩევდნენ და იმათ მიერ მისჯილ სასჯელს კი ყველა დათანხმდებოდა.

ასეთი ამბით ატარებდნენ დროს სამი დღის განმავლობაში და მესამე დღეს საღამოზე მთავრდებოდა წელწადი. დროშა გარეთ იყო და ზარი ყოველდღე ირეკებოდა დილით, მზის ამოსვლის დროს (მზის ამოსვლასთან არ იყო დაკავშირებული ზარის რეკვა, დაახლოებით ამ დროს ირეკებოდა). წელწადში აქაც იცოდნენ ბედისკვერის გამოცხობა ოჯახის ყველა წევრისათვის და ყველანი თავ-თავის ბედისკვერს შეჭამდნენ თაფლ-ერბოსთან ერთად. დიასახლისი გოგაზე დანიშნავდა, რომელი მხარე რომელი ქონების სახელზე იყო, მაგალითად ძროხებისა, ცხვრისა, ყველ-ერბოსი, პურისა და სხვა, რომელი მხარეც ზევით ამოიწევდა, ნიშანი იყო იმისი, რომ დამდგომ წელს ცხოვრების ეს ნაწილი უფრო იხეირებდა. ასევე ჰქონდათ დანიშნული ბედისკვერები, რომელი ბედისკვერიც აიწევდა (ფუნთუშა გახდებოდა), ის წევრი უფრო ბედნიერი იქნებოდა ოჯახში. სხვის ბედისკვერს სხვას არ მისცემდნენ საჭმელად. მარტო შვილს შეეძლო ეჭამა დედის ბედისკვერი. თუ რომელიმე ოჯახის წევრი წასული სადმე იყო და წელწადს აქ ვერ ესწრებოდა, ბედისკვერი ენახებოდა.

ხორცის შაბათი

წელწდის შემდეგ მოდიოდა დღეობა ხორცის შაბათი (სხვა ხატებში ხორცის შაბათის დღეობა არ გვხვდება. როგორც მთხრობელმა თქვა,

წყაროსთავ წმიდაგიორგიში ხორცის შაბათს დღეობობდნენ). ეს დღეობა არის დიდი-მარხვის შემოსვლის წინადღეს (ამ შაბათს ხევსურულად აღებას ეძახიან, ფშავში ხორცის შაბათს). ამ დღეს დილით მოვლენ დასტურ-ხევისბრები ხატში. სოფელიც მოვა და მოიყვანენ თან სასოფლო საკლავს, რომელიც საბალახეში აყვანილი იყო საძოვარი მთის ბალახის ქირად და აქ ინახებოდა დასტურთან. მოვლის ფასად ცხვრის შემნახველი საკლავის ტყავს თვითონ წაიღებდა — გატყავებითაც თვითონ ის გაატყავებდა.

სასმელი აქ ყველას თავ-თავისი მოჰქონდა. ამ დღეობაში ლუდი არ მზადდებოდა, მხოლოდ სახლიდან ყველას მოჰქონდა არაყი. მოჰქონდა აგრეთვე ქადა-პურები, რასაც იქვე სიპზე ალაგებდნენ. როცა აღარ იყო მოსასვლელი ვინმე, მაშინ სანთლებსაც ჩამოქნიდნენ, დასჭრიდნენ თითო ხელის დადებინ სიგრძეზე, მოუკიდებდნენ და დააკრავდნენ იქვე სიპზე. ხევისბერი შეუსახელებდა სანთელს და ავედრებდა ყმათ. შესახელებისა და დამწყალობნების შემდეგ ხევისბერი დაჭრიდა ქადებს (ქადის დამჭრელი ხევისბერი სხვა იყო) და დაჭრის დროს იტყოდა: „დიდება შენდა, წყაროსთავ წმიდა გიორგიო, შენ უშველე შენს მეხვეწურსა (სახელი მომტანისა,), მაგათ თავ-ჯალაფობასა, კაცსა და საქონსა, ნაშრომ-ნაშვრალსა მადლი და ბარაქა დაუტანე, შინ მშვიდობა მიეც და ველთ გამარჯვება“.

ამ დღეობაში ქალებიც მოდიოდნენ და დასხდებოდნენ მათთვის განსაზღვრულ ადგილზე. აქ ქრისტიანული ეკლესია არ იყო, მაგრამ სასოფლო საკლავს, რომელიც აქ დაიკლოდა, ეკლესიის ნათვლას ეძახდნენ. ზღვნები სოფლელებსაც მოჰყავდათ, ვისაც შეთქმული ჰყავდა, ავადმყოფობის ან სხვა რაიმე გაჭირვებისა და ფათერაკის დროს სამეშველოდ. ზღვენს გაატყავებდნენ, ერთ მხარსა და ტყავს დასტურ-ხევისბრებს დაუტოვებდნენ, დანარჩენს შინ წაიღებდნენ, ან ერთ აბაზ ვერცხლის ფულს მისცემდნენ ტყავის სახსრად და ტყავსაც წაიღებდა ზღვნის პატრონი. ამ დღეს აქ სუფრობა არ იმართებოდა. მხოლოდ სასოფლო საკლავის ხორცს და პურის ნაჭრებს ჩამოურიგებდნენ ხელზე. ქადის ერთი მეოთხედი ხატში რჩებოდა, სამი მეოთხედი პატრონს უბრუნდებოდა. ქადის მეოთხედების ნაწილსაც წვრილ-წვრილ ნაჭრებად დასჭრიდნენ და პურთან და ხორცთან ერთად მისცემდნენ („ქადის წილობა ხატის წყალობა არის“ — იტყოდნენ ფშავლები). ხორცის შაბათს კაცი და დედაკაცი ყველა ხატში მოდიოდა. მხოლოდ დღეობა დიდხანს არ გრძელდებოდა. აქედან ერთიმეორეს დაპატიჟებდნენ სახლში და იქ მართავდნენ სმას.

ეს დღეობა ითვლებოდა უფრო სულის დღეობად. ფშავში ერთი წლის განმავლობაში იხდიდა სხვადასხვა ხარჯებს ახალი მიცვალებულების პატრონი და ერთ-ერთი სავალდებულო ხარჯი იყო ხორცის

შაბათი (აწერილია ფშაურ მიცვალებულის კულტში). ხატიდან დაბრუნებული ხალხი ამ ხარჯში მოვიდოდა. მიცვალებულის პატრონს დამზადებული ჰქონდა პური, სასმელი, დაკლავდა სულისათვის ერთ საკლავს და ჩვეულებრივ გადაიხდიდა ხარჯს. აქ ხორცს და პურს ხელზე ურიგებდნენ, მაგრამ სმა გრძელდებოდა დაღამებამდე. ამ ხარჯში სხვა სოფლებიდანაც მოდიოდნენ ნათესავები, ისინი ღამით აქ რჩებოდნენ, დანარჩენი ხალხი კი წავიდოდა თავთავის სახლებში. ამით მთავრდებოდა ხორცის შაბათს ხატის და სულის დღეობა ერთად.

შუამარხვა

ხორცის შაბათს მოსდევდა დღეობა შუამარხვა. ამ დღეობაშიც ხატში ლუდი არ მზადდებოდა, სახლებიდან მოჰქონდათ სასმელი, სამარხვო პური და სანთელი (ქადა არ მიჰქონდათ, რადგან სახსნილო იყო). ხევისბერი სანთელს მოანთებდა, ხალხს დაამწყალობნებდა და ვისაც რა მოტანილი ჰქონდა, სასმელს დაალევინებდნენ (მარხვაში საკლავს არ კლავდნენ). ოჯახში ყველას ჰქონდა მოხარშული „დოხანი" (მოხარშული ხორბალი, ან თუ ჰქონდათ სიმინდის დოხანს ცოტას ლობიოს აურევდნენ). დოხანს და პურებს სახელს „შაზდებდნენ" მიცვალებულთათვის და ამასვე მოიტანდნენ სუფრაზე. მიცვალებულის პატრონები პატიჟობდნენ მარტო ქალებს, ტანისამოსთ გამოიტანდნენ, სატირელს გამართავდნენ და ტირილის შემდეგ გაუმასპინძლდებოდნენ პურით და დოხანით, არაყსაც დაალევინებდნენ მიცვალებულთა შესანდობარს. ამით დამთავრდა მარხვაც (შუამარხვა ხატში დღეობად სხვაგან არ გვხვდება, მხოლოდ ზოგიერთ ხატებში მარხვაში დილა-საღამოობით ხევისბრები მოვიდოდნენ და ხატში სანთელს აანთებდნენ, რასაც ეწოდებოდა „სანთლის მონთება" — ეს გრძელდებოდა მარხვის დაწყებიდან შუამარხვამდე).

ახვსება (აღდგომა)

ახვსებას დასტურები ლუდს ამზადებდნენ. დასტურ-ხევისბრები საღამოთივე მივიდოდნენ ხატში და ღამეს იქ გაათევდნენ. სანთელს აანთებდნენ და ლუდსაც გახსნიდნენ. საჭმელი დილამდე სამარხვო ჰქონდათ. დილით მეზარე ზარს დარეკავდა, სანთელს მოანათებდნენ და ხალხიც თანდათან დაიწყებდა მოდენას. სასოფლო საკლავს მოიყვანდა ის, ვისაც მორიგეობით შეხვდებოდა, ხალხი სანთელ-საწირავს და ფითო ბოთლ არაყს მოიყოლებდა (ფშავში ხატში ხელცარიელი კაცი არ მივიდოდა, თუ სასმელს არ მიიტანდა, ხევსურეთში კი მიმსვლელს თავის ხატში არაფერი არ მიჰქონდა, გარდა შორიდან მოსული

მეზღვნესა. პირიქით, ჯვარიონთ ეშარებოდნენ — ეგ ლუდი ჩვენი ნახნავ-ნათესიდან ჩვენი ამაგია და გამოგვიტანეთ დროზე საკმარიო).

სასოფლო საკლავს დაკლავდნენ, ხევისბერი ახვეწებდა მთელ უკანაფშავის თემს, თემში ხალხისათვის და ხატისათვის თავდადებულ კაცს, ჰთხოვდა ყმათა, წულს, წულის აკვნის, კაც-საქონის გამრავლებას და სხვა. საკლავის დაკვლის და გატყავების წესი ჩვეულებრივ სრულდებოდა. ტყავი ხატში რჩებოდა, მოხარშული ხორცი ხალხს ურიგდებოდა. ამ დღეობაში ქალებს მიჰქონდათ განსაკუთრებით უფრო მეტგულიანი ქადები, რომელთაც განსაკუთრებული სახელი „სამგებრო ქადა“ ეწოდებოდა, ქადის დამჭრელ ხევისბერს — „მზარეული“. სხვა ჩვეულებრივი ქადები როცა დაიჭრებოდა, როგორც ვთქვით, სამი მეოთხედი პატრონს უბრუნდებოდა, ხოლო ერთი მეოთხედი ხატში რჩებოდა. სამგებრო ქადა კი პატრონს აღარ მიჰქონდა, მთლიანად დაიჭრებოდა და ჩამოურიგებდნენ ყველა იქ მყოფთ. ბავშვებს სირბილში შეაჯიბრებდნენ, ამ ქადის ნაჭრებს მისცემდნენ — წინ მორბინალს. მეტს და მერე თანდათანობით უკლებდნენ. ვინც უკან ჩამორჩებოდა, გულნაკლულად არც იმას დასტოვებდნენ, მისცემდნენ ქადის უფრო მომცრო ნაჭერს, ვიდრე სხვებს. თუ დროს იხელთებდნენ ბავშვები, ისეც გასტაცებდნენ ქადის ნაჭერს, არც ეს იყო აკრძალული. დედაკაცებს აქ ხატივნები ყურადღებას აქცევდნენ, გაუტანდნენ ლუდს, არაყი კი იმათაც მოჰქონდათ სახლებიდან და ხატში მამაკაცებს უგზავნიდნენ; სამგებრო ქადის ნაწილი ქალებსაც ურიგდებოდა. მოიტანდნენ ფანდურს და იმართებოდა თამაშობა, მოსწრებული სიტყვებით ერთიმეორის გალექსება. ასეთ მომღერლებს მსმენელები ბევრი ჰყავდა, ერთობოდნენ. მაგალითად, ფუნჩიამ შეუმღერა ყუჯიას:

> აქაღ დაჯე, ყუჯიაო, მართალს გეტყვის ფუნჩიაო,
> კომუნისტობა დაგიწყავ, მოგიპირავს ტუჩიაო.
> კომუნისტობას ვერ იზამს შენფერ ბაიყუშიაო.

ახვსებას წმიდა გიორგიში შეთქმული ზღვნებიც მიჰყავდათ და ჩვეულებრივი სუფრობა იმართებოდა. საღამოზე მოთავდებოდა დღეობა და დაიშლებოდა ხალხი.

ათენგენა

ახვსებას შემდეგ მოვიდოდა დღეობა ათენგენა (მთხრობლის თქმით, წმიდა გიორგიში ამაღლება რატომღაც არ იცოდნენ). ათენგენას აქ ლუდი არ მზადდებოდა. მოჰქონდათ მარტო კულუხის ღვინო თავისი ვენახებიდან. მამული და ვენახი წმიდა გიორგის კახეთში ორგან ჰქონდა — მატანში და ლალისყურში. აქ ჰყავდათ დაყენებუ-

ლი თავისი ხალხი ხელმძღვანელებად. ისინი თავხევისბრის დავალებებს ღებულობდნენ აქედან და იმის მიხედვით ამუშავებდნენ ვენახებს და მამულს. მამულს და ვენახს იმდენი შემოსავალი ჰქონდა, რომ საჭირო დროს მუშას ამუშავებდნენ. მევენახეობისა ფშავლებს არაფერი გაეგებოდათ და ამიტომ საჭირო იყო ადგილობრივი ხალხის დაქირავება ვენახის მოსავლელად. გაზაფხულიდან შემოდგომამდე ვენახს რაც კი სჭირდებოდა, ყველაფერს აკეთებდნენ დაქირავებული მუშებით. მარანი ჰქონდათ ლალისყურში და ღვინოს იქ აყენებდნენ. მარანს პატრონობდა ერთერთი ხელწმინდა კაცი, წმიდა გიორგის ყმათაგანი, რომელიც ზამთარ-ზაფხულ იქ იყო. წყაროსთავს ცალკე აშენებული იყო „საკულუხო“ — პატარა სახლი, დარბაზის მსგავსი, სადაც მოტანილი ღვინო ინახებოდა. ხევისბერი წინასწარ გამოუცხადებდა წმიდა გიორგის ყმათ, დაუნიშნავდა კულუხზე წასვლის დღეს. ხალხი მოამზადებდა ცხენებს, ტიკებს ღვინისათვის, ჩაასხამდნენ ტიკში საგზაო არაყს, წაიყვანდნენ ორ საკლავს ხურჯინით და წავიდოდნენ (ჩასვლა-ამოსვლის დღეები ისე ჰქონდათ გამოანგარიშებული, რომ ხუთშაბათს უნდა მოსულიყვნენ წყაროსთავს). კულუხის ხალხი გადავიდოდა უკანაფშავის მთაზე — ფუტკარაულზე. ერთ ღამეს ივრის კუდებში გაათევდნენ. სადაც გაათევდნენ, იქ სანთელს აანთებდნენ და ეხვეწებოდნენ წყაროსთაულს, რომ მშვიდობის მგზავრობა მიეცა მათთვის. იძინებდნენ რიგრიგობით, რომ ქურდ-ყაჩაღს ან დროშა არ მოეპარა, ან ცხენები (გამოგვრჩა: მეკულუხე როცა გაემგზავრებოდა, მედროშე ხევისბერი ხელმხარს ინათლავდა ერთი საკლავით, მერე დროშას ააბამდა და მეკულუხეს დროშით გაუძღვებოდა წინ).

რომ გათენდებოდა, ცოტას ისაუზმებდნენ, სანთელს მოაწთებდნენ და ისევ გაუძღვებოდა მედროშე ხევისბერი. მატანში რომ ჩავიდოდნენ: სიმღერით მივიდოდნენ წმიდა გიორგის მამულში. „ჩვენის ბატონის კარზედა ხე ალვად ამოსულაო“ — ასე მღეროდნენ ამ სიმღერას, მაგრამ ხსენებული მეკულუხე კი ასე მღეროდა:

> წმიდა გიორგის კარზედა ხე ალვად ამოსულაო,
> წვერად მოუსხამ ყურძენი, საჰმელად შამოსულაო,
> მაგის უჰმელი ქალ-ვაჟი, უდროოდ დაშაულაო.

იქვე ნიში და დროშის საბძანი კვრივი იყო. დროშას მიაბძანებდნენ და დაისვენებდნენ. წმიდა გიორგის ხატიონთ მოსვლას მატანში ბევრი ხალხი გაიგებდა და მოდიოდნენ სასმლით, სუფრით და სხვადასხვა შესწირავებით, ვისაც რა ჰქონდა შეთქმული. ზოგი მიიტანდა სადროშე ბაღდადს, ზოგი ვერცხლის ფულს, ვერცხლის სამკაულს, ზოგი საკლავს მიიყვანდა. მანამ სმას დაიწყებდნენ, ჯერ თავის მოყვანილ საკლავს დაკლავდნენ, რომლითაც მთლიანად წმიდა გიორგის

ყმათ ახვეწებდნენ. სასოფლო საკლავის შემდეგ მეზღვნეების საკლავებს თითოობით დაკლავდნენ მათ სამწყალობნელოდ. საკლავების დაკვლის შემდეგ დაიწყებოდა სანთელ-საწირის შესახელება, საკლავებს გაატყავებდნენ და მოხარშავდნენ ხორცს. ღვინო ადგილობრივ მცხოვრებლებს ბევრი მოჰქონდათ საუკეთესო ხარისხისა.

ზღვნობა და საწირავები რომ მოთავდებოდა, მერე გაიმართებოდა სუფრები (აქ ხორცს და პურს ხელზე არ არიგებდნენ, იმართებოდა ქართული სუფრა, სასმელ-საჭმელი სუფრაზე იყო). შემოღამებისას სანთლებს ანთებდნენ და მთელი ღამის განმავლობაში ატარებდნენ დროს. გამოყოფილ კაცებს ღვინით უნდა გაევსოთ ტიკები და საპალნეები გაემზადებინათ. ტიკები ისე დიდი იყო, რომ ცხენი ორ ტიკს ძლივს ერეოდა. რომელი ქვევრიდანაც უნდა ამოეღოთ ღვინო, მის პირზე დააწყობდნენ საწირავთ, აანთებდნენ სანთლებს და ხევისბერი (იგივე მედროშე) შეუსახელებდა ქვევრ-მარანს თავის სალოცავ წყაროსთაულს. ახვეწებდა ყმათ და სთხოვდა მათ სიმრავლესა და ჯანმრთელობას. სახატო საქმეზე თავდადებულთ და ზედაშის მოყვანადამზადებაში მშრომელთ უფრო ახვეწებდა, მოიხსენებდა ვედრებით აქ მოსულ მეზღვნეებს და წმიდა გიორგის მლოცავთ. ხევისბერი გამოცლიდა ჭიქას და ყველას დაალევინებდა გიორგის ყმათ სამწყალობნელს. ქვევრის გახსნის შემდეგ სასოფლო საკლავის ხორცის სუფრას გამართავდნენ და იმ მიცვალებულებს მოიხსენიებდნენ, რომლებიც წინათ ყოფილან მეკულუხეში. ასეთ შესანდობარსაც ყველა დალევდა. ამასობაში თენებაც მოატანდა და ხევისბერი გაუძღვებოდა ლალისყურისკენ. აქ საპალნეები და რამდენიმე კაცი დარჩებოდა. ცხენებით და ტიკებით მივიდოდნენ ლალისყურის წმიდა გიორგის მარანზე (ორივე ვენახის ღვინო უნდა წაეღოთ ზედაშე განსაზღვრული რაოდენობით, ნახევარი ერთგნიდან და ნახევარი მეორე მარნიდან). ლალისყურშიც ამავე წესით შეხვდებოდნენ წმიდა გიორგის დროშას და ხატივნებს. საპალნეები ღამით გამზადდებოდა და დილასვე დროშის წინგაძღოლობით დაბრუნდებოდნენ უკან. ცალკე ტიკებით მიჰქონდათ იმდენი ღვინო, რომ გზაში შემხვედრთანაც ჰყოფნოდათ და თვითონაც დაელიათ. წყაროსთავს კიდევ მიჰყვებოდათ იმდენი სახარჯო ღვინო, რომ შემხვედრ ხალხს დალევინებდნენ, მანამ კულუხის ღვინო გაიხსნებოდა. მატანში თავის მარანზე ცოტას შეისვენებდნენ, დროშასაც თავის საბძანებელში მიაბძანებდნენ და ისაუზმებდნენ. მერე აჰკიდებდნენ ცხენებზე ღვინის საპალნეებს და წამოვიდოდნენ უკანაფშავისაკენ.

ხუთშაბათს აქ დარჩენილი ხევისბრები და დასტურები მოიყრიდნენ თავს წყაროსთავს და შოამზადებდნენ ყველაფერს, რაცკი საჭიროა ხატობაში. ამ დროს მოვიდოდა მეკულუხეც. დროშის ზარის ხმა შორიდანვე ისმოდა. ქუდმოხდილი დასტურ-ხევისბრები გზაში

მიეგებებოდნენ. შემხვედრებს მედროშე დაამწყალობნებდა: „წყალობა მგზავრის ანგელოზისა, წყალობა“. ისინიც უპასუხებდნენ: „გამარჯ-ვებათ ხატ-კაციანად, მოგვიხვედით მშვიდობითა“. მედროშე პირდაპირ დროშის საბძანთან მივიდოდა და დაბძანებდა დროშას, თვითონაც იქვე ახლო ქვის სკამზე დაჯდებოდა. სხვები მიიტანდნენ ღვინიან ტიკებს საკულუხოს კარზე. საკულუხო ერთ-ერთ ხევისბერს ებარა და იმის მეტს იქ შესვლა არავის შეეძლო. დიდი მოკრძალებით და ლოცვა-ვედრებით ფეხშიშველი შევიდოდა საკულუხოში, ღვინით სავსე ტიკებს მიიღებდა და დააწყობდა სათანადო ადგილზე. ამის შემდეგ ყველანი დაისვენებდნენ. მოხსნიდნენ საგზაო ღვინიან ტიკებს და დაალევინებდნენ აქაურებს. კარგად დასვენების შემდეგ შეუდგებოდნენ ხატობის წესრიგს. მესანთლე ხევისბერი სანთელს მოამზადებდა. ღვინოს თიხის საღვინით გამოიტანდა მეღვინე ხევისბერი, რომელსაც საკულუხო ებარა, მეზარე ზარს ჩვეულებრივი წესით და ხვეწნა-ვედრებით დარეკდა. თავხევისბერი კი შეუდგებოდა ზედაშეზე წმიდა გიორგის ხსენება-დიდებას. ხსენება-დიდების წესი ზემოთ არის აწერილი და ამავე წესით ასრულებდა აქაც. ბოლოს ღვინიან ჭიქას გამოცლიდა და იტყოდა: „გწყალობდესთ ყმათა, სადიდებულო წყაროსთავ წმიდა გიორგისა იყო და სამწყალობნელი თქვენი — წმიდა გიორგის ყმათი“. ჩამოურიგებდნენ და ყველას დაალევინებდნენ. ამის შემდეგ იმართებოდა დღეობა. პირველად დაიკვლოდა სასოფლო საკლავი და მერმე მეზღვნეებისა. ათენგენას სუფრობა იცოდნენ და ბევრი მხიარულება. ხალხიც ბევრი მოდიოდა სალოცავად. დღეობა აქ გრძელდებოდა სამ დღეს — ხუთშაბათი, პარასკევი და შაბათი. პარასკეობით საკლავს არ კლავდნენ — ვინც მოასწრებდა ხუთშაბათს დაკლავდა, ვისაც დაუგვიანდა, ის შაბათს. მაგრამ საშურელი იყო ხუთშაბათს დაკვლა იმიტომ, რომ ბინაში ხორცი თუ არ ჰქონდათ სამი დღის განმავლობაში, რითი გაუმასპინძლდებოდნენ მიპატიჟებულებს. ბინა თავ-თავისთვის ედოთ, ხოლო ახლო ნათესავების ერთად.

პარასკევს დღეობა გრძელდებოდა (საკლავის დაკვლის გარდა). სანთელს მოანთებდნენ, ზარს რეკდნენ და ერთიმეორეს სუფრაზე ეპატიჟებოდნენ. იმართებოდა თოფის სროლა. მიცვალებულის პატრონები დგამდნენ „ლაბაკებს“ თავ-თავის მიცვალებულების შესანდობრად (მთხრობელმა მიამბო: ლაბახი დღეობის გარეშეც, ე. ი. უდღეობოდაც, მიჰქონდათ წყაროსთავს, ხატთან ახლო. საღაბახე მოხერხებული ადგილია და ვისაც პატივსაცემი მიცვალებული ჰყავდა და ემეტებოდა მისთვის, უდღეობოდაც დადგამდნენ). ერთ კაცს აირჩევდენ ღაბახის თავად და ის განაგებდა მის წესრიგს. პირველად წილს უყრიდა, თუ ვის ერგებოდა სროლა. მერე როცა ხალხში ბოლოს გავიდოდა წილი და ვერავინ მოარტყამდა ღაბახს ტყვიას, მაშინ წილისყრას თავს დაა-

ნვბებდნენ და ვისაც როგორ უნდოდა ან რამდენიც, იმდენს ესროდა. ღაბახზე აყენებდნენ: ქალბან-წინდას, საფუხარს, ფულს, ცხვარს ან ჭედილას, ვისაც რა ემეტებოდა. სროლის დროს ღაბახის თავი ღაბახთან ახლო იყო, და ყოველ სროლაზე სინჯავდა ნატყვიარს, მოხვდა თუ არა. ეს მაშინ, თუ ტყვია ფიცარს მოხვდებოდა. ღაბახის ფიცარი იყო დაახლოებით ერთი არშინის სიგრძე. მას შუაგულში ჩხირით მიკრული ჰქონდა ხელისგულზე მომცრო თეთრი ფიცარი. ამ ფიცარს მიაკრავდნენ თეთრ რამეს, თუ იშოვიდნენ ქაღალდს, რომ ლიშანში გამოჩენილიყო. ხალხში ასეთი რწმენა იყო, რომ ღაბახი რომელი მიცვალებულის სახელზეც იდგა, თუ იმ მიცვალებულს სიცოცხლეში თოფის სროლა უყვარდა, ღაბახს ტყვია ადვილად არ მოხვდებოდა, რადგან ამ მიცვალებულს საიქიოსაც თოფის სროლა ეყვარებოდა და ღაბახის მალე აღებას ხელს უშლიდა. უნდოდა, რომ მის ღაბახზე ბევრი სროლა ყოფილიყო. ასეთი რწმენაც იყო, მიცვალებული, რომლის ღაბახიც იყო, ვისთვისაც თვითონ გაიმეტებდა, იმას ააღებინებდა, თუ არ ემეტებოდა, რამდენიც უნდა ესროლათ, ტყვიას სხვა მიმართულებას მისცემდა და ღაბახს არ მოახვედრებდა. მიცვალებულის სულს ეს ძალა ხვთიდან ჰქონდა მინიჭებული (ასეთივე რწმენა იყო ხევსურეთშიც ღაბახზე და სულთაკრეფის სათოფეზე). ღაბახის თავი ბევრს წვალობდა, მაგრამ სამაგიეროდ მიწაში დაფლულ ტყვიებს ის ახრიდა, ხელმეორედ გადაადნობდა და თავის თოფის ყალიბში ჩამოასხამდა. იმ დროს ტყვიის შოვნა ადვილი არ იყო. ამიტომ ღაბახისთავად დადგომას არავინ ზარობდა და წილსაც ყრიდნენ ღაბახის თავად დადგომაზე. ღაბახად ხმიადსაც აყენებდნენ ფიცრის მაგიერ; შუაგულში ქაღალდს ან სხვა რამე თეთრს დააკრავდნენ იმავე ზომისას. ხმიადს რამდენიც უნდა მოხვედროდა, არ ითვლებოდა, თუ განსაკუთრებულ ადგილს არ მოხვდებოდა.

პარასკევი უფრო თოფოსნობაში ღამდებოდა, ღამეც ქეიფობდნენ და ქალ-ვაჟები ერთადაც დაიძინებდნენ ფშაური ნადობ-ნაძმობის წესით. თუ ეჭვი ქონდათ, რომ ქალ-ვაჟი ერთად იწვნენ, ჩუმად მიიპარებოდნენ და რამეს მოპარავდნენ, რომ გათენდებოდა, ჯერ ჩუმად ეტყოდნენ: თუ არ გინდათ ხალხმა გაიგოს თქვენი ერთად წოლა, ჯარიმა გადაიხადეთ ერთი ბოთლი არაყი, თუ არა სახალხოდ ვიტყვითო. თუ ქალ-ვაჟი შორიახლო ნათესავი მაინც იყო და ეკუთვნოდა ერთად დაწოლა, რომ შათზე ცუდს ვერავინ იფიქრებდა, ასეთებს გამოუქვეყნებდნენ და დიდხანსაც აწვალებდნენ. ხანდახან სახუმაროდ სასამართლოსაც მოაწყობდნენ და სასამართლოს გამოჰქონდა მძიმე ჯარიმის განაჩენი, რასაც უნდა დათანხმებოდნენ და გადაეხადათ. ჯარიმა იყო უფრო არაყი ერთი ბოთლი, ან ერთი ამ ჯგუფის მიპატიჟება თავის ბინაზე და სუფრის გამართვა. ამასობაში გათენდებოდა შაბა-

თი (დაჯარიმება შაბათსაც იყო და პარასკევსაც, რადგან ხალხი აქ ორ ღამეს ათევდა და ორივე ღამეს ასეთ ამბებში იყო ახალგაზრდობა გართული). შაბათ-დილას კიდევ დაკლავდნენ სასოფლო საკლავს, მეზარეზარს დარეკდა, სანთელს მოანთებდნენ და გაიმართებოდა დარჩენილი საკლავების დაკვლა. საკლავის დაკვლა, სუფრის დაგება (გაშლა) და დანარჩენი წესები სრულდებოდა ისევე, როგორც სხვა დღეობებში.

ამის შემდეგ დაიდგმოდა „საყეინო". საყეინოც იმავე წესით სრულდებოდა. ანთებდნენ სანთელს და ხევისბერი ასე დაილოცებოდა: „დიდება ძალსა ჩვენი სალოცავისასა, დიდება ღმერთსა და კვირას ძალიან-მადლიანსა, ღმერთმა და ჩვენმა სალოცავმა გაუმარჯოს ლაშარისჯვრის პიროფლიანთა, რომელნიცა მტერს ებძოდეს ლაშარის ჯვრის დროშის და სამშობლოს გულისადა, დაღალულნი და პიროფლიანნი პირწალმა და პირნათლად დაიწოცნენ და მტერს ზურგი არ უჩვენეს. აქაც გამარჯვებულნი იყვნენ და თავის გრძელ ქვეყანაშიაც გამარჯვებული იყოს მათი სახელი, გაუმარჯოს". „ამინ", „ეაშაა!" — დაიძახებდა ხევისბერი და ყველანი ბანს მისცემდნენ. ხევისბერი წამოუწვებოდა ჩანახს, ხელს არ ახლებდა და ღვინოს დაეწაფებოდა და ა. შ. ყველაფერი იმ წესით სრულდებოდა, როგორც სხვა ხატებში.

საყეინოს სმა რომ მოთავდებოდა, საბოლოოდ ისევ ხევისბერი გამოცლიდა და ფულებს ამოიღებდა. აქვე დაითვლიდნენ და გადაანაბარებდნენ მეგანძურს. შაბათ-საღამოს ხალხი დაიშლებოდა. და ხატივნებიც შინ წავიდოდნენ. სუფრობა და ყველა წესი ამ დღესაც სრულდებოდა ჩვეულებრივი.

გიორგობა

გიორგობას ლუდი არ მზადდებოდა. ათენგენის შემდეგ არც დღეობობდნენ წყარო-თავში გიორგობამდე. გიორგობა-დღეს დილით ადრე მიდიოდნენ დასტურ-ხევისბრები და თავისი მოვალეობის შესრულებას შეუდგებოდნენ, ხალხის მოსვლამდე ყველაფერს მოაწესრიგებდნენ, ამ დღეობაში არც დროშა გამოდიოდა. მლოცავი ხალხი მოდიოდა საკლავებით და სასმელით. ადგილობრივ უკანაფშაველთაც ყველას მოჰქონდა არაყი, დედაკაცებს ქადები. ახალი წესი აქ არაფერი სრულდებოდა გარდა იმისა, რაც სხვა დღეობებში არის ნათქვამი.

ქრისტე

გიორგობის შემდეგ იყო დღეობა ქრისტე. ქრისტეს ლუდიც მზადდებოდა და დროშაც გამოდიოდა. სოფლის საკლავი იკვლოდა და როგორც სხვა დღეობებში, ისეთივე წესით იყენებდნენ საკლავის ტყავ-

ხორცსაც და სხვა წესებსაც ისე ასრულებდნენ. ქრისტეს მოსული ხევისბრები წელიწადის გადაყრამდე რჩებოდნენ. ქრისტედან წელწდამდე ერთ კვირას „თევის კვირა“ ეწოდებოდა. ხევისბრები დღე და ღამე აქ იყვნენ. დილა-საღამოს სანთელს ანთებდნენ და თავის სალოცავს ახვეწებდნენ ყმათ. სოფელი რიგრიგობით უზიდავდა მათ მოსაკითხს და მთელ დღეს ქეიფობაში ატარებდნენ. მოსაკითხის მომტანიც მთელი დღე მათთან იყო. ქრისტეს დამზადებული ლუდი ხატიონთ თევისკვირასაც ჰქონდათ გამოზოგვილი და მოსაკითხის მომტანს ამითი უმასპინძლდებოდნენ. როცა მათი ჭურჭელი გამოიცლებოდა, ამავე ჭურჭელს ლუდით უვსებდნენ და ატანდნენ სახლში.

თევის კვირის შემდეგ ლიტანია-საღამო იყო. აქედან დასტურებსაც ცვლიდნენ და იწყებოდა ახალი დღეობები.

წყაროსთავ წმიდა გიორგიში ხევისბრობა მოუდიოდა, ე. ი. თავ-ხევისბრობა, სოხურაშვილების და ბობღიაშვილების გვარებს. დასტურები კი, როგორც აღვნიშნეთ, ყველა გვარებიდან იყო — სოხურაშვილებიდან, ბობღიაშვილებიდან, მამიაურებიდან, არჩემაშვილებიდან, ჯვიელაურებიდან, კოპლიშვილებიდან, კარატიელებიდან, ამირანაშვილებიდან, წელაურებიდან და მურღოშვილებიდან (ამ თემში მოსახლეობდნენ ზემოხსენებული გვარები).

ციხის ანგელოზი — ადგილისდედა

ადგილისდედა დაარსებული იყო ელიაგზის სოფელთან, დასავლეთ მხარეს. ეს იყო სოფელ ელიაგზის საკუთარი სალოცავი. როგორც ზემოთ დაიწერა, ამ სოფელში მოსახლეობდა სამი გვარი: ბობღიაშვილი, მამიაური და სოხურაშვილი. მათი საერთო სალოცავი იყო ციხის ანგელოზი ადგილისდედა. აქ იყო სალუდე, დარბაზი და პურის ბეღელი. დასტურები არ იცოდნენ. იყვნენ მარტო ხევისბრები, რომლებიც დგებოდნენ სამივე გვარიდან, ვისაც ხატი მოითხოვდა. ამ სალოცავს ჰქონდა ნაყევრალები და საგანძური. ნაყევრალებსაც და საგანძურსაც ხნავდნენ თანასოფლელები. თავთავის ნაყევრალას მომკიდნენ, საგანძურსაც თავ-თავის მოხნულს. ძნას თავის კალოზე მიიტანდნენ, გალეწავდნენ, ჩალა-ბზე თვითონ რჩებოდათ, პურს ბეღელში მიიტანდნენ და აბარებდნენ ხევისბერს, ვინც გამოყოფილი იყო პურის შემნახავად. საგანძურზე მოჰყავდათ წმინდა პური სახატო გამოსაცხობებისათვის, ნაყევრალებზე კი ქერი ლუდისათვის. ნაყევრალები და საგანძური მამულები სოფელთან ახლო იყო. საგანძურები სოფლის ბოლოზეა სამხრეთ მხარეს, ნაყევრალები — სოფლის გვერდზე დასავლეთ მხარეს.

როგორც ვთქვით, რაკი დასტურები არ იყვნენ, დღეობები იყო განაწილებული მცხოვრებლებზე. ორი კაცი ერთ დღეობაში დაამზადებდა ლუდს ან არაყს, ორი კაცი მეორე დღეობაში, ორი მესამეში და ასე შემდეგ. საამისოდ პური გამოჰქონდათ ბეღლიდან, რომელსაც უწყავდა ხევისბერი, ვისაც ბეღელი ებარა. რადგან აქ წლიური დასტურები არ იყვნენ და არ იცვლებოდნენ, ამიტომ პირველი ხატობა არ იყო. მაგალითად, წყაროსთავს პირველი ხატობა იყო წელწადში, რადგან დასტურები მაშინ იცვლებოდნენ და პირველად წელწადში იწყებდნენ თავისი მოვალეობის შესრულებას. ამ ხატში უფრო კარგი ხატობა იცოდნენ ამაღლებას და მთხრობელმა პირველად ეს ხატობა ჩამაწერინა. აქ დროშა არ იყო, არც საზარე და ზარი. პირველ ხატობად ჩაითვლება ამაღლება. ამ დღეს ყველას მოჰქონდა ფურთ ნათავრის ქადა ზედ პატარა კვერებით. კვერებიც ხავიწიანი იყო. ქადას თან მოაყოლებდნენ ბოთლით არაყს, ჩამოსაქნელ სანთელს, რომელსაც ჩილა ჰქონდა დახვეული. ქადის დამჭრელი მზარეული ქადას მაშინვე დაჭრიდა — მეოთხედ ნაწილს ხატში დატოვებდა და სამ მეოთხედს პატრონს უბრუნებდა. სანთელს ჩამოქნიდნენ ყველა მეხვეწურის სამწყალობნოდ აანთებდნენ. მლოცავები ამ ხატობაში ბლომად მოდიოდნენ, მოჰყავდათ საკლავები, დოლისთავი ბატკნები (დოლისთავი ის ბატკანია, რომელიც სულ პირველად დაიბადა ამ წელს მისი პატრონის ცხვრებში). დოლისთავი ბატკნის მოყვანა სავალდებულო იყო. თუ რომელიმე ოჯახი სიხარბის გამო არ მოიყვანდა, ცხვარში რამე ზარალი მოუვიდოდა, მაშინვე დააბრალებდნენ დოლისთავის დაუკვლელობის მიზეზს.

სასოფლო საკლავის ხორცი, საწირავები და ქადის ნაჭრების ნაწილები დაიჭრებოდა და დაურიგდებოდა ხალხს. იმართებოდა მღერა-თამაშობა. ქადებზე მოყოლილ კვერებს მოაგროვებდნენ და დაურიგებდნენ ბავშვებს, რომლებიც მათ იტაცებდნენ. პატარა ბავშვებს, ვისაც კვერების ატაცება არ შეეძლო, ხელზე ურიგებდნენ კვერებსა და ქადის წილობებს.

ათენგენა

ათენგენას აქ ლუდიანობა და სოფლის მოსვლა არ იცოდნენ. მოვიდოდა მარტო მლოცავი, ვისაც საკლავი ჰყავდა დასაკლავი. სუფრობა აქ არ იყო. მხოლოდ საკლავებს კლავდნენ მლოცავები და მათ მოტანილ სასმელს სვამდნენ. მერე მიდიოდნენ წყაროსთავში და იქ იხდიდნენ ხატობის ყველა წესებს.

მარიანობა

მარიანობას უფრო კარგი ხატობა იყო ციხის ანგელოზ ადგილისდედაში. მარიანობა დილით მოიყრიდნენ თავს ხევისბრები. ლუდი დამზადებული ჰქონდათ. მოანთებდნენ სანთელს და გახსნიდნენ ლუდს, მლოცავებსაც მოჰქონდათ არაყი და იმართებოდა სუფრობა. ყველა ის წესები სრულდებოდა, რაც სხვა ხატობებში. დაკლავდნენ სასოფლო საკლავს, საბოლოოდ ყმაწვილებს უგორებდნენ კვერებს და არბენდნენ კიდეც დოღის სახით. აქაც წინ მომსვლელს დიდ ჯილდოს (დოღვს) აძლევდნენ, დანარჩენებს — ნაკლებს.

წელწადი და წყალკურთხევა

წელწადში აქ მარტო ხევისბრები იყვნენ, წყაროსთავს კი მეკვლენი მთლიანად. დილით აქედანაც წავიდოდა ხევისბერი და წყაროსთავს მეკვლეთ შეუგორებდა გოგას. აქ ცოტახანს იყო ხატობის წესი და მერე უერთდებოდნენ წყაროსთავის ხატიონთ. მხოლოდ წყალკურთხევას კი აქაც დიდი სანთლობა იყო, ანთებდნენ იმდენ სანთელს, რამდენი ხატების სახელიც იცოდა აქაურმა ხევისბერმა. ახსენებდნენ ფშავ-ხევსურეთის ყველა ხთიშვილებს, ევედრებოდნენ კაცისა და საქონის სიმრავლეს და ჯანმრთელობას ამ თემისათვის. ერთი თიკანიც დაიკვლებოდა ამ ხატობაში, ადგილისდედაში. ესეც სასოფლო იყო. თიკნის დაკვლა რიგ-რიგობით მოუდიოდათ. სხვა დროს აქ თიკანი არ იკვლოდა. თიკანს ტყავს ტიკად გააძრობდნენ და ხორცს მოხარშავდნენ. ტყავი ხევისბერს რჩებოდა.

ახვსება

ახვსებას ლუდი არ მზადდებოდა, არც სასოფლო საკლავს კლავდნენ. მლოცავები თუ რამეს მოიყვანდნენ დასაკლავს და სასმელსაც ისინი მოიტანდნენ, თორემ აქ სხვა არაფერი იყო. ცოტა ხანს თუ ვინმე მოვიდოდა, ისევ სახლებში ეპატიჟებოდნენ ერთმანეთს.

ვაკის სოფლის მოხარნადე ხთიშობელი

ვაკის სოფელი და გოქცი ერთ თემად ითვლებოდა. გოქციში ცხოვრობდნენ წელაურები, ვაკისოფელში — წელაური, კარატიელი, ამირანაშვილი, არჩემაშვილი და ცოკილაური. ვაკისსოფლის მოხარნადე ხთიშობელი იყო ამ გვარების საერთო სალოცავი. ხევისბერი და დასტურიც ხსენებული გვარებიდან დგებოდნენ. მოხარნადე ხთი-

შობელი სადაც იყო, ყველგან ძლიერ ხატად ითვლებოდა. ჰქონდა სანადოები (ხოდაბურები), ამავე სანადოებს ეწოდებოდა ნაყევრალები.

ხთიშობლის ნიში იყო სოფლის გვერდზე, დასავლეთ მხარეს. ჰქონდა დარბაზი, სალუდე, სადასტურო, საზარე, საპურე ბეღელი და წმიდად დაცული ხატის კალო. დარგული იყო ხეები — იფნები და მუხები (ხემხვივანნი). ხატის კალოზე ყველა კაცი ვერ გაივლიდა, თუ წმიდად არ იყო და ნალახში იყო ნავალი. დასტურები იყვნენ წლობით, ითვლებოდნენ „წლის ბერად". წლის განმავლობაში ისინი ცხოვრობდნენ სადასტუროში. სოფელში ვერ შევიდოდნენ — ვერც თავის სახლში და ვერც სხვაგან, ვერც ნალახ გზაზე გაივლიდნენ, ვერც სასმელს დალევდნენ სოფლელებთან საერთო ყანწით, თავისი ყანწი ჰქონდათ და სოფლელებს სადაც შეხვდებოდნენ სმაში, ამ ყანწით სვამდნენ; სხვის გამომცხვარ პურს ვერ ჭამდნენ, მუდამ თვითონ აცხობდნენ თავის საჭმელ პურს. მიცვალებულთათვის ნალოცი (მიცვალებულების ხარჯებში ნალოცს) სასმელს ვერ დალევდნენ. თვითონ რომ ეთქვათ: შეიწყალოს ესა და ეს მიცვალებულიო — ასეთი ნალოცის დალევა კი არ ეკრძალებოდათ. ქალი ვერც საფქვავს დაამზადებდა, რომლიდანაც დასტურების საჭმელი პური უნდა გამომცხვარიყო. საფქვავსაც ისინი თვითონ ამზადებდნენ. ყოველ დღეობაში ხელ-მხარს ინათლავდნენ თითო საკლავით. მუშაობაში ოფლისდენა ეკრძალებოდათ. სხვის მუშაობაში წავიდოდნენ, მხოლოდ ქალების ახლო არ იმუშავებდნენ, ხევისბრებს იმდენი წმიდობა არ ევალებოდათ, როგორც „წლის ბერებს".

ნაყევრალები ანუ სანადოები ჰქონდათ ჯვართთავს, ეკლესიასთან. სანადოებს უძველეს დროში ნადით ხნავდნენ და ნადით მკიდნენ. ნადში ლუდიც იცოდნენ და საკლავებსაც კლავდნენ. ხორცს მოხარშავდნენ და სუფრას გააგებდნენ. მერე თანდათანობით გადავიდნენ სხვა წესზე. დაყვეს მამულები და დაერქვა ნაყევრალები. თავთავის ხვედრ მამულს მოხნავდნენ, დათესავდნენ და მომკიდნენ. ძნას მამულზე ააგებდნენ. მემრე დასტურს ევალებოდა მისი მოვლა-პატრონობა, მოტანა და გალეწვა.

ბეღელში შესვლა და პურის ჩაყრა-გამოტანა ერთ დასტურს ებარა, ის პურს ვერ ჩაყრიდა ბეღელში, თუ ხელ-მხარს არ ინათლავდა; ერთხელ კიდევ ინათლავდა ხელ-მხარს სათესლე პურის გამოტანაში. სალუდე პურის ამოღებისთვის კი ხელ-მხარს არ ინათლავდა. გაბანებოდა, სანთლებს აანთებდა და სთხოვდა თავის სალოცავს, რომ ბეღელში სიარულით თუ რამეს სცოდავდა თავის უცოდრობით, ეპატიებინა და სამაგიერო სასჯელი არ მიენიჭებინა (საპურე ბეღელი დღესაც ისევ არის ქვითკირისა, მხოლოდ ცარიელი).

ხატის კალოზე ყველა კაცი ვერ გაივლიდა, ვერც ვერავინ გალეწავდა დასტურების გარდა. დასტურები აქაც წელწადში იცვლებოდნენ იმავე წესით, როგორც წყაროსთაულში. წელწადი აქ ერთ დღეს იცოდნენ. მერე ეს ხატიონნიც უერთდებოდნენ წყაროსთავს და დღეობობდნენ. აქედანაც წელწად-დილას ერთი მეკვლე წავიდოდა და წყაროსთავს მეკვლეთ შეუგორებდა გოგას. ლუდი კი აქაც ჰქონდათ და ადგილობრივი მცხოვრებლები სვამდნენ. მეკვლენი კი, როგორც ზემოთ ითქვა, უკანაფშავის თემიდან მიდიოდნენ წყაროსთავს და წულის სანთლებიც იქ ენთებოდა, რადგან ის იყო მთავარი სათემო სალოცავი ამ თემში.

წელწდის შემდეგ იყო წ ყ ა ლ კ ურ თ ხ ე ვ ა. წყალკურთხევისთვისაც ლუდი ჰქონდათ დამზადებული; სანთელს მოანათებდნენ, სოფლიდან მოდიოდა ქადა-საწირავი. სასოფლო საკლავი ამ ხატობაში არ იკვლოდა. თუ ვისმე რამე შეთქმული ჰყავდა, ის დაკლავდა საკლავს. სუფრობა არ იყო. ამის შემდეგ ხ ო რ ც ი ს შ ა ბ ა თ ი იყო და მარტო სანთელს ანთებდნენ. აქედან მოყოლებით მ ა რ ხ ო შ უ ო ბ ა მ დ ი ნ. მერე ა ხ ვ ს ე ბ ა მოდიოდა.

ახვსებას სასოფლო საკლავსაც კლავდნენ და მლოცავიც მეტი მოდიოდა. წესი არაფრით განირჩეოდა ციხის ანგელოზის წესებთან, მხოლოდ სასოფლო საკლავი შეიძლებოდა რომელიმე ხატობაში აქ დაკლულიყო და იქ არა, ან და პირიქით.

ა მ ა ღ ლ ე ბ ა

ამაღლებისათვის ლუდს ადუღებდნენ. სოფლიდან მოჰქონდათ ფურთ ნათავარი, კლავდნენ დოლისთავს და სხვა ყველა წესს ჩვეულებრივ ასრულებდნენ, როგორც ციხის ანგელოზში. ამ ხატობაში სუფრობაც იყო ჩვეულებრივი წესით. საღამომდინ იყვნენ და საღამოზე დაიშლებოდა ხალხი.

დასტურ-ხევისბრები გაინაწილებდნენ საკლავების მხრებს, ტყავებს და ტყავის სახსრად შემოსულ ფულს, ქადა-საწირავების ნაჭრებს და ისინიც წავიდ-წამოვიდოდნენ — დასტურები იქვე სადასტუროში, ხევისბრები თავიანთ სახლებში.

ხთიშობელს ვენახი არსად ჰქონდა და არც კულუხი (ვენახები ჰქონდათ მარტო სათემო ხატებს, რომლის დროშითაც მტრებთან საბრძოლად გამოდიოდა თემი). როგორც სხვა დღეობებში, ისევე ა თ ე ნ გ ე ნ ა ს ა ც ლუდი მზადდებოდა. ათენგენაც ერთ დღეს იყო აქ. ამ ხატობაში მლოცავი მოუდიოდა და მოუდიოდათ საკლავები, სასოფლო საკლავიც იკვლოდა, იმართებოდა სუფრები, მხიარულობა, მღერა და სხვა. წასვლის დროს ფერხისას დააბამდნენ. რომელ სიმღერასაც

შოისურვებდა სიმღერისთავი, იმღერებდა და ფერხის ერთი მხარე შას ეტყოდა ბანს; სიმღერის თავის სიტყვებს გაიმეორებდა მის მოპირდაპირე მხრიდან მეორე მომღერალი და მის მხარეზე მყოფნი მას მისცემდნენ ბანს. ხელიხელ გაკიდებულნი გარშემო ტრიალით გამოემართებოდნენ და როცა სიმღერა გათავდებოდა, დაიშლებოდნენ. ყველა წავიდ-წამოვიდოდა. აქ უნათესაო ხალხი იშვიათად მოვიდოდა, რომ ან დისწული ან დედიძმა ან სხვა ვინმე ნათესავი არ ჰყოლოდა. აქაურ ხალხთან ნათესაობა აკავშირებდა აქაურ ხატებთან.

ათენგენობის შემდეგ მ ა რ ი ა ნ ო ბ ა მოდიოდა, მაშინაც ლუდს ამზადებდნენ და იხდიდნენ ისეთივე წესით, როგორც სხვა ხატობებში აიწერა. აქ უცხო ისეთი წესი არაფერი იყო, სხვა ხატობაში რომ არ ყოფილიყოს.

მარიანობის შემდეგ გიორგობაა. გიორგობასაც იცოდნენ ლუდი და საკლავი. მერე მოდიოდა ქ რ ი ს ტ ე. ქრისტესაც ისეთივე ხატობა იყო ერთ დღეს. თევის კვირას აქ ხევისბრები არ იყვნენ, მაგრამ სახლებიდან მოდიოდნენ სანთლის მოსანთებად. მოსაკითხი სოფელს მოჰქონდა დასტურებთან და ხევისბრებიც იზიარებდნენ მას.

ვაკის სოფლის ზემოთ იყო ქრისტიანული ეკლესია. ეკლესიას საზარე ზედვე ედგა. შენობა ძველი იყო და დიდი ხანია გაუქმებულია.

მათურის მთავარანგელოზის დღეობები

მათურის მთავარანგელოზი იყო მათურის საოემო სალოცავი. მათურა ფშავის თორმეტ თემთაგანი იყო. ეს იყო დაფანტულად დასახლებული ერთი სოფელი — გაღმა მათურა და გამოღმა მათურა. ჰქონდა კიდევ სამთოები, სადაც ზამთარ-ზაფხულ მუდმივად მათურლებივე ცხოვრობდნენ. ასეთი ადგილები იყო: ბოროლა, მუჯა, ბახია და ჩხუბა. აქ სამ-სამი, ოთხ-ოთხი კომლი მათურელი მუდმივად ცხოვრობდა. ამ სოფელში იყო შემდეგი გვარები: ხუციშვილი, თათარაშვილი, წითელაური, ხიბლაშვილი, ბაჩუაშვილი და თადიაური. ეს გვარები ყველა ერთნაირი ყმა იყო მთავარანგელოზისა, მხოლოდ ხევისბრობა (თავკევისბრობა) ხუციაანთ მოუდიოდა. დანარჩენი ხევისბრები ყველა გვარიდან იყვნენ (მეზარე, მედროშე და სხვ.). ყველა გვარიდან ერთნაირად დგებოდნენ დასტურებიც ერთწლობით.

მათურის მთავარანგელოზი დაარსებული იყო გაღმა მათურის სოფლის ახლო, სამხრეთისაკენ. აქ დარგული იყო ხემხვივანნი: იფნები და ცაცხვები. ჰქონდა სალუდე, დარბაზი, სადასტურო, საზარე, ხატის

კალო და საპურე ბეღელი, რომელიც დღესაც არის ხელშეუხებელი, მხოლოდ ცარიელი.

მთავარანგელოზს ჰქონდა ჯვართ ბოლოზე დასავლეთ მხარეს ნაყევრალები, იგივე სანადოები. სანადოებს ამუშავებდა სოფელი. იცოდნენ ნადი ლუდით. ხვნა-თესვის საქმესაც და სახატო სხვა საქმეებსაც მართავდა თავხევისბერი. იგი წინასწარ გამოუცხადებდა სოფელს — ამადაამ დღეს მოხნინთ სანადო მამულები, აგრეთვე მომკასაც და სხვა. როცა სახნავად დანიშნულ დღეს ადრე მივიდოდნენ ხარგუთნით სანადო მამულში, გუთანთან მომბულ ხარებს ისე დააყენებდნენ, რომ მარჯვენა ხარი კვალში ყოფილიყო, რომ ამა თუ იმ ხარ-კაცის მოსახნავი მამული დაახლოებით ერთიმეორის თანაბარი ყოფილიყო. თავხევისბერი ჯერ ხატში მოანთებდა სანთელს და შეეხვეწებოდა ყმათ და იმათ ხარ-გუთანს და მერე მოვიდოდა ხარნადში, მოიხდიდა ქუდს, დადგებოდა მზის ამოსახედისაკენ, დაიწერდა პირჯვარს და დაამწყალობებდა ყმათა და ხარ-გუთანს: „წყალობათ ჩვენი სალოცავისა, წყალობათ მათურელნო, წყალობა მოგცესთ ჩვენმა სალოცავმა დიდმა მთავარმა ანგელოზმა თქვენს თავ-ჯალაფობასა და თქვენს ჯარ-გუთანსა, ნამეტნავად გწყალობდეთ სახატო და სახალხო საქმეში თავდადებულთა, სოფელში თავმდაბალთა და ნამუსიანთა, სოფლის მტერ-ორგულთან ამაყთა, სახატო საქმეში ადრე და ხალიზიანად მომსვლელთა და გვიან წამსვლელთა“. გუთნისდედები და მათი დამხმარეები ქუდმოხდილნი იდგნენ ხევისბრის დამწყალობნების დროს და რომ მორჩებოდა, უპასუხებდნენ: „თქვენიცამც მწყალობელია და თქვენის თავ-ჯალაფობისა“. მერე მივიდოდა ხევისბერი იმ გუთანთან, რომელიც მამულის ბოლოზე იდგა და საიდანაც იწყებოდა მამულის გაკვალვა — დაიჭერდა გუთნის ხელთ (აქ გუთანი ფშაური აჩაჩა იყო). გუთნისდედა ხარებს წინ გაუძღვებოდა და გაჰკვალავდნენ მამულს. გაკვალვის დროს ხევისბერი კიდევ იტყოდა ხმამაღლა: „ღმერთო და ჩვენო სალოცაო, მათურის მცველო მფარველო მთავარო ანგელოზო, თქვენა სწყალობდეთ მათურის თემსა. წლის მოსავალი ღალიან-ბარაქიანი მოჰგვარეთ, მაგათ ჭირნახულსა და კაც-საქონსა მარცხი და ზიანი მოაშორეთ“. ამნაირად ერთხელ გაატარებდნენ აჩაჩას, მოაბრუნებდნენ, გამოატარებდნენ და მესამედ რომ მიაბრუნებდნენ, ხევისბერ გუთანს ხელს გაუშვებდა და ყველანი გაიკვალავდნენ მამულსა. გაკვალვისას ხმამაღლა იტყოდნენ: „ღმერთო და ჩვენო სალოცაო, გვიშველეთ და წლის მოსავალი ღალიან-ბარაქიანი მოგვაგვარეთ. მშვიდობიანი წელი დაგვიყენეთ და ვენს ნაშვრალ-ნამუშევარს ჯვარი დაგვიწერეთ“. ასეთი სიტყვებით შეუდგებოდნენ ხვნას.

ნადისათვის ლუდიც ჰქონდათ დამზადებული, რომელსაც მამულში მიიტანდნენ, ერთი „ჯართ დარეკვის“ შემდეგ დაისვენებდნენ, ერთად

მოგროვდებოდნენ და დალევდნენ. ხარების დაყენება ყოველთვის და ყველგან ერთნაირად იცოდნენ: მარჯვენა ხარი უნდა მდგარიყო კვალში, მარცხენა კი კვლის თავზე. დასტური ხელ-მხარს ინათლავდა და ბეღლიდან გამოიტანდა სათესლე ქერს. მიიტანდა სანადრო მამულში, ხევისბერი დათესავდა. თესვის დროს ქუდმოხდილი იყო, ქერი გუდაში ეყარა და მარცხენა მხარზე ჰქონდა დაკიდებული, მარჯვენა ხელით ამოჰქონდა და თესავდა. დასტურები მოუბამდნენ ფარცხს და ფარავდნენ. ფარვას რომ მორჩებოდნენ, ხევისბერი დაფარულ მამულში სამ ადგილას ჯვარს გააკეთებდა — გახაზავდა მიწას შეყრილი ხელის თითებით და იტყოდა: „ღმერთო და ჩვენო სალოცაო მთავარო ანგელოზო, დასწერეთ ჯვარი ამ ჯარისა და კაცის ნაშრომსა და მოიყვანეთ კარგი მოსავალი, თუ რამე ციდან ზიანი ეხედვებოდეს, შენს ორგულ-მუხანათთ ჭირნახულზე გადაიტანე და შენ ყმას ნაშრვალ-ნამუშევარი ზარალისაგან დაიჯსენი, შენი სახელის ჭირიმე, ჩვენო სალოცაო“. მიწაში დაარჭობდნენ ტოტიან ჯოხს და ზედ დაჰკიდებდნენ ბალახის ძირებს ქერის თავთავების მსგავსად და იტყოდნენ: „ასეთ გრძელ თავთავს დაისხამსო“.

ამის შემდეგ სოფელი მოხნულ მამულს თავს დაანებებდა და დაპატრონდებოდნენ დასტურები. ნადის ხარებს გაუშვებდნენ და გარეკავდნენ შინ. თვითონ კი ხატში მივიდოდნენ და სვამდნენ ლუდს. (გადმოგვრჩა: ერთი სასოფლო საკლავი დილითვე დაიკვლოდა ხატში, ხორცს მოხარშავდნენ და ხარგაშვების შემდეგ გუთნისდედებს გაუგდებდნენ სუფრას; ხორცთან პური იყო საწირავებისა, რომელიც ყველას მოჰქონდა. ხორცის სუფრას შენდობას ეტყოდნენ იმ მიცვალებულთათვის, რომელნიც ერთგულნი იყვნენ სახატო და სახალხო საქმისათვის და ეხლა აღარ არიან). ამასობაში შემოღამდებოდა და დაეთხოვებოდნენ ხატს. მოუყრიდნენ მუხლს, პირჯვარს იწერდნენ და ეხვეწებოდნენ კარგი მოსავლის მოყვანას და უცოდინარობით შეცოდებების პატიებას. ბოლომდინ რჩებოდნენ დასტურ-ხევისბრები და მერე ისინიც წამოვიდოდნენ.

ამის შემდეგ მამულს დასტურები უვლიდნენ, ყანისპირა სათიბეებსა და ყამირებსაც დასტურებივე ინახავდნენ და თვითონვე თიბდნენ.

ყანა რომ სამკალად შემოვიდოდა, ხევისბერი მოიწვევდა სოფელს და დაუნიშნავდა მკის დღეს. ხატის ყანების მკა უფრო ხშირ შემთხვევაში შაბათობით იცოდნენ. შაბათ-დილით მოვიდოდა ხალხი და დაიწყებდნენ მკას. მკა ყოველთვის ნამგლით იცოდნენ (ხევსურეთში ხშირ შემთხვევაში ხელით, უნამგლოდ მკიან ყანებს, გარდა სვილისა). ზოგნი მკიდნენ და ზოგნი კონავდნენ. დასტურ-ხევისბრები კი ხატში მოვიდოდნენ, სანთელს მოანთებდნენ, საკლავს დაკლავდნენ და ახვეწებ--

დნენ მათურის თემს მთავარანგელოზის ყმათ. საკლავის ხორცს მოსახარშად გაამზადებდნენ, ხატიონნი დალევდნენ ლუდს. მერე წამოიღებდნენ ნადში და ყველა მომკლებს მოიწვევდნენ ლუდთან. კარგა ხანს დაისვენებდნენ და დალევდნენ. მერე ერთბაშად შეუდგებოდნენ მკას. მკაში ქალებიც ღებულობდნენ მონაწილეობას, უფრო ძნის მკონავებად (ისეთი ქალები, თუ ბოსლიდან შემოსულის შემდეგ სამი დღე უკვე გათავებული იყო და მეოთხე დღე ჰქონდა. ან მოახლოებული არ იყო ბოსელში გასვლის დრო). ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს მომკლები და მკონავები. თუ ხელეულები მეტი დაგროვდებოდა და მკონავები ვერ ასწრებდნენ, მომკლები დაიწყებდნენ დაცინვით მღერას: „დაბევრდა ხელეულები, აღარა კონეულები". თუ ხელეულები აღარ იყო და მკონავები ასწრებდნენ, მაშინ მკონავები უმღეროდნენ: „დაბევრდა კონეულები, აღარა ხელეულები".

სამკალს რომ გაათავებდნენ, ძნის დაქუჩებაში მიეშველებოდნენ დასტურებს და „წერაად" ააგებდნენ. წერა იყო ხუთი ძნა, ძირებით მიწაზე დააყუდებდნენ ოთხ ძნას, თავთავებით კი ერთმანეთზე იყო მიყრდნობილი, მეხუთე ძნას გადასტეხდნენ და თავთავებს ზემოდან წამოაფარებდნენ — თუ წვიმა მოვიდოდა, ის დაიფარავდა თავთავებს დასველებისაგან. ძნა იცოდნენ ერთი ხელეულისა, მკის დროს კაცი რამდენსაც მარცხენა. ხელში მოათავსებდა. წერაად ააგებდნენ იმიტომ, რომ ასე დაყუდებული ადვილად გაშრებოდა, ერთი კვირის შემდეგ — თუ გამოშრა, უფრო ადრე და თუ უდარობა დადგა, უფრო გვიანაც, დასტურები გადახუთლავდნენ. ხუთულა თვლით არ იყო, რამდენიმე წერას მიიტანდნენ ერთად და ერთ ძნას დადგამდნენ დაახლოებით სამი ან ოთხი ტვირთის გამომავალს. როცა ძნის მიტანის დრო იქნებოდა, ისევ სოფელი მიეშველებოდა, შეაბამდნენ ხარს და მარხილით მიათრევდნენ. რადგან სოფლის კაცი ხატის კალოზე ვერ გაივლიდა, ძნას კალოსთან ახლო მიიტანდნენ. იქიდან დასტურ-მსახურთ გადაჰქონდათ და „მუხლის ძნებს" დგამდნენ ხატის კალოს გვერდზე (მუხლის ძნას ფშავლები უწოდებდნენ ძნის დიდ ძირს, რომელზედაც ერთი კაცი ზედ იდგა და მეორე ძნას აწვდიდა. ასეთ ძნას ხევსურულად „სერკვი" ჰქვია). დაწამთრების პირზე დასტურები ხელმხარს ინათლავდნენ და ძნას გალეწავდნენ. ხატის ძნის ლეწვაში ისეთი ფეხსაცმელი უნდა ჩაეცვათ, რომლითაც სხვაგან არ უვლიათ, თუ კალოდან შორს გავლა დასჭირდებოდათ, იმ ფეხსაცმელს გაიხდიდნენ იქ და კალოსთან დაწყობდნენ. ხელმხარ ნანათლი და წმიდად მყოფი დასტურები პურსაც თვითონ ყრიდნენ ბეღელში. ლეწვის დროს ხევისბერი ყოველ დილა-საღამოს მივიდოდა და სანთელს ანთებდა ხატში. საკალოეს რომ მორჩებოდნენ, ჩალა დასტურებს მიჰქონდათ, ღალაჩაყრილი ბეღელი დაიკეტებოდა და გასაღები დასტურთ ხელში იყო.

მათურის მთავარანგელოზში მისული ხევისბერი პირველად ცხრა საკლავით ინათლავდა ხელ-მხარს.ის ხევისბრად მივიდოდა დიდი ყოყმანის შემდეგ. მკითხავები და ნელწმიდა კაცები ადრიდანვე ურჩევდნენ ხევისბრად მისვლას, თუ ავად ხდებოდა, ან ოჯახის საქმე არ მიუდიოდა კარგად — დაუავადმყოფდა ოჯახში ვინმე, ან ფათერაკი რამე შეემთხვა, ან პირუტყვი უზარალდებოდა, ან თუ მას მამითაც მოუდიოდა ხევისბრობა. ის თავს არიდებდა და არ მიდიოდა — იქნება ხატს არ უნდივარ და როგორ მივიდეო. თან ისაც აშინებდა: ვაითუ, წესრიგი ვერ შევასრულე და მაშინ ხომ სულ გამათავებს მთავარანგელოზიო. ბოლოს რომ გაუჭირდებოდა, ან ძილში სიზმარში რამე დაუწყებდა მოლანდებას, ან ისე ავად გახდებოდა, რომ მეტი გზა აღარ იყო, გულს გაუმართლებდა (ფშავლები გულის გამართლებას უწოდებდნენ და ხევსურები გულის გამართვას, როცა აღთქმას დასდებდნენ ხატის წინაშე, რომ ამა და ამ სამსახურს შევასრულებო), ჭდეს ამოაგდებდა და იტყოდა: „დიდება ძალსა შენსა, დიდო მთავარო ანგელოზო, ეს ჭდე ნიშანი იყოს იმისი, რომ შენთან სამსახურის ღირსიც არა ვარ და მაინც თავსა ვდებ შენი სამსახურისათვის“. წაიღებდა ამ ჭდეს და ხატში გადააგდებდა. აქედან შეუდგებოდა მზადებას სახევისბროდ. აღარ გაივლიდა ნალახში, „აღარს მიჰკელავდა“ უწმინდურს, რაც ხატის წესით იკრძალებოდა და სხვა.

ამ დღიდან პირველი დღეობა რომ მოვიდოდა, მივიდოდა ხატში, მიიტანდა ქადას — საწირავებს და იმდენ საკლავს, რამდენის შესაძლებლობაც ჰქონდა. შეიძლება შეეძლო ცხრავე საკლავი ერთბაშად მიეყვანა, მაგრამ სახევისბრო ხალხი შინა მოსაქმე ხალხი იყო და იშვიათად ჰქონდათ ასეთი შესაძლებლობა. იყო მეცხვარე — მომთაბარე ხალხი, რომლებსაც შეძლება ჰქონდათ, მაგრამ მათ ხატი რატომღაც ხევისბერად არ მოიყვანდა. ისინი შორიდან ზღვნობდნენ და სანთლობდნენ. ერთი სიტყვით, რამდენიც შეეძლო, პირველ მოსვლაზე დაკლავდა, დანარჩენი კი შეიძლებოდა დროდადრო მოეყვანა, როცა შესაძლებლობა ექნებოდა. აუცილებლივ საეალდებულო იყო ცხრით ხელმხრის ნათვლა. რამდენ საკლავსაც მიიყვანდა, წამოაყენებდნენ სასაკლაოზე. ახალმიმსვლელი ხევისბერიც აქ დადგებოდა — წინასწარ გაბანილ-გასუფთავებული და ახლად პირგაპარსული (ხატი თმა-წვერიანობას კრძალავდა). თავხევისბერი დაიჭერდა შიშველ ხანჯალს, ან დანას და შეუდგებოდა დიდებათ: დიდების წესი ზემოთ აღწერილია და ასეთივე სიტყვებით ადიდებდა — ოღონდ ჩაურთავდა: „უშველე შენს ყმას, შენს სამსახურზე თავდადებულ (სახელი), მოსულა შენი სახელისა და ძალის საკსენებ-სადიდებლად, შენის ძალითა და სახე-

ლით დაეკმარე, ხალიზი მიეცი და ბალინჯი აშორე, ნუ შაანანებ შენს სამსახურსა შენის სახელის ჭირიმე. ჯორციელია, დალოცვილო მთავარო ანგელოზო, თავისი უცოდინარობით ბევრს რასმე გცოდავს და შენ შეუნდევ დალოცვილო უცოდინარობით შენაცოდარი. უშველე მაგის თავ-ჯალაფობასა, კაცსა და საქონსა. დღეიდანა შენი ჯელდებულია და დასდევ ჯელი, დალოცვილო, და დაიხსენ ყველა სატანჯველიდანა. დიდება ძალსა და სახელსა შენსა". ამ ლოცვას ნელი ხმით, ტკბილად, მუდარის კილოთი ამბობდა ამის შემდეგ დაკლავდა საკლავებს. საკლავების სისხლი იქვე თასში გროვდებოდა, რომელსაც სასისხლე ერქვა. ბოლოს ხევისბერი სისხლს ხელებზე და გულზე უწევდა. ახალ ხევიბერს და დაამწყალობნებდა: „გწყალობდეს ჩვენი სალოცავი, ნუ შეგანანოს სამსახურიო" და სხვა. წყნარის ხმით წყალობას ეტყოდნენ სხვა იქ მყოფნიც.

ახალ ხევისბერს სადიდებელი ზედაშე ექნებოდა მოტანილი, თუ იშოვა ღვინო, თუ არა არაყი. დაასხამდნენ და ისევ თავხევსბერს მიაწვდიდნენ ჭიქას. ის მიულოცავდა სახატო სამსახურს და უსურვებდა პირნათლად ყოფნას ხატის და ხალხის წინაშე. ხევისბრის დალოცვას გაიმეორებდნენ ყველა იქ მყოფნი.

საკლავებს გაატყავებდნენ, თითო მხარი და ტყავი ხატში რჩებოდა, დანარჩენს სახლში გზავნიდა. ერთი საკლავის ხორცს კი მოხარშავდა და ხატიონთ სუფრას გაუშლიდა. შენდობას ეტყოდნენ წინა ხევისბრისათვის და იმ სულწმიდათათვის, რომლებიც ახალმოსულ ხევისბერს ხელს უმართავდნენ თავის საქმიანობაში. ამის შემდეგ ხატის დავალებით მას ერთ-ერთი საქმე ჩაბარდებოდა და შეუდგებოდა თავის მოვალეობის ასრულებას.

დ ა ს ტ ურ ნ ი

დასტურები დგებოდნენ მარიანობას, ე. ი. იცვლებოდნენ ძველი დასტურები ახლით. დასტურობა მოუდიოდათ მორიგეობით, მაგრამ აქედან დიდი ხნის გადასულ ხალხს ბარში როცა ხატი მოამიზეზებდა, მოვიდოდნენ სამარიანობოდ და აქ რიგით დასტურს სცვლიდნენ. მოსული დასტური ერთ წელიწადს რჩებოდა და ცხოვრობდა სადასტუროში. საარსებოდ სოფელიც ხელს უწყობდა და სახატო ქონებიდანაც ეხმარებოდნენ. ხატიდან შემოსავალი ჰქონდათ ტყავ-ხორცი და ხატობიდან ხატობამდე ყოფნიდათ. შეშას თვითონ ამზადებდნენ ზამთრისათვის. ხელსაქმობა არ ეკრძალებოდათ. ამზადებდნენ საბლებს (თოკი), ცხრილებს, ცხავებს და ყიდდენ პურ-საჭამანდზე. მათ დღიურად მუშაობის უფლებაც ჰქონდათ. თუ ბარიდან არავინ მოვიდოდა, აქაური მორიგეობა ხომ გრძელდებოდა. დასტური დგებოდა ყველა გვარიდან.

ხევისბრებს ზეპირად ახსოვდათ ვინ ვის შემდეგ იყო დასტურად და ისევ ისე მოაყოლებდნენ. წელიწადში იყო ორი დასტური და ყველა დღეობაში ესენი ამზადებდნენ ლუდს, რამდენი რომელ დღეობაშიც იყო დაწესებული. სხვადასხვა წესრიგსაც იცავდნენ, მაგალითად: სადასტურის ბან-კარის მოვლა, სისუფთავის დაცვა ხატში, ჭირნახულის მოვლა-პატრონობა და სხვა მრავალი. პირველდამდგომი დასტურნი მარიანობა დილას მიიყვანდნენ ორ-ორ საკლავს (ლუდი მარიანობას ისევ ძველ დასტურთაგან იყო დამზადებული), თითო საკლავი ხელ-მხრის სანათლი და თითო შესალოცი; ძველი გადამდგომი დასტურნიც მიიყვანდნენ თითო გამოსამლოცველო საკლავს.

მარიანობას მედროშე ააბამდა დროშას, მესანთლე სანთელს მოანთებდა და მეზარე ზარს დარეკდა. ეს ყველაფერი სრულდებოდა მზემოსვლის დროს. ზარს რომ დარეკდნენ, მედროშე ააბძანებდა დროშას, დროშის ზარის წკარუნით გამოვიდოდა დარბაზიდან, დარბაზის და სადასტუროს კარებზე გაივლ-გამოივლიდა და მიაბძანებდა დროშის საბძან კვრივთან. აქ მიიტანდნენ სადიდებელს და ადიდებდნენ მთავარანგელოზს. ასეთ სადიდებულოს ყველა დალევდა. მერე მოვიდოდა თავხევისბერი და შეუდგებოდა დასტურთ გამოლოცვა-შელოცვას (ლუდი წინასწარ იყო გახსნილი).

ხევისბერი პირველად ხელმხრის სანათლებს შეუსახელებდა და დაკლავდა. დასტურთ ხელებზე და გულზე სისხლს უწვავდა; მერე წამოაყენებდნენ და დაკლავდნენ შესამლოცველო საკლავებს (ეს აწერილია უკანაფშავში, ვაკისსოფელში). ხორცი იგზავნებოდა პატრონების სახლში და მხარ-ტყავი აქ რჩებოდა. გულ-ღვიძლს ამოაცლიდნენ და შეწვავდნენ მწვადად („ღვიძლი ალითაო" — იტყოდნენ ფშავლები. ღვიძლს პირდაპირ დადებდნენ ცეცხლის ალზე და ისე შეწვავდნენ. ცეცხლის ალი ყველა ხორცს აძლევს ცუდ გემოს — „გაალავს", ღვიძლს კი არავითარ გემოს არ მისცემს და ამჯობინებენ ალზე შეწვას). მწვადებს მოართმევენ ხევისბრებს. რადგან ლუდი ძველ დასტურთაგან იყო დამზადებული, ისინი ამ ხატობაში ისევ მონაწილეობდნენ დარბაზში, მხოლოდ ახალ დასტურთ გადააბარებდნენ სახატო განძს და სხვადასხვა ქონებას. უპირატესობაც მათ ხელში გადადიოდა. ისინი უძღვებოდნენ მოსულ-წასულ ხალხს.

სოფელი მოიყვანდა სასოფლო საკლავს და დასხდებოდნენ სადასტუროს კარზე. ქალებიც მოვიდოდნენ და თავის საჯარეში დასხდებოდნენ. ამ ადგილს ერქვა „დედაკაცების საჯარე". დედაკაცებს მოჰქონდათ ქადა-საწირი, არაყი ბოთლებით და ჩამოუქნელი სანთელი. ქადები მთავარანგელოზში არ იჭრებოდა, აქვე ახლო ხთიშობელი იყო და ქადების დამჭრელი ხევისბერი იქ იყო, იგი დანას გაუსვამდა და იტყოდა: „წმიდაო ადგილის დედაო, ხთიშობელო, შენ უშველე შენთ

მეხვეწურთა (სახელი, ვისიც ქადა იყო) მაგათ თავ ჯალაფობასა, კაცსა და საქონსა. შენთვის სამსახური არ დაუყრავ და შენ შენს წყალობას ნუ დააკლებ". გამოჭრიდა მეოთხედს და სამ წილს პატრონს დაუბრუნებდა. სადიდებულოსაც დაასხამდა, დაილოცებოდა და გაუგზავნიდა ხატში მთავარანგელოზში მყოფ დასტურ-ხევისბრებს. საწირავებსაც მთავარანგელოზის ხატში გაგზავნიდა და ქადის მეოთხედებსაც. როცა ყველანი მოქუჩდებოდნენ ქადა-საწირავების მოტანა მოთვდებოდა, ქადის დამჭრელი ხევისბერიც წამოვიდოდა მთავარანგელოზის ხატში. ეს ქადები იყო ხატში სავალდებულო მისატანად. თუ ფურთნათავარი უნდოდათ, სხვა ქადა უნდა მიეტანათ. ხატში რაც ქადის მეოთხედები რჩებოდა, აქაც კიდევ ჭრიდნენ შუაზე, ნახევარი ნამდვილად ხატიონებს რჩებოდა, ნახევარს კი ურიგებდნენ ისევ ხალხს ხორცის და საწირავთ პურის ჩამორიგების დროს. ამის შემდეგ იმართებოდა მოსული მლოცავების საკლავების დაკვლა ისე, როგორც სხვა ხატობებში გვაქვს დაწერილი.

მარიანობა ერთ დღეს გრძელდებოდა, საღამოზე მლოცავი დაიშლებოდა. მოსულებიც სოფელში გადავიდოდნენ. ახალი დასტურნი ჩაბარებულ განძს წაიღებდნენ სათანადო ადგილზე, მედროშეც დროშას დარბაზში მიაბძანებდა და ჩამოხსნიდა. მერე გაინაწილებდნენ ტყავმხარს, ქადის საწირავთ ნაწილს და წავიდ-წამოვიდოდნენ. დასტურნი რჩებოდნენ სადასტუროში.

გიორგობა

გიორგობასაც ისეთივე უცვლელი წესები სრულდებოდა, როგორც მარიანობას, გარდა დასტურთ გამოცვლისა. დროშა გამოდიოდა, ლუდსაც ახალი დასტურნი ამზადებდნენ, სასოფლო საკლავის წესებიც უცვლელი იყო. ქადებიც ამ ხატობაში სავალდებულო იყო მოსატანად, იჭრებოდა ხთიშობელში. დილით დაწყებული ხატობა საღამოთი მთავრდებოდა.

ქრისტენი

ქრისტეც ერთ დღეს არის ხატობა. დილით ხატში მივიდოდნენ ხევისბრები (დასტურნი მუდმივად ხატში იყვნენ) და ყველანი თავთავის საქმეს მოაწესრიგებდნენ. ლუდის გახსნის შემდეგ ადიდებდნენ მთავარანგელოზს, დროშას მედროშე „დაამზადებდა" და დარეკავდნენ ზარსაც. ზარის ხმაზე სოფელში ფეხზე ადგებოდნენ, პირჯვარს დაიწერდნენ და იტყოდნენ: „დიდება ძალსა შენსა, დიდო მთავარო

ანგელოზო, შენ უშველე შენთ ყმათა". ყველანი ადრე ადგებოდნენ. ხორცს კეფავდნენ და შეუდგებოდნენ ხინკლის კეთებას. ყველა ცდილობდა, ერთიმეორეზე უკეთესი ხინკალი გაეკეთებინა და სხვაზე ადრე მიეტანა ხატში დასტურ-ხევისბრებისათვის. ზარის დარეკის შემდეგ სოფლელები დაიწყებდნენ მოდენას მოსაკითხით. თუ ოჯახში კაცი იყო, კაცი მოიტანდა, თუ ოჯახში კაცი არ ყავდათ, ქალებიც მოიტანდნენ. ხატის მსახურნი მოეგებებოდნენ; „წყალობა ხატისაო", — ეტყოდნენ და ჩამოართმევდნენ. ქალი რომ მოსაკითხს მოიტანდა, ხატში ვერ დაუძახებდა. ამიტომ ხატის მსახურნი თვალყურით იყვნენ, რომ ქალს არ დასჭირებოდა სიცივეში დიდხანს გაჩერება. ხინკალს ერთ-ერთი ხევისბერი „სახელს შაზდებდა" მომტანის მიცვალებულთათვის და უპატრონო მკვდრებისათვის. ჭამდნენ და რაც დარჩებოდათ, ისევ უბრუნებდნენ პატრონს იმავე სუფრით, რითაც მოიტანა. არყის ჭურჭელსაც ლუდით უვსებდნენ, ლუდს დაალევინებდნენ და გაისტუმრებდნენ. სასოფლო საკლავსაც დაკლავდნენ და შეასრულებდნენ ყველაფერს, რაც წინა ხატობებში გვაქვს ნათქვამი. ქრისტეში მლოცავი (ხევსურულად მეზღვნე) ნაკლებად მოდიოდა, რადგან შორეულ სოფლებში გზები არ იყო და ახლობლები საკლავს უფრო წელწადში კლავდნენ, თუ შეთქმული ვინმეს რამე ყავდა. ხატობა იყო ერთ დღეს — საღამოზე წავიდ-წამოვიდოდა ხალხი.

აქამდე მარტო დასტურნი იყვნენ აქ, ახლა კი ხევისბრებიც ხატში რჩებოდნენ წელწადგადაყრამდე. დარბაზის კარებს დახურავდნენ და ხევისბრებიც დასტურებთან სადასტუროში ცხოვრობდნენ. თუ ბევრნი იყვნენ და ადგილი არ იქნებოდა საკმარი, ამ შეთხვევაში სალუდეში დაანთებდნენ ცეცხლს. თევის-კვირა ზოგიერთ სხვა ხატებშიც აწერილი გვაქვს და აქაც იმავე წესით იყო. სოფელი რიგრიგობით უზიდავდა მოსაკითხს სადილ-ვახშმად: თითო ხელადა არაყს, ხინკალს, კეცეულს ან ხორცს. თუ ჰქონდათ, თაფლსაც მოუტანდნენ (ფუტკარი თავისიც ჰყავდა მთავარანგელოზს, რომელსაც დასტურები უვლიდნენ. თაფლს თევის-კვირასა და წელწადში იყენებდნენ და ხანდახან ზედაშედაც აკეთებდნენ თაფლწყალს, როცა ლუდი არ ჰქონდათ. არაყი ზედაშედ არ შეიძლებოდა ე. ი. ხატის გასადიდებლად. თუ არც ლუდი ჰქონდათ, არც ღვინო, მაშინ პურის „გურგულას" (პურის გულს) ჩაყრიდნენ წყალში და იმას ხმარობდნენ ზედაშედ). ისინიც ნაქრისტალი ლუდით და ხორცით სცემდნენ პატივს მოსაკითხის მომტანს. თევის-კვირას ერთავად სმა იყო ხატში. ქრისტეში შემოსული ხორცის ნაწილი ჰქონდათ ხატიონებს შენახული, ამ ხორცს ყოველდღე ხარშავდნენ, სუფრას გამართავდნენ და ყოველდღე შენდობას ეუბნებოდნენ უპატრონო მკვდრებს და ძველ ხევისბრებს, რომლებიც აღარ არიან. ასე გაივლიდა თევისკვირა და ლიტანიის წინა საღამოს იყო თევანი (ლიტანია ყველ-

გან ჰქვია ახალწელ ღამეს, მაგრამ მათურაში ამ ახალწლის კიდევ წინა ღამეს ყოფილა თ ე ვ ა ნ ი. ასეთი სახელწოდება სხვაგან არ შემხვედრია. ქრისტედან წელწამდინ თევის-კვირა კი ყველგან ყოფილა). თევის საღამოს დაიკვლება თიკანი (სხვათაშორის, მთხრობელმა თქვა: თიკანი აქ წელიწადში ორჯელ იკვლის, ერთხელ თევასაღამოს, ერთხელ კვირისჯვრობის სწორზე ხახმატის ჯვარისათვისო). თიკნის ხორცს მოხარშავდნენ და ხელზე არიგებდნენ. თევის ღამეს, ვისაც კი ხატში მოსვლა შეუძლია, ქუდიანი ყველა მოვა. ყველას მოაქვს სანთელ-საწირი და არაყი. საკლავი, როგორც ვთქვით, მარტო თიკანი იკვლოდა ამ საღამოს, სხვა არაფერი. დასტურ-ხევისბრებიც მოვლენ ხალხთან. ხალხი სალუდეში ათევდა ღამეს და ხატის მსახურნიც იქ მივიდოდნენ, მხოლოდ დარბაზს ყველანი თავს ვერ დაანებებდნენ, რადგან იქ განძიც იყო და არც შეიძლებოდა სულ უკაცოდ დარჩენა, რადგან ამას ხატი კრძალავდა.

ამ ღამეს აქ დიდი მხიარულება, მღერა, თამაშობა იმართებოდა. ლუდსაც იმდენს მისცემდნენ ხატივნები, რამდენის დალევასაც შესძლებდნენ და არაყიც ბევრი იყო ხალხის მიერ მოტანილი. დასტურ-ხევისბრები რიგ-რიგობით გამოდიოდნენ ხალხთან. ერთხელ ყველანი გამოსულიყვნენ და დარბაზი დაცარიელებულიყო. დაუყენა საოცარი მთავარანგელოზმა და ერთი ხევისბერი გაქადაგებული გავიდა დარბაზში.

ლ ი ტ ა ნ ი ა ო ბ ა

ახალწელ ღამეს ლიტანიობა ეწოდებოდა. მზებძანების დროს ყველა ქუდიანი ხატში მივიდოდა. სავალდებულო იყო, ყველას უნდა მიეტანა შეშა, რასაც მოერეოდა მხრით. პატარებიც არ შეიძლებოდა ისე მისულიყვნენ, რომ პატარა შეშის ნაჭერი მაინც არ მიეტანათ. თან მიჰქონდათ საწულადო სანთელი და საწირავნი. სანთელი იყო ჩამოქნილი, მიჰქონდათ აგრეთვე მარილიანი ხორცი სამწვადე, პური და ყველი, თხილი და კაკალი, ვისაც რა ეშოვებოდა. მიიყვანდნენ ერთ სასოფლო საკლავს და დაკლავდნენ. საკლავი უნდა ყოფილიყო კარგი. გაატყავებდნენ და ხორცს მთლიანად მოხარშავდნენ. თუ რომელიმე ოჯახში ახალშემომატებული წული იყო, იმის მშობლებს უნდა მიეტანათ ორი თუნგი არაყი. სხვებს კი — ვისაც რამდენი შეეძლო, იმდენს მიიტანდნენ (სხვა ხატებში ფშავ-ხევსურეთში ამ საღამოს აქ მოსულ ხალხს მეკვლეთ ეძახოდნენ, მაგრამ მათურაში ერქვა — წულადობილნი). წულადობილნი ყველანი აქ გაათევდნენ ღამეს. სანთელს რომ ჩამოქნიდნენ, დასჭრიდნენ, დაითვლიდნენ, რამდენნი იყვნენ წულადობილნი და იმდენ სანთელს აანთებდნენ. ხევისბერი იტყოდა

დიდებათ: „დიდება შენდა, ღმერთო მაღალო, ცისა და ქვეყნის გამჩენო, დიდება შენდა, კვირავ ძალიან-მადლიანო, დიდება და გამარჯვება შენდა, ჩვენო სალოცაო დიდო მთავარო ანგელოზო, მათურის ბატონ-პატრონო. შენ უშველე შენთ ყმათა, დღეს შენს კარზე მოსულბა წულადობილთა. წელი მშვიდობისა დაუყენე, წულსა და წულის აკავანს უმატე, ახალი წელი მშვიდობიანი და ღალიან-ბარაქიანი გამოუცვალე, შენის სახელის ჭირიმე". დანარჩენი დიდებაც ჩვეულებრივ ბოლოვდებოდა. დამთავრებისას იტყოდა: „გწყალობდესთ, წულადობილნო, გწყალობდესთ ჩვენი სალოცავი".

სასოფლო საკლავის ხორციც მოიხარშებოდა და სახლიდან მიტანილ მარილიან ხორცსაც შესწვავდნენ, დასჭრიდნენ საწირავებს და დააწყობდნენ გრძელ ფიცარზე, ხორცსაც დაწილებდნენ წვრილ ნაჭრებად და გაამზადებდნენ სუფრას. სურაზე დააკრავდნენ სამ ფეხ სანთელს და ხევისბერი „სახელს შაზდებდა" სუფრას იმათათვის, ვინც შარშან წულადობილში იყვნენ და წელს ვეღარ დაესწვრნენ. მოიგონებდნენ უპატრონო მკვდრებსაც, რომლებიც ამ სუფრას „მოჰბრუნავდნენ", შენდობას ელოდებოდნენ. შესანდობარ ყანწს ყველანი გამოსცლიდნენ და მოუსხდებოდნენ სუფრას. ამის შემდეგ იმართებოდა მღერა და მხიარულება.

ამასობაში მოახლოვდებოდა თენება და დაიჭერდნენ კვალს. გარეთ აღარავინ გავიდოდა. ღამე რომ გატყდებოდა და თენებას დაიწყებდა, მედროშე ხევისბერი გამოვიდოდა დარბაზიდან. ქუდმოხდილი მივიდოდა დროშასთან, ჰირჯვრის წერით მუხლს მოიყრიდა და აკოცებდა დროშის ტარს: „დალოცვილო ჩვენო სალოცაო შემოძახილზე ნუ შემისაწყინდები, შენ უშველე შენთ ყმათა მათურელთა და წელი შშვიდობისა დაუყენე". დროშას ააბძანებდა, დროშის ზარს დააწკარუნებდა, წამოვიდოდა და სალუდის კარზე მოვიდოდა სადაც წულადობილნი იყვნენ. სალუდის კარზე დროშის წკარუნით გაივლ-გამოივლიდა და კარებიდან მოშორებით დადგებოდა. დროშის ხმაზე წულადობილნი ადგებოდნენ და პირჯვარს იწერდნენ. მედროშე შეაღებდა სალუდის კარს და ხმაამოუღებლად ისევ შორს დადგებოდა. დროშის ტარს დაბლა დაიყუდებდა წინ. წულადობილთაგან ერთი კაცი გამოვიდოდა, რომელიც წინასწარ არჩეული ჰყავდათ წულადობილთ სოფელში მეკვლედ გასაგზავნად. მივიდოდა და მიულოცავდა მედროშეს ახალი წლის გამოცვლას და მედროშეც უპასუხებდა. წულადობილნი ისევ სალუდეში იყვნენ. ხევისბერი შევიდოდა დარბაზში, გამოიტანდა საკლავის ერთ-ერთ მხარ-გვერდს, ერთ ხმიადს და მისცემდა მეკვლეს. მეკვლე სოფელში წავიდოდა; წასულს ხევისბერი ეტყოდა: „წყალობა და ანგელოზის კვალი გამოგაყოლოს ჩვენმა სალოცავმა"; მერე იგივე ხევისბერი შეუგორებდა წულადობილთ გო-

გას. გოგას შეგორების შემდეგ ქუდმოხდილნი გამოვიდოდნენ ყველანი, დარბაზიდან გამოვიდოდნენ დასტურ-ხევისბრებიც და მიულოცავდნენ ერთიმეორეს ახალწელს.

მედროშე დროშას თავის ადგილზე მიაბძანებდა და ზევით წავიდოდა, წაიღებდა თან ერთ ხელადა არაყს, ან ლუდს. იქ ადგილია დანიშნული და მედროშე ამ ადგილზე დადგებოდა. წულადობილნი მოემზადებოდნენ დოღში გასაქცევად, ვისაც გაქცევა შეეძლო. მეზარე ზარს დარეკდა ნელ-ნელა და მესამედ რომ დაჰკრავდა, დოღის ხალხი გაიქცეოდა აღმართზე, სადაც მედროშე ხევისბერი იდგა. ვინც წინ მივიდოდა, ეს სასმლიანი ხელადა მისი იყო. დანარჩენებს დოღი არ ეძლეოდა. ამას აქ არ დალევდნენ — ჩამოვიდოდნენ და დროშასთან დალევდნენ. მერე ღარბაზის კარზე იმართებოდა სმა და მღერა თამაშობა, ვიდრე არ მოვიდოდა სოფელში გაგზავნილი მეკვლე.

მეკვლე სოფელში ერთ-ერთ ოჯახში მივიდოდა, კარს თვითონ შეაღებდა ხმაამოუღებლივ (ამ დროს სოფელში გარეთ არავინ იყო, ვიდრე მეკვლენი არ მოვიდოდნენ). ოჯახიდან ვინმე გამოვიდოდა, საკლავის მხარ-გვერდს და ხმიადს ხმაამოუღებლივ ჩამოართმევდა და შინ შეიტანდა, მერე მოუტანდა გოგას და მეკვლე სამჯერ შეაგორებდა ჩვეულებრივი ლოცვით. ეს მეკვლე ითვლებოდა მთლიანი სოფლის მეკვლედ. გოგას შეგორებაში იგი იტყოდა: „ღმერთო და ჩვენო სალოცაო, მათურის მთავარო ანგელოზო, უშველე მათურელთა, ახლის წლის გამოცვლაზედა, ბედნიერი წელი და კვალი დაუყენე, წულს უმატე, წულის აკავანსა, კაცსა და საქონსა“ (ზოგიერთ სოფელში მეკვლე ყველა კომლებს შემოუვლიდა და ყველას სათითაოდ შეუგორებდა გოგას, მაგრამ მათურაში ასე არ ყოფილა). გოგას რომ მესამედ შეაგორებდა და გადადგამდა ფეხს ზღურბლზე, იტყოდა: „ფეხი ჩემი, კვალი ანგელოზისო“ და მიულოცავდნენ ერთიმეორეს ახალწელს.

მეკვლე დიდხანს არ დაიგვიანებდა, რადგან ხატში წულადობილნი იმის მისვლას ელოდებოდნენ. მანამ ისინი არ მოვიდოდნენ და ყველა ოჯახს არ მიუკვლევდნენ, სოფელში გარეთ ვერავინ გამოვიდოდა. მეკვლეს ამ ოჯახიდან ხატში გაატანდნენ ხინკლით, თაფლ-ერბოთი, მწვადით და თხილ-კაკლით გაწყობილ სუფრას. მიიტანდა და ეს სუფრა დაილოცებოდა ღარბაზში ამ სუფრის პატრონის მიცვალებულთათვის. ჭამდნენ დასტურ-ხევისბრები. მემრე დაბამდნენ ფერხისას ღარბაზის კარში და წამოვიდოდნენ ფერხისით სოფლისაკენ, მოვიყვანთ ერთერთ საფერხისო სიმღერას:

ტუტილს წისქვილში ატირდა ნანა თორღვაის ქალიო:
შენ, მამაჩემო თორღვაო, ნუმც შეგიბია ჯმალიო,
ნუმც გიკოცია ლეკები, ნუმც გიზიდია ჯელიო.
შემიკრეს გამოსავალი, ლეკებმ წისქვილის კარიო.

ჩემ ძმა-ბიძაშვილნ დაჯოცნეს, მიბრუნვენ სისხლის ტბანიო,
ძმა მელანიო მომიკლეს, ამით დავიჭრენ თმანიო.
ჯელნ დასჭრნეს, უბეს ჩამისხნეს, ღმერთო, რა დიდი ბრალიო!
ფეჯშიშველს გადამავლიენეს თვირთვილიანნი მთანიო,
ბორბლის მთას გადმავალსა უკუღმა მაბრუნებს ქარიო,
არცარა ეგეთ ქარია, რო ქალის ცოდვაბრალიო.
ჩავნაყენ საყურ-ბეჭედნი, ამით ჩავღიშნენ გზანიო,
გზის თავზე დავსხენ ზალტენი, ამით გაიგონ კვალიო,
უთხარით ჩიღოველებსა, ხახონს უჭირონ მჯარიო,
ჩემმა საქმარემ ხიწვამა მაღლა შაირტყას ჯმალიო,
სოფლად თუ ვერ მიიწონენ, მთას უდგას, უჭრან ცხვარიო,
იქაც თუ ვერ მიიწონენ, იმისთავ ჯაროვანიო.
საკსარს ნუ დაამზადებენ, სათუშო აღარ ვარიო,
ოჯულიანთ ჯელუკადრები აწ ურჯულოში ვარიო,
თორმეტი მტანავ უენო, ბაქოს საბოსლოს ვარიო.
გადამავალო ყორანო, ჩემნი გადიღენ ბრალნიო,
უამბენ ჩემსა დედასა ეს ჩემნი ცოდვა-ბრალნიო,
თუ იყოს შაწუხებული, იყიდნოს ჩემნი თმანიო*.
არც გრძელნი, არცა მოკლენი, შვიდკეცნი შვიდნი მჯარნიო,
დაჰკიდნოს ეკლესიასა, აფრიალებდეს ქარიო,
ამდინარ-ჩამომდინრებსა, სწორებს რჩებოდეს თვალიო.
აემ დროს გაღმაეშალნენ თუშის შვილები ცხრანიო,
სუ თავებ გასჭრეს ლეკებსა, წამოიყვანეს ქალიო.

ფერხისით სოფელს მოუახლოვდებოდნენ და დაიშლებოდნენ. აქედან ვინაც ვის სურდა, დაპატიჟებდნენ თავის საკუთარ მეკვლედ (ზოგიერთ სოფლებში, თვითონ თავისი ოჯახის წევრი მეკვლე შეაგორებდა გოგას, ზოგან კი ასე ხდებოდა, რომ მეზობელს დაპატიჟებდნენ და გოგასაც ის შეუგორებდა. სადაც გოგას თავისი ოჯახის წევრი შეაგორებდა, იქ მეზობელი მეკვლე მაინც ისევ საჭირო იყო. მხოლოდ ის გოგას აღარ შეაგორებდა, ისე მიულოცავდა ახალ წელს). გოგას შეგორების შემდეგ მეკვლეს პირველად თაფლ-ერბოს მოართმევდნენ, დაბერებდნენ და მერე რითაც შეეძლო, პატივს სცემდნენ. წელწადი გრძელდებოდა ექვს დღეს. გამოილოცავდნენ წყალკურთხევა დღეს.

წელწადის მეორე დღეს თენდებოდა კ უ მ ე ტ ი. ხალხი დილიდანვე დაიწყებდა ხატში მოდენას. თან მოჰქონდათ ხატიონისათვის პატივისცემა. უფრო მიღებული იყო ხორცისგულიანო ხინკალი და არაყი. მოიყვანდნენ ერთ საასოფლო საკლავს და დაკლავდნენ კოპალასათვის. ამ დღეს მთავარანგელოზს კოპალა მეკვლედ მოუვაო და მთავარანგელოზი საკლავით დახვდებაო. ეს საკლავი სასოფლო იყო, ხორცი მო-

---

* ვისაც ტყვის სახსრის შესაძლებლობა არ ჰქონდა, იმის თმას დაიხსნიდა და მოიტანდა, რადგან ის ძვირი არ ღირდა. თმის მოტანაც კი სახელი იყო, თუ ტყვეს ვეღარ მოიყვანდა. თმა მაშინ ღირდა ათი თუმანი, ტყვე კი — სამოცი თუმანი.

ხარშებოდა და სოფელს დაურიგებდნენ, ტყავ-მხარი კი ხატის მსახურთ რჩებოდათ.

წელწად დღეს ნაყრის მიტანა იცოდნენ წყალზე. (ნაყრის მიტანის წესი აღწერილია წყაროსთაულის წელწადში), აგრეთვე დილით მიყავდათ იაბო ცხენიც წყლის დასალევად. წელწად-დილის წყალი შინაც მიჰქონდათ, ითვლებოდა იაზმის მსგავსად, რასაც პირუტყვსაც კი ასხურებდნენ.

წელწადში, ექვსი დღის განმავლობაში, გადაბმული იყო ერთნაირი წესით ხატობები. ყოველდღე ლუდი, ხატში მისვლა, ლხინ-მხიარულება და სხვა. სოფელიც ამ კვირის განმავლობაში მოსაკითხით მიუდიოდა ხატიონებს. ხატის მსახურნიც ლუდით და ხორცით უმასპინძლდებოდნენ არაყის და სუფრის მომტანს. წყალკურთხევას ხალხიც საბოლოოდ მოიტანდა მოსაკითხს, ვისაც აკლდა და საღამოზე ხატის მსახურნიც გამოილოცავდნენ.

ხორცის-შაბათი

ხორცის-შაბათს დილით ხატის მსახურნი ხატში ადრიანად მოვიდოდნენ. ლუდი დამზადებული იყო წინასწარ, დანარჩენს ყველაფერს მოამზადებდნენ და მერე მოვიდოდა სოფელიც. მოიყვანდნენ სასოფლო საკლავს. იმის სისხლს სასისხლეში ჩააყენებდნენ. „შაკონავენ სამს თოვლის კომიჭს“ (შეკრავდნენ თოვლის გუნდებს), შეღებავდნენ სისხლით კოშკს — კვრივს (აქ ორი კვრივი იდგა და გარშემო გალავანი ჰქონდა შემორტყმული). თოვლის კომიჭები უნდა მიერტყათ ბოლოში მდგომი კვრივისათვის, რომელიც გალავანთან უფრო ახლო იყო. კომიჭის მირტყმის დროს ახვეწებდა მათურის თემს. თითოს მირტყმაზე პირჯვარს დაიწერდა და იტყოდა: „მათურის მთავარო ანგელოზო, უშველე მათურის თემსა, ბევრი ხორცისშაბათი მშვიდობისა ალოცვინე შენთ ყმათა, შენის ძალისა და სახელის ჭირიმე“.

ამ ხატობაში ხევისბერიც ერთი საკლავით ხელ-მხარს ინათლავდა. მის ხორცს სახლში გაგზავნიდა. სასოფლო საკლავის ხორცს მოხარშავდნენ და სოფელს დაურიგებდა. ლუდიც გამოჰქონდათ სოფელში და იმართებოდა სმა და მხიარულება. სოფელში თუ ვისმე ახალი მიცვალებული ჰყავდა, ისინიც მოაზადებდნენ სასმელ-საჭმელს და დაპატიჟებდნენ სოფელსა და თავის ნათესავებს (ხორცის შაბათის წესები მიცვალებულთათვის აწერილია მიცვალებულის კულტის ფშაურ წესებში). ხორცის-შაბათი ითვლება უფრო მიცვალებულთა სულის დღეობად და ამიტომ, როგორც ახალი სულის პატრონი, ისე სხვა მცხოვრებლებიც სუფრას ამზადებდნენ და გარდაცვლილის სახელს შას-

დებდნენ. ხატშიც და სოფელშიც ხორცის შაბათი ერთი დღე იყო დიდი მარხვის შემოსვლის წინა შაბათს.

ყველიერი

ყველიერი არის ხორცის შაბათის სწორ შაბათს — დიდი მარხვის შემოსვლის წინა დღეს. ამ დღეს ხევისბრები მივიდოდნენ ხატში და ანთებდნენ სანთელს, ლუდი შენახული იყო ხორცის შაბათიდან (ყველიერის შაბათს ლუდი არ მზადდებოდა, შენახული ლუდით ადიდებდნენ ხატსაც და შენდობასაც ამაზე ეუბნებოდნენ). ლუდსაც გახსნიდნენ და ადიდებდნენ თავის სალოცავს, მერე დალოცავდნენ სოფლის მიცვალებულთათვის. მოვიდოდა სოფლის ხალხიც. ხნიერები დაღამებამდე აქ იქნებოდნენ. ახალგაზრდები კი ბერიკაში წასასვლელად მოემზადებოდნენ. ერთ ბერაკას და ერთ პაპას მორთავდნენ სასაცილოდ — შეიძლება თხის რქებით, თხის წვერებით, ჩაცმევდნენ თხის ტყავს ბეწვით გარეთ, შეიძლება კუდიც შეებათ და სხვა. პაპას გაუკეთებდნენ თეთრ წვერს გრძლად, გრძელ ულვაშებს, გრძელ სირაიან (ტარიან) ყალიონს — ყანწს გახვრეტდნენ და იმაში გაუყრიდნენ წვრილ ჯოხს, ვითომც ყალივნის სირა იყო. ამაში ჩაყრიდნენ ნაცარს. ხანდახან ნავთს დაასხამდნენ ნაცარზე და ისე დაჰქონდათ ყალიონი. ამასაც ჩააცმევდნენ უცხო სასაცილო რამეს. იგი დაიჭერდა დიდ ჯოხს (არგანს) ხელში და იბჯენდა, დაიწყებდა ლაპარაკს კბილდატეხილი მოხუცივით და სასაცილო სიტყვებით. ბერაკათ ყველა წევრს ეჭირა ხის ხმალი. ერთი ჩონგურს უკრავდა. ერთ-ერთს ეჭირა კვერცხების ჩასაწყობი კალათი, მეორეს ერბოს ჩასადები ჯამი, მესამეს ყველის ჩასადები გუდა, მეოთხეს — ფქვილის ჩასაყრელი გუდა, მეხუთეს — ხაჭოს ჩასადები ჭურჭელი, მეექვსეს — ტიკი არაყისათვის და როცა ხატის მსახურნი ხატიდან გამოილოცავდნენ, მაშინ ბერაკანი შეუდგებოდნენ სოფლის შემოვლას. გამოუძღვებოდნენ წინ პაპა და ბერაკა, თან მეჩონგურე მოჰყვებოდათ ჩონგურის დაკვრით და ხის ხმლებით შეიარაღებული ახალგაზრდებიც თან მისდევდნენ. ხატში მისცემდნენ ერთ თუნგ ლუდს და პირველად იქვე ხატის კარზე გამართავდნენ თამაშობას. მერე წამოვიდოდნენ სოფელში და ყველა კომლს შემოუვლიდნენ ამ ღამის განმავლობაში. გზადაგზა კიოდნენ, მღეროდნენ და ქივილ-ხივილით დადიოდნენ. ამა თუ იმ მეკომურის კარზე რომ მივიდოდნენ, ხმლებით კარებს დაუკაკუნებდნენ და ოჯახის პატრონიც კარს გაუღებდა, ყველანი შევიდოდნენ სახლში, დაუკრავდნენ ჩონგურს და პაპა და ბერაკა სასაცილოდ დაიწყებდნენ თამაშობას და სახუმარო ლაპარაკს. პაპა უფრო სასაცილოდ ლაპარაკობდა (არჩევდნენ ისეთ ახალგაზრდას, რომელსაც მეტი ხუმრობა და სხვებისებური ლაპა-

რაკის უნარი ჰქონდა). ყმაწვილები მას ხის ხმლებით სცემდნენ და ის იწყევლ-იკრულებოდა — რადა მცემთო, დავბერდი და ყველა დამ-ხალიზდით, თორემ თქვენისთანებს ჭინჭველასავით გავსრესდიო.

თამაშობას რომ მოათავებდნენ, პაპა დაჯდებოდა და ყალიონის ცეცხლს მოითხოვდა (რაც აქ იწერება, ეს საქციელი აუცილებლივ სავალდებულო კი არ იყო, მაგრამ ხშირ შემთხვევაში ასე ხუმრობ-დნენ,, რის მნახველი და მოწმეც მე ვარ), ხანდახან ყანწში ჩაყრილ ნავთდასხმულ ნაცარს მოუკიდებდნენ ცეცხლს და იქიდან ცეცხლის ალი ამოდიოდა. „პაპას" კი მისი ტარი პირში ეჭირა და ვითომც ეწეო-და. ხან თოფის წამალს ჩაუყრიდნენ ყალიონში და აუფეთქებდნენ. გაჯავრდებოდა და მოითხოვდა საღეჭ თამბაქოს — „ეს ბალღები მაღო-ნებენ, მომეცით და პატარა თამბაქოს ჩავჩინჩხავო" (ვითომც დავღე-ჭავო). პაპა და ბერაკა ხმასაც ისე იცვლიდნენ ლაპარაკში, რომ თუ პირისახეზე არ აიხდიდნენ, ვერავინ იცნობდა. როცა თამაშობას და-იწყებდნენ, ერთიმეორეს ეტყოდნენ: „ადეგი-ღა, ვიცინდრიკოთო" (თა-მაშობას, ცეკვას ისინი ცინდრიკობას ეძახდნენ). ასე შემოუვლიდნენ მთელ სოფელს, ვის კარზედაც მივიდოდნენ ხის ხმლებით კარებს მიუკაკუნებდნენ, დაუძახებდნენ: „ბერაკაი კარასაო, გიმდღვრიალებს თვალთაო, ჩქარა კარები გაგვიღე, თორო ვამტრევთ კარსაო" და აცვეთდნენ ხმლებს კარებს. სახლის პატრონი კარებს რომ გაუღებდა, უხათრავად შეცვივდებოდნენ სახლში და გაიმეორებდნენ იგივე სცე-ნებს. ოჯახში ჯერ ხომ პაპა და ბერაკი თამაშობდნენ, მერე ახალგაზ-რდებიც ჩონგურის დაკვრაზე თამაშობას მართავდნენ. ოჯახის პატრონი გაუმასპინძლდებოდა, ერთ ხელადამდე არაყს ბერაკათ ჩაუსხამდა ტიკ-ში და მერე იმათაც დაალევინებდა და საჭმლითაც გაუმასპინძლდებო-და. ბერაკანი თავისი ტიკიდან დაასხამდნენ არაყს და ოჯახის პატრონს დაალევინებდნენ.

როცა თამაშობას მოიწყენდნენ და სასმელ-საჭმელად დასხდებო-დნენ, ბერაკა და პაპაც მოიხსნიდნენ ნიღბებს და დაიწყებდნენ ჩვე-ულებრივ საუბარს. ამ დროს დიასახლისი ყველაფერს მოამზადებდა, რაც უნდა ბერაკათათვის მიეცა: ერბო, ყველი, ხორცი, ფქვილი, კვერ-ცხი, არაყი და სხვა. ბერაკათ მონაწილენი, ვისაც რა ებარა, იმის ჭურ-ჭელს მოიტანდნენ და ჩაუწყობდნენ. სოფელს რომ შემოუვლიდნენ, მოატანდა თენების დროც და მივიდოდნენ იმ ოჯახში, რომელთანაც წინა დღითვე იყვნენ შეთანხმებულნი — აქ დავდგებითო. მოიტანდნენ ყველაფერს, რაც სოფელში იშოვნეს, დააწყობდნენ, გათენდებოდა და დაუძახებდნენ ქალებსაც (ბერაკაში მარტო ვაჟები დადიოდნენ) და გააკეთებდნენ ხინკალს: ხორციანს ცალკე, ყველ-ხაჭოიანს ცალკე. მოხარშავდნენ კვერცხებს, ხინკალს ყველა ახვევდა: ქალი და ვაჟი. როცა მოიხარშებოდა, სუფრებით დაუდგებოდნენ რამდენიმე კაცს

ერთად. კვერცხს ხელზე ჩამოურიგებდნენ. არაყს სვამდნენ და იმართებოდა მღერა-თამაშობა. საღამომდე მხიარულობდნენ და შემოღამებაზე დაიშლებოდნენ. ხატიდანაც ხატის მსახურნი გამოილოცავდნენ და წამოვიდოდნენ, დასტურთ გარდა.

სულთაკრეფა

სულდაკრეფას ხატში მარტო სანთელი ენთება, არც ლუდი მზადდებოდა და მარხვაში საკლავს მაინც არ კლავდნენ. ოჯახებში იცოდნენ სამარხო სუფრები, მიცვალებულთათვის სახელის შედება. მეზობლები პატიჟობდნენ ერთიმეორეს, ვისაც სასმელი ჰქონდა დამზადებული. ახალი მიცვალებულის ოჯახში იშართებოდა სატირელი და სამარხო სუფრით უმასპინძლდებოდნენ დედაკაცებს.

შუა-მარხვა

შუამარხვას ხევისბრები ხატში სანთელს მოანთებდნენ. აქ დანარჩენი არაფერი სრულდებოდა. სოფელში კი ისეთივე სამარხო სუფრები ჰქონდათ ოჯახებში, როგორც სულთაკრეფას სამარხო სუფრაზე იყო: პური, მარილი, მოხარშული და დაფცქვნილი კარტოფილი, კაპარი, დოხანი და სხვ. შუა-მარხვაში უქმობდნენ შვილების პატრონები, იტყოდნენ: მუშაობა არ ვარგა, თუ იმუშავა, შვილნი უსწორდებიანო, ე. ი. ნახევარი შვილები დაეხოცებაო. თუ მკვდარი შვილები ცოცხლებზე მეტი ჰყავდათ, მაშინ კი მუშაობას არ ერიდებოდნენ: მე მკვდარი შვილები მეტიცა მყავს ცოცხლებზე. რაღა გამისწორდებაო?

ბზობა

ბზობა იყო ქრისტიანული დღესასწაული. ხატში ენთებოდა სანთელი. მიცვალებულის პატრონი ეკლესიაში თევზს მიიტანდა და მიცვალებულისათვის სახელშედების მერე გასჭრიდნენ, სუფრას გამართავდნენ და იქ მყოფ ხალხს დაპატიჟებდნენ. ხატში კი, როგორც ვთქვით არც სასმელი ჰქონდათ, არც საჭმელი. ხევისბრები ჩამოქნიდნენ სანთელს, მოანთებდნენ, ახვეწებდნენ ყმათ და წამოვიდოდნენ შინ.

ახვსება

ახვსებას დასტურნი ლუდს ამზადებდნენ. დროშა არ გამოდიოდა. დანარჩენ წესს ყველაფერს ასრულებდნენ; სანთელის მონთების, ზარის

დარეკის და ლუდის გახსნის შემდეგ სოფელი მოვიდოდა, მოიყვანდნენ სასოფლო საკლავს და იმართებოდა ხატობის ყველა წესი, რაც წინა დღეობებში. ხატობა იწყებოდა დილით და მთავრდებოდა იმავე დღეს საღამოზე.

კვირისჯვრობა

ხატობა კვირისჯვრობა იყო ახვსების სწორს, კვირას. ამ დღისთვისაც მზადდებოდა ლუდი. კვირადილით მივიდოდნენ ხევისბრები ხატში (დასტურნი მუდამ აქ, სადასტუროში, ცხოვრობდნენ). ყველამ იცოდა თავისი საქმე და სოფლის მოსვლამდინ წესრიგში მოიყვანდნენ ყველაფერს. სოფელი რომ მოვიდოდა, თან მოიყვანდნენ ერთ-ორი ან სამი წლის კურეტს და ერთ სასოფლო საკლავს. ამ დღეს დროშა არ გამოდიოდა. სასაკლაოში წამოაყენებდნენ სასოფლო საკლავს და კურეტს და ხევისბერი შეუსახელებდა მთავარანგელოზს ახვეწებდნენ. ყმათ. კურეტს დაკლავდნენ, გაატყავებდნენ და ხორცს სოფელი გაიყოფდა. ტყავიც სოფელს უნაწილდებოდა შოლტებად (ეს კურეტი ნაყიდი იყო სოფლის ფასით). თავი და კურეტის მხარი ხატის მსახურთ რჩებოდათ, სასოფლო საკლავის ხორცი კი მოიხარშებოდა და სოფლელებს დაურიგდებოდა ხელზე. პურად, საწირავთ ნაჭრებს არიგებდნენ მიცვალებულთათვის სახელის შადების შემდეგ. დედაკაცებს მიჰქონდათ ქადა-სანთელი და სადიდებული. ქადის ნაწილობა ხატში რჩებოდა, იმისი ნახევარი კიდევ ორად იჭრებოდა და ნაოთხალის ნახევარი ისევ სოფელს ურიგდებოდა. საწირავებს რაც კვერები მოჰყვებოდა, იმას ბავშვებს უგორებდნენ. რასაც ვინ აიტაცებდა, იმას რჩებოდა. ეს ხატობაც ერთ დღეს იყო და საღამოზე გამოილოცავდნენ (ხევსურეთში ხატებში დღეობები იწყებოდა საღამოობით, ღამის თევით. ფშავში კი ყველა ხატობა დილით, გარდა ლიტანიისა და თევა საღამოსი).

კვირისჯვრობის სწორ კვირას არის ხახმატიანთ დღეობა. ლუდს მოამზადებენ დასტურნი და აფუვლებდნენ სალუდეში. ამ ხატობაში დარბაზის კარი არ ეღებოდა. დღეობა იწყებოდა კვირა დილით და სოფელიც მოვიდოდა. სოფელი მოიყვანდა ერთ სასოფლო თიკანს (თიკანზე საკლავი არ ითქმება, საკლავი არის ცხვარი, ბატკანი, ჭედილა, მაწოვარი ხბოც საკლავად ითვლებოდა). თიკნის ხორცი მოიხარშებოდა, სუფრა გაკეთდებოდა და ხახმატის ჯვარის ძველ ხევისბრისათვის „შაზდებდნენ სახელს". დღეობა ერთ დღეს გრძელდებოდა, საღამომდინ სმა და მხიარულება იყო, საღამოზე კი გამოილოცავდნენ.

ამაღლება

ამაღლებაც ერთ დღიანი ხატობა იყო. იცოდნენ ლუდი, მოჰყავდათ სასოფლო საკლავი. დედაკაცებს ამ დღეობაში ყველას მოჰქონდა ხთიშობელში ქადა — ფურთ ნათავარისა. ლუდს დედაკაცებსაც გაუტანდნენ. ფურთ ნათავარის ქადები იჭრებოდა და ურიგდებოდა მთლიანად სოფელს. ეს ხატობაც, დილით დაწყებული, საღამოზე მთავრდებოდა. დროშა მთავარანგელოზში წელიწადში სამჯერ გამოდიოდა: ათენგენას, მარიანობას და წელწადს. დანარჩენ დღეობებში. დროშა არ გამოდიოდა. დანარჩენი ყველა ერთნაირი წესით სრულდებოდა.

ათენგენა

ათენგენა, სხვა ხატებთან შედარებით, უფრო რთული ხატობა იყო. მათურის მთავარანგელოზი აქ მთავარი სათემო სალოცავია. ხთიშობელი იყო სამ-ოთხ ადგილას და იყო კიდევ მთაწმინდა-მთავარანგელოზი ეკლესიის ძალა, მთაზე. ეს მეორეხარისხოვანი სალოცავებიც ყველა გვარებს ერთნაირად ეკუთვნოდა. ემსახურებოდნენ მთავარანგელოზის დასტურ-ხევისბრები მათურხევის წმიდა მარიამ დედუფალს — ადგილისდედას, რომელსაც უძველეს დროს თურმე თავისი დასტურ-ხევისბრები ჰყავდნენ. ბოლოს იქაც მოისპო. უკანასკნელად ქისტები თურმე დაეცნენ წელწად-ღამეს, დასტურ-ხევისბრები დახოცეს და თას-განძი წაიღეს. ეს ისეთ უთოვლობის წელს ყოფილა, რომ წელწადში მთაზე გადმოსასვლელი გზა შეკრული კიდევ არ ყოფილა. დარბაზში მსხდარან თავისუფლად, რადგან ზამთარში აქ მტრის. შიში არ იყო, მაგრამ მტრის გადმოსვლას ამინდმა შეუწყო ხელი და ზემოხსენებული დაცემა მოხდა. ამის შემდეგ აქ საკუთარი დასტურ-ხევისბრები აღარა ჰყოლიათ და იქაც მთავარანგელოზის ხევისბრები და დასტურები ემსახურებოდნენ. მთავარანგელოზის ხატი სოფლის გვერდზეა და მტრისაგან ნაკლებად საშიშ ადგილას. მარიამ წმიდა დედოფალს სალოცავი კი ერთ ვიწრო ადგილზეა და იქ მომხდარ ამბავს სოფელი მეორე დღემდე ვერ გაიგებდა. ამიტომ იყო საშიში იქ ხალხისა და თას-განძის ყოფნა. ხსენებულ სალოცავებში ყველგან იყო ათენგენას ხატობა თავთავის დანიშნულ დღეს. მთავარანგელოზის მსახურნი თავისი დროშით ყველგან მივიდოდნენ და ასრულებდნენ ყველა წესებს. ახლა ვიწყებთ ათენგენის აღწერას ყველა ზემოხსენებულ ხატებში:

საყაფეოგა

საყაფე ჰქვია ადგილს. ეს ადგილი არის ყველაზე მაღალ მთაზე, სადაც მდებარეობს საყაფეს სვეტის ანგელოზი. დღეობა ათენგენა პირ-

ველად აქ იწყება. მთავარანგელოზში ხუთშაბათ დღეს დროშას ააბამ-დნენ, ლუდს გახსნიდნენ, ჩაასხამდნენ ტიკებში და დროშის წინამძღ-ოლობით გაემართებოდნენ საყაჭის წვერისაკენ. ვისაც ხელისშემშლელი პირობები არ ჰქონდა, ამ ხატობაში ყველა წავიდოდა; როგორც მათუ-რლები, ისე მოსული მლოცავები აჰკიდებდნენ ცხენებს ლუდს, ქადა-საწირავს და მლოცავები საკუთარ პურ-სასმელს. რაც საკლავები ჰყა-ვდათ, ერთმანეთში გაურევდნენ და ორი კაცი გარეკავდა დილიდანვე მთისაკენ. დანარჩენი ხალხი ცოტა გვიან წავიდოდა. იყო გზადაგზა დანიშნული ადგილები, სადაც დროშას დააბძანებდნენ და ხალხი ის-ვენებდა. ყველგან დალევდნენ თავის სალოცავის სადიდებულოს და ყმათ სამწყალობნელ სასმელს. მთაზე რომ ავიდოდნენ, დაისვენებდნენ და შემდეგ შეუდგებოდნენ საკლავების დაკვლას. დროშას მიაბძანებ-დნენ დროშის საბძანად აშენებულ კოშკზე. სასაკლავეც აქვე იყო და სასანთლეც. კოშკი მაღლობ გორაკზე იდგა (კვრივი) და იმის ბოლოზე კარგა მოზრდილი, ბალახიანი მოედანი იყო, სადაც ხალხი დაბინავდე-ბოდა. სანთლის მონთების და საკლავების დაკვლის დროს მედროშეს დროშა წინ ეყუდა, ნელ-ნელა აქეთ-იქით აქანებდა და ზარს აწკრია-ლებდა. აქ იკვლებოდა სასოფლო ბატკანი, ბატკნის შემდეგ — ერთი, თიკანი, რომელსაც ხევისბერი მარცხენა ხელით გამოჭრიდა ყელს და იქვე დიდი ქარაფი კლდიდან ხელუკუღმა გაუტყავებელს გადა-აგდებდა, როგორც ეშმაკებისათვის შეწირულს. აქვე კლავდნენ ცხვრის ნათავარ ბატკანს ე. ი. დოლისთავს, რომელიც ფარაში პირველი გაჩ-ნდებოდა.

შეუდგებოდნენ ხორცის მოხარშვას. შეშად დეკას ხმარობდნენ, რადგან ამ მთაზე ტყე არ არის. ამასობაში დაღამდებოდა. ღამით თავთავის ბინაზე ცეცხლს დაანთებდნენ, ერთმანეთს ბინაზე ეპატიჟე-ბოდნენ და, როგორც უკანაფშავის ხატობაში აიწერა, ყველა იმ წესებს ასრულებდნენ.

პარასკევს საკლავს არ კლავდნენ. ყველას უნდა მოესწრო ხუთშა-ბათს დაკვლა. სუფრობა კი პარასკევსაც იცოდნენ. პარასკევ საღამოს ფერხისას დაბამდნენ და გამოემართებოდნენ პირთავქვე. ფერხისას თან ქალ-რძალიც მოჰყვებოდა, კარგა მაწძილს გამოვლიდნენ, მერე დაიშლებოდა ფერხისა. პირჯვრის წერით ეხვეწებოდნენ თავის სა-ლოცავს შენაცოდარის პატიებას და კვლავ უკეთესი გულით მოსვლას სალოცავად. ჩამოვიდოდნენ ბარში. ორშაბათს ისევ მოემზადებოდ-ნენ მთაზე წასასვლელად. მოამზადებდნენ კარგ ცხენებს და კარგ მხედ-რებს დოღისათვის. მთაზე სადაც ახლა უნდა ასულიყვნენ, ეკლესიის მსგავსი ნაგებობა იყო. ნამდვილ ეკლესიას ჰგავდა, მაგრამ ძალიან პატარა იყო, კაცი შიგ ვერ შეეტეოდა, მას საზარეც ჰქონდა და ზარიც

ეკიდა. ამ ეკლესიასთან ასე ხსენდებოდა: დიდო მიქელ ეკლესიის ძალაო.

ეკლესიასთან კარგა მოზრდილი ვაკე იყო და ხალხი აქ დაბინავდებოდა. ასვლისთანავე მხედრები შეუდგებოდნენ ცხენების მომზადებას, მოუქერდნენ უნაგირის გარსაკრავებს, გაიხდიდნენ ქალამნებსა და და წინდებიანი, უქუდო-უსარტყლოები დადგებოდნენ ცხენების გვერდზე. თავხევისბერი საზარისაკენ გაემართებოდა, ამ დროს მხედრები სწრაფად ცხენებზე შესხდებოდნენ და მწკრივად დადგებოდნენ პირაღმოსავლეთისაკენ. მედროშე ზართან დიდი მოკრძალებით მივიდოდა, ჯერ მუხლზე დაჯდებოდა, დაიწერდა პირჯვარს და იტყოდა: „დიდო მიქეელ ეკლესიის ძალაო, შენ გევერდები, შემინდევ, რომ მე შენ წმიდა ადგილზე ზარ-საზარესთან უღირსი ხორციელი მოვდივარ. ბევრ რამეს გცოდავ ჩემის ხორციელობითა და უვიცობითა და შენ დიდი ხარ, ხვთისნასახი და მაპატიე, მიშველე. უშველე შენთ ყმათაცა მათურელთა. დაიკსენ ისინი ყველა მწარე საქმისა და საგნისაგანა. უშველე მკედართაცა, დღეს დაწესებული წესის შამსრულებელთა და ნურა მარცხსა და ზიანს მიაყენებ. დიდებულო მიქეელ ეკლესიის ძალაო, შეგიძლია, თუ რამე მარცხი და ზიანი ეხედვებოდეს, შენ ორგულმუხანათთაზე გადაიტანო, შენის სახელისა და ძალის ჭირიმე“.

ამ ლოცვა-შეძახილს რომ დაამთავრებდა და სამჯერ ზარს შემოკრავდა, ყოველ დარეკვაზე პირჯვარს დაიწერდა და ახვეწებდა მხედართ, მესამედ რომ ჩამორეკდა, ცხენებს გააჭენებდნენ აღმოსავლეთისაკენ. ადგილი იყო დანიშნული პატარა კოშკითა და იქ ყველანი ჩამოვიდოდნენ ცხენებიდან და დადგებოდნენ ახლა პირხატისაკენ. ხევისბერი გაჰყურებდა და როცა ყველანი მიიკრიფებოდნენ, გაიმეორებდა ზარის რეკას. პირველად რომ დარეკდა, ცხენებზე შესხდებოდნენ, მეორე დარეკაზე გამწკრივდებოდნენ და მესამეზე — გამოაჭენებდნენ. რაც ძალი და ღონე ჰქონდათ. ჯერ სწორი წამოსასვლელი იყო და მერე ცოტა დალმართიც ხვდებოდა, სარბენი კარგი იყო. ბორტვი მთის დაბალი ბალახით დაფარული. ისინი რომ გამორბოდნენ, ხევისბერი იმათ მოსვლამდე გამუდმებულად რეკდა ზარს და ამწყალობნებდა მხედრებს, რომ არ დაზიანებულიყვნენ. მოსულებს ხალხი შეეგებებოდა და კიჟინით გამარჯვებას ულოცავდნენ ცხენ-მხედრებს. როცა უკანასკნელი ცხენი მოვიდოდა და მხედარი ჩამოხტებოდა, ხევისბერიც შეაჩერებდა ზარის რეკვას და კიდევ დაამწყალობნებდა მათ. მერე მუხლს მოიყრიდა, საზარეს აკოცებდა და წამოვიდოდა უკან. მივიდოდა მხედრებთან, წინ მოსულ ცხენ-მხედარს გამარჯვებას მოულოცავდა და სამ თუნგ ლუდს დაუსხამდა საკუთრად მას. დაასხამდნენ თასში ლუდს და ხევისბერი შენდობას იტყოდა იმ მხედრებისათვის, ვინც წინათ აქ ყოფილან დოღვში და აღარ არიან. ასეთ შესა-

ნდობარს ყველანი დალევდნენ, მერე მხედრები ცალკე დასხდებოდნენ, თუ სურდათ, სხვებსაც მიიპატიჟებდნენ და დალევდნენ ამ ლუდს.

საკლავებს, რასაც მოასწრებდნენ, იმ დღეს დაკლავდნენ, ზოგს კი დილით. სასოფლო საკლავს კი, დოღი რომ მოთავდებოდა, პირველ რიგში დაკლავდნენ. მოხარშავდნენ ხორცს, ქადებს დასჭრიდნენ, საწირავებს· ქადის ნაჭრებს და ხორცს სახელს შასდებდნენ მათურის მიცვალებულთათვის, რომელნიც წინათ აქ ყოფილან, ულოცნიათ თავის სალოცავი, ხატისა და ხალხის საქმეში ერთგულნი და თავდადებულნი იყვნენ და აღარ არიან.

ამ სახელშადებული სუფრიდან ყველა მლოცავებზე დაარიგებდნენ ხორცის, პურის და ქადის ნაწილებს. ამასობაში დაღამდებოდა, დაანთებდნენ თავთავის ბინაზე ცეცხლს და როგორც ხუთშაბათს, ისევე აქაც ღამეს გაათევდნენ.

სამშაბათ დილას ხევისბერი დარეკდა ზარს და მთელი მლოცავი ზარის ხმაზე ფეხზე ადგებოდა. ყველა პირჯვარს იწერდა და ეხვეწებოდნენ მთავარანგელოზს — შენაწირი შეიწიროს და შეწირვისათვის ყველა გაპირვებიდან დაიხსნას მეხვეწურის ოჯახი. თუ რამე საკლავები დარჩა დაუკლავი, იმათაც დაკლავდნენ და ჩვეულებრივი წესით სუფრები მზადდებოდა. შუადღის დროს, როცა აქ ყველა წესი შესრულდებოდა, მედროშე დროშას ააბძანებდა და ეკლესიის წინ, შუა მოედანზე გაჩერდებოდა დროშით. ამ დროისათვის ხალხი წამოსასვლელად მომზადებული იყო. დააბამდნენ ფერხისას ისე, რომ დროშა ფერხისას შუა ადგილზე რჩებოდა და მას ფერხისა გარშემო უვლიდა, მღეროდნენ ორ გუნდად. ხევისბერი დროშას აქანებდა და მის ზარს აწკარუნებდა. ერთი კაცი კიდევ სხვა იდგა ფერხისის შუაში და მომღერლებს ლუდს ასმევდა იმის შესანდობრად, ვის სიმღერასაც მღეროდნენ.

სიმღერა რომ მოთავდებოდა, ფერხისა დაიშლებოდა, მედროშე მხარზე დროშას გაიდებდა და მლოცავს ისევ წინ გამოუძღვებოდა. აქ მათურის ხევზე იყო კიდევ მარიამწმიდის ხატი და პირდაპირ ამ ხატში ჩამოვიდოდა მლოცავიც და დროშაც, სოფელი აქ სასოფლო საკლავს არ კლავდა. დედაკაცებს მიჰქონდათ ქადა-საწირავნი და სადიდებულო, საკლავებიც ის იკვლოდა, ვისაც შეთქმული ჰქონდა. დედაკაცებს უფრო მოყავდათ საკლავები, ვისაც აქ მინალახი ჰქონდა. ეს ხატი გზის პირზე იყო და დედაკაცებიც ვერსად აუხვევდნენ გზას. შეიძლება რომელიმე დედაკაცს ისეთ დროს მოუხდა შემთხვევით გავლა, რომ იმ დროს ის წმიდა არ იყო და მიილახებოდა ხატ-ხატისკარი. ამაზე მოამიზეზებდა ხატი და საჭირო გახდებოდა საკლავის მოყვანა. ასეთი შემთხვევები აქ ხშირი იყო. აქ სუფრობა არ იცოდნენ, მხოლოდ ქადა-საწირავი მოჰქონდა სოფლიდან ყველას. ქადა-

საწირავის ნაწილებს და სანმელს შეზდებდნენ მიცვალებულთათვის სახელს. შეიძლება ლუდიც ყოფილიყო მთავარანგელოზიდან მოტანილი, შეიძლება არაყითაც შაზდონ სახელი მიცვალებულთათვის. სამშაბათი მარიამწმიდაში დაღამდებოდა, აქაც ფერხისას დაბამდნენ და მღეროდნენ საგმირო საფერხისო სიმღერებს. ფერხისა რომ დაიშლებოდა, ხევისბერი დროშით წინ გამოუძღვებოდა ხალხს და წამოვიდოდნენ მთავარანგელოზში.

ხთიშობლობა კიდეე არყოვნის თავსაც იყო, სადაც მარტო კვრივი იდგა. არყოვნისთავი გამოღმა მათურის ზემოთ არის (მათურის მთავარი სოფლები ორია: გაღმა მათურა და გამოღმა მათურა. გაღმა მათურას არის მთავარანგელოზის ხატი, გამოღმა მათურის თავს ხთიშობელი). ეს ხთიშობელი ეკუთვნის გამოღმა მათურელებს: ხიბლაშვილებს და წითელაურებს. მას არც სალუდე აქვს, არც დარბაზი, არც საზარე, არც სადასტურო. როგორც ვთქვით, აქ მარტო კვრივია — არც დროშა მოდის აქ, დღეობა მარტო ათენგენას არის და ემსახურებიან მთავარანგელოზის დასტურ-ხევისბრები. ათენგენის შაბათ დღეს წავლენ ამ ხთიშობელში დასტურ-ხევისბრები, ხალხი მიდის და მიაქვს ქადა-საწირავი, სანთელი და სასმელი. ქადებს გაჭრიდნენ და ქადა-საწირავთ ნაწილებს ჩამოარიგებდნენ ხელზე. შეიძლება საკლავი დაეკლა ვინმეს, ხორცი კი შინ მიქონდათ.

საღამოზე ყველანი ბრუნდებოდნენ უკან. სხვა ახალი აქ არაფერი იყო.

პატარძლის გაყვანა მარიამწმიდაში. რძლის გაყვანა ყველა თემში იცოდნენ თავის სათემო სალოცავის ახლო მდგომ ხთიშობელთან (ზემოთ ნათქვამია, რომ ხთიშობელი ყველგან და ყველა სოფელს ჰყავდა). პატარძლისა და პატარა ახლად შემომატებული ქალის გაყვანა ერთნაირი წესით ხდებოდა, გარდა მათურისა. სხვა ხატებში და სოფლებში რომელიმე ხატობა არ იყო საამისოდ დანიშნული, რომელიც უნდა ყოფილიყო, გაიყვანდნენ. მათურაში კი ერთი დღე იყო დანიშნული — ათენგენას. მთიდან მარიაწმიდაში რომ ჩამოვიდოდნენ და ხევისბერი დროშას მიაბშანებდა თავის კუთვნილ ადგილზე, ამ დროს პატარძლები და პატარა ქალები გასაყვანად აქ ელოდებოდნენ. რძალს მოჰქონდა ერთი ხავიწიანი ქადა, სასმელი და ერთი საკლავიც მოჰყავდა გასამყვანლო. სხვა სახატო წესის შესრულების შემდეგ ხევისბერი იგივე მედროშე დროშას ააბძანებდა და მივიდოდა წყლის პირში (აქ პატარა მდინარე მოდის, რომელსაც ეწოდება მათურული. მათურულას გვერდზე იყო მარიამწმიდის ხატი), დაჯდებოდა ქვაზე და და აწკარუნებდა დროშას. პატარძალს დროშასთან ახლო წყალში ჩააყენებდა ვინმე მოხუცი დედაკაცი. ხევისბერი იტყოდა: „დალოცვილო მარიამ წმიდაო ხთიშობელო, შენ გეეედრებით შენნი საყმონი

კაცნიცა და დედაკაცნიცა, შენ უშველე (რძლის სახლს იტყოდა) შენს კარზე მოსულს რძალსა, შენ აბედიანე და ნუ შაანანებ შენს კარზე თავის წესით მოსვლასა და ხვეწნა-ვედრებასა. ჩაუდევ წილი შენთ ყმათაში წულითა და წულის აკავნითა, შენთვის თავის წესი არ დაუყრავ და შენს წყალობას ნუ დააკლებ შენი სახელის ჭირიმე".

როცა ხევინბერი დაამთავრებდა, ახლა მოხუცი დედაკაცი დაუწყებდა ვედრებას ხთიშობელს, სთხოვდა პატარძლის ბედიანობას, წულის აკვნიანობას და სხვა. მერე პატარძალს მარჯვენა მხრისაკენ შემოატრიალებდა, შიგ წყალშივე ჩააწვენდა ისე, რომ მარტო მხრები დასველებოდა. მეორედაც შემოაბრუნებდა და ისევ ისე ჩააწვენდა წყალში, მესამედ, რომ შემოაბრუნებდა, ისე ჩააწვენდა, რომ წყალი მთლად ზედ გადმოუვლიდა. ბებერი მოეხმარებოდა, ააყენებდა და გამოიყვანდა წყლის პირზე. ხევისბერი დროშას ააბძანებდა, კიდევ დაამწყალობნებდა და მიაბძანებდა თავის საბძანში. მოხუცი დედაკაცი მიიყვანდა პატარძალს და ხატთან ახლო გაიჩერებდა, სადამდინაც დედაკაცის მისვლა შეიძლებოდა. დაკლავდნენ რძლის გასამყვანლო საკლავს და ახვეწებდნენ ისევ ახლად გაყვანილ რძალს, რომელსაც მერე მოიყვანდნენ და დასვამდნენ დედაკაცებთან. წყალში დასველებული ტანსაცმლისა არც გაწურვა შეიძლებოდა და არც გამოცვლა, ვიდრე ტანზე არ გაშრებოდა. ტანისამოსი უნდა სცმოდა სულ ახალი, პირველად ჩაცმული. დაჭრიდნენ რძლის მოტანილ ქადას და დაურიგებდნენ იქ მყოფ დედაკაცებს მთლიანად. საკლავს გაატყავებდნენ და თავსა და ტყავ-მხარს ხატში დასტოვებდნენ, დანახრჩენ ხორცს კი გაგზავნიდნენ რძლის ოჯახში. სასმელს დაალევინებდნენ ჯერ მამაკაცებს ახლად გაყვანილნი რძლის სამწყალობნო-სადღეგრძელოდ და მერე დედაკაცებსაც. პატარა ქალებსაც დაახლოებით ერთი წლისას, ან ცოტა ნაკლებს გაიყვანდნენ მარიამწმიდაში ყველა ასეთი წესით, მხოლოდ წყალში არ ჩააწვენდნენ. საკლავი და ქადა კი ამ წესით უნდოდა.

ამ დროს მთავარანგელოზშიც მუდმივად არის ხატობა ხუთშაბათიდან. მხოლოდ მთავარი ხატობა არის შაბათს. მაშინ დროშაც აქ არის და ხატისმსახურნიც. ხუთშაბათს საყაჭეს იყვნენ, პარასკევს ჩამოვიდოდნენ, შაბათს და კვირას აქ, მთავარანგელოზში, იყვნენ, ორშაბათს ისევ ეკლესიასთან წავიდოდნენ, სამშაბათს მარიამწმიდაში ჩამოვიდოდნენ და მთავარანგელოზშიც ისევ მოაღწევდნენ. ოთხშაბათს კი გამოილოცავდნენ. მთავარანგელოზში მეტი მლოცავი იყო და მეტ დროს ატარებდნენ. აქვე ერთი ხთიშობელია, სადაც ნათავრის ქადები მიდიოდა, საკლავი კი მარტო ნადში იკვლოდა. დანარჩენ დღეობებში ქადა და სანთელი მიჰქონდათ აქ. სასმელს მარტო სადიდებულო ქადას მიაყოლებდნენ. ხთიშობელში ერთი პატარა კვრიები იყო,

სხვა არაფერ ჰქონდა, კვრივთან ერთი იფნი იდგა. იგი ეკუთვნოდა ყველა გვარებს მათურის თემში. მათურაში ასეთი წესი აიწერა. უკანაფშავის თემში კი მას ასე ასრულებდნენ: რძალს მიიყვანდნენ ხატში, მას „ალოცვებდა“ ხევისბერი კი არა, მოხუცებული დედაკაცი. რძალი მიიყვანდა გასამყვანელო საკლავს და ხავიწიან ქადას მიიტანდა, მუხლზე დაიჩოქებოდა. ბებერი დედაკაცი მასთან დადგებოდა პირაღმოსავლეთისაკენ და იტყოდა: (სანთელი არ ანთია ამ ლოცვის დროს) „დალოცვილო ხთიშობელო, უშველე, მიეც ბედი და ბოლო, გაამრავლე წულითა და წულის აკავნითა, ნუ ვნის თვალსა და გულს მორევ. შენთვის თავისი წესი არ დაუყრავ და შენს წყალობას ნუ დააკლებ, დაიკსენ ყველა გაჭირვებიდან, ნურას ავსა და საზიანო საქმეს მიანიჭებ შენს მეხვეწურსა, დღეს შენს კარზე ხვეწნა-მუდარით მოსულსა“. ამის შემდეგ საკლავს დაკლავდნენ და როგორც მათურაში აიწერა, იმ წესით ქადას დაჭრიდნენ, იქ მყოფ ქალებს დაურიგებდნენ. ასეთისავე წესით გაიყვანდნენ პატარა ქალსაც მამის სალოცავ ხატში.

ვაუის გაყვანა ხატში. ვაუის გაყვანა ხდებოდა მისი მამის მთავარ სალოცავში, ე. ი. სათემო ხატში. პირველად გასაყვან წულს მიაყოლებდნენ წულის ფულს, ვერცხლის ერთი მანეთიანიდან სამ მანეთამდე, ერთ საკლავს, სანთელს, ქადას და სასმელს. ხევისბერი ახალშემომატებული წულის სამხვეწროდ ჯერ საკლავს დაკლავდა. ამ დროს ბავშვი ვისმე თავისიანს ეჭირა ხელში „მზის ამოსახედისაკე“. ხევისბერი დიდებათ რომ დაამთავრებდა, საკლავს დაკლავდა და დაამწყალობნებდა ახალ შემომატებულ წულს. მერე სანთელს აანთებდა წულისავე სამწყალობნოდ და დააკრავდა სასანთლეში. მივიდოდა დროშასთან ახლო (ეს ყველა დღეობაში შეიძლებოდა, როცა დროშა გარეთ იყო), მიიყვანდა ბავშვსაც. წულის ფულს და ბავშვს ორივეს ხელში დაიჭერდა, სამჯერ აიყვანდა წულს მაღლა და სამჯერ დაბლა დაუშვებდა. სამჯერვე მიწაზე მუხლით დასვამდა, რამდენადაც მოახერხებდა მის მუხლებზე დასმას და იტყოდა: „დალოცვილო ჩვენო სალოცაო, შენთ საყმოთ შემოემატა ეს წული (სახელი წულის), შენ იყმე და გაზარდე, გამოიყვანე კარგი კაცი, იმსახურე სხვათ ყმათან ერთადა, გამოიყვანე ბედიან-იღბლიანი, ნუვის თვალსა და გულს მორევ. შენდ წესი არ დაუყრავ და შენს წყალობას ნუ დააკლებ შენი სახელის ჭირიმე“. ამ ლოცვის შემდეგ ბავშვს გადასცემდა მისიანებს და ფული წულისა მას რჩებოდა. ბავშვის პატრონი ახალწულის სადღეგრძელოს თავისი არაყიდან ყველას დაალევინებდა. ქადასაც დასჭრიდნენ და ყველა იქ მყოფებზე დაარიგებდნენ ნაჭრებს. საკლავის ტყავ-მხარი ხატის მსახურთ რჩებოდათ. დარჩენილი ხორცი შინ მიჰქონდა წულს პატრონს.

ახალდაქორწინებული ფშაველი ხატში. ფშაველი ხალხი, როგორც ვიცით, ყველა ლაშარის ჯვარის ყმა იყო და მის გარდა სათემო სალოცავებიც ჰყავდათ. ახალდაქორწინებული ყველა მიიყვანდა თითო საკლავს დაქორწინების მოკლე ხანშივე და დაკლავდა ლაშარის ჯვარში. ამას ეძახოდნენ „საწაღმართოს". საკლავი არ უნდა ყოფილიყო არც დედალი ცხვარი და არც ბატკანი. ის უნდა ყოფილიყო ჭედილა. ერთ წელზე ნაკლები არ შეიძლებოდა. რამდენიც მეტი ხნისა იქნებოდა, უკეთესი იყო. საწაღმათოს თან მოაყოლებდნენ სასმელსაც. საკლავი დაიკვლოდა მისი წაღმართის სამწყალობნოდ (წაღმართი: ქორწილი, დაქორწილება). ხევისბერი უსურვებდა მრავალწულიანობას და სხვა სიკეთეს. საკლავის ხორცს მოხარშავდნენ, სუფრას გაშლიდნენ და ყველა იქ მყოფ ხალხს დაპატიჟებდნენ.

თავის მოპარსვა. ყმაწვილს დაბადებიდანვე თმას უტოვებდნენ. ამ თმას ეძახდნენ კუჭულათ. კუჭულას არ ჭრიდნენ ორ-სამ წლამდეც. ვიდრე მშობლები არ მოამზადებდნენ სათანადო სასმელს და საკლავს. წელგათავებამდე მაინც არ მოპარსავდნენ თავს. მერე მოამზადებდნენ ლუდს, არაყს და ერთ ღირებულ საკლავს — ჭედილას (ხევსურეთში ამ რიტუალს ეძახდნენ თავის მოპარსვის სახმთოს, ფშავში კი, როგორც მთხრობელმა ჩამაწერინა, — პატარა ქორწილს). როცა ბავშვის მშობლები სათანადოდ მოემზადებოდნენ, დაპატიჟებდნენ ნათესავებს შორი სოფლებიდანაც და ახლოდანაც. დანიშნულ დღეს ხალხი მოგროვდებოდა, უმრავლესობა სასმელსაც მოიყოლებდა. შეატყობინებდნენ სოფლელებსაც. ქალი და ვაჟი ყველა მოვიდოდა, ვისაც მოსვლა შეეძლო. მოიყვანდნენ ხევისბერს და გახსნიდნენ ლუდს სანთლის ანთებით. ყველა წესრიგის შესრულება ხდებოდა თავმოსაპარსავი ყმაწვილის სამწყალობნოდ. ლუდის გახსნის შემდეგ დაკლავდნენ სამხვეწო საკლავს ისეთ წმიდა ადგილზე, სადაც ნალახი არ იყო. საკლავის დაკვლის დროს ბავშვი საკლავთან ახლო ჰყავდათ. ხალხი ქუდმოხდილი იდგა. ხევისბერი საკლავს შეუსახელებდა და დიდებათ დამთავრების შემდეგ დაკლავდა. ამის მერე მოიტანდნენ ლუდს სადიდებულოდ. ამაზედაც იმ ხატს ადიდებდა ხევისბერი, სადაც ხდებოდა თავმოპარსვა (რომელ თემშიც იყო, იმ თემის და სოფლის სალოცავებს), აგრეთვე ლაშარის ჯვარს. სადიდებულოს ყველანი დალევდნენ. ამის შემდგომ ყმაწვილს მიიყვანდნენ ხევისბერთან და დუქარდსაც მიუტანდნენ. ხევისბერი მოჭრიდა კუჭულას და ეხვეწებოდა თავის სალოცავს (მაგალითად, მთავარანგელოზს): „დიდება, ჩვენო სალოცაო მთავარო ანგელოზო, დიდი ხარ დიდად საკვლენელი, შენ გადიდებთ, შენ გეხვეწებით. ასრულებს წესსა და თავს იპარსავს შენი ყმა (სახელი), იყმე, მიიღე შენთ ყმათაში, გაზარდე და კარგი კაცი გამოიყვანე, ამყოფე მშვიდობითა და იმსახურე, შენის სახელის ჭირი-

ში“. ამ სიტყვებით თმას მოკრეჭდა და გადასცემდა მშობლებს (ამ თმის შენახვა დედამ იცოდა). თმას და დუქარდს ჩამოართმევდნენ. ხევისბერი კიდევ დაამწყალობნებდა: „გწყალობდესთ ჩვენი სალოცავი, გწყალობდესთ, გაგიზარდოთ და კაი კაცი გამოიყვანოს“. სხვებიც გაიმეორებდნენ ამ სიტყვებს. ამის შემდეგ იმართებოდა სმა და მხიარულება. ხორცს მოხარშავდნენ და გამართავდნენ სუფრას. სუფრის დროს ხალხი აძლევდა სანაწეოს ფულს, ვისაც რამდენი შეეძლო. სანაწეოს ფულს ახლად თავმოპარსული ბავშვის დედას გადასცემდნენ.

თუ ბევრი სასმელი იყო მომზადებული, მესამე დღემდე გრძელდებოდა სმა და სტუმრიანობა. ხანდახან თავმოსაპარსოში ქორწილზე მეტი სანაწეო დადგებოდა. თავის მოპარსვა ხდებოდა თავის სახლში. საკლავიც აქ დაიკვლებოდა და დანარჩენი ყველა წესიც აქ სრულდებოდა.

ანგელოზთ ლოცვა

ყველიერის ხუთშაბათი რომ დაღამდებოდა, ამ ღამეს ყველა ოჯახში ანგელოზთ ლოცვა იციან. ხუთშაბათს გამოაცხობდნენ ხავიწიან ქადას, შვიდ პატარა უგულო, მოზრდილი თხილის ოდენა პურებს, ერთს გააკეთებდნენ მოსახვევი ხინკლის ოდენა ცომს, პირს ოდნავ მოუვიწროვებდნენ და პატარა ჯამის სახეს მისცემდნენ. გამოაცხადებდნენ და ჩაყრიდნენ შიგ შვიდ ბროლის კენჭს, შვიდ იმ თხილისოდენა პურს და შვიდ წმიდა პურის მარცვალს. გააკეთებდნენ შვიდ ბამბის ფითილს, დაახლოებით შეყრილი ხელის სიგრძისას, ამოათრევდნენ ერბოში და ჩააწყობდნენ ქვის ჯამში თითოობით. ჯამის პირზე გადმოუშვებდნენ ფითილის პირებს და მოუკიდებდნენ ცეცხლს. ამ ოჯახის ხნიერი დედაკაცი შეუდგებოდა სახლის ანგელოზთ ლოცვას. ილოცავდა, მანამ ფითილები არ დაიწვებოდა შემდეგი სიტყვებით: „დალოცვილნო სახლის ანგელოზნო, თქვენ უშველეთ ჩვენს თავსა და ჩვენს ხიზან-ჯალაფობასა, კაცსა და საქონსა, კაცსა და კაცის მარჯვენასა და იმის ნაშრომსა, ჯარსა, ჯარის ნაჯნავსა, ჯარის საქედოსა. მიეც ჩვენს ნაშრომ-ნამუშევარსა მადლი და ბარაქა, ნურას მარცხსა და ზიანს მიჰკერძებ ჩვენს ოჯახში ნურც კაცსა და ნურც საქონსა, მადლი და ბარაქა დაგვიტანე წლის ნაშვრალ-ნამუშევარსა“. ფითილები რომ დაიწვებოდა, ლოცვასაც მაშინ დაამთავრებდა. მერე იმ პურის ჯამს, რაშიც ჩაყრილი ჰქონდა კენჭები, პურის მარცვლები და პატარა პურები, წაიღებდა და სადმე ისეთ ადგილს ყორეში შედგამდა, რომ იმის თავზე ქალის ფეხს არსაით გაევლო. ქადას დაჭრიდნენ და ისინი ჭამდნენ, ვინც ამჟამად ამ ჭერქვეშ ცხოვრობდა. თუნდა ამ ოჯახიდან გათხოვილი ქალი ამჟამად აქ დასწრე-

ბოდა, ისიც ვერ ჭამდა, რადგან ამ ჭერქვეშ მცხოვრებად აღარ ითვლებოდა. ლოცვა ისეთ წმინდა ადგილას უნდა ყოფილიყო, რომ ქალის ფეხი იმ ადგილზე არ დადგმულიყო თუ ის წმინდად არ იქნებოდა.

სანთლის ანთება არ შეიძლებოდა, რადგან სახლის ანგელოზს „სანთლის ფეჯნი ჰქონან და თუ სანთელი აუნთეს, ფეხნი დაზდნებიან", უფეხო კი დაკარგავს ძალას და ძლიერებას. სახლის ანგელოზს ის ძალა ჰქონდა, რომ საქონელსაც ზიანსა და ზარალს აშორებდა, ხარის ნახნავსაც მადლსა და ბარაქას დაუტანდა, თუ სახლის ანგელოზი გულუკეთილმა იქნებოდა, მადლიცა და ბარაქაც იკარგებოდა ოჯახში.

ბეტისჩდილის, ჩარგლის, ყოფჩის, მაღაროსკარის, გომეფრის სალოცავები და მათი დღეობები

მიამბო გიორგი ბეკურაულმა, 30 წლისამ, სოფელი ბეტისჩდილში მცხოვრებმა.

ბეტისჩდილი არის პატარა სოფელი ფშავის არაგვის მარჯვნივ, მთავარი გზის ზემოთ, ერთი კილომეტრის დაშორებით. აქ ცხოვრობდნენ სამი გვარის კაცნი — ხოშურაულები, ბეკურაულები, და ჩიტოშვილები. ესენი ყველანი ეკუთვნოდნენ ცაბაურთ თემს და ეყმობოდნენ ცაბაურთის სათემო სალოცავს მთავარანგელოზს. მაგრამ შიგ ბეტისჩდილშიც ჰყავდათ ხთიშობელი, ისევე, როგორც სხვა ყველა სოფლებში. ეს ხთიშობელი აერთიანებდა ამ სამ გვარს, ისინიც ეყმობოდნენ მას. დასტურობა მოუდიოდა ოროლობით. თითო ხატობაში ორი დასტური იქნებოდა — ლუდს კი მარტო ამაღლების დღეობაში ამზადებდნენ, დანარჩენ დღეობებში არაყი ჰქონდათ. სანადოები არ ჰქონდათ და არც სანატო პური; დასტური თავისი საკუთარი პურით ამზადებდა ლუდსაც და არაყსაც. წინასწარ ჰქონდათ გამოანგარიშებული, თუ კომლს რამდენი პური უნდა დაეხარჯა თავის ხვედრ ხატობაში.

ხევისბერი აქ არა ჰყავდათ, მოჰყავდა სხვა ხატებიდან, უფრო ცაბაურთიდან. თუ მაინცა და მაინც სხვა ხატებიდან ვერ მოიყვანდნენ, იმ შემთხვევაში ადგილობრივი დასტური, ან ხნიერი კაცი ვინმე დაუყენებდა წესს — საკლავსაც დაკლავდა, ქადასაც დასჭრიდა და სუფრასაც შენდობას ეტყოდა.

როგორც ვთქვით, პირველი და მთავარი დღეობა იყო ამაღლებას. ბეტისჩრდილის ღვთიშობლის ხატს ერთი კვრივის მეტი არაფერი გააჩნდა, საკლავსაც ამ კვრივთან კლავდნენ. თუ ხევისბერი იყო, კვრივში დაკლავდა, ერისგანი კი კვრივთან ვერ მივიდოდა და

შოშორებით დაკლავდა. კვრივი იდგა სოფლის შუა ადგილას და წმინდად იყო დაცული (სოფელი აქ დაფანტული იყო, ძალიან შორიშორს იდგა სახლები).

ამაღლებას დასტურნი ჩვეულებრივად დაამზადებდნენ ლუდს. აქ დღეობა იწყებოდა ღამისთევით. ამაღლების წინა საღამოს დასტურნი მივიდოდნენ კვრივთან. მიიტანდნენ ლუდს ქვაბით, სანთელს და საწირავთ (ლუდს სოფელში აფუვლებდნენ ისეთ სახლში, სადაც ნალახი არ იქნებოდა). ხევისბერი თუ ჰყავდათ მოყვანილი, ისიც აქ იქნებოდა, თუ არა სოფლის კაცებს მაინც ვისმე დაუძახებდნენ, სანთელს მოანათებდნენ და სადიდებულო ლუდზე ადიდებდნენ ხთიშობელს. სადიდებულოს ყველანი დალევდნენ. შემდეგ დასხდებოდნენ და სვამდნენ სასმელს. ღამესაც აქ უთევდნენ. სხვა ახალი წესი ამ საღამოს არაფერი სრულდებოდა.

დილით სოფლელები მოვიდოდნენ. ყველას მოჰქონდა ჩვეულებრივი ქადა-საწირავი, რომლის მიტანაც სავალდებულო იყო. დასტურნი მოიტანდნენ უფრო დიდ გულიან ქადას. ამას ეწოდებოდა სასოფლო ქადა. აგრეთვე, ვისაც შეთქმული ჰქონდა, მოიტანდნენ ფურთ ნათავრის ქადას. ეს ქადები სამნაირი წესით იჭრებოდა და ნაწილდებოდა: დასტურთ მოტანილი სასოფლო ქადა მთლიანად დაიჭრებოდა და ნაჭრები სასოფლო საკლავის ხორცთან და საწირავის ნაჭრებთან ერთად დარიგდებოდა. სავალდებულო სოფლის ქადები დაიჭრებოდა და ერთი მეოთხედი ხატში რჩებოდა, სამი მეოთხედი პატრონს მიჰქონდა. ხატში რაც ნაოთხალი რჩებოდა, იმას კიდევ ორად გაჭრიდნენ, ნახევარი საკუთრად რჩებოდა ხატის მსახურთ, ნახევარს ისევ ხალხს ჩამოურიგებდნენ. ფურთ ნათავარის ქადა ამ ხთიშობელში მთლიანად პატრონს უბრუნდებოდა. ხევისბერი იქნებოდა თუ სხვა, ქადებს გასჭრიდა. სასოფლო ქადით ახვეწებდა მთლიანად სოფელს და სთხოვდა მათთვის ბარაქიან ზაფხულის დადგომას. საკუთარ ქადაზე, რომელიც სავალდებულო იყო, ახვეწებდა ქადის მომტანს, მათ კაც-საქონს. ფურთ ნათავარის ქადით, რომელსაც ხევისბერი ზედ ქერქზე გასერავდა, განსაკუთრებით ფურებს და ფურის ნაწველს ახვეწებდნენ. ქალებს წელზე ჰქონდათ შებმული თითბრის ჯაჭვით ჯაყვა, რომლის შიბზედაც ათასი რამ საყღრიალა იყო მიმაგრებული. ხატში დაჭრის და შინ დაბრუნების შემდეგ ამ ჯაყვებით თავის ქადების ნაწილებს გამოსჭრიდნენ და დაურიგებდნენ აქ მყოფ დედაკაცებს.

დასტურთ ხარჯზე იყო თითო საკლავი, რომელიც ითვლებოდა სასოფლო საკლავად და სამ-სამი ხელადა არაყი. როგორც დასტურობა იყო განაწილებული დღეობებზე, ეს სასოფლო საკლავიც და სასმელიც თან დაჰყვებოდა და როცა დასტურობა ერგებოდა, ყველა წესით უძღვებოდა სახატო საქმეს, რადგან ეს ყველაფერი მორიგე-

ობით მოუდიოდა. ამ საკლავებზე ახვეწებდნენ მთლიანად სოფელს. ჯერ დაკლავდნენ ერთ საკლავს სასოფლო წესით, რომელიც ყველა დღეობაში იკვლოდა, და მეორე საკლავი დაიკვლებოდა უქმის საკვეთოდ. ამაღლებას კვეთდნენ უქმს და აიხსნებოდა მაშინ, როცა ჭირნახული მოიმკებოდა. უქმედ კვეთდნენ ორშაბათ დღეს (ზოგან შაბათი ჰქონდათ ნაკვეთი, ზოგან ორშაბათი, არხოტში კი პარასკევი, შაბათი და ორშაბათი იყო ნაკვეთი და მეოთხე დღე კვირა. კვირაში სამ დღეს მუშაობდნენ: სამშაბათს, ოთხშაბათს და ხუთშაბათს, ნაკვეთ დღეებში კი საკლავით ხსნიდნენ უქმს და ისე მუშაობდნენ. მუშასაც ამუშავებდნენ).

საკლავის დაკვლაში ხევისბერი იყო, თუ ვინც დაკლავდა უქმის საკვეთო საკლავს, ის ახვეწებდა სოფელს, ბეტისჩდილელებს. სთხოვდა დედა-ხთიშობელს ღალიან-ბარაქიანობას ხარის ნახნავისას, კაცის ნაშვრალ-ნამუშევრისას და საქონლისას. ახვეწებდა იმათ, ვინც თავდადებული იყო სახატო და სახალხო საქმეში, ინახავდა ხატში ნაკვეთ უქმს და ასრულებდა ხატის ყველა წესს და სურვილს. არისხებდა ისეთ ურჩ ყმას, რომელიც არ ემორჩილებოდა ხატის და ხალხის წესს, გასტეხდა ე. ი. იმუშავებდა ნაკვეთ დღეს. რადგან ეს უქმი იყო ქარ-სეტყვის უქმი. თუ ამ ორშაბათს ვინმე გატეხდა, მოსალოდნელი იყო ან ქარი ამოვარდნილიყო, დაეშალა აგებული ძნა-თივა და გაენადგურებინა, ან მოსულიყო სეტყვა და მიწასთან გაესწორებინა ბეტისჩდილლების ჭირნახული, რაც მაინც ხშირ შემთხვევაში ხდებოდა ხსენებულ სოფელში.

საკლავის დამკვლელი დაკვლის დროს იტყოდა: „დალოცვილო ჩვენო სალოცაო დედაო ხთიშობელო, სწყალობდი დაწეებული უქმის, ორშაბათის შემნახველსა და წესის შემსრულებელსა, რისხვევდი ჩვენო სალოცაო გამტეხსა დაწესებული უქმისასა, ხალხისა და ხატის პირის გამტეხსა. მადლი და ბარაქა დაულიე მის ნაშვრალ-ნამუშევარსა. ნუ გამოულევ სახლში სენსა და სნეულებასა, მარცხსა და ფათერაკსა, შენი სახელის ჭირიმე". ამის წარმოთქმის შემდეგ დაკლავდა უქმის სამკვეთო საკლავსაც. საკლავებს ორივეს გაატყავებდნენ და შოხარშავდნენ. სუფრას გამართავდნენ ქადა-საწირავების ნაჭრებისას და ზედ დანაწილებულ ხორცს დააწყობდნენ. აანთებდნენ სანთელს და სუფრაზე დააკრავდნენ, სასმელსაც გვერდით დაუდგამნენ. ერთ სანთელს ხევისბერს მისცემდნენ და ბეტისჩდილელთა მიცვალებულთათვის სახელს შაზდებდა სუფრას, ვინც ხატის წესრიგს ასრულებდნენ, სახატო და სახალხო სამეში თავდადებულნი იყვნენ და აღარ არიან. ამასთანავე იმ მიცვალებულებსაც მოიხსენიებდნენ, ვისაც მომგონე არა ჰყავდა, უპატრონო იყო — შენდობას მოგველოდება და ჩვენ ვერა ვგონებდეთო — იტყოდნენ. შესანდობარს ყველას დაალე-

ვინებდნენ და მერე დაურიგებდნენ ხორცს და პურს. თან სასმელსაც მოაყოლებდნენ. თუ ვისმე რამე ყავდა შეთქმული, ან ზვარა, ისინიც დაკლავდნენ საკლავს. მხოლოდ მიცვალებულთათვის საკუთარი სუფრის გამართვა არ იცოდნენ, როგორც მთავარ სალოცავებში. საღამომდე მთელი სოფლის კაცი და ქალი აქ იყო, ვისაც მოესვლებოდა, საღამო ხანზე დაიშლებოდნენ.

ხთიშობელში იცოდნენ ა ხ ვ ს ე ბ ა, ა თ ე ნ გ ე ნ ა, შ ა რ ი ა მ ო ბ ა და თ ე ვ ა-წ ე ლ წ ა დ ი. წელწადი აქ ერთი დღე იცოდნენ. მეკვლენი არ მიდიოდნენ აქ, რადგან ენ მეორეხარისხოვანი ხატი იყო და მთავარი სათემო სალოცავი ცაბაურთის მთავარანგელოზი ჰყავდათ. თუმცა ცაბაურთა ბეტისჩდილთან ცხრა-ათი კილომეტრით იყო დაშორებული, მაგრამ მეკვლენი მაინც იქ მიდიოდნენ. ღამეს ცაბაურთაში გაათევდნენ და მეორე დღეს წამოვიდოდნენ ბეტისჩრდილში. ჯერ ერთიმეორეს დაპატიჟებდნენ მეკვლედ, ვინაც ვის სურდა და გოგას შეაგორებდნენ, მერე დასვენების და სადილობის შემდეგ ხთიშობელში მივიდოდნენ, სანთელს მოანთებდნენ და ერთს საკლავსაც დაკლავდნენ. რადგან აქ არც უწესობდა და არც დასასხდომი იყო, ერთ-ერთ სახლში წავიდოდნენ, სადაც ნალახი არ იყო და იქ იხატებოდნენ, სვამდნენ და ხორცსაც იქ მოხარშავდნენ. წელწდის წესს ყველაფერს ასრულებდნენ: ბედისკვერი, წყალზე ნაყრის წაღება და სხვა, წყალკურთხევასაც მოანთებდნენ სანთელს. დანარჩენი ხატობები მნიშვნელოვანი არაფერი იყო, რომ სხვა ხთიშობელში სადმე არ იყოს აწერილი.

ჩ ა რ გ ლ ი ს ს ა ლ ო ც ა ვ ე ბ ი

სოფელი ჩარგალი ტერიტორიულად მაღაროსკარის თემშია, მაგრამ ჩარგალლები ცაბაურთის თემს ეკუთვნოდნენ. მათი სათემო სალოცავიც ცაბაურთის მთავარანგელოზი იყო და დიდ დღეობებში იქ მიდიოდნენ. ჰყავდათ მეორეხარისხოვანი სასოფლო ხატებიც (რომელიმე გვარს ცალ-ცალკე სალოცავები არ ჰყავდა): ლ ა შ ა რ ი ს ჯ ვ ა რ ი, თ ა მ ა რ ნ ე ფ ე და ხ თ ი შ ო ბ ე ლ ი. ჩარგალი ძალიან დაფანტული სოფელია. თითო-ოროლა კომლი დგას ცალკე ადგილზე და სოფლების შუაში არის ეს სამივე სალოცავი ერთურთის ახლო მოთავსებული.

ხთიშობელი. ხთიშობელს ჰქონდა საზარე და საქობე (ფშავლები სალუდეს უწოდებდნენ, მაგრამ ჩარგალში ხევსურულად თურმე საქობეს ეძახიან). საქობეში მზადდებოდა ლუდი. საზარე იყო აშენებული ბეღლის მსგავსად და შიგ ზარი ეკიდა. ხთიშობელს სანადოები უძველეს დროს ჰქონია და მერე დანაწილებულა სოფელზე. სანადო-

ებს თურმე ნადით ხნავდნენ და მკიდნენ. მერე დასტური მიიტანდა, გალეწავდა და პურსაც ის ინახავდა. შემდეგ სანადოები დაყოფილა გვარებზე, გვარებს კიდევ კომლებზე დაუნაწილებია და თავ-თავის ჭკვაზე ხნავდნენ. მხოლოდ მამულებს ისევე შერჩენია ძველი სახელი „სანადოები". როგორც სანადოები, ხატობებიც ისე დანაწილებულა გვარებზე — მაგალითად: ბაიათ გვარს ჰქონდა ხატობა ა მ ა ღ ლ ე ბ ა, გვარში მორიგეობით მოუდიოდათ, წელს ერთი კომლი გაუძღვებოდა სახატო წესებს დასტურის სახით, მეორე წელს მეორე და ასე შემდეგ. გვარებმა თავისი ანგარიშით თვითონ იცოდნენ, ვის რომელ წელს ეკუთვნოდა. გურასპაულთ ანუ მარცვალათ ახვსება ჰქონდა ნამრგალი და ისინიც რიგრიგობით ასრულებდნენ წესს. პირქუშაანთ ჰქონდა სახუთშაბათო ამაღლება. რაზიკაანნი, ზურაბაანნი და გორზამაულნი ერთურთს მიმდგარნი იყვნენ, რადგან ესენი პატარა გვარებია და ცალ-ცალკე ხატობა რომ მირგენოდათ, სხვა კაცმრავალ გვარებთან შედარებით ცოდონი იყვნენ. ამათ ჰქონდათ მირგენილი მარიანობა. აქ დასტურის გადადგომა და ახლის დადგომა შეუმჩნეველი იყო, რადგან გვარებმა იცოდნენ და უბრალოდ სცვლიდნენ ერთმანეთს, ყოველგვარი წესების შესრულების გარეშე. როგორც სხვა ხატებში იცოდნენ შესამლოცაო და გამოსამლოცაო, აქ ეს არ იყოს საჭირო.

საქობესთან ახლოს ერთი იფნი იყო დარგული. ხატი მდებარეობდა მოედან ადგილზე და დღეობაში მოსული ხალხი ჯარობდა. წესების შესრულება აქაც ისეთივე იყო, როგორც სხვა ხატებში. ბაიაანნი ამაღლებას ადუღებდნენ ლუდს და მთელი სოფელი მივიდოდა. ყველას მიჰქონდა ქადა-საწირავნი, სანთელი, ზოგს ფურთ ნათავარი ქადა, სასოფლო საკლავიც იკვლოდა და სუფრა ისეთივე წესით იმართებოდა როგორც სხვა ხატებში გვაქვს დაწერილი. დასტურად თუ ისეთი კაცი დადგებოდა, რომ შესაძლებლობა არ ჰქონდა საკუთარის პურით ედუღა ლუდი, გვარი დაეხმარებოდა და მოუკრეფდნენ პურს თავის კომლებზე, რამდენიც საჭირო იყო, სვე ჩარგალშივე მოჰყავდათ და თვითონ ამზადებდნენ. ხევისბერი ერთი იყო სამივე ხატში, განურჩევლად გვარისა, ვისაც მოიკითხავდა ხატი.

2. **ლაშარის ჯვარი** ლაშარის ჯვარს ჰქონდა პატარა საზარე, ბეღელის მსგავსად აშენებული და შიგ ზარი ეკიდა. ზარი ირეკებოდა ყველა ხატობაში ღილით, როგორც სხვა ხატებში. სალუდე მას არ ჰქონდა. არც დროშები ჰქონიათ ჩარგლის ხატებს. სანადო ჰქონდა და ძალიან დიდი ხნის წინ ამ მამულებს თურმე ნადით ამუშავებდნენ. მერე ესეც დაუნაწილებიათ გვარებზე და გვარებს კომლებზე. ლაშარის ჯვარის საზარეს გარშემო ეზვია სანადო მამულები. აქვე არის დარგული იფნები და მსხალი, წინათ ყოფილა პანტა და მერე ვიღა-

ცას დაუმყნია. ლაშარის ჯვარის და თამარნეფის საზარეები აქ იმიტომ აუშენებიათ, რომ საერთო ფშაველთა სალოცავები შორს იყო ფშავის ხევს და აქედან იქ ყველა ვერ წავიდოდა, არც გზა იყო ყოველთვის. ასეთ შემთხვევაში აქ შეასრულებდნენ იქ შესასრულებელ წესებს. მერე თანდათანობით სანადოებიც გაუჩენიათ და დაუწყიათ მუდმივი ლოცვა და ხატობები. ლაშარღელეს, გარდა ზაფხულის ხატობებისა, აღარავინ წავიდოდა. ხატობები აქაც ისეთივე წესით იყო, როგორც აქაურ ხთიშობელში.

მთავარი ხატობა იყო ამაღლება. ამ ხატობაში მლოცავიც უფრო მეტი იყო, მოჰყავდათ დოლისთავი ბატკნები და შეთქმული საკლავები (ბბოს ზვარას კი ხთიშობელში კლავდნენ). ხატობა აქაც ღამისთევით იწყებოდა. ამაღლებას დასტურ-ხევისბრები აქ გაათევდნენ ღამეს და დილით სოფელიც მოვიდოდა, სასოფლო საკლავს მოიყვანდნენ. საკლავი დაიკვლოდა ჩარგალელთ სამწყალობნოდ, ზარიც დაირეკებოდა და სანთელიც მოენთებოდა. ახვეწებდნენ ჩარგალელთ ცაც-საქონს. ყველაფერს ასრულებდა ერთი ხევისბერი, აქ ბევრი ხევისბერები არ იყვნენ.

წულის გაყვანა და წულის სანთელი სრულდებოდა ცაბაურთის მთავარანგელოზში. ხატობაში აქ ქალებიც მოდიოდნენ, მათ თავისი საჯარე ადგილი ჰქონდათ დანიშნული და იქ დასხდებოდნენ, მოჰკონდათ ქადა-საწირაქნი და სადიდებულო. ხატიდანაც ლუდი გაჰქონდათ მათთვის. აქ სუფრობაც იცოდნენ. მლოცავები თავის საკლავის ხორცს მოხარშავდნენ და სუფრას გაშლიდნენ ისეთ ადგილას, სადაც დედაკაცებსაც შეეძლოთ მისვლა. სუფრას მიცვალებულთათვის სახელს შესდებდნენ და იმართებოდა მხიარულება, მღერა-თამაშობა. აქ მოლექსე ხალხი იყო და ფშაურ სიმღერაში ისე მღეროდნენ თავისპირის ლექსებს, როგორც დაზეპირებულს.

ლაშარის ჯვარში ხატობები იცოდნენ: ახვსება, ამაღლება (ათენგენა აქ არ იცოდნენ), მარიანობა, გიორგობა, ქრისტე და თევა-წელიწადი. ხატობები სულ ერთნაირი წესით იწყებოდა და მთავრდებოდა. ქადა-საწირავნი, სანთლის მონთება, სასოფლო საკლავი, ზარის დარეკა, სუფრები მიცვალებულთათვის და სხვა. თევის-ღამეც იცოდნენ. წულის სანთელი ცაბაურთას მიჰქონდათ თავის მთავარ სათემო სალოცავში. თუ ვისმე შეეძლო სიარული, ცაბაურთას წავიდოდა მეკვლეში. ჩარგალი შორს იყო და უძნელდებოდათ ზამთარში სიარული. ხატის წესით კი ყველა ქუდიანი ვალდებული იყო სათემო სალოცავში მისულიყო ლიტანია ღამეს. აქედან დაბრუნებული მეკვლე შეიტანდა კვალს სოფელშიც. მაგრამ ის ხანდახან დროზე ვერ მოდიოდა, ამ შემთხვევაში სოფელში ერთიმეორეს პატიჟობდნენ მეკვლედ. ლუდი ხატში ჰქონდათ დამზადებული, მოჰქონდათ სოფელში და აქ

სვამდნენ კაცი და ქალი ყველანი ერთად. მღერა და თამაშობა იმართებოდა, თავისპირის ლექსებით ალექსებდნენ ერთმანეთს. ამ ხატებში სანთელს ყოველდღე ანთებდნენ წელწადი დღიდან წყალკურთხევის ჩათვლით.

8. თამარნეფე. თამარნეფე ლაშარის ჯვარის ნიშიდან არ იყო ძალიან დაშორებული. აქვე ახლო, პატარა მოედანზე იყო გაშენებული ბეღლის მსგავსი საზარე. ნიშთან იყო ხემხვივანნი (შემოწირული და დარგული ხეები ამა თუ იმ კაცისაგან. რამე ფათერაკის, ან ავადმყოფობის დროს შეეხვეწებოდნენ ხატს: ოღონდ გვიშველე და შენს ხემხვივანთაში ხემხვივანს მივუმატებო. ხემხვივანს როცა დარგავდნენ, მაშინ სხვა შესაწირავსაც რამეს მიაყოლებდნენ. თუ საკლავი ჰყავდათ, ხომ საკლავს, თუ არა, სანთელ-საწირს მაინც). თამარნეფის ნიშთან იყო ნამყენი მსხლები, ვაშლები და იფნები.

აქაც მთავარ ხატობად ითვლებოდა ამაღლება. ხატობები აქაც ყველა ის იცოდნენ, რაც აქაურ ლაშარის ჯვარში და ხთიშობელში — ახვსება, ამაღლება (ათენგენა არ იყო), მარიანობა, გიორგობა და თევაწელწადი. არც რამე გარჩევა ხატობის წესებში იყო. იმავე წესით სრულდებოდა ყველაფერი, რაც ხთიშობელში, მხოლოდ ხთიშობელში ფურით-ნათავარის ქადა მოდიოდა და ზვარაც აქ იკვლოდა. დანარჩენი მლოცავი ლაშარის ჯვარში და თამარნეფეში უფრო მეტი იყო.

მთხრობელმა ლევან ბაიაშვილმა (60 წლისამ) ამ ხატობებთან დაკავშირებით ჩამაწერინა ჩარგლის უძველესი გვარები, რომლებიც დაყოფილი არის შემდეგ ქვეგვარებად: მარცვალნი, ბუკუკანი, რაზიკანი, მარტიანი, თეფშაანი, ჟამიანი, მთიბელანი, ზურაბაანი, პირქუშაანი, ბაჩიანი, ხოხორდანი, თათარიანი, საგრილანი და აფხუშელანი. ეს ქვეგვარები, როგორც ზემოთ დაიწერა, ყველანი ემსახურებოდნენ ერთნაირი უფლებებით სამივე ხატს ერთად.

სოფ. ყობჩის ხთიშობელი.

მიამბო და ჩამაწერინა ლევან ნადირაშვილმა 72 წლისამ, გოგოლაურმა, ყობჩაში გაზრდილმა:

აქ, ყობჩაში, იყო ადგილისდედა ხთიშობელი. მას ემსახურებოდნენ დასტურობითაც და ხევისბრობითაც ნაყეურები. ამ სოფელში სხვა გვარი არც იყო. შორეული მლოცავი მოდიოდა, გარდა ქალ-ქალიშვილისა. დასტურობა მორიგეობით იყო ერთი წლით. ხევისბერს კი თვითონ ხატი დაიჭერდა მომიზეზებით. ამ ხთიშობელს სანადოები არა ჰქონდა, ჰქონდა სალუდე და დარბაზი, კოშკი აქ არაფერი იყო, არც საზარე. ხატი ტყეში იყო მოთავსებული, სადაც დაცული იყო

მუხა, იფნი და ცაცხვები. ეს ხატი მდებარეობდა სოფლის დასავლეთ მხარეს. ეს სასოფლო ხატი იყო და იგივე საგვაროც, რადგან, აქ სხვა გვარი არც იყო. ისე კი ყობჩელები გოგოლაურთ თემს ეკუთვნოდნენ. მათი სათემო სალოცავი იყო გოგოლაურთ წმიდაგიორგი. წულის და რძლის გაყვანა, წულის სანთელი და სხვა ასეთები გოგოლაურთაში უნდა შევსრულებინათ, დანარჩენი წვრილმანი დღეობები კი აქ იცოდნენ ხთიშობელში.

აქ პირველად ახალშემსვლელი დასტურნი შეილოცავდნენ ამაღლებას, რადგან ეს მთავარი დღეობა იყო ამ ხატში. სადასტურო არ იყო და არც დასტურები სადმე ცხოვრობდნენ თავისი ოჯახის გარეშე. მხოლოდ წმიდობდნენ კი თავის დასტურობის ერთი წლის მანძილზე. ნალახ ბოსელ-ბოსლისკარს ძალიან ერიდებოდნენ. რაკი სანადოები არა ჰქონდა, ლუდის დასამზადებლად სოფელზე კრეფდნენ ქერს. თითო დღეობაში კომლზე სამს ლიტრას იღებდნენ. ქერს დასტურს აბარებდნენ და ის დააფორებდა, დაფქვავდა და ადუღებდა ლუდს. სვე დასტურისა იხარჯებოდა და არც უჭირდა სვის შოვნა, რადგან აქვე ყველა კომლს ჰქონდა თავის სახლის მიდამოს დარგული და საკმარ სვეს ამზადებდნენ.

დროშა ხთიშობელს აქ არა ჰქონდა, თას-განძი კი ჰქონდა, მხოლოდ ცოტა თას-განძი იყო სათემო სალოცავებთან შედარებით. ხევისბერი დაიბარებდა, ვისი ჯერიც იყო დასტურობა და დაარიგებდა, რამდენი ქერი იყო საჭირო ფორის გასაკეთებლად სალუდედ. როგორ უნდა დაეფორათ და დაემზადათ ლუდი სვე-ფორით (ფორსაც ეძახიან, მაგრამ უფრო „ალაოს“ ამბობდნენ ფშავლები), დაიბარებდა სამი კვირით ადრე ხატობამდე და დაავალებდა — ახლავე აეკრიფათ ქერი და დაემზადებინათ ალაო. ისინი მაშინვე მოიყვანდნენ თითო საკლავს ხელმხრის სანათლად და ინათლავდნენ, მერე შეუდგებოდნენ ქერის აკრეფას, დაფორებას და ლუდის დუღებას. ლუდს დასტურნი თვითონ ადუღებდნენ და თვითონვე აფუვლებდნენ სალუდეში. ლუდის ფუვლებაში ხევისბერი მონაწილეობას არ იღებდა. ისე თუ მივიდოდა, სისწვენს დალევდა. ამაღლებას დილას მოვიდოდნენ ხევისბერიც და დასტურნიც. განძსაც მოიტანდნენ, რადგან ისაც იმათ ებარა. განძს ცხელი წყლით გარეცხავდნენ და დადგამდნენ სიპებით გაკეთებულ თაროზე. დასტურნი ლუდს ახდიდნენ, ზედ მოდგმულ ჩამს (ჭიკს) მოხდიდნენ; იქვე დასდებდნენ ერთ ხმიადს, სამ ლუდიან თასს თითოეულზე და თითო ფეხს სანთელს დააკრავდნენ.

ხევისბერი ადიდებდა დედა-ხთიშობელს, შეახვეწებდა ყმათ, ყობჩელთ და სთხოვდა მათთვის კაცის და საქონლის სიმრავლეს, მადლიან ბარაქიანობას. მერე თითო თასს აიღებდნენ დასტურ-ხევისბრები, ყმათ დალოცავდნენ და დალევდნენ, თუ ვინმე შემოსწრებული

იყო, იმას ამავე თასებს აუვსებდნენ და ყმათ სამწყალობნელოს დაალევინებდნენ. მერე იწყებდა სოფლის ხალხი და მლოცავიც მოდენას. ხალხი სასოფლო საკლავსაც მოიყვანდა და ვისაც რამე შეთქმული ყავდა ან ზვარა იმასაც, აგრეთვე ყველა მოიტანდა ქადა-საწირავთ. აქ მოსულებს ლუდს დაალევინებდნენ, ცოტა ხანს შეისვენებდნენ და წავიდოდნენ სხვა ხატში. ეს ხატი იყო მოთავსებული ე. წ. საყდარში. საყდარა იყო ხთიშობლიდან ნახევარი ვერსით დაშორებული. აქ ილოცავდნენ წმიდა გიორგის, ერთი კოშკი იდგა ტყეში, პატარა ველში, გარშემო დაბურული ტყე იყო, მუხა, წიფელი, ცაცხვი, იფნი, თელა და სხვა. მლოცავი ხალხი რომ მიუახლოვდებოდა, ფერხისას დააბამდნენ და ფერხისულის მღერით მივიდოდნენ კოშკთან ახლო, საფერხისო სიმღერა აუცილებლივ საგმირო რამე იქნებოდა.

ფერხისა კვრივთან ახლო დაიშლებოდა და ყველანი ქუდმოხდილნი პირკოშკისაკენ პირჯვარს დაიწერდნენ. ეხვეწებოდნენ წმიდა გიორგის — გვაპატიე ჩვენის უცოდრობით, რასაც გცოდავთ და მრავალი ხატობა მშვიდობით გვალოცვინეო. შემდეგ შეუდგებოდნენ საკლავების დაკვლას (ლუდი მიჰქონდათ ხთიშობელიდან). დედაკაცებს თავისი საჯარე ჰქონდათ და იქ ისხდნენ ხატიდან მოშორებით. მოჰქონდათ სავალდებულო ქადა, რომელსაც სასოფლო ქადასაც უწოდებდნენ და ფურთ-ნათავარის—ფურთ-სამხვეწრო ქადას მოაყოლებდნენ სანთელს და თითო ხელადა არაყს. პირველად სასოფლო საკლავს დაკლავდნენ, მერე მლოცავების მოყვანილს. სასოფლო საკლავის ხორცი რომ მოიხარშებოდა, სუფრას სახელს შასდებდნენ ძველ ხატის მსახურთათვის, აგრეთვე უპატრონო მკვდრებსაც და მერე პურისა და ხორცის წილობებს დაურიგებდნენ ყველას, ვინც კი აქ ესწრებოდა. ქალებშიც გაიტანდნენ ამ სუფრის ნაწილს და ლუდსაც. პურს და ხორცს ხელზე დაარიგებდნენ და ლუდსაც ყველას დაალევინებდნენ. მლოცავებიც გამართავდნენ სუფრებს ჩვეულებრივი წესით. აქ ატარებდნენ დროს „ჯართ გაშვების“ ხნამდინ, მერე ფერხისით გამოემართებოდნენ და როცა ტყეში შევიდოდა გზა, მერე დაიშლებოდნენ. ჩამოვიდოდნენ ისევ ხთიშობელში და ახლა აქ დაკლავდნენ საკლავებს და იმართებოდა სუფრობა. ზვარა შინ მიჰქონდათ ტყავმხარის გარდა, რაც ხატის მსახურთ ეკუთვნოდათ. ქადა-საწირავის წესებიც სრულდებოდა ჩვეულებრივ. საღამო ხანზე დედანი წავიდოდნენ სახლში და მამანი რჩებოდნენ ხთიშობლის ხატში. მღერათამაშობით და თავის პირის სიმღერებით ათევდნენ ღამეს. მეორე დღეს ჯერ ერიონნი (ერი: ე. ი. ხატის მსახურთ გარდა, მლოცავი ხალხი) წამოვიდოდნენ. ხატის მსახურნი წამომსვლელთ დაამწყალობნებდნენ, მერე ისინიც გაინაწილებდნენ ნაქათრს (ნაქათრი — ხევსუ-

რულად „ნახორი“, სარჩენი ნაჭრები პურისა და ხორცისა) და წამოვიდოდნენ სახლში.

როგორც მთხრობელმა ჩამაწერინა, წელიწადში ორი მთავარი ხატობა იცოდნენ: ამაღლება და გიორგობა. დანარჩენ ხატობებშიც კი აყენებდნენ ცოცოტა წესრიგს (თუ ვინმე მოვიდოდა მლოცავი, იმათი საკლავის დაკვლა, ქადის გაჭრა და სხვა). დასტურ-ხევისბრები ამ ორი დღეობის გარდა მუდმივად აქ არ იყვნენ, თუ ვისმე რამე დასაკლავ-შესაწირი ჰქონდა, მაშინ დაუძახებდნენ, გიორგობას კი ასე არ იყო; ლუდსაც დაამზადებდნენ, დასტურ-ხევისბრებიც დღეობის დასაწყისიდან დამთავრებამდინ ხატში იყვნენ და ასრულებდნენ სახატოდ დაწყებულ წესებს. მლოცავიც მოდიოდა ქალ-ქალიშვილი და სხვა. წმიდა გიორგიშიც ფერხისით მივიდოდნენ და ფერხისითვე წამოვიდოდნენ. თას-განძი ორჯერ მოჰქონდათ — ამაღლებას და გიორგობას.

სოფ. მაღაროსკარის ბზიანა

მაღაროსკარში არის ბზა. სხვაგან, ფშავ-ხევსურეთში, ბზა არ მოიპოვება. აქ კი ერთ დესეტინაზე მეტი ადგილი უჭირავს და დღესაც დაცულია. გადმოცემა ამ ბზიანაზე ასეთი არის: რადგან ფშავ-ხევსურეთში ბზა არ იყო და ქრისტიანულ ეკლესიას ბზობის დღეს სჭირდებოდა, ქრისტიანობის განსამტკიცებლად თამარ მეფემ მოიტანა და დარგო იმავე ადგილაზე, სადაც იყო წმიდა გიორგის ნიში (მთხრობელმა არ იცის, ეს სალოცავი ბზის დარგვამდინ იყო თუ მერე გაჩნდა). ბზიანაში ერთი პატარა კოშკი დგას და აქ ილოცავდნენ წმიდა გიორგის. ამ სალოცავს ეჭირა კარგა დიდი მიწები, ბზიანი ფართობის გარდა. ახლა იმ მიწაზე აშენებულია საბჭო, ფოსტა, ქრისტიანული ეკლესია (ახლა გაუქმებულია), კოოპერატივის შენობა, საავადმყოფო, საგზაო შენობა და სხვა პატარ-პატარა სახლები. დანარჩენ მიწაზე აქ მცხოვრებნი თესავენ სიმინდს და მოყავთ კარგა ბლომად მოსავალი.

ბზა პირველად ცოტა ადგილზე ყოფილა დარგული და თანდათანობით გამრავლებულა. ხატისაგან აკრძალული ყოფილა ბზიანაში პირუტყვის შესვლა. თუ აქ პირუტყვი შევიდოდა, პატრონს მოამიზეზებდა და საკლავს მიაყენებდა. მომიზეზება ის იყო, რომ ან ავად ვისმე გაუხდიდა, ან პირუტყვს უზარალებდა, ან სხვა რამე ხიფათი მოუვიდოდა. წავიდოდნენ მკითხავთან და ისაც დანაშაულისათვის ერთ საკლავს და სანთელ-საწირს დაავალებდა. ამიტომ ძალიან მტკიცედ იყო დაცული ეს ბზა. ბზის გარდა დავასახელეთ მიწები, ამ

მიწებს ამუშავებდნენ გოგოლაურნი (აქაური ხალხი გადმოსახლებულია გოგოლაურთიდან). მათი სათემო სალოცავი გოგოლაურთის წმინდა გიორგი არის და ზაფხულის ხატობებში აქაური ხალხი მთლიანად მიდიოდა თავის მთავარ სალოცავში. მაღაროსკარის ხეობაზე მობინადრე ხალხს დღესაც საგოგოლაურთოს ეძახიან. მაღაროსკარში მოსახლეობენ შემდეგი ქვეგვარები: თანდილაანი, უფროსანი, ჯანანი, გიჟანი, კაკაბელნი, წელანი, მუშტანი და თურმანაულნი. ეს ქვეგვარები მთლიანად ეყმობოდნენ ჯერ ხომ წმინდა გიორგის და მერე აქაც ჰყავდათ შეორეხარისხოვანი სასოფლო სალოცავები. ბზიანას მამულს თურმე მოხნავდნენ საგოგოლაურონი, მომკიდნენ და გალეწავდნენ. ბზიანაში ჰქონდათ საპურე ბეღელი (ახლა ნანგრევია). პურს ხევისბერს ჩაბარებდნენ და ის ხელმძღვანელობდა მის დახარჯვას.

მუდმივი დასტური აქ არ იყო. ერთ დღეობაში ორი კაცი დასტურობდა, მეორე დღეობაში კიდევ სხვა ორი. მოუდიოდათ მორიგეობით. პურს ხევისბერი აძლევდა მათ სასმელის დასამზადებლად. ლუდი აქ ნაკლებად იცოდნენ, რადგან სალუდე არ იყო; უფრო არაყს ხდიდნენ და ზედაშედ ცოტა ღვინის მოტანა იცოდნენ. დასტური მარტო ხატობის ხანებში ერიდებოდა ნალახს და წმინდობდა (როგორც მთხრობელმა თქვა, ესენი არც იყვნენ, როგორც დასტურნი. ესენი იყვნენ ერთ დღეობაში წესის ამსრულებელნი, მაგრამ ასეთი რაკი შემსრულებლისათვის სხვა სახელი არ არსებობს, მაინც დასტური უნდა ეწოდოს). ბზიანაში გოგოლაურთ და მათი ქალ-ქალიშვილის გარდა სხვა მლოცავი არ მიდიოდა. ხატობა წლის განმავლობაში იცოდნენ სამი: ამაღლება, მარიანობა და გიორგობა. ამ ხატობებში ყველა წესი სრულდებოდა: სასოფლო საკლავი, ქადა-საწირავი (ზვარას აქ არ კლავდნენ, ზვარა ყველგან ხთიშობელში იკვლოდა). სასოფლო საკლავის და საკუთარი საკლავების წესი ისევე სრულდებოდა, როგორც სხვა ხატებში.

თას-განძი აქ არაფერი ჰქონდათ, არც დროშა. ხატობა ბზიანას წმინდა გიორგიში დილით იწყებოდა და საღამოობით მთავრდებოდა. ღამისთევა აქ არ იცოდნენ. აქვე ახლო ჰყავდათ ადგილის დედა-ხთიშობელი, აქაც სამი დღეობა იცოდნენ და ემსახურებოდნენ გოგოლაურნი. პატარა კოშკი იყო ტყიან ადგილას და იქ ილოცავდნენ ხთიშობელს. ტყეში იყო მუხა, კირცხილა, იფნი, წიფელი და წვრილი ტყე. ხატთან ახლო არავინ სჭრიდა და ამიტომ დიდი ხეები იყო გაზრდილი. ხთიშობელს არ ჰქონდა არც სანადოები და არც ლუდი მზადდებოდა, არც დასტურები ჰყავდათ. ხევისბერი ბზიანასა და აქ ერთიდაიგივე ემსახურებოდა. სასმელ ხალხის მიტანილის გარდა სახატო არ მზადდებოდა. მლოცავი მიიყოლებდა სასმელსაც. აქ კლავდნენ ზვარას, მიჰქონდათ ქადები ფურთ-ნათავარი და სხვა. მიდი-

ოდნენ მარტო სოფლელები, სხვაგნიდან სალოცავად არც აქაური ქალ-ქალიშვილი მოვიდოდა. ემსახურებოდა ხევისბერი საგოგოლაურ-ოროდან და სალოცავიც მარტო მათ ეკუთვნოდათ.

სოფ. გომეწარის სალოცავები

ეომეწარი მაღაროს კარის თემში ე. ი. სოფლის საბჭოში არის იმავე ხეობაზე. გომეწარში ცხოვრობდნენ საგოგოლაურონი (მაღაროსკარში და გომეწარში იგივე ქვეგვარები შერეულად ცხოვრობენ, რაც ზემოთ დაიწერა). მათ, როგორც ვიცით, სათემო სალოცავი ჰყავდათ გოგოლაურთის წმინდა გიორგი და ეკუთვნოდნენ გოგოლაურთ თემს. მეორეხარისხოვანი სასოფლო სალოცავები კი გომეწარშიც ჰყავდათ: მაღაწალს წმინდა გიორგი, ადგილი დედა-ხთიშობელი და კოპალა. სამივე სალოცავში ერთნაირად ემსახურებოდნენ საგოგოლაურონი, დასტურადაც ისინი დგებოდნენ წლობით, ხევისბერიც ამათივე ქვეგვარიდან იყო, ვისაც „ხელს დასდებდა“ ხატი.

კოპალა იყო დაარსებული სოფლის ახლო აღმოსავლეთ მხარეს. მას ჰქონდა: სალუდე, დარბაზი და საზარე. დროშაც ჰქონდა (წმინდა გიორგის არ ჰქონდა დროშა) ეს ხატი დაარსებული იყო მოედან ველში, აღმოსავლეთ მხარეს იყო ნაწილობრივ ტყიანი, იმის ბოლოზე კი კოპალას სახარნადე მამული, რასაც საგოგოლაურო ხალხი ნადით აბუშავებდა ხვნაშიც და მკაშიც. აქ იყო საპურე ბეღელი (ამჟამად ფანგრეულია) მომკილ ძნას დასტურნი მიიტანდნენ, გალეწავდნენ და პურს ბეღელთან ახლო მიზიდავდნენ. ხევისბერი ხელ-მხარს ინათლავდა და პურს ბეღელში შეიტანდა, როცა სათესლედ გამოიტანდა მაშინაც ხელმხარს ინათლავდა. ისე, სალუდედ როცა გამოჰქონდა პური, მაშინ კი მარტო გაიბანებოდა, ფეხშიშველი ახალი ტანსაცმლით შევიდოდა ბეღელში და ისე გამოჰქონდა პური.

დასტურნი დგებოდნენ ერთი წლით ორი კაცი და ყველა დღეობებში ისინი ასრულებდნენ დასტურის მოვალეობას. სადასტურო აქ არ იყო. ისინი ცხოვრობდნენ თავ-თავის სახლში, მხოლოდ ნალახ ადგილებს ერიდებოდნენ. ხატობა რომ მოახლოვდებოდა, ტანს ხშირად იბანდნენ მდინარეზე ან წყაროზე, სანთელს ანთებდნენ თავის ოჯახში თავისი სალოცავისათვის და სთხოვდნენ, თუ თავის უვიცობით რაიმე უწმიდურობა შეემთხვეოდათ, შეცოდვება ეპატიებინა და სამაგიეროდ არ დაესაჯა თავისი ყმა დასტური.

დასტური იცვლებოდა შუა მარხვაში. მაშინ აქ სანთლის მონთება იცოდნენ (საკლავს მარხვაში არ კლავდნენ). ახალი დასტურნი მიი-

ტანდნენ სანთელ-საწირს, მათი ოჯახის წევრებიც ხატის კარზე მოვიდოდნენ, ვისაც მოსვლა შეეძლო. ხევისბერი სანთელს აანთებდა სასანთლეში და დაამწყალობნებდა ახალ დამდგომ დასტურთ. მათ ოჯახიდან მიტანილი ჰქონდათ არაყი და ამას დალევდნენ ახალ დამდგომ დასტურთ სამწყალობნოდ. ამ დღეს აქ სხვა არაფერი იყო, გარდა სანთლის მონთებისა. ხევისბერი სახატო სანთელს მოანთებდა და დაამწყალობნებდა საყმოთ საგოგოლაუროთ (სასანთლე პატარა ქვის კოშკი იყო, მას თახჩის მსგავსად ჰქონდა დატანებული. როცა სანთელს მოანთებდნენ, გარედანაც ქვას მიაყუდებდნენ, რომ ნიავს სანთელი არ დაექრო, არც სახიფათო იყო, რომ სანთლის ცეცხლი რამეს წაჰკიდებოდა).

აქედან იწყებოდა ახალი დასტურობა და პირველ დღეობას ისინი ახვსებას გადაიხდიდნენ. ახვსებას შესამლოცაოს აღარ კლავდნენ, რადგან მარხვაშივე შეილოცეს. ძველი დასტურნი კი გამოსამლოცაოს კლავდნენ, რომელსაც სასინანულოც ეწოდებოდა. დასტურნი თუმცა შუა მარხვაში რცვლებოდნენ, მაგრამ აქ მთავარი დღეობა იყო მარიანობა და მთხრობელმაც აქედან დაიწყო ხატობების ჩაწერინება.

მარიანობა. მარიანობისათვის კოპალაში მოამზადებდნენ ლუდს დასტურნი და ისინივე აფუვლებდნენ. მარიანობის წინადღეს დასტურ-ხევისბრები თავს კოპალას, ხატში მოიყრიდნენ, მოანთებდნენ სანთელს და გახსნიდნენ კოდს. ლუდს დალევდნენ და მოემზადებოდნენ წმინდა გიორგიში მაღაწალს წასასვლელად. ააბამდნენ კოპალას დროშას და გაუძღვებოდათ მედროშე წმინდა გიორგის ხატისაკენ კოპალაში. ჯერ სხვა არაფერი წესი არ იყო შესრულებული. დროშას ჩაუდგებოდნენ ბიჯში და გამოჰყვებოდნენ მამანი და დედანი. ცხენებით წაიღებდნენ ლუდს. სასოფლო და მლოცავების საკლავებს ერთმანეთში ვაურევდნენ და დილიდანვე გარეკავდნენ ახალგაზრდები, ცხვრების სიარულით მთაზე ასვლა რომ არ დაგვიანებულიყო, ხევისბერი და ხალხი ავიდოდნენ კარგა მაღლა, სადამდინაც შეიძლებოდა ცხენით სიარული. აქ ერთი დიდი ქვა იყო და კოპალას დროშა იქ იკიდებოდა. კოჭს. დროშას ამ საბძანში მიაბძანებდნენ და ხალხიც დაისვენებდა. აქ დიდი მოედანი იყო, ცხენებს ბარგებს მოხდიდნენ და საბალახოზე გაუშვებდნენ. ხევისბერი სანთელს აანთებდა, ლუდიან თასს დასდგამდნენ და ადიდებდა კოპალას და მაღაწლის წმინდა გიორგის. მერე თასს გამოცლიდა და სხვებიც დალევდნენ ასეთსავე სადიდებულოს და ყმათ სამწყალობნელოს. გაიმართებოდა სმა და პატარა მხიარულება. ამაზე ზევით ცხენის ასვლა არ შეიძლებოდა. გზა აღარ იყო, რადგან კლდეზე იყო სასიარულო, ბარგებს დაინაწილებდნენ და ზურგით აიტანდნენ მაღაწალის მთაზე (მაღაწალი იმ სიმაღლეზეა, რომ იქიდან დაბლა დაჰყურებს მთიულ-გუდამაყარს და აქეთ ფშავს).

სადაც დროშა კოშს იკიდებდა, ამ ადგილს ქვიან საზრუტუნანი. კარგა დასვენების და დალევის შემდეგ, საზრუტუნადან ხალხი აიშლებოდა, წინ ისევ გამოუძღვებოდა დროშა. საღამო ხანზე ამოვიდოდნენ დასახელებულ ხატში. აქ ერთი პატარა კვრივი იდგა წმინდა გიორგისა და გარშემო ბალახიანი მოედანი ჰქონდა. ხალხი დააბამდა ფერხისას და სამჯერ შემოუვლიდნენ კოშკს ფერხისით. პირველად იმღერებდნენ.

> წმინდის გიორგის კარზედა ხე ალვად ამოსულაო,
> წევრად მოუსხამ ყურძენი, საქმელად შამოსულაო,
> მაგის უქმელი ქალ-ვაჟი უდროოდ დაშაულაო.

ამის შემდეგ იმღერებდნენ საგმირო სიმღერებს. გოგოლაურთ ძველად ჰყავდათ ლაშქრის წინამძღვარი და მეომარი კაცი გარა თურმანაული. იმაზე ნათქვამი სიმღერებიდან ერთ-ერთს იმღერებდნენ და მერე იმის შესანდობარს დალევდნენ. ამავე დროს გარა წმინდა გიორგის ხევისბერიც ყოფილა და ლაშარის ჯვარსაც უწევდა ხევისბრობას (ერთერთი მისი შატილში ლაშქრობის სიმღარა დაწერილი უნდა იყოს წმინდა გიორგის ხატთან დაკავშირებით. მთხრობელმა იგივე ჩამაწერინა და განმეორება იმავე სიმღერისა ზედმეტი იქნება.

კოშკს სიმღერით რომ უვლიდნენ, ხევისბერი დროშით ხელში იდგა კვრივთან და დროშას აწკარუნებდა; მესამედაც რომ შემოუვლიდნენ, ყველანი ქუდებს მოიხდიდნენ, ფერხისას დაშლიდნენ და კოშკის დასავლეთ მხარეს დადგებოდნენ პირ-კოშკისა და პირ-აღმოსავლეთისაკენ. იწერდნენ პირჯვარს და ეხვეწებოდნენ წმიდა გიორგის და კოპალას: გვიშველე და შენთ ყმათ მარცხი და ზიანი მოაშორე, ამრავლე მათი კაცი და საქონი, კაცი შენდა ყმად და საქონი შენდა ზღვანადა. ამის შემდგომ ხევისბერი ეტყოდა: წყალობა ჩვენი სალოცავებისა, წყალობა, მოსულთა ყმათაცა და სხვა მლოცავთაცა. წყალობით მოგეგებონ ჩვენი სალოცავები, გამრავლოსთ კაციცა და გიმრავლოსთ საქონ-საქონიცა დალოცვილმა". ხალხიც უპასუხებდა ნელი ხმით: თქვენიცამც მწყალობელია დალოცვილი, ჩვენი სალოცავი".

მერე დასხდებოდა ხალხი, დაისვენებდნენ და ცოცოტას სასმელსაც დალევდნენ. მერე შეუდგებოდნენ საკლავების დაკვლას. პირველად დაკლავდნენ სასოფლო საკლავს. მას მოჰყვებოდა მლოცავების საკლავები. იმართებოდა სუფრობა, მიცვალებულთათვის სახელის შადება, სმა და სიმღერები. მღეროდნენ თავისპირის სიმღერებს. რომ მოსაღამოვდებოდა, მოიტანდნენ დეკას, თავთავის ბინაში ცეცხლს დაანთებდნენ და მთელ ღამეს იყო ბინაზე დაპატიჟება. ღამეს აქ ათევდნენ რაც უნდა ცუდი ამინდი ყოფილიყო, წვიმა და სიცივე, აქედან მაინც ვერც ერთი მლოცავი ვერ წამოვიდოდა შინ. ნაბდები

ჰქონდათ. წვიმის დროს ჯგუფ-ჯგუფად დასხდებოდნენ და ნაბადს გადაიფარებდნენ. მიუხედავად იმისა, რომ ამ მაღალ მთაზე ავდარში დიდი სიცივე იცოდა, მლოცავები მაინც არ უტყდებოდნენ და ღამეს ლხინ-სიმღერაში ატარებდნენ. მეორე დილას თუ ვისმე დარჩა და ვერ მოასწრო, ისინი გაშლიდნენ სუფრას და დაპატიჟებდნენ ერთმანეთს.

როცა ლხინ-თამაშობით გულს მოიჯერებდნენ, ხევისბერი დროშასთან მივიდოდა. მის წინ მუხლს მოიყრიდა და ეხვეწებოდა თავის სალოცავს: „უშველე შენთ ყმათა და მიმყოლ-მომყოლთა, ნუ შეანანებ შენს ხვეწნა-ვედრებას და კვლავ უკეთესის გულით იმსახურენ შენნი ყმანი. და თუ ჩემის უვიცობით რამეს გცოდავ და კსენება დიდებას გაკლებდე, მეც მაპატიე და მარცხ-ზიანს ნურც შენთ ყმათ რამეს მოჰკერძებ და ნურც ჩემს თავ-ჯალაფობასა“. მერე ადგებოდა, დროშის ტარს აკოცებდა და დაამწყალობნებდა ყმათ. აქ საკუთარი მისი სკამი იყო ქვისა. ამ სკამზე ცოტახანს დაჯდებოდა, ვიდრე მიიტანდნენ სადიდებულოს — ლუდით სავსე ვერცხლის თასს, და დროშასთან დადგამდნენ. მერე ადგებოდა, სანთელს აანთებდა, სასანთლეში დააკრავდა და კიდევ ადიდებდა წმინდა გიორგის და კოპალას, ამწყალობნებდა ისევ ყმათ საგოგოლაუროთ და მიმყოლ-მომყოლ ქალ-ქალიშვილს. დასტურებიც ასეთსავე სამწყალობნელს დალევდნენ ხევისბერის მიერ სადიდებულოს დალევის შემდეგ და მერე სხვებსაც ჩამოურიგებდნენ იმავე ვერცხლის თასით.

ხევისბერი დროშას ააბძანებდა და გაემართებოდა მარცხნიდან მარჯვნივ კოშკისათვის გარსშემოსავლელად. ხალხი ფერხისას დააბამდა და მიჰყვებოდნენ ხევისბერს. კოშკს სამჯერ შემოუვლიდნენ დროშით და ფერხისით. მესამედ რომ მოვიდოდნენ დასავლეთ მხარეს, ყველანი ქუდმოხდილნი შეეხვეწებოდნენ თავის სალოცავს: გვიშველე, ცოდვები გვაპატიე და ყველა გაჭირვებიდან დაგვიხსენიო. ისევ დაბამდნენ ფერხისას და ცოტა გზას დროშას ფერხისის მღერით გამოაცილებდნენ. მერე დაიშლებოდნენ. აიკიდებდნენ თავ-თავის ბინას და ჩამოვიდოდნენ ისევ საზრუტუნაში. აქ დროშა ისევ კოჭს მოიკიდებდა, ხალხი შეისვენებდა, ხევისბერი კიდევ ადიდებდა კოპალას და წმინდა გიორგის (მოძმეთ უწოდებდნენ) და სხვებიც გაიმეორებდნენ სადიდებულოს. კიდევ გამართავდნენ პატარა სმას. ხევისბერი ისევ გაიდებდა მხარზე დროშას და გამოუძღვებოდა ხალხს. ჩამოვიდოდნენ კოპალას ხატში და მიაბძანებდა დროშას საბძანებელში. ახლა მარტო კოპალის ხატობა იმართებოდა. დადგამდნენ სადიდებულო სამ ლუდიან თასს, აანთებდნენ სანთელს და ხევისბერი ადიდებდა გმირ კოპალას — დევ-დედაბერთად მებრძოლს. ამწყალობნებდა ყმათ საგოგოლაუროს. ხევისბერი და ორი დასტური გამოცლიდ-

ნენ თასებს და ურიგებდნენ ყველა იქ დამსწრეთ კოპალას სადიდებულოს და იმის ყმათ სამწყალობნოს. ხევისბერი სანთელსაც აანთებდა ისევე საგოგოლაურთოთ სამწყალობნელოდ და მერე დაისვენებდა. სოფელი გომეწარი აქვე ახლო იყო; მლოცავებს საკლავები აქ ჰყავდათ მიბარებული, ყველა მოიყვანდა თავ-თავის საკლავს. გაიმართებოდა საკლავების დაკვლა და სუფრების მზადება. აქ ტყე გვერდზე იყო და შეშა არ აკლდათ. სუფრებს გააწყობდნენ პურით, ხორცით, სასმელ-სალაღებლით და დაუძახებდნენ ხევისბერს. ის ყველა სუფრაზე მივიდოდა. სუფრის პატრონი ეტყოდა, ეს სუფრა ვისთვის იყო გამეტებული და ვისთვის უნდა „შეედვა სახელი". ხევისბერი ყანწს დაიჭერდა, ჯერ ადიდებდა თავის სალოცავებს და მერე მოიხსენიებდა იმ სულწმიდათ, რომლებიც სუფრის პატრონმა უთხრა, არ დაივიწყებდნენ იმათთან ერთად უპატრონო მკვდრებსაც. სუფრა რომ დაილოცებოდა, ყველას მოპატიჟებდნენ. პურს, ხორცს, ქადის ნაჭრებს ყველას თავის წინ გაშლილ სუფრაზე დაუწყებდნენ და ეტყოდნენ: ეს შენი წილობანია და ეს შენიო. პატივსაცემ სტუმრებს და ხნიერ კაცებს კი საერთო სუფრას დაუდგამდნენ გაუნაწილებლად. აქ წვენსაც აკეთებდნენ ქონ-დუმათი და სანელი ბალახებით და ჯამებით დაუდგამდნენ ორს ან სამ კაცს, რომლებიც რიგრიგობით იღებდნენ ხელში და ჯამის პირით ხვრეპდნენ. სალაღებელს ხელზე ჩამოურიგებდნენ, ამას თან მოაყოლებდა სუფრის პატრონი თავის სასმელს, უფრო არაყი ჰქონდა, შეიძლებოდა იშვიათად ვისმე ღვინოც მოეტანა, ბარში გადასულს. ერთი სუფრა რომ მოთავდებოდა, მეორეზე გადაპატიჟებდნენ ხევისბერსაც და ერისგანთაც.

სუფრები იმართებოდა ხატისაგან მოშორებით, სადაც ქალების მისვლაც შეიძლებოდა. ქალები უფრო სუფრის ბოლო მხარზე ისხდნენ. აქვე იმართებოდა თამაშობა. ხნიერი დედაკაცებიც კი თამაშობდნენ, რადგან სავალდებულო იყო ხატში მხიარულობა. რაც უნდა დარდიანი ყოფილიყო. ხატში მაინც არ შეიძლებოდა არ ემხიარულა. თუ ის დარდებს თავს მისცემდა და არ იმხიარულებდა, ხატი იმის შეწირულს არაფერს შეიწირავდა. ამიტომ ყველა გულგახსნილად და მხიარულად იქცეოდა ხატში. ამნაირად გაატარებდნენ დღეს. საღამოზე ქალები სოფელში წავიდოდნენ, მამანი კი ხატში გაათევდნენ ღამეს. ღამითაც ბევრად არ იძინებდნენ და მხიარულებაში ატარებდნენ დროს.

ფშავლებმა ხატში მისვლა დიდი მარაგით იცოდნენ, რომ წამოსვლამდე არაფერი დაკლებოდათ და არ შერცხვენილიყვნენ, ხევსურებს ხატში არაფერი არ მიჰქონდათ, მარტო საკლავს მიიყვანდნენ, მისი ხორციც იქ ხატში რჩებოდა და მეზღვნეს საკუთარი არაფერი არ ჰქონდა, აქ მარტო საჯვარო ლუდი იყო, უპუროდ ამას სვამდნენ

და ასმევდნენ სტუმრებსაც. მეორე დილას წავიდ-წამოვიდოდნენ. ამით მთავრდებოდა მარიანობის ხატობა კოპალაშიც და მახაწალს წმინდა გიორგიშიც.

კოპალაში წლის განმავლობაში სხვა ხატობებიც იყო, მახაწალს კი მარტო მარიანობას ადიოდნენ, სადაც კოპალას ხატია, იმ ადგილს განსაკუთრებული სახელი ჰქვიან — ქუჩა-ტყენი. ალბათ აქ წინათ ტყე ქუჩად (ჯგუფად, შექუჩებულად) იქნებოდა. დანარჩენი ხატობებიც ჩვეულებრივი წესით იყო: გ ი ო რ გ ო ბ ა, თ ე ვ ა-წ ე ლ წ ა დ ი, ა ღ-დ გ ო მ ა და ა მ ა ღ ლ ე ბ ა. აქ განსხვავებული წესით არაფერი სრულდებოდა. თევა-წელწადს კოპალაში ჩვეულებრივი წესით ასრულებდნენ, მხოლოდ ღამეს იქ არ ათევდნენ. ხატში ლუდიც იყო დამზადებული. დასტურ-ხევისბრები და ერისგანნი დილით მივიდოდნენ, საღამოთი კი შინ ბრუნდებოდნენ. მეკვლენი ხატში ღამეს არ ათევდნენ: დილით მივიდოდნენ, სასოფლო საკლავს დაკლავდნენ, ლუდს დალევდნენ და ისევ სოფელში წამოვიდოდნენ. მიკვლევა კი იცოდნენ. ვინაც ვის სურდა, დაპატიჟებდა მეკვლედ და გოგას შეაგორებინებდა.

წელწადში აქ ერთი ხევისბერი რჩებოდა. აქაურები ზოგიერთი გოგოლაურთაში იყვნენ ხევისბრები და შობას წასულნი იქაურ წმინდა გიორგიში იყვნენ წელწადის გადაყრამდინ. ერთ ხევისბერს დაზარებია გოგოლაურთას წასვლა. შუაღამის დროს აუყენებია ხატს და გაგიჟებულივით წინდიანი გაქცეულა, თენებაზე ფეხშიშველა მისულა გოგოლაურთას ხატში წელწადგათენებაზე და არც ფეხები მოზროობია.

წულის სანთელი გოგოლაურთას მიჰქონდათ. სოფელი მოაგროვებდა სანთელს და გაატანდნენ წელწადში წამსვლელთ, რადგან ეს სანთელი იქ მოენთებოდა წელწად ღამეს. ბავშვი და რძალიც იქ უნდა გაეყვანათ — გოგოლაურთას.

ფშავის სალოცავებთან დაკავშირებული სხვადასხვა ამბები

წმიდა გიორგის უნჯი ყმანია თურმანაულნი. წმიდა გიორგი მოითხოვდა ყმათაგან ძალიან დიდ სიწმინდეს, ისინი კი სათანადოდ ვერ წმინდობდნენ და ამიტომ წმინდა გიორგიმ თავისი ყმანი სამჯერ „დალიენა" (ამოწყვიტა). ბოლოს ერთი კაცი დარჩა ოთხმოცი წლისა. ამ დროს გოგოლაურთაში იყო თანდილათ გვარში ერთი ქვრივი დედაკაცი. თანდილათ გვარი ძლიერი იყო და თქვეს: თურმანაულთ გვარი თავდება, ეგენი კარგი ჯიშის კაცნი არიან, სასოფლოდაც გამოსადეგნი, მოდი, ეს ჩვენი ქვრივი ცოლად მივუყვანოთ — იქნება შვილი ეყოლოს

და არ ამოწყდეს მაგათი გვარიო. თურმანაულ ბერიკაცს რომ უთხრეს, ცივი უარი თქვა გოგოლაურთ ქვრივის მოყვანაზე, მაგრამ სოფელმა და თვით თანდილათ გვარმა არ დაიშალეს და მიუყვანეს ეს ქვრივი. ეს კაცი ცოლთან ისე ცხოვრობდა, როგორც მამა. ბოლოს ყოფილმა მამამთილმა ჰკითხა — მაგ კაცს შენთან რამე უთიერთობა თუ აქვსო. რძალმა უთხრა: — ის თავისთვის ცხოვრობს, მე თავისთვისო. მამამთილმა დაარიგა: ისე მოიქეცი, რომ გაღიზიანდეს და იქნებ არ დაილიოს ეგ გვარიო. ამის შემდეგ ეყოლათ ვაჟიშვილი და თურმანაულთ გვარი ისევ გამრავლდა თანდილათ ქვრივისაგან. ახლა თურმანაულთ გვარი ასოცი კომლია.

როგორც ვთქვით, უნჯნი ყმანი არიან თურმანაულნი და როგორც ყოველთვის და ყველგან თავხევისბრობა თურმანაულთ მოუდის წმიდა გიორგიში. ერთხელ თანდილათ გვარის კაცმა თურმანაულთ გვარისკაცს შემღერნა:

ასე, რას მეუბნებაო ეს ჩვენის ქვრივის შვილია?
ხომსა და თურმანაულთას ჩვენ ჩაგიდევით წილია.

თურმანაულთ გვარში, ერთსა და იმავე დროს იყო ორი თავხევისბერი — ერთი დავითი და მეორე ჭრელი. ამიტომ ფშავლებმა ერთხელ სახუმაროდ შეუმღერეს:

შენ ჭრელი მოკალ, დავითო, გეცილება ყელობასა!
სუ ყველაიც შენ დაგრჩება, საღმურთობა — სერობასა;
იმთვენ ქალებ მოგივალის, სუ გეყოფა შენობასა,
დ-ეგებ მაშინ მაინც მორჩე მეზობლების ფერობასა,
მაშინ უფრო დაამტკიცებ მაგ შენ ჯევისბერობასა.

თავხევისბერნი არიან თურმანაული და მესანთლე, მედროშე ხევისბრები შეიძლება ჯიგრაულთ გვარიდანაც იყვნენ რომლებიც ჩამომავლობით თუშები არიან.

ერთ ჩაღმა თუშს, მთათუშეთში, სოფელ ჭონთიოში შემოჰკვდომია მეზობელი, ისევე თუში. მაშინ მოსისხლეობა აქაც ძალიან მძიმე იყო და ამიტომ გამოხიზნულა და გადმოვარდნილა ფშავისხევს. აქ მას უკითხია: რომელი თემი უფრო მძლავრია, რომ შევეხიზნოთო. ამ დროს ყველაზე ძლიერი თემი იყო გოგოლაურთა და ეს თუში აქ შემოხიზნულა. წმიდა გიორგის ერთ-ერთ დღეობაში უთხოვია ხალხისათვის: მიმიღეთ ამანათად, თქვენს წმიდა გიორგის ვეყმობი, ხატმაც შემინახეთ და დამინდეთ და ხალხმაც, როგორც ერთურთი. თუ ღირსად გამხდით ხატიც და ხალხიც თქვენის ყმობისას და ძმობისას, მიმიღეთ თქვენს თემშიო. გოგოლაურთ აწონდაწონეს და უპასუხეს: დარჩი ჩვენთან, ადგილს მოგცემთ და თუ კი ერთგულებას გამოიჩენ,

ალბათ ჩვენი წმიდა გიორგიც მიგიღებსო. ადგნენ და მისცეს ცალკე ადგილი ჯიგრაულთა. დასახლდა აქ ეს თუში და ცოლშვილიც მოიყვანა.

ამ დროს წმიდა გიორგის ჰყავდა ერთი მებაკური*, თავისი ცხვრის უფროსი მწყემსი. ეს მებაკური იყო სახელგანთქმული ვაჟკაცი, რომ შიშით ხმას ვერავინ გასცემდა. მას ჰყავდა მტრები — ჭიჩოვლები, რომელთაც მებაკურის მოკვლა უნდოდათ, მაგრამ ვერ ახერხებდნენ. უიარაღო ის კაცი არსად დადიოდა, იარაღიანს კი არაფერი დაეწრებოდა. შემოხიზნულ თუშს ჰყავდა თურმე ერთი ქალი, რომელსაც მებაკურის მტერი დაუმეგობრდა. ქალი ხომ გოგოლაურთაში ცხოვრობდა და მებაკურის ამბავი ყველაფერი იცოდა. ქალმა თავის მეგობარ ჭიჩოელს უთხრა: შენ მებაკურს ვერაფრით მოკლავ: ციდან თუ რამე დაეცემა, თორემ დედამიწიდან იმას არაფერი დაეკლება. მაგრამ მაგას ჩვეულებად აქვს: წელწად დილას აიყრის იარაღს და წყაროზედ წავა ტანის დასაბანად, მაშინ თუ ჩაუსაფრდებით და მოკლავთ, თორემ სხვა დროს თვითონვე დაზიანდებითო. ჭიჩოვლები ამ ქალის სიტყვით წავიდნენ. და ნაჩვენებ წყაროსთან ჩაუსაფრდნენ. მებაკური, უიარაღოდ, მართლაც, მოვიდა წყაროზე ტანის დასაბანად. მანამ ტანი დაიბანა და ტანსაცმელი სანამ არ ჩაიცვა, არ დაესხნენ თავს, რადგან ეს სირცხვილად გაუვიდოდათ, როგორც უწესო საქციელი. ტანისამოსი რომ ჩაიცვა, ჭიჩოვლები მაშინ დაესხნენ და მოკლეს. სოფელ გოგოლაურთის მცხოვრებთ რომ გაიგეს, მებაკური თუშის ქალმა მოაკვლევინაო, როგორც შემოხიზნულს არაფერი უყვეს, მხოლოდ აქედან აჰყარეს და გაგზავნეს ისევ უკან. მანამ აქ იყვნენ კი, წმინდა გიორგის ყმობდნენ, როგორც სხვა გოგოლაურნი.

ეს შემოხიზნული თუშები წავიდნენ, მაგრამ წმინდა გიორგი მათზე ხელს არ იღებდა, იმათაც ამიზეზებდა და ავალებდა უკან დაბრუნებას და გოგოლაურებსაც ამიზეზებდა და უბრძანებდა იმ თუშების ისევ მიღებას. თუში, რომელიც პირველად მოვიდა, უკვე ღრმად მოხუცებული იყო, უკანასკნელად რომ მოამიზეზა წმიდა გიორგიმ და დაავალა დაუყოვნებლივ წამოსვლა ფშავში ოთხ იმის ვაჟს. მამას წამოსვლა აღარ შეეძლო და წელწდის წინა დღეს ოთხი შვილი საფშაოდ გამოისტუმრა. თხილამურებით გადმოვიდნენ და წმინდა გიორგის კარზე მოვიდნენ გოგოლაურთაში. წმიდა გიორგიში ხატის აღმოსავლეთ მხარეს ერთი გრძელი ქვა დევს და ოთხივენი იმ ქვაზე დასხდნენ. დაი-

---

* პირიქით ხევსურეთში, არხოტში, არის მამული საბეკურა, რომელიც მებეკურს ეკირა. სიტყვა მებეკური რას ნიშნავდა, იქ ვერ მითხრეს, მხოლოდ ის ხატის მამულებს კი ადევნებდა თვალყურს. აქ გამოიკვა, რომ სიტყვა მებეკური ნიშნავს ცხვრის ან ჯოგის უფროსს. სებეკური ანუ მებეკური წარმოშობილია სიტყვა „ბაკიდან" (ბაკი: ცხვრის ან ძროხის დასაყენებელი სადგომი).

ნახეს გოგოლაურებმა, რომ ქვაზე ოთხი კაცი ზის, იარაღი აყრილი აქვთ და იქ აწყვია. გაგზავნეს კაცი მათი ვინაობის გასაგებად. ის თუშები არიან, აქედან რომ ავყარეთ, იმის შვილები წმიდა გიორგის მოუყვანიან, თხოულობენ ისევ მიღებას ადგილშიც და ხატ-ხატის კარშიც როგორც ყმანიო. გოგოლაურებმა თავისთან მოიწვიეს, თვითონ საბეროში მოისაუბრეს და გადაწყვიტეს: რაკი წმიდა გიორგის სურს მაგათი მოსვლა და ამისთანა გზაზე მოსულან, უნდა მივიღოთო მხოლოდ ჯიგრაულთაში, თავის ძველ ნადგომში, დავაყენოთ. უთხრეს: — რაკი წმიდა გიორგიმ მოგიყვანათ, დადექით ჯიგრაულთაში, ეყმენით წმიდა გიორგის, მხოლოდ ეს ქვა იყოს თქვენი საზღვარი, რომელზედაც ისხედით. სალოცავად რომ მოხვალთ, მაგ ქვას ნუც თქვენ გადმოსცილდებით და ნუც თქვენი ჩამომავლობა. ჩვენ ვერ მოგიშლით ლოცვას, მაგრამ თქვენმა ქალმა ჩვენს თემს უღალატა და წმიდა გიორგის მებაკური მოაკვლევინა, მის უნჯ ყმათაში ვერ გაერევითო. იყავით ცალკე და მანდედან ილოცეთო (ამ ძველ ქვასთან იყო ხატის კალოც), სასოფლო საქმეში ნუ ჩაერევით, სოფლის და ხევისბრების გადაწყვეტილებას კი უნდა დაემორჩილოთო (ერთხელო — თქვა ლევანმა. — ბეყოშვილმა თათარათ ხთისიამ ამ თუშების ჩამომავლობის კაცი კუწათ ფოცხვერა სასოფლო საქმეზე ლაპარაკში ჩარევისათვის აიყვანა, ხალხს გააცილა, იმ ქვასთან დასვა და უთხრა: შენ ნება ვინ მოგცა ხალხში ლაპარაკისა, შენ იმ ქვასთან უნდა იჯდე და იქიდან ლაპარაკობდეო).

ამ თუშებიდან წარმოიშვა ოთხი გვარი და შემდეგ დაიყვნენ მამებად: ხმელანი, ტრუკანი, ყინწანი, ბადანი, ყაყიჩნი, კუწანი ანე ნადირუანი და ბაღიაურნი... ისინი დანიშნულ კლდეს არ სცილდებოდნენ, იქიდან ლოცულობდნენ და სასოფლო საქმეებში არ ერეოდნენ. პირველად. დაიწყეს მათი დასტურად დაყენება, დროთა განმავლობაში ხალხსაც დაუახლოვდნენ და ხატსაც და ხევისბრობაც დაიწყეს. მაგალითად, ნადირუათ მამიდან ხევისბერი აქნობამდე იყო საღირაი და ყინწათ მამიდან ვადიძე. სასოფლო საქმეებშიც თავისუფლად დაიწყეს ჩარევა.

წმინდა გიორგის ეყმობიან და თემშიაც შედიან მგელანი. მგელათ პაპა გამოჰქცევია ბატონს კახეთიდან. მატნის მარჯვეს სოფელია ქორდი და იმ სოფლიდან გამოქცეული ფშავში მოსულა. უკითხია — რომელი თემი უფრო ძლიერია, რომ შევეხიზნოო. უთხრეს: გოგოლაურთ თემი ძლიერია და სალოცავიც ძლიერი ჰყავსო, მგელათ წინაპარი საღმურთობას ერთი საკლავით მივიდა წმიდა გიორგიში და სთხოვა მფარველობა. გოგოლაურებმა მიიღეს და დააყენეს თავის საკუთარ, მაგრამ განცალკევებულ ადგილში, სახელდობრ ჭაფნაგას, ამის შემდეგ ითვლებიან წმინდა გიორგის ყმად. დასტურობას ასრუ-

ლებენ, ხევისბრობა კი მაგათ აქ არ მოუდის, მაგათი გვარი ხევის ბრობს მათურხევს დამასტურში. დამასტე ჰქვია კახეთში ხსენებულ ერთ-ერთ სალოცავს. დამასტით აყრილა ეს სალოცავი და დაარსებულა მათურხევს, აქაც დამასტურის სახელწოდებით არის.

მგელათ პაპა ამაყი კაცი ყოფილა და ბატონის უსამართლობას გამოჰქცევია. მოსულა თავადი და ისევ წაუყვანია. მეორედ გამოპარულა. მოსულა თავადი და მოუთხოვია ისევ დაბრუნება, მაგრამ მგელათ პაპა ცივ უარზე დამდგარა და ბატონს აღარ გაჰყოლია. ამ დროს დამასტური მათურხევს ყოფილა დაარსებული — დამასტიდან წამოსული მარიამწმიდა დედოფალი. მგელათ პაპა ბატონს რომ აღარ გაჰყოლია, ბატონი დამასტურის ნიშთან მისულა მათურხევს და „შაუძახნებავ“: „დალოცვილო დამასტურო, მარიამ წმიდაო დედუფალო! ეს ჩემი ყმა გამიორგულდა და ვეღარ ვიყმე. შენთვის შემომიწირავს, შენ დაიყმე და იმსახურე, შენის სახელის მადლსა და დიდებას დაუმორჩილე ჩემი ურჩი ყმაო. ამის შემდეგ ხევისბრობა დამასტურში მუდამ მგელათია. აუცილებლივ ერთ-ერთი მათგანი აქ ხევისბერი უნდა იყოს და თანაც მკითხაობაც მოუდირ.

ღადუხნი ანუ გოქიტანი, თანდილანი და მუშტანი ჩამომავლობით ქისტნი არიან.

ქისტეთში ერთ ქისტს კაცი შემოკვდომია და გადმოხიზნულა ფშავში. ის ქისტიც გოგოლაურთ შეხიზვნია. ქისტი გოგოლაურთ დააყენეს ხიშმუში და აქედან წარმოიშვა ზემოხსენებული მამები. ესენი თანდათანობით გადმოვიდნენ ფშაურ წეს-სარწმუნოებაზე და გახდნენ თავარმოწამის ყმანი, აგრეთვე წმიდა გიორგისაც ეყმობოდნენ. თავარმოწამეში დასტურობდენ როგორც სხვა ყველა ხიშმუელნი და წმიდა გიორგიშიც დასტურობდნენ. თანდილათ მესანთლეობაც მოუდიოდათ წმიდა გიორგიში. დასტურობას კი ყველა გოგოლაური ასრულებს ამ ხატში. თავარმოწამეში მარტო ხიშმუელნი დასტურობენ.

გოგოლაურთაში შედის რვა პატარ-პატარა სოფელი, ე. ი. თითოოროლი და ზოგი მეტი კომლით: თურმანაულთა, ჯიგრაულთა, ხიშმუ, ზარისჭალა, ხადო, კადაჩალი და ჭაფნაგა; ეს სოფლები ფშავის ხევს არის გოგოლაურთაში და აქედან გადასახლებული სოფლები სხვა არის. კიდევ ხიშმუს მკვიდრი მცხოვრებნია: ჩიტუანი, ციხენი, მგელაციგაანი, ბუდურანი და ვაჩენი ესენი მთავარმოწამესთან ახლო ცხოვრობდნენ და მისი ყმანი არიან. წმიდა გიორგიში კი ესენიც მარტო დასტურობას ასრულებდნენ. მხოლოდ ამბობენ, რომ ამათი წინაპარი, ე. ი. პაპაც მოხევე ყოფილა, რაღაც მიზეზით აქ შემოხიზნებია გოგოლაურთ თემს და წმიდა გიორგის. აქ, საჩიტაუროში, ერთი ქვრივი ქალი ყო-

ფილა, სახელად სალია, და ეს მოხელე შვილად აუყვანია. სალიას თავისი ერთი ქალი ჰყოლია. ნაშვილებს სახელად ბუთხა ერქვა. ერთი სახელგანთქმული ცხენი იყო და სალიამ თავის ნაშვილობს უყიდა — მისცა შვიდი ფური. მოვიდა სალიას ქალის მთხოვრები და გაათხოვეს. ყველაფერი მოუმზადეს და მზითევში ერთი რაღაცა დააკლდათ. მეორე დღეს კი ქორწილია. ბუთხამ უთხრა დედას: ჩემს დას ვერ გავისტუმრებ ისე, რომ მთელი მზითვი არ გავაყოლოო. შეკაზმა ცხენი და იმავე ღამეს ქალაქში ჩავიდა, საყიდელი იყიდა, დილით წამოვიდა და ვიდრე ქალის წამყვანნი მოვიდოდნენ გოგოლაურთაში, მოვიდა და მოუტანა სამზითვოდ რაც აკლდა. მოსულმა ლექსი წაიკაფიავა:

იმით მიყიდა დედამა შვიდ ფურად კვიცი ცხენია,
საცა რომ გაგიჟირდება, შინ მოგიყვანოს მთელია.

ქალის გათხოვების შემდეგ სალიამ ეს ვაჟიც აქ დააქორწილა. მისი შთამომავლობიდან წარმოიშვა ზემოთ დასახელებული ოთხი მამა. ძველი გვარით არიან ჩიტუანი, დანარჩენებიც ამათი განაყარი მამებია: ციხენი, ბუდურანი და ვაჩენი.

არის კიდევ შემოხიზნული ოსი, რომელიც გამოქცეულა ცხინვალიდან (მთქმელმა არ იცის, რა მიზეზით გამოიქცა, მხოლოდ თქვა — კაცის მკვლელი უნდა იყოსო, ეს ოსიც შემოეხიზნა გოგოლაურთ თემს, დაეყმო წმიდა გიორგის, აქვე მოიყვანა ცოლ-შვილიც. ოსის ჩამომავალნი არიან: ბეყონი, ხუზარანი და ნაცარანი. ამ ოსის ჩამომავლობაში ორის სახელგანთქმული ძმა იყო მეომრობით — ლომი და ხუზარა. ერთი თუში იყო თინიბექი, რომელიც ფშავის თემებს ლაშქრავდა, მიუდიოდა ცხვარ-ძროხა, თან ფშავის თემების სალოცავები აშინებდა. ერთხელ:

თინიბექმ უთხრა მამასა — მამავ, შავყაროთ ჯარია,
ჩავიდეთ ხოშარაშია, ამოვიტანოთ ცხვარია?
— არაო, შვილო თინიბექ, ჰყავის ლაშარის ჯვარია.
— მაშ მათურაში ჩავიდეთ, ამოვიტანოთ ხარია.
— არაო, შვილო თინიბექ, კლდისანი ჰქონან გზანია.
— გოგოლაურთას ჩავიდეთ, იქით მოვსხლიტოთ ცხვარია.
კიბულს* არ ჩაგვაცილებენ ლომ-ხუზაურა ძმანია.
— მაშ ცაბაურთას ჩავიდეთ ბეღელს მოვშალოთ თავია**.
ჩავიდნენ ცაბაურთასა, ბეღელს მოშალეს თავია.

გოგოლაურთა ახლოა ცაბაურთასთან, აქ გაიგეს ლომ-ხუზაური ძმებმა, რომ თუშები ცაბაურთას დაეცნენო. მიეშველნენ და თუშის

* კიბული — მთის სახელია გოგოლაურთაში.
** ამ დროს აქ ბეღელს სპილენძი ეხურა.

ლაშქარი სულ გაწყვიტეს წმიდა გიორგის და მთავარ-ანგელოზის დახმარებით და ლომ-ხუზაურათ გმირობით. ერთი ბერიკაციღა გაუშვეს — თინიბექის მამა და ის როცა თუშეთში მივიდა, თავისმა რძალმა უთხრა მამამთილს: ჩემი ქმარი თინიბექი რა უყავიო? მამამთილმა უთხრა: მუჭისღელეში გავწირეო, ლომ-ხუზაურათ მომიკლესო. (მუჭისღელე არის ცაბაურთის ახლო მთა, სოფლის დასავლეთ მხარეს). ამაზე არის ნათქვამი შემდეგი ლექსი (ზემოთ მოყვანილი ლექსის ნაწილია):

სოფლის ძირს ჩამოეგება მამამთილს თავის რძალიო;
— რა უყავ, მამამთილაო, თინიბექ — ჩემი ქმარიო?
— მუჭისღელეში გავწირე, წითლის არაყით მთვრალიო ***
თავით დაუშვე დროშაი, უყრიალებდა ქარიო,
ფეხთით დაუბი ლურჯაი, ტიროდა როგორც ქალიო.

ამ ლექსიდან ჩანს, რომ თუშებს დროშა ჰქონდათ და ლომ-ხუზაურათ თინიბექი რომ მოკლეს, დროშაც აქ დააგდებინეს.

ზემოთ ითქვა, რომ თავარმოწამეში დასტურობენ მარტო ხიშმუელნი და წმიდა გიორგიში ყველა გოგოლაურნი. ხევისბრობდნენ წმიდა გიორგიში მარტო თურმანაულნი, გოგოლაურთის მკვიდრნი, მცხოვრებნი და უნჯი ყმანი, ისინივე უწევდნენ ხელმძღვანელობას ამ თემსაც და ლაშქრობის დროსაც უძღვებოდნენ დროშით. ეს სხვადასხვა ლექსებიდანაც ჩანს, მაგალითისათვის ერთი ლექსი:

გარამა თურმანაულმა ფშავისხევ მოიარაო,
შაყარა მძიმე ლაშქარი, მათურა შაიარაო,
წითელ-ყვითელი დროშაით ბოროლა გადიარაო.
კისტან ატირდა ბებერი — ლაშქრით სად მიხვალ, გარაო?
— შატილს მივდივარ, ბებერო, ვარდანამ დამიბარაო,
მე-დ იმან უნდა ვიომოთ, უნდა იჯეხოს ცამაო,
გვერდ უნდა გადაიქციოს ვარდანის ციხის ქვამაო.
უნდა დაჭერდენ მასკვლავნი, აღარ იწვიმოს ცამაო,
პირ ცრემლით უნდა იბანოს შუქმ, ვარდანას დამაო,
უნდა ჰყიოდნენ გოზანი ვარდანის ციხესთანაო,
უნდა ტყვრებოდნენ ისარნი, ციხისწვერ ჩარდახთანაო.
გათენებისად მიუდგენ ვარდანის ციხის კარსაო.
კარზე გამოდი ვარდანო, ნუ მიიმთვრალებ თავსაო.
თას თუ გეჭიროს ჭელჩია, გადააწვადე სხვასაო,
ფანდურ თუ ხელჩი გეჭიროს, ძმას მიეც მგელიასაო,
— გამაოლ, მგელიის მზემ, გამავიყოლებ ფარსაო!
ვაი დედა თქვენსა, მშავლებო, ვეღარ გადმავედ ქავსაო.
თორ ქვიშათ ჩაგიწითლებდით, გაზიდვიებდით მკვდარსაო.

გარა თურმანაული აქაც ლაშქრის წინამძღვარი ყოფილა წითელ-ყვითელი დროშით. შატილი გაუტეხია, იქაური განთქმული მეომარი

*** წითელი არაყი — სისხლი.

ვნარდანი მისსაუე ციხეში მოუკლავს და მშვიდობით დაბრუნებულა. ამბობენ: როგორც ძრიელი თემის პატრონი და სახელგანთქმული გმირი მეომარი გარა თურმანაული ლაშარსაც ხევისბრობდა და თავის სათემო სალოცავში წმიდაგიორგიშიც ის ყოფილა თავხევისბერი. თავის თემს, როცა დასჭირდებოდა სადმე წასვლა, სათემო წმიდა გიორგის დროშით გაუძღვებოდა. თუ ფშაველნი სადმე გაილაშქრებდნენ, მაშინ ფშაველთა თორმეტი თემის სალოცავის ლაშარის ჯვრის დროშათ გაუძღვებოდა და გამარჯვებული ბრუნდებოდა.

გოგოლაურთაში სათემო სალოცავი იყო წმიდა გიორგი. თავარმოწამე და მარიანგის ხთიშობელი იყვნენ სასოფლო სალოცავები. აქაური ხთიშობელი არის სოფელ ხიშმუდან დასავლეთ მხარეს, თავარმოწამესთან ახლო. ეს ხთიშობელი არ იყო მოხარნადე, ისეთი ძლიერი არ იყო, როგორც მუქუს ხთიშობელი. არც რამე ჰქონდა თავის საკუთარი, გარდა ერთი კოშკისა. დასტურ-ხევისბრებიც თავარმოწამიდან გადმოდიოდნენ და ლუდიც თავისი მოჰქონდათ. აქ დღეობები ბევრი არ იცოდნენ. თუ ვინმე ფურთ-ნათავარ ქადას მოიტანდა, თავარმოწამის ხევისბერს დაუძახებდნენ და იმას გააჭრევინებდნენ. მთავარი დღეობა მარიანგაში მარიანობა იყო. გოგოლაურთაში მცხოვრებთ ამ დღეობაში ყველას მიჰქონდა ფურთ ნათავარი ქადა, ბოთლით არაყი, ზოგს ზღვნებიც მიყავდა.

როგორც ვთქვით, ლუდი თავარმოწამიდან გადმოჰქონდათ და დასტურ-ხევისბრებიც აქედან გადმოდიოდნენ. სხვა სოფლებიდან ამ ხატში არავინ მოვიდოდა, იშვიათ შემთხვევაში თუ ვინმე ქალ-დისწული ქადას მოიტანდა ფურთ ნათავრისას, ისაც თუ ვისმე გოგოლაურთიდან ნაყიდი ძროხა ჰყავდა ან იქაური ხბო გაზრდილი. იქაურ ხბოს რომ გაზრდიდნენ, პირველ ზვარას გოგოლაურთას ადგილისდედაში დაკლავდნენ, თუ შეთქმული ექნებოდათ. ხშირი იყო შემთხვევა:. იქაურ ხბოს თუ ვინმე იყიდდა, მაშინვე შეუთქვამდა: თუ ეს ხბო გამეზრდება და ხბოს გამიჩენს, ზვარას მარიანგაში დავკლავ და ფურთ ნათავრის ქადას მივიტანო. ეს იმიტომ,რომ ეს ხბო იქაური ადგილისდედის სამფლობელოდან იყო წამოყვანილი.

ყველა ადგილისდედა ასეთ რამეებს თვალყურს ადევნებდა. მისი ადგილიდან წაყვანილი პირუტყვის ნათავარს თუ აქვე არ შემოსწირავდნენ, ძროხა ხეირს არ ნახავდა: ან რძეს არ მოიწველიდა, ან ხბოს არ მოაწოვებდა, ან ხბო მოუკვდებოდა, ან თვითონ მოკვდებოდა და ამიტომ იქვე ამსახურებდენ ძროხის ხბო-ნათავარს, სადაურიც იყო ძროხა. მარიანგას ამ მიზნით უფრო მარიანობას მოდიოდნენ, რადგან მაშინ იყო ამ სალოცავში მთავარი დღეობა. ამ დროს საშუალებაც ჰქონდათ ხალხს ქადების გამოცხობისა. ზვარა კი მაშინვე მიჰყავდათ,

როცა ხბოს ოთხი ან ხუთი კვირა გაუხდებოდა. დაუძახებდნენ თავარმოწამის ხევისბერს და ის დაკლავდა. ხბოს ბეჭს და თავს ხევისბერს მისცემდნენ, დანარჩენი შინ მიჰქონდათ.

ზემოთ ითქვა, რომ მკვიდრი მცხოვრებნი და წმიდა გიორგის უნჯი ყმანი თურმანაულნი არიან და მოსახლეობენ აქვე, თურმანაულთაში. ამჟამად აქ ორი კომლიღაა, დანარჩენი ხალხი გადასახლებულია: ხომში, მაღაროში, ქალილოში და სხვა სოფლებში. თურმანაულები არიან დაყოფილი მამებად: ბღავანნი, ბუტიანი, იანვარნი, ხაჩინი, გარანი, უგონურნი, კაჭაროზანი, გიჟანი და ჯანგირანი. ამათი მამების ხალხი უმრავლესობა ცხოვრობს ხომში, ნაწილი მაღაროსკარში, ცოტანი ცხოვრობენ ქალილოში. მათი გვარის ხალხი სხვა სოფლებშიც არიან გაფანტულნი, მაგალითად, კახეთში და სხვა. გადასულები ძველად დასტურადაც მოდიოდნენ და ზოგიერთი ხევისბერიც იყო. ახლა დასტურად აღარ მოდიან, მხოლოდ მათ გვარში მოწმიდარ-ხევისბრები კი არიან და ზოგიერთ დღერობაში მოდიან. სულხანანიც თურმანაულთ ეკუთვნიან, მხოლოდ თავისი მამის გვარზე ეწერებიან — სულხანიშვილებად. ცხოვრობენ ხიშმუში.

ლომ-ხუზარანი რომ იყვნენ ლომას შთამომავლობა, არა ჩანს, ხუზარანი კი არიან მამებად დაყოფილნი. ამათი მამებია: ბეყონი, წიწონი, ნაცარანი და უფროსანი.

სახონნი ეყმობიან თავარმოწამეს, რადგან მის ახლო ხიშმუში ცხოვრობენ, აგრეთვე შედიან გოგოლაურთის თემში და სათემო სალოცავს წმიდა გიორგისაც ემსახურებოდნენ დასტურობით. ხახონნი ჩამომავლობით არიან ხევსურნი, შატილის თემის სოფელ გიორწმიდიდან. ამათი პაპა ყოფილა საგინა გიორწმიდელი. მას ჰყოლია ცოლად შატილიდან ჯალაბაურთ ქალი. ჯალაბაურნი ბევრი ძმები ყოფილან, ძალიან ამაყები. მათი სიძე საგინა მონადირე კაცი ყოფილა. ერთხელ ჯიხვი მოჰქონებია; გაძოსულან გზაში ცოლისძმები და წაურთმევიათ. მეორედაც და მესამედაც ასე მოჰქცევიან და სახლში ცარიელი გამოუშვიათ. ბოლოს ცოლმა უთხრა: რა ვუყოთ, რომ ჩემი ძმები არიან, კაცად აღარ გაგდებენ — შენც ხომ კაცი ხარ, ცოლ-შვილი გყავს და ცხოვრება გვინდა. მაგ ჩემს ძმებს თუ სამაგიეროს არ გადაუხდი, შენ კაცი არ იქნებიო. საგინა მარტო კაცი იყო, თავისი არავინ ჰყავდა და რას გაუხდებოდა იმოდენა ძმებს. ადუღა ლუდი და დაპატიჟა ცოლისძმები. ამის ცოლისძმებთან ფშავლებს ჰქონდა მოსისხლეობა (ზემოთაც არის მოყვანილ გარას გალაშქრების ლექსი შატილში ვარდანაზე). საგინა ჩუმად წამოვიდა და შეიპირა ფშავლებიც: ცოლისძმებს დავათრობ, თქვენ ახლო დაიმალენით და როცა განიშნებთ, თავს დაეცენით და ამოხოცეთო. დანიშნულ ღამეს მოუვიდენ ცოლისძმები. გახსნა კოდები და დაიწყეს სმა. მისმა ცოლისძმე-

ბმა დათრობამდე კი მასპინძლის პატივისცემას დაუმორჩილეს თავი და როცა დათვრნენ, თვითონ მიჰყვეს ლუდიან კოდებს ხელი, რაც მასპინძლის შეურაცხოფად ითვლებოდა. ამ დროს ფშავლებიც სახლთან ახლო დამალულები იყვნენ — გოგოლაურთ თემიდან გარას მეთაურობით. როცა ჯალაბაურნი ძალიან დათვრნენ, საგინამ ფშავლებს შეატყობინა, დაეცნენ და ამოხოცეს ჯალაბაურნი.

ერთ-ერთ იმათ ძმას გიორწმიდელი ქალი ჰყოლია სწორფერი. იმ ქალს ალბათ რაღაც ეჭვი ჰქონდა და ეს ჯალაბაურთ უმცროსი ძმა შინ წაუყვანია და ის გადარჩენილა ცოცხალი. საგინა თავის ცოლ-შვილით და ქონებით წამოუყვანიათ ფშავლებს და იმავე ღამეს ფშავში გადმოსულან. მოუყვანიათ გოგოლაურთაში და სოფელ ხიშმუში დაუსახლებიათ. საგინას ჰყოლია შვილი ხახონი და მისი შთამომავლობა ახლაც ხახონიშვილებად ეწერებიან. ამ ამბავზე ჯალაბაურნი და ხახონიშვილები დიდხანს მტერობდნენ, მაგრამ გოგოლაურები მაგარი თემი იყო. ჯალაბაურნი უკაცურად დარჩნენ და ვერ შემოუვიდოდნენ ადვილად ხახონიშვილების მოსაკლავად. მაშინ ერთი ძმაღა დარჩა ცოცხალი ჯალაბაურთი, სახელად წიქა. მისი შთამომავლობა როცა გამრავლდა, ფშავ-ხევსურების შუაკაცებმა ლაშარის ჯვარში შეარიგეს. ნაწილი დრამა მისცეს ხახონიშვილებმა, ნაწილი მათ ლაშარის-ჯვარს და ხალხს აპატიეს.

ამნაირად დასახლდა ხახონაშვილი ხიშმუში; აქ ემსახურება თავარმოწამეს დასტურად და წმიდა გიორგიშიც დასტურობენ. არიან გოგოლაუთ თემის სრულუფლებიანი წევრები. ამჟამად ხიშმუში ერთი კომლი ცხოვრობს, დანარჩენი გადასახლებული არიან კახეთის მხარეს.

გოგოლაურთ თემში შედიან კაკაბელნი. ისინი არიან კაკაბეთიდან ბატონს გამოქცეულნი. მათი პაპა ერთ-ერთ დღეობაში გოგოლაურთ სათემო სალოცავში წმიდა გიორგიში მისულა და მიჰბარებია ხატსაც და ხალხსაც. წინათ ხალხში და ნამეტნავად ვოგოლაურთ თემში ამანათის მიღება და შენახვა ხშირი შემთხვევა ყოფილა. რამდენიც მეტ ამანათს შეინახავდა თემი, იმდენად სახელოვანი და ძლიერი იყო. ამანათი კარგა ხანს იყო სასოფლო-სათემო საქმეებში ჩარევის უფლებას მოკლებული და მათ გადაწყვეტილებას ემორჩილებოდა. ხათრით იყო სოფელთან და ბევრ რამეში ეხმარებოდა თავის სურვილის გარეშეც იმიტომ, რომ სოფელს კარგად მიეღო და არ დაეთხოვა. უმრავლესობა კარგადაც ექცეოდა, მაგრამ ამანათი ხარ და მაგისი უფლება ვინ მოგცაო — ზოგ რამეზე ასეც ეტყოდნენ. რომელ სოფელსაც მეტი ამანათი ჰყავდა, როგორც ვთქვით, წინაურდებოდა და სახელიც ჰქონდა. ამიტომ გოგოლაურთ თემი ძლიერი იყო

და შეხიზნული ხალხიც ბევრი ჰყავდა. მან კაკაბეთიდან გამოქცეული კაცი შეეხიზნა, ცოლშვილიც აქ მოიყვანა. გახდა წმიდა გიორგის სრული ყმა და მისი თემის წევრი. ემსახურებოდა დასტურობით. პირველად ბოგოლაურთაში ცხოვრობდნენ და ბოლოს გადასახლებულან მაღაროში. ახლა რომ ჰკითხოთ, გეტყვიან: მე ბოგოლაური ვარ, წმიდა გიორგის ყმაო.

ბომეწარ-მაღაროში და ხომში არიან ბოგოლაურთ თემში შემავალი ერთიმეორის მონათესავე მამები: ქანანი, გიჟანი, წელანი მუშტანი. ესენი ერთიმეორესთან ერთობენ და მთქმელმა ასე ჩამაწერინა, რომ მაგათი წინაპრები მკვიდრი ბოგოლაურები ყოფილანო. ეყმობიან თავარმოწამეს საკლავით და სანთლით, დასტურობას კი წმიდა გიორგიში ასრულებდენ ხევისბრობა მაგათ არ მოუდიოდა.

დღეობები წმიდა გიორგიში და თავარმოწამეში ერთი და იმავე დროს იცოდნენ, რაც ბოგოლაურთის რელიგიური წლიური კალენდრის აღწერილობაში არს მთითებული. გვარებზეც დაიწერა თემებთან დაკავშირებით და ახლა ყველა გვარების დაყოფა მოხდა სალოცავებთან დაკავშირებით, თუ რომელი გვარი მკვიდრი მცხოვრები იყო, რომელი საიდან შემოხიზნული; გვარში მამა რა როლს ასრულებდა სასოფლო ან სათემო სალოცავში. აქ როგორც ჩამაწერინეს, წმიდა გიორგის ემორჩილებოდა ყველა, ბოგოლაურთის მცხოვრები მკვიდრი და არამკვიდრი. მხოლოდ თავარმოწამეს უფრო ხიშმუელნი ემორჩილებოდნენ დასტურ-ხევისბერობით. ხატის მომიზეზებით კი ყველა ბოგოლაურს მიჰქონდა სანთელ-საწირი, მოჰყავდა ზღვენი და სხვა. ყველა ბოგოლაური ვალდებული იყო ახალშემომატებული ბავშვი ბოგოლაურ კაცს წმიდა გიორგიში გაეყვანა.

ქისტაურნი და მათი მამები იახსართან დაკავშირებით

ქისტაურნი არიან ქისტების ჩამომავალნი. სოფელ ცხორეგოში, ფშავლების თქმით, ერთ ქისტს კაცი შემოჰკვდომია და გადმოხიზნულა. დამდგარა ცარიელ ადგილ შუაფხოში. მას ორი ძმა ჰყოლია და სამივენი გამოხიზნულან. ერთი ძმა დამდგარა მათურაში, ერთი ხევსურეთში — სოფელ ღულში, სადაც გამრავლებულა და მალე სოფელი შექმნილა. ისინი დღესაც ძველ გვარზე ქისტაურობით ეწერებიან. ფშავში დამდგარი ძმების ჩამომავლებს კი ძველი გვარი გამოუცვლიათ, მამებად დაყოფილან და გვარებიც მამების მიხედვით აქვთ. საერთოდ კი მათ ქისტაურნი ანუ საქისტაურო ეწოდება.

შემოხიზნული არიან სხვა ხალხის ჩამომავლებიც. მაგრამ თავს ქისტაურს უწოდებენ. მაგალითად, ხორცი თუ კარგად მოხარშული

არ არის, სხვა ფშავლები დასცინებენ — საქისტაუროდ მოხარშულიაო ქისტი ხორცს კარგად არ მოხარშავს და მგელივით უმსა ჭამსო. მგელი ხომ მგელია და ის კაცი ყოჩაღობით მგელსა ჰგავს, ხორცი მოხარშულია თუ არა, არ ჭიაყელაობს და მგელივით ყოჩაღად შეჭამს. მაგალითად, ყოჩაღ კაცს — მგელი ხარ, მგელიო, — ეტყვიან — და ისიც ამ სიტყვას თავის საქებურად ღებულობს. — ქისტი ხარ, ქისტიო — ყოჩაღ კაცს ამასაც ეტყვიან და ამიტომ არაქისტაურებიც ქისტაურობას არ უარყოფენ. პირიქით, იჩემებენ კიდევაც, რომ ჩვენ ქისტაურები ვართო.

ქისტაურებში იახსარის უნჯი ყმანი არიან ბადრიაანი და ჩაქუნანი. ბადრი და ჩაქუნა ძმები ყოფილან. მათი ჩამომავლობა მამებად არის დაყოფილი და, როგორც ვთქვით, თითო მამა თავთავის გვარს ატარებს (ფშავში ადვილად იციან გვარების გამოცვლა. მაგალითად, სოფელ უძილაურთაში ბიძაშვილთაშვილები ცალკე თავთავის გვარს ატარებენ — კოშლიშვილს ერთები და მეორენი მადურაშვილს. ისე კი ერთიმეორეს თავის ჯალაფთ ეძახიან. ხევსურეთში კი გვარის გამოცვლა სამარცხვინოა და ძალიან იცავენ ძველ გვარს. მაგალითად, ერთხელ მე მახსოვს, არაბულის გვარმა გვარის ყრილობა მოახდინა: გვარი გავყაროთ, თორემ ხევსურეთში მთელ ხევსურეთის ნახევარს უდრის ჩვენი გვარი. და ცოლის მოყვანა გვიძნელდება, რადგან სხვა გვარის ხალხი ბევრი არ არისო. გავყაროთ გვარი ისე, რომ ვინც შორეული ვართ, ერთიმეორის ქალი შევირთოთო. ამ ყრილობას, რა თქმა უნდა, მათი გვარის თავკაცები დაესწრნენ; დათვისელი — მინდიათ აბა, ჯულთები: ბაბუკი და გოგიტა და მათ ჩაუშალეს გვარის გაყრის პირი: თუ ვინმე ხევსურეთში ცოლს ვერ იშოვის და თავის გვარის ქალს ე. ი. თავის დას ცოლად შეირთავს, ის კაცი კაცი არ არის, მოსაკვეთი და ჩასაქოლავია. ან გვარისათვის რა კაცია ის და ან თავისთავად რას წარმოადგენსო. უმრავლესობამ მხარი დაუჭირა ამ თავკაცებს და არ გაყარეს გვარი).

ბადრიანნი იყოფიან შემდეგ მამებად: ბადრიანნი, ჯაბანნი, ფოცხვერანი, ავთანდილნი და თვარელანი. მარტო ბადრიანნი არიან თავის გვარზე, დანარჩენები მამების სახელს ატარებენ გვარად, მაგალითად: ჯაბანიშვილნი, თვარელაშვილი და სხვა. ბადიიანები ყველანი ესახურებოდნენ იახსარს ხევისბრებადაც — მეხატე, მესანთლე, მედროშე და სხვა, და დასტურებადაც.

მეორე ძმის — ჩაქუნას — ჩამომავლები დაყოფილი არიან შემდეგ მამებად: ჯიხვიანნი — ჯიხვიშვილი, ელიზბარაშვილი, ქოჩაშვილი, ტოხიშვილი, ჯერვალიძე და ყეინიშვილი. როგორც ბადრიანნი, ისევე ჩაქუნანიც იახსარს ეყმობოდნენ და ემსახურებოდნენ ყველანაირად (ხევისბრობა ყველა სახისა, თუ ხატი მოიკითხავდა, დასტურობა და სხვა).

შუაფხოში თემის წევრნი და იახსარის ყმანი იყვნენ ბერიკაულნი. ისინიც თავს ქისტაურად სთვლიდნენ, მაგრამ ნამდვილი ქისტაურები არ იყვნენ. ისინი იყვნენ კახეთიდან ბატონს გამოქცეულნი, თემსა და იახსარს შეხიზნულნი და გაქისტაურებულნი. იმათ თავხევისბერობა არ მოუდიოდათ, მოწმიდარნი კი იმათ გვარშიც იყვნენ და ხატს დასტურად, ზღვნობითაც და სანთლითაც ემსახურებოდნენ, როგორც ნამდვილი ყმანი.

გაქისტაურებულნი იყვნენ: ბერიანიც. ამათი პაპა გამოქცეული ყოფილა ჯავახეთიდან ბატონის უსამართლობის გამო. მთქმელმა მითხრა მაგათი პაპის ნათქვამია ეს ლექსიო:

მე ჯავახეთს რა მიშავდა, მთვარე იდგა მზესავითა,
ალმახი და ქერის პური წინ მეყარა ბზესავითა.

ეს შემღერნა ერთ-ერთ დღეობაში ლექსობის დროს და იქიდან ხალხში გავრცელდაო. ბერიათას არც ხევისბრობა მოუდიოდათ, დანარჩენ წესს კი ყველაფერს ასრულებდნენ იახსარში. დასტურობდნენ, ზღვნობდნენ და თემის წევრნი იყვნენ ისე, როგორც ნამდვილი ქისტაურნი, თავს დღესაც ქისტაურს უწოდებენ.

გაქისტაურებული იყო უკანაფშაველი კაცი ყლარტიაული. ამ კაცს უკანაფშავში კაცი შემოკვდომია და შემოხიზნულა შუაფხოს თემში. ამათ ხევისბრობა არ მოუდიოდათ, მაგრამ იახსარმა მოითხოვა, ერთი მათი გვარის კაცი ხუმარა ყლარტიაული და თავხევისბრად იყო სიკვდილამდე. ის იყო ხელწმიდა კაცი, ხევისბრობასაც ასრულებდა და მკითხავიც იყო. დანარჩენი ამ გვარის ხალხი დასტურობას ასრულებდა, თემის წევრი იყო და მონაწილეობას ღებულობდა ყველა საჭირბოროტო საკითხებში შუაფხოს თემში. აქ ვინც შემოხიზნული ხალხია, არავინ სხვას არ გეტყვის, სადაურობა რომ ჰკითხო, მაშინვე გიპასუხებენ: ქისტაური ვარო, ქისტაურობენ ყველანი.

აქვე არის გაქისტაურებული ოსი ჩარბოდაშვილი. ჩაქუნათ კაცს უპოვნია უპატრონო ოსის ბავშვი და მოუყვანია. ჰკითხეს — საიდან მოიყვანეო და უპასუხა: აიქ ჩარბოდა და დავიჭირეო. გაიზარდა ეს ობოლი და რაკი მომყვანმა თქვა: ჩარბოდა და დავიჭირეო, გვარად დაერქვა ჩარბოდაშვილი. ჩარბოდაშვილი რომ გაიზარდა, ჩაქუნაურთ აქვე უთხოვეს ცოლი და დაცოლშვილდა. გახდა შუაფხოს სრულუფლებიანი წევრი. დაიწყო მეცხვარეობა და მათი გვარი სახელგანთქმული გახდა ცხვრის სიმრავლით. გაქისტაურდნენ და იახსარს ისე ემსახურებოდნენ, როგორც ნამდვილი ქისტაურნი. ხევისბრობა არ მოუდიოდათ, დანარჩენ წესებს კი ყველაფერს ასრულებდნენ.

ხევსურეთში, სოფელ ღულში, არიან ნამდვილი ქისტაურები. როგორც ვთქვით, ისინი ერთ-ერთი ძმის ჩამომავლები არიან და მთელი

სოფელი ქისტაურად ეწერება. ისინი ეყმობიან იახსარს, მოწმიდარი კაცები არიან. ხშირად მოდიან იახსარში სალოცავად ზღვნითა და სანთლით. დასტურობას და ხევისბრობას კი აქ არ ასრულებდნენ, საერთო მტერთან კი ერთიმეორეს ემხრობოდნენ. თემის საჭირბოროტო საკითხებში არ ერეოდნენ და როგორც ამბობენ, ამ თემის ნამდვილ წევრად არც ითვლებოდნენ. თუ სადმე მთლიანად ფშაველ-ხევსურნი წავიდოდნენ სალაშქროდ, მაშინ წავიდოდნენ ღულელნიც. ასეთი შემთხვევა კი არ ყოფილა, რომ როგორც შუაფხოელთ განაყარნი, ისე დახმარებოდნენ შუაფხოს თემს, წყინოდენ კი ერთიმეორის ზიანს. მაგალითისათვის: როშკელმა თათარამ მოკლა შუაფხოელი ხევსურა. ამაზე როშკელებს ღულელებიც გადაემტერნენ — ჩვენი ქისტაური რად მოკალითო.

იახსარის სალოცავად ხანდახან სერობას მთელი სოფელი მოვიდოდა — კაცი და ქალი, მოიყვანდნენ ცხვარ-ჭედილაებს და კურეტებს.

როგორც ვთქვით, ერთი ძმა მათურაში დასახლდა და იქ გამრავლდა მისი ჩამომავლობა, ისინი იწერებიან ხუციშვილებად. ეყმობიან მათურის მთავარანგელოზს, დასტურ-ხევისბრობასაც იქ ასრულებენ. მთავარანგელოზში თავხევისბერობაც იმათია, მაგრამ იახსარსაც ისევ ეყმობიან, როგორც ნამდვილი ყმა ქისტაურნი. დასტურ-ხევისბრობას აქ არ ასრულებენ, მაგრამ ზღვენ-სანთელს კი აქაურობაზე მეტს სწირავენ. მთავარანგელოზში თავხევისბერი უკანასკნელად ფურჩია ხუციშვილი იყო, თანაც მკითხაობდა. მიუხედავად იმისა, რომ იქ ემსახურებოდნენ მთავარანგელოზს, — ბავშვი მაინც იახსარში უნდა გაეყვანათ ხატში გაყვანის წესით და სხვა ასეთი წესებიც აქ შეესრულებინათ, რასაც თავისი მთავარანგელოზიც არ უშლიდა.

ხუციანნი არიან ქისტაურნი მესამე ძმისა, რომელიც კოჭლი ყოფილა და შუაფხოში დამდგარ ძმას გაუგდია. შუაფხოში დამდგარი ძმა ავკაცი ყოფილა და ყველას ავად ექცეოდა — თავისასაც და სხვისასაც. ბოლოს ერთ ხევსურთან მოსვლია ჩხუბი და იმ ხევსურს მოუკლავს, ხევსური აქედან გაქცეულა და მოკლულის მეორე ძმას შეხვედრია მათურაში. ეს კოჭლი ძმა სათიბს ყოფილა და მისი ძმის მკვლელი, აქედან გაქცეული და ხევსურეთისაკენ მიმავალი, შემთხვევით შეხვდა. დაისვენა მთიბელმა და ხევსურიც დაღლილ-დაქანცული იმასთან დაჯდა. ხევსურმა არ იცოდა, რომ ეს კაცი მისი მოკლული კაცის ძმა იყო. კოჭლმა მთიბელმა ჰკითხა: სად ყოფილხარ, ძმობილო, და ეგრე აჩქარებით და გაოფლიანებული საიდან მოხვალო? ხევსურმა ჯერ დაუმალა და მერე იფიქრა: მათურაში იმ ქისტისა ვინ იქნებაო და ყველაფერი უთხრა: შუაფხოში ერთი ძალიან

ავკაცი ქისტი ცხოვრობს, გამიხადა ჩხუბი, მანამდე მითრია, სანამ მთელმკვდარი არ დამაგდოო. მეც გამწარებულმა ხანჯალი ვიხმარე და მოვკალიო. იმას ახალგაზრდა შვილები ჰყავს და სანამ გაიგებდნენ, მინდა პირიქითს გადავასწრო, თორემ ცოცხალს არ გამიშვებენო. კოპლი მიხვდა, რომ ამ ხევსურს მისი ძმა მოუკლავს და პირდაპირ შებრძოლების მაგიერ ხერხი იხმარა: ის კაცი ჩემი მტერიც იყო, კარგი გიქნია, რომ მოგიკლავს, ცუდი კაცი იყო, აწუხებდა ქვეყანასაო. ამ ლაპარაკში თან ცელს ლესავდა. იხილთა დრო, მოუსვა ცელი კისერში და ცალკე თავი გაგორდა და ცალკე ტანი დარჩა. ასე იძია შური კოპლმა ძმამ.

ქისტაურები და შუაფხოს იახსარი შუაფხოს ხეობაზე არიან დამკვიდრებული, აქვე არის ერთი პატარა ხეობა, სადაც ორი სოფელია: ვანხევი და არახიჯა. ვანხევში ცხოვრობენ ხუცურაულები, არახიჯაში — ციგროშვილები. ხუცურაულები მთიულები გადმოსახლებულან ხორხიდან და აქ გაფშავლებულან. თერთი ხარით გაჰფიცვიან ქისტაურებს და დაჰყმობიან მათ იახსარს. შედიოდნენ ქისტაურების თემში და ყველა სათემო საქმეებში ერეოდნენ. ხეისბრობა მათ არ მოუდიოდათ, დანარჩენ სამსახურს ყველაფერს ასრულებდნენ. ხარ-ნადში გამოდიოდნენ და მონაწილეობას ღებულობდნენ. დასტურადაც დგებოდნენ, როცა რიგით შეხვდებოდათ. ზღვენი და სანთელი ხომ სხვა ქისტაურებზე და იახსარის ყმებზე მეტი მოჰქონდათ. ბავშვი იახსარში გაჰყავდათ. ახალ მოყვანილი რძალიც თავისი წესით იახსარში უნდა გაეყვანათ. ისეც ხელწმიდა კაცები იყვნენ, რომლებიც ნალახში არ დადიოდნენ, იახსარი უბრძანებდა წმიდობას და წმიდობდნენ. როგორც ვთქვით, ხარ-ნადში მონაწილეობას იღებდნენ (ხარი ნიშნავს ხვნას, ნადი კი ორივეჯერ არის ხვნაშიც და მკაშიც), ისინი ორივეჯერ გადმოდიოდნენ და როგორც სხვა ქისტაურნი ხნავდნენ, მკიდნენ და დასტურობდნენ.

არახიჯაში ცხოვრობდნენ დიგროშვილები. ჩამწერინებმა არ იცის, საიდან მოსულან ისინი. სხვებმაც ასე გადმომცეს, რომ მკვიდრი მცხოვრებნი არიან, ნამდვილი ფშავლებიო. ამ გვარში ცოტა ხალხი ყოფილა და საკუთარი თემი არ ჰქონიათ. რადგან შუაფხოს თემი ახლო იყო და იახსარიც, ამათაც ქისტაურების ნებართვით მოიყვანეს ერთი თეთრი ხარი, ძმად გაეფიცნენ იახსარის ყმა ქისტაურთ და იახსარს დაეყმნენ. ერთი ხატის ყმებში ქალის თხოვა-გათხოვება სასტიკად აკრძალული იყო და ერთიმეორეს და-ძმას ეძახოდნენ. თუ ასეთს ვინმე გაბედავდა, გააძევებდნენ თემიდან. ერთი ხატის ყმების დაქორწინება მთელს ფშავში აკრძალული იყო. ეს ვრცელდებოდა სათემო ხატის ყმებზე. თორემ ლაშარის ჯვარის ყმანი იყვნენ მთლი-

ანად თორმეტი თემის ფშაველნი და მაშ სად ითხოვდნენ ქალს, თუ ერთმანეთში არა?!

ციგროშვილები ემსახურებოდნენ იახსარს დასტურობით, ხარ-ნადით, ზღვნითა და სანთლით. ხევისბრობა არც ამათ მოუდიოდათ და ხელწმიდა კაცები კი იყვნენ აქაც (ნალახში არმოსიარულენი და ყოველწლიურად რომ ინათლავდენ ხელ-მხარს). ვანხევ-არახიჯელ ხელწმიდა კაცს ჩაბარდებოდა მარტო შემოწირული ქადა-პურის დაჭრა, ან მესუფრეობა, ე. ი. დიასახლისობა, ხატში ხორცის მოხარშვა, სუფრის გამზადება და მიტანა დასტურ-ხევისბრებისათვის. ეს ორივე გვარი ვანხევისა და არახაჯისა ერთნაირი უფლებებით სარგებლობდა, თემის ყრილობაზე მონაწილეობას ღებულობდა და ქისტაურობდა.

მათურის თემი. მათი სალოცავი მთავარანგელოზი და მასთან დაკავშირებული მამები და გვარები

მათურის თემი ეყმობოდა მათურის მთავარანგელოზს. ამ სალოცავის უნჯნი ყმანი და მათურის მკვიდრი მცხოვრებნი იყვნენ ზურაბაულნი. ზურაბაულთ გვარი ღანაყარია წითელაურთ გვარისა — წითელაურთიდან მოსულან, დასახლებულან მათურაში და დაყმობიან მთავარანგელოზს. ამათი ჩამომავლობა იყოფა შემდეგ მამებად და გვარსაც თავთავის მამებისას ატარებენ: თადიაურნი ეწერებიან თადიაურებად, ავთანდილანი — ავთანდილაშვილი, ხიბლანი — ხიბლაშვილი, თუთულანი — თუთულაშვილი, დუსხაჭი — დუსხაშვილი, ბაჩუანი — ბაჩუაშვილი. ამათი გვარი პირველად ზურაბაული ყოფილა და მერე დაშლილან ცალკე გვარებად. ყველა მამაში მოუდიოდა ხევისბერობა, ვისაც ხატი მოიკითხავდა და რაიმე საქმეს ჩაბარებდა (დროშა, ზარი, საკლავის დაკვლა, ქადების დაჭრა და სხვა). ხატი ხევისბრად მკითხავების თქმით ვისაც მოიკითხავდა, დაემორჩილებოდნენ ხატის სურვილს. მკითხავივე ეტყოდა, რა თანამდებობასაც აბარებდა ხატი და რჩებოდნენ იმ თანამდებობაზე. ყველა ამ თემში შემავალი გვარი დასტურობდა მორიგეობით. დასტური ერთ წელს ცხოვრობდა ხატში (ამაზე მათურის სალოცავის აღწერილობაში გვექნება ლაპარაკი). ესენი ზღვნით, სანთლით და ხარ-ნადითაც ემსახურებოდნენ მთავარანგელოზს.

მათურაში არიან მოსული გვარები, რომლებიც ეყმობოდნენ მთავარანგელოზს და შედიოდნენ მათურის თემში. მაგალითად: ქისტაურნი — გვარად ხუციშვილნი: ამათი პაპა არის შუაფხოდან გადასული (პაპა: წინაპარი). შუაფხოში ბადრიანთ ბავშვი დაობლებულა, მამიდა ჰყოლია მათურაში გათხოვილი. ობოლი ძმისწული წაუყვანია და

მათურაში გაზრდილა. იქ დაცოლშვილებულა და ხუციშვილად დაწერილა (ამაზე ზემოთაც გვქონდა საუბარი). ეს გვარი გამრავლებულა და ისე ყოფილა, როგორც ნამდვილი მათურელთ თემის წევრი და მთავარანგელოზის ყმა. ამათ მამიშვილობას მთავარანგელოზში ხევისბრობაც მოუდიოდა და დასტურობასაც, როგორც სხვა მათურელები ისე ასრულებდნენ. მაგრამ ამათ მამაშვილობას შუაფხოს იახსარიც თავს არ ანებებდა. იქ არც ხევისბრობდნენ და არც დასტურობდნენ, მაგრამ ბავშვი და ახალმოყვანილი რძალი იახსარში უნდა გაეყვანათ. ზღვენი და სანთელიც ჩვეულებრივ უნდა მოეტანათ. ხელმხარს კი მათურის მთავარანგელოზში ინათლავდნენ, სადაც დასტურობდნენ. ქალის გათხოვებაც იყო მაგალითი ერთიმეორეში, რადგან ისინი მთავარანგელოზის ძირითად ყმად ითვლებოდნენ და დასტურ-ხევისბრადაც იქ მსახურობდნენ. მათურის თემის წევრადაც ითვლებოდნენ. ამიტომ ალბათ არ ეკრძალებოდათ ერთიმეორეში თხოვა-გათხოვება.

იახსართან დაკავშირებით გვქონდა საუბარი, რომ ერთ ძმა მათურაში დამდგარა და ხუციშვილები იმათი ჩამომავლები არიან, ე. ი. ქისტაურთ განაყრები. ამათაც ბავშვი შუაფხოს იახსარში გაყავდათ, დასტურ-ხევისბრობას კი მათურაში ასრულებდნენ. ამიტომ შუაფხოველები და ხუციანნიც თხოულობენ ერთიმეორის ქალს. მაგალითად, მთავარანგელოზის უკანასკნელი ხევისბერი ფუნჩია შუაფხოელი ჯიხვიშვილების დისწული იყო. ხელმხარსაც მათურაში ინათლავდნენ და უნჯ ყმად ითვლებოდნენ მთავარ ანგელოზში.

აქვე არიან თათარანი — თათარაშვილები. ესენი არიან თათრები. მათი წინაპარი საიდან მოვიდა, მთქმელმა არ იცოდა, მხოლოდ დანამდვილებით იცის, რომ თათრის ჩამომავლები არიან. აქ გაქრისტიანებულან, დაჰყმობიან მთავარანგელოზს და მათურის თემის წევრნი გამხდარან. ამათ გვარს ხევისბრობა არ მოუდიოდა, დასტურად კი დგებოდნენ, როცა რიგით შეხვდებოდათ, მთავარანგელოზს ზღვენ-სანთლით ემსახურებოდნენ, ბავშვის და რძლის გაყვანა და ყველა აქაური წესის შესრულება ევალებოდათ, გარდა ხევისბრობისა.

გახუტელათ შესახებ მთქმელმა თქვა, რომ ისინი არც ხუციანთანი არიან და არც ზურაბაულთანი, ვიცი, რომ მოსულნია, მაგრამ საიდან, არ ვიცი. თემის წევრნი არიან და მთავარანგელოზის ყმანი. დასტურობას ასრულებენ. ხევისბრობა გახუტელთ გვარს არ მოუდიოდა. დანარჩენ ყველა სახატო წესს ასრულებდნენ.

ხოშარლები პირველად ატარებდნენ გაბიდოურს გვარად. ხოშარის თემი ერთ-ერთი გვარძლიერი თემი იყო. სათემო სალოცავი ამათი ყოფილა ღელე, თამარ-ნეფის ხატი. ეს ხატი რამდენიმე სოფელს აერთიანებდა, მაგრამ უნჯი ყმანი იყვნენ გაბიდოურები. გაბიდოურები ძველად ორ ადგილზე თურმე ცხოვრობდნენ — ხოშარაში და ღელეს, სადაც ეხლა თამარ — ნეფის ხატია.

ხოშარის აღწერილობაში ნათქვამია, რომ აქ წინათ ხატი არ ყოფილა, ცხოვრობდნენ გაბიდოურები, მაგრამ ღამე რომ კალოს ლეწავდნენ, ხარებს რქებზე თურმე ცეცხლი უჩნდებოდა. შეშინდნენ გაბიდოურები და მიმართეს მკითხავს. მკითხავის თქმით, აქ გაჩნდა თამარ-ნეფის ხატი, ე. ი. თამარ-ნეფეს ხატად ილოცავდნენ (ზოგის თქმით, თამარ მეფემ შესწირა ხატი და ამაზე ილოცავდნენ. ზოგის თქმით, აქ იყო საფლავი, რომელსაც თამარ მეფის კუბოს ეძახდნენ და ამაზე გააჩინეს სალოცავიო). სოფელი აიყარა და ყველანი გადასახლდნენ ხოშარაში. სასოფლო მამულები დარჩა ხატის სანადოებად ანუ ხოდაბუნებად. გაბიდოურები ხოშარიდან ემსახურებოდნენ თამა-ნეფის ხატს. წლის ბერები აქედანაც დგებოდნენ, ახადიდან და ჭიჩოდანაც. ხევისბრებიც უფრო გაბიდოურებიდან იყვნენ. ის კი ხატის მოკითხვით ხანდახან სხვა სოფლებიდანაც დგებოდნენ.

გაბიდოურები დაყოფილი არიან გვარებად: მამიერანი — მამიერაშვილი. ამ ქვეგვარს მოუდიოდა ხევისბერობა; მგელუანი ან აფშინანი, ესენი ერთი და იგივენი არან. ამათაც ჰყავდათ ხელწმინდა კაცები და ხევისბრობაც მოუდიოდათ. დასტურად ამათი გვარიდანაც დგებოდნენ. იყვნენ კიდევ ზეზვანი — გაბიდაურების ქვეგვარი. ესენიც ისე მონაწილეობდნენ სახატო და სათემო საქმეებში, როგორც სხვა გაბიდაურები. როგორც ვთქვით, ამათი სათემო სალოცავი იყო ღელეს თამარ-ნეფე. მათ სასოფლო ხატიც აჰყავდათ (აწერილია რელიგიურ წლიურ კალენდარში) —სახუთმეტო თავადი ძელის ანგელოზი, და ამავე ხატში იყო გიორგი კოშკის ანგელოზი. ეს სალოცავები იყო გაბიდოურთა თემის ანუ ხოშარის სასოფლო სალოცავები.

ხოშარის თემში შედიოდნენ გაფიცული გვარები: ნაკვეთაურნი, რომლებიც არიან თათრის ჩამომავალნი. რატომ წამოსულა, არ იციან, ჯავახეთიდან წამოსულა მაგათი პაპა და შემოხიზნულა ხოშარის თემში. აქ დაჰყმობია მათს სალოცავს. გაბიდოურებს სოფელში დაუყენებიათ და მიუღიათ თავისი თემის წევრად. ბოლოს თამარ-ნეფეს ისე ხელი დაუდვია ამათი გვარისათვის, რომ გვარში თითო ხევისბერი მუდამ იყო.

ერთი ხნიერი კაცი იყო ბეჟანა ნაკვეთაური — მიამბო ბასილმა — ჩემს ბალღობისას და ის ამბობდა: ჩვენი ნაციხვარი ჯავახეთში ისევ არის, საიდანაც ჩვენი პაპა წამოსულაო.

ხახანი არიან ქრისტის ჩამომავალნი. ამის შესახებაც მოთხრობილია რელიგიურ დღეობების კალენდარში ხოშარის სალოცავების აღწერასთან დაკავშირებით. მაგათი პაპა ყოფილა ქრისტეთიდან გადმოხვეწილი, ალბათ მკვლელობაზე. ეს ქრისტი, სახელად გეზელი, დასახლებულა ახლანდელ მაღაროსკარის თემში შემავალ სოფელ კაწალხევში. აქ მოსულა სტუმრად მეფე ერეკლე, დაღლილს დაუძინია. მხლებლებს ხალხისთვის უთქვამთ: მეფეა, ღმერთის სწორი კაცი და რასაც მოითხოვს, უარს ვერ ეტყვითო; რომ გაიღვიძებს, ქალს მოითხოვს და ერთი ისეთი ლამაზი ქალი მოამზადეთ, რომ მეფის საკადრისი იყოსო. ქრისტი გეზელის ცოლზე ლამაზი აქ არავინ ყოფილა. ეს ქალი გამოუწყვიათ სუფთად და მეფესთან მიუყვანიათ. დარჩენილა იმ ღამეს მეფესთან. დაბადებულა ხახა, გაზრდილა და დავაჟკაცებულა ისეთი, რომ ამ ქვეყანაზე ცალი არ ჰყოლია. ერეკლემაც იცოდა, რომ ხახა მისი იყო და ხშირად იბარებდა თავისთან. მას ქაღალდებიც ჰქონდა მამულებისა ერეკლეს მიერ მიცემული. მამული ჰქონდა. ახმეტაში და გომბორზე. ეს ქაღალდები ხახათ გვარში გვიანობამდე ინახებოდა. ხახა რომ მოკვდა, ეს ქაღალდები ხელში ჩაუვარდა მისრიათ ბეწინტურას, რომელიც ხახათ ედავებოდა ღელეს მამულებს. გაირკვა, რომ ეს ქაღალდები ბეწინტურას მიუცია მღვდელ ფარნაოზ ზაბახიძისათვის და იმან არ ვიცით, სად წაიღოო (საუბარია ბიჭუა ხახაშვილისაგან). ხახას ერთი შვილი გომბორში ჰყოლია, თავის მამულში, სახელად გიორგი. სხვა ცოლშვილი კი აქ ჰყავდა.

კაწალხევში ცხოვრების დროს ხახა არცერთ ხატს არ ეყმობოდა და არც რომელიმე თემის წევრი იყო. ბოლოს მოამიზეზა ლაშარის ჯვარმა, ისე მძიმე ავად გადა, რომ ლოგინიდან ვერ იძვროდა. მკითხავმა უმკითხავა ლაშარის ჯვარზე წასვლა და თავხევისბრად დადგომა. ხახას არც ფეხით შეეძლო წასვლა და არც ცხენზე დადგომა. ერთ-ერთ დღეობაში, როცა ეს კაცი ავად იყო, მკითხავი ურჩევდა. თუ არ წახვალ ლაშარის ჯვარში, ვერ მორჩებიო. საკაცით მიიყვანეს ლაშარის ჯვარში. ცოტა ხნის შემდეგ ხახა გამორჩა და გახდა ლაშარის ჯვრის თავხევისბერი. ლაშარის ჯვარის და თამარ-ნეფის ბრძანებით გაბიდოურებმა მიიღეს სოფელ ხოშარაში, მისცეს ადგილი და სახლის გაკეთებაში თვითონ გაბიდოურნი დაეხმარნენ. გარდა გაბიდოურთ თემის სრული წევრი და ლაშარის ჯვრის ხევისბერი. ემსახურებოდა ადგილობრივ სასოფლო სალოცავებსაც. ამის შემდეგ ხახა იყო ფშავში თავკაცად, რადგან ერეკლე მეფის ჩამომავლად ითვლებოდა და თვითონაც ძალიან ყოჩაღი კაცი იყო. როგორც ლაშარის ჯვრის თავხევის-

ბერს, მას, მართლაც, ჰქონია მისვლა-მოსვლა მეფეებთან. მისი ჩამომავლობა შეუერთდა გაბიდოურთ თემს და გახდნენ ლაშარის ჯვრის ხელდებული ყმანი. მათი გვარიდან ერთ-ერთი უეჭველად უნდა ყოფილიყო თავხევისბრად.

ხოშარაში ცხოვრობენ ტეტიანი — ტეტიაშვილები. ტეტია გამოქცეულა კახეთიდან, სოფელ მატნიდან, და შემოხიზნულა ხოშარას, ანუ გაბიდოურთ თემში. შეხვეწნია ხატსაც და თემსაც მიეღოთ თემში და თავისი სალოცავის ყმად. გაბიდოურებმა შეასრულეს მისი თხოვნა და დაასახლეს ხოშარაში. თამარ ნეფესაც ისე ემსახურებოდნენ როგორც ნამდვილი ყმანი. მხოლოდ ამათ გვარს ხევისბრობა არ მოუდიოდათ, შემოხიზნული ხალხი რომელ გვარსაც შეეხიზნებოდნენ, იმათ ძირითად გვარს იჩემებდნენ. მაგალითად, აქ შემოხიზნულებისათვის რომ გეკითხათ: რა გვარი ხარო, გეტყოდნენ. გაბიდოური ვარო.

ვარდანაშვილები სოფელ აფშოში არიან გადასახლებულნი (აფშო მაღაროსკარის სოფ. საბჭოში შემავალი სოფელია). ისინი ამბობენ: ჩვენ ძირითად გაბიდოურები ვართ, ხოშარიდან გადმოსულიო. ესენი თამარ-ნეფეს შორიდან ეყმობოდნენ, მაგრამ რატომღაც ცაბაურთ თემში შედიოდნენ და იქაურ მთავარანგელოზს უფრო ემსახურებოდნენ, როგორც მისი ნამდვილი ყმანი. აქ დასტურობასაც ასრულებდნენ და ამათ გვარიდან ხევისბრებიც იყვნენ მთავარანგელოზში.

ამის გარდა ხოშარასთან ახლო, წყალს გაღმა წაწადის ხეობაზე, არის სოფელი მისრიანთკარი. იმათთან ახლოა თამარ-მეფის ხატიც, ზევით ვთქვით, რომ ღელეს, სადაც ახლა თამარ-ნეფის ხატია, წინათ ხოშარლები მოსახლეობდნენ. თამარ-ნეფის ხატი რომ გაჩნდა, იქიდან აიყარნენ და ხოშარაში დასახლდნენ. მათი ადგილი დარჩა თამარ-ნეფის სანადოებად; ეხლა სადაც მისრიანი მოსახლეობენ, ის ადგილიც თამარ-ნეფის მამული იყო.

მისრიათ პაპის მოსვლას ორგვარად ხსნიან, შატილიდან კი ნამდვილად არიან, ჯალაბაურნი. ზოგი ამბობს: ფშავლებმა რომ ჯალაბაურნი „დალივნეს", იმათი ბავშვები გაიზარდნენ და ფშავლებს დავა დაუწყეს. კაც-შუაკაცით შეარიგეს და ფშავლებმა დრამა მისცეს. შერიგება მოხდა ლაშარის ჯვარში და ლაშარის ჯვრის ბრძანებით იმათი ორი ყმაწვილი აქ დარჩა მზეველად, რათა ჯალაბაურთ ფშავლებისათვის აღარაფერი დაეშავათ. ის ყმაწვილები თამარ-ნეფის ახლო დასახლდნენ და იმაზე გაჩნდნენ მისრიანი. ერთი მათგანი გუდამაყარში წასულა და იქ დასახლებულა. ახლა იქაც არიან ჯალაბაურნი, ხოლო გვარი შეცვლილი აქვთ — თვარელათ ეძახიან.

ფშავის, შატილისა და გუდამაყრის ჯალაბაურები შორიდან ისევ თავისობენ ერთიმეორეს და საჭირო დროს იცავენ კიდეც. მაგალითად, შატილის ჯალაბაურებს ამ ორმოციოდე წლის წინ გუროვლებ-

თან ჩამოუვარდა დიდი მოსინსლეობა. უკანასკნელად ორი ძმაღა იყო ჯალაბაურთი — ბაჭია და ლევანი; ისინიც მტრებმა დახოცეს და დარჩნენ მათი ობლები. ყმაწვილებსაც მოსისხლეები ემუქრებოდნენ, რომ გაიზრდებიან და იარაღს აიღებენ, ეგენიც უნდა დავხოცოთო. ფშავის ჯალაბაურებმა ეს ამბავი რომ გაიგეს, დააპირეს მათი გადმოყვანა თავისთან და აქ დასახლება მათი, მაგრამ გუდამაყრის ჯალაბაურებმა დაასწრეს, წაიყვანეს ბავშვები და რამდენიმე წელიწადი იქ იზრდებოდნენ. გუდამაყრელები ამ ბავშვების მტრებს მუქარას უთვლიდნენ, თუ ამათ რამე დაუშავდებოდა მათგან. ბოლოს მოხდა შერიგება.

მეორეები ამბობენ: ამათი პაპა ჯალაბაური განთქმული მჭედელი ყოფილა. თურმე მისრეთში ყოფილა მჭედლად (მისრეთი სად არის, ეს ვერ მითხრეს). თამარ მეფეს გზაში შეხვედრია. ნეფეს უკითხავს — ვინა ხარ და სად მიდიხარო. მან უთხრა: მე მჭედელი ვარო. ამოიღო ჯიბიდან თავის გაკეთებული ხმალი (დაგირგვლული (დახვეული) ყოფილიყო და ჯიბეში სდებიყო), გახსნა და გაიშალა, გასწორდა. დაგირგვლა ისევ და ჯიბეში ჩაიდო. თამარ-მეფემ ჯერ ნებით უთხრა. ჩემთან წამოდიო და იქ იმუშავეო. რომ არ დათანხმდა, დაიჭირა და წამოიყვანა. ცოტა ხანს კი იმუშავა და გაიპარა ისევ. წავიდა თამარ მეფე და მივიდა იმასთან და ერთი დიდი ბორკილი გამიკეთეო — უთხრა. გაუკეთა იმანაც ბორკილი. თამარ-მეფემ ეს ბორკილი ყელზე ჩაუდვა, წამოიყვანა და ლაშარის ჯვარში დააბა. მანამდე ჰყავდა დაბმული, სანამ ფიცი არ მისცა — აღარა წავალო. შეფიცვის შემდეგ წამოიყვანა და თავის ადგილში დაასახლა. რადგან ის მისრეთით მოყვანილი იყო, მათი გვარი მისრიაშვილია და სოფელი მისრიანთკარი. ამის შემდეგ დაიწყო აქ მჭედლობა და მათ გვარში არ შეიძლება, რომ ერთი მაინც კარგი მჭედელი არ იყოს და ერთი ხევისბერი; ეს ორივე მოდენილობით აქვს, მოლოცვილი თამარ-ნეფისა და ლაშარის ჯვრისაგან. ზემოხსენებული ბორკილი ლაშარის ჯვარში ინახება და ახლანდელი კაცის თავი კარგად ძვრება იმის ყელზე ნადებ ბორკილშიო.

მისრიანი მას აქეთ გახდნენ თამარ-ნეფის მკვიდრი ყმანი, ე. ი. უნჯი ყმანი. მათ საკუთარი თემი არ ჰქონდათ, შედიოდნენ ხოშარის თემში. ხევისბრობა მოუდიოდათ და დასტურობასაც, ე. ი. წლის ბერობას კი ისე ასრულებდნენ, როგორც სხვა ყმანი. გაბიდოურთ თემში შედიოდნენ, მაგრამ თავს გაბიდოურს არ უწოდებდნენ, რადგან ისინი შეხიზნულნი კი არ იყვნენ, არამედ ხატის მიერ მიყვანილ — დაბინავებულნი. რომ გეკითხათ, ვისნი ხართო? გიპასუხებდნენ: ჩვენ მისრიანი ვართ, გაბიდოურთ თემისანიო.

ჭიჩო ხოშარის მოპირდაპირე მხარეს მთაზე მდებარეობს. მაგათი მთავარი გვარი არის სოფლის სახელწოდებით ჭიჩოელნი, მაგრამ მერე

•დაყოფილან მამებად — ქვეგვარებად. ჩოლოგაურნი, ამათ მოუდი-
•ოდა ხევისბრობა და დასტურობასაც ასრულებენ. ჭამიანი, ელყიანი,
ჯღუთანი, ფეტვიანი, მინდოდაურნი, ქეშიკანი, ჩაქიანი — ეს ყველა
ჭიჩოელთ ქვეგვარებია და ხატში ერთნაირად სარგებლობდნენ. ამათი
Iსათემო სალოცავი, როგორც ხოშარლებისა, თამარ-ნეფეა, მაგრამ,
•როგორც ხოშარლებს, ამათაც სოფელში ჰყავდათ კიდევ სხვა სალო-
•ცავები.

პირცეცხლი დიდ სალოცავად არ ითვლებოდა, ის იყო როგორც
•პატარა სასაფლაო სალოცავი. ჭიჩოელნი წლის ბერად ემსახურებო-
•დნენ თამარ-ნეფეს, ხევისბრობა კი მოდენილობით ამათ არ ჰქონდათ,
ხევისბრობდნენ მარტო თავის პირცეცხლში, სათემო საქმეებს კი
•ღელეს ანუ თამარ-ნეფეში არჩევდნენ. პირცეცხლში სასოფლო უბრა-
ლო საქმეები ირჩეოდა.

ჭიჩოს თემში არის შემოხიზნული ბურდული. რა მიზეზით მო-
სულა, არავინ იცის, უფრო ამბობენ: კაცის მკვლელი გამოხიზნულა
და ჭიჩოს თემს მიჰკედლებიათო. ეს კაცი წამოსულია ქმოსტიდან. მა-
გათი განაყრები თავბერაულნი ახლაც ცხოვრობენ ქმოსტის ახლო
ღელისვაკეში. ბურდული ჭიჩოს თემს პირველად ისე მიუღია, რო-
გორც ამანათი, მერე ადგილიც მიუციათ და თავის სასოფლო და სა-
თემო სალოცავების ყმად გაუხდიათ. დასტურობას და სხვა სასატო
სამსახურს ჩვეულებრივი წესით ასრულებდნენ, ხევისბრობა კი მათ
არ მოუდიოდათ. შედიოდნენ ჭიჩოს თემში სრულ წევრად (ახლა ჭი-
ჩოში ზემოხსენებული გვარებიდან ცხოვრობენ მარტო ჩოლაგაურნი,
დანარჩენი გვარები გადასახლებულან იორზე, კახეთში და სხვა).

ჭოჩოში შემოხიზნულა ოსი ხიზანა. ამბობენ მწყემსად მოსულა
და აქ დაცოლშვილებულა. გაუხდია ჭიჩოელებს თავისი თემის წევრად
და დაყმობია იმათ სალოცავებს. ისინი დასტურობას ანუ წლის ბერო-
ბას ასრულებდნენ, მხოლოდ ხევისბრობა არც ამათ მოუდიოდათ. აქვე
იყვნენ კინთურნი. კინთა ადგილის სახელია თიანეთის და ახმეტის
საშუალო ადგილზე, კახეთის ტყეში. აქ წინათ დიდი სოფელი ყოფილა,
რომელიც ლეკებს გაუნადგურებიათ. ერთი კაცი გამოქცეულა, ჭი-
ჩოში მოსულა. ჭიჩოელებს თავისი სოფლის პირდაპირ ჯვართღელეში
მიუციათ სასახლე ადგილი. იქ დასახლებულა, იქიდან შეერთებია
ჭიჩოს თემს და დაყმობია მათ სალოცავებს, გვარად ეწერებოდნენ თავის
ძველი სოფლის სახელის მიხედვით: კინთური. ჯვართღელედან ბო-
ლოს ჭიჩოში გადმოსახლებულან და აქ ცხოვრობდნენ, თავის თავს
ჭიჩოელს უწოდებდნენ და ასრულებდნენ ყველა სახატო და სათემო
საქმეებს. მხოლოდ ხევისბრობა არც იმათ მოუდიოდათ.

ცაბაურთა არიან ერთი თემი. მათ თემს ეძახდნენ ცაბაურთ ანუ გოგოჭურთ თემს (გოგოჭური ხევსურების გვარია და ალბათ მათი მონათესავენი იქნებოდნენ; აქ ვერავინ მითხრა, რატომ არიან გოგოჭურნი). უძველესი გვარი მაგათი არის გოგოჭური და ამ გვარში ბევრი ქვეგვარები შედის მკვიდრი და შემოხიზნული. ამაზე ბევრ გვარებს არც ერთი თემი არ აერთიანებდა.

გოგოჭურის შემდეგ გვარი იყო: ბეკურაული; ამათში შედიოდა ქვეგვარები: ჯაღანი, ანუ ძაღლიანი, გოგნელანი და ჩიტონი. ამათ ქვეგვარებს მოუდიოდათ ხევისბრობა, ემსახურებოდნენ წლისბერადაც თავის მთავარანგელოზს; ითვლებოდენ ცაბაურთის მკვიდრ მცხოვრებად. აქვე არიან ხოშურაულნი. ცხოვრობენ სოფელ ბეტისჩრდილში. როგორც ამბობენ, მოსულნი არიან ხევსურეთიდან მისახიდან. შესულან ცაბაურთ თემში, დაყმობიან მთავარანგელოზს. ემსახურებიან წლისბერად. ხევისბრობა მათ არ მოუდიოდათ. ცაბაურთაშივე არიან ჭყრუნანი. როგორც მთხრობელმა ჩამაწერინა, ჭყრუნანი ოსნი არიან. მათი პაპა შემოხიზნულა და მიჰკედლებია ჯერ თემს და მერე ბეკურაულთ ქვეგვარებს. ამჟამად ბეკურაულად თვლიან თავს. ჭყრუნათ ხევისბრობა არ მოუდიოდათ, წლისბერობას კი ასრულებდნენ. იყვნენ ცაბაურთ თემის წევრნი და მთავარანგელოზის ყმანი (მიუხედავად იმისა, რომ ეს თემი სულ სხვადასხვა გვარებს და სოფლებს აერთიანებდა, მთავარანგელოზის ყმათაში სასტიკად აკრძალული იყო ქალის თხოვა და გათხოვება ერთიმეორეში).

სოფელი აფშო, ცაბაურთიდან დაახლოებით ათი-თორმეტი კილომეტრის დაშორებითაა. ესენიც მთავარანგელოზის ყმანი არიან და ცაბაურთთემის წევრნი. მათი უძველესი გვარიც გოგოჭურია, მაგრამ აფშოში დასახლების შემდეგ მიუღიათ საერთო ქვეგვარი მჭედლური. აშფოელნი ჯერ შედიან გოგოჭურთ თემში და გვარში, მერე მჭედლურთ ქვეგვარში და აქედან დაყოფილი არიან მამებად და გვარსაც თავ-თავის მამებისას ატარებენ. ყველა აფშოელი მთავარანგელოზს ემსახურებოდა წლისბერად, როცა რიგით შეხვდებოდა. ისე მოწმიდარი კაცებიც იყვნენ, მაგრამ ხევისბრობა მათ არ მოუდიოდათ. ამათი მამებია შემდეგი: დაქუზანი, ვარდანანი, რომელნიც მჭედლურებთან შედიან, მაგრამ თან გაბიდოურებად ითვლებიან, ნახევარნი, შამაქიანი, მაჩურნი, ყბაილანი, ტურანი, ლომანი, წვერონი. ამ მამებს ყველას თავ-თავის მამის გვარი აქვს, მაგალითად: დაქუზაშვილი ვარდანაშვილი და სხვა.

სოფელი ჩარგალი შედის გოგოჭურთ თემში და გვარში, მაგრამ აქაც არის დაყოფა ქვეგვარებად: რაზიკანი, მარცვალანი, ბუკუკანი,

მარტიანი, მთიბელანი, ბაჩიანი, პეტრიანი, თათარიანი, საგრილანი, ზურაბაანი, პირქუშაანი, აფხუშელანი, ხოხორდანი. ხოხორდათ მოუდიოდათ მთავარანგელოზში თავხევისბრობა, დანარჩენები კი ემსახურებოდნენ წლისბერებად და მოდიოდნენ სალოცავად ზღვნით და სანთლით. ყველანი მჭედლურის გვარში იყვნენ გაერთიანებულნი, მთავარანგელოზის ყმანი და ცაბაურთ ანუ გოგოჭურთ თემის წევრნი (ჩარგალი ცაბაურთას დაშორებულია თხუთმეტი კილომეტრით).

ამავე გოგოჭურთ გვარში და თემში მთავარანგელოზის ყმად ითვლებოდა სოფელი მიგრიულთა. ეს სოფელი ცაბაურთას დაშორებულია ოც კილომეტრამდე მანძილით. აქ პირველად გოგოჭურის გვარით იყვნენ, მერე გადასულა მთელი სოფელი — მიგრიაულად. ახლა დაყოფილი არიან ქვეგვარებად. ატარებენ თავისი მამების გვარს: ბუთხანი, მაჩხონი, თევდორანი, ჭუჭანი, ციოლანი, ბალიანი, ხელდადგმულანი. ამათ მამებში მოწმიდარი კაცები იყვნენ, წლისბერადაც ემსახურებოდნენ, მთავარანგელოზს, ნადშიც მოდიოდნენ და ყველა წესს ასრულებდნენ რაც ხატს მოუდიოდა, მხოლოდ ხევისბერი ამათი არავინ ყოფილა. იყვნენ გოგოჭურთ გვარის ქვეგვარიდან, ცაბაურთ თემიდან მთავარანგელოზის ყმანი, მთხრობელი ამბობს, რომ რაზიკანი არიან ლეკნი, ე. ი. ლეკის ჩამომავალნიო. (მაგათი პაპა თუ მართლა ლეკი იყო, საიდან და როგორ, ან რა მიზეზით მოსულა, მთხრობელმა არ იცის). გოგოჭურთ გვარის ხალხის ზოგიერთი მამების წარსული ამბები აწერილია მთავარანგელოზის წლიურ დღეობებთან დაკავშირებით. მაგალითად: ხუხუნაშვილები, რომელთაც ბევრი ბრძოლები გამოუვლიათ ხატის მოყვანაში, ცაბაურთ სოფელთან ახლო დასახლებაში და სხვა.

ზემოხსენებული სოფლებიდან მამები და გვარები დღეობებში ზღვნით და სანთლით მოდიოდნენ, ნადშიც მონაწილეობას ღებულობდნენ და ყველა მათგანი მორიგეობით მოდიოდა წლისბერად და ერთი წლის განმავლობაში ორი კაცი მუდმივად ცხოვრობდა საბერეში, რომლებსაც არცერთ სოფელში არ შეეძლო გავლა და არც თავის ოჯახში მისვლა.

უძილაურთა, — მათი ქვეგვარები, სათემო სალოცავი კოპალა

ამათი თემის საერთო გვარი იყო უძილაური. ამ თემში მოსული იყო მარტო ჩორხაული ხევსურეთიდან, სოფელ ბაცალიგოდან. როგორც მთხრობელმა გადმომცა და თვითონ ჩორხაულნიც ამბობენ, ჩორხაული მოყვანილია ხატისაგან. კოპალას ისინი მუდმივ ღასტურად ემსახურებოდნენ და ხატის თას-განძის მეთვალყურეობაც მათი მოვა-

ლეობა იყო. ყველა მათი მამაკაცები მოწმიდარნი იყვნენ, დედაკაცებიც კი. მათი არც კაცი და არც დედაკაცი ცივთან და ნაცივარ სახლში არ გაივლიდა. თუ შემთხვევით გაივლიდა, აუცილებლივ ხატში უნდა მიეყვანა საკლავი და ეთხოვა პატიება დანაშაულისათვის. ხატს ამათ ყმობაში უპირატესობა ჰქონდა და სათემო საქმეშიც ბევრი რამ ეკითხებოდათ, საერთო გვარსაც უძილაურს იჩემებდნენ, მხოლოდ გეტყოდნენ: ძირად ხევსურები ვართ. დასტურობის გარდა ხევისბრობაც მოუდიოდათ.

დანარჩენი გვარები ერთიმეორის განაყრებია და კოპალას უნჯ ყმები. უძილაურთის მკვიდრი მცხოვრებნი არიან შემდეგი ქვეგვარები ან მამები: ლოსეურანი, ლაშქარანი, ბაზიერანი, კოჭლიანნი და მადურანი. ახლო ბიძაშვილები არიან და თავთავად გვარზე ეწერებიან: მადურაშვილი და კოჭლიშვილი. სხვადასხვა გვარს ატარებენ და ერთიმეორეს „ჩვენ ჯალაფთ“ ეძახიან. ამათ გვარში არის მუდამ თავხევისბერი. ერთ-ერთი ყველაზე უფროსი ხევისბერი მათია, იგივე ყოველთვის მკითხაობდა კიდეც, როგორც ხატისაგან დაჭერილი. სოფელს ამის გამო ყოველთვის მათი ხათრი ჰქონდა და სასოფლო საქმეების გარჩევაში თავკაცად ითვლებოდნენ. დასტურადაც ისე ემსახურებოდნენ. როგორც სხვა ყმანი, გარდა ჩორხაულთა. როგორც ვთქვით, ჩორხაულნი მუდმივი დასტურნი იყვნენ კოპალაში. იყვნენ კიდევ ცუბერანი, ანუ თათარაშვილები. თათარაშვილებსაც მოუდიოდათ თავხევისბრობა — მხოლოდ კოჭლიანთ კაცი კი პირველი იყო ხევისბერობაში, დანარჩენები მის სიტყვას ემორჩილებოდნენ. ამათ სამი გვარი აქვთ და ხან ერთზე ეწერებოდნენ, ხან მეორეზე და მესამეზე: ცუბერაშვილი, ბაზიერაშვილი და ამჟამად ეწერებიან თათარაშვილებად.

აქედან გადასახლებულან ბაზალეთში და ამჟამად ატარებენ გვარად ნათელაშვილს, მათი ძველი გვარი უძილაური ყოფილა. ნათელაშვილები წინათ სალოცავადაც მოდიოდნენ კოპალაში. დასტურობას, ნადში მოსვლას და ხევისბერობას კი ამათგან არავინ ასრულებდა.

უკანაფშავის მოსახლეობა და ხატები

უკანაფშავი არის ერთ-ერთი თორმეტი თემთაგანი. ამ თემის საერთო გვარი არა ჩანს, მხოლოდ ადგილის სახელს იტყოდნენ — უკანაფშაველიო. სერთო სალოცავი ჰყავდათ წყაროსთავწმიდა გიორგი. საკმაოდ დიდი თემი იყო და დიდი სალოცავიც ჰყავდათ. ამ თემში შედიოდა ხუთი პატარა სოფელი: ელიაგზა, ჩალახევი, ჭიდალი, ვაკისსოფელი და გოქცი. ამ სოფლებში ცხოვრობდნენ სხვადასხვა გვარები. ელიაგზაში — ბობღიაშვილები, სოხურაშვილები და მამიაურები.

როგორც ამბობენ, ბობღიაშვილი მოსულია თუშეთიდან. ჩაღმა თუში გამოხიზნული კაცის კვლის გამო და პირდაპირ უკანაფშავის თემს შეხიზვნია. იმათაც ჯერ ისე მიუღიათ როგორც ამანათი, მერე ხატს მისი ყმობა უთხოვია და დაყმობია. გამხდარა თემის წევრი და ღებულობდა თემის ყველა საჭირბოროტო საკითხებში მონაწილეობას. ბობღიაშვილები წყაროსთაურს (ასე უწოდებდნენ) ემსახურებოდნენ დასტურობით, ზღვნით და სანთლით. გარდა ხევისბრობისა, ყველა მოვალეობას ასრულებდნენ. ხევისბრობა კი მათ არ მოუდიოდათ. სოხურაშვილების გვარში კი თავხევისბრებიც იყვნენ. მამიაურები დასტურობით ემსახურებოდნენ თავის სალოცავს, ხევისბრობა კი არც იმათ მოუდიოდათ.

ელიაგზა თავის სათემო სალოცავთან — წყაროსთაულთან ახლოა, ნახევარი ვერსით იქნება დაშორებული. სოფლიდან აღმოსავლეთ მხარეს — ერთ პატარა ვიწრო ხეობაში დავაკებულ ტყეველიან ადგილზე სათემო საქმეები ირჩეოდა.

დასავლეთ მხარეს მეორე სოფელია — ჩალახევი. ამ სოფელში ცხოვრობდნენ მურღვაშვილები. ისინი საიდან მოსულან, მთხობელმა არ იცოდა, მხოლოდ თქვა — მგონი მაგათი პაპა ქისტეთიდან უნდა იყოს მოსულიო. მურღვაშვილები ემსახურებოდნენ თავის სათემო სალოცავს დასტურობით, ზღვნით და სანთლით. მაგათგან ხევისბერი არავინ ყოფილა.

მაგ სოფლის ახლოსვე, აღმოსავლეთ მხარეს, არის სოფელი ჭიდალი. აქ ცხოვრობდნენ ჯვიელაურები და კოჟლიშვილები. ჯვიელაურების გვარიდან წყაროსთაულში იყვნენ თავხევისბრები. მათი გვარის კაცებს ევალებოდათ წყაროსთაულის ქონების მოვლა — პატრონობა. ამავე გვარის ხევისბერებთან, როგორც გადმომცეს, მეფეებსაც ჰქონიათ მიწერ-მოწერა: ავალებდნენ თურმე ხარჯის აკრეფას, სალაშქროდ ხალხის გაყვანას და სხვა. ისინი ხევისბრობის გარდა დასტურობითაც ემსახურებოდნენ, როცა წილით, მორიგეობით შეხვდებოდათ. ამავე სოფელში მცხოვრები კოჟლიშვილები კი მარტო დასტურობით, ზღვნითა და სანთლით ემსახურებოდნენ წყაროსთაულს. ხევისბერობა არც ამათ გვარში იყო მოდენილობით. დანარჩენ წესებს კი ისინი ყველაფერს ასრულებდნენ და იყვნენ თემის სრულუფლებიანი წევრნი (სრულ წევრს მე მთხრობელის ენით ვწერ. ის ამბობს: ზოგიერთი წევრი მოსულთაგანი იყო და მას საჭირბოროტო საკითხებისა სათემო საქმეში ბევრი არაფერი ეკითხებოდაო).

აღმოსავლეთ მხარეს არის ვაკისსოფელი. ამ სოფელს, მართლაც, შესაფერისი სახელი ჰქვიან. ის აქაურ სოფლებთან შედარებით, ვაკე ადგილზე არის გაშენებული. აქ ცხოვრობენ: კარატიელი, არჩემაშვილი, ამირანაშვილი და წელაური. კარატიელი არის უფრო დიდი გვა-

რი, ისინ არიან აქაური მკვიდრი მცხოვრებნი. წყაროსთაულში ხევისბრობის გარდა ამათი გვარიდან ლაშარის ჯვარშიც ყოფილა ხევისბერი. ამათი გვარიც აქ ცნობილი ყოფილა და როგორც გადმომცეს, ამათ ხევისბერებსაც მეფეებთან ჰქონიათ კარგი განწყობილება. მეფეების მოწერილი საბუთები კარატიელის და ჯვიელაურის გვარების ხევისბრების ხელში იყო ამ ბოლო დრომდე, ახლა არა ჩანს. კარატიელი, გარდა ხევისბრობისა, დანარჩენ სახატო წესებსაც ასრულებდა (დასტურობა, ზღვენი, სანთელი და სხვა).

აქვე მცხოვრები არჩემაშვილები წყაროსთაულს დასტურობით ემსახურებოდნენ ზღვნით და სანთლით. ხევისბრობა მათ გვარში არ იყო.

წელაუთა გვარიც ამ სოფელში საკმარისად ძლიერი იყო. მხოლოდ ესენი მკვიდრი მცხოვრებნი არ იყვნენ. ამათი პაპა ყოფილა ჩაღმა თუში. ისიც შემოხიზნულა ამ თემში, დაყმობია წყაროსთაულს და გამხდარა ამ თემის წევრი. დასტურობით ემსახურებოდნენ წყაროსთაულს, მხოლოდ ხევისბერი მათი არავინ ყოფილა, რაღაც შემთხვევით ამათი გვარი თემს კარგად ვერ შეუთვისებია. მამულები დროზე არ მიუციათ და თითქმის ჩვენამდე მოაღწია, რომ ამათ გვარის კაცებს ამანათებს ეძახოდნენ. ეტყოდნენ — შენ აქ რა გეკითხება, ამანათი ხარო. მამულებიც გვიან დაიჭირეს, ხალხი არ ანებებდა: საიდანაც მოსულხართ, იქ წადით, აქ თქვენ მამულს ვინ მოგცემსთ, განა აქაურ მიწა-თიხათ შვილები ხართო. დღეს მათი გვარი საკმარისად გამრავლებულა. აქაც ბევრნი ცხოვრობენ და კახეთისკენაც არიან გადასახლებულნი. აქვე, ვაკისსოფლის ზემოთ, ჩრდილო მხარეს არის ერთი, ორკომლიანი სოფელი გოქცი. გოქცი თითქმის ვაკისსოფლის ნაწილია და აქაც წელაურები ცხოვრობდნენ.

წითელაურები და მათი სათემო სალოცავი კოტიას წმინდა გიორგი.

უკანა ფშავიდან ორი-სამი კილომეტრით დაშორებულია წითელაურთ თემი. ადგილსაც წითელაურთა ეწოდება და გვარიც ამათი ძველად წითელაური ყოფილა. როგორც გადმოგვცემენ, წითელაურთ თემში შემოხიზნული არავინ არის, გარდა მოკვერაშვილებისა. ეს თემი ერთიმეორის მონათესავე ხალხით იყო დასახლებული. აქ შედიოდა სამი პატარა სოფელი: ნაკვალესავი, ჭეშე და ქინო. ნაკვალესავში ცხოვრობდნენ: გულბათაშვილები და ჩიაშვილები — ერთიმეორის ახლო ნათესავები. იყვნენ წითელაურთის მკვიდრი მცხოვრებნი. თავის წმიდა გიორგიში მოუდიოდათ თავხევისბერობა და ემსახურებოდნენ დასტურებითაც. ჭეშეში ცხოვრობდნენ ბაიდაურები. თავის სალოცავს დასტურობით, ზღვნით და სანთლით ემსახურებოდნენ. ხევისბრობა მათ არ მოუდიოდათ.

ქინძოში ცხოვრობდნენ: გამიაშვილები, მოკვერაშვილები და ჩოფანიშვილები. ამათ გვარებშიც ხევისბრობა არავის მოუდიოდა. ემსახურებოდნენ დასტურებით. მოკვერაშვილები გადასული ყოფილან მუქუს ახლო პატარა სოფლიდან — მოკვერაანთკარიდან, ემორჩილებოდნენ წითელაურთ თემს და სალოცავს.

კოტიას წმიდა გიორგი იყო ერთ-ერთი ძლიერი, წითელაურთ თემის საერთო სალოცავი ხატი. ჩვენ შევეხეთ აქაურ გვარებს და ქვეგვარებს, რომლებიც ემორჩილებოდნენ და ემსახურებოდნენ მას. როგორც გადმომცეს, აქ ხევისბრობა მოუდიოდა გამიათ და ჩიათ მამებს. ერთი ხევისბერი სახელად ქავთარა ჩიათ მამაში იყო, რომელსაც ხატი პირად ელაპარაკებოდა. ამ ხატს ჰყავდა ორიათასი სული ცხვარი და მისი მწყემსები. სწორედ ამ დროს იყო ქავთარა ხევისბერი. ის ხშირად იყო ცხვარში და ხელმძღვანელობდა წმიდა გიორგის ფარებს. წინასწარ იცოდა, რომელ ღამეს მოვიდოდა წმიდა გიორგი ცხვრის დასათვალიერებლად (ქავთარას თქმით, ხატი ღამე მოდიოდა და ათვალიერებდა თავის ფარებს). იგი ხშირად ეტყოდა მწყემსებს: ამაღამ წმიდა გიორგი მოვა ცხვრის დასათვალიერებლად და ცხვარი რომ შეფრთხვეს, არ დაიკივლოთ, იცოდეთ — ის წმიდა გიორგი იქნებაო. ეს ხევისბერი ბოლოს პანკისში მოკვდა და მკვდარს თურმე ციდან სვეტი ედგა. ის რომ გაასვენეს, სვეტიც თან მიყვებოდა და საფლავში რომ მიწა მიაყარეს, სვეტი მაშინ გაქრაო.

ერთხელ ქავთარა კოტიის გორს ყოფილა წმიდა გიორგის ცხვარში. მისულა იმის საზარესთან, დამჯდარა და დაუწყია ხატთან პირად ლაპაკარი. ხან ნელა ესაუბრებოდა ხატსა, ხანდახან კიდევ გაუჯავრდის ქავთარაიო. ამ დროს ქისტები ყოფილან გადმოსულნი ქავთარაის მოსაკლავად და ცხვრის გასარეკად. საზარესთან ახლო ყოფილან ჩასაფრებულნი, რადგან სცოდნიათ, რომ ქავთარა საზარესთან ხშირად მიდიოდა. „გადაუსხამ“ ქისტებს თოფები მოსაკლავად, მაგრამ როცა დაუმიზნებდნენ თოფს, ქავთარა თურმე გაქრებოდა, მოაშორებდნენ „ლიშანს“ და იქვე იჯდა და ხატს ესაუბრებოდა. ეს რამდენჯერმე გაიმეორეს და, ბოლოს, იგრძნეს, რომ ვიღაც წმიდა კაცი იყო და შეშინებული ქისტები უკან დაბრუნდნენ, ვერც ქავთარა მოკლეს და ვერც ცხვარი გალალეს. (კოტიას წმიდა გიორგი შესახებ ცნობები დამთავრებული არ არის).

ხახაბო და მისი წმიდა გიორგი

მეთორმეტე თემად ლაშარის ჯვარში გაფიცული იყო ხახაბო (პირიქით ხევსურეთი); ისინი ყოველთვის მონაწილეობას ღებულობდნენ — როცა მთაზე გზა იყო გადმოსასვლელი — ფშაველთა თორმეტი თე-

მის ყრილობაზე. ისინი დღესაც ამბობენ: ლაშარის ჯვარის მეოთხედი ნაწილი ჩვენ გვეკუთნოდა, ხევისბრობაც მოგვიდიოდა და სხვა. აქ არიან შემდეგი გვარები: მინდიკაურები — მათი მამები: ტურანი და ნადირნი; მამიაურები — ქვეგვარი არ ჰყავს; ხახიურები და ხოსიტაურები; ბატარანი. ამ ოთხივე გვარის სათემო სალოცავი წმიდა გიორგია. — ლაშარის ჯვარში ერთნაირი უფლებებით სარგებლობდნენ. სიშორის გამო დასტურად ვერ დგებოდნენ.

ГРУЗИНСКИЕ НАРОДНЫЕ ПРАЗДНИКИ В НАГОРНОЙ ЧАСТИ ВОСТОЧНОЙ ГРУЗИИ (ПШАВИ)

Резюме

Настоящая книга является продолжением издания «Календарь грузинских народных праздников». В ней представлена часть собранного Ал. Очиаури в Пшави материала на религиозную и социальную темы в 30-х, 50-х годах нашего столетия, среди которых значительное место занимает тема празднества.

Этнографическое наследие Ал. Очиаури сохраняет особое значение в настоящее время, поскольку цену первоисточника имеют не только собранный автором уникальный материал, но и его непосредственные наблюдения над спецификой этнографического быта Пшави. Собрать подобного рода материал в настоящее время невозможно. Цельная картина календарного быта Пшави, описанная Ал. Очиаури приобретает еще большее значение на фоне существующего фрагментарного и скудного этнографического материала данного региона.

В книге можно проследить формирование обрядов с древнейших времен до первых десятилетий XX века.

Упомянутый материал является обязательным условием для полного, всестороннего изучения народного календаря и развития теории о нем.

Кроме описаний празднеств, в работе приводятся истории сельских и общинных святилищ, мифологические предания и разного рода обычаи.

Богатый этнографический материал публикуется впервые из этнографических архивных фондов Института истории, археологии и этнографии им. И. Джавахишвили АН Грузинской ССР.

ს ა ძ ი ე ბ ე ლ ი*

გეოგრაფიული სახელები

აბუდელაურის ტბა — 45, 46, 98
ალაზანი — 151
ალვანი — 38
ავთანდილის საქანი — 144
აკუშო — 121
აკუშოს ხეობა — 96, 104
არბაჩხანი — 180
არახიჯა — 49, 71, 282
არყოვანის თავი — 247
არხოტი — 171
ასთაჯურის გორი — 4
აფშო — 131, 142, 144, 287, 290
აფხოშო — 150, 152
აჩხოტის მინდორი — 172
აზადი — 12, 45, 52, 155, 157, 165, 197, 199, 285
ახალსრფელი — 114
ახიელა — 171
ახმეტა — 11, 65, 68, 69, 126, 145, 286

ბაზალეთი — 180, 192.
ბაჩალი — 178
ბახია — 225
ბახტრიონი — 149
ბაცალიგო — 44, 100, 155
ბეტისჩდილი — 144, 252, 255, 290
ბეღელთანა — 98
ბოროლა — 36, 225, 274
ბოჟორმა — 150
ბურსა — 127

გამხვეურთ-ქარი — 41, 42, 45, 49
გიორგწმიდა — 276
გოგოლაურთა — 35, 37, 40, 197, 198, 199, 259, 262, 263, 273.
გომბორი — 286
გომეწარი — 189, 190, 197, 263, 267, 278
გუდამაყარი — 287, 288.

ელიაგზა — 201, 203, 205, 210, 270, 292
ერევანი — 128, 129, 130, 141

ვაკისოფელი — 210, 222, 292
ვანხევი — 49, 53, 282
ვანხეე-არახიჯა — 84

ზარისჭალა — 272

თურმანაულთა — 272
თხილიანა — 41, 45

ივრის კუდები — 157, 201, 214
ივრის ფშავი — 178
ივრის ხეობა — 151
იორი — 42, 43, 44, 65, 71, 95, 96, 98, 127, 150, 272, 289
ირემთ-ალო — 42, 43, 95, 96, 121
იხინწა — 44, 104, 114, 115, 116, 161

კადაჩალი — 5, 272
კარატის წეერი — 46, 48
კართანა — 44, 95, 98
კაწალხევი — 128, 286
კახეთი — 38, 39, 70, 276, 287
კიბული — 40, 273

---

* საძიებლები შეადგინა ელენე ფარჭოსაძემ.

კინთა — 289
კისტანი — 36, 274
კოტიის ვორი — 295
კოშკის კარი — 11
კუდო — 35

ლალის ყური — 202, 214, 216

მათურა — 36, 130, 197, 226, 249, 273, 274
მათურბევი — 191, 197, 198
მათურული — 247
მასთალა — 15, 16, 90, 26, 28, 29, 40
მატანი — 214, 216, 271, 287
მაღარო — 276, 278
მაღაროსკარი — 37, 150, 261, 262, 287
მაღაწალი — 264
მაშარა — 93, 99, 125
მზილა — 128, 141
მიგრიაულთა — 144, 291
მითხო — 36, 78, 164
მისახი — 290
მისელური 71
მისრეთი — 288
მისრიაანთკარი — 193
მუქუ — 179, 180, 199, 295
მუკისღელე — 273
მუხრანი — 182
მცხეთა — 177, 184

ნაროული — 40, 128
ნინახი — 41, 42, 83, 92
ნოჯა — 180

პანკისი — 180

საპარავის ყელი — 43, 96, 98
საყაკე — 243, 248
სწროფავი — 49

ტიღიაანი — 114
ტუშურთ სოფელი — 66

უბისთავი — 46, 72, 93
უძილაურთა — 42, 49, 78, 85, 96, 99, 100, 197, 279.
უკანაფშავი — 178, 187, 201, 209, 216, 223,, 289

ფშავისევი — 36

ქალილო — 276
ქალევისთავი — 48
ქმოსტი — 289
ქმოსტ-როშკა — 45
ქუთხი — 93, 142
ქუშხევი — 13

ღელე — 289
ღელისვაკე — 289
ღული — 278, 280
ღუნხევი — 129, 145, 146, 148

ყვარელი — 127
ყოფჩა — 285

შარახევი — 13
შატილი — 36, 274, 287
შუაფხო — 40, 41, 42, 45, 46, 49, 69, 71, 72, 94, 98, 116, 159, 190, 197, 199, 278, 283.
შახვეტილა — 99, 125

ჩაბანო — 126, 150
ჩალახევი — 292, 293
ჩარგალი — 131, 144, 150, 255, 255, 257, 290

ცაბაურთა — 94, 128, 130, 131, 135, 137, 145, 148, 152, 188, 190, 255, 273, 290
ციხეგორი — 42, 43, 49, 95, 96, 97, 98, 104, 117

წაწადა — 196
წაწადის ხეობა — 287
წითელაურთა — 190, 197, 224

ჭაფნაგა — 271, 272
ჭეშე — 294
ჭიდალი — 289
ჭიჩო — 12, 285, 187, 288, 289
ჭონთიო — 269

ხადო — 272
ხადუ — 126
ხატხევი — 13, 42, 76

ბაშარი — 42, 98
275, 276
ხიმშუ — 15, 16, 20, 29. 40, 108, 272,
ხოდაშენი — 38, 178
ხომი — 43, 276
ხორხი — 49, 54, 84

ხოშარა — 4, 9, 10, 11, 38, 42, 142, 192, 193, 197, 273, 285, 287

ჯავახეთი — 280, 285
ჯვართღელე — 289
ჯიგრაულთა — 270, 271, 272

საკულტო სახელები

ადგილის დედა — 83, 93. 145, 161, 168, 175, 177, 220, 222, 231, 258, 263, 275
ათენგენა — 38, 48, 214, 217, 221, 224, 225, 243
ამაღლება — 12, 20, 25, 26, 55. 64, 78, 190, 113, 144, 158. 159, 172, 176, 177, 214, 221, 224, 252, 256, 257, 253, 261, 262
აღდგომა — 35, 92. 177, 176, 213
აღება — 18, 93, 112, 142, 167, 212
ახალკვირე — 189
ახალი წელი — 90, 165
ახვსება — 12, 35, 113. 143, 174, 213, 214, 222, 224, 241, 257, 264.

ბედისკვრა — 166, 211, 255
ბერიკა — 142, 239, 240
ბერმუხა — 200
ბეღელი — 17, 42, 51, 97, 99, 101, 103, 128, 129, 133, 158, 177, 178, 220, 223, 226, 273
ბეღლის კარი — 128, 129, 138, 141, 145
ბზიანა — 261, 262
ბზობა — 241
ბზობის კვირა — 187
ბორტვის ნაკვეთი — 52

განძი — 97, 136, 140, 149, 162, 181, 200, 231
გიორგი კოშკის ანგელოზი — 4
გიორგობა — 6, 12, 29, 50, 85, 158, 160, 176, 177, 185, 189, 219, 232, 257, 258, 261, 262
გოგა — 34, 89, 91, 109, 110, 112, 138, 164, 165, 166, 187, 208, 209, 222, 236, 237, 255, 268

გოგოლაურთის თავარმოწამე — 14, 15, 16
გოგოლაურთის წმ. გიორგი — 262

დამბადებელი — 44, 53, 95, 129, 200
დამასტური — 81, 191, 196, 197, 198, 199, 272
დანაღები — 52
დარ-ავდართ მოურავი — 198
დარბაზი — 15, 16, 51, 92, 99, 115, 138, 155, 181, 183, 194, 195, 201, 207, 208, 209, 223, 225.
დასტური 4, 5, 7, 14, 15, 17, 19, 20, 21, 22, 25, 26, 29, 30, 32, 49, 51, 52, 53, 56, 60, 62, 65, 67, 75, 79, 80, 85, 87, 99, 107, 109, 110, 112, 113, 114, 131—135, 158, 160, 162, 165, 172, 174, 176, 178, 190. 204, 223, 262.
დევ-ყერპნი — 41, 43, 45, 48, 74, 122,
დედაკაცების საჯარე — 231
154, 122, 266
დიდმარხვა — 113, 212
დოლისთავი — 221, 224, 244, 257
დოღი — 123, 213, 222, 236
დროშა — 33, 36, 54, 65, 66, 67, 71, 72, 73, 74, 75, 78, 80, 82, 115, 116, 115, 117, 134, 140, 148, 176, 183, 189, 195, 197, 198, 214, 262, 274, 283

ერიონნი — 280
ერისგანი — 252, 269

ვენახი (ხატისა) 65, 69, 183, 202

ზარის მცველი ანგელოზი — 77

ზედაშე — 38, 51, 58, 59, 66, 74, 77, 81, 131, 145, 148, 262
ზვარა — 82, 92, 168, 175, 185, 258, 260, 262, 275
ზღვენი — 47, 55, 61, 63, 146, 275, 278, 283

თაგვ-ჩიტო უქმი — 113, 168
თავარმოწამე — 18, 17, 18, 19, 20, 21, 23, 28, 29, 30, 31, 32, 33, 35, 36, 39, 40, 86, 274, 276, 278
თავმასაპარსაო — 251
თამარ-მეფე || თამარ-ნეფე — 189, 190, 205, 258, 261, 285, 287, 288, 289
თას-განძი — 52, 54, 63, 82, 85, 100, 159, 176, 181, 212, 260
თაეხევისბერი — 8, 13, 35, 50, 53, 60, 61, 65, 80, 86, 109 111, 134, 140, 147, 158, 161, 173, 192, 203, 206, 217, 215, 286, 292
თევანი — 234, 258, 268
თევის კვირა — 225, 233, 186, 220

იასაულნი — 18
იახსარი — 40, 41, 42, 44, 46, 47, 49, 50, 52, 53, 54, 56, 57, 60, 60, 61, 63, 66, 68, 71, 72, 74, 75, 77, 81, 83, 90, 97, 98, 103, 108, 129, 189, 195, 199, 278, 279, 280, 282, 283, 284

კარატე — 46, 49, 71, 72, 80
კვირა — 43, 44, 58, 69, 78, 86, 87, 96, 107, 108, 109, 122, 131, 196, 139, 143, 147, 157, 167, 186, 194, 195, 204, 205, 207, 209.
კვირაცხოველი — 55, 57, 61, 63, 66, 74, 77
კვირიჯვრობა — 144, 134, 142
კვრივი — 191, 195, 238, 247, 248, 249, 252, 253, 260, 265
კოდი — 20, 25, 51, 52, 57, 92, 100, 105, 179
კოპალა — 41, 42, 43, 44, 46, 49, 73, 75, 96, 97, 101, 103, 104, 106, 108, 124, 128, 129, 263, 264
კოპალას კურეტები — 104, 125
კოჭის მოკიდება — 265, 266
კოჭლაურა — 63
კუდიანი — 172, 173, 174
კულუხი — 38, 64, 65, 68, 70, 74, 75, 115, 145, 184, 189, 214
კუმეტი — 33, 50, 167, 237
კუჭულა — 230

ლაშარის ჯვარი — 89, 36, 78, 141, 152, 171, 178, 189, 190, 192, 194, 199, 200, 205, 207, 256, 257, 258, 273, 275, 277, 287, 288
ლაშარის ჯვრის პიროფლიანნი — 78, 79, 120, 123, 153, 177, 219,
ლაშარის ჯვრის საბეო — 195
ლახტი — 26, 43, 44, 45, 46, 65, 96, 97
ლიტონია — 107, 154, 206, 220, 234

მარანი — 39, 65, 67, 115, 145, 178, 202, 214
მარიამ-წმიდა — 198, 243, 246, 247, 248
მარიამობა — 12, 20, 28, 82, 82, 93, 125, 177, 178, 180, 199, 222, 225, 230, 231, 258, 258, 257, 262, 264, 268, 27.
მარიანგა — 26, 29
მარიანგა — ხთიშობელი — 275
მარხვა — 86, 170, 172, 263
მარხეშობა — 171, 224
მაღაწლის წმ. გიორგი — 263, 264
მაცილი — 136, 147
მგელთ უქმი — 169
მებაკური — 270, 271
მეგანძური — 82, 117, 134, 136, 140, 148, 149, 155, 219
მედროშე//მედროშავე — 80, 178, 190, 197, 215, 231, 236, 279
მეზღვნე — 22, 49, 61, 62, 67, 72, 81, 121, 154, 160, 175, 181
მეკელე || მეკელენი — 34, 89, 90, 91, 107, 108, 109, 111, 112, 136, 137, 138, 162, 164, 184, 200, 222, 224, 236, 237, 255, 257
მეკეზისწერე ანგელოზი — 175
მეკულუხე — 64, 65, 67, 70, 73, 75, 75, 115, 145, 178, 215
მეკურატე — 125

თავარანგელოზი — 94, 127, 128, 129, 130, 131, 133, 135, 136, 137, 138, 152, 125, 181, 199, 232, 243, 248, 283, 284, 287
თანამიდობა — 129, 145
ბიბლიონი — 188
მიქელ ეკლესიის ძალა — 245
მკითხავი — 17, 22, 38, 45, 47, 48, 52, 62, 130, 180, 203, 283, 285
ოგზაური ანგელოზი — 66, 68, 70, 71, 72
მოწალმართე ანგელოზი — 124, 148
მორიგე ღმერთი — 63
მოხარნადე ხთიშობელი — 178, 201, 222
მხვიმე — 171, 172

ნადი — 37, 84, 99, 100, 101, 104, 124, 131, 157, 179, 191, 256
ნათავარი — 20, 28, 116
ნათავარის ქადა — 178, 290, 248
ნათავარი ღვინო — 67, 74, 76
ნაყეერალები — 16, 37, 50, 157, 158, 226
ნაყრი — 111, 180, 210, 238, 255
ნაცივარი სახლი — 134, 292
ნაწილიანი ისარი — 193
ნაწილიანი ჯვარი — 200
ნიკი — 90

ოქროს შიბი — 188, 200

პაპა — 239, 240
პიროფლიანნი — 154
პირქუში — 49, 52, 129, 144, 155, 157, 160, 161, 162, 163, 164, 167, 175, 177, 190
პირცეცხლი — 190, 289

რიოში — 88, 114, 126, 135, 139, 170

საბეკურა — 270
საბერო — 8, 16, 26, 40, 41, 49, 51, 52, 62, 89, 92, 100, 104, 105, 107, 108, 109, 116, 117, 135, 137, 141, 155, 157, 160, 271, 278, 291
საგმირო — 98, 105, 106
სადასტურო — 13, 18, 22, 25, 36, 40, 49, 157, 159, 160, 173, 178, 180, 206, 223, 225, 230, 272
სადიდებელი — 66, 82, 106, 195, 196, 198, 207, 231, 246, 266
საზარე — 15, 16, 33, 40, 43, 46, 49, 53, 60, 76, 77, 81, 96, 98, 104, 109, 115, 116, 121, 122, 123, 129, 137, 157, 161, 163, 178, 184, 195, 199, 200, 223, 225, 256
საკვირაო — 194, 195, 196, 199, 206
საკიდლის ნათვლა — 94
საკოდე — 57, 92
სალაღებელი — 23, 63, 124, 181, 182
სალიტანიო თიკანი — 186
სალუდე — 16, 20, 26, 40, 49, 51, 86, 104, 108, 109, 116, 115, 136, 155, 157, 200, 201, 220, 223, 225, 235, 242, 258
სამანანულე საკლავი — 36
სამკვლეო — 34, 290
სამხთო — 93, 144, 191, 193, 198
სანადო — 40, 49, 50, 85, 99, 111, 125, 129, 157, 178, 189, 200, 223, 226, 255, 256, 257
სანთლობა — 222
საორახო — 205, 207
საოცრის დაყენება — 234
საპურე ბეღელი — 17, 157, 160, 177, 179,
სასანთლე — 60, 115, 137, 176, 184, 191
სასინანულო — 264
სასოფლო საკლავი — 122, 144, 146, 155, 156, 179, 185, 187, 196, 198, 212, 213, 214, 216, 217, 223, 231, 253
საღმერთობა — 12, 26, 38, 269, 271
საყაჟეს სვეტის ანგელოზი — 243
საყვინო — 38, 72, 76, 77, 78, 79, 80, 118, 119, 120, 123, 144, 153, 184, 219
საწირავნი — 57, 67, 68, 81, 84, 100, 105, 135, 136, 140, 159, 161, 176, 179, 185, 203, 206
საწულადო — 162, 205, 224, 234
სახარბაკე — 50, 52, 83
სახარნადე — 131, 132, 133, 263
სახატო ფუტკარი — 51
სახლის ანგელოზი — 176, 251
სახუთმეტო ძელის ანგელოზი — 285

სახუცო კოკობი — 57
საჯარე — 103, 157, 160, 161, 162, 175, 177, 183, 192, 194, 260
სერობა — 12, 38, 64, 71, 75, 114, 176, 177, 189, 129
სვეტის ანგელოზი — 18
სიმური — 45,46
სოფლის ჯარი — 161
სულთაკრეფა — 170, 218, 241
სულის დღეობა — 112, 170
სულწმიდანი — 15, 23, 58, 63, 166, 167, 108, 208, 230

ტალის ქვევრი — 65
ტანისამოსის გაშლა — 171
ტახტის ყმა — 117
ტყავის სახსარი — 75, 81, 106, 121, 148, 199, 213, 224

უნჯი ყმა — 271, 274, 276, 288
ურწყნი — 168, 169
უქმის კვეთა — 254
უქმის სანათლავი — 254

ფერხისა — 27, 28, 73, 80, 177, 182, 183, 195, 235, 244, 246, 260, 261, 265
ფურთ-ნათავარი — 161, 220, 224, 253, 256, 258, 260, 275

ქადაგი — 97
ქადა-პური — 61, 140, 180, 202, 203, 204
ქადა-საწირავი — 80, 106, 137, 175, 181, 182, 246
ქერ-ოქრონი — 84, 133
ქვევრი, ქვევრ-მარანი — 64, 68, 69, 70, 79, 82, 116 188, 202, 215
ქვევრ-მარნის მცველი ანგელოზი — 68
ქრისტე — 12, 55, 57, 77, 86, 106, 140, 186, 202 219, 225, 132, 257
ქრისტეშობა — 35, 155

ღაბახი — 217
ღმერთი — 55, 57, 69, 77, 108, 109, 122, 131, 136, 139, 143, 154, 167, 170, 178, 168, 204, 207

ყველიერი — 142, 239
ყმა || ყმანი — 39, 45, 46, 49, 53, 54, 55, 59, 66, 67, 72, 84, 90, 99, 103, 125, 129, 131, 132, 146, 147, 155, 157, 164, 178, 179, 214

შესახელება — 203, 212, 250
შობა — 30, 86, 92, 106, 125, 155, 161, 185
შუა-მარხვა — 171, 213, 241
შურის ციხე — 189

ჩიტთფაფა — 168
ჩხუტი — 22, 59, 79, 108, 120, 131, 132

ცაბაურთის მთაწმინდა — 124
ცათა არხნი — 55
ცარეალი — 55, 68, 74
ციხეთგორობა — 104
ციხის ანგელოზი — 219, 220, 223, 224

ძელის ანგელოზი — 11, 38—39
ძმობის სამანი — 10

წელშეის კვირა — 31, 107
წელიწადი — 12, 33, 35, 52, 83, 112, 123, 140, 153, 142, 186, 187, 202, 203, 205, 210, 211, 222, 224, 258
წლის ბერი — 13, 14, 15, 17, 31, 49, 159, 181, 223, 289, 290, 291
წმ. გიორგი 33, 34, 39, 190, 200, 203, 209, 274, 260, 261, 264, 272, 275, 276, 278
წულადობილნი — 234, 236
წული — 110, 111, 112, 135, 147, 163, 205, 209, 214, 248, 249
წულის აკავანი — 111, 119, 163, 205, 209, 214, 245, 249
წულის გაყვანა — 147, 247, 248, 257
წულის სანთელი — 257, 268
წყალკურთხევა — 140, 187, 22, 224, 238, 258
წყაროსთავ წმ. გიორგი — 156, 157, 201, 203, 204, 205, 207, 291, 293, 294

ჭიაკოკონა — 113, 174
ჭდის ამოგდება — 229
ჭირნახულის ნათავარი — 171
ჭირნახულის სამხეეწრო — 197

ხარ-ნადი — 178, 179, 226, 283
ხატიონნი — 26, 214, 224, 233, 237
ხატის კალო — 5, 16, 50, 139, 168, 223, 224
ხატის მამული — 37, 38, 43, 49, 99, 203
ხატის ქალები — 13
ხატის ცხვარი — 54
ხახმატის ჯვარი — 234
ხახაბოს წმ. გიორგი — 190
ხევისბერი — 4, 7, 13, 15, 20, 30, 33, 31, 36, 38, 49, 59, 60, 61, 62, 67, 73, 75, 79, 82, 84, 75, 86, 87, 94, ოჩიაური 13 06 ზოროგლიანი 133, 136, 138, 164, 167, 172, 174, 176, 179, 191, 204 191, 204, 217, 231, 233, 235, 264, 266, 279.
ხელმხრის ნათელა — 17, 38, 65, 101, 105, 133, 134, 158, 161, 176, 177, 179, 189, 214, 223, 227, 238, 263, 283, 284.
ხემბვიანნი — 22, 134, 201, 223, 225, 258
ხთისკარი — 44, 47, 54, 126
ხთიშვილნი — 17, 18, 39, 44, 45, 46, 56, 77, 78 126, 141, 144, 152, 159, 169, 172, 196, 172, 196, 198, 205
ხთიშობელი — 1, 82, 83, 87 161, 162, 168, 175, 177, 178, 179, 181, 184, 130, 209, 222, 223, 247, 248, 252, 255, 257, 258, 260, 262, 275.
ხმალა — 188, 189
ხოდაბუნი//ცოდაბუნი — 104, 157, 178, 223
ხორცის შაბათი — 211, 212, 224, 238, 239

ჯარის დედა — 90
ჯვარიონნი — 121
99, 101, 110, 118, 121, 123, 131,

შინაარსი

რედაქციისაგან 4

დღეობები ხოშარის თემში 4

გოგოლაურთის მთავარმოწამე 14

ქისტაურების სალოცავი იახსარი 41

უძილაურთის სალოცავი კოპალა 91

ცაბაურთის მთავარანგელოზი და მისი დღეობები 127

დღეობები პირქუშში . . 155

მუქუს სალოცავები და მათი დღეობები . 178

წყაროსთავ წმ. გიორგისა და მოხარნადე ღვთისმშობლის დღეობები . 201

მათურის მთავარანგელოზის დღეობები 225

ბეტისჩდილის, ჩარგლის, ყოფჩის, მაღაროსკარის, გომეწრის სალოცავები და მათი დღეობები 252

ფშავის სალოცავებთან დაკავშირებული სხვადასხვა ამბები . 268

მათურის თემი, მათი სალოცავი მთავარანგელოზი და მასთან დაკავშირებული მამები დ გვარები 298

რეზიუმე (რუსულ ენაზე) . 296

საძიებელი . 297

Очиаури Алекси Александрович
ГРУЗИНСКИЕ НАРОДНЫЕ ПРАЗДНИКИ
В НАГОРНОЙ ЧАСТИ ВОСТОЧНОЙ ГРУЗИИ (ПШАВИ)

(на грузинском языке)

«МЕЦНИЕРЕБА»
ТБИЛИСИ
1991

დაიბეჭდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის
სამეცნიერო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

სბ 4580

გამომცემლობის რედაქტორი რ. ფეიქრიშვილი
მხატვარი ნ. გაბუნია
მხატვრული რედაქტორი გ. ლომიძე
ტექრედაქტორი ე. ბოკერია
კორექტორი ც. დევდარიანი

გადაეცა წარმოებას 17. 7. 90; ხელმოწერილია დასაბეჭდად 25. 5. 91;
ქაღალდის ზომა 60/90; ქაღალდი № 2; ბეჭდვა მაღალი;
გარნიტურა ვენური; პირობითი საბეჭდი თაბახი 19.0;
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 17. 22;
ტირაჟი 2000; შეკვეთა № 1897;

ფასი 6 მან.

გამომცემლობა „მეცნიერება", თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ. 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

საქართველოს მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ. 19
Типография АН Грузии, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19